

სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
LEPL GORI STATE TEACHING UNIVERSITY



საგეცნიერო კვლევების ჟურნალი

JOURNAL OF SCIENTIFIC RESEARCHES

ტომი II, №1

Volume II, No 1

2021

სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალის - „სამეცნიერო კვლევების ჟურნალი“ წინამდებარე ნომერში ქვეყნდება გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მიერ 2018 წლის 16-17 ნოემბერს ჩატარებულ მეთერთმეტე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე - „განათლება და მეცნიერება XXI საუკუნეში: რეალობა, გამოწვევები, პერსპექტივები“ წარმოდგენილი ნაშრომები განათლებისა და ჰუმანიტარული მეცნიერებების მიმართულებით (გარდა ისტორიის სექციაზე წარმოდგენილი სამეცნიერო ნაშრომებისა, რომლებიც იბეჭდება გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრის მიერ მომზადებულ შრომების კრებულში), რომლებმაც გაიარეს რეცენზირება.

In the current issue of LEPL – Gori State Teaching University Scientific Journal “Journal of Scientific Researches” are published the Education and Humanities sphere works, that were presented at the XIth International Scientific Conference – “Education and Science in The XXI Century: Reality, Challenges, Perspectives”, held by Gori State Teaching University on November 16-17, 2018. All the works have been reviewed. The History sphere scientific works are not included in the Journal, as they are published in the proceedings of Gori State Teaching University History and Archeology Center.

სარედაქციო კოლეგია:

- გიორგი სოსიაშვილი - სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე (საქართველო);
- ვიანორ ახალაია (საქართველო);
- გიზო გოგიჩაიშვილი (საქართველო);
- გიორგი გოგიჩაძე (საქართველო);
- იან მალიკი (პოლონეთი);
- თეიმურაზ მთიბელაშვილი (საქართველო);
- დიმიტრი ნადირაშვილი (საქართველო);
- იურგიტა რაუდელიუნიენე (ლიტვა);
- ზვიად როგავა (საქართველო);
- მანანა რუსიეშვილი (საქართველო);
- სოსო სიგუა (საქართველო);
- იანის სტრადინში (ლატვია);
- ომარ ფურთუხია (საქართველო);
- ჰარუნ ჩიმქე (თურქეთი);
- ჯემალ მაგანია (საქართველო);
- ქეთევან ჭკუასელი (საქართველო);
- მიხეილ ჯიბუტი (საქართველო).

ტექნიკური რედაქტორი: გიორგი ყაზიშვილი,
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

EDITORIAL BOARD:

- Giorgi Sosiashvili - Chairman of the Editorial Board (Georgia);
- Vianor Akhalaia (Georgia);
- Gizo Gogichaishvili (Georgia);
- Giorgi Gogichadze (Georgia);
- Jan Malicki (Poland);
- Teimuraz Mtibelashvili (Georgia);
- Dimitri Nadirashvili (Georgia);
- Jurgita Raudeliuniene (Lithuania);
- Zviad Rogava (Georgia);
- Manana Rusieshvili (Georgia);
- Soso Sigua (Georgia);
- Janis Stradinsh (Latvia);
- Omar Purtukhia (Georgia);
- Harun Chimke (Turkey);
- Jemal Dzaganian (Georgia);
- Ketevan Chkuaseli (Georgia);
- Mikheil Jibuti (Georgia).

TECHNICAL EDITOR:

Giorgi Kazishvili, Gori State Teaching University

გამოქვეყნებული სტატიის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. მისი პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს სარედაქციო კოლეგიის შეხედულებებს.

ჟურნალის რედაქცია პასუხს არ აგებს სტატიის გამოქვეყნების შედეგად გამოწვეულ შესაძლო ზარალზე. იმ შემთხვევაში, თუ სტატიის გამოქვეყნების შედეგად დაირღვა საავტორო ან სხვა უფლება, რედაქცია უფლებამოსილია გამოქვეყნებული სტატია ამოიღოს მონაცემთა ბაზიდან.

The author is liable for the accuracy of the published article. His views may not coincide with the ideas of editorial board.

Editorial Board is not responsible for the possible damage caused by the publication of the article. In case the author's or other rights are violated after the publication of the article, the editorial board is authorized to remove the published article from the database.

შინაარსი

განათლება

- ლილია ბარანოვსკაია, მიხეილ ბარანოვსკი – უმაღლესი საავიაციო სასწავლო დაწესებულებები უკრაინის უმაღლესი განათლების სისტემაში (რუსულ ენაზე) – 7
- ელენა აივაზოვა, მარიამი უბირია – შეფასების საშუალებების გამოყენება არაორგანული ქიმიის სწავლების გაუმჯობესების მიზნით სამედიცინო ბიოქიმიის სპეციალობის სტუდენტებისათვის (რუსულ ენაზე) – 13
- ციური ბაქრაძე – მშობლის მისია შვილის აღზრდაში – 15
- მაია ბოლაშვილი, მაია მელანაშვილი – სემიოტიკაზე დაფუძნებული მიდგომა, როგორც ენის სწავლების ვერბალურ და არავერბალურ ასპექტთა ეფექტური საშუალება – 19
- ეკატერინე გიგაშვილი, თამარ რემიშვილი – სწავლების უნივერსალური დიზაინი, როგორც თანამედროვე განათლების პარადიგმა – 26
- მზია ზანგალაძე, თამუნა ხეთაგური – ზოგიერთი მრავალფუნქციანი აფიქსის სწავლების შესახებ – 31
- ნანა მასურაძე – ტრადიციული და ინოვაციური მიდგომა ფიზიკის სწავლებისას – 35
- რუიზან მექვაბიძე – განათლების რეფორმების კვლევა: უმაღლესი განათლების ტრანსფორმაციის საკითხები და პრობლემები (საქართველოს მაგალითზე) (ინგლისურ ენაზე) – 39
- ნოდარ მირაზანაშვილი – სახვითი ხელოვნების ნიმუშების ფორმისა და შინაარსის მთლიანობაში აღქმის უნარების განვითარება დაწყებით საფეხურზე – 46
- ლელა რეხვიაშვილი – გამომსახველობითი საქმიანობა არტპედაგოგიაში: ხატვა, ძერწვა – 50
- რუსუდან ფიფია – სასწავლო აქტივობების კვლევა დაწყებით საფეხურზე უნივერსალური დიზაინის პრინციპების გათვალისწინებით – 55
- პაატა ქურდაძე – მშობელთა ჩართულობა – 59
- მარინე ქურდიძე, თინათინ იოსებიძე – უჯრედი, როგორც ცოცხალი ორგანიზმის სტრუქტურული ერთეული და მისი სწავლება საბუნებისმეტყველო დისციპლინებში – 62
- ზურაბ ჩხიკვაძე, ლელა ხუბულური – თანასწავლება უცხო ენების გაკვეთილზე – 68
- მაგდა ჭიქაბერიძე, ტარიელ ფუტკარაძე – ეკატერინე გაბაშვილის ნოვატორული სკოლა გორში – 73
- ეფემია ხარაძე – დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის კომპეტენტურობის პრობლემური საკითხები კლასის მართვის პროცესში – 77

ფილოლოგია

- ნანა არახამია – შექსპირის ხელახალი აღმოჩენა – 81
- მაია გელაშვილი – ქართულ-ოსური ენობრივი ურთიერთობები – 83
- ანა გოგილაშვილი – გურამ გეგეშიძის რომან „ცოდვილისა“ და კნუტ ჰამსუნის რომან „მისტერიების“ ურთიერთმიმართებისათვის – 90
- თამარ გოგოლაძე – XIX საუკუნის ქართული მემუარის შესწავლის ისტორიისათვის – 94
- იავლინა გუჯეჯიანი – მასდარი ქართველურ ენებში – 100
- ანა დათუაშვილი – ბასილი მელიქიშვილის მითოსური სამყარო – 103
- ნინო ვახანია – აკაკი წერეთელი და აღზრდის საკითხები – 107
- თამარ ვეფხვაძე – „მღვრიემდე გაგვიმარჯვას“ – გოდერძი ჩოხელის „წერილი ნაძვებს“ – 111
- ელენე ზურაბაშვილი – უცხო სიტყვების დამკვიდრების ტენდენცია ქართულ ლექსიკაში – 116
- მირანდა თოდუა, ნონა ქეცბაია – სომატური სახელის, სისხლის, კონცეპტი (ლექსიკონებისა და სასულიერო პოეზიის მასალების მიხედვით) – 119
- იგორ კეკელია – დიცისა და ქორდის ტოპონიმია – 123
- მედეა კვარაცხელია – ბავშვთა აზრისები ვასილ გულუერის საბავშვო პოეზიაში – 134
- მარიამ კობერიძე – სიმცირის სემანტიკის გამომხატველი ლექსიკა ქართულურში – 137
- ნანა კუცია, მარინე ტურავა – მოდერნისტული ეპოქის რეალისტური პერსონაჟი მიხეილ ჯავახიშვილის რომან-პარაბოლა „ჯაყოს ხიზნებში“ – 141
- ქეთევან მარგიანი – დალის ხეობა – ენოლინგვისტიკა, ინტერფერენცია, ლინგვოკულტუროლოგია (ახალი კოდორული მასალების მიხედვით) – 151

- ქეთევან მარგინი, მარინე კაკაჩია, მარინა ჯღარკავა – კონცეპტი "ზარი" ქართველურში – 156
- ნინო მაშია – სამიწათმოქმედო რიტუალების აღმნიშვნელი რამდენიმე ტერმინისათვის მეგრულ-ლაზურში – 160
- მაია მელანაშვილი, მაია ბოლაშვილი – პიკარესკული რომანის რეალიზმის შესახებ – 165
- ციალა მესხია – რომანი ცხოვრებისეულ სიმართლეზე (ევგენი აქუბარდიას რომანი „კოჩა“) – 169
- ნაილე მიქელაძე – ერთი ტოპონიმის ეტიმოლოგიისათვის – 176
- ტიტე მოსია – „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტოლოგიური საკითხების კვლევისათვის მე-19 საუკუნეში – 179
- ოლენა მოსკალენკო, ტატიანა პლაჩინდა, ჯოელ ვისკინი – ენის საკომუნიკაციო ფუნქციები: ზმნების სემანტიკური გარდაქმნები საავიაციო ინგლისურში (ინგლისურ ენაზე) – 188
- ნიკოლოზ ოთინაშვილი – ტოპონიმის ენობრივი ფორმები და წარმოება შიდა ქართლის მონაცემების მიხედვით – 192
- ზურაბ ოქროპირიძე – რეალური და სიმბოლურ-მოდერნისტული სურათები ნიკო შიუკაშვილის დრამაში – „მთის ზღაპარი“ – 197
- ლუარა სორდია – გალაკტიონ ტაბიძის ენიგმები. „იისთვის ეძებს იისფერ სიტყვებს“ – 202
- ეკატერინე ფანგანი – „რკინის თეატრის“ ძირითადი კონცეპტები – 210
- ელზა ფუტყარაძე – ზმნურ ფორმათა წარმოების ზოგიერთი თავისებურება ამიერტაოს მეტყველებაში – 216
- მარინე ცერცვაძე – ისევ პაოლო იაშვილის დარიანული ციკლს შესახებ – 219
- ჯულეტა ძაძუა – ტოპონიმ ფიჩორის ისტორია-ეტიმოლოგიისათვის – 223
- ნელი ჭამპურიძე – საბავშვო ლიტერატურის წყარო - ისტორიული ტექსტების ადაპტირებული ვარიანტები – 227
- გიორგი ხორბალაძე – როსტომ ჩხეიძის „ცდა“, როგორც ერთგვარი ჟანრობრივი ფორმა („დეტექტიური ცდების“ მაგალითზე) – 232
- მარინე ჯაიანი – „ვეფხისტყაოსანი“ და აფხაზ სწავლულთა რუსთველოლოგიური შეხედულებანი – 238
- თამარ ჯოჯუა – ელიპტური წინადადების სტრუქტურული მახასიათებლები (ინგლისურ ენაზე) – 242

CONTENTS

Education

- Liliya Baranovska, Mykhailo Baranovskyy** – *HIGHER AVIATION EDUCATIONAL INSTITUTIONS IN THE SYSTEM OF HIGHER EDUCATION OF UKRAINE* (in Russian) – 7
- Elena Aivazova, Mariami Ubiria** – *USING OF ASSESSMENT METHODS TO IMPROVE THE TEACHING OF INORGANIC CHEMISTRY FOR STUDENTS WITH THE SPECIALTY OF MEDICAL BIOCHEMISTRY* (in Russian) – 13
- Tsiuri Bakradze** – *PARENT'S MISSION IN CHILD'S UPBRINGING* – 15
- Maia Bolashvili, Maia Melanashvili** – *THE APPROACH BASED ON SEMIOTICS AS AN EFFECTIVE WAY OF VERBAL AND NON-VERBAL ASPECTS OF LANGUAGE TEACHING* – 19
- Ekaterine Gigashvili, Tamar Remishvili** – *UNIVERSAL DESIGN OF TEACHING, AS A PARADIGM OF MODERN EDUCATION* – 26
- Mzia Zangaladze, Tamuna Khetaguri** – *ABOUT THE TEACHING OF SOME MULTIFUNCTIONAL AFFIXES* – 31
- Nana Maisuradze** – *TRADITIONAL AND INNOVATIVE APPROACH WHEN TRAINING PHYSICS* – 35
- Ruizan Mekvabidze** – *FOLLOWING EDUCATIONAL REFORMS: ISSUES AND PROBLEMS OF TRANSFORMATION OF HIGHER EDUCATION (A CASE OF GEORGIA)* (in English) – 39
- Nodar Mirazanashvili** – *THE DEVELOPMENT OF OVERALL PERCEPTION OF FORM AND CONTENT OF THE FINE ARTWORK ON THE ELEMENTARY LEVEL OF EDUCATION* – 46
- Lela Rekhviashvili** – *EXPRESSIVE ACTIVITIES IN ART PEDAGOGY: DRAWING, SCULPTING* – 50
- Rusudan Pipia** – *RESEARCH OF STUDY ACTIVITIES IN THE INITIAL STAGES OF THE UNIVERSAL DESIGN PRINCIPLES* – 55
- Paata Kurdadze** – *PARENTAL INVOLVEMENT* – 59
- Marine Kuridze, Tinatin Iosebidze** – *CELL AS A STRUCTURAL UNIT OF LIVING ORGANISM AND ITS TEACHING IN NATURAL DISCIPLINES* – 62
- Zurab Chkhikvadze, Lela Khubuluri** – *CO-TEACHING AT THE FOREIGN LANGUAGE LESSONS* – 68
- Magda Chikaberidze, Tariel Putkaradze** – *EKATERINE GABASHVILI'S INNOVATIVE SCHOOL IN GORI* – 73
- Efemia Kharadze** – *PROBLEMS RELATED TO THE COMPETENCE OF THE PRIMARY LEVEL TEACHERS IN CLASSROOM MANAGEMENT* – 77

Philology

- Nana Arakhamia** – *SHAKESPEARE'S REVIVED DISCOVERY* – 81
- Maia Gelashvili** – *GEORGIAN-OSSETIAN LANGUAGE RELATIONS* – 83
- Ana Gogilashvili** – *FOR INTERACTION OF GURAM GEGESHIDZE'S NOVEL "SINNER" AND KNUT HAMSUN'S NOVEL "MYSTERIES"* – 90
- Tamar Gogoladze** – *FOR THE STUDY OF THE HISTORY OF GEORGIAN MEMOIR OF THE XIX CENTURY* – 94
- Iavlina Gujejiani** – *INFINITIVE (MASDARI) IN THE SVANURI LANGUAGE* – 100
- Ana Datuashvili** – *THE MYTHICAL WORLD OF BASILI MELIKISHVILI* – 103
- Nino Vakhania** – *AKAKI TSERETELI AND ISSUES OF UPBRINGING* – 107
- Tamar Vepkhvadze** – *"CHEERS TO US TILL WE STAY CLEAN" GODERDZI CHOKHELI – "A LETTER TO THE FIRS!"* – 111
- Elene Zurabashvili** – *TREND OF INTRODUCTION OF THE FOREIGN WORDS IN GEORGIAN LANGUAGE* – 116
- Miranda Todua, Nona Ketsbaia** – *THE CONCEPT OF THE SOMATIC WORD "სიხლი" ("SISKHLI" – BLOOD) (ACCORDING TO VOCABULARIES AND THEOLOGICAL POETRY)* – 119
- Igor Kekelia** – *THE TOPONYMY OF DITSI AND KORD* – 123
- Medea Kvaratskhelia** – *CHILDREN PORTRAITS IN VASIL GULEURI VERSES* – 134
- Mariam Koberidze** – *VOCABULARY EXPRESSING A MINORITY OF SEMANTIC IN KARTLIAN* – 137
- Nana Kutsia, Marine Turava** – *A REALISTIC CHARACTER OF THE NOVEL OF MODERNISM (MIKHEIL JAVAKHISHVILI, "JAKOS KHIZNEBI")* – 141
- Ketevan Margiani** – *DALI GORGE – LINGUOCULTUROLOGY, INTERFERENCE, ETHNOLINGUISTICS (ACCORDING TO THE SPEECH OF KODORI GORGE POPULATION)* – 151
- Ketevan Margiani, Marine Kakachia, Marina Jgharkava** – *CONCEPT ZARI ("BAD BELL") IN THE KARTVELIAN LANGUAGES* – 156
- Nino Mashia** – *SEVERAL TERMS FOR THE NEGLECTED RITUALS IN MEGRELIAN-LAZUR* – 160
- Maia Melanashvili, Maia Bolashvili** – *ABOUT THE REALISM OF PICARESQUE NOVEL* – 165
- Tsiala Meskhia** – *NOVEL ON THE LIFE TRUTH (EVGENI AKUBARDIA'S NOVEL "KOCHA")* – 169
- Naile Mikeladze** – *FOR THE ETYMOLOGY OF ONE TOPONYM* – 176

- Tite Mosia** – *FOR THE RESEARCH OF THE TEXTUAL ISSUES OF "THE KNIGHT IN THE PANTHER'S SKIN" IN THE 19TH CENTURY* – 179
- Olena Moskalenko, Tetiana Plachynda, Joel Wiskin** – *COMMUNICATIVE FUNCTIONS OF LANGUAGE: SEMANTIC TRANSFORMATIONS OF VERBS IN AVIATION ENGLISH* (in English) – 188
- Nikoloz Otinashvili** – *LINGUISTIC FORMS AND FORMATION OF TOPONYMS ACCORDING TO SHIDA KARTLI DATA* – 192
- Zurab Okropiridze** – *REAL AND SYMBOLIC-MODERNISTIC PICTURES IN NIKO SHIUKASHVILI'S DRAMA - "MOUNTAIN TALE"* – 197
- Luara Sordia** – *GALAKTION TABIDZE'S ENIGMAS. "SEARCHING FOR VIOLET WORDS FOR THE VIOLET"* – 202
- Ekaterine Pangani** – *THE BASIC CONCEPTS OF "THE IRON THEATRE"* – 210
- Elza Putkaradze** – *SOME OF THE CHARACTERISTICS OF THE VERB FORMS IN THE SPEECH OF AMIERTAIO* – 216
- Marine Tsertsvadze** – *AGAIN ABOUT PAOLO IASHVILI'S DARIAN CYCLE* – 219
- Juleta Dzadzua** – *FOR HISTORY-ETYMOLOGY OF PICHORI* – 223
- Neli Champuridze** – *CHILDREN'S LITERATURE SOURCE - ADAPTED VERSIONS OF HISTORICAL TEXTS* – 227
- Giorgi Khorbaladze** – *ROSTOM CKHEIDZE'S 'EXPERIMENT' AS A TYPE OF GENRE FORM ON THE EXAMPLE OF 'DETECTIVE EXPERIMENTS'* – 232
- Marine Jaiani** – *„THE MAN IN THE PANTER'S SKIN“ AND RUSTVELOLOGICAL VIEWS OF ABKHAZIAN SCHOLARS* – 238
- Tamar Jojua** – *STRUCTURAL ANALYSIS OF THE ELLIPTICAL SENTENCE* (in English) – 242

განათლება
Education

, . . . ,

: , , ,

.

.

, .C , , ,

,

,

(

),

2005

,

, -

« » «
(ICAO)

:

-

(

»)

», «

», «

(

ICAO

);

;

-

;

-

;

-

ICAO;

,

-

/

,

,

,

1615 1819 -).
(.);
(.)

(1576) -

(


(blended learning).

Moodle.
e-learning

(National Training Laboratory Institute, Bethel),

» (.1),

5% - ; 10% - ; 20% - ; 50% - ; 70% - ; 80% ; 90% - ; 95% -
(Whitman, 2004)
(blended learning).



c. 1. (Learning Pyramid)

:(2013).

(3).

- , . (2018). ICAO
- , . (2013).
- « ». (2014). Retrieved from Zakon.rada.gov.ua/go/1556-18
- « », 2145-VIII (2017). Retrieved from Kodeksy.com.ua
- , . (2005).
- , . (2012).
- , . (2016).
- , . (2013).
- , . (2011).
- , . (2014).
- , . (2012). C (), 9. 15: (6(24)).
- Polovina, S. (2011, November 16). *About the Learning Pyramid*.
- Whitman, G. (2004). *Dialogue with the past: engaging students & meeting standards through oral history*. American Association for State and Local History book series.

Liliya Baranovska, Mykhailo Baranovskyy
National Aviation University, Kiev, Ukraine

**HIGHER AVIATION EDUCATIONAL INSTITUTIONS IN THE SYSTEM OF HIGHER
 EDUCATION OF UKRAINE
 RESUME**

The purpose of the article is the presentation of higher aviation educational institutions as components of higher education system in Ukraine. The article presents the results of the studying the documentary and legislative framework that defines the features of the functioning of modern aviation higher educational institutions. The attention is paid to their classification, analysis of the features of the organization of the educational process, the contingent of learning objects.. The importance of the ICAO in coordinating the activities of Ukrainian aviation educational institutions has been suggested. Special attention is paid to the analysis of the results of a study on the importance of the educational environment of an aviation higher educational institution for the formation of qualified civil aviation personnel. The definition of the concept of "educational environment of the university", the components of its structure is offered in this paper. In accordance with this structure and using the Charter of the aviation higher educational institution, the individual components of the educational environment that have a positive effect on the quality of students' training have been analyzed. Today aviation educational institutions of Ukraine are the high schools which are focused on preparing students for professional activities in the multicultural communities, which is why, in accordance with the requirements of the ICAO, all students who master aviation specialties must have a high level in aviation English.

Special speech and language requirements must be met by future civil aviation pilots and air traffic controllers, and in this connection, training of the students in an English-speaking project is particularly relevant. Domestic and foreign students throughout the course of study who master the educational degree the "bachelor" and the "master" all academic disciplines are taught in English. This requires for teachers who are proficient in the content of training courses and have a certificate to teach in English at a high level which is sufficient for students to understand. Also has been substantiated the expediency of introducing changes in the methods and methodology of teaching students. Thus, the article presents the peculiarities of the orientation of the pedagogical process in the Ukrainian higher aviation institutions, the specificity of the organization of training, the language policy of training aviation specialists.

Keywords: Civil aviation, ICAO, Higher education system of Ukraine, English-speaking project.

: , , , , .

- -

, , , , , , , , , ,

, , , , , , , , , ,

. « »

« » « »

, , , , , , , , , ,

, , , , , , , , , ,

. « »

, , , , , , , , , ,

, , , , , , , , , ,

, , , , , , , , , ,

« »

« », « » « » .

« » « » « » »

, , , , , , , , , ,

, . . . , ,

. :

- ;

- , . . . (, , , , , , , , , ,) ;

- , () ;

- , () .

()

. « », « » .

, , , , , , , , , ,

, , , , , , , , , ,

, , , , , , , , , ,

« »
« »
s-, p-, d-
s-, p-, d-
s-, p-, d-
s-, p-
s-, p-, d-
2
()

არაფერი ისე არ აწუხებს და აშფოთებს მშობელს, როგორც შვილის ავადმყოფობა და სისუსტე. შვილის ჯანმრთელობა მშობლის ბედნიერებისა და კეთილდღეობის ერთ-ერთი პირობაა, მშობელი არასოდეს არ დაიშურებს შვილის ჯანმრთელობისა და სიცოცხლის გადარჩენისათვის არათუ რაიმე მატერიალურ სიმდიდრეს, არამედ საკუთარ სიცოცხლესაც კი. აკაკი ნარგიზიშვილის თქმით: „საოჯახო აღზრდა ორ სტრატეგიულ ამოცანას ისახავს მიზნად, ეს არის შვილის ჯანმრთელობის დაცვა და მისი მომავალი ცხოვრებისეული გზის განსაზღვრა“. (ნარგიზიშვილი, 2008, გვ. 25) კარგი მშობელი არ კმაყოფილდება შვილის ფიზიკური აღზრდა-განვითარებით. იგი ასეთივე მოვალეობად მიიჩნევს ზრუნვას შვილის გონებრივი განვითარებისათვის.

მშობელი უნდა ცდილობდეს ბავშვში გააღვიძოს ცოდნის წყურვილი, არ დაზოგოს ბავშვისათვის დრო და ენერჯია საინტერესო საკითხებზე საუბრით.

კარგი მშობელი შვილისადმი თავისი უანგარო დამოკიდებულებით პირად მაგალითს აძლევს მას, თუ როგორ უნდა მოექცეს იგი თავის შვილს, ხოლო მშობლისადმი დამოკიდებულებით იმას ასწავლის, თუ როგორ უნდა მოექცეს შვილი მშობელს. აღზრდაში პირად მაგალითს და განსაკუთრებით მშობლის მაგალითს, უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ყველაზე მეტად ეს ზნეობის სფეროს ეხება. უზნეო მშობელი ვერასოდეს გაზრდის წესიერ შვილს, თუ მხოლოდ მასზე იქნება დამოკიდებული შვილის აღზრდა.

აღზრდას ფრაგმენტულად კი არა, არამედ მუდმივად უნდა ანხორციელებდეს მშობელი. გულნაზი ხუბუა აღნიშნავდა, რომ „ბავშვს ძალიან ფაქიზი ყურადღება და შთაბეჭდილების უნარი აქვს, იგი ზოგჯერ ისეთ ზნეობრივ დეტალს შეამჩნევს მშობლის მოქმედებაში, რასაც შეიძლება მშობელი ვერ ამჩნევდეს, ამიტომ ბავშვისადმი დამოკიდებულების პრინციპი მოითხოვს არა იმას, რომ ოსტატურად შევნიღბოთ ჩვენი უზნეობა, არამედ აღვკვეთოთ იგი“. (ხუბუა, 2009, გვ. 58) საოჯახო აღზრდაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მამის ფუნქცია. როდესაც ბავშვი ხედავს, რომ მამა შვილის სასკოლო ცხოვრებით მაინცდამაინც დაინტერესებული არ არის, ბავშვსაც ნეგატიური დამოკიდებულება უყალიბდება მოსწავლის მოვალეობის მიმართ. მამას ოჯახში მხოლოდ არბიტრის პოზიცია არ უნდა ეკავოს. ხშირია შემთხვევა, როცა დედა მოახსენებს „ოჯახის უფროსს“ შვილის წარმატებისა თუ წარუმატებლობის შესახებ. მამა კი გადაწყვეტს წახალისოს თუ დასაჯოს ბავშვი. აქედან სტერეოტიპულად იქცევა დედის მუქარა - „მამას ვეტყვი!“ თუ მამა მკაცრია იწყება შვილის „შანტაჟი დედის მიმართ“, სულ აღარ ვისწავლი, სახლიდან წავალ და სხვა, მაგრამ თუ დედამ მაინც დაატეხა მამის რისხვა, არც ამით კეთდება სასიკეთო საქმე. შვილს შიში და სიძულვილი ეუფლება დამსჯელი მამისა და დამსმენელი დედის მიმართ. ბავშვს მისი ცხოვრების თანამგზავრი, მეგობარი მამა სჭირდება, რომელსაც ნებისმიერ დროს, ნებისმიერ საქმეზე რჩევას კითხავს და მარტო ბრძნულ შეგონებას კი არ მოისმენს მისგან, არამედ მასთან ერთად გადაწყვეტს რა და როგორ გააკეთოს.

შვილის ცხოვრებაში მომხდარი ამბავი, მშობელს რომ უმნიშვნელო საქმედ ეჩვენება, ბავშვისთვის შეიძლება მთლად მისი არსებობის აზრს შეიცავდეს. ამიტომ, მართებს მშობელს დიდი გულისხმიერება „ბავშური პრობლემების“ შეფასებისას, სხვაგვარად იგი შვილის მეგობარი ვერ გახდება და სასიკეთო გზაზე ვერ გაიყოლებს მას. თავდაპირველად პატარა ბიჭისთვის მამა დიდი ბიჭია, რომელსაც ყველაფერში ცდილობს მიბადოს, მერე და მერე კი მამაში კაცს ხედავს, რომლის საქციელში ეტალონურ მოქმედებებს ეძებს და სურს გადაიღოს.

ბავშვის ცხოვრებაში ყოველთვის (განსაკუთრებით მომწიფების პერიოდიდან) არის ისეთი მომენტები, როცა მას მესაიდუმლე და მრჩეველი სჭირდება. მშობელი ისეთი მაღალი ავტორიტეტია შვილისათვის, რომ იგი ვერ ბედავს, ვერ ახერხებს ყოველი თავისი პრობლემა ან სიხარული გაუზიაროს მშობელს და მიიღოს მისგან რჩევა-დარიგება. ვერ ახერხებს ამას იმიტომ, რომ მისი ინტერესები და მისწრაფებები ხშირად მშობლებისათვის მოსაწონი არ არის. გზა, რომლითაც ახალგაზრდა იწყებს ცხოვრებაში შესვლას, ბურუსითაა მოცული, თუ დროზე არ გაიფანტა ეს ბურუსი, იგი შეიძლება ასცდეს სწორ გზას და ჩამოყალიბდეს როგორც ძნელად აღსაზრდელი.

ა. კოჩეტოვის განსაზღვრით: ძნელად აღსაზრდელი ეხება ბავშვს, „რომელსაც იმ შეცდომების გამო, რაც მშობელმა დაუშვა აღზრდის პროცესში, გამოუმუშავდა აღზრდის პროცესზე უარყოფითად რეაგირების ჩვევა“. (Кочетов, 1999, стр. 18) ამიტომაცაა აუცილებელი, რომ მშობელი დაუმეგობრდეს შვილს, მაგრამ დამეგობრება არ შეიძლება მოხდეს მშობლის ავტორიტეტისა და გავლენის შესუსტების ხარჯზე. სამწუხაროდ, ასეთი შეცდომები ხშირია. ასეთი დაახლოება აზრს მოკლებულია. სულიერი სიახლოვე მიღწეულ უნდა იქნას არა ზნეობრივი დისტანციის დარღვევით, არამედ ამ უკანასკნელის მკაცრი დაცვით. ცხოვრებაში ხშირად ვხვდებით ამის სრულ საპირისპირო მოვლენას. მშობლები შვილების მიმართ ცივები და მიუკარებლები არიან. არაფერი არ უნდათ იცოდნენ შვილებზე, გარდა მათი ჯანმრთელობისა და სწავლისათვის ზრუნვისა. ზოგიერთი მშობელი, სიმკაცრესა და ოფიციალობაში ხედავს მშობლიური გრძნობის გამოვლენის საუკეთესო ფორმას, სწორედ ამას გამოხატავს მაკარენკოს ცნობილი პრინციპი: „მაქსიმალური დაფასება და მაქსიმალური მოთხოვნა“.

ოჯახი უნდა იყოს მის წევრთა კულტურული განვითარების, სიხარულის და ბედნიერების წყარო.

შ. ნადირაშვილი აღნიშნავდა, რომ „ბავშვი ყოველთვის ეძებს ცხოვრების აქტიურ, ემოციურ ინტერესს და ობიექტს ყურადღების კონცენტრაციისათვის. იგი ეძებს ადამიანურ სითბოსა და სიტკბოს. თუ ასეთი რამ არ არის ოჯახში, მაშინ მას გარეთ მიუწევს გული, გარეთ კი ბავშვები ყოველთვის წესიერ გარემოში არ ხვდებიან“. (ნადირაშვილი, 2000, გვ. 41) ქუჩაში მოხვედრილი ბავშვები ქუჩის კანონებით იწყებენ ცხოვრებას. ეცემა მათი გემოვნება, ხასიათი, ქცევა და ზნეობა; სხვანაირად აზროვნებენ, რაც ხშირად სავალალო შედეგით მთავრდება. მშობლები კი ამ დროს კითხულობენ, რატომ არ არიან მათი შვილები კარგები. იმას კი არ ფიქრობენ, რომ კარგი შვილის აღზრდას კარგი აღმზრდელი უნდა.

ოჯახის და ოჯახური აღზრდის პიროვნულ და საზოგადოებრივ როლსა და მნიშვნელობას ყოველთვის ცნობდა და აღიარებდა კაცობრიობა. ამას მოწმობს პედაგოგიკის კლასიკოსთა დამოკიდებულება ამ საკითხისადმი. მეცნიერული პედაგოგიკის ფუძემდებელი, I საუკუნის რომაელი მეცნიერ-პედაგოგი და ორატორი მარკუს კვინტილიანე მნიშვნელოვან ადგილს უთმობს ოჯახური აღზრდის პრობლემას თავის „ორატორის დარიგებანი“ XII ტომეულში. მისი აზრით: „აღზრდაში აუცილებელია სიყვარული, რომელიც გამოიხატება სითბოში, ალერსსა და მოფერებაში, სიახლოვეში, თანადგომასა და დაცვაში, ამის საშუალება კი მხოლოდ მშობლებს, სისხლხორცულ ნათესავებს გააჩნია“. (ხუხუა, 2009, გვ. 24) კვინტილიანე ხაზს უსვამს ბავშვის ცნობისმოყვარეობისა და მიმბაძველობის დიდი უნარის მიზანმიმართულად და ოპტიმალურად გამოყენების აუცილებლობას ადრეული ასაკიდანვე.

ჯონ ლოკს ოჯახი მიაჩნდა სხვათა უზნეობისგან თავდაცვის მთავარ გარანტიად. მშობლებისგან მოითხოვდა კეთილზნეობის მაგალითი ყოფილიყვნენ შვილებისათვის. ღვთის მოწიწება და შრომისმოყვარეობა ჩაენერგათ აღზრდაში. ჟან-ჟაკ რუსომ დედა გამოაცხადა აღზრდის მთავარ ფიგურად: „არ არის დედა, არ არის აღზრდა“. ქართული პედაგოგიკის ფუძემდებელს, იაკობ გოგებაშვილს ენის შენარჩუნებისა და ეროვნული ცნობიერების განვითარების საიმედო კერად ოჯახი მიაჩნია. განსაკუთრებით აფასებდა დედის როლს შვილის აღზრდაში, ამიტომ მოითხოვდა იგი ქალთა მაღალ განათლებას, რადგან სწამდა, რომ განსწავლული დედა კარგი აღმზრდელი იქნებოდა. ვაჟა-ფშაველამ ხოტბა შეასხა ღირსეული შვილის აღმზრდელ დედას. „ლამაზად შვილის აღმზრდელი, დედა მიცვნია ღმერთადა“. ოჯახის ამ ურთულეს, მაგრამ საპატიო ფუნქციას დღესაც არ დაუკარგავს თავისი ძალა, მაგრამ აღზრდა დღეს ისეთი პრობლემური გახდა, როგორც არასდროს. XXI საუკუნე ამორალობის, ბოროტების, მატერიალიზმის, კომერციის და ეგოცენტრიზმის აპოგეად იქცა, მილიონობით ადამიანს სიღარიბეში ხდება სული. ბევრ ადამიანში სიხარბემ, ბოროტებამ და განდიდების მანიამ დააზიანა მათში პიროვნება და ინსტინქტების დონეზე დაიყვანა. სამწუხაროდ ზოგიერთმა ოჯახმა და სკოლამაც დაკარგა თავისი ფუნქციონალური მოვალეობა. ოჯახში ფიზიკური გადარჩენის ინსტინქტებმა იმპლავრა და სულიერმა ფასეულობებმა უკანა პლანზე გადაინაცვლა.

გახშირდა ფიზიკური ძალადობა ოჯახში, ასევე სკოლებშიც. მოზარდებს შორისაც ბუღინგს აქვს ადგილი და ფიზიკურადაც უსწორდებიან ერთმანეთს, რაც სავალალო შედეგით მთავრდება. ბავშვი ხელმიშველებული დარჩა თავის ინსტინქტებთან. ბიოლოგიზაციამ გადაასწრო სოციალიზაციას და დაირღვა ბავშვის ყოველმხრივ ჰარმონიული განვითარების უზენაესი კანონიც და უფლებაც. თავის დროზე სოლომონ ბრძენმა დაწერა: „თავის ნებაზე მიშველებული ყმაწვილი დედის შემარცხვენელიაო“. (ნარგიზიშვილი, 2008, გვ. 72)

დღეს მშობლის მისია ძალზე რთულია, მაგრამ ის უნდა გაიცნობიერონ, რომ მშობლობა არის სერიოზული პასუხისმგებლობა ღვთის, საზოგადოებისა და თვით შვილის წინაშე. ცუდად აღზრდილი შვილი არა მარტო ოჯახისთვის, არამედ სხვისთვისაც პრობლემაა. მკვლელი, ყაჩაღი, მრუში, უმეცარი, მატყუარა, მუქთახორა, ეგოისტი და სხვა უკეთური თვისების მქონე ადამიანი მთელი ქვეყნის უბედურებაა.

კარგად აღზრდილი, გონიერი და ზნეობრივი პიროვნება კი სამშობლოს სიმდიდრეა. პედაგოგიკის კლასიკოსთა აღზრდის ის პრინციპები, რომელნიც ნებსით და უნებლიედ ემთხვევა ბიბლიურს, ჟამთა ცვლას არ ემორჩილება და დღემდე აქტუალურია.

შვილის აღზრდაზე მშობლები ერთნაირად არიან პასუხისმგებლები. მეცნიერულად არის დადასტურებული, რომ ბავშვები, რომელნიც მოკლებულნი არიან მშობლების ალერსსა და სითბოს, ფსიქოლოგიურად და ფიზიკურად ნორმალურად არ ვითარდებიან. ჯანსაღი გრძნობებისა და ემოციების განვითარება, ისევ გრძნობებისა და ემოციების ზემოქმედებით არის შესაძლებელი. მართალია ყველა მშობელი პედაგოგი არ არის, მაგრამ თავის დამოკიდებულებით, ზნეობრივი და ღირსეული ქცევითა და მოქმედებით მისცემს შვილებს კარგ მაგალითს, აზიარებს პატიოსნებას, ადამიანებთან, ცხოველებთან, ბუნებასთან კეთილ და მზრუნველ დამოკიდებულების ელემენტებს.

ვ. სუხომლინსკი მიუთითებდა: „ბავშვობა კაცის ცხოვრების უმნიშვნელოვანესი პერიოდია, მომავალი ცხოვრებისათვის მზადება კი არა, ნამდვილი ნათელი, თვითმყოფადი, განუმეორებელი

ცხოვრება, თუ როგორ ჩაიარა ბავშვობამ, თუ ვის დაჰყავდა ბავშვი ხელჩაკიდებული პატარაობისას, რა შეითვისა მისმა გონებამ და გულმა გარესამყაროსგან, დიდადაა დამოკიდებული როგორ ადამიანად გაიზრდება დღევანდელი ცეროდენა“ (სუხოძინსკი, 1980, გვ. 120)

ბავშვს, როდესაც სკოლაში მიდის, უკვე ჩამოყალიბებული აქვს თავისებური მორალური კოდექსი, რომლისგანაც განთავისუფლება არც ისე იოლი საქმეა, ამიტომ მშობლები ვალდებულნი არიან, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ შვილებს.

დისტერვეგის თქმით: „შეუძლებელია მისცე სხვას ის, რაც თავად არ გაგაჩნია“.

ცნობილია, რომ ბავშვის გულში და თავში ინფორმაციების ჩანერგვა ადვილი არ არის, მაგრამ არის აღზრდის პედაგოგიური და ბიბლიური პრინციპები და მეთოდები, რომელთა რეზონულად გამოყენება ახდენს სასწაულებს. მაგალითად, ბავშვის ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებების, სიყვარულისა და პატივისცემის, დადებითზე დაყრდნობის, ლოგიკისა და სიყვარულის პრინციპების ოპტიმალური გამოყენება, შემეცნებითი ინტერესებისა და სასწავლო მოტივაციების გამოწვევა ბავშვს აყენებს იმ გზაზე, რომელსაც მიჰყავს სიკეთისა და ბედნიერებისაკენ. მიზანმიმართული და მორგებული გარემო პირობების მოწყობის ხელოვნებას დაუფლებული მშობლები და მასწავლებლები ადვილად აგვარებენ აღზრდის პრობლემას, ვიდრე შიშველ პრაქტიციზმზე და სუბიექტურ მოსაზრებაზე მინდობილი აღზრდელები. თუ აღზრდაში სისტემატურობა და ჰარმონიულობა არ იქნება დაცული, ეს იგივეა, რაც ალაგ-ალაგ რგოლგაწყვეტილი ჯაჭვი.

როგორც ცნობილია, აღსაზრდელის ცხოვრებაში ყველაზე რთული პერიოდია გარდატეხის ასაკი. იგი მოიცავს 12-15 წლებს. ეს სირთულე ამ ასაკისთვის დამახასიათებელი ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური ცვლილებებით არის გამოწვეული. თუ ის პირველი (12) წელი ნაყოფიერად იმუშავა ოჯახმა და სკოლამ, აღნიშნული სირთულე შეიძლება მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი.

სკოლამ უნდა იზრუნოს მშობელთა პედაგოგიზაციაზე, რომ ისინიც სკოლის აქტიური მოკავშირეები იყვნენ, რათა ერთობლივი ძალით მიზანი მიღწეული იქნეს, მშობლებს გარკვეული წარმოდგენა უნდა მიეცეთ აღზრდის მიზნისა და ამოცანების, კანონებისა და პრინციპების, ფორმებისა და მეთოდების, განსაკუთრებით აღსაზრდელის ასაკობრივ და ინდივიდუალური თავისებურებების შესახებ. ეს თავისებურება კი მდგომარეობს იმაში, რომ მათ ამ პერიოდში ახასიათებთ სქესობრივი მომწიფება, მოზღვავებული გრძნობები, დამოუკიდებლობის მოთხოვნილებები და ოჯახისა და სკოლის მიერ დადგენილ შეზღუდვებს ვერ ეგუებიან. ადვილად ითენთებიან და გუნება-განწყობა უფუჭდებათ იქამდე, რომ ზოგჯერ ნევროზის და ფსიქოზის ნიშნებიც კი აღენიშნებათ, მართალია ყველას არა, მაგრამ ბევრს რთულად, მტკივნეულად გადააქვს ეს პერიოდი.

ამის შესახებ მშობლები უნდა იყვნენ ინფორმირებულნი. ასეთი მოზარდები ჯერ გამოუცდელები არიან და საჭიროებენ მშობლებისა და მასწავლებლებისაგან მხარდაჭერას, გულისხმიერ მოპყრობას, საჭირო ინფორმაციების მიწოდებას ზოგჯერ პირდაპირ, ზოგჯერ კიდევ ირიბად, ინდივიდუალურად, ბუნებრივად.

დასჯის მეთოდები ნაცადი საშუალებაა, ცნობილია ისიც, რომ მის გარეშე ყოველთვის ვერ დავაღწევთ თავს აღზრდასთან დაკავშირებულ პრობლემებს, მით უფრო, როცა არც ისე ბევრი გაგვიკეთებია თავიდან და რაც ახლა არ მოგვწონს, ის შედეგია ხელმიშვებულობისა, როცა მწარე შედეგი სახეზეა, მერე ერთბაშად გამკაცრება და რადიკალური ზომების მიღება არაეფექტური მეთოდია. განრისხება შეიძლება უფრო სავალალო შედეგით დამთავრდეს. ასეთ დროს ბავშვის სახლიდან წასვლა, თვითმკვლელობა ან მცდელობა და მსგავსი შემთხვევები არც ისე იშვიათია. მოსალოდნელი ხიფათები თავიდან რომ ავიციდინოთ, მშობლებს ბევრ დათმობაზე უწევთ წასვლა. ასეთ შემთხვევაში უმჯობესია მოზარდისათვის ავტორიტეტული პიროვნების დელიკატური ჩართვა, რომელიც თვალს აუხელს ბავშვს, შეუქმნის წარმოდგენას სულიერ და ზნეობრივ ფასეულობებზე, ცხოვრების არსზე. მშობლები ხშირად კიდევ ერთ პრობლემას აწყდებიან, ბავშვები იზრდებიან და იცვლებიან, მშობლები კი სტატიკურ მდგომარეობას ინარჩუნებენ და მათ შორის შეხების წერტილები თანდათანობით ერთმანეთს სცილდება. მშობლები უკვე მათთვის აღარ არიან ავტორიტეტები. მშობლის ავტორიტეტს კი გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს აღზრდაში. რასაც ბავშვს უწუნებს მშობელი, ის წუნი თავად არ უნდა ჰქონდეს და იმ დარიგებებს დამრიგებლის ქცევაში უნდა ხედავდეს, რომ სარწმუნოდ მიიღოს. მოზარდი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ პრობლემის დროს მშობლისაგან მიიღებს გაგებასა და თანადგომას, რომ ოჯახი ის ადგილია, სადაც ელოდებიან, უფროხილდებიან, მასზე ფიქრობენ და მის ბედნიერ და ღირსეულ მომავალზე ზრუნავენ.

ამრიგად, ოჯახურ აღზრდაში ყველაზე ეფექტური მეთოდებია: მშობლების პირადი მაგალითი, შვილებისათვის მნიშვნელოვანი დროის დათმობა, მათი აზრებისა და სურვილების გაგება, კანონიერი მოთხოვნების დაკმაყოფილება, ეთიკური საუბრები, მეგობრობა, თანაგრძნობა, თანადგომა და ა.შ. იმის გაცნობიერება, რომ მშობლებს შვილების აღზრდაზე უფრო დიდი საქმე არ ავალიათ. არ შეიძლება

ბავშვის აღზრდის დროს ვხელმძღვანელობდეთ დოგმებით, სქემებით, ყველასათვის ერთნაირად მისაღები ნორმებით. უნდა გვახსოვდეს, რამდენი ბავშვიცაა ოჯახში, იმდენი ინდივიდიუმიცაა, იმდენი ხასიათია და იმდენი განსხვავებული მიდგომაა საჭირო.

ბიბლიოგრაფია:

ნადირაშვილი, შ. (2000). *სკოლაში სააღმზრდელო მუშაობის აქტიური პრობლემები*. თბილისი: პირველი სტამბა.
ნარგიზიშვილი, ა. (2008). *საოჯახო პედაგოგია*. თბილისი.
სუხომლინსკი, ვ. (1980). *გულს ვუძღვნი ბავშვებს*. თბილისი: განათლება.
ხუხუა, გ. (2009). *პედაგოგია*. თბილისი.
, . . . (1999).

Tsiuri Bakradze
Gori State Teaching University
PARENT’S MISSION IN CHILD’S UPBRINGING
RESUME

In the family the child could be shaped not only physically but also mentally and morally.

The most effective methods of upbringing in the family are: personal example of parents, to share considerable amount of time with children, to understand their thoughts and desires, to satisfy the legal requirement, ethical conversations, sympathize, support etc...

Parents should also be aware that there is nothing important than the upbringing of their children. And as well a teacher is the most competent and loyal ally in this cast.

Keywords: Family, Child, Environment, School, Education.

მაია ბოლაშვილი, მაია მელანაშვილი
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

სემიოტიკაზე დაფუძნებული მიდგომა, როგორც ენის სწავლების ვერბალურ და არავერბალურ ასპექტთა ეფექტური საშუალება

საკვანძო სიტყვები: ლინგვისტური, კონტექსტი, ნიშანთა ენა, მართლწერა, პუნქტუაცია.

სემიოტიკა ნიშნების, სიმბოლოების ქცევის და საკომუნიკაციო სისტემათა მეცნიერებაა. სემიოტიკის პერსპექტივის კვლევას ბევრი ნაშრომი მიეძღვნა, მაგრამ ძალზე მცირე რამ არის განხილული სემიოტიკის განათლების სისტემაში გამოყენების შესახებ. ამ ტიპის მოხსენებები ხელს შეუწყობს კვლევის ახალი სფეროს - საგანმანათლებლო სემიოტიკის გამოქვეყნება-არსებობას.

ჩომსკი განიხილავს ლინგვისტურ და არალინგვისტურ ასპექტებს შორის კავშირს ჩვეულებრივ ყოფით ცხოვრებაში. ის აქცენტს ენის შესწავლის/ მონაპოვრის თვითმიების პროცესზე აკეთებს, იმის ცოდნაზე, თუ როგორ ფუნქციონირებს ადამიანის გონების მექანიზმი. ის გულმოდგინედ ავითარებს აზრს, რომ „ენის სწავლა სხვა არაფერია, გარდა იმისა, რომ ადამიანის გონება რას შექმნის/მოიფიქრებს,

როდესაც სათანადო პირობებში აღმოჩნდება; ისინი ნებისმიერ რაღაცაშია დაგეგმილი ფიზიკის შესწავლის მსგავსად.“ (Chomsky, 1979, p. 35)

კომუნიკაცია ორ ან მეტ ადამიანს შორის აზრების გაცვლა-გაზიარებაა. კომუნიკაციის ყოველგვარი ფორმა შესაძლოა ვერბალურ და არავერბალურ კატეგორიად გაიყოს. კომუნიკაციის უმეტესობა, რომელიც ადამიანთა შორის ხორციელდება, ვერბალურია. ვერბალური კომუნიკაცია ორ ან მეტ ინდივიდს შორის საუბარია, სადაც ისინი სამეტყველო ორგანოებს იყენებენ აზრის გადმოსაცემად. არავერბალური კომუნიკაცია ეს არის ინდივიდებს შორის უსიტყვო ცნობის/მესიჯების გაგზავნის პროცესი. ასეთი ცნობები/მესიჯები შესაძლოა განხორციელდეს ქესტიკულაციის, სხეულის ენის, სახის გამომეტყველების, თვალთ კონტაქტის და ნიშნების საშუალებით.

მრავალი წინააღმდეგობა წარმოიშვა ენის, როგორც საკომუნიკაციო საშუალების საფუძვლიანობის თაობაზე. ადამიანები სხვა არსებებისგან სწორედ იმით განსხვავდებიან, რომ საკომუნიკაციოდ ენას იყენებენ. ფრომკინი და სხვები (Fromkin, Rodman, Hyams, Collins, Mengistu, & Harvey, 2009, p. 23) გვარწმუნებს, რომ: „ადამიანები ვიყენებთ სამეტყველო ბგერებს ერთმანეთთან კომუნიკაციის დასამყარებლად და მნიშვნელობების გამოსახატავად, მაგრამ სულაც არ არის საჭირო, რომ ასეთი ბგერები ენის ასპექტს წარმოადგენდეს, რაც ცხადად ჩანს ნიშნების ენის საშუალებით“.

ბევრი მკვლევრის აზრით, ცხოველები, ფრინველები, ჩიტები და მწერები მაიმუნების მსგავსად, დელფინები და ფუტკრები კომუნიკაციას ენის გარეშეც ამყარებენ. „ჩიტების ჭიკჭიკი, დელფინების წრუწუნები და ფუტკრების ცეკვა შესაძლოა პოტენციურადაც წარმოადგენდეს ადამიანთა ენის მსგავს სისტემას. ცხოველების საკომუნიკაციო სისტემა თუ ადამიანების ენას არა ჰგავს, ეს მეტყველების ნაკლებობას სულაც არ გულისხმობს“ (Fromkin, Rodman, Hyams, Collins, Mengistu, & Harvey, 2009, p. 23)

იმისათვის, რომ კომუნიკაცია დამყარდეს, ადამიანებს კომუნიკაბელურობის კომპეტენცია უნდა გააჩნდეთ. კ. ჯონსონი და ჰ. ჯონსონი საკომუნიკაციო კომპეტენციის ოთხ ძირითად კომპონენტზე საუბრობენ:

„გრამატიკული კომპეტენცია, სოციოლინგვისტური კომპეტენცია, საუბრის კომპეტენცია და სტრატეგიული კომპეტენცია. გრამატიკული კომპეტენცია მოიცავს ლექსიკას, სიტყვათა და წინადადებების ფორმირებას, ლინგვისტიკას, სემანტიკას, წარმოთქმას და მართლწერას. სოციოლინგვისტურ კომპეტენციაში შედის მნიშვნელობებისა და გრამატიკული ფორმების შესაბამისობის წესები სხვადასხვა სოციოლინგვისტურ კონტექსტში. საუბრის კომპეტენცია ითვალისწინებს ცოდნას, რომელიც საჭიროა ფორმებისა და მნიშვნელობების გასაერთიანებლად, რომელიც აუცილებელია გამართული სასაუბრო და წერილობითი ტექსტის მისაღებად“ (Johnson & Johnson, 1999, pp. 62-65)

ალ-მუტავა და კაილანი (Al-Mutawa & Kailanin, 1994, p. 30) ყურადღებას სასაუბრო სტრატეგიის შემდეგ ასპექტებზე ამახვილებენ:

ა. გადაბმა: წინადადებებს შორის ლექსიკურ და გრამატიკულ მნიშვნელობათა საშუალებით კავშირის დამყარება;

ბ. თანმიმდევრულობა: ეს არის საშუალება, რომელშიც სტრუქტურა/წინადადების წყობა ტექსტებში შექმნილია როგორც სამეტყველო აქტების თანმიმდევრული ლოგიკა;

გ. გამბიტები/დასაწყისი ფრაზები: სიტყვები და გამოთქმები, რომლებიც საუბრის დარეგულირებაში გვეხმარება, მაგ: კარგი, ახლა, ოჰ, დიახ, და სხვ;

დ. რიგის მონაცვლეობა საუბრებსა და დიალოგებში, ეს ნიშნავს ერთი მოსაუბრიდან მეორეზე როლების გაცვლის პროცესს;

ისინი ასევე ამტკიცებენ, რომ:

„სტრატეგიული კომპეტენცია არის მოსაუბრის უნარი სტრატეგიების საშუალებით გადაჭრას კომუნიკაციის პრობლემა. ტერმინი ასევე მოიცავს პრობლემის გადაწყვეტის საშუალებებს, რომლებიც ეხმარება ენის შესწავლის მსურველებს მეტყველების პროცესში გამოცდილების გამომუშავებასა და მის მიღებასთან დაკავშირებული სირთულეების დაძლევაში“ (Al-Mutawa & Kailanin, 1994, p. 30).

სოსიური (Saussure, 1913, pp. 42-45) ენას მიიჩნევს, როგორც ორი ფუნდამენტური განზომილების ფენომენს. ესენია: ენა (Langue) და მეტყველება (Parole). ენას (Langue) და მეტყველებას (Parole) შორის არსებული განსხვავება მიუთითებს აბსტრაქტულ ენობრივ სისტემაზე, რომელსაც ენა ეწოდება და ინდივიდის მიერ წარმოთქმულ სიტყვებზე, რომელსაც ენაზე მოსაუბრე ქმნის და მეტყველება ეწოდება. მეტყველება განმარტებულია, როგორც ადამიანების ნათქვამი. სოსიური ლაპარაკს არ განიხილავს როგორც სოციალურ ფაქტს, მიუხედავად იმისა, რომ ის ცნობიერების დონეზე ხორციელდება და მთლიანად ინდივიდისგან მომდინარეობს. სოციალური ფაქტი მთლიანად საზოგადოების მიერ უნდა იქნეს ათვისებული-გამოყენებული. სოსიური (Saussure, 1913, p. 43) ამტკიცებს, რომ ენა ეს არის ორივე - მეტყველების უნარის სოციალური პროდუქცია და ასევე იმ საჭირო შეთანხმებათა ნაკრებიც, რომელიც

მიღებულ იქნა სოციუმის მიერ, რათა ინდივიდებისთვის უფლება მიეცათ დაუფლებოდნენ ამ უნარს. ენა იმ ჩვევების ნაკრებია, რომელიც ჩვენს ენაზე მეტყველმა საზოგადოებამ შეგვასწავლა.

ენას, როგორც კომუნიკაციის საშუალებას, ცოდნა და იდეები ერთი ინდივიდიდან მეორეზე გადააქვს. ჩვენი კომუნიკაციების უმეტესობა არავერბალური ფორმისაა, რომელიც ნიშნების ენის ან სხვა მსგავსი ალტერნატიული საშუალებების დახმარებით ვერბალურ ენად გადაიქცევა. ფილოსოფიაში „ნიშანი“ ითვალისწინებს ისეთ ცნებებს, როგორცაა სიმბოლოები, სიმპტომები და სიგნალები. ის სრულ ინკლუზიურ გრძობაში გამოიყენება მაშინ, როდესაც სემიოტიკა როგორც ნიშნების მეცნიერება ისეა მიღებული. (Crystal, 1992, p. 316)

ნიშნების ენის შინაარსი განმარტებულია როგორც ჟესტიკულაციათა ნაკრები, რომელიც რეალური ენის მაგივრად გამოიყენება. იული (Yule, 2001, p. 16) შენიშნავს, რომ „ნიშნების ენა, ეს არის ჟესტიკულაციის სისტემა, რომელსაც მოლაპარაკე ავითარებს შეზღუდული კომუნიკაციის პირობებსა და სპეციფიკურ კონტექსტში, სადაც მეტყველების გამოყენება შეუძლებელი ხდება“.

სოსიურმა (1857-1913) ტერმინი ლინგვისტური ნიშნები პირველმა შემოიტანა. ის თავის ნაშრომში „ზოგადი ლინგვისტიკის კურსი“ („Course de Linguistique General“) (პარიზი, 1913; ინგლისურად თარგმნა ბასკინმა, როგორც „Course in General Linguistics“, ნიუ იორკი, 1959) (ციტირებულია კრისტალთან, 1992, გვ. 307), წერს, რომ ენის ცნება, როგორც ორმხრივი სისტემა, განისაზღვრება როგორც ორგანიზმები, რომლებიც ძირითად გავლენას ახდენენ ლინგვისტიკის სოციალურ სკოლებზე, ისეთებზე, როგორებიცაა პრადის სკოლა, ჟენევის სკოლა და ლექსიკონების შედგენა. ის ენას განმარტავს, როგორც „ნიშანთა სისტემას, რომელიც აზრებს გამოხატავს“. (Hawkes, 2004, p. 13) ლინგვისტურ ნიშანს შესაძლებელია, საქმე ჰქონდეს კონცეპტსა და წარმოთქმის იმიჯს შორის არსებულ ურთიერთობასთან. სოსიური „კონცეპტს“ „წარმოთქმის იმიჯთან“ აერთიანებს ანუ აღმნიშვნელს აღსანიშნთან, რომელთაც ნიშნის ორ მხარედ მიიჩნევენ.

აღმნიშვნელი ნიშნის მატარებელია, ხოლო აღსანიშნი - მნიშვნელობის. აღმნიშვნელი ნიშნის ის ფორმაა, რომელსაც ნიშანი გამოხატავს, მაშინ როცა აღსანიშნი შინაარსია (იმიჯი), რომელსაც ნიშანი იღებს. სოსიური მიიჩნევს, რომ სიტყვები ნიშნებია, რომელთაც ორი მხარე გააჩნიათ: ნიშანი, რომელსაც ის სიგნიფიკანტს უწოდებს ანუ აღსანიშნი და კონცეპტი/შინაარსი, რომელსაც ის აღმნიშვნელს უწოდებს. ნიშანი არ წარმოადგენს საგნისა და სახელის მკავშირებელს, ის კავშირს ამყარებს კონცეპტსა და ბგერის/წარმოთქმის მოდელს შორის. როცა თქვენ ფიქრობთ ხეზე, ხე, როგორც საგანი არის აღსანიშნი და მისი წერილობითი ფორმა არის აღმნიშვნელი, რომელიც წარმოადგენს ჩვენი გონებისთვის კულტურულად კოდირებულ ხეს. (Sert, 2006, p. 107) ჰოკისი (Hawkes, 2004, p. 73) შენიშნავს აღსანიშნსა და აღმნიშვნელს შორის არსებულ თვითნებურ ურთიერთობას, რომელიც ენას კონსერვატიულ ხასიათს სძენს. ის ასევე იმ სისტემის „სტრუქტურულ“ ხასიათს ემსახურება, სადაც თვითონ არის.

ეკო (Eco, 1974, 27-28) თვლის, რომ ნიშანი „ყველაფერია, რომელიც შესაძლებელია, რომ ყველაფერ სხვასაც აღნიშნავდეს“. პირსის (Pierce, 1977, p. 72) აზრით, „ნიშანი არის ის, რომელიც აღნიშნავს ვინმეს რაიმისათვის ზოგიერთ ასპექტში“. ის ასევე დასძენს, რომ ნიშნები სამ ტიპად იყოფიან: ხატები, ინდექსები და სიმბოლოები. ხატები ის ნიშნებია, რომლებიც იმ საგნებს უკავშირდება ან მათი მსგავსია, რომელთაც ისინი გამოხატავენ ფიზიკური მსგავსების საფუძველზე. ინდექსები ის ნიშნებია, რომლებიც ფიზიკურად იმ საგნებს უკავშირდება, რომლებსაც ისინი აღნიშნავენ, რადგან ისინი იმ მოვლენის ან საგნის ნაწილია, რომელსაც წარმოადგენენ. მაგ; ბოლი ცეცხლის არსებობაზე მიგვანიშნებს, რადგან ეს ორივე ერთი და იმავე ფენომენის ნაწილია. სიმბოლოები ის ნიშნებია, რომლებიც თავიანთ საგნებთან თვითნებურად არიან დაკავშირებულნი. მაგ; სიტყვა „მალღი“ ნიშნავს ცხოველს. ჰოკისი (Hawkes, 2004, p. 105) ამტკიცებს, რომ რომ დიაგრამას ან ნახატს ხატისმიერი კავშირი აქვს თავის საგანთან, რასაც მათთან მსგავსების საფუძველი განაპირობებს. ის არის თავისი საგნის აღმნიშვნელი, რომელიც აღნიშნულია ხატის საშუალებით. ინდექსი თავის რეფერენტთან ასოცირდება. ის მიჩნეულია ისეთ ნიშნად, რომელსაც საგანთან გააჩნია შეხება. მასზე თავისი საგანი ახდენს გავლენას და ამ საგნის მსგავსი თვისებები გააჩნია. ინდექსში კავშირი კონკრეტული, აქტუალური და ჩვეულებრივია და თანმიმდევრული, დროებითი ხასიათი აქვს. გაშვებული თითი აღმნიშვნელია, რომლის კავშირიც თავის აღსანიშნთან ინდექსურია. კარზე დაკაკუნება არის ვინმეს არსებობის მაჩვენებელი და მანქანის სიგნალი არის იმავე ხასიათის მანქანის არსებობის ნიშანი.

სიტყვა სიმბოლო გამოიყენებულია ლინგვისტური ნიშნის აღსანიშნად ანუ იმის, რასაც აღმნიშვნელი ეწოდება. ხატისა და ინდექსისგან განსხვავებით, პირსი სიმბოლოს ჩვეულებრივობად მიიჩნევს. ხატები და ინდექსები სტანდარტული არ არის. სიმბოლოში აღსანიშნსა და აღმნიშვნელს შორის კავშირი პირობითია.

მნიშვნელობის მქონე კავშირის არსებობა ინტერპრეტატორის აქტიურობას მოითხოვს. სიმბოლოს თავის რეფერენტთან თვითნებური კავშირი აქვს. სიტყვა ან იმიჯი სიმბოლურია, როცა ის მნიშვნელობაზე უფრო მეტს გულისხმობს. მას უფრო ფართო არაცნობიერი ასპექტი გააჩნია. სერტი (Sert, 2006, p. 110) აღნიშნავს:

„სიმბოლო, ის საშუალებაა, სადაც აღმნიშვნელი აღსანიშნს არ ჰგავს, მაგრამ მთლიანად პირობითი ანუ თვითნებურია, ასე რომ მათ შორის კავშირი შესწავლილი უნდა იქნეს. (ციფრები, ეროვნული დროშები, განსაკუთრებული ენები, მორზეს ანბანი და სხვ.). ხატი, ეს ისეთი რამაა, სადაც აღმნიშვნელი როგორც აღსანიშნის მსგავსი ან იმიტირებული, ისე აღიქმება (კარიკატურა, პორტრეტი, იმიტირება, შესტიკულაცია და სხვ.“

ჩენდლერი (Chandler, 2007, p. 110) საწინააღმდეგო აზრს ავითარებს და ამბობს, რომ: „ინდექსი ის საშუალებაა, რომელშიც აღმნიშვნელი პირობითი კი არ არის, არამედ პორდაპირაა დაკავშირებული აღსანიშნთან, როგორც ეს ცეცხლისა და ბოლის მაგალითზეა ნაჩვენები“.

მაკ ნეილი (Mc Nail, 1974, p. 4). შესტიკულაცია ადამიანების სხეულის მოძრაობაა, რომელიც არა ვერბალური კომუნიკაციის ერთ-ერთ სახეობადაა მიჩნეული. დავანინზადი (2009) ამტკიცებს, რომ:

„ერთ-ერთი ყველაზე ხშირი დაკვირვების საგანი, თუმცა ყველაზე ნაკლებად გასაგები კლიმე, ხელის მოძრაობაა. ადამიანთა უმეტესობა ხელის მოძრაობებს საუბრის დროს ინტენსიურად იყენებს. მათ შეუძლიათ გამოხატონ გარკვეული მნიშვნელობები, გრძნობები ან განზრახვები; მაშინ, როცა ზოგიერთი შესტი (მაგ; შეკრული მუშტი) უნივერსალური მნიშვნელობების მატარებელია სხვებისგან განსხვავებით“.

ოკ-ის შესტიკულაციას სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს სხვადასხვა კულტურებსა და საზოგადოებებში. საჩვენებელი თითის ცერზე დადება ამერიკაში ყველაფერ კარგს ნიშნავს, საფრანგეთში კი შეურაცხყოფელია. სახის გამომეტყველებები მოსაუბრის დამოკიდებულებას ამჟღავნებენ. მაგალითად, ღიმილი შესაძლოა რომელიმე ინდივიდის თანხმობის ნიშანი იყოს, მაშინ, როცა აწეული წარბი არ დათანხმებას ნიშნავს.

თუმცა სხეულის ბევრი შესტი და ვერბალური არალინგვისტური ქმედებები, ვიდრე დანარჩენი ვერბალური ლინგვისტური გამოხატულებები კულტურაზეა ორიენტირებული და შესაძლოა, რომ რომელიმე ლოკალურ დიალექტზე რაღაცას ნიშნავდეს, სხვაზე - არაფერს და კიდევ სხვაზე - სულ სხვა რამეს. ისეთი მოძრავი შესტები, როგორიცაა თავის გვერდზე გადახრა ან მისი ზევით აწევა, მხრების აჩრვება ან თავის დაკვრა, უფრო მეტად კულტურებთანაა დაკავშირებული, ვიდრე ვერბალურ შესტიკულაციასთან. თავის გვერდზე გადახრა შესაძლოა იორდანიაში უარს ნიშნავდეს ან „სხვა გზა არ არის“, მაშინ როცა იგივე არავერბალური ქმედება სადმე სხვა არაბულ სამყაროში, შესაძლებელია, რომ პირიქით, დათანხმებასაც ნიშნავს. ასევეა თავის ზემოთ აწევის შემთხვევაშიც განსხვავებული კულტურის მქონე ქვეყნებში.

ეს ეხება უმეტესად ვერბალურ არალინგვისტურ ქმედებებს და არა ვერბალურ ლინგვისტურ გამოხატულებებს, მსგავსად / i' /, / : / და / ju: / არაბულ სამყაროში და მსგავსად / pu: / ინგლისში შესაძლოა სხვანაირი სასიგნალო დამოკიდებულება იყოს სხვადასხვა ადგილას და დიალექტზე. i' / ერაცის არაბულ დიალექტზე წარმოადგენს ბგერას, რომელიც უარის თქმას და არ დათანხმებას ნიშნავს, რომელიც ზედმიწევნით ნიშანდობლივია ერაცის საკომუნიკაციო კონვენციისათვის. თუმცა, „გრძელი / : /“ წარმოადგენს ბგერას, რომელიც ხაზს უსვამს თხოვნას ან ბრძანებას სიჩუმის დასაცავად და ამ ბგერის შეწყვილება აბსოლუტურად მისაღებია ტურქებთან მიტანილ საჩვენებელ თითთან. ამ ბგერითი შესტიკულაციის ქმედება შესაძლოა განვიხილოთ როგორც უნიკალური მოვლენა. იორდანიულში / ju:h / მოწყენილობის მესიჯს აღნიშნავს. სადმე სხვაგან მას შესაძლოა სხვა მნიშვნელობაც გააჩნდეს. ფაქტობრივად, ამ საკითხის ფართო კვლევა აბსოლუტურად მისაღებია. ასეთ შესტიკულაციებს ანუ ვერბალურ არალინგვისტურ ქმედებებს, შესაძლოა საქმე ჰქონდეთ ხატების ნიშანთა სისტემის, ინდექსებისა და სიმბოლოების კონტექსტებთან. ისინი წარმოადგენენ კულტუროლოგიურ კონვენციაზე ორიენტირებულ ნიშნებს, რომელთაც სხვა ადგილებზე და კულტურებში, შესაძლებელია, რომ სულ სხვანაირი - კონფლიქტის გამომხატველი ინტერპრეტაციაც გააჩნდეთ.

ცხადია, რომ გზავნილის გაგება, იქნება ეს ვერბალური თუ არა ვერბალური, ინტრალინგვისტურ და ექსტრალინგვისტურ ფაქტორებს მოიცავს (Robins, 1989, p. 28). ზოგიერთი მნიშვნელობა შესაძლოა გაგებულ იქნეს რაიმე ექსტრალინგვისტური კონტექსტის გარეშე, მაგ; ყველა წითელი ნიშანი არის გამაფრთხილებელი. იმისათვის, რომ სწორად გავიგოთ თხოვნა „გეთაყვა, ფანჯარა მიხურე“, ზრდილობიანი თხოვნა „წინააღმდეგი ხომ არ იქნებით, ფანჯარა რომ მივხურო? ან უხეში ბრძანება „დახურე ფანჯარა“, საჭიროა შესაბამისი პერსონალური სოციალური ურთიერთობების, სოციალური შეთანხმებებისა და ა.შ. ცოდნა და მათ სწორად გამოყენებაში გარკვევა. მოკლედ, სოსიურის უნებლიე კავშირი აღმნიშვნელსა და აღსანიშნს შორის, ხშირად განისაზღვრება რამდენიმე ექსტრალინგვისტური ვარაუდით განსაკუთრებით წინადადების და არა მარტო სიტყვის კვლევის დონეზე.

საბოლოოდ, სოციო ლინგვისტიკა სემიოტიკის დარგს განეკუთვნება. ის მოიცავს ნიშანთა გამოყენებას ადამიანთა ჯგუფების ცხოვრებისთვის. საზოგადოებები ერთმანეთისგან განსხვავდებიან ნიშნების ცნებებით. ერთი საზოგადოების მიერ გამოყენებული მესიჯი, სხვის მიერ შესაძლოა სრულიად სხვანაირად იქნას გაგებული. მაგალითად, წითელი ფერი იორდანიაში საფრთხისა და აკრძალვის მიმანიშნებელია, მაშინ, როცა ინდოეთში მას ხალხისთვის ცხოვრების დატვირთვა გააჩნია. ლემკი (Lemke, 1990, p. 186) ამტკიცებს, რომ სოციო ლინგვისტიკა არის თეორია იმის შესახებ, თუ ადამიანები როგორ ქმნიან მნიშვნელობებს სოციალურ კონტექსტში.

ჩომსკის მოხსენების მიუხედავად, რომელიც მან ამერიკის შეერთებული შტატების ჩრდილო-აღმოსავლეთის უნივერსიტეტში გამართულ ენის სწავლებისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე გააკეთა, სადაც ამტკიცებს, რომ ლინგვისტიკას ენის სწავლებასთან არანაირი პირადაპირი კავშირი არ გააჩნია, ფაქტია, რომ ამ ორ დისციპლინას ერთმანეთთან მჭიდრო კავშირი აქვთ და ურთიერთდაკავშირებულნი არიან. ჩომსკი (Chomsky, 1979, p. 34) აღნიშნავს: „მე გულწრფელად ვეწინააღმდეგები და სკეპტიკურად ვარ განწყობილი იმ მიდგომისადმი, რომელიც ენის სწავლების პროცესში ლინგვისტიკისა და ფსიქოლოგიის გათვალისწინებასა და მათ მნიშვნელობას ეხება.“

სემიოტიკა, როგორც ნიშანთა შესწავლისა და კვლევის მეცნიერება, ლინგვისტიკისა და განათლების სფეროში მოღვაწე ადამიანების ინტერესის საგანია. ამ ბოლო ხანს განათლებისადმი სემიოტიკური კუთხით მიდგომამ მნიშვნელოვანი ინტერესი შეიძინა და ახალ სფეროდ ყალიბდება, რომელსაც საგანმანათლებლო სემიოტიკა ეწოდება. სთეიბლისი და გაუ (Stables & Gough, 2006, p. 54) ამტკიცებენ, რომ:

„მნიშვნელოვანია აღინიშნოს ის გარემოება, რომ აქ განხილული სემიოტიკის პერსპექტივები საგანმანათლებლო თეორიის მხოლოდ უბრალო განაცხადს არ წარმოადგენს, რომელ სამუშაოსაც სემიოტიკის სპეციალისტები რეგულარულად ასრულებენ. ის არის სწავლის თეორია და არჩევანი, რომელიც სემიოტიკის კუთხიდან დანახულ ცხოვრებაზეა დაფუძნებული“.

ერთონი (Erton, 2006, p. 75) საგანმანათლებლო სემიოტიკის მნიშვნელობაში გვარწმუნებს:

„სემიოტიკა მეცნიერების ძალიან გავლენიანი და საჭირო სფეროა, რადგან ნიშნების საშუალებით მოსწავლეებს უამრავი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ ისეთ სხვადასხვა დარგებში, როგორცაა ლიტერატურა, ხელოვნება, არქიტექტურა, ფსიქოლოგია, ანთროპოლოგია, ფილოსოფია და სხვ.“

ეს უცხო ენის სწავლებისა და სამიზნე კულტურის მნიშვნელობას მიეწერება. განათლებაში სემიოტიკურ ნიშანთა გამოყენება გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ კულტურა და საზოგადოება სასწავლო გარემოს ჩამოყალიბება-განსაზღვრავს მნიშვნელოვან როლს თამაშობენ. კულტურა სოციალურ ნიშნებთან და სოციალურ კოდებთან ინტეგრირდება. ნიშნებს სხვადასხვა კულტურულ კონტექსტებში განსხვავებული მნიშვნელობები გააჩნიათ. ლემკი (Lemke, 1990, p. 186) შენიშნავს, რომ „სოციალური სემიოტიკა არის თეორია იმის შესახებ თუ ადამიანებმა სოციალურ კონტექსტებში მნიშვნელობები როგორ უნდა შექმნან“. ამის თანახმად, უცხო ენის შესწავლაც უცხოური კულტურის პროდუქციადაა მიჩნეული. ინგლისური ენის გაკვეთილზე მასწავლებელს შეუძლია იმ იმიტირებული ქესტიკულაციის, სურათების და თვალსაჩინო მასალების გამოყენება, რომლებიც სამიზნე კულტურასთან ასოცირდება და უცხო ენის ნაწილია.

ეს მოსწავლეებს საკუთარი და სამიზნე კულტურათა შორის ანალოგიის დანახვასა და უცხო ენის შესწავლაში დაეხმარება, რადგან ის ენის შესწავლის რთულ ასპექტებს აშუქებს.

საგანმანათლებლო სემიოტიკის ერთ-ერთი მიზანი ის არის, რომ მასწავლებელმა ეს ნიშნები უნდა იცოდეს და სასწავლო ატმოსფეროს შესაქმნელად მასალები და ტექნიკა განავითაროს.

მასწავლებელმა სასწავლო მასალა თვალსაჩინო უნდა გახადოს საგანმანათლებლო სემიოტიკის პრინციპების მიხედვით და ასევე ნიშნებთან მიმართების კუთხითაც. შედეგები აუცილებლად დადებითი იქნება და მათ ეფექტური სწავლისკენაც წარუძღვება. საკლასო ოთახში ნიშნების გამოყენება მოსწავლეებს ბევრ ინფორმაციას მისცემს სხვადასხვა სფეროში. ისეთი სემიოტიკური ელემენტების (თვალსაჩინო მასალის) გამოყენება, როგორცაა ფლემ ქარდები და კედლის სურათები, სტუდენტებს სიტყვების მნიშვნელობების თავიანთ გონებაში კონტექსტუალიზაციაში ეხმარება და სწავლის პროცესს ინფორმაციის ხანგრძლივი დროით დამახსოვრებით აადვილებს. სახის გამომეტყველებები მასწავლებლის დამოკიდებულებას ააშკარავენ, რომელიც შესაძლოა სწავლებაში ასევე ეფექტურად იქნეს გამოყენებული. მაგალითად, ღიმილი შეიძლება მივიჩნიოთ, როგორც თანხმობა მასწავლებლის მიერ დასმულ შეკითხვაზე მოსწავლის სწორად გაცემულ პასუხზე ან შესაძლებელია ის გამოვიყენოთ როგორც სტიმული ან ჯილდო. აწეული წარბი დაუთანხმებლობას ნიშნავს და მოსწავლეს გადაკვრით მიანიშნებს, რომ შეცვალოს ან გადააკეთოს თავისი პასუხი, როგორც ეს ზემოთ გვქონდა აღნიშნული.

სემიოტიკური მიდგომა ასევე გავლენას ახდენს კურიკულუმზეც. წიგნები, ფლემ ქარდები და კედლის სურათები უნდა შეიცავდეს სიმბოლოთა მთელ ნაკრებს, რომლებიც დომინანტურად გამოსაყენებელი იქნება ეფექტურ სწავლაში. ერტონი (Erton, 2006, p. 85) ამტკიცებს, რომ:

„კასეტის ნიშანი მოსმენის აქტივობის დროზე მიგვანიშნებს, ღიმილიანი სახე აქტივობის წარმატებულად შესრულების საწინდარია, ნიშნები ✓ და x სწორი/არასწორ (true/false) სავარჯიშოებს აღნიშნავენ და სახელმძღვანელოში მოცემული სხვადასხვა ფერები შესაძლებელია, რომ ენის შესწავლის სხვადასხვა ასპექტებს წარმოადგენდნენ: ლაპარაკს, კითხვას, მოსმენას და ა.შ.

პედაგოგს შეუძლია ასეთი სემიოტიკური სიმბოლოები უცხო ენის სწავლების პროცესში თავისი ტექნიკის ნაწილადაც კი გამოიყენოს, რადგან მასწავლებლისა და მოსწავლეების მიერ ნიშნებისა და სიმბოლოების გამოყენება ეფექტური და გავლენის მქონე ხერხია უცხო ენის სწავლებისას. ერტონი ამტკიცებს, რომ:

„რადგან სემიოტიკა ნიშანთა და სიმბოლოთა ერთიანობაა საკომუნიკაციო ინფორმაციის მისაღებად, მოსწავლესაც და მასწავლებელსაც შეუძლია უამრავი ტიპის ნიშნების გამოყენება, რომელთაგანაც ზოგი ხატისმიერია და ზოგიც სიმბოლური. მაშასადამე, შეიძლება ითქვას, რომ სემიოტიკა ფუნდამენტურ საკითხს წარმოადგენს, რომელიც ენის სწავლების პროცესში აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული“. (Erton, 2006, p. 74)

სემიოტიკა ასევე შესაძლებელია, გამოვიყენოთ ახალი ლექსიკის მარტივად სწავლებისათვის. პედაგოგს შეუძლია ისეთი საგანმანათლებლო ნიშანი, როგორცაა „მოწევა აკრძალულია“, აქციოს წინადადებად ან ფრაზად ისე, რომ მოსწავლემ ის ადვილად გაიმეოროს და დაიმახსოვროს. სერტი (Sert, 2006, p. 109) ამტკიცებს, რომ „ახალი სიტყვების სწავლების დროს, როდესაც ახალი ლექსიკა შესაბამისი სურათებითაა გამყარებული, შედეგად აუცილებლად მივიღებთ მათ კარგად დამახსოვრებას“. ამჟამინდელი სახელმძღვანელოები, რომლებიც ფერადი სურათებითა და მასალითაა გაფორმებული, სასიამოვნო სასწავლო გარემოს და რეალური ცხოვრების მსგავსი სიტუაციის შექმნის მიზანს ემსახურება.

ვილისი (Willis, 1981, p. 109) კვლევას ორ ჯგუფად წარმართავს: ექსპერიმენტული ჯგუფი და ტრადიციული ჯგუფი. ექსპერიმენტული ჯგუფის პედაგოგმა მოსწავლეთა ნაწერების შესაფასებლად შემდეგი სიმბოლოები გამოიყენა:

მ-მართლწერა (s-spelling)

მ/მ-მხოლობითი/მრავლობითი რიცხვი (s/p-singular/plural)

შ-შეთანხმება (ქვემდებარის შეთანხმება შემასმენელთან) (c-concord, subject-verb)

ს.წ.-სიტყვათა წყობა (w.o.-word order)

პ-პუნქტუაცია (p-punctuation)

დ-დრო და ა. შ.(t-tense, etc)

ტრადიციული ჯგუფის მასწავლებელმა კი სტუდენტების შესაფასებლად გრძელი წინადადებები გამოიყენა. კვლევამ დაადასტურა, რომ ექსპერიმენტული ჯგუფის სტუდენტთა მიერ შესრულებული დავალება უკეთესი იყო, ვიდრე ტრადიციული ჯგუფის წევრების.

ამრიგად, ენა, როგორც კომუნიკაციის საშუალება გასული საუკუნიდან დღემდე ისეთ მეცნიერთა და ლინგვისტთა კვლევის ობიექტია, როგორებიც არიან სოსიური (1913), იაკობსონი (1974), ჩომსკი (1957), კრისიტვა (1986) და სხვ. მათ ძირითად ინტერესს, სხვა საკითხებთან ერთად, ნიშნებსა და საგანს შორის კავშირი და ენობრივ გარემოში კულტურულ ელემენტთა ტრანსფერი წარმოადგენს. კომუნიკაცია ადამიანებს შორის აზრთა გაცვლას ემსახურება. კომუნიკაციის ყოველგვარი ფორმა შესაძლოა დაიყოს ვერბალურად და არავერბალურად. ვერბალური კომუნიკაცია ორ ან მეტ ინდივიდს შორის მეტყველების ორგანოების გამოყენებით, მესიჯის გაგზავნას ანუ საუბარს ნიშნავს. არავერბალური კომუნიკაცია კომუნიკაციის ისეთი ფორმაა, სადაც ადამიანები ერთმანეთს უსიტყვოდ, ჟესტებით, სხეულის ენით, სახის გამომეტყველებით და ნიშნებით ესაუბრებიან. ზოგიერთი მეცნიერი, მაგალითად, სოსიური, პირსი და რამდენიმე სხვაც აღიარებდნენ ნიშანს, როგორც კომუნიკაციის დომინანტს.

ჩვენი სტატიის მიხედვით, სემიოტიკას განათლების სფეროში დიდი წვლილი აქვს შეტანილი. იმისათვის, რომ მაქსიმალურად ეფექტური გახდეს უცხო ენის სწავლება, მასწავლებელმა მოსწავლეებს უნდა გააცნოს სემიოტიკური ნიშნები, რათა მათ გაუადვილდეთ უცხო ენის შესწავლა. სწავლების მიზნით სემიოტიკის გამოყენების მნიშვნელობა შესაძლოა განისაზღვროს იმ ფაქტით, რომ კულტურა და საზოგადოება დიდ როლს თამაშობს სასწავლო გარემოში, რასაც ამ სფეროში მოღვაწე მრავალი მეცნიერი და სწავლული აღნიშნავს.

ბიბლიოგრაფია:

- Al-Mutawa, N., & Kailanin, T. (1994). *Methods of Teaching English*. London: Longman.
- Chandler, D. (2007). *Semiotics: The Basics*. London: Routledge.
- Chomsky, N. (1979). Linguistic Theory. *Northeast Conference on Research and Language Learning*. Northeast University.
- Crystal, D. (1992). *A Dictionary of Linguistics and Phonetics*. London: Blackwell.
- Eco, U. (1976). *A Theory of Semiotics*. Oxford: Oxford University press.
- Erton, . (2006, April). Semiotic Nature of Language Teaching Methods in Foreign Language Learning and Teaching. *Journal of Language and Linguistic Studies*, 2 (1).
- Fromkin, V., Rodman, R., Hyams, N., Collins, P., Mengistu, A., & Harvey, M. (2009). *An Introduction to Language*. South Melbourne: vic.
- Hawkes, T. (2004). *Structuralism and Semiotics*. London: Routledge.
- Johnson, K., & Johnson, H. (1999). *Encyclopedic Dictionary of Applied Linguistics*. Oxford: Blackwell Publishers Ltd.
- Kristiva, J. (1986). *The Kristiva Reader*. Oxford: Basil Blackwell Ltd.
- Lemke, J. (1990). *Talking Science: Language, Learning and Values*. London: Routledge.
- Lyons, J. (2004). *Language and Linguistics. An Introduction*. London: Cambridge University Press.
- Mc Nail, R. (1974). *Foreign Language Teaching*. Oxford University Press.
- Pierce, C. S. (1977). *Semiotics and Signifies*. Bloomington I.N : Indiana University Press.
- Robins, R. H. (1989). *General Linguistics* (Fourth ed.). London: Longman.
- Saussure, F. d. (1913). *A Course in General Linguistics*. London: Fontana.
- Sert, O. (2006). *Semiotic Approach and Its Contribution to English Language Learning and Teaching*. Cambridge: Cambridge University Press.
- Stables, A., & Gough, S. (2006). Toward a Semiotic Theory of Choice and of Learning. *Educational Theory*, 56 (3), 271-285.
- Willis, E. (1981). *English as a Second Language*. London: Longman.
- Yule, G. (2001). *The Study of Language*. Cambridge: CUP.

Maia Bolashvili, Maia Melanashvili
Gori State Teaching University

THE APPROACH BASED ON SEMIOTICS AS AN EFFECTIVE WAY OF VERBAL AND NON-VERBAL ASPECTS OF LANGUAGE TEACHING RESUME

Language as the mean of communication always was and is lots of scientists and linguists' goal of research. Among them there are such great linguists as Sosiuri (1913), Jacobson (1974), Chomski (1957) and etc. These scientists and linguists discuss such important aspects of language as the existed relations between the sign system (significant) and subjects (signify). Linguistics is used for learning nonlinguistic signs, e.g. visual signs and gestures. The present study deals with understanding of main principals of semiotic and their use in the processs of language learning. We hope that our article will broad teachers' knowledge in semiotics and introduce their right using in the process of language teaching.

Keywords: Semiotics, Signs, Body language, Communication, Teaching.

სწავლების უნივერსალური დიზაინი, როგორც თანამედროვე განათლების პარადიგმა

საკვანძო სიტყვები: სწავლების უნივერსალური დიზაინი; მიზანი და პრინციპები, ფიზიკურ და სოციალურ გარემოში თანასწორობა, უნივერსალური დიზაინი და მდგრადი განვითარება.

მდგრადი განვითარება საზოგადოების განვითარების ისეთი სისტემის შექმნას გულისხმობს, რომელიც ყველა ეტაპზე განათლების, ეკონომიკური განვითარებისა და გარემოს დაცვის ინტერესების გათვალისწინებით უზრუნველყოფს ადამიანის კეთილდღეობას, ცხოვრების დონის ხარისხის ზრდას და მომავალი თაობების უფლებას ისარგებლონ შექცევადი რაოდენობრივი და ხარისხობრივი ცვლილებებისაგან მაქსიმალურად დაცული ბუნებრივი რესურსებითა და გარემოთი. ის უზრუნველყოფს საზოგადოების კეთილდღეობას მოკლე, საშუალო და, რაც მთავარია, ხანგრძლივი ვადით. მდგრადი განვითარების კონცეფცია ეფუძნება პრინციპს, რომლის თანახმად, დღევანდელი მოთხოვნილებები უნდა დაკმაყოფილდეს ისე, რომ საფრთხე არ შეექმნას მომავალ თაობებს.

მდგრადი განვითარება ადამიანის საჭიროებების დაკმაყოფილებასა და ბუნებრივი გარემოს დაცვას შორის ბალანსირებას გულისხმობს სოციალური სერგეაციის გარეშე არა მხოლოდ აწმყოში, არამედ მომავალშიც. მდგრადი განვითარების საერთო მიზნების საფუძველს ინკლუზიურობა წარმოადგენს, უფრო კონკრეტულად კი ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის. საქართველოში იდგმება მკვეთრი ნაბიჯები სასწავლო და ფიზიკური გარემოს ინკლუზიურობის უზრუნველსაყოფად, თუმცა მნიშვნელოვანი ნაბიჯებია გადასადგმელი განათლების უნივერსალური დიზაინის და მდგრადი განვითარების მისაღწევად. **სწავლების უნივერსალური დიზაინი გულისხმობს თანაბარი შესაძლებლობების შექმნას ყველა ინდივიდისთვის, მიუხედავად მათ შორის არსებული განსხვავებისა.** სწავლების უნივერსალური დიზაინის პრინციპების, რელევანტური სასწავლო მეთოდების, სასწავლო მასალისა და შეფასების სისტემის უზრუნველსაყოფად ნაშრომში განხილულია საერთაშორისო თეორიული და პრაქტიკული გამოცდილება და შესაბამისი ლიტერატურის თუ ალტერნატივების მიმოხილვა. (Meyer, Rose, & Gordon, 1990)

განათლებას სჭირდება ისეთი ინოვაცია, რომელიც ხაზს გაუსვამს მოქნილობასა და ინდივიდუალობას სწავლებისა და სწავლის გზების ხელახლა განხორციელების მიზნით. სწავლების უნივერსალური დიზაინი (UDL) არის ინოვაციების ტრანსფორმაცია განათლებაში, ხოლო UDL-ის პრინციპი დაგვეხმარება გამოვიყენოთ ის შესაძლებლობები, რომლებიც თან ახლავს შემსწავლელი სუბიექტების დიდ ცვალებადობას საგანმანათლებლო გამოწვევების გზაზე.

ახალი ტექნოლოგიები იძლევა მნიშვნელოვანი ცვლილებების განხორციელების შესაძლებლობას იმისათვის, რომ საზოგადოება გახდეს უფრო ღია და მრავალფეროვანი, დაიწყოს სწარფვა თავისუფალი და სათანადო განათლების მიღებისთვის. ტექნოლოგიური მხარდაჭერის გარეშე წარმოუდგენელია სწავლების უნივერსალური დიზაინით განხორციელება. უნივერსალური დიზაინის შესახებ მსჯელობა ამერიკაში გასული საუკუნეში დაიწყო. მკვლევრებმა ანა მაიერმა, დევიდ როზმა და საკითხით დაინტერესებულმა მათმა კოლეგებმა CAST¹-ის საშუალებით საზოგადოებას გააცნეს კონცეფცია სწავლების უნივერსალური დიზაინის შესახებ (UDL) სწავლებისა და სწავლის გასაუმჯობესებლად. მათი მიდგომის თანახმად სწავლების უნივერსალური დიზაინი - თეორია და პრაქტიკა მოიცავს: კვლევაზე დაფუძნებულ დისკუსიებს, მოსწავლეთა განსხვავებებზე კვლევის ახალ შეხედულებებს და მოსაზრებებს სასწავლო გარემოში ადამიანის ცვლილების შესახებ.

1980-იან წლებში შეიკრიბა სწავლების უნივერსალური დიზაინის კამპანიის მხარდამჭერი CAST გუნდის 40-მდე არაფორმალური თანამშრომელი, რომელთა შორის მსოფლიო დონის პედაგოგები,

¹ CAST - არაკომერციული განათლების კვლევისა და განვითარების ორგანიზაცია, რომელიც მუშაობს ყველა ინდივიდუალური სწავლის შესაძლებლობების უნარის გაფართოებაზე უნივერსალური დიზაინის სწავლის გზით და მდებარეობს ბოსტონის ჩრდილო-აღმოსავლეთით.

მეცნიერები, ინსტრუქტორები, დიზაინერები, განათლების ექსპერტები, პოლიტიკის ანალიტიკოსები, გრაფიკული დიზაინერები, პროგრამული ინჟინრები და განათლების სფეროს ადმინისტრაციული და აღმასრულებელი პერსონალი იყო. ის წარმოადგენდა პლატფორმის, როგორც სასწავლო ინსტრუმენტის შექმნის პირველ მცდელობას, რომელიც რადიკალურად განსხვავდებოდა ბეჭდვითი მედიისგან და ემსახურებოდა იდეის სხვადასხვა შესაძლებლობების მქონე პირთა განათლების შესახებ. როგორც „ციფრული ხელსაწყო“ მოქნილობით და კონტენტით ეხმარებოდა უნარშეზღუდულ მოსწავლეებს სასწავლო რესურსის გააზრებასა და შესწავლაში. თავდაპირველად, სანამ სწავლების უნივერსალური დიზაინის იდეის ირგვლივ გაერთიანდებოდნენ განათლების სპეციალისტები, ისინი იკრიბებოდნენ ბავშვთა საავადმყოფოსთან არსებულ კლინიკაში, სადაც ხორციელდებოდა მულტიდისციპლინარული გუნდის წევრების მიერ მოსწავლეთა დიაგნოსტიკა-შეფასება ბავშვების სწავლის სირთულეებთან დაკავშირებით. აღნიშნული მიდგომა სამედიცინო მოდელითაა ცნობილი და სწორედ ამ მიდგომიდან გამომდინარე, სწავლის "ზღვარზე" მყოფი მოსწავლეების სწავლების დიზაინი ფოკუსირებული იყო მათ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ მრავალფეროვან პრობლემებთან. საკითხზე მომუშავე მკვლევართა ჯგუფი არ ხელმძღვანელობდა დიაგნოსტიკური დასკვნებით, ქმნიდა გარკვეულ მიდგომებსა და დამხმარე მეთოდებს მრავლობითი პრობლემის მქონე მოსწავლეთათვის, თუმცა არაეფექტურობის გამო უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ საკუთარ რეკომენდაციებთან დაკავშირებით. მოსწავლეთა საჭიროებებზე ორიენტირებული სასწავლო რესურსების აკუმულირების, გამოცდილების გაზიარებისა და საგანმანათლებლო პლატფორმის სრულყოფის მიზნით, მკვლევართა ჯგუფის მიერ გადაწყდა სამედიცინო მოდელიდან სოციალურ მოდელზე გადასვლა. მეტი სიცხადისთვის, სამედიცინო მოდელის მიდგომის ცვლილება და ტექნიკურად მხარდაჭერი პლატფორმის შექმნა განპირობებული იყო სპეციალურად შერჩეული სუსტი მოსწავლისათვის ისეთი ინსტრუმენტების შეთავაზებით და სხვადასხვა მიდგომით უზრუნველყოფის მცდელობით, რომელიც ხელს შეუწყობდა სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მდგრადობას. აღსანიშნავია, რომ ინსტრუმენტების შექმნის ძირითად მიმართულებად, დასაწყისშივე განისაზღვრა სენსორული დარღვევების მქონე მოსწავლეთა მხარდაჭერა, თუმცა, მოგვიანებით პლატფორმა შეიცვალა, სრულყოფილი გახდა და დღეისათვის უნივერსალურ საგანმანათლებლო ჰაბს წარმოადგენს როგორც შემსწავლელებისთვის, ასევე მასწავლებლებისთვის და ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. პრობლემის ამგვარი ინსტრუმენტით მხარდაჭერის მარტივი მაგალითია ე.წ. სიტყვის პროცესორზე მართლწერის შემოწმება, რომელიც, ეფექტურია იდეების მატარებელი ისეთი მოსწავლისთვის, რომელსაც აქვს ორთოგრაფიული სირთულეები. ინსტრუმენტის გამოცდის მიზნით, პრაქტიკული სამუშაოები ჩატარდა რეალურ სასკოლო გარემოში, საკლასო ოთახებში და სასწავლო ლაბორატორიაში და აღმოჩნდა, რომ ამ კონკრეტულმა ინსტრუმენტმა შესაძლებელი გახადა, პირველ რიგში, იდეების გენერირების და წერილობით მათი გადმოცემის გზით გაზრდილიყო იმ მოსწავლეების ჩართულობა და მოტივაცია, რომლებსაც აქვთ იდეები, მაგრამ ვერ ახდენენ მათ გადმოცემას წერილობით. მხარდაჭერი ინსტრუმენტების გამოყენება შესაძლებლობას აძლევს როგორც სკოლის მოსწავლეებს, ასევე მასწავლებლებს დაძლიონ ბარიერები, რომლებიც უკავშირდება ინფორმაციის გადაცემის და უკუკავშირის ეფექტურად მიღების პროცესს, რაც ძალიან მნიშვნელოვანია სწავლების პროცესში. CAST-ის გუნდი, დაარსებიდან დღემდე, ყოველწლიურად ახალი და მნიშვნელოვანი გამოწვევების საპასუხო ნაბიჯებს დგამს და ამით ეხმარება სწავლების უნივერსალური დიზაინის შექმნას და სრულყოფას. წლების განმავლობაში ჯგუფის მიერ კვლევაზე დამყარებული შესრულებული სამუშაო საზოგადოებრივ საწყისებზე იდგა, თუმცა დროთა განმავლობაში გაჩნდნენ მუდმივი თანამშრომლები, რომლებიც ახდენენ არსებული რესურსების განვითარებას, პერმანენტულ კვლევას და ახალ საჭიროებებზე მორგებული განახლებული რესურსების პლატფორმაზე განთავსებას და აკუმულირებას. მიღწევების მიუხედავად, ამერიკის საგანმანათლებლო ორგანიზაციების მუდმივი კვლევისა და განვითარების საგანს წარმოადგენს სწავლების უნივერსალური დიზაინი¹. სტრატეგიული თანამშრომლობის მეშვეობით, CAST-ი, როგორც პლატფორმა, როგორც საგანმანათლებლო ჰაბი, წარმატებით ფუნქციონირებს სასწავლო პროგრამების განხორციელების, პროგრამების შემუშავების, სახელმწიფო და ეროვნული პოლიტიკის, პედაგოგის მომზადებისა და მხარდაჭერის და განათლების კვლევის დარგში სწავლების უნივერსალური დიზაინის პრინციპებით და ემსახურება უამრავი სხვადასხვა შესაძლებლობის მქონე ადამიანის ხარისხიან განათლებას და საზოგადოებაში მათ ინტეგრაციას. 1984 წელს ამერიკაში CAST-მა, როგორც განათლების მიღების საშუალებამ დაიმკვიდრა თავისი ადგილი. ტექნოლოგიური ცვლილებებისა და დიგიტალური უნარების განვითარების გარეშე წარმოუდგენელია CAST პლატფორმის ფუნქციონირება, გამოყენება და ხელმისაწვდომობა ყველასთვის.

¹ სწავლების უნივერსალური დიზაინი - გულისხმობს თანაბარი შესაძლებლობების შექმნას ყველა ინდივიდისთვის, მიუხედავად მათ შორის არსებული განსხვავებისა. (Meyer, Rose, & Gordon, 1990)

სწავლების უნივერსალური დიზაინის ტექნოლოგიურ დონეზე მხარდასაჭერად Apple-მა შექმნა პერსონალური მოხმარების მიზნით Macintosh-ს ტიპის პერსონალური კომპიუტერები, რითაც CAST-ის მომხმარებელს დამატებით შესთავაზა გრაფიკული ინტერფეისი, ეკრანის პარამეტრები, მულტიმედია და ქსელი. Microsoft-მა მიიღო გამოწვევა მსოფლიოს ყველა წერტილში პროგრამული უზრუნველყოფისთვის. სწორედ ამ გამოწვევის და ინიციატივის შედეგია ის, რომ ნებისმიერი პერსონალური კომპიუტერით შესაძლებელია კომუნიკაციის დამყარება და დოკუმენტების მიღება სენსორული დარღვევის მქონე პირთათვის როგორც უნივერსიტეტებში, ასევე სამთავრობო ორგანიზაციებში. ამ დიადი მიზნების განსახორციელებლად ამერიკის საზოგადოებას მასობრივი რეფორმების გატარება მოუწია, რათა შეექმნათ უფრო მეტი და მრავალფეროვანი სასწავლო რესურსი, რომელსაც განათავსებდნენ ამ პლატფორმაზე და ხელმისაწვდომი იქნებოდა ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. ეს პროცესი დაემთხვა ადამიანის თანაბარი უფლებების, განათლების უფლების აღიარებას ბარიერებისა და შეზღუდვების გარეშე, რამაც გამოიწვია განსხვავებული შესაძლებლობების მქონე პირთა სწრაფვა განათლების მიღებისკენ.

რა მდგომარეობაა ამ მხრივ საქართველოში? რა რესურსი არსებობს განსხვავებული შესაძლებლობის მქონე პირთა განათლებისთვის? მდგრადი განვითარების ტენდენციის ფონზე, დღეისათვის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები ერთ-ერთი ყველაზე გარიყული და დისკრიმინირებული ჯგუფია საქართველოში. UNICEF-ის მიერ ჩატარებული კეთილდღეობის კვლევით დასტურდება (გაეროს ბავშვთა ფონდი, 2016), რომ კეთილდღეობის მაჩვენებელი პირდაპირ უკავშირდება განათლების მიღების შესაძლებლობას. სიღარიბის მაჩვენებლის გათვალისწინებით (გაეროს ბავშვთა ფონდი, 2016) საქართველოში მცხოვრებ ბავშვთა 18% ვერ იღებს სასკოლო მომსახურებას. ამ პირობებში საუბარი უნივერსალური დიზაინის მიზნებსა და პრინციპებზე კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს. სიღარიბის ზღვარზე მყოფი ოჯახების ბავშვები სასკოლო გარემოში ყოველდღიურად განიცდიან დისკრიმინაციას და უფლებების უხემ დარღვევას. გაეროს ბავშვთა ფონდის კვლევის მიხედვით, საქართველოს მოსახლეობის 40%-ზე მეტი არასწორი ცოდნის და დისკრიმინაციული ცრურწმენების საფუძველზე არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მიმართ უარყოფითი განწყობის, სტიგმის მატარებელი. ბავშვების მიმართ არსებული სტიგმები, ნეგატიური დამოკიდებულება თუ პოზიტიური დისკრიმინაცია, ხელს უშლის ბავშვებს და ზრდასრულ ადამიანებს განვითარებასა და საზოგადოებაში ინტეგრაციაში, სისტემატურად ართმევს მათ უფლებას მიიღონ ხარისხიანი განათლება და იყვნენ თანასწორნი. სწავლების უნივერსალური დიზაინის ისეთი მიზნების მიღწევა, როგორცაა ბავშვთა თანაბარი უფლებები და შესაძლებლობები, მათი ჩართულობა და მონაწილეობა სხვადასხვა სასწავლო აქტივობებში, თვითრეალიზება და საკუთარი თავის პატივისცემა, პროფუნული პოტენციალის, სურვილებისა და მიღწევების აღიარება თუ რეალიზება, სწორედ რომ განათლების სისტემის მთავარ ღირებულებას უნდა წარმოადგენდეს.

განხილული რაოდენობრივი თუ თვისებრივი მაჩვენებლები ცხადყოფს რა შესაძლებლობები და გამოწვევები არსებობს დღეს საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში და რეალურად რა არის უნივერსალური დიზაინისა და მდგრადი განვითარების მთავარი კონცეფცია? საქართველოს განათლების სისტემა მიიღტვის ევროპული ღირებულებებისა და განათლების ხელმისაწვდომობის და ხარისხის საერთაშორისო ნორმებისკენ, თუმცა საკმაოდ დიდ ცვლილებებს ისახავს მიზნად და ხოლოდ მნიშვნელოვანი მატერიალური და ადამიანური რესურსის გამოყენებითა და ჩართულობით მიიღწევა. უნივერსალური დიზაინის შესახებ საქართველოში უკვე დაიწყო დისკუსია, თუმცა ეს ტერმინი ჯერ არ არის ზუსტი და მოიცავს პროდუქტის, ინფორმაციის და სივრცის ისეთ დაგეგმარებას, რომ მისი გამოყენება რაც შეიძლება მეტმა, სხვადასხვა ფიზიკური, კოგნიტური, სენსორულ-აღქმითი, თუ კომუნიკაციის შესაძლებლობის მქონე ადამიანმა შეძლოს. ეს განმარტება ვერ იქნება ერთადერთი და კონკრეტული, რადგან უნივერსალური დიზაინი ისევე ცვალებადია, როგორც სწრაფცვალებადი სამყარო და ადამიანთა საჭიროებები. უნივერსალური დიზაინის სახელმძღვანელო თეორიისა და პრაქტიკისთვის იძლევა UDL-ს სფეროში არსებულ და ავტორიტეტულ სასწავლო რესურსებს შორის არჩევანის გაკეთების შესაძლებლობას და აყალიბებს მომავლის ხედვას. ავტორთა ჯგუფმა (Meyer, Rose, & Gordon, 1990) შეიმუშავა უნივერსალური დიზაინის საწყისი ჩარჩო და შემდეგი წლების განმავლობაში ახდენდა მის სრულყოფას. ჩარჩოს პირველადი ვერსიის შექმნა ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რადგან ის მოიცავდა რეკომენდაციებს სწავლების უნივერსალური დიზაინის შესაბამისი რესურსის, დამატებითი რესურსის შემუშავებისა და შექმნის, მისი შემდგომში გამოყენების შესახებ. ჩარჩო, როგორც უნივერსალური დიზაინით სწავლების უნიკალური ქარგა №1 ცხრილის სახით არის წარმოდგენილი ნაშრომში და ეფუძნება უნივერსალური დიზაინის სამ ძირითად პრინციპს: მრავალი საშუალებით უზრუნველყოფით მოსწავლეთა **ჩართულობა**, მათი **ინფორმირება** და მიცვეთ საშუალება მრავალფეროვანი **გამოხატვისთვის**; ცხრილში მოკლედ მოყვანილია უზრუნველყოფის ძირითადი პარამეტრები და

ბუნებრივია, ვრცლად აღნიშნულ საკითხებზე მსჯელობისთვის მეტი ინფორმაციის დამუშავება და საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლაა საჭირო.

№ 1 ცხრილი

	უზრუნველყოს მრავალი საშუალებით მოსწავლეთა ჩართულობა	უზრუნველყოს მრავალი საშუალებით მოსწავლეთა ინფორმირება	უზრუნველყოს მრავალი საშუალებით გამოხატვა
ხელმისაწვდომობა	ინდივიდის ჩართულობის პარამეტრები: <ul style="list-style-type: none"> • ინდივიდუალური არჩევანის ოპტიმიზაცია და ავტონომია; • შესაბამისობის, ღირებულებისა და ნამდვილობის ოპტიმიზაცია; • საფრთხეებისა და დისფუნქციების მინიმიზაცია; 	აღქმის პარამეტრები; <ul style="list-style-type: none"> • ინფორმაციის ჩვენება; • აუდიტორიის ინფორმაციისთვის შეთავაზების ალტერნატივები; • ვიზუალური ინფორმაციის ალტერნატივა; 	ფიზიკური მოქმედების პარამეტრები; <ul style="list-style-type: none"> • რეაგირებისა და ნავიგაციის განსხვავებული მეთოდები; • ხელსაწყოების და დამხმარე ტექნოლოგიების ოპტიმიზაცია;
შექმნა, შემუშავება	პარამეტრები: <ul style="list-style-type: none"> • ძალისხმევა და მდგრადობა; • მიზნებისა და ამოცანების სიმძლიერე; • განსხვავებული რესურსები განსხვავებული მოთხოვნებისთვის; • საზოგადოებასთან თანამშრომლობის ხელშეწყობა; • კავშირების გაფართოება; 	ენისა და სიმბოლოების პარამეტრები; <ul style="list-style-type: none"> • განმარტება ლექსიკისა და სიმბოლოების საშუალებით; • სინტაქსის სტრუქტურის განმარტებით; • ტექსტის, მათემატიკური სიმბოლოების გაფორმებით; • სხვადასხვა მედია საშუალებით; 	გამოხატვისა და კომუნიკაციის პარამეტრები; <ul style="list-style-type: none"> • მრავალჯერადი მედია კომუნიკაციისთვის; • ინსტრუმენტები შინაარსის გაფორმებისთვის; • შედგენილებისთვის • პრაქტიკასა და შესრულებისათვის საჭირო ინსტრუმენტები
გათავისება	თვითმართვის რეგულირების პარამეტრები; <ul style="list-style-type: none"> • მოტივაციის ოპტიმიზაცია; • მოლოდინებისა და შეხედულებების გააქტიურება; • ბარიერების დაძლევის უნარ-ჩვევები; • თვითშეფასების განვითარება 	გააზრების პარამეტრები; <ul style="list-style-type: none"> • წინარე ცოდნის გააქტიურება; • ნიმუშების მომზადება; • ინფორმაციის გადამუშავება გზამკვლევის სახით მიწოდება; • ვიზუალიზაცია და განზოგადება; 	აღმასრულებელი ფუნქციების პარამეტრები; <ul style="list-style-type: none"> • გზამკვლევი მიზნის მისაღწევად; • დაგეგმვა და სტრატეგიის შემუშავება; • ინფორმაციისა და რესურსების მართვა; • მონიტორინგის პროგრესის გაზრდა;

მასწავლებელთათვის შექმნილი გზამკვლევის მიხედვით „უნივერსალური დიზაინის პრინციპების თანახმად, იმისთვის, რომ სწავლის პროცესის წარმატებით განხორციელდეს, მოსწავლისთვის ცხადად და ექსპლიციტურად უნდა იყოს მიწოდებული (კვაჭაძე, გვ. 36) შემდეგი სამი საკითხი:

1. ინფორმაციის წარდგენის მრავალფეროვანი გზა: რას ვსწავლობ? რას ვხედავ, რა მესმის, რას ვაკეთებ?
2. გამოხატვის მრავალფეროვანი გზა: როგორ ვსწავლობ, ცოდნის გადმოცემის აქტივობის და გამოხატვის რა გზებს ვიყენებ?
3. მოტივაციის (ჩართვის) მრავალფეროვანი გზა: რატომ ვსწავლობ? რა მნიშვნელობის მატარებელია ეს ცოდნა? როგორ ვიყენებ მას?

ცხადად ჩანს, უნივერსალური დიზაინის კონცეფცია, განსხვავებული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეთათვის ინფორმაციის სხვადასხვა საშუალებით, მათთვის ხელმისაწვდომი ფორმითა და მეთოდით მიწოდებას გულისხმობს იმის გათვალისწინებით, რა გზით შეიმეცნებს, რა ფორმით იღებს მოსწავლე ინფორმაციას. ინფორმაციის მიწოდებისთვის შესაძლებელია მულტიმოდალური საშუალებების გამოყენება. მასწავლებლისთვის მთავარ ამოცანას წარმოადგენს **რა ასწავლოს?** ყველა

მოსწავლისთვის განსხვავებულია ცოდნის მიღების გზა, შესაბამისად სწავლა შეუძლებელია, თუ ინფორმაცია მოსწავლისთვის გაუგებარი და რთულად გასააზრებელია. სწავლის პროცესში ინფორმაციის გაგებისა და გააზრებისთვის, დაბრკოლებების და ბარიერების შესამცირებლად, მნიშვნელოვანია ძირითადი ინფორმაცია ყველა მოსწავლისათვის თანაბრად აღქმადი იყოს: კერძოდ, იმავე ინფორმაციის მიწოდება სხვადასხვა მოდალობების მეშვეობით (მაგალითად, ხედვა, მოსმენა ან შეხება); ასევე ინფორმაციის მიწოდების ფორმატი, რომელიც საშუალებას იძლევა მომხმარებლის მიერ რეგულირებისთვის (მაგ. ტექსტის გაფართოება, ჟღერს, რომელიც შეიძლება გაძლიერდეს). ასეთი მრავალფეროვანი ფორმით ინფორმაციის მიწოდება არა მარტო უზრუნველყოფს ინფორმაციის ხელმისაწვდომობას კონკრეტული სენსორული და აღქმის, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებისთვის, არამედ უფრო ადვილად წვდომისა და გაგების შესაძლებლობას იძლევა. (კვაჭაძე, გვ. 36-44)

სხვადასხვა საშუალებით ინფორმაციის მიღება და გათავისება წარმოადგენს მოსწავლისთვის მამოტივირებელი, სტიმულის მიმცემი გარემოს შექმნას და უზრუნველყოფს სხვადასხვა შესაძლებლობის მქონე მოსწავლეთა ჩართულობას სასწავლო პროცესში. ამ ეტაპის მთავარ ამოცანას მასწავლებლისთვის წარმოადგენს ეფექტიანი კავშირების მოძებნა ინფორმაციასთან, **რატომ უნდა ასწავლოს**, რისთვის არის ინფორმაცია განკუთვნილი. შესაბამისად, თუ სასწავლო გარემოში არის ერთდროულად სენსორული, ფიზიკური ან კოგნიტური დარღვევების მქონე მოსწავლე, ინფორმაცია უნდა მიწოდებოდეთ მათთვის ხელმისაწვდომი ფორმებითა და მეთოდებით.

უნივერსალური დიზაინის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია მოსწავლეთათვის **გამოხატვისა და აქტიურობის შესაძლებლობების მიცემა**. მოსწავლეთა განსხვავებულობის გათვალისწინებით, მათ შორის მრავლობითი სენსორული დარღვევების შემთხვევაში, არსებობს ინფორმაციაზე მუშაობის სხვადასხვა ფორმები და საშუალებები როგორც მასწავლებლების, ასევე მოსწავლეებისთვის. მასწავლებლისთვის სწავლების მთავარ სამიზნეს ამ ეტაპზე წარმოადგენს **როგორ ასწავლოს**, რომ უკეთ გაიგოს სხვადასხვა შესაძლებლობის მქონე მოსწავლემ.

წინამდებარე კვლევის ფარგლებში განვიხილეთ უნივერსალური დიზაინით სწავლების როგორც ქართველი ექსპერტების მიერ შექმნილი მასალები, ასევე საერთაშორისო სამეცნიერო ლიტერატურა და მიდგომები. საქართველოს საგანმანათლებლო სისტემა ჯერ კიდევ ინკლუზიურობის, მოსწავლეთა სასწავლო პროცესში აქტიურად ჩართულობის კონცეფციას ავითარებს, რისთვისაც საკმაოდ ბევრი რესურსი იხარჯება. კვლევის მიზნიდან გამომდინარე სწავლების უნივერსალური დიზაინის ძირითადი პრინციპების დაცვა უფრო მეტად უწყობს ხელს ინკლუზიურობის პრინციპს და ორიენტირებული არა ერთი, რომელიმე მიმართულებით საჭიროების მქონე მოსწავლის სწავლის საჭიროებებზე, არამედ უფრო ფართოა, ითვალისწინებს სხვადასხვა შესაძლებლობების მქონე მოსწავლეთ სწავლების შესაძლებლობას.

სწავლების და სწავლის შესაძლებლობებით ადამიანები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან და ეს განსხვავებულობა განპირობებულია არა მარტო ფიზიკური და გენეტიკური განსხვავებით, არამედ განსხვავებული ინტერესებითაც. დღეს დამკვიდრებული სისტემა მორგებულია თანაბარი შესაძლებლობების მქონე მოსწავლეზე და ნაკლებად ითვალისწინებს განსხვავებულ შესაძლებლობებს. სწორედ სწავლების უნივერსალური დიზაინი ემსახურება განსხვავებული შესაძლებლობების არსებობის პირობებში ყველაზე მორგებული განათლების მიღების შესაძლებლობას. გარდა ამისა, პრაქტიკაში, მასწავლებელი სწავლების მეთოდების შერჩევისას ფიქრობს როგორ მიაწოდოს ინფორმაცია მოსწავლეებს და ითვალისწინებს საშუალო შესაძლებლობების მოსწავლეს. იგივე შეიძლება ითქვას მოსწავლეთა შეფასების პროცესის დაგეგმვაზე. მასწავლებელი ფიქრობს, როგორ მოარგოს შეფასების ფორმები საშუალო დონის მოსწავლეს და ქმნის შეფასების ისეთ ინსტრუმენტს, რომელიც საშუალო მოსწავლის შეფასების შესაძლებლობის ინსტრუმენტს წარმოადგენს. ჩვენი ძალისხმევა უნდა მივმართოთ განსხვავებული შესაძლებლობების არსებობის პირობებში, მოსწავლის მიერ ახალი ცოდნის გადაცემის და მოსწავლის მიერ ცოდნის გამოყენების დემონსტრირებას, შევთავაზოთ შეფასებისთვის ცოდნის დემონსტრირების მრავალფეროვანი გზა და საშუალება.

ბიბლიოგრაფია:

ბაგრატიონი-გრუზინსკი, მ., კვაჭაძე, ჟ., ლორთქიფანიძე, რ., & გაჩეჩილაძე, ნ. (თ. გ.). *სასწავლო აქტივობები ყველასათვის: გზამკვლევი მასწავლებლებისთვის*. გაეროს ბავშვთა ფონდი (იუნისეფი) და ვორლდ ვიჯენ საქართველო.
გაეროს ბავშვთა ფონდი. (2016 წლის ნოემბერი). *მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევა*.

კვაჭაძე, ჟ. (თ. გ.). სწავლების უნივერსალური დიზაინი. მ. ბაგრატიონი-გრუზინსკი, ჟ. კვაჭაძე, რ. ლორთქიფანიძე, & ნ. გაჩეჩილაძე, *სასწავლო აქტივობები ყველასათვის: გზამკვლევი მასწავლებლებისთვის*. გაეროს ბავშვთა ფონდი (იუნისეფი) და ვორლდ ვიჯენ საქართველო. CAST. (n.d.). *The UDL Guidelines*. Retrieved from http://udlguidelines.cast.org/?utm_medium=web&utm_campaign=none&utm_source=cast-about-udl Meyer, A., Rose, D., & Gordon, D. (1990). *Universal Design for Learning*.

Ekaterine Gigashvili
Gori State Teaching University
Tamar Remishvili
Georgian Technical University

UNIVERSAL DESIGN OF TEACHING, AS A PARADIGM OF MODERN EDUCATION RESUME

The education system of successful countries envisions the principles of universal design of the teaching and plans and implements the learning process. The education system of Georgia is focused on the differential approach of teaching, though it still does not know the international experience and achievements of the universal design of the teaching. The work deals with examples of international experience, examples that may be important information for field specialists. The goal of the study is to research the basic achievements of international achievements, universal design basic framework, sharing new and still unknown practices and developing recommendations for practical action. Universal design of teaching implies to create equal opportunities for all individuals, regardless of their different possibilities.

Keywords: Universal design of teaching; Goals and Principles, Equality in the Physical and Social Environment, Universal Design and Sustainable Development.

მზია ზანგალაძე, თამუნა ხეთაგური
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი


ზოგიერთი მრავალფუნქციანი აფიქსის სწავლების შესახებ

საკვანძო სიტყვები: ვნებიტი გვარი, სათავისო ქცევა, სასხვისო ქცევა, გარდამავლობა.

ქართულ ენაში, როგორც ვიცით, არის ფორმაუცვლელი და ფორმაცვალეზადი სიტყვები. ფორმაცვალეზადი სიტყვა მორფოლოგიური ანალიზის მიხედვით იშლება შემადგენელ ნაწილებად. მის შესასწავლად დავასახელებთ სიტყვებს კაც-ი, კაც-ურ-ი, უ-კაც-ობა, სა-კაც-ე. დავაკვირვებთ სტუდენტებს აღნიშნულ სიტყვებზე, გამოვაკვეთინებთ საერთო ნაწილსა და განმასხვავებელ ნიშნებს და გავაკეთებინებთ დასკვნას, რომ მათში გამოიყოფა მნიშვნელობის მატარებელი ნაწილები და მაწარმოებელი ელემენტები. აქვე გავახსენებთ, რომ ძირსა თუ ფუძეზე დართულ ელემენტს მორფემა ანუ ფორმანტი ჰქვია. ყოველგვარ მორფემას კი - აფიქსი ანუ სართი.

ქართული ენა აგლუტინაციური ბუნების ენად ითვლება. ენათმეცნიერული თვალსაზრისით აგლუტინაცია გულისხმობს აფიქსების ისეთ ურთიერთობას ძირთან და ფუძესთან, როცა მათი გამოყოფა ადვილია. სიტყვას, თავისი ძირითადი ლექსიკური მნიშვნელობის გარდა, შეიძლება ჰქონდეს ერთი ან რამდენიმე გრამატიკული მნიშვნელობა, რომლებიც სათანადო ფორმით გამოიხატება. სტუდენტს გავახსენებთ, რომ ზმნას აქვს პირის, რიცხვის, დროის, კილოს, გვარის, ქცევის და სხვა გრამატიკული

კატეგორიები. აქვე ავუხსნით, რომ გრამატიკულ კატეგორიას ორი მხარე აქვს: გარეგანი და შინაგანი. შინაგანი მხარე მნიშვნელობაა, გარეგანი - ფორმა. გრამატიკული ფორმის გარეშე არ არსებობს გრამატიკული მნიშვნელობა. გრამატიკული კატეგორია არის აფიქსით გამოხატული მნიშვნელობა. აგებულების მიხედვით სიტყვა შეიძლება იყოს მარტივი ან რთული, სხვანაირად რომ ვთქვათ, ერთ შემთხვევაში სიტყვა უაფიქსოა - უმოტივაცია, მეორე შემთხვევაში აფიქსებია - მოტივირებულია. ქართულ ენაში გამოყენებულია სხვადასხვა სახის აფიქსი. ერთი და იმავე და განსხვავებული ფუნქციის მქონე აფიქსთა მონაცვლეობა ქართული ენისათვის უცხო არ არის. ბგერითად ერთნაირი აფიქსი სხვადასხვა სიტყვასთან, ან ერთი და იგივე სიტყვის სხვადასხვა ფორმასთან, სხვადასხვა ფუნქციისაა. დავასახელებინებთ მოსწავლეს არსებით სახელს, ვაბრუნებინებთ მას და დავაკვირვებთ მიცემით ბრუნვასა და მის ნიშანზე. შემდეგ დავასახელებინებთ მესამე პირში მდგარ ზმნას, გამოვაკვეთინებთ პირის ნიშანს და გავაკეთებინებთ დასკვნას, რომ ერთი და იგივე აფიქსი სხვადასხვა ფუნქციითაა გამოყენებული. იგი პირველ შემთხვევაში (არსებით სახელში) მიცემითი ბრუნვის ნიშნის ფუნქციას ასრულებს, მეორე შემთხვევაში (ზმნაში) - მესამე სუბიექტური პირის ნიშნისა. ასევე დავაკვირვებთ სტუდენტებს სიტყვებზე "კაც-ებ-ი" და "აკეთ-ებ-ს." გამოვაკვეთინებთ აღნიშნულ სიტყვებში საერთო ნაწილს (ებ), გავაანალიზებინებთ თუ რომელ მეტყველების ნაწილებს ახლავს და რა ფუნქციას ასრულებს თითოეულ სიტყვაში და გავაკეთებინებთ დასკვნას, რომ აფიქსი ებ-ი ორფუნქციანია. სახელთან მრავლობითი რიცხვის აღმნიშვნელი აფიქსია, ზმნასთან კი - თემის ნიშანი. ასევე მოვახდენთ დაკვირვებას სიტყვებზე: "ხატვა", "დახატა". სტუდენტები აღნიშნულ სიტყვებში ადვილად გამოკვეთენ, რომ ა ასოს ორი ფუნქცია აქვს. ერთ შემთხვევაში ზმნის მესამე სუბიექტური პირის ნიშანია, მეორე შემთხვევაში კი -საწყისის ნიშანი. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდება ზმნაში "ი" პრეფიქსის მრავალფუნქციანობაზე. იგი არის როგორც ვნებითი გვარის ფუნქციის გამომხატველი პრეფიქსი, ასევე - სათავისო, ან სასხვისო ქცევის. მათი ფუნქციის გასამიჯნად პედაგოგი იყენებს სწავლების სხვადასხვა მეთოდსა და ხერხს. მაგ. დაფაზე იწერება ზმნები: ადულებს, დუღდება, დუღს. თითოეულ მათგანზე კეთდება ანალიზი გვართან დაკავშირებით. შესაძლებელია აქ ეფექტურად იქნას გამოყენებული როგორც ვიზუალიზაციის სქემა (ფლიფჩარტი), ასევე კითხვა-პასუხის მეთოდი. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდება მოქმედებითი გვარის შედარება-შეპირისპირებით მის კონვერსიულ ფორმებზე (ხატავს - იხატება; მალავს - იმალება). იმსჯელებენ მათ გარდამავლობასა და განმასხვავებელ ნიშნებზე. განსაკუთრებულ ყურადღებას გავამახვილებინებთ და გამოვაკვეთინებთ თავსართებს. აღმოჩნდება, რომ იხატება ზმნაში სუბიექტური პირი თვითონ განიცდის მოქმედებას, ამიტომ ის ვნებით გვარისაა, რასაც აფიქსად ი ახლავს. მას ენაცმეცნიერები **ინიან** ვნებითს უწოდებენ. აქვე დავძენთ, რომ **ინიანი** ვნებითი გვარის ზმნა ყოველთვის ერთპირიანია და მათი უმრავლესობა პირველადი ზმნაა (თლის - ითლება), იშვიათად შეიძლება იყოს ნასახელარიც (ხერხი - ხერხავს - იხერხება). ვნებითი გვარის ამოსაცნობ ხერხად შეიძლება სერიებიც მოვიშველიოთ. სადაც პირველსა და მეორე სერიაში ვნებითის ნიშანი გააჩნია ზმნას, ხოლო მესამე სერიაში არ გადაყვება და მეშველზმნიანი ხდება (ვ-ი-ხატები, დავხატულ-ვარ). ასევე გამოვკვეთთ, რომ **ინიანი** (და ზოგადად ვნებითი) გვარის ზმნები აწმყოს მწკრივის პირველსა და მეორე პირში **ები** დაბოლოებას დაირთავენ. ბოლოს გაკეთდება დასკვნა, თუ როდის ასრულებს ი აფიქსი ვნებითი გვარის აფიქსის ფუნქციას. შესაძლებელია გვარის სწავლებისას (მათ შორის ვნებითის) გამოვიყენოთ ქვემოთ მოცემული ასოციაციური კავშირების რუკაც.



იშვიათი როდია, რომ ვნებითად ასახელებენ ყოველგვარ ზმნას, რომელთაც თავში **ი** მოუდით, ან პირიქით, ინიანი ვნებითი გვარის ზმნა სათავისო ქცევისად მიაჩნიათ. არის ისეთი ზმნებიც, რომელთაც ფორმა ვნებითისა აქვთ, ხოლო ფუნქცია მოქმედებითისა. მაგ. იბღვირება, იწყევლება, იმუქრება და სხვა. ასეთ ზმნებს დეპონენსებს უწოდებენ. ერთპირიანი საშუალ-მოქმედებითის მონაცვლე ზმნას **ი** თავსართი აქვს, მაგრამ იგი ვნებითის ნიშანი არ არის. სტუდენტებს ერთმანეთში რომ არ აერიოთ ეს ორი სხვადასხვა დანიშნულების **ი** თავსართი, უნდა დავაკვირვოთ შემდეგზე: თუ ზმნას წყვეტილში სუბიექტი სახელობითში ეწყობა **ი** ვნებითის ნიშანია, ხოლო თუ მოთხრობითში - იგი საშუალ-მოქმედებითის მონაცვლე ზმნის თავსართია. ინიანი ვნებითისა და დ სათავისო ქცევის ფორმების ურთიერთისაგან გასარჩევად პირიანობასაც იშველიებენ. ვნებითის **ი** პრეფისს გენეზისურად უკავშირებენ მოქმედებითი გვარის ზმნათა სათავისო ქცევის **ი-ს**. შესაბამისად დიაქრონულ ასპექტში მას სხვადასხვაგვარი კვალიფიკაცია ეძლევა. **ი** პრეფიქსი არის უკუქცევითობის ნიშანი როგორც გარდამავალ, ისე გარდაუვალ ზმნებში. გარდამავალ ზმნებში აღნიშნავს მხოლოდ პირდაპირ ობიექტს. **ი** ხმოვანი თავდაპირველად უნდა ყოფილიყო დეიქტიკური ნაწილაკი, შემდეგ შეიძინა რეფლექსური უკუქცევითი შინაარსი და ბოლოს დამკვიდრდა სათავისო ქცევის ფუნქციით. **ი** პრეფიქსი გამოხატავს კუთვნილებას, რაც ჩემ-ი, შენ-ი ნაცვალსახელებისაგან მომდინარეობს.

ცალკე უნდა გამახვილდეს სტუდენტთა ყურადღება **ი-ს** როგორც ქცევათა მაწარმოებელ აფიქსზე. დავაკვირვებთ **ვიშენებ** და **მიშენებ** ზმნებზე და გავაანალიზებინებთ, რომ პირველ შემთხვევაში პირდაპირი ობიექტი სუბიექტისაა, ხოლო მეორე შემთხვევაში პირდაპირი ობიექტი ირიბისაა. ორივეს **ი** აფიქსი ახლავს, მაგრამ ერთი სათავისო ქცევისაა, მეორე სასხვოსო ქცევის. **ინიანი** ვნებითის გარჩევა სათავისო და სასხვისო ქცევებისაგან შედარებით მარტივია. ავუხსნით, რომ ის ემყარება შემდეგ ხერხს: თუ **ი** თავსართიანი ზმნა ერთპირიანია, ის ვნებითი გვარისაა და **ი** ნიშანიც ამ გვარის მაწარმოებელია (იხატება ის). შედარებით უფრო რთულია სათავისო და სასხვისო ქცევათა ერთმანეთისაგან გარჩევა. ამ სირთულეს კიდევ უფრო ზრდის ომოიდი ფორმები. **მიხდის** ის მე მოსამსახურედ და **მიხდის** მე ვალს. ავუხსნით, რომ მათი ერთმანეთისაგან გასამიჯნად ორგვარი ხერხი გამოიყენება: მორფოლოგიური და სინტაქსური. მორფოლოგიური ხერხით ზმნა გადაყვანილ უნდა იქნეს მესამე პირში, თუ **ი** თავსართი სამივე პირში გადაყვა - სათავისო ქცევისაა (გამიხადა, გაგიხადა გაიხადა

ამხანაგად). თუ მესამე პირში ზმნაში **ი** თავსართი **უ**-თი შეიცვლება - ის სასხვისო ქცევისაა (მიხდის, გიხდის, უხდის).

ქცევის გარკვევა ხდება ასევე ზმნის ფორმაში წარმოდგენილ პირთა რაოდენობის მიხედვით. **ი** თავსართიანი ორპირიანი გარდამავალი ზმნა სათავისო ქცევისაა, ხოლო სამპირიანი სასხვისოსი. სამპირიანი არ შეიძლება იყოს სათავისო ქცევისა.


ქცევის მიხედვით **ი** პრეფიქსიან ზმნათა გასარკვევად სტუდენტებს გამოვაყენებინებთ ზმნის ფორმასა და შინაარსზე დაკვირვებასაც. ასევე გვეხმარება სუბიექტური და ობიექტური წყობაც. გავანალიზებინებთ, რომ **ი** თავსართიანი ზმნა ობიექტური წყობისას სასხვისო ქცევისაა, ხოლო სუბიექტური წყობისას - სათავისოსი.

ხშირად მოითხოვს სტუდენტთა დაკვირვებას **მი** ზმნისწინისა და **მ-ი** (**მ** პირველი ობიექტური პირისა და **ი** სასხვისო ქცევის ნიშანი) თავსართების გამოჯენისათვის. მაგ. **მიკვრავს** ზმნაში **მი** ხშირად ზმნისწინი ჰგონიათ. **მი** ზმნისწინისა და **მ-ი** პირველი ობიექტური პირის ნიშნისა და ქცევის ნიშნის გასამიჯნად სტუდენტებს გამოვაყენებინებთ მორფოლოგიურ ხერხს. (ზმნის გადაყვანა მეორე ან მესამე პირში). თუ ამ გადაყვანისას **მ** -პრეფიქსს **გ** შეენაცვლა მეორე პირში, ან სულ ჩამოცილდა მესამე პირში, **მ** პირის ნიშანია, **ი** კი - ქცევის (**მ-ი**შენებს, **გ-ი**შენებს, **უ-ი**შენებს), ხოლო თუ ყველა პირში დარჩა - ზმნისწინია (**მი-ვ**ფრინავ, **მი-ფ**რინავ, **მი-ფ**რინავს).

სტუდენტებს დავაკვირვებთ აგრეთვე, რომ წარმოების მიხედვით ზმნა ზოგჯერ ამა თუ იმ ქცევას განეკუთვნება, მაგრამ მას სათანადო შინაარსი არ ახლავს. აქედან გამომდინარე ქცევა ფორმალურია. მაგ. **მიყვარს**, **გიყვარს**, **უყვარს** ფორმით სასხვისოა, მაგრამ სასხვისო - აქ ფორმალურია.

არსებობს ზმნები რომელთა პირთა რაოდენობაც და **ი** ნიშანიც სათავისო ქცევისა აქვთ, მაგრამ უქცეო ზმნებს განეკუთვნებიან, ვინაიდან მათ საპირისპირო ფორმა არ გააჩნიათ. მაგ. **იგებს**, **იცის**, **უყვარს** ტიპის ზმნებში **ი** და **უ** ფორმალურად არის ქცევის ნიშანი. მათ საპირისპირო ფორმები არ გააჩნიათ.

"**ი**" აფიქსის ფუნქციასთან დაკავშირებით ვაკეთებთ დასკვნას: **ი** ვნებითი გვარის ნიშანია მაშინ, როცა ზმნა გარდაუვალი და ერთპირიანია. სათავისო ქცევის ნიშანია, როცა ზმნა ორპირიანი და გარდამავალია. (იგი ზმნას სამივე პირში გადაყვება), ხოლო სასხვისო ქცევის ნიშანია თუ პირველსა და მეორე პირში არსებული **ი** აფიქსი მესამე პირში **უ**-თი შეიცვლება. ყოველივე ამის გამოსაკვეთად სასურველია გამოყენებულ იქნას ქვემოთ მოცემული სქემა.



ამგვარად, მრავალფუნქციანი აფიქსების სწავლებისას განსაკუთრებული ყურადღების გამახვილებაა საჭირო სასურველი სასწავლო მიზნების მისაღწევად. აუცილებელია მასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხის ანალიზი, რისთვისაც პედაგოგმა შეიძლება მიმართოს ინტერაქტიულ მიდგომას, რომელიც მოსალოდნელია იყოს ინდივიდუალური, კონკრეტული, ან

კოლაბორაციული. სტუდენტებს მიეცემათ როგორც სააუდიტორიო, ისე ინდივიდუალური, დაწყვილებული, ჯგუფური სამუშაოები, აგრეთვე სხვადასხვა სახის საშინაო დავალებები.

ბიბლიოგრაფია:

დეისაძე, ო. (1974). *გვარი და მისი სწავლება (საკანდიდატო დისერტაცია)*.
დეისაძე, ო. (1985). ქვევის სწავლებისათვის. *ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში* (3).
კვაჭაძე, ლ. (1981). *ქართული ენა*. (ნაწ. I). თბილისი.
მაღლაკელიძე, ნ. (1997). *ზმნის სწავლების მეთოდოლოგია*. თბილისი.
მაღლაკელიძე, ნ., & მიქაძე, მ. (1998). *ქართული ენის სწავლების მეთოდოლოგია*. ქუთაისი.
ჭელიძე, ლ., სახეჩიძე, ნ., & ხაჭვანი, ნ. (2018). *ქართული ენა*. თბილისი.

Mzia Zangaladze, Tamuna Khetaguri
Gori State Teaching University
ABOUT THE TEACHING OF SOME MULTIFUNCTIONAL AFFIXES
RESUME

Multifunctional prefix "s, a, eb, i" is presented in the work. Each function is analyzed in the word. The paper is showing how important are practical classes and how these classes are productive, especially where the students are actively involved in the learning process by the different strategies, methods, approaches, ways and examples which are suggested by their teachers.

Keywords: Passive voice, Objective transformation, Subjective transformation, Transition.

ნანა მაისურაძე
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ტრადიციული და ინოვაციური მიდგომა ფიზიკის სწავლებისას

საკვანძო სიტყვები: განათლება, სწავლება, ფიზიკა, გაკვეთილი, ინოვაცია.

თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცეში განათლების მიზანს წარმოადგენს მოსწავლის პიროვნების განვითარება, უნიკალური ადამიანური შესაძლებლობების რეალიზაცია, ცხოვრების სირთულეებისათვის მომზადება. მოსწავლეს, სკოლის დამთავრების შემდეგ, ღრმად უნდა ჰქონდეს შეთვისებული თანამედროვე ფიზიკის ძირითადი იდეები, ფლობდეს მეცნიერული ცნებების სისტემას, შეეძლოს სამეცნიერო ტექნიკურ ლიტერატურაში ორიენტირება, დამოუკიდებლად და სწრაფად იპოვოს საჭირო ცნობები, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე თავისი ცოდნის შევსება-სრულყოფა და პრაქტიკაში გამოყენება.

პედაგოგიური კვლევის შედეგად მოპოვებული მასალების საფუძვლებზე დადგინდა, რომ სკოლაში ფიზიკის საფუძვლების შესწავლისას მოსწავლე ბევრ სიძნელეს აწყდება, რაც განსაკუთრებულად იჩენს თავს მეცნიერული ენის დაუფლებისას.

ყველას მოგეხსენებათ, რომ გაკვეთილი სასწავლო პროცესის ორგანიზების მხოლოდ ძირითადი ფორმა არ არის. ეს კიდევ არის ის, თუ რა გაკვეთილებს ვიღებთ ჩვენი ცხოვრების ორგანიზებიდან. ამ პროცესისადმი სწავლება კი იწყება სკოლაში. მაგრამ პრობლემა მდგომარეობს არა მოთხოვნათა

სიახლეში, არამედ მათი გაგების სიახლეში. პიროვნებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროცესის ცენტრში დგას მოსწავლე, მისი განვითარების პროცესი და მის მიერ მიღწეული შედეგი. შედეგზე ორიენტირება გულისხმობს მოსწავლისათვის მიწოდებული ინფორმაციის არა მხოლოდ დამახსოვრებას, არამედ ამ ინფორმაციის მყარ, დინამიურ და ფუნქციურ ცოდნად გარდაქმნას.

ფიზიკის სწავლებისას დგება საკითხი, დავებმართო მოსწავლეს გააცნობიეროს შესასწავლი კანონების მნიშვნელობა და უნივერსალობა, შევქმნათ პირობა ყოველი მოსწავლის პიროვნების თვითრეალიზაციისათვის სწავლების პროცესში, განუვითაროთ მოთხოვნილება დამოუკიდებელი შემოქმედებითი და კვლევითი მუშაობისა ფიზიკის მეცნიერების ჩარჩოში, მოვამარაგოთ საჭირო მეთოდოლოგიური მასალით.

ტრადიციულად, ფიზიკის სწავლების პირველ საფეხურზე უპირატესობა ეძლევა ციკლის პირველ ეტაპს – გადასვლა კერძოდან ზოგადისაკენ. ბოლო დროს გაიზარდა მეორე ეტაპის – ზოგადიდან კერძოსკენ – როლი, მაგრამ, სამწუხაროდ, პირველის შეკვეცის ხარჯზე. სწორედ ასეთი გათიშვა უწყვეტი შემეცნების ციკლისა იწვევს აქცენტის გადატანას რეპროდუქციულ აზროვნებაზე (როდესაც მეხსიერება ბატონობს აზროვნებაზე), რადგან მოსწავლეს არ შეუძლია კარგად გაიგოს გადმოცემული მასალა. შედეგად, სათანადოდ არ ვითარდება ფიზიკის შესწავლის შემეცნებითი ინტერესი.

როგორც არ უნდა იყოს სასწავლო პროცესის მიღებული კონცეფცია, ის მდგომარეობს განსაზღვრული ობიექტისადმი მოქმედების განსაზღვრული სახეების გამოყენების შესაძლებლობის შეძენაში. ზოგადად, შეიძლება განვსაზღვროთ დამოკიდებულებების სამი ტიპი, რომელზეც მიმართულია სასწავლო პროცესი.

1. სასწავლო პროცესი შეიძლება მიმართული იყოს ახალ ობიექტზე. მაგალითად, თანაბარი მოძრაობის ახალ განსაზღვრებაზე სიჩქარის ცნების გამოყენებით;
2. სასწავლო პროცესი შეიძლება მიმართული იყოს მოქმედების ახალ სახეზე. მაგალითად, როდესაც მასის ცნების განსაზღვრების შემდეგ მოსწავლეები ინერტულობას ცვლიან მასით;
3. სასწავლო პროცესი შეიძლება ერთდროულად მიმართული იყოს ახალ ობიექტზე და მოქმედების ახალ სახეზე.

ზოგადპედაგოგიკური და დიდაქტიკური პრინციპები ის ამოსავალი დებულებებია სწავლებისა, რომელთა გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია სასწავლო პროცესის წარმართვა. ზოგადპედაგოგიკური პრინციპების გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია არა თუ წარმატებული სწავლება, არამედ საერთოდ სწავლება. დიდაქტიკური პრინციპების გარეშე კი შეუძლებელია წარმატებული სწავლება.

სწავლება უნდა იწყებოდეს სათანადო ასაკში. ის მოსწავლისათვის უნდა წარმოადგენდეს სიძნელეს, მაგრამ ისეთ სიძნელეს, რომლის დაძლევის უნარიც მას შესწევს. (მაისურამე, 2011) სწავლება უნდა რთულდებოდეს და ფართოვდებოდეს მოსწავლის საერთო განვითარებასთან ერთად იმ საფუძველზე, რომ მოსწავლე, ერთი მხრივ, არ დუნდებოდეს, ხოლო მეორე მხრივ, არ ვიწვევდეთ მისი ძალების ზედმეტად დამაბულობას და განვითარების შეფერხებას. სწავლება უნდა წარიმართოს ისეთი მიმართულებით, რომ იგი ხელს უწყობდეს მოსწავლეში მაღალი ზნეობრიობის აღზრდას მისი ძალების და საერთო განვითარების დონის გათვალისწინებით.

მისაწვდომობის პრინციპის განხორციელებისათვის პრაქტიკაში აუცილებელია მასწავლებელმა მკაცრად დაიცვას სასწავლო პროგრამა, არ დაუშვას მოსწავლის გადატვირთვა არაპროგრამული მასალით (გასათვალისწინებელია ინდივიდუალური მიდგომა), რაციონალურად უნდა დაგეგმოს სწავლების ტემპი, განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოეკიდოს საშინაო დავალების ნორმირებას. წინააღმდეგ შემთხვევაში სწავლების პროცესი განუხორციელებელი დარჩება მოსწავლეთა აბსოლუტური უმრავლესობისათვის.

აუცილებლობას წარმოადგენს ჩატარებულ იქნას კვლევა მოსწავლეების მიერ ფიზიკის სასკოლო კურსის ათვისების შესახებ, რომლის შემდეგაც შეიძლება გადაწყვეტილების მიღება, თუ რა სტრატეგიას უნდა მივმართოთ, რომ გაიზარდოს ამ საგნით მოსწავლეთა დაინტერესება და შესაბამისად გაუმჯობესდეს სწავლების მეთოდიკა და ცოდნის დონე.

ადამიანის მიერ სამყაროს შემეცნების პირველ წყაროს წარმოადგენს საგანი, რომელიც მოქმედებს მის გრძნობათა ორგანოებზე და იწვევს შეგრძნებას. მოსწავლემ რომ ისწავლოს, ამ საგანმა უნდა იმოქმედოს მის გრძნობათა ორგანოებზე. თვალსაჩინოების პრინციპი გულისხმობს მოსწავლეების მიერ საგნებსა და მოვლენებზე უშუალო დაკვირვებას გრძნობის ორგანოების მონაწილეობით და ამის საფუძველზე მოვლენებისა თუ საგნების აღქმა-შესწავლას მასწავლებლის ხელმძღვანელობით. თვალსაჩინოებას მიმართავენ როგორც ახალი სასწავლო მასალის შესწავლა-დამუშავებისას, ისე ძველი მასალის გამეორების – ცოდნის განმტკიცებისა და სისტემაში მოყვანის დროს.

შეგნებულობისა და აქტიურობის პრინციპის განხორციელებისას უშუალოდ ამოვდივართ შემეცნების თეორიიდან. შეგნებულობა სწავლებაში ნიშნავს მოსწავლის მიერ სასწავლო მასალის გააზრებულად შეთვისებას. ამა თუ იმ მოვლენის ან ფაქტის შეგნებულად შეთვისება ნიშნავს ამ მოვლენის არსში ჩაწვდომას, მისი მიზეზის გააზრებას, სხვადასხვა კავშირებისა და ურთიერთმიმართებების დადგენას, ამ მოვლენის გამომწვევი ზოგადი კანონზომიერების გახსნას.

ნებისმიერი საქმიანობის წარმატებას განაპირობებს ამა თუ იმ მოქმედების სისტემატური ხასიათი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სისტემატურობა სწავლების პროცესში. სწორედ ამას გულისხმობს სისტემატურობისა და თანმიმდევრობის პრინციპი, რომელიც ეფუძნება შესასწავლი საგნების მეცნიერულ ლოგიკას და ბავშვის აზროვნების განვითარების კანონზომიერებას.

თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობის პრინციპი სწავლების ძირითადი კანონიცაა, რადგან ცოდნას არავითარი აზრი არა აქვს, თუ იგი პრაქტიკულად ვერ გამოიყენა მოსწავლემ (ე.წ. “მკვდარი ცოდნა”). ეს პრინციპი გულისხმობს მოსწავლეთა აუცილებელ მომზადებას თეორიული ცოდნის სხვადასხვა პრაქტიკულ სიტუაციაში გამოყენებისთვის.

სასწავლო კურსი შეიძლება განვიხილოთ მხოლოდ როგორც დიდაქტიკური სისტემა. რადგან საგნობრივი მეცნიერული ცოდნა წარმოადგენს დიდაქტიკური სისტემის ნაწილს, მათი სტრუქტურების პროცესი რეგულირდება დიდაქტიკური პრინციპით.

სწავლისადმი ინტერესი მრავალმხრივია; იგი მუდამ იცვლება და ვითარდება სწავლა-აზრდის პროცესში და მის შედეგად. ექსპერიმენტულად და პედაგოგიური პრაქტიკით დადასტურებულია, რომ ცოდნისა და პრაქტიკული საქმიანობის ამა თუ იმ დარგისადმი ინტერესის გამომუშავება, ან მისი ახალ მისწრაფებასა და ინტერესში გადაზრდა ხდება იმის მიხედვით, თუ რამდენად ეუფლებიან მოსწავლეები სწავლების პროცესში და მის შედეგად ახალ-ახალ ცოდნას, ჩვევებს და ყოველივე იმას, რაც პიროვნების ფორმირების შინაარსს შეადგენს. აქედან ნათელია, რომ ინტერესი არა მარტო გასაღები და ფსიქოლოგიური საფუძველია სწავლისა, არმედ მისი შედეგიც.

რა გვაქვს სინამდვილეში? მოსწავლეთა არანაირი დაინტერესება სასწავლო პროცესში, ცოდნის მიღებაში, ამიტომაც გაკვეთილი მათთვის არის მოსაწყენი, უინტერესო, მონოტონური და არ განაწყობს შემოქმედებით საქმიანობაზე.

იმისათვის, რომ გავერკვეთ რა ხდება, საკმაოდ რთულია. სამწუხაროდ, მეცნიერთა თეორიული დამუშავებები იძირება მასწავლებელ პრაქტიკოსების მიერ ყოველდღიური პრობლემების გადაჭრის ორომტრიალში. ამასთან, მასწავლებელთა სულ უფრო მეტი რაოდენობა აზრს ხედავს პრობლემის არა მარტო სტპონტანურ-ინტუიციურ გადაწყვეტაში, არამედ თავისი საქმიანობის მეცნიერულ დასაბუთებაში. მეორე მხრივ, სამეცნიერო ლიტერატურაში კონკრეტული რეკომენდაციების აღმოჩენა, რომელიც შეესაბამება ახალ მოთხოვნებს, დაამუშაოს გაკვეთილები ამ მოთხოვნების საფუძველზე, ყოველწლიურად უფრო რთული ხდება. როგორც წესი, მათი ავტორები ფრთხილად უსადაგებენ სწავლების კარგად ნაცნობ მეთოდიკებს განათლების ახალ მიზნებს და არ ზრუნავენ პირველის მეორესთან პრინციპულ შეუსაბამობაზე. გაკვეთილზე სუბიექტის მომზადება შემოქმედებითად აქტიური პიროვნებად, რომელიც იქნება დაინტერესებული სამყაროს დამოუკიდებლად შეცნობაში, არ არის გამორიცხული, ის შესაძლებელია. თუმცა ამისათვის აუცილებელია შეიცვალოს მასწავლებლის დამოკიდებულება საგანმანათლებლო საქმიანობის, და შესაბამისად, მოსწავლის მიმართ.

სკოლაში მისვლისას ყველა ბავშვს აქვს მოტივების მეტ-ნაკლებად ჩამოყალიბებული საკუთარი სტრუქტურა. ამიტომ მასწავლებელს არ შეუძლია თვითონ შექმნას მოსწავლის მოტივაციის სისტემა; მასწავლებლის ამოცანაა სხვადასხვა მეთოდით, წახალისებით გავლენა მოახდინოს მოსწავლის პიროვნების მოტივაციის სფეროზე და თანდათანობით ჩაუყაროს საფუძველი ახალ მოტივებს. რასაკვირველია, უნდა მოხდეს დადებითი მოტივების განვითარება. თუმცა, არსებობს ისეთი სიტუაციაც, როდესაც მოსწავლის მოთხოვნილებები დაუკმაყოფილებელი რჩება და ეს წარმოშობს იძულების, დაშინების იმპულსებს – უარყოფით მოტივებს.

მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ის ფაქტიც, რომ სწავლა ყოველთვის არაა უშუალოდ დაკავშირებული ზოგიერთი მოთხოვნილების დაკმაყოფილებასთან, რადგან მოსწავლეები ხშირად იძულებულნი არიან ისწავლონ ის, რაც არ აინტერესებთ. სწორედ ასეთ სიტუაციებშია საჭირო შესაფერისი მოტივების გამომუშავება. სხვა შემთხვევაში შეიძლება შეიქმნას შთაბეჭდილება, თითქოს მოსწავლეების ნაწილი განუვითარებელი იყოს, თითქოს მათ არ ჰქონდეთ სასწავლო მასალის ათვისების უნარი. კლასში სიტუაციის შეცვლით, სტიმულის ახალი საშუალებების გამოყენებით შევძლებთ ბავშვების დარწმუნებას იმაში, რომ მათი ეს შთაბეჭდილება მცდარია. მოსწავლეები რთულ, ძნელად ასათვისებელ მასალასაც ადვილად აითვისებენ, თუკი დარწმუნებული იქნებიან, რომ ეს ცოდნა გამოადგებათ ცხოვრებაში პრაქტიკულად ან სწავლის გასაგრძელებლად. საინტერესო, მაგრამ არაპრაქტიკულ მასალას ვერც ძლიერი მოსწავლეები ითვისებენ ადვილად.

ერთი და იგივე მოსწავლე სხვადასხვაგვარად სწავლობს განსხვავებულ სასწავლო საგნებს, რადგან მას ამ საგნებისადმი განსხვავებული ინტერესი აქვს. ამის შედეგად ის არასრულად ახდენს თავისი სასწავლო საქმიანობის შესაძლებლობების რეალიზაციას. მაგალითად, მოსწავლეს არ უყვარს ფიზიკა და მიუხედავად იმისა, რომ ფლობს გონებრივი მუშაობის შესაბამის ხერხებს, არ იყენებს მათ და სწავლობს უფრო ცუდად, ვიდრე შეუძლია. აქ ხდება დაკვირვება განსხვავებაზე სასწავლო საქმიანობაში მოტივაციის შეუთავსებლობის გამო სხვადასხვა სასწავლო საგნებისადმი. პედაგოგიური მუშაობა ამ შემთხვევაში უნდა მდგომარეობდეს “არახელსაყრელი” საგნისადმი ინტერესის აღდგენაში, მოცემულ შემთხვევაში ფიზიკისადმი.

დღესდღეობით, არ დგება საკითხი, რომ მთლიანად უარი ვთქვათ ტრადიციულ გაკვეთილებზე. მათი პროცენტული წილი მეთოდიკების საერთო ნაკადში დიდი ხნის განმავლობაში კვლავ დარჩება მაღალი, მაგრამ გადასვლა პასიურიდან აქტიურ და ინტერაქტიურ სტრატეგიებზე გარდაუვალია, თუ ჩვენ გვინდა აღვზარდოთ თანამედროვე, კონკურენტუნარიანი ადამიანი. ეს არის იმ დროის მოთხოვნა და კარნახი, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ. რა არის აქტიური სტრატეგია? ეს არის არატრადიციული, უჩვეულო, არასტანდარტული გაკვეთილი.

დავიწყოთ ისევ თეორიით. უჩვეულო გაკვეთილების საერთო ხარვეზს წარმოადგენს კლასიფიკაციის არქონა, რომელიც დაეხმარება მასწავლებელს გაერკვეს ამ მოვლენის არსში. ის რომ შემდგარია და არ წარმოადგენს მეცნიერულ აბსტრაქციას, ამას ადასტურებს მასწავლებელთა სულ უფრო მზარდი ყურადღება არასტანდარტული გაკვეთილებისადმი. (Ерофеева, 2012)

კლასიფიკაცია ანუ განაწილება კატეგორიებად გვეხმარება გამოვყოთ საერთო იმ შემთხვევაში, როდესაც დიდი რაოდენობის ინფორმაციიდან ვირჩევთ მეტად საჭიროს, ჩვენთვის საინტერესოს, საუკეთესოს. დღეს, სწავლებისა და მთლიანად გაკვეთილების უჩვეულო მეთოდები უამრავია, მაგრამ ყველა მათგანი როდი შეესაბამება საყოველთაოდ აღიარებულ იდეებს არასტანდარტული განათლების, უჩვეულო გაკვეთილის და ბოლოს, არ შეესაბამება წარმოდგენებს არც გაკვეთილის და არც მეთოდიკის შესახებ. ზღვა მასალიდან საჭირო ინფორმაციის არჩევისას მასწავლებელი ეყრდნობა თავის ინტუიციას და არა რომელიმე მეცნიერულ დასკვნას.

შეიძლება გამოვყოთ გაკვეთილის შემდეგი სახეები:

1. გაკვეთილი, რომელიც ასახავს თანამედროვე საზოგადოებრივ ტენდენციებს: მოსწავლეთა ინიციატივაზე აგებული გაკვეთილი, გაკვეთილი - ცოდნის საჯარო განხილვა, გაკვეთილი - დისპუტი, გაკვეთილი კომპიუტერების გამოყენებით;

2. გაკვეთილი, რომელშიც გამოვიყენებთ სათამაშო სიტუაციებს: გაკვეთილი - თამაში, გაკვეთილი - პრესკონფერენცია, გაკვეთილი - შეჯიბრება, გაკვეთილი - მსკ, გაკვეთილი - მოგზაურობა, გაკვეთილი დიდაქტიკური თამაშებით, გაკვეთილი - თეატრალიზებული წარმოდგენა;

3. შემოქმედებითი გაკვეთილები: გაკვეთილი - თხზულება, გაკვეთილი - გამოგონება, კომპლექსურ - შემოქმედებითი გაკვეთილი, გაკვეთილი - გამოგონა- დათვალიერება;

4. ტრადიციული გაკვეთილები ახალი ასპექტებით: გაკვეთილი - ლექცია, გაკვეთილი - სემინარი, ამოცანების ამოხსნის გაკვეთილი, გაკვეთილი - კონფერენცია, გაკვეთილი - ექსკურსია, გაკვეთილი - კონსულტაცია, გაკვეთილი - ჩათვლა.

ცხადია, რომ განხილული ჩამონათვალი მხოლოდ ორიენტირია პედაგოგთა შემოქმედებითი საქმიანობისათვის. განხორციელება კი რჩება ინდივიდის შემოქმედებით აქტად, რომელშიც მისი ნიჭი და შესაძლებლობა აისახება.

დასახული მიზნების მისაღწევად მიზანშეწონილია გამოვიყენოთ თანამედროვე საგანმანათლებლო ტექნოლოგიები. (Манвелов, 2002)

ფიზიკის თანამედროვე კურსის აგების პრინციპები ტრადიციულთან შედარებით ახლებურ გააზრებას საჭიროებს. ასეთი გააზრება სამეცნიერო-დიდაქტიკურ კვლევას მოითხოვს. აუცილებელია ფიზიკის კურსის აგების მეთოდოლოგიური საკითხების განხილვა, რათა შემუშავდეს ახალი სისტემური მიდგომა, რომელიც საფუძვლად დაედება თანამედროვე და თვითმყოფადი ეროვნული სახელმძღვანელოების შექმნას.

ბუნება ერთიანია. მექანიკური, სითბური, ელექტრომაგნიტური, ... მოვლენები ბუნებაში ცალ-ცალკე არ ხდება. სამწუხაროდ, ეს ერთიანობა ფიზიკის სწავლებაში დაკარგულია. უამისოდ კი შეუძლებელია სწორი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება. ფიზიკის ერთიანობა ბუნების მთლიანობას უნდა ასახავდეს, ფიზიკის სასწავლო კურსის აგების ერთ-ერთი უმთავრესი მეთოდოლოგიური პრინციპი უნდა იყოს. ამ ერთიანობის დანახვა ფიზიკის ფუნდამენტური პრინციპებისა და კანონების საშუალებით შეიძლება.

ფიზიკის ერთიანობის რეალიზება განაპირობებს იმას, რომ გადავუხვიოთ ფიზიკის ტრადიციულ დაყოფას ნაწილებად: მექანიკა, მოლეკულური ფიზიკა, ელექტრობა და მაგნეტიზმი, ოპტიკა... და

თითოეული ნაწილის დამოუკიდებელ შესწავლას ცალკეულ კლასში. აღნიშნული ტრადიცია არ ეთანხმება მოსწავლის ასაკობრივ-ფსიქოლოგიურ თავისებურებებს. ამიტომ ფიზიკის ამა თუ იმ ნაწილის (მაგალითად, მექანიკის) კანონზომიერებანი სწავლების საბაზო საფეხურის ყველა კლასში უნდა განვიხილოთ. რასაკვირველია, იგივე ეხება სხვა ნაწილებსაც.

სინამდვილე იმდენად რთულია, რომ მოდელური იდეალიზაციის გარეშე მისი შესწავლა შეუძლებელია. რასაკვირველია, იდეალიზაცია გონივრული უნდა იყოს: შევინარჩუნოთ არსებითი თვისებები და უგულვებელყოთ მეორეხარისხოვანი (მოცემული პირობებისთვის). ასეთი იდეალიზებული პრობლემის, საკითხებისა თუ ამოცანების დასმა და შესწავლა არის ფიზიკის, როგორც მეცნიერების, არსთაგანი.

ბიბლიოგრაფია:

მაისურაძე, ნ. (2011). *მოსწავლეებში მეცნიერულ ენაზე მეტყველების განვითარების ოპტიმიზაციის თანამედროვე პედაგოგიური ტექნოლოგიები (ფიზიკის სწავლების მაგალითზე)*. თბილისი: უნივერსალი.

Ерофеева, Н. И. (2012). Управление проектами в образовании. *Народное образование* (5).

Манвелов, С. Г. (2002). *Конструирование современного урока*. Москва: Просвещение.

Nana Maisuradze

Sokhumi State University

TRADITIONAL AND INNOVATIVE APPROACH WHEN TRAINING PHYSICS RESUME

Now innovative pedagogical activity is one of essential components of educational activity of any educational institution. And it is not casual. Innovative activity not only creates a basis for creation of competitiveness of this or that educational organization in education market, but also defines the directions of professional growth of the teacher, his creative search, really promotes the personal growth of pupils.

Training of physics at lessons cannot be presented only in the form of theoretical occupations today, it is necessary to maintain interest in physics, to use various ways and methods of stimulation of educational activity

Therefore innovative activity is inseparably linked with scientific and methodical activity of teachers and educational and research activity of pupils.

Keywords: Education, Training, Physics, Lesson, Innovation.

Ruizan Mekvabidze

Gori State Teaching University

FOLLOWING EDUCATIONAL REFORMS: ISSUES AND PROBLEMS OF TRANSFORMATION OF HIGHER EDUCATION (A CASE OF GEORGIA)

Abstarct

The issue of reforms of higher education as a social investment includes "Useful Benefits" from research and technological innovation with employed qualitative and quantitative methods to examine the expected professional level of the university graduates. The educational systems of the Old and the New World demonstrates various reasons for the necessity of reforms and the difference in their objectives. And while in relation to the mentioned educational

systems it is possible to see certain logic in the necessity of reforms, but in relation to Georgia education there is mostly no such logic in justification of reasons and objectives of the reformation.

Universities across the Georgia are functioning on the basis of the enrollment students which have passed National Exams provided by the National Examination Center of Georgia. A minimum score for student's enrolment in the university is low that is a barrier for providing a normal higher educational process at the university level. It is a main reason of lack for forming successful specialists and to response the requirements of the modern competitive world, accordingly.

- Student's scores for enrollment;
- Elective subjects stated by National Exam Center;
- Students' motivation and behavior in relation of an elective subjects;
- 12th year pupils' achievements under graduation.

Keywords: Student's enrolment, National exams, Elective subjects stated by National Exam Center, Forming successful specialists.

1 Introduction

We cannot draw a picture and we cannot research the problems that are observed in transition period without education development as education is the process to thoughtful uncertainty and in present generation education is the most important thing as education means growing of knowledge (Mekvabidze, 2013) after that a country is ready to develop economics, healthcare, technologies and so on. Individuals with their education, skills and professional experience determine economic changes of the country (Blundell, Dearden, & Sianesi, 2004) education facilitates the acquisition of new skills and knowledge that increase productivity which creates a new directions as are: new technologies, new business, new wealth resulting in economic growth. Education is a "public good" in that society benefits from increased education as well as the educated individual (Saxton, 2000). But this analysis is incomplete because it ignores the investment cost of education. The contribution of education to economic growth occurs through two mechanisms: a creation of new knowledge and economic growth through the diffusion and transmission of knowledge. Education affects the life of individuals, their participation in economic activities, and overall economic development in various ways. The lack of educational level has always been accepted as one of the major components of any multidimensional concept of poverty (Mekvabidze, 2010). Moreover, education is strongly linked to the notion of empowerment. Looking for an effective tool to foster economic progress in developing countries, the analysis of educational reforms is an interesting research field since the beginning of the 1990s and mostly from 2005-2006 when Georgia have chosen a new way and begun a fundamental transformation of education. It was an accession to the Bolona Process and from this moment we faces changes in educational process on any level of education every year from the side of the Ministry of Education and Research and National Exam Center.

Much of the early work on the Soviet labor market and human capital was done using highly aggregated national or regional data. This situation changed after 1993. Investment in education and in human capital, in general is particularly important during the period of economic transformation. In Georgia, on the one hand, the the general level of schooling was relatively high, but this education did not provide the skills and knowledge demanded by the market economy as the current situation in Georgia labor market is characterized by a large discrepancy between the available educational capital and the market demand for skills. Achieving these purposes is also important for human capital development because it shows a way to apply the main ideas of this approach to the fast changing economic and social conditions under economic transformation in Georgia. But today, we look at the current higher education problems of Georgia with relative of the understanding of the modern learning environment in higher education on the basis of discussions how the problems are analyzed and decisions are made in the context of higher education reforms. It focuses on the discrepancies between objectives and achievement and management requirements for implementation of innovative directions of research projects.

In the economy of 21st century education will become increasingly important. Investment in education contributes to enhanced labor force productivity. A major challenged faced by governments everywhere is the reform of finance of higher education in response of rising private demand for higher education and heavily constrained public budgets (Woodhall, 2007). But basic problems such as trend of social policy practice and research has not adequately been addressed in Georgia. The explanation of this problem goes back to 1990s. After the collapse of the Soviet Union Georgia, along with other post-soviet countries had a rough transition from planned economy to market economy, which created barriers for social policy practice and analysis. These include:

- Ideological problems that constrain the formulation of reform agendas;
- Different conceptions at the individual or public level;
- Lack of integration of technology in study process as a tool;
- The lack of Research process from the decision-making process in connection with the:
a/teaching/learning/research;
b/ Absence of the platform for conducting effective social science research.

The entire system of Higher Education (HE) should be subject to the main goal, which is from the very beginning to give students skills and abilities for independent work, creating the widest opportunities for that, in particular, ensuring

free access to the university laboratories/infrastructure and resources and It have to be expected that senior students would be included into teams of researchers working on urgent problems and would gradually start learning scientific research methods.

The most important is that education given by universities does allow its graduates to get lost in the stormy sea of life and to seek a way out of current situation. The problem of university development is lack of educational, scientific and innovative activities. It is necessary to increase the university's interaction with business structures into the sphere of the university's partnership with business; joint research ideas, educational and scientific centers, and centers for development of competencies. Implementation of the "science – personnel – production" system based on the feedback principle contributes to generation of new ideas, new knowledge, new subjects, and new courses of lectures and changes for teaching-learning process. And this system is indissoluble because it relies not simply on official documents but on relationships between people. Students have to be involved in scientific work. University students not only have to pass examinations, but they also have to develop a thesis with a research component as education and science is one side of the coin. The university cannot do without business and innovations. It is necessary to involve business in educational and scientific activities, in participation in academic councils, and in teaching.

First of all, universities are educational institutions, the task of which is to generate, preserve, and transfer knowledge, whereas innovative activities have to be taken inside and outside the university boundaries. In the West once, they create a belt of implementation but all brands, as a rule, were born in universities where have to develop an original programs allowing students to look at a problem or a phenomenon from different angles. The educational technologies always suggested the presence of a creative component. This approach is relevant today and it implies the necessity of individual development of students taking into account their aptitudes and interests, the importance not simply to "hammer" knowledge into students but to prepare them for real activities

2 Problems and Prospects

In recent years higher education has faced two main problems, which are a reduction in the number of students resulting and a decrease in the quality of the school graduates' training level. The school graduates' level of knowledge is especially low with regard to sciences. University has to introduce "leveling subjects" for first-year students, providing them with the basics of the school curriculum. The university entrants come from different cities of our country and all of them have different. Therefore, it is necessary to level their knowledge. In the first year the dropout rate reaches 5–10%. In Western higher educational institutions the admission rules for 80% of students are determined by educational institutions themselves but in Georgia this problem is solved by National Examination Education Center.

An important way for development of the educational sphere is its close integration with science and business. Barriers for the development of cooperation are related to the fact that educational institutions, as a rule, try to maintain their academic independence and are not always ready to the interference of business into their activities. Business representatives, in turn, do not always clearly understand or can formulate the competencies that should be possesses by the specialists they need. To solve such problems it is necessary to introduce institutional and infrastructural changes. Thus, an important form of university integration with academic science is joint preparation of study programs and technical base. All these motivations approved that there is no doubt that the educational system of Georgia needs reformation, again.

Any teacher, who took the class, never must forget about the importance of discussing issues, even if they were difficult as the students in the class have differing opinions. As educators we should always be able to debate our profession. The problem we have, as does anything that involves politics, is that we cannot seem to move forward together with the current educational policy. After the past few years, from 2007, in education there are some very large issues that we have to contend with, and they are connected with the students of the secondary schools functioning with their programs, which are very lack from the requirements of the university level, syllabuses of the universities, and teaching and learning in general.

2.1. Critical issues

Critical issues are those issues that are important to education. They are the barriers that get in the way, that we need to focus on in order to move forward and offer better opportunities to our students.

a/ **Common Core State Standards.** The standards that they have led to many hot debates about education, and will continue to do so in future.

b/ **Student Learning.** Student learning is everything encouraging student voice in student learning, and encouraging them have to be a place for larger conversations about their education

c/ **Politics.** Politicians have long mentioned education in their speeches and it seemed to have happened more than ever. Many politicians seem to focus on how schools are failing, and their only solution is standardization, accountability and testing which is more a continuing process of "learn the alphabet" that the secondary schools are provided to teach the alphabet beginning from the first class inclusively to the 12th

d/ **Poverty.** We know, that around 22% of our students are living in poverty. We also know that poverty is an issue that is one of the most critical issues of our time, in and out of schools.

e/ **Pre-service Teaching Programs .** Pre-service programs need to improve because many of the graduates do not seem prepared for the profession. The real current question is how can K-12 schools work with these programs to build a community of learners who are prepared for the profession and university study level? Education faces many critical issues in the frame of the current educational reforms in Georgia and the larger questen should be formulate as: how and when we can solve them? What should we can for it?

3 Ongoing crisis of the education reforms

3.1 The changes of enrolment requirements for university studying (Unified National Exams:

<https://naec.ge/#/ge/post/1493>) (Unified National Exams)

In 2005, the Soviet Education System was replaced with new ones. The introduction of new model of entrance examination is considered one of the most successful reforms in the country. The reform of school and higher university system was provided simultaneously. The model developed and implemented by the National Examination Center is a system based on assessment fair, transparent, unified, meritocratic principles that provide the best of entrants for higher education institutions.

The unified national exams include:

- Standardized selection;
- Complex assessment of skills and knowledge
- State grants to the best students;
- Wide choice.

There is considered the changes that that were provided by years. It means that organizers of Higher Education (HE) Transformation were far from the real essence of HE that is real power of country economics, health of society and country management in whole. The 12 years is continuing this process and we have gained a strange situation with question:

From 2005 to 2017 the changes are presented for reorganization of the Higher Education System but the answers on the very important questions does not fulfilled, yet: what requirements should be presented for enrolment of the future students for providing quality higher education and what requirements are for teaching: how do we have to teach for our students to achieve the need intended learning outcomes and to prepare the specialists for the successful country management. The changes for the period 2005-2017 is indicated below:

- In 2005, all entrants were awarded with 3 compulsory tests: georgian Language and Literature, Foreign Language, general skills. Part of applicants were entrusted with the mathematical examination in accordance with the faculty request;
- In 2006, for all entrants were added 3 exams to the list of elective exams: Natural sciences, history of georgia, social sciences, literature;
- In 2007, applications of the applicants posted on the internet. Applicants can check their their own application and any student can access the internet;
- In 2008, general test translated into Azeri and Armenian. Successfully implemented the Correction System by Computer (eMarker);
- In 2009, minimum competence limit has been increased, correctors have been selected by competition;
- From 2010 satellite funding will be issued on the basis of four exam results;
- In 2011, applicants were able to register electronically;
- From 2012, applicant can register only on the website of the National Examination Center (www.naec.ge). The applicant had the opportunity to choose 21 faculty instead 7. Minimum competence limit for 10% increased medical and legal faculties. Consequently, those willing to apply for medical and legal entitlements be over 35% in three subjects and 30% barrier in foreign language (fourth subject).
- In 2013, applicants had the opportunity to indicate all educational programs in which they had chosen the exams (the number of selection programs was not limited);
- In 2013, the budget of grants allocated for students increased. This amendment made it possible to finance the full course of students' studies (4 years) on 17 specialties in several leading specialism in the state higher education institutions;
Since 2013, all programs have been placed in equal terms and 70% and 50% financing have been made possible and 30% grant has been annulled;
- In 2014, a new approach was elaborated: a list of the listening and list of elective subjects was added to the foreign language tests, fine arts and applied arts;
- In 2015, in the list of elective subjects was added one of the subject of civic education. Besides its, the entrants were able to pass exams on the general skills, chemistry and mathematics in English;
- In 2016, exams were partially electronicized. The fully implement of the exams of an electronic format is in the longer term;
- In 2016-2018 exams were fully electronicized and the fully implement of the exams of an electronic format is realized.

3.2 Some of Results of Research of National Assessment [7] (Cambridge Assessment)

(<http://www.cambridgeassessment.org.uk/insights/the-mathematics-needs-of-higher-education/>)

Based on the data collected and analyzed within the National Assessment in mathematics, NAEC has elaborated a set of recommendations that fall into five categories (National Assessment in mathematics, 2016)

https://naec.ge/uploads/postData/KVLEVEBI/saxelmtsifo_shefaseba-maTematika-2017.pdf pp.259-264:

- National Curriculum;

- General teaching approaches;
- Student attitudes towards mathematics;
- Instruments for teacher professional development;
- School principal as an instructional leader.

And one of the recommendation was given: Constructivist methods should be actively applied in teaching mathematics. Teaching based on perceiving math concepts requires teachers to ensure students' active participation in the learning process. The process should be oriented towards exploration and problem-solving, enhance students' knowledge building and development through stimulating cognitive and meta-cognitive activities.

The perception of mathematics importance and positive attitudes towards math are positively related to better student achievement. They also assist students in professional orientation and in the solving of every day objectives. Therefore, in order to form a positive attitude towards mathematics, it is important to create an environment that changes students', parents' and teachers' stereotypes about mathematics.

Finding from this research according to mathematics: 30.2% of students have successfully solved problems at the average achievement level. This indicates partial knowledge and skills in math for the basic level standard's requirements (**satisfactory performance**). They demonstrate elementary math knowledge, which they can apply in different simple situations; **- 29.3% of students solved problems at the low achievement level, and therefore possess the minimal knowledge in math for the basic level (9th grade) standard's requirements (minimum performance); - 30.3% of students are not able to achieve even the minimum requirements of the National Curriculum (unsatisfactory performance).**

These results have influenced on 12th grade pupils' of public and private schools, also. The differences are not so significant and it is shown by the Table 1. In this case, when a state score of pass for graduation of secondary school pupils' is 5, the total number of pupils which did not graduate secondary school is 43,09% by the years 2010-2018. Accordingly, by the table 2 is shown the results of students' enrollment at the state and private universities and number of graduated students by years. The average number of graduates which did not graduate university studying is 57,9% by the years 2011-2017.

Table 1. The achievement of 12th grade pupils' of public and private schools by years

Year	Number of 12th grade pupils' of public schools	Number of 12th grade pupils' of private schools	Number of 12th grade pupils' of public schools		Percent of 12th grade pupils' of public schools .%		Total number of 12th grade pupils' by public and private schools
			Graduated	Did'nt graduate	Graduated	Did'nt graduate	
2017-2018	35763	3766					39529
2016-2017	35176	3632	18373	20435	52,22	47,78	38808
2015-2016	37781	4229	20955	21055	55,46	44,54	42010
2014-2015	36781	4095	19990	21020	54,35	45,65	40876
2013-2014	34229	3850	18699	19380	54,63	45,37	38079
2012-2013	36330	5617	21521	20426	59,24	40,76	41947
2011-2012	35374	4883	20098	20159	56,81	43,19	40257
2010-2011	44662	5410	31255	18817	69,98	30,02	50072
2009-2010	56895	4301	29941	31255	52,62	47,38	61196
Average					56,91	43,09	

Table 2. The achievements' of state and private universities by years

Year	State Universities				Private Universities				Total	
	Number of students on BA level	Number of students on MA level	Total number of students on BA&MA levels	Total number of graduate students on BA&MA levels	Number of students on BA level	Number of students on BA level	Total number of students on BA&MA levels	Total number of graduate students of BA&MA levels	Number of graduate students of BA&MA levels	Number of graduate students of BA&MA levels
2017	18707	6954	25661	18738	10624	5118	15742	7500	41403	26238
2016	17837	5621	23458	16731	11315	3575	14890	6625	38348	23356
2015	18032	5777	23809	16382	11352	2964	14316	5960	38125	22342
2014	19619	4679	24298	16004	10588	1950	12538	5861	36836	21865
2013	21283	4267	25550	15290	11169	1218	12387	4668	37937	19958
2012	18169	3888	22057	14000	10095	1025	11120	3277	33177	17277
2011	17453	3974	21427	11820	7864	1400	9264	5816	30891	17636
Total									256717	148672
Mean									36673,8	21238,8
%										57,9%

4 Has the crisis passed or is it ongoing?

Globalization of higher education increased, but we are also seeing regionalization of higher education worldwide, starting with the „European experience“, which has increasingly been replicated across different regions. Furthermore, cross-border education, massive open online courses – MOOCs – and the prominence of online and distance education even within national borders has been growing over the past years. The higher education landscape has been subjected to increased competition within and across national borders, especially with its inclusion in the General Agreement on Trade in Services, continuing contraction of public higher education financing and the opening of national borders to an ever more open global labour market. Furthermore, the relevance of higher education has increasingly been questioned in terms of it being a return on investment and its relevance to the labour market. Increased competition and commercialization of higher education has created different standards by which we measure universities' performances and their contributions to society and-or the economy.

Today, the Crisis of educational reforms in Georgia is addressed to the problems of serious political conflict and potential social disruption, the proportion of disadvantaged students—including those in poverty. Nowadays, many papers consider this problem and more, that are connected with the educational reforms process as all levels of government and other constituencies must adhere to a policy agenda which includes the establishment of goals, accountability, resources and technical assistance (Mekvabidze, 2014). It is a fact, that one important question to investigate is the degree to which current education improvement discourses are the consequences of quality research into science teaching and learning, or represent national and local responses to global economic restructuring. The ongoing crisis of the universities illustrates the potential difficulties with implementing new model of educational reforms. The analysis focuses on three areas of acute crisis within the Georgia and EU universities, too:

1. Crisis over the curricula (Carter, 2005; Mekvabidze & Mekvabidze, 2007),
2. Crisis over the regulation of the scope of teaching and learning (Mekvabidze, 2011)
3. Crisis over the integration of the teaching-learning-research by the demands of Bologna process (Mekvabidze & Duruli, 2011).
4. Given the changing context of the higher education landscape and the changing world order – which is now seen to be multi-polar and focused on regions we have to adapt to the changing times and environment
5. Piecemeal approaches are short-term changes and may not be sustainable. Higher education governance, financing, access, quality and the sector's relevance are important but these issues are and continue to form the major challenges in higher education.

Current thinking about learning environment of the 21st century is based on involving of the research elements more intensively and integrate them in the educational process. The researchers must begin to study collaboration in strong

settings because student must include both basic and applied skills and focus them to problem solving and decision making. By the analysis of the transformation of education are indicated some defects and its aspects mostly in two directions:

- Transformation of student enrolment suggested by the National Examination center of Georgia;
- of curricula and syllabi design which could not merge to integrate teaching-learning-research through ICT perfectly, because ICT develops more rapidly, and education does not manage to catch him with the same fast pace.

Recommendation

Education faces many critical issues in the frame of the current educational reforms in Georgia and the larger questions should be formulated as are:

- How and when we can solve them?
- What should we can do for it?

These questions can be solved by integration all our possibilities for realization of integrity of the Education-Science/ (Teaching-Learning-Research) teaching and their success will depend largely on being able to find people to bring together the various individual scientific perspectives, to integrate them in the light of transformation-relevant issues and perspectives and to develop knowledge, but more of these problems are depending on Student's scores for enrollment for University study and real Elective subjects for each specialty stated by National Exam Center for exams.

Bibliography

- Blundell, R., Dearden, L., & Sianesi, B. (2004). *Evaluating the Impact of Education on Earnings in the UK: Models, Methods and Results from the NCDS*. Center for the Economics of Education.
- Cambridge Assessment. (n.d.). *The Mathematics Needs of Higher Education*. Retrieved from <https://www.cambridgeassessment.org.uk/insights/the-mathematics-needs-of-higher-education/>
- Carter, L. (2005). Globalisation and science education: Rethinking science education reforms. *Journal of Research in Science Teaching*, 42(5), 561-580.
- Mekvabidze, R. (2010). Salary Curves: Econometric Research for Gori Region. *The third International conference "Education and Development" of Gori State University*, (pp. 173-177).
- Mekvabidze, R. (2011). The Aspects of Education and Research for Knowledge Creation in the Frame of the Modern Higher Educational Reforms (The Case of Georgia). *International Congress on Knowledge, Economy & Management*. Istanbul.
- Mekvabidze, R. (2013). Responding tomorrows world – following educational reforms in Georgia: Studying trends of transformation of economic education. *5th International conference on education and new learning technologies*, (pp. 10A4). Barcelona.
- Mekvabidze, R. (2014). The Crisis of Higher Education in Georgia: Issues and Problems of Educational Reforms. *EDULEARN14: 6th International Conference on Education and New Learning Technologies* (pp. 5164-5171). Barcelona: IATED Academy.
- Mekvabidze, R., & Duruli, T. (2011). In the Frame of the Educational Reforms in Georgia: In pursuit of Sustainable Learning Environment. *International Conference "The Future of Education"*. Florence. Retrieved from http://www.pixel-online.net/edu_future/acceptedabstracts.php
- Mekvabidze, R., & Mekvabidze, P. (2007). Curricula, Syllabi Design and Teaching Method for the Module of "Quantitative Economic Methods and Models". *4th International Silk Road Symposium "New Trends in Higher Education"*, International Black Sea University by supported of the Ministry of education and Science of Georgia (pp. 317-323). Tbilisi: International Black Sea University.
- National Assessment in mathematics*. (2016). Retrieved from https://naec.ge/uploads/postData/KVLEVEBI/saxelmtsifo_shefaseba-maTematika-2017.pdf
- Saxton, J. (2000, January). *Investment in Education: Private and Public Returns*. Retrieved from <http://www.house.gov>
- Unified National Exams. (n.d.). Retrieved from <https://naec.ge/#/ge/post/1493>
- Woodhall, M. (2007). *Funding Higher Education: The Contribution of Economic Thinking to Debate and Policy Development*. Washington D.C: The World Bank. Retrieved September 14, 2018, from http://siteresources.worldbank.org/EDUCATION/Resources/278200-1099079877269/547664-1099079956815/Funding_HigherEd_wps8.pdf

სახვითი ხელოვნების ნიმუშების ფორმისა და შინაარსის მთლიანობაში აღქმის უნარების განვითარება დაწყებით საფეხურზე

საკვანძო სიტყვები: სახვითი, მხატვრული, აღქმა, უნარები, მოზარდი.

ანოტაცია

ნაშრომში განხილულია, შეუძლია თუ არა მოზარდს ხელოვნების ნიმუშის ფორმა-შინაარსის ერთიანი აღქმა და რა კონკრეტული პედაგოგიური გზები უნდა მოიძებნოს ამგვარი უნარის შემდგომი განვითარებისათვის თუკი ასაკობრივ-ფსიქოლოგიური თავისებურებანი ამის შესაძლებლობას იძლევა.

დაწყებით საფეხურზე ხელოვნების, როგორც სასწავლო-აღმზრდელობითი დარგის პედაგოგიურ პოტენციალს მისი თვალსაჩინო-სახეობრივი ბუნება განსაზღვრავს. უმცროსკლასელებში, მათი ასაკობრივი თავისებურებიდან გამომდინარე, თვალსაჩინო-პრაქტიკული აზროვნება და სამყაროს ემოციური აღქმა სჭარბობს, ამიტომ მათთვის მნიშვნელოვანია აღმოჩენაზე, კეთებაზე, დაკვირვებაზე დაფუძნებული აქტივობა, რასაც კარგად მიესადაგება სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების შესწავლის სპეციფიკა.

სახვითი ხელოვნება „ესთეტიკური ციკლის“ ერთ-ერთი წამყვანი დისციპლინაა სკოლაში და მის სწავლებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოზარდი თაობის მხატვრულ-ესთეტიკური განვითარებისათვის. მოზარდთა მხატვრული გემოვნების განვითარების პედაგოგიური პროცესის ორგანიზაციის საფუძველს უნდა წარმოადგენდეს სასწავლო პროცესში მოსწავლის ემოციური აქტივობების გამოწვევა, რადგან, როგორც სპეციალური გამოკვლევები მოწმობს, ამა თუ იმ მიმართულებით პიროვნების ფორმირება შესაძლებელია მხოლოდ საკუთრივ მისივე აქტივობის მეოხებით. ამ მიზნით კი მნიშვნელოვანია სახვითი ხელოვნების ნიმუშების ფორმისა და შინაარსის მთლიანობაში აღქმის უნარების განვითარება.

მეორე და უმნიშვნელოვანესი გარემოება პედაგოგიური პროცესის ორგანიზაციული სრულყოფის თვალსაზრისით ისაა, რომ მხატვრული გემოვნების ფორმირებაში ძირითადი მართიენტირებელი როლი უნდა იკისროს სწავლების პროცესმა. მოცემულ შემთხვევაში ვიზიარებ და ვეყრდნობი ლ. ვიგოტსკის ცნობილ თეორიას სწავლებისა და განვითარების თაობაზე, რომლის მიხედვითაც ბავშვებში იმთავითვე არსებული შინაგანი შესაძლებლობების ასამოქმედებლად აუცილებელია განმავითარებელი სწავლების უზრუნველყოფა და თანაც იმ ანგარიშით, რომ „სწავლება წინ უსწრებდეს განვითარებას“. (Выготский, 1967, стр. 67)

აქედან გამომდინარე, პედაგოგიური პროცესის დაგეგმვისას საჭიროდ მიმაჩნია მისი შინაარსის ისეთი ორგანიზაცია, როდესაც სწავლების პროცესში სახვით და გამოყენებით ხელოვნებასთან მოზარდის შეხვედრას აშკარად გამოკვეთილი ხასიათი აქვს, როდესაც იგი სისტემატურად იწაფება ესთეტიკურ ფასეულობათა კრიტიკული ანალიზის ჩვევების საშუალებით, როდესაც ცდილობს დაასაბუთოს და სხვისთვისაც ნათელი ან მისაღები გახადოს საკუთარი დადებითი თუ უარყოფითი შეხედულებები. მხოლოდ ამ გზითაა შესაძლებელი მხატვრული გემოვნებისათვის აუცილებელი კომპონენტების გამომუშავება. ეს უკანასკნელი ა. ბუროვის სამართლიანი შენიშვნით წარმოადგენს „პიროვნების შედარებით მყარ თვისებას, რომელშიც ესთეტიკური ინფორმაციის საშუალებით განმტკიცებულია ის შინაგანი ნორმები და განწყობები, რაც საფუძველად ედება ესთეტიკურ შეფასებას“ (Буров, 1975, стр. 120), რადგან ადამიანის მხატვრული გემოვნება მისი შეფასებით მსჯელობებში ვლინდება. ეს უკანასკნელი განსაკუთრებული პედაგოგიური ყურადღების საგანი უნდა გახდეს, რათა იგი რაც შეიძლება სრულად გამოხატავდეს განვითარების რეალურ მდგომარეობას და ამავე დროს, თვის მხრივ, ხელს უწყობდეს პირივე თვისებათა ჩამოყალიბების პროცესს.

იმვიათია ბავშვი, რომელსაც ხატვა, ძერწვა, აპლიკაცია ან სურათების დათვალიერება არ იტაცებს. ინტერესის ამგვარი ხასიათი სკოლის დაწყებითი საფეხურიდანვე სახვითი ხელოვნების, როგორც სასწავლო დისციპლინისადმი მოსწავლის დადებითი ემოციურ-ესთეტიკური დამოკიდებულებების ფორმირების საფუძველი ხდება.

კვლევის მიზანს შეადგენდა მოზარდთა მხატვრული გემოვნების განვითარების მიზნით სახვითი ხელოვნების ნიმუშების ფორმისა და შინაარსის მთლიანობაში აღქმის უნარების განვითარება დაწყებითი საფეხურზე.

კვლევის წინაშე დასახული ძირითადი ამოცანების გადაჭრისას გამოვდიოდი ზოგადპედაგოგიური პრინციპიდან, რომლის მიხედვითაც პროცესის ცალკეული მხარეების ფორმირება-განვითარება წარმატებით ხორციელდება პროცესისადმი თანმიმდევრული და მიზანმიმართული პედაგოგიური ხელმძღვანელობის პირობებში. ეს უკანასკნელი კი გულისხმობს თვით პროცესის ორგანიზებულ შინაარსობრივ გამართვას მეცნიერულად შემოწმებული თეორიული დებულებებისა და პრაქტიკული მეთოდ-ხერხების გამოყენების გზით.

მოზარდთა ესთეტიკური გემოვნების განვითარების პროცესისთვის საყრდენს წარმოადგენს ის ესთეტიკური აქტივობა, რომელსაც დაწყებით საფეხურზე მოსწავლეები ავლენენ სახვითი ხელოვნების ნიმუშებთან ურთიერთობის პროცესში. ეს აქტივობები კი, როგორც ცნობილია, ლოგიკურად აღმოცენდება ასაკობრივი ფაზის დადგომასთან დაკავშირებით და ახასიათებს მოზარდის მხრიდან დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვა და კრიტიკული აზროვნების განვითარება, ახალ შთაბეჭდილებათა მისაღებად ხელოვნების ნაწარმოებში ჩადრმავების სურვილი და ა. შ. ამიტომ ვთვლით, რომ აღნიშნული ბაზა არის აუცილებელი პირობა ხელოვნების აღქმაში გავარჯიშებისა და შეფასებით მსჯელობათა გაძლიერების გზით მოზარდთა მხატვრული გემოვნების განვითარებისათვის.

ცნობილია, რომ „მხატვრული ნაწარმოები თავიდანვე ბავშვის წინაშე, არ წარმოსდგება, როგორც მხატვრული „ობიექტი“. ასეთად რომ იქცეს, მანამ საჭიროა იგი იქნას გააზრებული, ანუ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით თუ ვიტყვით იგი უნდა იყოს „გასაგები ობიექტი“. (Теплов, 1947, стр. 5) თუ აღნიშნულ დებულებას გავიზიარებთ, მაშინ ნათელი გახდება, რომ მხატვრული გემოვნების განვითარების პროცესისადმი პედაგოგიური ხელმძღვანელობა უთუოდ იმას უნდა ნიშნავდეს, რომ სახვითი ხელოვნების ნიმუშები გასაგები და ამით მისაღებ ობიექტად ვაქციოთ მოსწავლეთათვის. მხოლოდ ამ გზითაა შესაძლებელი საფუძველი ჩაუყაროთ ემოციურ-შეფასებითი შინაარსის დამოკიდებულებას, ხოლო თვით ურთიერთობის პროცესს მივცეთ აშკარად გამოკვეთილი კრიტიკული მსჯელობის ხასიათი.

სახვითი ხელოვნების ნიმუშების ფორმისა და შინაარსის მთლიანობაში აღქმა და მათი მეტ-ნაკლებად სწორი შეფასება მოზარდისგან მოითხოვს გარკვეული პრაქტიკულ გამოცდილებას. ხელოვნების ცალკეულ სახეებთან თუ ნიმუშებთან მანამდე არსებულ შეხვედრების საფუძველზე მოზარდს უნდა ჰქონდეს ცოდნის რაღაცა გარკვეული დონე, შეფასებითი მსჯელობის გარკვეული მარაგი, რომელთა გამოყენებით იგი გამოხატავდა გამოკვეთილ პოზიციას - მოსწონს თუ არა ეს კონკრეტული ნაწარმოები. მოზარდების ქცევა-საქმიანობასა და მათ მსჯელობებზე პრაქტიკული დაკვირვება ადასტურებს, რომ რაღაც გარკვეული გამოცდილება ამ მიმართებით მართლაც გააჩნიათ, მაგრამ იმდენად ღარიბია, ცოდნა კი მწირი და უსისტემო, რომ მათ მიერ მიერ გაკეთებული შეფასებები მაინც მხოლოდ და მხოლოდ უშუალო შთაბეჭდილებებს გამოხატავს და ნაუცბათევე რეაქციებს იქით არ მიდის. ეს გარემოება კი ნათლად წარმოაჩენს პედაგოგიური ხელმძღვანელობის კონკრეტული მიმართულების განსაზღვრის ორიენტირსაც. კერძოდ საჭიროა სახვითი ხელოვნების ცალკეული ნიმუშების აღქმა შეფასების მეთოდიკური ასპექტების იმგვარი სახის შემუშავება, რომელიც მოზარდებს საშუალებას მისცემს რაც შეიძლება სწრაფი ტემპით დაძლიონ ჩამორჩენა წინა კლასებში რომ ჰქონდათ. ამგვარი პრობლემის დამუშავება კარგა ხანია მიმდინარეობს. არსებული გამოცდილების ანალიზი კი ადასტურებს, რომ ამგვარი მეთოდიკის დამუშავება უნდა დაეყრდნოს მოსწავლეთა მიერ გარკვეული ცოდნა-ჩვევების დაგროვება-განვითარებას, შეფასებითი მსჯელობების მარაგის ათვისებას, ხელოვნების ნაწარმოებთა ფორმა, შეიძლება შინაარსის მთლიანობაში აღქმის ჩვევის განვითარებასა და სტილური ელემენტების გაცნობიერების ტენდენციას.

ჩვენ უშუალო მიზანს იმის გარკვევა წარმოადგენდა, შეუძლია თუ არა მოზარდს ხელოვნების ნიმუშის ფორმა-შინაარსის ერთიანი აღქმა და რა კონკრეტული პედაგოგიური გზები უნდა მოიძებნოს ამგვარი უნარის შემდგომი განვითარებისათვის თუკი ასაკობრივ-ფსიქოლოგიური თავისებურებანი ამის შესაძლებლობას იძლევა. ზოგადად ჩვენთვის იმთავითვე ნათელი იყო, რომ მოზარდისათვის ხელოვნების ამა თუ იმ ნაწარმოებში გადმოცემული მოვლენის აღქმა-შეფასება დაუძლეველ მოვლენას არ წარმოადგენს. მაგრამ საკითხი აქ უფრო რთულად დგას. კერძოდ შეიძლება კი იმის, რასაც ხელოვნების ნიმუშებში გადმოცემული მოვლენის მოზარდისეული აღქმა-შეფასება ჰქვია, საზოგადოდ მხატვრულ-ესთეტიკური აღქმა ეწოდოს? ცხადია, რომ აღქმის ეს პროცესი საკმაოდ პრიმიტიულია თავისი შინაარსით და იგი შორს დგას ჭეშმარიტი მხატვრული აღქმისაგან. მაგრამ აქ არსებითად, გასაკვირველი არც არაფერია. ჩვენ ვთვლით, რომ მოზარდის მხატვრული აღქმა ეს სწორედ ისაა, რაც მის რეალურ

შესაძლებლობებს არ აღმატება და ამდენად მასზე მსჯელობისას სწორედ კონკრეტული გარემოებებიდან უნდა გამოვდიოდეთ.

სპეციალისტებმა კარგა ხანია შენიშნეს, რომ ჩვეულებრივ მეტყველებაში ადამიანები ტერმინ „აღქმას“ ორი მნიშვნელობით ხმარობენ: „ჩვენ ვლაპარაკობთ, - წერდა პ. იაკობსონი, - აღქმაზე სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით, რომლის ქვეშაც ვგულისხმობთ გრძნობის ორგანოების მიერ საგანთა აღქმის კონკრეტულ ფაქტს და ვლაპარაკობთ აგრეთვე აღქმაზე ტერმინის ფართო გაგების ფარგლებში. ამ დროს, ანუ საგნის შედარებით ხანგრძლივი აღქმის პირობებში ადგილი აქვს აზროვნების სხვადასხვა აქტებს, რომელიც მიმართულია ობიექტთა თავისებურებებს შორის არსებულ კანონზომიერებათა გარკვევაზე. მხატვრული აღქმა მიეკუთვნება ტერმინ „აღქმის“ ფართო გაგებას, რადგან ხელოვნების აღქმის პროცესი დაკავშირებულია აზროვნებისა და განცდის მრავალმხრივ პროცესებთან“. (Якобсон, 1971, стр. 67)

მხატვრული აღქმა ორმხრივი პროცესია და ამდენად მისი განხორციელებისათვის საჭიროა როგორც აღქმის ობიექტი, ასევე აღქმის სუბიექტი. აქედან გამომდინარე, მხატვრული აღქმის პროცესის შესახებ რთული წარმოდგენის შემუშავება ნიშნავს ამომწურავი ინფორმაცია გვექონდეს როგორც ერთის, ასევე მეორეს ირგვლივ.

კვლევის პროცესში მოსწავლეებს ვთავაზობდით მხატვართა ნამუშევრების რეპროდუქციებს და ვთხოვდით მოეხდინათ მათი ანალიზი წერილობითაც და ზეპირადაც. პირველ ეტაპზე მოსწავლეები ერთგვარი სიფრთხილით ეკიდებოდნენ დავალებას, ანუ პასუხობდნენ სიტყვაძუნწად, მაგრამ შემდგომში თანდათანობით გათამამდნენ და სრულად ავლენდნენ საკუთარ მომზადებას აღნიშნულ სფეროში. მოსწავლეთ ზეპირი პასუხებისა და მათ მიერ გაკეთებული წერილობითი ჩანაწერების ანალიზი სრულად ავლენს როგორც საკუთრივ მოზარდთა ასაკობრივ-ფსიქოლოგიური მონაცემებით შეპირობებულ აღქმის დონეს. ასევე თვით ხელოვნების ნიმუშების სპეციფიკით განპირობებულ მახასიათებელთა მაორიენტირებელ თავისებურებებს. მოკლედ შევჩერდებით ამ უკანასკნელზე.

ცნობილია, რომ სახვითი ხელოვნების ნიმუშებში გარკვეული მხატვრული ხერხებითა და საშუალებებით გადმოცემულია ჩვენ გარშემო არსებული საგნები და მოვლენები, ხალხთა ისტორიული წარსული, ყოფისათვის დამახასიათებელი ელემენტები, ფანტასტიკური სიუჟეტები, ბუნების თვალწარმტაცი სურათები. ხელოვანს ყველაფერი ეს გადმოცემული აქვს მხატვრული სახეების მეშვეობით, იგი არა მარტო ასახავს იმას, რასაც ხედავს, არამედ მასში შეაქვს საკუთარი რწმენა-წარმოდგენები და მშვენიერების შესახებ განზოგადებული შეხედულებები. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ადამიანი, კერძოდ, მოზარდი, ხელოვნების აღქმის პროცესში უნდა ახერხებდეს განზოგადებული მხატვრული ინფორმაციის მიღებას მხატვრული სახის ანალიზის გზით. მოზარდი აღქმის პროცესზე დაკვირვებით ადასტურებს, რომ ამგვარი ჩვევა ჯერ კიდევ არ გააჩნიათ, თუმცა განვითარების ასაკობრივ-ფსიქოლოგიური ფონი უკვე იძლევა იმის საშუალებას, რომ პედაგოგიურ მუშოობაში მთლიანი აღქმის ჩამოყალიბებისათვის ზრუნვამ თავისი ადგილი დაიჭიროს. ჩვენ მიერ ჩატარებულმა ექსპერიმენტულმა დაკვირვებამ დაადასტურა ფსიქოლოგთა მონაცემები იმის თაობაზე, რომ მესამე კლასის ბოლოს და განსაკუთრებით მეოთხე კლასიდან მოზარდებში შეიმჩნევა გარკვეული სწრაფვა სახვით ხელოვნებასთან, ასე ვთქვათ, ინტელექტუალური ურთიერთობა დაამყარონ. ეს იმაში გამოიხატება, რომ მოზარდები მისწრაფებას ამჟღავნებენ სახვითი ხელოვნების შესახებ თეორიული ცოდნა დააგროვონ და მათ ირგვლივ იმსჯელონ. ისინი აგროვებენ მხატვართა ნამუშევრების რეპროდუქციებს, ახდენენ მათ გარკვეულ კლასიფიკაციას, სიამოვნებით ათვალისწინებენ გამოფენებს, ალბომებს ილუსტრაციულ კომპლექტებს თუ სლაიდებს. ამგვარ ურთიერთობაში მოსწავლეთა ინტერესებთან ერთად კარგად იკვეთება მათი მხატვრული აღქმის დონეც. როგორც დაკვირვება ადასტურებს, მოზარდები უმეტესწილად ძირითადად ყურადღებას უთმობენ სურათის შინაარსობრივ მხარეს. განსაკუთრებით გამოყოფენ მის რომელიღაც დეტალს და ამაზე აგებენ მთელ თავის მსჯელობას. მათ ყურადღების გარეთ რჩებათ სხვა დეტალები, რომ აღარაფერი ვთქვათ სურათის მთლიანობაზე ანუ მის მხატვრულ ფორმაზე. ეს გარემოება კი ნათელს ხდის, რომ ფორმა-შინაარსის მთლიანობაში აღქმა მოზარდებს ჯერ კიდევ არ ძალუძთ. ამრიგად ჩვენმა დაკვირვებამ ძირითადად დაადასტურა ფსიქოლოგიის მეცნიერების მონაცემები აღნიშნული საკითხის ირგვლივ.

„რაც შეეხება, - წერს დ. უზნაძე, - ფორმისა და შინაარსის მთლიანობის კრიტერიუმს, ე.ი. სწორედ იმას, რაც ესთეტიკურად განვითარებულ ზრდადამთავრებულს მიაჩნია მხატვრული გამოთქმის შესაბამის საფუძვლად საზოგადოდ, ის მხოლოდ 12 წლის ასაკში იჩენს თავს და ამის შემდეგ სულ უფრო ხშირად გვხვდება, ხოლო სიჭაბუკის ხანაში ესთეტიკური შეფასების გაბატონებულ კრიტერიუმად იქცევა“. (უზნაძე, 1967, გვ. 533) მოზარდთა მხატვრული განვითარების პროცესზე დაკვირვების პრაქტიკა ადასტურებს, რომ ხელოვნების ნაწარმოებთა აღქმის პროცესს ხშირ შემთხვევაში არაესთეტიკური მომენტები ფარავენ ან, უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, მას ცალმხრივ ხასიათს აძლევენ. საქმე იმაშია, რომ მოზარდი ლიტერატორული აღქმის პროცესის გამოცდილების გათვალისწინებით უმეტესწილად

სახვითი ხელოვნების ნიმუშის შინაარსობრივ მხარეს მოსდევს და ყურადღების გარეშე ტოვებს ფორმის მხატვრულ მხარეებს. აქ თავს იჩენს საფრთხე, რომელიც კარგად შენიშნა დ. უზნაძემ „ის გარემოება, რომ ლიტერატურულ ნაწარმოებს არ შეიძლება სიუჟეტი არ ჰქონდეს, ესთეტიკური განვითარების დაბალი დონის მკითხველისათვის სახიფათო გარემოებად ქცევა. იგი მას იტაცებს, მის ყურადღებას მთლანად ატყვევებს და წმინდა ესთეტიკური შეფასების შესაძლებლობას უკარგავს. განსაკუთრებით უნდა ითქვას სასკოლო ასაკის მოზარდების შესახებ, რომელთაც გარდა ესთეტიკური განვითარების დაბალი დონისა, სწორედ საგნობრივი შინაარსეული ინტერესის მძლავრი იმპულსი ახასიათებთ“. (უზნაძე, 1967, გვ. 534) მიგვაჩნია, რომ ის, რაც აქ ნათქვამია ლიტერატურის მიმართ, მთლანად და სრულად მიესადაგება მოზარდების მიერ სახვითი ხელოვნების ნიმუშების აღქმის პროცესსაც. ამდენად აღნიშნული ნაკლოვანების დასაძლევად გამიზნული მუშაობა ისეთნაირად უნდა აიგოს, რომ ერთი მხრივ მინიმუმამდე დავიდეს აღქმის პროცესის საგნობრივ-შინაარსეული მიმართულება, ხოლო მეორე მხრივ კი ეს პროცესი შეივსოს ცოდნა-გამოცდილების იმგვარი პრაქტიკით, რომელიც მოზარდს გაავარჯიშებს ფორმა-შინაარსის წვდომაში, გაუიოლებს მას გამოსახვის მხატვრული საშუალებების მნიშვნელობის წვდომას.

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ მოზარდთა აბსოლუტური უმრავლესობა, განსაკუთრებით მეხუთე-მეექვსე კლასებში ხელოვნების ნიმუშების აღქმისას ერთმანეთისაგან არ ანსხვავებს რეალურ და მხატვრის მიერ შექმნილ სინამდვილეს. ისინი სურათზე საუბრისას ისეთნაირად მსჯელობენ თითქოს ბუნებაში, ქუჩაში ან სხვაგან, სადმე, რეალურ გარემოში მოქმედებდნენ. იშვიათია შემთხვევა, რომ რომელიმე მათგანმა ამა თუ იმ მხატვრის მიერ შესრულებულ ნამუშევარზე მსჯელობა დაიწყოს სიტყვებით „აქ მხატვარმა გადმოსცა“ და ა. შ. მოზარდების მსჯელობა პირდაპირ მოვლენის შინაარსის გახსნით იწყება: „დადგა შემოდგომა, ხეებს ფოთოლი სცვივით...“ ან კიდევ: „ქალაქის ქუჩა სავსეა მანქანებით...“ ანდა: „ტრაქტორისტები მინდორში გავიდნენ“ და ა.შ.

საგულისხმოა, რომ მოზარდების მიერ ხელოვნების ნიმუშის შეფასება უმეტეს შემთხვევაში ცალმხრივია და უშუალოდ გამომდინარეობს აღქმის პროცესში მათ მიერ ცალკეული დეტალებისადმი ყურადღების კონცენტრაციის მომენტიდან. ბევრ მათგანს ხელოვნების ესა თუ ის ნიმუში მოსწონს იმის გამო, რომ უყვარს ბუნება, სხვები კი განსაკუთრებულ ინტერესს იჩენს სპორტისადმი, ცხოველთა სამყაროსადმი და ა.შ. შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ მოსწავლეთა მიერ სახვითი ხელოვნების ნიმუშების აღქმის პროცესში გამოვლენილი ნაკლოვანებები თუ თვისებურებები ტიპიურია მთელი მეოთხე - მეექვსე კლასებისათვის. ამასთან მდგომარეობა ერთნაირია როგორც წერილობით, ასევე ვერბალურ მსჯელობებში. თუმცა ამ უკანასკნელში ხშირად ადგილი აქვს მოჭარბებულ ემოციურ განწყობილებებს და მისი გამომხატველი დეტალების ხაზგასმას.

აქედან გამომდინარე, სახვითი ხელოვნების ნიმუშების ფორმისა და შინაარსის მთლიანობაში აღქმის მიზნით სახვითი ხელოვნების გაკვეთილებზე ფართო გასაქანი უნდა მიეცეს შეფასებითი მსჯელობების და მათი დასაბუთების პრაქტიკას. განსაკუთრებული ყურადღება ესაჭიროება ხელოვნების ნიმუშების ზეპირი, წერილობითი და კოლექტიური გარჩევა-ანალიზის თანაფარდობის დაცვას. მუშაობის ამ ფორმებში წამყვანი უნდა იყოს წერილობითი შეფასებები და მათი კოლექტიური განსჯის პრაქტიკა.

ბიბლიოგრაფია:

- საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო. *დაწყებითი საფეხურის ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა 2018-2024*. მოძიებულია ვებგვერდიდან: www.mes.gov.ge
- უზნაძე, დ. (1967). *შრომები* (ტ. 5). თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.
- Буров, А. И. (1975). *Эстетика: проблемы и споры*. Москва: Искусство.
- Выготский, Л. С. (1967). *Воображение и творчество в детском возрасте: психологический очерк* (изд. 2). Москва: Просвещение.
- Теплов, Б. М. (1947). *Психология музыкальных способностей*. Москва-Ленинград: АПН РСФСР.
- Якобсон, П. М. (1971). *Психология художественного восприятия*. Москва: Искусство.

Nodar Mirazanashvili
Gori State Teaching University

**THE DEVELOPMENT OF OVERALL PERCEPTION OF FORM AND CONTENT OF THE FINE
ARTWORK ON THE ELEMENTARY LEVEL OF EDUCATION
RESUME**

The Fine Arts is one of the leading disciplines of “Aesthetic Cycle”. It is extremely important to teach this subject for the artistic and aesthetic development of children.

The purpose of this research is development of artistic taste and overall perception of the form and content of the fine artwork among the fourth through sixth-grade students.

The basis for the process of development of aesthetic taste is the aesthetic activity that is expressed by the elementary level students while dealing with the fine artworks. The activities logically arise in line with age phases of students when a strive for freedom and critical thinking progresses.

It should be highlighted that evaluation of artwork is one sided that results from perception process from the moment of concentration on the specific details of the artwork. Therefore, for the overall perception of the form and content of the fine artworks, at the Fine Art Class, the focus should be given to evaluative discussions and evidence giving practices. Appropriate attention should be given to protection of proportion of verbal and written analysis as well as the collective discussions of the fine artwork where the written analysis and collective discussions prevail.

Keywords: Fine, Artistic, Perception, Skills, Adolescent.

ლელა რეხვიაშვილი
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გამომსახველობითი საქმიანობა არტპედაგოგიაში: ხატვა, ძერწვა

საკვანძო სიტყვები: არტპედაგოგია, არტთერაპია, არტპედაგოგის ტექნოლოგიები, ხატვითი თერაპია, ძერწვითი თერაპია.

განვითარების თანამედროვე ეტაპზე არტპედაგოგია პედაგოგიური ხელოვნების განსაკუთრებულ მიმართულებად გვევლინება, რომელიც ღრმად ახდენს თავის რეალიზებას ადამიანური საქმიანობის ორ ურთიერთდაკავშირებულ სფეროში: მეცნიერებასა და პრაქტიკაში.

დღევანდელი მკვლევრებისა და პრაქტიკოსების არტპედაგოგიური საქმიანობის ძირითად არეალად შეგვიძლია მივიჩნიოთ საგანმანათლებლო სივრცეში ზნეობრივ-ესთეტიკური ურთიერთქმედების სისტემის შექმნა ისეთი მეცნიერებების გაერთიანების საფუძველზე, როგორცაა პედაგოგია, ფსიქოლოგია, ხელოვნებათმცოდნეობა, აგრეთვე თავად პედაგოგების მიერ საგანმანათლებლო პროცესის მონაწილეთა დამოუკიდებელი მხატვრული შემოქმედების ორგანიზება.

სრულიად განსაკუთრებულია არტპედაგოგის მნიშვნელობა ინკლუზიურ განათლებაში. ის აძლევს შესაძლებლობას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებს (შემდეგში სსსმ) ისწავლონ საჯარო სკოლაში, ჩაერთონ შემოქმედებით პროცესში მასწავლებელთან და თანატოლებთან, აფართოვებს მათ სოციალურ გამოცდილებას, ასწავლის ადეკვატურ ურთიერთობას ერთობლივ საქმიანობაში, ხელს უწყობს თავიანთი მონაცემების განვითარებას და სკოლაში წარმატების მიღწევას, უზრუნველყოფს კომუნიკაციური სფეროს დარღვევის კორექციას.

არტპედაგოგია ეფუძნება ხელოვნების საშუალებებს და მხატვრულ-შემოქმედებით საქმიანობას თავისი განმავითარებელი და აღმზრდელობითი პოტენციალით.

არტპედაგოგის არსი მდგომარეობს მის აღმზრდელობით ფუნქციაში. ის ზემოქმედებს პიროვნების ზნეობრივ-ეთიკურ, ესთეტიკურ, კომუნიკაციურ-რეფლექსურ საწყისებზე და ხელს უწყობს სოციოკულტურულ ადაპტაციას ხელოვნების საშუალებით. გარდა ამისა, არტპედაგოგია ეხმარება

ბავშვებს თავიანთი ფსიქოლოგიური პრობლემების დაძლევაში, ემოციური წონასწორობის აღდგენაში, უარყოფითი განცდებიდან დადებით გრძნობებსა და ფიქრებზე გადართვაში, ანუ ასრულებს ფსიქოთერაპიულ ფუნქციასაც. (Осипова & Уфимцева, 2006)

აქ გასათვალისწინებელია, რომ არტპედაგოგიკაში ხელოვნება არ წარმოადგენს საქმიანობის ერთადერთ მიზანს, არამედ გვევლინება პროფესიული ამოცანების გადაწყვეტის საშუალებად. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, არტპედაგოგიური თეორია და პრაქტიკა ხელოვნების საშუალებების დახმარებით წყვეტს პროფესიულ პედაგოგიურ ამოცანებს სერიოზულ მხატვრულ განათლებაზე პრეტენზიების გარეშე.

არტპედაგოგიკა გულისხმობს საგანმანათლებლო პროცესში ხელოვნების გამომსახველი საშუალებების გამოყენებას, მასწავლებლისა და მოსწავლის ერთობლივ მხატვრულ შემოქმედებას „ჩაქსოვილს“ სასწავლო თუ კლასგარეშე მუშაობის მრავალფეროვან სახეებში.

არტპედაგოგიკაში განვითარებისა და აღზრდის მიზნები აღემატება დიდაქტიკურ მიზნებს. პედაგოგისა და მოსწავლის ერთობლივი შემოქმედებითი ურთიერთობა მნიშვნელოვნად ზრდის ბავშვის ემოციურ-პიროვნული განვითარების ეფექტურობას, ხელს უწყობს თვითშემეცნების, თვითგანვითარების, სრულყოფისა და თვითრეალიზაციის პროცესს.

მეორე მხრივ, არტპედაგოგიური მეთოდის გამოყენება მასწავლებელს აძლევს საშუალებას უკეთ გაუგოს ბავშვებს, გახსნას მათი პიროვნული და შემოქმედებითი პოტენციალი, მათი ფსიქოლოგიური თავისებურებები. მასწავლებლისთვის ეს მეტად საჭირო ინფორმაციაა, რომელიც დაეხმარება მას მოსწავლეთა აღზრდისა და განვითარების პროცესის ეფექტურობის ამაღლებაში. (Муромцева)

მეცადინეობის აუცილებელი შემადგენელია - პედაგოგის მხრიდან ბავშვის სრული მიღება და მხარდაჭერა. პედაგოგი კეთილგანწყობილი უნდა იყოს ბავშვების მიმართ, მოეკიდოს მათ გაგებით და პატივისცემით, იყოს მომთმენი, ყურადღებიანი, გულისხმიერი და თავშეკავებული; გულმოდგინედ დაგეგმოს ყოველი მეცადინეობა იმისთვის, რომ ის იყოს მათთვის საინტერესო და მიმართული ემოციურ-ნებელობითი სფეროს კორექციაზე; მეცადინეობის მომზადებისა და ჩატარებისას გაითვალისწინოს მოსწავლეთა ინდივიდუალურ-ფსიქოლოგიური თავისებურებები; განავითაროს მიზანდასახულობა წარმატებაზე ბავშვის თვითშეფასების აწევისა და დაწევის გარეშე; ხელოვნების რომელიმე სახის მიმართ მოსწავლის ინტერესის დაკარგვის შემთხვევაში - გადავიდეს სხვაზე, არ აიძულოს ძალით მუშაობა. (Артпедагогика - 2)

არტპედაგოგიკაში გამოყენებული საქმიანობის რომელი სახეებია განსაკუთრებით ეფექტური კორექციულ მუშაობაში?

ჩვენი ღრმა რწმენით, ბავშვთათვის განსაკუთრებულად ახლო, მისაღები და საყვარელია გამომსახველობითი საქმიანობა - ხატვა და ძერწვა.

ნებისმიერ ბავშვს შეუძლია, უბრალოდ ხატოს, ძერწოს, შექმნას ხელოვნების ნაწარმოები და ამით უდიდესი სიამოვნება მიიღოს. სიამოვნების განცდას და შემოქმედებას თავისთავად აქვს ძლიერი გამაჯანსაღებელი, არტთერაპიული ეფექტი.

არსებობს ასეთი გამოთქმა: „ვხატავთ იმას, რასაც ვერ გამოვთქვამთ“. ეს სიტყვები განსაკუთრებით ზუსტია ბავშვებთან მიმართებით, რომლებსაც ჯერ კიდევ არ შეუძლიათ საკუთარი განცდების ასოციაციური აზროვნებით გამოხატვა. ამ დროს მოსწავლე სრულიად თავისუფალია წესებისგან, ცოდნისგან და ნამუშევრები დაბადებულია ღრმა შინაგანი აუცილებლობით. ამ ტექნიკების საშუალებით ადამიანის სულში უნდა გაიხსნას სადინარები და გადმოედინოს ზოგიერთი ისეთი მივიწყებული, ადრეული გამოცდილების ტრავმა, რომლებიც ცნობიერად არასოდეს გაუაზრებია. (ციბალაშვილი, 2017)

ხატვით თერაპია რეკომენდებულია ისეთი პრობლემების დროს, როგორებიცაა ანორექსია, ასთმა, დეპრესია, სიმსივნეები, სისხლძარღვებისა და სახსრების სკლეროზული დაავადებები, ნივთიერებათა ცვლის დარღვევა გამყარების ტენდენციით, ნეიროდერმიტი, აკვიატება.

ძერწვით თერაპია გამოიყენება ფიზიკური და ფსიქიკური ფორმების დაკარგვის, დეფორმირების, საზღვრების პრობლემის, სივრცეში ორიენტაციის შესუსტების დროს, ასევე - ქრონიკული ანთებითი დაავადებების, შიშისა და მოუსვენრობის, პანიკის, მწვავე და ქრონიკული ფსიქოზების, დეზორიენტაციის და ბულიმიის შემთხვევაში. (ხელოვნებით მკურნალობა, 2016)

განვიხილოთ და დავახასიათოთ გამომსახველობითი საქმიანობის ეს ტექნოლოგიები, მათი სახეები, დადებითი და უარყოფითი თვისებები და გამოყენების თავისებურებები.

❖ *ძერწვა.*

თიხა. ძალიან ხშირად რეკომენდებული პლასტიკური მასალაა ბავშვებთან სამეცადინოდ.

- ჯერ ერთი, თიხა ბუნებრივი მასალაა, ეს კი ნიშნავს, რომ ზემოქმედების თერაპიული ეფექტი უკვე მასშია.

- მეორე, თიხა პლასტიკური და ადვილად დასამუშავებელი მასალაა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ბავშვებთან მუშაობაში.

- მესამე, ნაკეთობასთან გადადებული ქმედების შესაძლებლობა. (გაფერადება გაშრობის შემდეგ).

ერთადერთი, რის გამოც ზოგიერთი ბავშვი უარს ამბობს თიხასთან ურთიერთობაზე - დასვრის შიშითაა გამოწვეული.

პლასტელინი. დადებით თვისებად შეიძლება მივიჩნიოთ შექმნის და მოხმარების ხელმისაწვდომობა, ფერთა მრავალფეროვნება და შეხამება, გამოყენება ტექნიკაში „პლასტელინით ხატვა“ (მუყაოზე მისი წასმით სურათის შექმნა). უარყოფით თვისებად შეიძლება მივიჩნიოთ მასალის „ხელოვნურობა“, მისით დასვრის შესაძლებლობა (მაგრამ, ნაკლებად, ვიდრე თიხით), თიხასთან შედარებით არასაკმარისი პლასტიკურობა, ანუ წყვეტადობა.

პლასტელინთან მუშაობის სახეებია:

- ფორმებისა და ობიექტების, ზღაპრებისთვის ილუსტრაციების შექმნა;
- ობიექტების შექმნა ბუნებრივი ან ხელთარსებული ნებისმიერი მასალით;
- პლასტელინით ხატვა.

ცომი. ეს არის საკმაოდ ხელმისაწვდომი მასალა, რომელიც ხასიათდება ისეთი თვისებებით, როგორცაა პლასტიკურობა, სირბილე და ეკოლოგიურობა. ბავშვები დიდი სიამოვნებით მუშაობენ ამ მასალით. ცომი იმდენად დამყოლია, რომ სუსტად განვითარებული მაჯის მუსკულატურის მქონე ბავშვებიც კი თავისუფლად მანიპულირებენ მისით და ქმნიან ახალ ფორმებს. უარყოფით თვისებად შეიძლება ჩაითვალოს მისი ერთფეროვნება. (შეიძლება დამატებულ იქნას საკვები საფერავი ან შეფერადდეს გამოცხობის შემდეგ).

ცომთან შესაძლო მუშაობის სახეებია:

- ცომით მანიპულირება;
- ფორმების შექმნა (მათ შორის სპეციალური ყალიბების გამოყენებით);
- ობიექტების შექმნა (მაგ. ბლინის, ღვეხელის მორთვა, კომპოზიციის შექმნა და ა. შ.);
- გამომცხვარი ცომის გაფერადება;
- ცომისგან სურათის შექმნა.

ცვილი. მხატვრული ცვილისთვის დამახასიათებელია: პლასტიკურობა, სისუფთავე (არ დაისვრები), სიამოვნება გამოყენებაში, ფერთა გამის მრავალფეროვნება. უარყოფით მხარედ შეიძლება ჩაითვალოს: საკმაოდ მაღალი ღირებულება და წინასწარ შეთბობის აუცილებლობა.

ცვილთან მუშაობის სახეებია:

- ფორმებისა და ობიექტების შექმნა (მათ შორის სპეციალური ყალიბების გამოყენებით);
- ობიექტების შექმნა ბუნებრივი ან ხელთარსებული ნებისმიერი მასალისგან (სანთლისა და მისი მოსართავის შექმნა).

ცვილი პლასტიკურობაზე უფრო ეკოლოგიურია და სოციალურად ღირებული საგნის - სანთლის შექმნის შესაძლებლობას იძლევა.

❖ ხატვა.

ხატვა ხელს უწყობს ბავშვების სენსორულ განვითარებას, ახდენს მათი პროდუქტიული საქმიანობის მოტივაციურ-მოთხოვნილებადი მხარის ფორმირებას, აღქმის დიფერენციაციას და ზემოქმედებს გონებრივ განვითარებაზე.

ფ. ლენცის თქმით, „ნახატი, როგორც თამაში, ზრდასრულთა შორის ბავშვის მცირე უფლებების კომპენსაციას ახდენს. მას სურს განაგოს საკუთარი თავი და თავისი ნივთები, ხოლო ნახატი, როგორც თამაში, თუნდაც ილუზორულად, ამის განხორციელების შესაძლებლობას იძლევა. ის ქალაქზე ქმნის თავის განსაკუთრებულ სამყაროს, რომელიც ეკუთვნის მხოლოდ მას“. (Артпедагогика - 2)

არტპედაგოგიკა საშუალებას იძლევა გააერთიანოს ხატვის პროცესისა და მიღებული შედეგის სიხარული და სიამოვნება.

არტპედაგოგიკაში ხატვის ტექნიკები:

➤ **ხატვა სველ ქალაქზე.** ბავშვებს ძალიან უყვართ საღებავების არევა და მცირე ექსპერიმენტების ჩატარება. საამისოდ ეს ტექნიკა განსაკუთრებულად მისაღებია. გამოიყენება აკვარელი.

➤ **ხატვა მუშაზე.** ამ ტექნოლოგიისთვის უპირატესია გუაშის საღებავები. ეს ტექნიკა გამოიყენება სოციალური შიშების, თავისთავში დაურწმუნებლობის, შფოთვის კორექციისთვის. ის ხელს უწყობს ბავშვების გააქტიურებას, სოციალური შეზოჭილობის მოხსნას.

➤ **თითებით ხატვა.**

• **ბუნებრივი მასალით ხატვა.** ამ ტექნიკით შესრულებული ნამუშევრები გამოირჩევა ესთეტიკური თვალსაზრისით. გარდა ამისა ამ ტექნიკაში საოცრების ელემენტიც არსებობს, რაც ასე ახლოა ყველა ბავშვისთვის.

- **ხატვა სივრცის გარშემო არსებული ნივთებით.** (დამტრახვა, ბატიფეხური - მუშაობა ფანქრებით, ცარციტ, შეიძლება ნახშირით. დამტრახვა ეხმარება ბავშვს აქტივიზირებაში, დაძაბულობის მოხსნაში.
- **ჯღაბნილი** - სპონტანური ხატვა აბსტრაქტულ მანერაში. ამ ტექნიკის თამაშობითი ხასიათი საშუალებას აძლევს ბავშვს საფრთხის გარეშე დაიკმაყოფილოს დესტრუქციული ლტოლვა. (Артпедагогика - 2)

უმცროსკლასელებთან ამ ტექნიკების გამოყენებისას აუცილებელია იმის გათვალისწინება, რომ ყოველ გამომსახველობით მასალას აქვს მასთან ურთიერთობის განსაზღვრული დიაპაზონის შესაძლო ხერხები, რომლებიც ასტიმულირებს ბავშვს სხვადასხვა აქტივობებისკენ. ბავშვის ინდივიდუალურ-ფსიქოლოგიური თავისებურებების გათვალისწინებით გამომსახველობითი მასალის შერჩევასა შესაძლოა რაღაც დოზით მათი აქტიურობის მართვა.

მაგალითად, ჰიპერაქტიურ ბავშვებთან მუშაობისას არ არის მიზანშეწონილი ისეთი მასალის გამოყენება, როგორცაა საღებავი, პლასტელინი, თიხა.... ეს მასალა ბავშვს აძლევს სტიმულს არასტრუქტურირებული, არამიმართული აქტივობისკენ (მიმობნევის, მიშხეფების, დათხაპნვის და სხვა), რომელიც შეიძლება გადავიდეს აგრესიულ ქცევაში და ტრამვა მიაყენოს ვინმეს. უკეთესია თუ შევთავაზებთ მათ საშუალო ზომის ქაღალდს, ფანქრებს, ფლომასტერებს ანუ სახვით მასალას, რომელიც მათგან ითხოვს საქმიანობის ორგანიზაციას, სტრუქტურირებას, ქმედების შესრულების კონტროლს და შესაფერის დავალებას, მაგალითად „წერტილებით ხატვა“-ს. ამასთან უნდა ვიცოდეთ, რომ ფანქრები ჰიპერაქტიურ ბავშვებს ხშირად გადაუტყდებთ ძალიან დიდი დაწოლის გამო, ფურცელი გაიხევა და ა. შ. ამიტომ მათთვის უნდა გავითვალისწინოთ სპეციალური თამაშები და დავალებები, რომელთა განხორციელებით შესაძლებელია ემოციური რეაგირებისა და ზედმეტი დაძაბულობის მოხსნა.

პირიქით, ემოციურად დაძაბული, მაღალი შფოთვის მქონე ბავშვებისათვის სასარგებლოა მასალა, რომელიც მოითხოვს არა მხოლოდ თითებისა და მაჯის, არამედ ფართო თავისუფალ მოძრაობებს ტანის ჩათვლით. ასეთ ბავშვებს უნდა შევთავაზოთ საღებავი, დიდი ფუნჯები, ქაღალდის დიდი ფურცლები, პლასტელინი, თიხა, ცარციტ ხატვა. განსაკუთრებული ეფექტი ემოციური დაძაბულობის და შფოთიანობის შესამცირებლად აქვთ დავალებებს „თითებით ხატვა“, „ჯადოსნური ლაქები“. (Осипова & Уфимцева, 2006)

ფერი სახვით-გამოყენებით საქმიანობაში უნდა განვიხილოთ როგორც ფსიქოფიზიოლოგიური ფაქტორი. სხვადასხვა ფერები განსხვავებულად ზემოქმედებენ ბავშვის ფსიქოემოციურ ფონზე.

პედაგოგმა უნდა იცოდეს, რომ ცისფერი, სალათისფერი, მწვანე, ყვითელი და ვარდისფერი ფერები - დადებითად ზემოქმედებენ ბავშვის ფსიქოემოციურ აზროვნებაზე.

იმ შემთხვევაში, თუ ბავშვი თავის შემოქმედებაში იყენებს ამ ფერებს ან იწყებს მათთვის უპირატესობის მინიჭებას მუქი ფერების (ყავისფერი, შავი) ნაცვლად, უნდა ითქვას ფსიქოსფეროს აღდგენის და არტპედაგოგიკის სწორად არჩეული მეთოდის შესახებ.

მეცადინეობები გამოყენებით საქმიანობაში ხელს უწყობენ ხელის თითების ნატიფი მოტორიკის, მოძრაობის კოორდინაციის, მისი სიზუსტის და მიზანმიმართულების განვითარებას. თავის ტვინში აღზნებისა და შეკავების პროცესებს შორის ბალანსის დამყარების შედეგად, ბავშვებში ქრება უხეში მოძრაობები, ხოლო ხელის თითების ნატიფი, წვრილი მოტორიკის გამომუშავება იწვევს ინტელექტის და მეტყველების განვითარებას.

პედაგოგს უნდა ახსოვდეს, რომ ძალიან სახიფათოა წვრილი მოტორიკის ნერვული ცენტრების გადატვირთვა, განსაკუთრებით, სკოლამდელ და უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვებში, რომლებთანაც აუცილებელია 15-20 წუთიანი წერის, ხატვის, მუსიკით მეცადინეობის შემდეგ გაკეთდეს შესვენება და მეცადინეობაში შეტანილ უნდა იქნას ჯანმრთელობაშემნახველი პედაგოგიკის ელემენტები (ხელის თითების, მხედველობის, ტანადობის შემანარჩუნებელი ვარჯიშები და სხვა).

გთავაზობთ თამაშ-სავარჯიშოებს გამომსახველობითი მასალის გამოყენებით, რომლებიც დაბლა წევნ ბავშვთა ემოციურ დაძაბულობას, ეხმარება მათ თავისი გრძნობების, განცდების გააზრებაში და სწავლობენ მართონ ისინი.

➤ **ნახატი შუშაზე.** შუშის ნაჭერს შემოვახვიოთ წებოვანი ლენტის (რომ არ გავიჭრათ) ან ჩავსვათ ხის ჩარჩოში. ხატვა შუშაზე შეიძლება საღებავებით, ფლომასტერებით, ცარციტ ყველაფრის, რაც მოესურვებათ ბავშვებს. შუშის უკანა მხრიდან შეიძლება ამოვდოთ ფერადი ფურცლები (ფონი), რის შემდეგობითაც ნახატის ემოციური აღქმა ყოველ ჯერზე შეიცვლება.

➤ **ცვილის ნახატი.** ქაღალდის ფურცელი გავსანთლოთ, რის შემდეგ დავიწყოთ გაფერადება საღებავებით ან ცარციტ.

➤ **პლასტელინის სურათი.** პედაგოგი დახატავს რა წინასწარ რომელიმე საგნის კონტურულ გამოსახულებას, სთავაზობს ბავშვს ცოტა დათხაპნოს პლასტელინით მუყაოს ზედაპირი, ისე, რომ არ გადმოლახოს კონტურის საზღვრები.

➤ **შიშის დაძლევა.** ბავშვებს ვთავაზობთ, დახატონ ის, რისიც ყველაზე მეტად ეშინიათ. შემდეგ მიმდინარეობს სჯა-ბაასი დახატულის შესახებ. ვაძლევთ მოსწავლეს მაკრატელს, რათა დაჭრას ან დახიოს თავისი “შიში”, გათელოს ფეხით.

...დახატვის მერე შესაძლოა ბავშვს მოეწონოს “შიში” და აღარ ეშინოდეს მისი.

➤ **ნაღვენთი ქაღალდზე.** ბავშვებს ვთავაზობთ შუშის წვერზე ცოტაოდენი იმ ფერის საღებავის აღებას, რომელიც მოსწონთ და ქაღალდზე დაწვეთებას. შემდეგ ქაღალდი უნდა მოიკეცოს ისე, რომ მის მეორე ნახევარზე აღიბეჭდოს ნაღვენთი. ფურცლის გაშლის შემდეგ ბავშვი მოუთხრობს აუდიტორიას, რას მიაძგავსა მიღებული ნაღვენთი.

➤ **საკუთარი გუნებაგანწყობის გამოხატვა.** პედაგოგი სთავაზობს ბავშვებს აირჩიონ სურვილისამებრ საღებავის ფერი და დახატონ ფერადი ხაზები, ლაქები, წრეები, რომლებიც შეესაბამებინ მის იმწუთიერ ხასიათს.

➤ **წერტილებზე ხატვა.** პედაგოგი წინასწარ ამზადებს სურათის სქემას, განალაგებს რა მასზე კონტურულ წერტილებს. ბავშვს სთავაზობს შეაერთოს წერტილები ხაზებით. მიღებული კონტური დაასრულოს, გააფერადოს, მოიგონოს სიუჟეტი და დაასათაუროს.

გრაფიკული მუსიკა. ბავშვებს ვთავაზობთ დახუჭული თვალებით მუსიკის ფონზე ქაღალდზე გაავლონ ხაზები აღქმული მელოდიის შესაბამისად. შემდგომ, მოძებნონ ხაზებში გამოსახულება-ხატები და შემოავლონ კონტური სხვადასხვა ფერის ფანქრით (თევზი, კუ, ჩიტი და ა.შ.). (Осипова & Уфимцева, 2006)

პედაგოგმა თავის საქმიანობაში უნდა გამოიყენოს მრავალფეროვანი ხერხები ბავშვის გასაჯანსაღებლად და დროულად მოახდინოს კორექციულ მუშაობაში საჭირო ცვლილებების შეტანა.

ჩვენ ვიზიარებთ აზრს იმის შესახებ, რომ არტპედაგოგიკა დღეს უნდა შევიდეს ნებისმიერი პედაგოგის პრაქტიკაში. არტპედაგოგიური ტექნოლოგიების გამოყენება მნიშვნელოვანი და აუცილებელია არა მხოლოდ „განსაკუთრებულ“ ბავშვებთან მუშაობისას, არამედ საჭიროა როგორც გამაფრთხილებელი, კორექციულ-შემოქმედებითი მუშაობა „ჩვეულებრივ“ მოსწავლეებთანაც. არ უნდა ველოდოთ, როდის მოვა გამოსწორების და კორექტირების დრო. უნდა დავეხმაროთ ბავშვს თავად „ჩააკორექტიროს“ პრობლემური მომენტები ადრეულ სტადიებზე, ჩართოს „თვითგაჯანსაღების“ მექანიზმი ხელოვნებისა და მხატვრულ-შემოქმედებითი საქმიანობის მეშვეობით.

ბიბლიოგრაფია:

ციბალაშვილი, თ. (2017). ხელოვნება, რომელიც სულს კურნავს. *ავერსი* (2 (141)). მოძიებულია ვებგვერდიდან: <https://www.aversi.ge/cnobar/1304/>

ხელოვნებით მკურნალობა. (2016). *ავერსი* (6(134)). მოძიებულია ვებგვერდიდან: <https://www.aversi.ge/cnobar/1095/xelovnebiT-mkurnaloba>

Артпедагогика - 2. (б.д.). *Арт-педагогика - особое направление в педагогике*. Получено из EduContest.Net - интернет-библиотека: <https://educontest.net/ru/1251252/артпедагогика-2-4/>

Муромцева, О. В. (б.д.). Использование артпедагогики в учебном процессе школы. *Заочные электронные конференции*. Получено из <http://econf.rae.ru/article/6408>

Осипова, Н., & Уфимцева, Л. (2006). Артпедагогика – лекарство от стресса. *Здоровье детей* (23). Получено из <https://zdd.1sept.ru/article.php?ID=200602306>

Lela Rekhviashvili

Sokhumi State University

EXPRESSIVE ACTIVITIES IN ART PEDAGOGY: DRAWING, SCULPTING RESUME

A new mental-aesthetic interaction system – Art Pedagogy - was created in modern educational space on the basis of uniting pedagogy, psychology and art studies.

In the course of the study by using art technology, needs of the students with special educational needs will be satisfied in positive attention, feeling of their own success and importance. The child begins to get pleasure from the creative process in which the associative-figurative thinking develops, accordingly the ability of the human being develops, approach to the life creativity, percept the problems lightly.

Keywords: Art pedagogy, Art therapy, Art pedagogy technologies, Paint therapy, Sculpture therapy.

სასწავლო აქტივობების კვლევა დაწყებით საფეხურზე უნივერსალური დიზაინის პრინციპების გათვალისწინებით

საკვანძო სიტყვები: უნივერსალური დიზაინი, აქტივობები, დიფერენცირებული მიდგომა, ინტერესი, მზაობა, მისაღწევი შედეგები, პროფესიონალიზმი, ეთიკა.

უწყვეტი განვითარებისკენ ორიენტირებული საზოგადოების ჩამოყალიბება დიდადაა დამოკიდებული მასწავლებლის შემოქმედებით და კვლევაზე დაფუძნებულ სასწავლო აქტივობებზე. პედაგოგის აქტიურობასა და ინდივიდუალურ სტილზეა დამოკიდებული მისი შემდგომი პროფესიული განვითარება. ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორც საქართველო, თავისი ღია ეკონომიკური და შეზღუდული რესურსებით, მნიშვნელოვანია გლობალურ სოციალურ ტენდენციებში ინტეგრირება. ეს კი უპირველესად განათლების სისტემის განვითარებაში უნდა გამოიხატოს. უნივერსიტეტის სტუდენტმა, რომელიც განათლების სფეროში მოღვაწეობას გადაწყვეტს, უნდა იცოდეს ის ძირითადი მიმართულებები, საითკენაც ე.წ. „გონივრული სკოლები“ მიისწრაფვიან. თანამედროვე ამერიკელი მეცნიერი და მკვლევარი დევიდ პერკინსი მიგვითითებს, რომ „საჯარო სკოლებს უდიდესი პასუხისმგებლობა აკისრიათ - განსხვავებული მისწრაფებების, ნიჭის, აზროვნების, ქცევის, საბაზისო ცოდნისა და შინაგანი სამყაროს ადამიანთათვის სათანადო განათლების მიცემა. სკოლა ისეთივე საოცრებაა, როგორც ნათურა - ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელი და ჩვეული ნაწილი, მაგრამ ისტორიული თვალსაზრისით, თავისი დანიშნულებითა და ამოცანებით, საკმაოდ ახალი და ეგზოტიკური“. (პერკინსი, 2007, გვ. 9-10) შესაბამისად, მომავალმა მასწავლებელმა თეორიულად და გარკვეულწილად პრაქტიკულადაც, რადგანაც მასწავლებლის მომზადების ახალ საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამაში პრაქტიკასა და მის კვლევას დიდი დრო ეთმობა, კარგად უნდა გაიაზროს უნივერსალური დიზაინის პრინციპების გათვალისწინებით დაგეგმილი სასწავლო პროცესის უნიკალურობა და მისი გამოყენების სპეციფიკა კლასში.

სწავლების თანამედროვე მიდგომა, რომელიც უნივერსალური დიზაინის პრინციპებს ეფუძნება, ქმნის სწავლის თანაბარ შესაძლებლობას ყველა ინდივიდისთვის მიუხედავად მათ შორის არსებული განსხვავებისა. მისი ძირითადი პრინციპია სწავლა-სწავლებისას მოხდეს ყველა მოსწავლისთვის რელევანტური სასწავლო მეთოდების, მასალის და შეფასების სისტემის გამოყენება. სწორედ ამიტომ სწავლების ამ მიდგომას „უნივერსალური“ ეწოდება. ამ პრინციპების გათვალისწინებით დაგეგმილი სწავლის პროცესი შედეგის მომტანია საყოველთაოდ, ყველასთვის და არა მოსწავლეთა გარკვეული ჯგუფისთვის. (ბაგრატიონი-გრუზინსკი, კვაჭაძე, ლორთქიფანიძე, & გაჩეჩილაძე, 2018, გვ. 36-37) სწორად შერჩეული აქტივობები, რომლებიც მორგებული იქნება თითოეულ მოსწავლეზე, ხელს შეუწყობს მასწავლებელს საგაკვეთილო პროცესში.

ბოლო წლების მანძილზე განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმების საფუძველზე მნიშვნელოვნად შეიცვალა წარმოდგენა სასკოლო განათლების შესახებ, აქტუალური გახდა ბავშვზე ორიენტირებული სწავლება, რაც გულისხმობს სასწავლო მიზნების, მეთოდების, სტრატეგიების და რესურსების მაქსიმალურ მორგებას ბავშვის შესაძლებლობებსა და ინტერესებზე. იმისთვის, რომ ყველა მოსწავლემ მიაღწიოს წარმატებას, მნიშვნელოვანია უნივერსალური დიზაინის პრინციპებზე შექმნილი სასწავლო გარემო. უნივერსალური დიზაინის პრინციპების გათვალისწინებით დაგეგმილი სასწავლო პროცესის უნიკალურობა მდგომარეობს იმაში, რომ სხვადასხვა რესურსების და შესაბამისად, მოდალობების გამოყენებით, მოსწავლისთვის მისაწვდომი ხდება სასწავლო მასალა, შინაარსი და მეთოდი. უნივერსალური დიზაინის პრინციპით სწავლებისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შემდეგ კომპონენტებს:

• **როგორ და რა გზებით ხდება მოზარდისთვის ცოდნის გადაცემა, ინფორმაციის მიწოდება?** ამ დროს აქცენტი კეთდება ინფორმაციის და შინაარსის წარდგენის მრავალფეროვან გზებზე იმისათვის რომ ინფორმაციის აღქმა, გაგება და გადამუშავება ეფექტურად მოხდეს.

• **როგორ და რა გზებით ხდება მოზარდის მხრიდან ცოდნის დემონსტრირება?** ამ დროს აქცენტი კეთდება ცოდნის გადმოცემის, გამოხატვის და აქტივობის შესრულების მრავალფეროვან გზებზე.

უნივერსალური დიზაინის პრინციპების თანახმად, იმისათვის რომ სწავლის პროცესი წარმატებით განხორციელდეს მოსწავლისთვის ცხადად და ექსპლიციტურად უნდა იყოს მოცემული შემდეგი სამი საკითხი:

1. **ინფორმაციის წარდგენის მრავალფეროვანი გზა:** რას ვსწავლობ? რას ვხედავ, რა მესმის, რას ვკითხულობ?

2. **გამოხატვის მრავალფეროვანი გზა:** როგორ ვსწავლობ? ცოდნის გადმოცემის, აქტივობის და გამოხატვის რა გზებს ვიყენებ?

3. **მოტივაციის (ჩართვის) მრავალფეროვანი გზა:** რატომ ვსწავლობ? რა მნიშვნელობის მატარებელია ეს ცოდნა? როგორ გამოვიყენებ მას? (ბაგრატიონი-გრუზინსკი, კვაჭაძე, ლორთქიფანიძე, & გაჩეჩილაძე, 2018, გვ. 36-37)

ხშირად მასწავლებლებს უჭირთ გაარჩიონ ერთმანეთისაგან **აქტივობა და მეთოდი**. **აქტივობას** დაესმის კითხვა **რას ვაკეთებ?** მაგ: მასწავლებელი კლასთან ერთად შეიმუშავებს ჯგუფური მუშაობის წესებს – არის აქტივობა.

თუ დაისმის კითხვა **როგორ ვაკეთებ?** ე.ი. რა დიდაქტიკური ხერხით ვახორციელებ ამ აქტივობას, ეს არის **მეთოდი**. მაგ: მასწავლებელი ჯგუფური მუშაობის წესებს შეიმუშავებს „აპოლო ტექნიკით“. აპოლო ტექნიკა არის მეთოდი.

აქტივობის შერჩევისას უნდა დავფიქრდეთ:

✓ ჩვენ მიერ ამორჩეული აქტივობები დაგვხმარება თუ არა დასახული მიზნის მიღწევაში?

✓ მიზნის მისაღწევად რას გავაკეთებთ (მასწავლებლის აქტივობა) და რას გავაკეთებთ მოსწავლეები (მოსწავლეების აქტივობა)?

✓ რამდენი აქტივობა მიგვიყვანს მიზანამდე?

✓ როგორი იქნება აქტივობების თანმიმდევრობა?

✓ შეესაბამება თუ არა ჩვენ მიერ შერჩეული აქტივობა მოსწავლეების ცოდნასა და უნარებს, მათ შესაძლებლობებსა და გამოცდილებას.

სასწავლო მეთოდების შერჩევისას უნდა გავითვალისწინოთ:

✓ მისი შესაბამისობა აქტივობასთან.

✓ კლასის ორგანიზების ფორმასთან.

✓ ტექნიკურად მისი განხორციელების შესაძლებლობა.

თითოეული აქტივობისა და გაკვეთილის ბოლოს მისაღწევი შედეგები

როდესაც მასწავლებელი მიზნის მისაღწევად ირჩევს შესაბამის აქტივობასა და მეთოდებს, აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს, თითოეული ამ აქტივობისა და მეთოდის გამოყენება მოსწავლეებში რა უნარების განვითარებას უწყობს ხელს, ე.ი. თითოეულ აქტივობას რა შედეგზე გაჰყავს მოსწავლეები. ყოველი აქტივობის ბოლოს მიღწეულ შედეგებს მოსწავლეები უნდა მიჰყავდეს გაკვეთილის ბოლოს მისაღწევ შედეგებამდე, საიდანაც, თავის მხრივ, უნდა გამომდინარეობდეს გაკვეთილის მიზანი. (მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი)

მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სწავლების მნიშვნელოვან სტრატეგიას, მეტაკოგნიტურ პაუზას, რომლის ჩართვაც მუშაობის პროცესში ხელს უწყობს თითოეულ მოსწავლეს, განავითაროს საკუთარი პოტენციალი, მოძებნოს საკუთარ თავში სიმნელეთა დამლევის ახალი რესურსები, გახდეს უფრო ქმედითი წამოჭრილი პრობლემების დასაძლევად. ასეთ კონტექსტში მკვეთრად იზრდება სწავლის მოტივაცია, რაც ორი ურთიერთდამოკიდებული ფაქტორითაა განპირობებული. ცოდნის ორგანიზებისთვის მნიშვნელოვანია მასწავლებელი მუდმივად ზრუნავდეს მეხსიერებაში ცოდნათა ურთიერთდაკავშირებისა და ორგანიზების ხელშეწყობაზე სხვადასხვა საშუალების გამოყენებით. ცოდნათა იერარქიზაციისას უმნიშვნელოვანეს როლს ცნებები თამაშობს – ისინი თავად წარმოადგენენ ორგანიზებულ იდეებს, რომლებიც შემნილი ცოდნის სტრუქტურებისა და სისტემაში მოყვანის საშუალებას იძლევა. (ჯაყელი & სილაგაძე, 2018, გვ. 23-24) სწავლა-სწავლების კონსტრუქტივისტული პრინციპების შესაბამისად, მასწავლებელმა უნდა განავითაროს საკუთარი კურიკულუმი და მასში მკაფიოდ უნდა გამოკვეთოს სწავლების უნივერსალური დიზაინის შესაბამისი აქტივობების პრიორიტეტულობა.

პრაქტიკის კვლევის კურსის პარალელურად ახალ საუნივერსიტეტო პროგრამებში დიდია პრაქტიკის წილი. პრაქტიკის კვლევაში ვრცელი თეორიული და სასკოლო სიტუაციების ანალიზის სწავლება უზრუნველყოფს იმას, რომ მომავალში სკოლაში მივიდეს ახალგაზრდა მასწავლებელი, რომელსაც შეეძლება პრაქტიკის კვლევის სფეროსთვის შესაბამისი მონაცემების შეგროვება, მონაცემებისა და სიტუაციების ანალიზი; სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდების გამოყენებით დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება; სასკოლო სივრცეში არსებული პრობლემის გადასაჭრელად არგუმენტირებული წინადადებების და მოსაზრებების შემუშავება.

პოტენციურად მასწავლებლების უდიდესი ნაწილი მუდმივად ჩართულია პრაქტიკის კვლევის პროცესში. ეს ხდება მაშინ, როდესაც ისინი ინდივიდუალურად თუ კოლეგებთან ერთად, ფორმალურ თუ არაფორმალურ გარემოში ცდილობენ პასუხები გასცენ სწავლა-სწავლების იმ საკითხებს, რომლებიც მათ აინტერესებთ და/ან აღელვებთ. იმისათვის, რომ მათი კვლევის პრაქტიკა გახდეს უფრო ნაყოფიერი და ობიექტური, სასურველია მასწავლებლებმა გამოიყენონ კვლევის საყოველთაოდ აღიარებული ეტაპები და მეთოდები. (ლიპარტელიანი 2018). ახალი საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამების ამოქმედებამდეც, მასწავლებლის განათლების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტები, პედაგოგიური პრაქტიკის პარალელურად საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობისას საინტერესოდ სწავლობდნენ და იკვლევდნენ სკოლაში არსებულ ვითარებას. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ სასწავლო აქტივობების კვლევა უნივერსალური დიზაინის პრინციპების გათვალისწინებით, რომელიც საინტერესოდ გვიხატავს ამ მიმართულებით არსებულ მდგომარეობას.

ამ თემასთან დაკავშირებით ბაკალავრმა მარიამ ადამიამ, ჩვენი ხელმძღვანელობით, საკვლევი სტრატეგიის განსაზღვრის შემდეგ, აქტიურად ითანამშრომლა რესპონდენტებთან და ჩაატარა კვლევა, რომლის ფარგლებშიც გამოიკითხა ქალაქ თბილისის სამი საჯარო სკოლის (106-ე, 126-ე, 145-ე) 20 მოქმედი პედაგოგი.

კვლევის ძირითადი მიზანი იყო დაგვედგინა, თუ რამდენად იცნობენ სკოლებში მომუშავე პედაგოგები სხვადასხვა აქტივობებს და რამდენად იყენებენ ისინი მათ სასწავლო პროცესის დროს. ხოლო, გამოყენების შემთხვევაში, რა შედეგს იღებენ ისინი. ასევე, კვლევის ფარგლებში გვსურდა გაგვეჩვენა, აღნიშნული აქტივობების მიმართ რამდენად იჩენენ ისინი ინტერესს. სწავლების რომელ საფეხურზე იყენებენ აღნიშნულ აქტივობებს ეფექტური გაკვეთილის ჩატარების მიზნით.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი მონაცემები:

1) კითხვაზე, რა ტიპის საჭიროების მქონე ბავშვები ჰყავთ მათ კლასში? გამოკითხულთა 75%-მა უარყოფითად უპასუხა, ხოლო 25%-მა დადებითად, მათ კლასში ჰყავთ დაუნის სინდრომის მქონე მოსწავლე, ასევე აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონე და ა.შ

2) კითხვაზე, თუ რა ტიპის საჭიროებებს იყენებენ ისინი სსსმ მოსწავლეებთან? იმ 25%-მა, ვის კლასშიც არის სსსმ მოსწავლე, განაცხადა, რომ ისინი იყენებენ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, რომელიც მორგებულია სპეციალურად სსსმ მოსწავლეზე.

3) კითხვაზე, იყენებენ თუ არა ისინი კლასში დიდაქტიკურ თამაშებს? ოცივე პედაგოგმა განაცხადა, რომ ისინი იყენებენ კლასში დიდაქტიკურ თამაშებს.

4) კითხვაზე, რამდენად ხშირად მართავენ კლასში დისკუსიებს? გამოკითხულთა 75%-მა განაცხადა, რომ ისინი ხშირად მართავენ კლასში დისკუსიას, 25%-მა განაცხადა, რომ იშვიათად იყენებს, პასუხი - საერთოდ არ ვმართავ არ დაფიქსირებულა.

5) კითხვაზე, რომელ ინტერაქტიულ მიდგომას იყენებენ კლასში? გამოკითხულთა 40%-მა განაცხადა, რომ ისინი იყენებენ ინდივიდუალურ მიდგომას, 25% იყენებს კონკურენტულს, ხოლო 35% - კოლაბორაციულს.

6) კითხვაზე, რომელ უნარ-ჩვევებზე მუშაობაა პრიორიტეტული დაწყებით საფეხურზე? მასწავლებლებმა განაცხადეს, რომ, მნიშვნელოვანია მოსწავლეებს განუვითარდეთ ყურადღების, მოსმენის, თანამშრომლობის, გაგება-გააზრების და სხვა უნარ-ჩვევები. მათი აზრით ეს მოსწავლეთა განვითარებაზე დადებითად იმოქმედებს.

7) კითხვაზე, ძირითადად როდის ატარებენ ფონოლოგიურ სავარჯიშოებს? გამოკითხულთა უმეტესობამ განაცხადა, რომ I კლასში ატარებენ ამ ტიპის სავარჯიშოებს, ხოლო ზოგმა მათგანმა განაცხადა, რომ ყველა საფეხურზე გაკვეთილის ნებისმიერ ფაზაში იყენებენ ამ სტრატეგიას.

8) კითხვაზე, ხმამაღლა კითხვის მუშაობისას, რომელ სტრატეგიას უფრო ხშირად იყენებენ? გამოკითხულთა 30%-მა განაცხადა, რომ ის იყენებს გუნდურ კითხვას, 25% იყენებს წყვილებში კითხვას, ხოლო 45% - ინდივიდუალურ კითხვას.

9) კითხვაზე, იყენებენ თუ არა მარტივი ტექსტის შექმნის აქტივობას? გამოკითხულთა 60%-მა განაცხადა რომ ხშირად იყენებს, ხოლო 40% იშვიათად იყენებს.

10) კითხვაზე, რომელ კოგნიტურ სქემას იყენებენ სასწავლო აქტივობების განსახორციელებლად? გამოკითხულთა უმეტესობამ განაცხადა, რომ ისინი სწავლებაში იყენებენ ყველა ტიპის სქემას (ვენის დიაგრამა, T დიაგრამა, შედარება და სხვა), ხოლო იყვნენ ისეთი მასწავლებლები, რომლებიც სასწავლო პროცესში იყენებენ მხოლოდ ერთ კოგნიტურ სქემას.

კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ საგაკვეთილო პროცესში სხვადასხვა აქტივობის გამოყენება აუცილებელია, რადგან ეს დადებითად მოქმედებს როგორც სასწავლო პროცესზე, ასევე მოსწავლეთა სწავლების დონეზე. სწავლება უფრო საინტერესო და ხალისიანია, მოსწავლეები უფრო მეტად არიან ჩართულნი საგაკვეთილო პროცესში, იჩენენ უფრო მეტ ყურადღებას,

კონცენტრირებულნი არიან თემის მიმართ. მასწავლებლები ასევე ითვალისწინებენ, აქტივობის შერჩევას თითოეული მოსწავლის შესაძლებლობებს და მათ დამოკიდებულებას, რადგან თითოეულ მოსწავლეს სხვადასხვა შესაძლებლობა აქვს. სასწავლო აქტივობების სწორი შერჩევა ეხმარება მასწავლებელს საკუთარი საგნის ისე წარმართვაში, რომ იგი მოსწავლის განვითარების გზად აქციოს.

ბიბლიოგრაფია:

ბაგრატიონი-გრუზინსკი, მ., კვაჭაძე, ჟ., ლორთქიფანიძე, რ., & გაჩეჩილაძე, ნ. (2018). *სასწავლო აქტივობები ყველასათვის: სწავლების მეთოდები ინკლუზიურ განათლებაში: გზამკვლევი მასწავლებლებისთვის*. თბილისი.

კობაიძე, ს. (2010). *ინტერაქტიული თამაშები დაწყებით კლასებში*. თბილისი.

ლიპარტელიანი, დ. (2018). *სამოქმედო კვლევის სახელმძღვანელო* (წიგნი I). თბილისი.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი. (თ. გ.). *სასწავლო პროცესის დაგეგმვა*. მოძიებულია ვებგვერდიდან:

http://tpdc.gov.ge/uploads/pdf_documents/sascavlo%20proccesis%20dagegmva.pdf

პერკინსი, დ. (2007). *გონივრული სკოლები*. თბილისი: ი. ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ჯაყელი, თ., & სილაგაძე, ნ. (2018). *კურიკულუმი პედაგოგიური პრაქტიკის სრულყოფის საშუალება: მესამე თაობის ესგ-ს კონცეპტუალური და მეთოდოლოგიური გზამკვლევი*. თბილისი.

Rusudan Pipia

Sokhumi State University

RESEARCH OF STUDY ACTIVITIES IN THE INITIAL STAGES OF THE UNIVERSAL DESIGN PRINCIPLES RESUME

Creating a continuous development oriented society is greatly dependent on the creative and research-based study activities of the teacher. The subsequent professional development depends on the activity of the teacher and the individual style. The future teacher is theoretically and somehow practically well to understand the uniqueness of the study process and its use in the class, taking into consideration the principles of universal design. The uniqueness of the educational process planned by the Universal Design Principles is that the study material, content and method is accessible to the learner by using modes, in accordance with various resources. Correctly selected activities that are tailored to each student will facilitate teacher in the course of the task. It is necessary to use different activities in the process of teaching, as it positively affects both the learning process and at the level of learners' students. Learning is more interesting and fun, students are more involved in the course of learning, more attention is concentrated, focusing on the topic. Teachers also take into consideration the possibilities and attitudes of each student in the selection process, as each student has different possibilities.

Keywords: Universal design, Activities, Differentiated approach, Interest, Willingness, Achievable Results, Professionalism, Ethics.

მშობელთა ჩართულობა

საკვანძო სიტყვები: მშობელი, მოსწავლე, მასწავლებელი, სკოლა.

ჩვენს ქვეყანაში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ეტაპზე, განათლების სისტემაში განხორციელდა და კვლავაც მიმდინარეობს ძირეული გარდაქმნები, რომელთაგანაც ერთ-ერთ უმთავრესად შეიძლება ჩაითვალოს სწავლებისა და აღზრდის ჰუმანისტური იდეებისა და ღირებულებების დაფუძნება სასწავლო პროცესში. ამის საფუძველზე ხდება ძველი საბჭოური სკოლის გარდაქმნა ახალი ინოვაციური ტიპის საგანმანათლებლო დაწესებულებად, ევროპისა და მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების (ფინეთი, სინგაპური, სამხრეთ კორეა) განათლების სისტემის სტრუქტურისა და შინაარსის შესაბამისად. მიღწეული ეფექტური და წარმატებული პედაგოგიური პრაქტიკისა და საგანმანათლებლო დადებითი ტენდენციების მიუხედავად, შეიძლება ითქვას, რომ სათანადო ყურადღების გარეშე ისევ რჩება სკოლისა და ოჯახის ურთიერთმონაწილეობა მოზარდი თაობის აღზრდისა და სწავლების პროცესში. ანუ, მოკლედ რომ ვთქვათ, მშობლების ჩართულობა სკოლის ცხოვრებაში ისევ აქტუალურ პრობლემად გვევლინება. პრობლემის აქტუალობა და სიმწვავე განპირობებულია ჩვენი ქვეყნის ჯერ კიდევ არამდგრადი ეკონომიკური განვითარებით. ამის შედეგად, სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში ოჯახების საკმაოდ დიდი ნაწილი სამუშაოს და შემოსავლის პრობლემის მოგვარებაზე იმდენ დროსა და ენერჯიას ხარჯავს, რომ მათ თითქმის აღარ რჩებათ დრო სკოლასთან სათანადო ურთიერთობისა. ჩვენი აზრით, სწორედ ასეთ პირობებში სკოლამ და მისმა პედაგოგიურმა კოლექტივმა განსკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმონ მშობელთა ჩართულობას სასწავლო პროცესში. რამეთუ, როგორც ცნობილია, სკოლაში აღმზრდელობითი პროცესი ახდენს დიდ გავლენას მოზარდის სოციალური ნორმებისა და კულტურული ღირებულებების ფორმირებაზე, მაშინ როცა ოჯახი შემოიფარგლება შედარებით ვიწრო მისიით. ის გადასცემს ბავშვს ოჯახურ ტრადიციებს, ადათებს ეროვნული მენტალიტედიდან გამომდინარე დოგმებს (მაგ. სტუმართმოყვარეობა და სხვა). ამიტომ სრულყოფილი მოქალაქის, პიროვნების აღზრდისა და ფორმირებისათვის აუცილებელია ოჯახისა და სკოლის მუდმივი დიალოგი, ანუ მშობელთა ჩართულობა სასწავლო პროცესში. ეს დიალოგი რთულდება მაშინ, როდესაც სოციუმში ირღვევა ოჯახური ტრადიციები. ამ სირთულეს ემატება მასწავლებლის პრესტიჟის თანდათანობითი დაკნინება. ზემოთ ხსენებული მსოფლიოს მოწინავე განათლების მქონე ქვეყნების წარმატების ერთ-ერთი საფუძველი სწორედ ოჯახური ტრადიციებისადმი პატივისცემასა და საზოგადოებაში მასწავლებლის პრესტიჟის მაღალ დონეს ეფუძნება. ეს უკანასკნელი, დიდად მოქმედებს მოსწავლეთა პასუხისმგებლობის ამაღლებაზე, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს მოსწავლეთა თვითშეფასების ზრდას, მათ დაინტერესებას და სწავლის მოტივაციის ამაღლებას, თუ მოსწავლემ იცის, რომ მშობელი და მასწავლებელი ემსახურებიან ერთ მიზანს, ერთნაირად არიან დაინტერესებული მისი აკადემიური მოსწრებით და ქცევით. ეს უკანასკნელი დადებითად მოქმედებს მოსწავლის დადებითი სასწავლო ფონის შექმნაზე, რაც თავის მხრივ მეტად მნიშვნელოვანია მისი განათლებისა და პიროვნული ზრდისათვის.

ჩვენი თემის მიზანია გავარკვიოთ, როგორია მშობლების ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში დღეს და შევიძუშაოთ რეკომენდაციები, თუ როგორი უნდა იყოს ის, რა კითხვებს და მოთხოვნებს უნდა პასუხობდეს მშობელთა სკოლაში ჩართვის აუცილებლობა. ამ მიმართებით საინტერესოა გამოჩენილი პედაგოგიკის მკვლევრის ქვეინ უოკერის მოწოდება სკოლისა და პედაგოგებისადმი: „ნუ წუწუნებთ მშობელთა პასიურობაზე, არამედ მოიწვიეთ, დაპატიჟეთ და სთხოვეთ მათ გააკეთონ რაც შეიძლება მეტი“. (edu.aris.ge, 2016) აქედან გამომდინარე, მასწავლებლისა და მშობელთა ურთიერთობის გაღრმავების გზაზე პირველი ნაბიჯები სკოლამ უნდა გადადგას.

მშობლების სასწავლო პროცესში ჩართულობის პრობლემა მოიცავს პასუხგაუცემელ კითხვათა დიდ ჯგუფს. მათგან ჩვენ გამოვყავით ის აუცილებელი კითხვები, რომელნიც ყველაზე მნიშვნელოვნად მივიჩნით. ეს კითხვებია შემდეგი:

1. რამდენად მიზანშეწონილია, რომ სკოლამ მიაწოდოს მონაცემები მშობლებს მათი შვილის სკოლაში ქცევის, აკადემიური მოსწრების და ასევე იმ მოთხოვნების შესახებ, რომელნიც აუცილებელია მოსწავლის ეფექტური სწავლისათვის და მოსწავლის სწავლის ხარისხის ასამაღლებლად. (პედაგოგიკის საკითხები, 2013, გვ. 104) როგორც შესავალში ნაწილობრივ ვისაუბრეთ, მოსწავლის აღზრდაზე, შეიძლება

ითქვას, ერთნაირად აგებენ პასუხს, როგორც სკოლა, ასევე ოჯახი. ამდენად, მშობლის ჩართულობა სკოლის სასწავლო პროცესში ბუნებრივი და ამასთანავე აუცილებელი მომენტი. ეს უკანასკნელი კი სკოლისაგან მოითხოვს მშობელს მიაწოდოს ყველა სახის ინფორმაცია თავისი შვილის შესახებ. აქედან გამომდინარე, სკოლის მიერ მოსწავლის მშობლისადმი ინფორმაციის მიწოდება არათუ მიზანშეწონილია, არამედ ეს სკოლის ვალდებულებას წარმოადგენს.

2. რა წესები უნდა დაიცვას მასწავლებელმა მშობლებთან როგორც ინდივიდუალური, ასევე ჯგუფური შეხვედრების წარმატებულად წარმართვისათვის?

მშობლებთან ურთიერთობაში მეტად მნიშვნელოვანია გარკვეული ეთიკის ნორმებისა და წესების დაცვა. კერძოდ: სასურველია მშობლებს ვესაუბროთ ცალკე ოთახში სხვების თანდასწრების გარეშე. საუბრის დაწყებისას კარგი იქნება თუ გამოვრთავთ მობილურ ტელეფონს, რაც საშუალებას მისცემს მშობელს უფრო ღიად და გულწრფელად ისაუბროს თავის შვილის შესახებ. საუბარი უნდა წავიყვანოთ ნელი, მშვიდი თანაგრძნობით განმსჭვალული ტონით. მშობლებთან შეხვედრისას წინასწარ უნდა განვსაზღვროთ შეხვედრის საჭიროებიდან გამომდინარე საუბრის თემატიკა და კითხვები, მოსწავლის ოჯახში ქცევისა და ცხოვრების შესახებ. მოსწავლის აკადემიური მოსწრებისა და მისი სასწავლო პროცესში აქტივობის ინფორმაციულობისადმი მეტი დამაჯერებლობისათვის კარგ საშუალებად მიგვაჩნია მოსწავლეთა ნაშრომების გაცნობა მშობლებისადმი, მოსწავლის სწავლასთან დაკავშირებული პრობლემების წარმოსაჩენად.

3. რა როლი შეიძლება შეასრულონ მშობლებმა მოსწავლის სკოლაში წარმოქმნილი პრობლემების გადაჭრაში?

როგორც ცნობილია, მოსწავლის ცხოვრების დიდი ნაწილი მიმდინარეობს ოჯახსა და სკოლაში, ვიდრე თემსა და საზოგადოებაში სკოლის გარეთ, ამხანაგებთან და სხვადასხვა საზოგადოებრივ ინსტიტუტებთან გატარებულ დროსთან შედარებით. ამიტომ სასწავლო პროცესთან დაკავშირებული პრობლემები ძირითადად მოსწავლეს წარმოეჩნება სკოლასა და ოჯახში. ფსიქოლოგთა და სოციოლოგთა დაკვირვებით მშობელთა დიდი რაოდენობა, მოსწავლეში დამოუკიდებლობის აღზრდის პრინციპებიდან გამომდინარე თვლიან, რომ მოსწავლემ თვითონ დამოუკიდებლად, სხვისი დახმარების გარეშე უნდა გადაწყვიტოს სასწავლო პროცესთან დაკავშირებული პრობლემები და დაარეგულიროს ურთიერთობა როგორც თანასკოლელებთან და თანაკლასელებთან, ასევე პედაგოგებთან.

ფსიქოლოგთა მიერ მოსწავლეთა კრიტიკული სიტუაციების ანალიზის საფუძველზე გამოთქმული მოსაზრების მიხედვით, ამგვარ სიტუაციებში, ბოლო დროს მნიშვნელოვნად გაიზარდა მშობელთა ჩარევა და მათი წვლილი, რადგანაც, როგორც საყოველთაოდ ცნობილია, მშობელთა როლი ბავშვის აღზრდაში, გარდა მატერიალური უზრუნველყოფისა, მდგომარეობს იმაში, რომ მოსწავლეს დაეხმაროს პრობლემის ნიუანსების გაანალიზებაში და სწორი გადაწყვეტილების მიღებაში პედაგოგებთან ერთად. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვან მკვეთრ გამოხატულობას იჩენს, მოსწავლის პროფესიული და ცხოვრებისეული არჩევანის გაკეთებაში. ამრიგად მშობლებმა აქტიური როლი უნდა ითამაშონ სკოლის საერთო საქმიანობაში, არა მარტო კონფლიქტების მოგვარებაში, არამედ საერთოდ მთელს სასწავლო პროცესში. ამასთანავე, მშობლებს უფლება აქვთ და ყოველთვის შეუძლიათ, მოითხოვონ სკოლაში დაცული ნებისმიერი საჯარო ინფორმაცია.

4. რა გზები და ფორმები არსებობს სკოლის მართვაში მშობლების ჩართვისათვის? ამისათვის არსებობს რამდენიმე გზა. მშობლები პირადად ან წარმომადგენლების მეშვეობით არჩეული არიან და იღებენ მონაწილეობას სკოლის სამეურვეო საბჭოში. გარდა ამისა, მათ უფლება აქვთ, სკოლაში ჩართულობის მიზნით ჩამოაყალიბონ სხვადასხვა ორგანიზაციები. მაგალითად, მშობელთა კომიტეტები. სკოლა ვალდებულია პატივი სცეს ასეთ ორგანიზაციებს და მათი გადაწყვეტილებები გაითვალისწინოს სკოლის საერთო მართვაში სასწავლო პროცესის ეფექტურობის გაზრდის მიზნით. გარდა ამისა, მშობელთა სკოლის ცხოვრებაში ჩართულობისათვის შეიძლება გამოყენებული იქნას შემდეგი ფორმები:

- მშობელთა კრებები;
- მშობლებთან ინდივიდუალური შეხვედრები;
- ღია კარის დღეები;
- მშობელთა კომიტეტისა და კლასის ხელმძღვანელთა ერთობლივი აღმზრდელი მუშაობები

როგორც სკოლაში, ასევე თემის წარმომადგენლებთან ერთად;

- ჯგუფური და ინდივიდუალური კონსულტაციები;
- აღზრდისა და სწავლების საკითხებზე მშობელთა ტრენინგები და პრაქტიკული მეცადინეობები.

5. როდის არის მიზანშეწონილი მოსწავლეებთან შეხვედრები და როგორ საკითხებზე? ეს საკითხები შეიძლება იყოს საკმაოდ დიდი სპექტრისა მოზარდების ინდივიდუალური უნარ-ჩვევების, ფსიქიკის, ქცევისა და სწავლის მოტივაციასთან დაკავშირებული პრობლემების სფეროდან. ასევე, ეს საკითხები შეიძლება ეხებოდეს თვითონ მშობლებს და ასე შემდეგ. მაგალითად:

- მშობელთა უფლებების მხრივ განათლება;
- მოსწავლეთა სოციალური დაცვის სტრატეგიების შემუშავება და ამ სტრატეგიის განსახორციელებლად საჭირო აქტივობების შემუშავების შესახებ;
- მშობელთა გათვითცნობიერების შესახებ თანამედროვე აღზრდისა და სწავლების მეთოდების კუთხით;
- მშობელთა განათლება ჯანსაღი ცხოვრების წესით მოსწავლეთა აღზრდის შესახებ და სხვა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მეტად მნიშვნელოვანი და საჭიროა მშობელთა ჩართულობა მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის, ანუ ცხოვრებისეული არჩევანის სწორად წარმართვაში. აქ მეტად მნიშვნელოვანია მშობელთა ჩართულობა გარკვეული ზომიერებით, სკოლის პედაგოგებთან ერთად წინასწარ შემუშავებული სქემის მიხედვით, რომელიც ისეთნაირად უნდა იყოს აგებული, რომ არ გამოიწვიოს მოზარდში უარყოფითი რეაქცია. ყველაზე მთავარია პატივი ვცეთ მოზარდის თავისუფალ არჩევანს, არ შევლახოთ მისი ჯერ კიდევ ფორმირების პროცესში მყოფი პიროვნული ინდივიდუალური სუვერენიტეტი.

საინტერესო მომენტს მშობელთა ჩართულობაში წარმოადგენს ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის მიხედვით, მშობელთა სასწავლო პროცესში ჩართულობის მაჩვენებლები და ხარისხი. ამ მიმართებით ჩვენ ქალაქ გორის N1 საჯარო სკოლაში ჩავატარეთ დაკვირვება. დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ სკოლაში უმეტესად ჩართულნი არიან სასწავლო პროცესში და სკოლის მართვაში სოციალური საჭიროების მქონე მოსწავლეების მშობლები, რაც გარკვეულწილად პარადოქსულ ხასიათს ატარებს. ჩვენი აზრით, ეს შეიძლება იმით აიხსნას, რომ ასეთი ოჯახები და მშობლები უფრო მეტად განიცდიან თავიანთი შვილების მომავალს, რამეთუ მათ გარკვეულწილად არ შეუძლიათ უზრუნველყონ შვილების შემდგომი ცხოვრება მატერიალურად, რის გამოც ცდილობენ ყველაწარაღად შეუწყონ ხელი შვილებს ისწავლონ, ჩამოყალიბდნენ კონკურენტუნარიან სპეციალისტებად, ჰქონდეთ მაღალანაზღაურებადი სამუშაო როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საერთაშორისო მასშტაბით.

საქართველოს დებატებისა და განათლების ინსტიტუტის GIDE-ის 2017 წლის მშობელთა ჩართულობის თვისობრივი კვლევის მიხედვით, შიდა ქართლში, სკოლისათვის მნიშვნელოვან და მოსაგვარებელ საკითხთა ნუსხაში პირველ ადგილზეა წესრიგის პრობლემა კლასში, რაც მეტად დამაფიქრებელი საკითხია. (საქართველოს დებატებისა და განათლების ინსტიტუტი (GIDE), 2017, გვ. 25) ამ საკითხის მოგვარება, რა თქმა უნდა, პირველ რიგში, პედაგოგებს ევალება. მაგრამ, აქ შეიძლება კარგი შედეგი სხვა ღონისძიებებთან ერთად გამოიღოს მშობელთა ჩართულობამ საკლასო მუშაობაში. ეს მეტად რთული და ფაქიზი საქმეა, რაც დიდ გამჭრიახობასა და სიფრთხილის დაცვასთან არის დაკავშირებული. ჩვენი აზრით, კარგი იქნება, თუ ამ მიმართებით დავწერავთ მშობელთა დასწრებებს გაკვეთილებზე, რაც გაზრდის როგორც მოსწავლეების, ასევე მასწავლებელთა დაინტერესებას და პასუხისმგებლობას. ასევე, კარგი იქნება შემოვიღოთ მშობელთა მორიგეობა სკოლაში მორიგე მასწავლებლებთან შეწყვილებით. ვფიქრობთ, მშობელთა ასეთი ჩართულობა სასწავლო პროცესში მეტად დაგვეხმარება სასკოლო წესრიგის გაუმჯობესებაში, რაც, როგორც ვიცით, აუცილებელი პირობაა ეფექტური სასწავლო პროცესის წარმართვისათვის.

ამრიგად, მშობელთა ჩართულობის პრობლემატიკა დღეისათვის ჩვენს ქვეყანაში სკოლის ნორმალური ფუნქციონირებისა და წარმატებული, მაღალი, ეფექტური სასწავლო პროცესის მისაღწევად გვევლინება ერთ-ერთ მწვავე პრობლემად. მისი დადებითად გადაწყვეტა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ აღზრდის მიზნების განხორციელებისა და აქედან გამომდინარე, სასურველ შედეგებზე გავსვლაში სკოლა და მშობლები თანაბრად გაინაწილებენ პასუხისმგებლობას. მშობელთა კლასში ჩართულობის პრობლემის გადაწყვეტაში აუცილებლად მიგვაჩნია შევიმუშაოთ პრაქტიკული ხასიათის ღრმად გააზრებული სტრატეგიები. ამ სტრატეგიების განსახორციელებლად უნდა შევიმუშაოთ კვლევითი სახის პროექტები. დროა პედაგოგებმა დაიწყონ საკუთარი პედაგოგიური საქმიანობის კვლევა, რაც საშუალებას მოგვცემს გადავჭრათ სასწავლო პროცესში არსებული პრობლემები. უფრო მეტიც, ეს უკანასკნელი დიდად დაგვეხმარება მოვახდინოთ შემდგომი პრობლემების წამოჭრის თავიდან აცილება.

ბიბლიოგრაფია:

- მარზანო, რ. ჯ., მარზანო, ი. ს., & ფიქერინგი, დ. ჯ. (2009). *კლასის მართვა*. (ნ. ნაცვლიშვილი, რედ.) თბილისი.
- ნიჟარაძე, ნ., მაკლეინი, ქ., & ბოლი, ტ. (2008). *სასწავლო და პროფესიული გარემო*. თბილისი: მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი.
- პედაგოგიკის საკითხები. (2013). (მ. ბოჭორიშვილი, შემდგენელი) თბილისი: უსტარი.

- საქართველოს დებატებისა და განათლების ინსტიტუტი (GIDE). (2017). *მშობელთა ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში: თვისობრივი კვლევის ანგარიში*. თბილისი.
- ჯანელიძე, ა. (2017 წლის 13 ოქტომბერი). *მშობელთა ჩართულობა: ჩვენთან თუ ჩვენს წინააღმდეგ?* მოძიებულია ვებგვერდიდან: <http://mastsavlebeli.ge/?p=15796>
- USAID/G-PRIED საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტი. (2015). *მშობელთა ჩართულობა: რეკომენდაციები დირექტორებისა და მასწავლებლებისათვის*. თბილისი.
- edu.aris.ge. (2016 წლის 15 ივნისი). *სკოლა და მშობელი – რას ნიშნავს მშობლის ჩართულობა და როგორ უნდა გაძლიერდეს მშობლის როლი სასკოლო ცხოვრებაში?!* მოძიებულია ვებგვერდიდან: <https://edu.aris.ge/news/skola-da-mshobeli-ras-nishnavs-mshoblis-chartuloba-da-rogor-unda-gadzlierdes-mshoblis-rolis-saskolo-cxovrebashi.html>
- Gross, B., DeArmond, M., & Denic, P. (2015). *Common Enrollment, Parents, and School Choice*. Center on Reinventing Public Education. Retrieved from <https://www.crpe.org/sites/default/files/cpe-report-common-enrollment-denver-nola.pdf>

Paata Kurdadze
Gori State Teaching University
PARENTAL INVOLVEMENT
RESUME

The importance of Parents' enrollment in dealing with effective learning process and their role is discussed in the paper. The main focus is given to those issues which should be answered by parents' participation in school life. Some recommendations are given to work out the strategies of parents' enrollment. There are also some methods and ways which will increase parents' enrollment in school life.

Keywords: Parent, Pupil, Teacher, School.

მარინე ქურიძე, თინათინ იოსებიძე
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

**უჯრედი, როგორც ცოცხალი ორგანიზმის სტრუქტურული ერთეული
და მისი სწავლება საბუნებისმეტყველო დისციპლინებში**

საკვანძო სიტყვები: უჯრედი, ინტეგრირებული გაკვეთილი, წყლის ფუნქციები, აქტივობა, ექსპერიმენტი.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის თანამედროვე სასწავლო პროგრამები ითვალისწინებენ საგანთა შორის კავშირების გაღრმავებას. ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სწავლების მიზანი და ამოცანაა აზიაროს მოსწავლე მეცნიერების საფუძვლებს და განუფითაროს კვლევის უნარ-ჩვევები, რაც მას საშუალებას მისცემს შეიცნოს და გაითავისოს სამყარო, ჩაერთოს საზოგადოებრივი საქმიანობის სხვადასხვა სფეროში, იგრძნოს პასუხისმგებლობა საკუთარი თავის, საზოგადოების მიმართ. თუმცა კვლევები მოწმობს, რომ საბუნებისმეტყველო საგნები საკმაოდ არაპოპულარულია სკოლებში, მიუხედავად იმისა, რომ მოსწავლეები აღიარებენ მეცნიერებისა და ტექნოლოგიური პროგრესის მნიშვნელობას. ეს კი მომავალ მეცნიერთა ნიჭს ხშირად გამოუყენებელს ტოვებს და მნიშვნელოვნად ამცირებს ტექნოლოგიების საუკუნეში ნებისმიერი ქვეყნის განვითარების

პერსპექტივას. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში საბუნებისმეტყველო საგნების სრულყოფილად დაუფლებისათვის მნიშვნელოვანია ახალი მიდგომებისა და მეთოდების შემუშავება, ცალკეული დისციპლინების განზოგადება-ინტეგრირება.

სასწავლო კურსებში ჩადებულია საფუძველი გარე სამყაროსა და ცოცხალ ორგანიზმში მიმდინარე პროცესების შესწავლის შესახებ. მოსწავლეებში საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისადმი ინტერესის გაღვივება არა მარტო საქართველოს, არამედ მაღალგანვითარებული ქვეყნების პრობლემას წარმოადგენს. ეს მიჩნეულია მსოფლიოს გლობალურ პრობლემად, რომელთა გამოსწორების გზებზე აქტიურად მუშაობენ განათლების სფეროს წარმომადგენლები, რომელთა მიზანია საბუნებისმეტყველო საგნების სწავლება ისეთი ფორმით, რომელიც უფრო საინტერესოს გახდის სასწავლო პროცესს.

ყოველივე აღნიშნული გარემოებები ქმნიან საფუძველს მოხდეს მომიჯნავე საგნებში შექმნილი ცოდნის განზოგადება, სინთეზირება, რის შედეგადაც ფორმირდება ცოდნა მოვლენებისა და პროცესების ურთიერთკავშირის არსის შესახებ. ასეთი ამოცანების გადაწყვეტა შესაძლებელია ინტეგრირებული გაკვეთილების დანერგვით მომიჯნავე ძირითად დისციპლინებს, კერძოდ ბიოლოგიასა და ქიმიას შორის. ინტეგრირებული გაკვეთილები საშუალებას აძლევს მოსწავლეს შეიძინოს ცოდნის ტრანსფერის უნარი - ერთ საგანში მიღებული ცოდნის სხვა შინაარსობრივ კონტექსტში გადატანა, დემონსტრირება და მიღებული ცოდნის პრაქტიკული გამოყენება.

საგანთა ინტეგრაცია - ეს არის მასალების გაერთიანება ორ ან მეტ დისციპლინაში, რაც უზრუნველყოფს გაკვეთილის იდეურ-აღმზრდელობითი და მეცნიერული დონის ამაღლებას. ის ხელს უწყობს დამაბულობის, გადატვირთვის, დაღლილობის მოხსნას გაკვეთილის მიმდინარეობისას. ინტეგრაცია იძლევა თვითრეალიზაციის, თვითგამოხატვის, სტიმულირების საშუალებას. ინტეგრირებულ გაკვეთილზე აქცენტი კეთდება არა იმდენად ცოდნის ათვისებაზე, არამედ სახვითი აზროვნების განვითარებაზე. პედაგოგს შეუძლია, შემოთავაზებული მასალა საკუთარი შეხედულებისამებრ გამოიყენოს ბიოლოგიისა და ქიმიის კურსში შესაბამისი მასალის სწავლებისას და დავალებების მიცემა სხვადასხვა მიმართულებით: საგანმანათლებლო, განმავითარებელი და სხვა.

ბიოლოგიაზე, როგორც მეცნიერებაზე სიცოცხლის შესახებ, მოსწავლე სისტემატურ ინფორმაციას და ცოდნას სკოლაში სხვადასხვა საბუნებისმეტყველო დისციპლინის (ბოტანიკა, ზოოლოგია, ანატომია, ზოგადი ბიოლოგია, ბუნებისმცოდნეობა, ქიმია, ფიზიკა) საშუალებით იღებს. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში საბუნებისმეტყველო დისციპლინების საფუძველი უჯრედია, მოძღვრებას უჯრედის შესახებ ციტოლოგია ეწოდება. ციტოლოგიის სწავლების პროცესში კი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემაა ორგანიზმში და, კონკრეტულად, უჯრედში შემავალი ნივთიერებების შემცველობის, ფუნქციების, ცხოველქმედების პროცესში მათი მნიშვნელობის შესწავლა. ბიოლოგიასა და ქიმიამი ძირითადად შეისწავლება უჯრედის შემადგენელი ნივთიერებები, რომელთაგან უმნიშვნელოვანესია წყალი, რომელიც წარმოადგენს ინტეგრირებული გაკვეთილის თემას.

შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან.

კვლ. X.3. მოსწავლეს შეუძლია მონაცემთა წარმოდგენა სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- იყენებს სხვადასხვა ხერხს (დიაგრამებს, ცხრილებს, გრაფიკებს, სიებს) მონაცემთა წარმოსადგენად;

- იყენებს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს თვისებრივი და რაოდენობრივი მონაცემების დასამუშავებლად და წარმოსადგენად.

ბიოლ. X.5. მოსწავლეს შეუძლია იმსჯელოს უჯრედში მიმდინარე პროცესებზე და დაასაბუთოს მათი მნიშვნელობა ორგანიზმისათვის.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- მსჯელობს უჯრედის სტრუქტურული კომპონენტების ურთიერთკავშირზე და განიხილავს უჯრედს, როგორც ერთ მთლიანს;


- ასაბუთებს უჯრედის შემადგენლობაში შემავალი არაორგანული და ორგანული ნივთიერებების აუცილებლობას ორგანიზმისათვის;

- წყლის ფიზიკური და ქიმიური თვისებების საფუძველზე ასაბუთებს სიცოცხლისათვის მის აუცილებლობას.

თემის მიზანია ინტეგრირებული გაკვეთილის საშუალებით (ბიოლოგიისა და ქიმიის) ბიოლოგიაში მოსწავლეებს უფრო საინტერესოდ და ღრმად შევასწავლოთ ისეთი მნიშვნელოვანი თემა, როგორცაა უჯრედის ქიმიური ორგანიზაცია; განვაზოგადოთ, სისტემაში მოვიყვანოთ, გავაფართოვოთ, გავაღრმავოთ მოსწავლეების ცოდნა წყლის ბიოლოგიურ როლზე ცოცხალ ორგანიზმებში; მის აგებულებასა და თვისებებზე, როგორც პლანეტის უნიკალურ და საოცარ და საიდუმლოებით მოცულ

ნივთიერებაზე; სასწავლო პროცესში განვავითაროთ კომუნიკაციის უნარი, თეორიული მასალა ექსპერიმენტული გზით სხვადასხვა წყაროებიდან აღებული წყლის ნიმუშების Ph მაჩვენებლების, მარილშემცველობის შედარება, სხვადასხვა ნივთიერებების ხსნადობა, აგრეგატული მდგომარეობის შეცვლა.

სწავლების მეთოდები: თხრობა, სამუშაოს შედეგების გაანალიზება, საუბარი, დისკუსია ექსპერიმენტი, ანალიზი, შეფასება.



სურ. 1. უჯრედი

როგორც №1 სურათიდან ჩანს, უჯრედი შედგება მრავალი ორგანელისგან, რომელთა აქტიურობა და სტრუქტურის შენარჩუნება მთლიანად წყლის შემცველობაზეა დამოკიდებული.

ციტოპლაზმის დიდ ნაწილს წყალი შეადგენს, ახალგაზრდა ორგანიზმში მისი რაოდენობა ბევრად მეტია ზრდასრულ ორგანიზმთან შედარებით. ციტოპლაზმაში წყალი მრავალ მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს, ინტეგრირებულ გაკვეთილზე ბიოლოგიისა და ქიმიის მასწავლებლები ხსნიან წყლის თვისებებს და მის ბიოლოგიურ მნიშვნელობას. ინტეგრირებულ გაკვეთილზე შესაძლებელია სხვადასხვა აქტივობების გამოყენება.

აქტივობა 1. გაკვეთილი დაიწყება მაპროვიცირებელი კითხვებით:

ქიმიის მასწავლებელი: რას წარმოადგენს წყალი ქიმიის თვალსაზრისით?

მოსწავლე: წყალი არის უსუნო, უფერო, უგემო სითხე, მოლეკულური ფორმულაა H₂O, ე.ი. შედგება ორი ატომი წყალბადისა და ერთი ატომი ჟანგბადისგან.

ბიოლოგიის მასწავლებელი: რას წარმოადგენს წყალი ბიოლოგიის თვალსაზრისით ?

მოსწავლე: ნივთიერება - სიცოცხლის მატრიცა, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია ორგანიზმის ძირითადი სასიცოცხლო პროცესები

ქიმიის მასწავლებელი: სასარგებლოა თუ არა ორგანიზმისთვის დისტილირებული წყალი?

მოსწავლე: ორგანიზმის ნორმალური ფუნქციონირებისათვის აუცილებელია მასში გახსნილი მინერალური ნივთიერებები.

აქტივობა 2. საგაკვეთილო განწყობის შესაქმნელად შესაძლებელია ვიდეოს ჩვენება - „წყალი ბუნებაში“. მოსწავლეები ვიდეოს მიხედვით ასაბუთებენ წყლის როლს დედამიწაზე ცოცხალი ორგანიზმებისათვის;

აქტივობა 3. ბიოლოგიის მასწავლებელი მოსწავლეებს აწვდის ინფორმაციას წყლის შესახებ:

დედამიწაზე არსებულ ნივთიერებებს შორის, წყალი თავისი ფიზიკური, ქიმიური და კვანტურ-მექანიკური თვისებებით, იკავებს განსაკუთრებულ მდგომარეობას ბუნებაში და უმნიშვნელოვანეს

როლს თამაშობს ორგანული სიცოცხლის არსებობაში. წყალი ჩვენი პლანეტის საფუძველს წარმოადგენს. არ არსებობს ბუნებრივი სხეული, რომელიც მას შეედრებოდა ყველაზე მნიშვნელოვან და გრანდიოზულ გეოლოგიურ პროცესებზე გავლენის მოხდენაში. (სენიაშვილი, მაცაშვილი, სულამანიძე, & ჯალიაშვილი, 2012, გვ. 8)

ფარავს რა დედამიწის ორ მესამედს, წყალი ზემოქმედებას ახდენს პრაქტიკულად ყველა პროცესზე, მუდმივად უწყობს ხელს სიცოცხლის შენარჩუნებას უკვე მილიარდი წლების განმავლობაში. რთულია მოიძებნოს ბუნებრივი სხეული, რომლის შემადგენლობაშიც არ იყოს წყალი. წყალს (ნესტს) შეიცავს ქვები და ცეცხლოვანი მაგმაც (გამდნარი ქანების მასა) კი. წყლისგან შედგება მცენარეთა სამყაროს 70-95%. წყალზე და მოკიდებული პლანეტის კლიმატი. უჯრედში მისი რაოდენობა საშუალოდ 80%-ია (ფრახილეზი - 40%, ტვინის რუხ ნივთიერებაში - 80% და ა. შ.)

აქტივობა 4. ქიმიის მასწავლებელი კი განუმარტავს მოსწავლეებს: წყალი ერთადერთი ნივთიერებაა, რომელიც გვხვდება უზარმაზარი რაოდენობით და ბუნებრივ პირობებში - სამივე აგრეგატულ (ფიზიკურ) მდგომარეობაში - მყარი, თხევადი და აირადი (ორთქლი). (ვარდიაშვილი, 2012, გვ. 177)

VIII საუკუნის შუა პერიოდამდე, წყალი ითვლებოდა დაუყოფელ ნივთიერებად. მხოლოდ 1783 წელს, ფრანგი ქიმიკოსი ანტუან ლორან ლავუაზიე მივიდა დასკვნამდე, რომ წყალს რთული აგებულება გააჩნია და მის შემადგენლობაში შედის წყალბადი და ჟანგბადი. ამის შემდეგ, ას წელზე მეტი ხნის განმავლობაში, წყალს ყველა თვლიდა უსუნო, უგემო და უფერო შენაერთად, რომელის აღწერაც შეუძლებოდა ერთადერთი შესაძლებელი ფორმულით - წყალბადის ოქსიდი - H_2O . თუმცა, 1932 წელს, მთელს მსოფლიოში გავრცელდა სენსაციური ცნობა, რომ ბუნებაში ჩვეულებრივი წყლის გარდა, არსებობს ეგრეთ წოდებული მძიმე წყალი (კლდიაშვილი & ბიბილიეშვილი, 2011, გვ. 68), ხოლო დღესდღეობით ცნობილია, რომ წყლის იზოტოპური ნაირსახეობა შეიძლება იყოს 135 .

მეცნიერები აგრძელებენ კვლევებს და ახალ აღმოჩენებს წყალთან მიმართებაში. ამჟამად არსებობს მეცნიერული მონაცემები წყლის ინფორმაციული მესხიერების შესახებ, ზღვის, მდინარის ნაპირზე ადამიანის სულიერ სიმშვიდეს გრძნობს, რისი მაგალითიცაა დიდი ქართველი პოეტის ნ. ბარათაშვილის ლექსი - „ფიქრნი მტკვრის პირას“; მიიჩნევა, რომ წყალი წარმოადგენს ცხოვრების წმიდათაწმიდა საფუძველს. მასთან არის დაკავშირებული პრაქტიკულად ყველა რელიგიის უმნიშვნელოვანესი რიტუალები.

გადაცემული მასალის ათვისების ხარისხს მასწავლებლები ამოწმებენ შემდეგი კითხვებით:

აქტივობა 5. მასწავლებლის დასმულ კითხვებს მოსწავლეები პასუხებენ (კი ან არა):

- მეოცე საუკუნემდე ხალხი თვლიდა თუ არა წყალს ქიმიურ ელემენტად
- ბუნებაში წყალსატევებში გვხვდება თუ არა სუფთა წყალი
- არის თუ არა მსოფლიო ოკეანე დედამიწის თერმორეგულატორი
- წყლის 20%-ით დაკარგვა საშიშია თუ არა ადამიანის სიცოცხლისათვის
- გაყინვისას წყლის მოცულობა როგორ იცვლება

აქტივობა 6. მინი ლექცია ბუტილირებულ წყალზე (ქიმიის მასწავლებელი)

ამერიკელმა მკვლევარებმა 2-დან 19 წლამდე 15 ათასი ბავშვისა და მოზარდის მშობლები გამოკითხეს. შედეგები მოულოდნელი აღმოჩნდა: ბავშვებს, რომლებიც მხოლოდ მინის ან პლასტმასის ჭურჭელში ჩამოსხმულ წყალს სვამდნენ, უფრო ხშირად უფუჭდებოდათ კბილები. 2014 წელს მიჩიგანის შტატის ქალაქ ფლინტში სკანდალი გაჩაღდა: როგორც აღმოჩნდა, წყალმომარაგების ახალ წყაროზე გადასვლამ მიწების კოროზია გამოიწვია, რის გამოც წყალში ტყვიის შემცველობამ მოიმატა. ონკანის წყალში ტყვიის შემცველობა ნორმაზე მეტი აღმოჩნდა. ვითარება გამოსწორდა, მაგრამ ქალაქის მცხოვრებთა უმრავლესობა მაინც ბუტილირებულ წყალს ამჯობინებდა.

ჩრდილო კაროლინის უნივერსიტეტის მკვლევარებმა 15 ათასამდე ბავშვის ჯანმრთელობის შესახებ მონაცემები მოაგროვეს (2005-2014 წლების პერიოდი). ამ მონაცემებში შევიდა პუნქტი წყლის შესახებ. მეცნიერებმა ეს შედეგები 2011-2014 წლების ბავშვთა სტომატოლოგიური გამოკვლევის მონაცემებს შეადარეს. როგორც გაირკვა, წყალსადენის წყლის მსმელი ბავშვების (ასეთები კი 80%-მდე აღმოჩნდა) სისხლში ტყვიის შემცველობა მეტი იყო. სამაგიეროდ იმ ბავშვებში, რომლებიც ბუტილირებულ წყალს სვამდნენ, უფრო ხშირად ჰქონდა ადგილი კარიესის შემთხვევებს. კვლევის ავტორების აზრით, შესაძლოა, ეს იმასთან იყოს დაკავშირებული, რომ ბოთლში ჩამოსხმულ წყალს ფტორს უმატებენ, რომელიც კბილის ემალს ნელ-ნელა შლის.

უეჭველად, წყალი აუცილებელია ორგანიზმისთვის. მას მრავალი სარგებლობა მოაქვს ჩვენი ჯანმრთელობისთვის, აუმჯობესებს ჩვენს იმუნურ სისტემას, არბილებს და ანოტივებს ჰაერს, გვეხმარება სასარგებლო ვიტამინებისა და მიკროელემენტების ათვისებაში, აკონტროლებს სხეულის ტემპერატურას, ანოტივებს კუჭის მოძნელებელ სისტემას და მით საჭმლის მონელებას ეხმარება, ადამიანის ორგანიზმში

აწვდის ჟანგბადს ორგანიზმის უჯრედებს და მრავალი სხვა. მაგრამ, მრავალწლოვანი კვლევის შემდეგ, მეცნიერები მივიდნენ დასკვნამდე, რომ ბუტილირებული წყალი ამ სასარგებლო თვისებებს მოკლებულია და ზიანი უფრო მოაქვს ორგანიზმისთვის, ვიდრე სარგებლობა. ბუტილირებული წყლის ქიმიური კვლევის დროს მასში იპოვეს დიდი რაოდენობით მადეზინფიცირებელი საშუალება, ფარმაცევტული პრეპარატები და სხვადასხვა სახის ქიმიკატები, რომლებსაც შეუძლიათ ჩვენი ორგანიზმის დაზიანება და ჩვენი ჯანმრთელობის სერიოზული შერყევა. ამ მხრივ ონკანის წყალი უფრო სასარგებლოა, ვიდრე ბუტილირებული. თანაც, თუ გავითვალისწინებთ, რომ ბუტილირებული წყლის ფასი 100-ჯერ აღემატება ონკანიდან მომავალი წყლის ღირებულებას, ბუტილირებული წყლის გამოყენების რისკი სრულიად გაუმართლებელიც არის.

მოსწავლეები შეისწავლიან წყლის ფიზიკურ და ქიმიურ თვისებებს, გააცნობიერებენ წყლის მნიშვნელობას ცოცხალ სამყაროში და წყალს, როგორც ცოცხალი ორგანიზმებისთვის უალტერნატივო ნივთიერებას.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- წინასწარ შერჩეული თემისთვის ამზადებს და აანალიზებს მასალას;
- შერჩეული წყაროებიდან ამოკრებილ მასალას იყენებს (იმოწმებს, ახდენს პერიფრაზირებას, მოკლედ გადმოსცემს) სათანადო წესების დაცვით;

• შესაბამის წყაროებზე, მასალაზე, საკითხის კვლევის ისტორიაზე დაყრდნობით ჩამოაყალიბებს ნაშრომის ძირითად თვალსაზრისს და მისთვის მოსახერხებელი ფორმით შეადგენს გეგმას.

ბოლო წლებში მეცნიერები ხშირად ამახვილებენ ყურადღებას წყლის ხარისხსა და მოსახლეობის ჯანმრთელობის ურთიერთდამოკიდებულებაზე. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, დედამიწაზე დაავადებების ნახევარზე მეტი დაბინძურებული წყლისგანაა გამოწვეული. ეს ეხება არა მარტო ჩამორჩენილ ქვეყნებს, არამედ თანამედროვე მეგაპოლისებსაც. ცნობილია უამრავი სახის წყლის დამაბინძურებელი, რომელიც დამღუპველად მოქმედებს მოსახლეობის, მცენარეების, ცხოველების ჯანმრთელობაზე.

არსებობს წყლის დაბინძურების სხვადასხვა სახეები: მექანიკური, ქიმიური, ბიოლოგიური, რადიოაქტიური, ასევე პესტიციდები, სინთეტიკური და კარცენოგენული ნივთიერებები, მძიმე მეტალები, წარმოების ნარჩენები, თბური დაბინძურება.

ამჟამად წყლის ხარისხის შენარჩუნება წარმოადგენს ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემას.

შესაძლებელია არაპროგრამული საკითხის ირგვლივ მოსწავლის მიერ მასალის მოძიება და დემონსტრირება. ქიმიისა და ბიოლოგიის მასწავლებლები ქვემოთ ჩამოთვლილ საკითხებს და ცხრილ 1-ს (შესავსებად) მოსწავლეებს საშინაო დავალებად აძლევენ:

- კლატრატები;
- ცოცხალი და მკვდარი წყალი;
- წყლის უცნაური თვისებები;
- რა ფუნქციებს ასრულებს ორგანიზმში წყალი;
- წყალი და მისი განსაკუთრებულობა;
- საინტერესო ფაქტები წყლის შესახებ;
- წყლის მეხსიერება;
- რაზე არის დამოკიდებული უჯრედში წყლის შესვლა ან გამოსვლა;
- რა დაემართებათ ერთროციტებს ჰიპოტონურ, ჰიპერტონურ და იზოტონურ ხსნარში

მოთავსებით;

- რა განაპირობებს წყლის ბიოლოგიურ როლს;
- რას ეწოდება ჰიდროფილური და ჰიდროფობული ნივთიერება;

ცხრილი 1

წყლის აგებულება, თვისებები და ფუნქციები

	წყლის აგებულება, თვისებები და ფუნქციები	წყლის დახასიათება
1	წყლის გავრცელება დედამიწაზე	
2	ფიზიკური თვისებები	
3	მოლეკულის აღნაგობა	
4	ზედაპირული დაჭიმულობა	

5	ქიმიური თვისებები	
6	მძიმე წყალი	
7	წყლის ანომალური თვისებები	
8	წყლის როლი მცენარეში	
9	წყლის მნიშვნელობა ცხოველისთვის	
10	წყლის მნიშვნელობა ადამიანისთვის	
11	წყლის გამოყენება მრეწველობაში	
12	წყლის დაბინძურება	
13	წყლის გასუფთავების მეთოდები	
14	წყალი - მხატვრების მუზა	
15	წყალი - პოეტების მუზა	

მოსწავლეები მომდევნო გაკვეთილზე წარმოადგენენ წყალთან დაკავშირებულ საპრეზენტაციო მასალას, რომელიც საშინაო დავალებად ჰქონდათ მიცემული.

ამრიგად, წყალი კარგი გამხსნელია; ქიმიური რეაქციები მიმდინარეობს წყალხსნარში; განაპირობებს უჯრედის ფიზიკურ თვისებებს, მოცულობას და დრეკადობას;

წყალი არის მცენარეებში ფოტოსინთეზის დროს ჟანგბადის წყარო; მონაწილეობს ოსმოსურ მოვლენებში; ნივთიერებათა გადატანის ძირითადი საშუალებაა; თბორეგულატორია; მას აქვს წყალბადური ბმების წარმოქმნისა და დაშლის უნარი; უზრუნველყოფს მცენარეებში თესლის გაღვივებას; ბევრი ორგანიზმისთვის საარსებო გარემოა, უზრუნველყოფს მათ გამრავლებას, გადაადგილებას; ახასიათებს მაღალი სითბოტევადობა, ტემპერატურის მკვეთრი შეცვლა წყალში არ ხდება, რაც ბევრი ორგანიზმისთვის ხელსაყრელი ფაქტორია. ამ ფორმით ჩატარებული გაკვეთილით მოსწავლეებს უადვილდებათ მასალის ათვისება, მნიშვნელოვანი შედეგია ისიც, რომ მოსწავლეები აცნობიერებენ წყლის მნიშვნელობას ცოცხალი ორგანიზმისათვის და მისი დაბინძურების უარყოფით შედეგებს.

ბიბლიოგრაფია:

ვარდიაშვილი, მ. (2012). *ქიმია: X კლასი*. თბილისი: ინტელექტი.

კლდიაშვილი, რ., & ბიბილეიშვილი, დ. (2011). *წყალი და მისი ხასიათი*. თბილისი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმებისა და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტი. (2012). *ეროვნული სასწავლო გეგმა და საგნობრივი სტანდარტი: 2011-2016*.

სეხნიაშვილი, მ., მყაშვილი, მ., სულამანიძე, მ., & ჯალიაშვილი, მ. (2012). *ბიოლოგია: X კლასი*. თბილისი: კლიო.

Marine Kuridze, Tinatin Iosebidge

Gori State Teaching University

CELL AS A STRUCTURAL UNIT OF LIVING ORGANISM AND ITS TEACHING IN NATURAL DISCIPLINES RESUME

The theme aims to teach pupils of an integrated lesson (biology and chemistry) an important topic such as the chemical organization of the cell in a more profound and interesting manner; generalize, set the framework, broaden, deepen the students' knowledge of biological role of water in living organisms, its structure and properties as a unique, amazing and mysterious substance of the planet.

In the process of learning communication skills should be developed, along the pH indicator of water samples taken from different sources through theoretical and experimental ways, significance is laid out on comparison of salinity, solving of different substances, changing aggregate positions by means of various activities and providing interesting out of program materials and homework.

Students will learn the physical and chemical properties of water, realize the significance of water in the living world as a restrained substitute for living organisms.

Keywords: Cell, Integrated lesson, Water functions, Activity, Experiment.

ზურაბ ჩხიკვაძე
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
ლელა ხუბულური
დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემია

თანასწავლება უცხო ენების გაკვეთილზე

საკვანძო სიტყვები: თანასწავლება, თანასწავლების სტილი და მეთოდები, ინკლუზია, ალტერნატიული სწავლება, გუნდური სწავლება, პარალელური სწავლება.

მოკლე ისტორიული მიმოხილვა

თანასწავლება საკლასო-სააუდიტორიო აქტივობის სულ უფრო მეტად გავრცელებული ფორმაა, რადროსაც პედაგოგები ცდილობენ შექმნან სწავლისათვის საჭირო მრავალფეროვანი გარემო, განსაკუთრებით სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისათვის (სსსმ).

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა ჩართვა რეგულარული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო პროცესებში დაიწყო 1960 იანი წლების მიწურულს ამერიკის შეერთებულ შტატებში, რათა ისინი „გამოცალკევებულნი“ არ ყოფილიყვნენ თავისი თანატოლებისაგან. ამ მოძრაობამ, რომელიც თავდაპირველად მშობლებისაგან იყო ინიცირებული, მიიღო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა განათლების აქტის (IDEA) სახე და აისახა საჯარო სამართლის კანონში 1975 წელს, ხოლო 2004, 2006, 2011 წლებში მოხდა მისი გადახედვა-გაფართოება.

სსსმ მოსწავლეთა „გაერთიანებას“ ზოგადსაგანმანათლებლო კლასებში თავდაპირველად „მეინგსტრიმინგი“ (mainstreaming), ხოლო მოგვიანებით „ჩართულობის“ (inclusion) სახელი ეწოდა. ამ აქტივობის მიზანი იყო სსსმ მოსწავლეებს ჰქონოდათ ჩვეულებრივი სასწავლო გარემო და მიეღწიათ აკადემიური წარმატებებისათვის ჩვეულებრივ, თავის თანატოლებისდაგვარად, რაც მათი უმეტესობისათვის სპეციალური დახმარების გარეშე გაძნელდა. ამან წარმოშვა საგაკვეთილო პროცესში მეორე - „სპეც-მასწავლებლის“ ჩართვის საჭიროება.

საგაკვეთილო პროცესის შემდეგი ფორმა „ჩართულობა - inclusion“ უფრო ეფექტური აღმოჩნდა და თანასწავლების ცნება-აქტივობა დამკვიდრდა. ამ დროს ზოგადსაგანმანათლებლო კლასებში განთავსებულ სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლეებს საგნის ათვისებასა და აკადემიურ მიღწევებში ძირითადი მასწავლებლის გარდა დამატებით „სპეც-მასწავლებელი“ ეხმარებოდათ. ტერმინი თანასწავლება უფრო პოპულარული და ზუსტი გახდა. უფრო მკაფიოდ გამოიკვეთა ძირითად მასწავლებელსა და სპეც-მასწავლებელს შორის ურთიერთობის ფორმები, რომლის მიზანი იყო კლასში ყველა მოსწავლისათვის ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროგრამებით გათვალისწინებულ მასალებზე მაქსიმალური ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა და თანატოლებთან თავისუფალი ინტერაქციის უზრუნველყოფა.

თანასწავლება არის მასწავლებელთა წყვილში მუშაობის პროცესი საგანმანათლებლო დაწესებულებაში. კერძოდ, გაკვეთილის დაგეგმვის, წარმართვისა და შეფასების აქტივობების გაზიარება გაკვეთილამდე, გაკვეთილისა და გაკვეთილის შემდგომ პერიოდში. სადაც ისინი თანაბრად პასუხისმგებელი არიან სწავლების მიზნებსა და შედეგებზე.

თანახმად ინსტრუქციული მოწყობისა, რომელსაც თანასწავლების ფორმატი (co-teaching format) გულისხმობს, ორივე პედაგოგმა თანაბრად უნდა მიიღონ მონაწილეობა საგაკვეთილო პროცესში და გახდნენ სრული პარტნიორები. აქ არ მოიაზრება ერთდროულად ანალოგიური ან მსგავსი რამის კეთება. ეს გულისხმობს, რომ თითოეული მასწავლებლის მეორისაგან „განსხვავებული როლი“ მიმართული უნდა იყოს გაკვეთილის ეფექტურობისა და შედეგიანობისკენ.

თანასწავლება ხშირად ხორციელდება ზოგადი და სპეციალური განათლების მქონე მასწავლებლებთან ერთად, რაც მოიცავს ინკლუზიური კლასის შექმნის ინიციატივას.

„ჩართულობა არის რწმენის სისტემა, რომელიც მოიცავს რეალობას, რომ სხვადასხვა უნარის მქონე ადამიანები ჩართულნი არიან სწავლის დადებით გარემოში“. (Stein, 2016, p. 8)

თანასწავლების სახეები

პროფესორი ლინ კუკი თავის ნაშრომში „თანასწავლება: პრინციპები, პრაქტიკა და პრაგმატიკა - Co-Teaching: Principles, Practices, and Pragmatics“ (Cook, 2004) ყურადღებას ამახვილებს თანასწავლების შემდეგ სახეებზე:

ერთი ასწავლის, მეორე აკვირდება - One teach, one observe

ამ მოდელის მიხედვით, ერთი მასწავლებელი ხსნის, ხოლო მეორე კი აკვირდება სტუდენტებს, თუ როგორ იგებენ მასალას და ცდილობს შეაფასოს მათი ჩართულობა. ეს მეთოდი საშუალებას აძლევს დამკვირვებელ პედაგოგს გააცნოს შეგროვილი ინფორმაცია კლასს, რომლის შინაარსი და აზრი მეტად მნიშვნელოვანია როგორც სტუდენტებისთვის, ასევე მეწყვილე პედაგოგისათვის. ეს საშუალებას აძლევს თანასწავლების წყვილს მუდმივად გააუმჯობესოს თავისი პრაქტიკა და დააკმაყოფილოს ყველა მოსწავლის საჭიროება საგაკვეთილო პროცესში.

ერთი ასწავლის, ერთი მხარდასჭერს - One teach, one assist

ერთი მასწავლებელი ხსნის მასალას, აძლევს დავალებებს, თანამასწავლებელი დადის კლასში და ეხმარება არა მხოლოდ სსმ მოსწავლეებს, არამედ ყველას, ვისაც დახმარება სჭირდება.

პარალელური სწავლება - Parallel Teaching

პარალელური სწავლების მოდელში პედაგოგები კლასს ორ ჯგუფად ყოფენ. თითოეულ ჯგუფს პარალელურად ასწავლიან ერთსა და იგივე მასალას. ამ მიდგომის უპირატესობა ისაა, რომ პატარა ჯგუფები სტუდენტებსა და პედაგოგებს შორის ზედამხედველობისა და ურთიერთქმედების უფრო მჭიდრო შესაძლებლობას იძლევა, რაც მასალის გაგება-ათვისებას მნიშვნელოვნად აუმჯობესებს.

სწავლება „სადგური“ – Station Teaching

ორივე პედაგოგი ინაწილებს სამუშაო მასალას, რომელშიც თვითონ თვლის, რომ უკეთესი კომპეტენცია აქვს. კლასი იყოფა ორ „სადგურად“, სადაც იმყოფება მასწავლებელი თავისი დავალებების ნაწილით. მოსწავლეები „მოგზაურობენ“ სადგურიდან სადგურისაკენ სხვადასხვა დავალებებისა და ინსტრუქციების მისაღებად.

ალტერნატიული სწავლება - Alternate Teaching

ამ მეთოდით ერთი მასწავლებელი უძღვება უფრო დიდ, ხოლო მეორე ასწავლის უფრო მცირე ჯგუფს, რომელსაც განსაკუთრებული ყურადღება და დამატებითი მხარდაჭერა სჭირდება.

გუნდური სწავლება - Team Teaching

გუნდური სწავლება მოითხოვს ძლიერ პარტნიორობას, რაც შეიძლება იყოს ერთ-ერთი ყველაზე სრულფასოვანი მეთოდი თანასწავლებისთვის. გუნდური სწავლების დროს თანამასწავლებლები ინაწილებენ პასუხისმგებლობას და უძღვებიან გაკვეთილს მონაცვლეობით.

წარმატებული თანასწავლების ნორმები

ამერიკელი პედაგოგი ნატალი მარსტონი თავის ნაშრომში „ექვსი ნაბიჯი წარმატებული თანასწავლებისაკენ“ - 6 Steps to Successful Co-Teaching - (Marston) გვთავაზობს გარკვეულ გარემო-პირობების უზრუნველყოფას წარმატებული თანასწავლების განსახორციელებლად.

1. ურთიერთპატივისცემა და კოლეგიალური სამუშაო გარემოს შექმნა

უპირველეს ყოვლისა თანასწავლებაში მონაწილე ორივე მხარემ უნდა ჩამოაყალიბოს ურთიერთობა გაცილებით ადრე, სანამ სტუდენტებს შეხვდებიან გაკვეთილზე. რაც გულისხმობს ერთმანეთის გაცნობას პირადულის დონეზე: ოჯახური მდგომარეობა, ბავშვები, გატაცებები, რა გაქვთ საერთო და ა.შ.

გაკვეთილზე მასწავლებელთა ურთიერთთანხმებული მშვიდი მოქმედებების დროს მოსწავლეები უფრო კომფორტულად გრძნობენ თავს აუდიტორიაში. მოსწავლეები მშვენივრად აღიქვამენ დამაბულობასაც და ჰარმონიასაც სასწავლო გარემოში. დადებითი ურთიერთობა ხელს უწყობს გაუგებრობის შემცირებას და პრობლემების დროულად გადაჭრას მათ ესკალაციამდე.

2. სწავლების სტილის განსაზღვრა და მისი გამოყენება მოტივირებული და შეკრული კლასის შესაქმნელად

იმ შემთხვევაში, თუ ერთი მხარის სწავლების სტილი მოიცავს ექსპერიმენტებსა და სხვადასხვა აქტივობების გამოყენებას, ასევე სახელმძღვანელოსთან ნაკლებ „ურთიერთობას“, ხოლო მეორე მხარე პირიქით ფართოდ იყენებს სახელმძღვანელოსა და მასში მითითებულ აქტივობებს, როგორ ხდება თანასწავლების ერთიანი სტრატეგიების შემუშავება?

ამ შემთხვევაში უნდა მოხდეს ორივე სტილისგან მათი „საუკეთესო მხარეებით“ დაბალანსებული სტრატეგიის შემუშავება ერთიანი კომფორტული საკლასო გარემოს შესაქმნელად.

3. ძლიერი და სუსტი მხარეების განხილვა-განსაზღვრა

სასურველია ორივე თანამასწავლებელმა ჩამოწეროს თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები, შეადგინოს კლასში სამუშაო მასალასთან დაკავშირებული მათთვის ადვილი და რთული აქტივობების სია. შეაჯგონონ ისინი და გამოკვეთონ, რომელი მათგანი გაუძღვება გაკვეთილის კონკრეტულ მონაკვეთს თითოეული მათგანის შესატყვისი ძლიერი მხარის გათვალისწინებით.

4. ერთიანი სამოქმედო გეგმა და აქტივობა

თანასწავლების პედაგოგების წყვილს წლის განმავლობაში მუდმივად მოუხდება გადაწყვეტილებების მიღება. იმისათვის, რომ ხარვეზები მინიმალური იყოს სამოქმედო გეგმა უნდა შემუშავდეს წლის დასაწყისში. ამასთან ერთად სასურველია გეგმაში ყურადღება იყოს გამახვილებული შემდეგ საკითხებზე:

- სასწავლო ცხრილი;
- თანამასწავლებელთა წინასწარ გააზრებული მოქმედებები კლასში ან აუდიტორიაში;
- გაკვეთილის პროცესი, როგორცაა საშინაო დავალებების შემოწმება, კლასში მუშაობა, მასალის ახსნასთან დაკავშირებული აქტივობები და სხვ.;
- გეგმით გათვალისწინებული სასწავლო პროცესიდან ამოვარდნით გამოწვეული შედეგები;
- შეფასების პოლიტიკა;
- ურთიერთობა სკოლასა და ოჯახს შორის (მშობლებთან თანამშრომლობა, სამოქმედო პოზიციებისა და ვალდებულებების წინასწარ განსაზღვრა საერთო აკადემიური მიზნების მისაღწევად).

5. გარისკვა და განვითარება

თანასწავლების ხიბლი მდგომარეობს იმაში, რომ იგი გვამლევს საშუალებას ვისწავლოთ პასუხისმგებლობის თავზე აღება და გარისკვა, ერთმანეთისაგან გავიზიაროთ და შევიძინოთ სპეციფიკური გამოცდილება და ჩამოვყალიბდეთ სწავლების ამ მეტად მნიშვნელოვანი ასპექტის პროფესიონალ პედაგოგებად.

თანასწავლება სასწავლო პროცესის არ „ჩავარდნის“ თავისებურ გარანტიათა გვეკლინება. თუ თქვენ ცდილობთ რაიმე ახალი მიდგომის შეტანას სწავლებისას და ატყობთ, რომ არ „მუშაობს“, კლასში იმყოფება მეორე მასწავლებელი, რომელსაც შეუძლია პროცესის სხვა მეთოდით წარმართვა, ან სიტუაციისათვის მიმართულების შეცვლა.

ასეთ შემთხვევაში, გაკვეთილის შემდგომ ერთი მასწავლებლისათვის გაცილებით ძნელია ობიექტური ანალიზის გაკეთება, ვიდრე „ორმასწავლებლიანი“ წყვილისთვის, როცა ერთი ასწავლის, მეორე კი აკვირდება.

ისიამოვნეთ!

“თანასწავლება - ეს არის გამოცდილება, რომლის სრულყოფილება დამოკიდებულია თქვენზე. გაქვთ შანსი ყოველდღიურად იმუშაოთ კოლეგასთან ერთად. გამოიყენეთ და ისიამოვნეთ! (Co-teaching is an experience that is as good as you allow it to be. You have the opportunity to work with another educator daily. Make the most of it. Enjoy!“ – (Marston)

თანასწავლებაზე დღემდე გამოქვეყნებული მასალებიდან ჩანს, რომ სწავლების ამ სახისა და მეთოდების გამოიყენება საჭირო გახდა ძირითადად სსსმ ბავშვებისა და მოსწავლეებისათვის ზოგადსაგანმანათლებლო და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში შესაფერისი სასწავლო გარემოს შექმნისათვის, რათა მომხდარიყო მათი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებულ საკლასო აქტივობებში ჩართულობა და დადებით აკადემიურ შედეგებზე გასვლა. ასევე, „ჩვეულებრივ“ სასკოლო გარემოსთან უმტკივნეულო ინტეგრაცია-შეგუება.

დოკუმენტებში, ამ აქტივობის შემსრულებელ პედაგოგთა წყვილი უმეტესად „საგნის მასწავლებელი და სპეცმასწავლებლის“ ტერმინებით მოიხსენიება, სადაც სპეცმასწავლებელი

ინკლუზიური განათლების სპეციალისტია, რომლის უპირველესი მოვალეობაა სსმ ბავშვებთან და მოსწავლეებთან მუშაობა და საგანმანათლებლო დაწესებულებებში მათთვის შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნა.

როგორც ცნობილია, საქართველოში, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში (უსდ) სსმ სტუდენტები ირიცხებიან ეროვნული გამოცდების წარმატებით გავლის შემდეგ, ხოლო სასწავლო გარემო პირობების შექმნასთან დაკავშირებით განათლების კანონი და ავტორიზაცია-აკრედიტაციის სტანდარტები უსდ-სგან უპირობოდ ითხოვენ მათთვის ადაპტირებული გარემოს ქონას/არსებობას, მაგრამ სპეც-მასწავლებლის საჭიროება ნაკლებად აქტუალურია.

ერთი საგნის ორი პედაგოგის მიერ განხორციელებული თანასწავლება, ჩვენი აზრით, სწავლების საკმაოდ საინტერესო და პროდუქტულია ენების შესწავლის პროცესში.

როგორც მოგეხსენებათ, ერთიანი ეროვნული გამოცდების ტესტირების შედეგებით აბიტურიენტთა შეფასებას გააჩნია ზედა და ქვედა ზღვარი (უცხო ენებში ზედა 90 ქულა - ქვედა 19 ქულა). უმეტესად ერთ ჯგუფში ხვდებიან ენაში დაბალიც და მაღალი კომპეტენციის მქონე სტუდენტები, რაც საკმაო სირთულეს უქმნის საგნის მასწავლებელს შეარჩიოს სწავლების ისეთი ტაქტიკა, რომ ერთი კატეგორიისთვის რთული და გაუგებარი, ხოლო მეორესთვის ადვილი და მოსაბეზრებელი არ აღმოჩნდეს სილაბუსით განსაზღვრული მასალა. აი აქ პრობლემის წარმატებით გადასაჭრელად და გაკვეთილის მიზნის მისაღწევად გვევლინება თანასწავლების „შინაარსით“ გათვალისწინებული პარტნიორი მასწავლებელი. მოგახსენებთ ამ მეთოდით ჩატარებული პრაქტიკული მეცადინეობის ციკლს ენაში, რომელსაც კლასში აუდიტორიის მხრიდან დადებითი დამოკიდებულება და მასალის გადაცემა-ათვისების წარმატებული აქტივობები მოჰყვა.

თანასწავლება უცხო ენის გაკვეთილზე - საკუთარი გამოცდილება

2018 წლის გაზაფხულზე საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიაში შედგა ოფიცერთა სპეც-ჯგუფი სამთვანი ენობრივი გადამზადებისათვის (ინგლისური), რომლის ინსტრუქტორად დაინიშნა ჩემი კოლეგა და ამ სტატიის თანაავტორი, ქალბატონი ლელა ხუბულური. მან მთხოვა გადამეხედა მის მიერ შედგენილი სასწავლო გეგმისათვის, სავარაუდო სასწავლო ლიტერატურასა და სააუდიტორიო ენობრივი აქტივობების ნუსხისათვის. ასევე შემომთავაზა დავსწრებოდი გაკვეთილებზე როგორც მეთვალყურე, ხოლო სურვილის შემთხვევაში მონაწილეობა მიმეღო როგორც თანამასწავლებელს, რაზეც დიდი სიამოვნებით დავთანხმდი.

ჯგუფი შედგებოდა 18 ოფიცრისაგან. ჩავატარეთ ენის დონის განმსაზღვრელი ტესტი. შემდეგ წინასწარ გადავხედეთ მეცადინეობის განრიგს, სასწავლო გეგმას, სადაც მცირე ცვლილებები შევიტანეთ და გავიარეთ 1-ლი გაკვეთილის გეგმა თავისი ეტაპებით. გავინაწილეთ „როლები“. როგორც მოსალოდნელი იყო ჯგუფში ენობრივი კომპეტენციების დონე სხვადასხვა იყო.

თავდაპირველად ჩემი კოლეგა ხსნიდა და აძლევდა კლასში გასაკეთებელ დავალებებს. მე ვაკვირდებოდი ამ პროცესს და ოფიცერთა ჩართულობას გაკვეთილის მსვლელობაში. ვიწერდი ჩემთვის მნიშვნელოვან შენიშვნებს და ვფიქრობ ვაძლიერებდი განწყობას რომ ყველა მსმენელი იყო პედაგოგთა ყურადღების ქვეშ. დავდიოდი მსმენელებს შორის. ვაკვირდებოდი დავალების შესრულების ტემპს და ხარისხს. აუცილებლობის შემთხვევაში პარტნიორ მასწავლებელთან ერთად ინდივიდუალურად ვეხმარებოდი საჭიროების მქონე მსმენელებს. იყო ისეთი აქტივობები, როცა ჯგუფს ვყოფდით ორ ნაწილად, ვაძლევდით ენობრივ დავალებას, განსაზღვრული დროის შემდეგ ვამოწმებდით შესრულებულ სამუშაოს და ვავლენდით „გამარჯვებულ“ ჯგუფს. ენობრივ ასპექტში ასეთი დავალებები იწვევდა მსმენელების გააქტიურებას, ზრდიდა მოტივაციას, რაც შემდგომში ისახებოდა შედეგზე. მოკლე ხანში ჩვენი სურვილის მიხედვით ვინაწილებდით საკლასო აქტივობების ჩამონათვალს და გაკვეთილზე მონაცვლეობით ვატარებდით. მსმენელთა შეფასებები ხდებოდა ორივე მხარის შენიშვნებისა და აზრის გათვალისწინებით.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თანასწავლების მეთოდის გამოყენება, როდესაც ენის სწავლება მიმდინარეობს უცხოელ (ენის მატარებელ) სპეციალისტთან ერთად. ასეთი პრაქტიკა დაინერგა გორის უნივერსიტეტში 2003 წლიდან, როდესაც სასწავლო პროცესში ჩაერთვნენ მშვიდობის კორპუსის მოხალისე პედაგოგები.

საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიაში (ეთა) თანასწავლების მეთოდის გამოყენება აქტიურად ხდება როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოელი პარტნიორი უნივერსიტეტების ენობრივი დეპარტამენტების წარმომადგენლების სამუშაო ვიზიტების ფარგლებში.

აღნიშნული მეთოდით სწავლება განხორციელდა ლიტვის სამხედრო აკადემიაშიც ეთა-ს ენობრივი მომზადების განყოფილების მასწავლებლების მიერ, რაც მათთვის სიახლე და ნაყოფიერი გამოცდილება აღმოჩნდა.

უცხოელ სპეციალისტთან ერთად ჩატრებული თანასწავლების აქტივობები მნიშვნელოვანია ენობრივი კომპეტენციების უკეთ განვითარებისათვის, რადგან სტუდენტს შექმნილია აქვს უცხო ენოვანი გარემო, „იძულებულია“ დაკვირვებით მოისმოს უცხოელი პედაგოგის საუბარი და თვითონაც კომუნიკაციაში ჩაერთოს იმავე ენაზე. ამავდროულად, მნიშვნელოვანი სარგებელი მოაქვს თანამასწავლებლის ჩართულობას მასალით გათვალისწინებული გარკვეული საკითხების ახსნა-პრეზენტაციის პროცესში.

თანასწავლების პროცესისათვის დამახასიათებელი შედეგები და მნიშვნელოვანი ფაქტორები უცხოური ენის სწავლებაში

1. სამუშაო მასალისა და აქტივობების პარტნიორ მასწავლებელთან ერთად განხილვა-დაგეგმვა მეტ თავდაჯერებულობას მატებს გაკვეთილის კონკრეტული მონაკვეთის წამყვან მასწავლებელს.
2. არ არსებობს ზუსტად ორი ერთნაირი კომპეტენციის მქონე პედაგოგი. ჰარმონიული ურთიერთობისა და თანამშრომლობის პირობებში ორივეს შეუძლია ერთმანეთისაგან ახალი, რელევანტური გამოცდილების გაზიარება.
3. გაკვეთილისთვის განსაზღვრული დრო უფრო რაციონალურად გამოიყენება.
4. ახალი სასწავლო მასალის პრეზენტაციისას გაუთვალისწინებელი „შეფერხება“ ადვილად დასაძლევია პარტნიორი მასწავლებლის „თანადგომის“ საშუალებით.
5. სასწავლო პროცესი უფრო შემოქმედებითი და სახალისოა.
6. მსმენელები გრძნობენ უკვე ორი მასწავლებლის ყურადღებას, რომელიც მოტივაციას და პასუხისმგებლობას უმაღლებს.
7. თანასწავლების საშუალებით იზრდება ახალი მასალის გაგება-ათვისების შესაძლებლობები.
8. ამცირებს მშობლიური ენის გამოყენებას გაკვეთილზე და ავითარებს მოსმენისა და ლაპარაკის უნარს.
9. სტუდენტების შეფასება ორი მასწავლებლის მიერ უფრო ზუსტი და ობიექტურია.
10. პარტნიორ მასწავლებელთა მიერ ჩატრებული გაკვეთილის გარჩევა-გაანალიზება ხელს უწყობს სწავლების შემდგომი ეტაპისათვის არსებული მიდგომებისა და მეთოდების გამრავალფეროვნებას, რაც ხელს უწყობს სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესებას და კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგებზე გასვლას.
11. ზრდის როგორც სტუდენტის, ასევე მასწავლებლის მოტივაციასა და ინტერესს.
12. მეთოდებისა და პედაგოგიური გამოცდილების გაზიარება ზრდის მასწავლებელთა პროფესიონალიზმს.

ბიბლიოგრაფია:

- Cook, L. (2004, April 29). *Co-Teaching: Principles, Practices, and Pragmatics*. New Mexico Public Education Department, California State University, Northridge, Retrieved from <https://files.eric.ed.gov/fulltext/ED486454.pdf>
- Kaplan, M. (2012, May 10). *Collaborative Team Teaching: Challenges and Rewards*. Retrieved from <https://www.edutopia.org/blog/collaborative-team-teaching-challenges-rewards-marisa-kaplan>
- Marston, N. (n.d.). *6 Steps to Successful Co-Teaching*. Retrieved from NEA (National Education Association): <http://www.nea.org/tools/6-steps-to-successful-co-teaching.html>
- Murawsky, W. (n.d.). *Need to know: Successful Co-Teaching*. Retrieved from <https://www.cec.sped.org/News/Special-Education-Today/Need-to-Know/Need-to-Know-CoTeaching>
- Peery, A. (2017, February 5). *Co-teaching: how to make it work*. *Cult of Pedagogy*. Retrieved from <https://www.cultofpedagogy.com/co-teaching-push-in/>
- Stein, E. (2016). *Elevating Co-Teaching Through UDL*. CAST Professional Publishing.
- Stein, E. (2017). *Two Teachers in the Room*. USA: Routledge.
- Trites, N. (2017, Mar 9). *What is Co-Teaching? An Introduction to Co-Teaching and Inclusion*. Retrieved from <http://castpublishing.org/introduction-co-teaching-inclusion/>

Zurab Chkhikvadze
Gori State Teaching University
Lela Khubuluri
David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
CO-TEACHING AT THE FOREIGN LANGUAGE LESSONS
RESUME

Co-teaching is the work in peer process of the co-teachers at the educational institution. Particularly, it is sharing the lesson planning, management and assessment activities before the lesson, during lesson and after lesson period, when they are equally responsible for the goals and outcomes of teaching. This type of teaching and methodology was mainly used for the development of the suitable learning environment for children and students with special needs at pre-school and high educational institutions to involve them in the classroom activities and receive proper academic outcomes. It also provides the smooth integration with schooling environment.

Types of co-teaching are successfully used at the lessons of foreign languages not only for students with special needs but in general for any student or group of students who need it.

The work deals with our experience and consequences of the co-teaching process at some universities in Georgia and abroad.

Keywords: Co-teaching, Styles and methods of co-teaching, Inclusion, Alternate Teaching, Team Teaching, Parallel Teaching.

მაგდა ჭიქაძე
ტარიელ ფუტყარაძე
საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია
პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი

ეკატერინე გაბაშვილის ნოვატორული სკოლა გორში

საკვანძო სიტყვები: ქალთა სკოლა, ჰუმანისტური სწავლება, ინდივიდუალური მიდგომა, ქველმოქმედება.

ამჟამად საქართველოს განათლების სისტემა მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგას. ყოველდღიურად ბევრ პრობლემას ვაწყდებით; კერძოდ, აქტუალურია სახელმწიფო ენის სწავლება როგორც ეთნიკურ უმცირესობებში, ასევე, ზოგადად, საქართველოში და საქართველოს ამჟამინდელი საზღვრების მიღმა მცხოვრებ ქართველებისათვის; ბევრი პრობლემაა სხვა საგნების სწავლების მიმართულებითაც. სირთულეს ქმნის არა მხოლოდ ადეკვატური სასკოლო საგნების სიმცირე, არამედ, განათლების სტრატეგიის ხშირი ცვლა. სწავლების კარგი მეთოდები კი კვლავაც „აქილევსის ქუსლად“ რჩება: უცხოურიდან გადმოტანილი მზა რეცეპტები ჩვენი რეალობისათვის ხშირად შეუფერებელი და გამოუსადეგარია. რატომღაც გვავიწყდება ჩვენი სახელოვანი წინაპრების გამოცდილება, რომელთაც შრომა და თავდადება ბევრად უფრო რთულ პირობებში უწევდათ.

XIX საუკუნის 60-იან წლებში ქართულ პედაგოგიურ აზროვნებაში მნიშვნელოვანი გარდატეხა მოხდა. სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსულ თერგდალეულებს სწავლა-აღზრდის შესახებ ახლებური შეხედულებები ჰქონდათ. მწერალ **სოფრომ მაგლობლიშვილის** სიტყვით, „**პირველი სხივი ადამიანურის აღზრდისა იაკობ გოგებაშვილმა შეიტანა თბილისის სემინარიასა და სასულიერო სასწავლებელში**“.
(მაგლობლიშვილი, 1938, გვ. 40) **იაკობ გოგებაშვილმა** და მისმა თანამოაზრე პედაგოგებმა: **თომა ტურიაშვილმა, გიორგი იოსელიანმა, ნიკოლოზ ცხვედაძემ და სხვებმა** უარი თქვეს ე. წ. ზუთხვისა და

როზგის მეთოდებზე. ისინი საგნებსაც გააზრებულად ასწავლიდნენ და მოსწავლეებსაც ადამიანურად ეპყრობოდნენ.

XIX საუკუნის ქართველ ჰუმანისტ პედაგოგებში გამორჩეული ადგილი უჭირავს რევაზ ბაადურის ძე თარხნიშვილისა (თარხან-მოურავისა) და სოფიო ბაგრატიონ-დავითაშვილის შვილს - **ეკატერინე თარხნიშვილ-გაბაშვილს**, რომელმაც პედაგოგობა იაკობ გოგებაშვილის მიერ ნაჩუქარი წიგნით დაიწყო და ქალთა შორის ყველაზე წარმატებულ პედაგოგად ჩამოყალიბდა. ეკატერინე გაბაშვილი ტოლს არ უდებდა ისეთ დიდ მოღვაწეებს, როგორებიც იყვნენ **ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, გიორგი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ნიკოლაძე და სხვები** და ქვეყნის სასიკეთოდ მათ მხარდამხარ იბრძოდა. ეკატერინე გაბაშვილი იყო წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების პირველი გამგეობის წევრი, მონაწილეობდა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის მუშაობაში; იყო ჟურნალების: „ჯეჯილის“, „ნობათისა“ და „ნაკადულის“ აქტიური თანამშრომელი. მან თავისი წვლილი შეიტანა ქართული თეატრის განვითარებაში. მრავალშვილიანი დედა ხშირად გამოდიოდა სცენაზე, რითაც სხვა ქალებს კარგ მაგალითს აძლევდა.

გაცილებით რთულ პირობებში დაიწყო ეკატერინე გაბაშვილმა პედაგოგობა: არ იყო ქართულენოვანი სახელმწიფო განათლება, მეტიც, მას რუსიფიკატორული სახელმწიფო განათლების სისტემის ფარგლებში უნდა ეპოვა ქართულ ფასეულობებზე ორიენტირებული ქართულენოვანი განათლების ადგილი კერძო დაფინანსებით და მხოლოდ იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელოთი უნდა შეესწავლებინა ქართული სამყარო. საინტერესოა ეკატერინე გაბაშვილის წერილი ქველმოქმედების შესახებ:

„ყოველს ერს, ყოველ განათლებულ ხალხს, ხალხს ბედნიერსა და თავისუფალს, ჰყავს მთელი რაზმები ქველ-მოქმედთა ქალთა, რომელნიც ხელს უპყრობენ დაუძლურებულებს, გზა-დაბნეულებს გზას უჩვენებენ, უვიცს ცოდნას ასწავებენ, ბრმათ თვალი უხელენ და, თუ არ სავსებით, შეძლებისა და გვარად მაინც ასრულებენ უდიდესის ქველ-მოქმედის - ქრისტეს მცნებას: „მშიერ ვიყავ და გამამღე, მწყუროდა და მასვით, უცხო ვიყავ და შემიწყნარეთ, შიშველი ვიყავ და შემმოსეთ, სნეული ვიყავ და მომხედეთ“ და სხვა... თუ ასეა ბედნიერ და თავისუფალ ერთა შორის, თუ აქ მთელი რაზმნი ქალებისა დაუღალავად ჰშრომობენ და ჰფენენ თვის გარშემო სინათლეს, განა ჩვენ დავრდომილს, აზრ-დაბნეულს, ხელ-ფეხ-შეკრულს ერს უფრო არ ესაჭიროება ამ გვარ ქალთა არსებობა?... ერთ მუჭა გერმანელთ, თავიანთ ქველ-მოქმედთა ქალთა მეოხებით, ტფილისში აქვთ თავშესაფარი მოხუცთა დედაკაცთა და კაცთათვის, აქვთ სამუშაო სახლი, სადაც გაჭირვებულს აძლევენ სამუშაოს, აქვთ რამდენიმე სკოლა, აქვთ ტანისამოსების საწყობები ზამთარში ტიტველთა შესამოსად, საპყართა სამკურნალო! ამგვარივე დაწესებულება მოეპოვებათ ებრაელთ, ფრანგებს, სომხებს. **ჩვენ, ჩვენ რაღა გვაბადია? ნუ თუ ყოველგან და ყოველთვის სხვის ბოგანოები უნდა ვიყვნეთ, სხვას ხელში უნდა შევყურებდეთ?..** ნუღარას ვიტყვი იმ საცოდავ, განათლებას მოკლებულ ყმაწვილ ქალიშვილებისას, რომელნიც ასობითა და ორასობით დაემებენ რაიმე საქმეს და ვერც გზა გაუგიათ და ვერც კვალი ამ უდაბურ ქალაქში და ბევრჯერ სასოება-წარკვეთილნი, რომ პატიოსანის შრომით ლუკმა იშოვონ, ქირავდებიან, ისყიდებიან...“ („ჩვენს ქალებს“; ივერია #100, 15 მაისი, 1898). ამას წერს ქალბატონი, რომელმაც თავისი პირველი სკოლა დააარსა სომეხი სამღვდელოების სახსრებით.

ეკატერინე გაბაშვილმა სხვადასხვა დროს სკოლები გახსნა გორში, სოფელ თხინვალსა და თბილისში. თბილისის პროფესიულ სასწავლებელში, ჭრა-კერვის გარდა, ზოგადსაგანმანათლებლო საგნებიც ისწავლებოდა. იქ ბავშვები საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან მიჰყავდათ. (სახოკია, 1969, გვ. 78; კასრაძე, 1962, გვ. 71, 72, 73, 74)

ეკატერინე გაბაშვილის კარიერის დასაწყისი დაწვრილებითაა აღწერილი მის მოგონებაში, რომელიც საშუალებას გვაძლევს გავაანალიზოთ, თუ რამ განაპირობა მისი წარმატებული პედაგოგიური პრაქტიკა. თბილისში ევგენია ფავრის კერძო პანსიონის დასრულების შემდეგ ეკატერინეს სწავლის გაგრძელება პეტერბურგში სურდა, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო იძულებული გახდა, მშობლიურ ქალაქში დაბრუნებულიყო (1868 წ.). **მაშინ გორში „საშინელი მყუდროება იყო, მოსაწყენი, კაემნის აღმძვრელი, გამომწვევი ღვინოში დარდების ჩაკვლისა“.** (მაგალობლიშვილი, 1938, გვ. 72) ახალგაზრდა ნასწავლ ქალს, რაც იმ დროისათვის იშვიათობა იყო, იქაური თავად-აზნაურები შვილების სასკოლოდ მომზადებას სთხოვდნენ; ისიც დიდი ენთუზიაზმით ამეცადინებდა ბავშვებს. „საცა უნდა ვყოფილიყავ და რა გარემოებაშია უნდა ვყოფილიყავ, - წერს ეკატერინე გაბაშვილი მოგვიანებით, - უთუოდ ვასწავლიდი ვისმე წერა-კითხვას, ჩავაგონებდი წერა-კითხვის ცოდნის დიდს მნიშვნელობას“. (გაბაშვილი, 1960, გვ. 233)

ეკატერინე გაბაშვილს გორის ყველაწმიდის სომხური ეკლესიის მოძღვრებამც მიმართეს - მათ ეკლესიის ბაზაზე **ქალთა** სკოლის დაარსება სურდათ. ეკატერინე უნდა ყოფილიყო ამ სკოლის მასწავლებელიც და გამგეც. მანაც დიდი სიხარულით იკისრა ეს საპატიო საქმე: ორ-სამ კვირაში

მომზადებინა საკლასო ოთახი, თბილისიდან გამოაწერინა ქართული და რუსული სახელმძღვანელოები, რვეულები, დაფები და შეგირდების მიღებას შეუდგა. ეკატერინე გაბაშვილის გადმოცემით, სკოლას უამრავი მსურველი მოაწყდა. გორში მაშინ მხოლოდ ერთი სამოქალაქო სასწავლებელი იყო - მცირერიცხოვანი მოწაფეებითა და თითო-ორი მასწავლებლით, ქალთა სკოლა კი საერთოდ არ არსებობდა. ახალდაარსებულ ქალთა სკოლაში თავიდან მხოლოდ 50 მოსწავლე მიიღეს. ეკატერინე გაბაშვილი უპირატესობას მოზრდილ, ასე 12-13 წლის, გოგონებს ანიჭებდა, რადგან, მისი აზრით, მათ ისედაც დაგვიანებული ჰქონდათ სწავლა.

საყურადღებოა ერთი ფაქტი: მართალია, სკოლა სომეხმა სამღვდელოებამ გახსნა სომხური ეკლესიის ხარჯით, მაგრამ ქართველებს მიღებაზე უარს არ ეუბნებოდნენ. ასე რომ, მოწაფეთა ნახევარი სულ ქართველები იყვნენ. აქ სწავლობდნენ ისეთი გამოჩენილი ქალები, როგორებიც იყვნენ: **ნატო გაბუნია, ცნობილი მსახიობი და მარიამ დემურია, საზოგადო მოღვაწე, საყმაწვილო ჟურნალ „ნაკადულის“ ერთ-ერთი დამაარსებელი.**

სკოლის რწმუნებულნი და მომდგარნი სწავლების პროცესში არ ერეოდნენ და მასწავლებელს სრულ თავისუფლებას აძლევდნენ. ეკატერინე გაბაშვილის გადაწყვეტილებით, სკოლაში ბავშვები ქართულ ენაზე სწავლობდნენ. „პედაგოგიკური თეორიებისა მე არაფერი გამეგებოდა მაშინ, - გვიამბობს იგი, - მაგრამ ის კი ნათლად მქონდა წარმოდგენილი, რომ გორში მცხოვრებთა შვილებს უთუოდ ქართულად უნდა დაეწყოთ სწავლა, რადგან **სომხურისა ინჩი არ იცოდნენ.** და მეც სწორედ ასე მოვიქეცი, სწავლა ყველას, ეროვნების განურჩევლად, ქართულად დავაწყებინე გოგებაშვილის ანბანით, სრულიად ახალის მეთოდით ჩემთვის იმიტომ, რომ მე თვითონ ძველებური წესით ვიყავ ნასწავლი“. (გაბაშვილი, 1960, გვ. 234) აშკარაა, რომ სომეხთა სომხობას მხოლოდ რელიგია განსაზღვრავდა; ლოგიკურია ვიფიქროთ, რომ „სომეხთა“ შორის გრიგორიანული ქართველებიც მოიაზრებოდნენ. როგორც ეკატერინე გაბაშვილი ამბობს: **„მაშინ გორელების გასომეხება** (იგულისხმება გორში მცხოვრებ ეთნიკურ სომეხთა არაქართველობა - მ. ჭ., ტ. ფ.) **ჯერ აზრად არავის მოსვლოდა“.** (გაბაშვილი, 1960, გვ. 234) **სოფრომ მგალობლიშვილის** გადმოცემით, იმ სომეხთა შთამომავლები, რომლებიც აქ ჯერ კიდევ XI საუკუნიდან ჩამოსახლდნენ, არსებითად ქართველებისაგან არ განირჩეოდნენ, შეთვისებული ჰქონდათ ქართული ბუნება, ჭირსა და ლხინში ქართველებთან ერთად იყვნენ, ქველმოქმედებასაც ეწეოდნენ, როგორც ქართველები; „მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნეში გენერალ ვასილ ბებუთოვისაგან ქართლში გადმოსახლებული „სანჭრაქა“ სომეხები შოვინისტობდნენ“. (მგალობლიშვილი, 1938, გვ. 182)

მოსწავლეებმა სულ რაღაც სამ თვეში ჩინებულად ისწავლეს ქართული წერა-კითხვა, მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყეს უშინსკის „როდნოე სლოვოთი“ რუსული ანბანის შესწავლა.

ეკატერინე გაბაშვილი მოსწავლეებს მეგობრულად ექცეოდა. ჯერ კიდევ იაკობ გოგებაშვილმა აკრძალა სასულიერო სემინარიაში როზგი და მოსწავლეების ცემა-ტყეპა. ამის გამო მას დიდი დაპირისპირება შეხვდა, ძნელი იყო უსულგულო პედაგოგებისათვის დასჯაზე უარის თქმა. (მგალობლიშვილი, 1938, გვ. 188) დიდი პედაგოგის სკოლაგამოვლილი ეკატერინე გაბაშვილისთვის მოსწავლეებთან უშუალო და გულწრფელი დამოკიდებულება სრულიად ბუნებრივი იყო. მოსწავლეებმა იმ წელს ცხრა თვე იმეცადინეს და წინ დიდი ნაბიჯებიც გადადგეს. თითქმის მთელი კლასი კარგად კითხულობდა, წერდა, ზეპირად ამბობდა ლექსებს, როგორც ქართულად, ისე რუსულად. სკოლის მზრუნველები თვალს ადევნებდნენ სასწავლო პროცესს და უკვირდით „ასე მალე და ასე კარგად სწავლება“: „ჩვენ ხუთ-ექვს წელიწადს წერა-კითხვა რის ვაი-ვაგლახით შევისწავლეთო“. (გაბაშვილი, 1960, გვ. 235) ეკატერინე გაბაშვილი ამას **სწავლების მეთოდის სიადვილითა და მასწავლებელ-მოსწავლეს შორის მეგობრული ურთიერთდამოკიდებულებით ხსნის.** „ხუთი საათის იმეცადინების შემდეგ ბავშვები არ მიეშურებოდნენ ხოლმე სახლისაკენ, პირიქით, გარს შემომეხვეოდნენ, მაძლევდნენ მრავალს კითხვებს, მიაბობდნენ თავიანთს თავგადასავალს, მიზიარებდნენ თავიანთს სურვილებს, - გვიამბობს მწერალი, - მეც აღფრთოვანებული ვიყავი იმათის ნდობით, სიყვარულით და სწავლების გარეთ ვებასებოდი, ვეთამაშებოდი, ამხანაგურად ვუზიარებდი სიხარულსაც და მწუხარებასაც“. (გაბაშვილი, 1960, გვ. 235)

დავძენთ:

ეს იყო ახლებური პედაგოგიური მიდგომა, რომელსაც, თანამედროვე ტერმინოლოგიით, **ჰუმანისტური/მოსწავლეზე ორიენტირებული/მოსწავლეზე ცენტრირებული/პედოცენტრული** სწავლება ეწოდება.

ეკატერინე გაბაშვილის ცნობით, ამ მეთოდით სწავლებამ შთამბეჭდავი შედეგი გამოიღო: წლის ბოლოს დანიშნული საჯარო გამოცდა საერთო დღესასწაულად იქცა. საჯარო გამოცდა გორის საკრებულოს დიდ დარბაზში ჩატარდა, სადაც უამრავი ადამიანი შეიკრიბა: მთელი სომეხი სამღვდელოება, მშობლები და ქალაქის საპატო პირნი. ეკატერინე გაბაშვილის გადმოცემით, ლამაზად გამოწყობილი გოგონები სომეხი ტერტერების წინაშე რიგ-რიგობით გამოდიოდნენ და „მორცხვად და

მოკრძალებით, მაგრამ გულხმიერად იძლეოდნენ პასუხს“. დამსწრენი ძალიან დაილაღნენ, მაგრამ „ამ არაჩვეულებრივმა საქმემ გორის ცხოვრებაში ყველანი იმდენად დააინტერესა, რომ მანამ უკანასკნელმა მოსწავლემ არ დაამთავრა ეგზამენი, ფეხი არავის მოუცვლია“ (გაბაშვილი, 1960, გვ. 235)

ამ ამბავმა ქართველი საზოგადოების ყურადღება მიიქცია. გაზეთ „დროებაში“ შესაფერისი წერილი დაიბეჭდა, რაც იმ დროისათვის უდიდესი აღიარება იყო. ეკატერინეს ცნობილი მოღვაწე პეტრე უმიკაშვილი გამოეხმაურა და გაზეთთან თანამშრომლობა სთხოვა.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ეკატერინე გაბაშვილის პედაგოგიური წარმატება განაპირობა მოსწავლეზე ორიენტირებულმა, ანუ ჰუმანისტურმა სწავლებამ; მისი მეთოდი გულისხმობდა „არა მხოლოდ ძალიან კეთილმოსურნე და გულთბილ დამოკიდებულებას მოსწავლისადმი, არამედ გაცილებით უფრო არსებით და მნიშვნელოვან პრინციპებს: ერთია მთლიანი სწავლების აგება ისე, როგორც ბუნებრივია ბავშვის ცნობიერებისათვის; მეორე - **შემღებისამებრ**, ინდივიდუალური მიდგომა“ (ვახანია, 2005, გვ. 18) ამის განხორციელება კი იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელოებისა და ეკატერინე გაბაშვილის უბადლო პედაგოგიური ნიჭის წყალობით გახდა შესაძლებელი.

ნათქვამია, ყველაფერი ახალი კარგად დავიწყებული ძველიაო. უკეთესი იქნება, თუ ჩვენს წინაპართა გამოცდილებას გავითვალისწინებთ და მხოლოდ უცხოეთიდან შემოსულ პედაგოგიკურ თეორიებს არ დავსჯერდებით. ეკატერინე გაბაშვილის პედაგოგიური მოღვაწეობა კი ამის საუკეთესო ნიმუშია.

ბიბლიოგრაფია:

გაბაშვილი, ე. (1960). *რჩეული ნაწერები* (ტ. II). თბილისი: საბჭოთა საქართველო.

ევგენიძე, ი., & მინაშვილი, ლ. (2013). *ქართული ლიტერატურა (XIX ს.)*. თბილისი: საქართველოს მაცნე.

ვახანია, ზ. (2005). *ქართული ენის შემოქმედებითი სწავლება*. თბილისი: ქორბუდა.

კასრაძე, დ. (1962). *ლიტერატურული პორტრეტები*. თბილისი: საბჭოთა საქართველო.

მგალობლიშვილი, ს. (1938). *მოგონებანი*. ტფილისი: ფედერაცია.

სახოკია, თ. (1969). *ჩემი საუკუნის ადამიანები*. თბილისი: ნაკადული.

Magda Chikaberidze, Tariel Putkaradze

St. Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia

EKATERINE GABASHVILI'S INNOVATIVE SCHOOL IN GORI

RESUME

Ekaterine Gabashvili holds a special place among Georgian humanist teachers of the 19th century. At different times, either on her own funds or through the benefactors' assistance, she opened schools in Gori, Tkhinvala village and Tbilisi.

Ekaterine Gabashvili's impressive pedagogical practice, and successful teaching of Georgian language, in general, was conditioned by a student-tailored, i.e. humanist teaching. Speaking in terms of modern terminology, the methods used by Ekaterine Gabashvili, who carried out her activity in the 19th century, implied revelation of student potential and interactive teaching.

Keywords: Women's school, Humanistic teaching, Individual approach, Charity.

დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის კომპეტენტურობის პრობლემური საკითხები კლასის მართვის პროცესში

საკვანძო სიტყვები: კლასის მართვა, დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები, კლასის მართვის მოდელები, კლასის მართვის სტრატეგიები, სასწავლო გარემო და რესურსები.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა დღეს სერიოზული გამოწვევების წინაშე დგას. მან უნდა აღზარდოს როგორც განათლებული, ზნეობრივად ჩამოყალიბებული მოქალაქეები, ასევე იმ პიროვნული თვისებების მატარებელი ადამიანები, რომელთაც შეეძლებათ არა მარტო საზოგადოების სრულყოფილი წევრები გახდნენ, არამედ მონაწილეობა მიიღონ მის განვითარებასა და გარდაქმნაში. ყოველივე ეს „არ ახალია“ საზოგადოების განვითარების ყველა ისტორიული ეტაპისათვის, მაგრამ იცვლება სკოლისადმი წაყენებული მოთხოვნები. ამ მოთხოვნების შესრულებისა და განხორციელების პროცესში, კლასის მართვა მნიშვნელოვან როლს წარმოადგენს სასკოლო ცხოვრებაში, რადგან მასზეა დამოკიდებული არა მარტო დისციპლინარული დარღვევების პრევენცია, აღსაზრდელთა სწორი ურთიერდამოკიდებულებებისა და მეგობრული თანამშრომლობითი უნარ-ჩვევების ფორმირება, არამედ ის ცალსახად განაპირობებს წარმატებული სწავლა-სწავლების პროცესის განხორციელებას. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დაწყებით საფეხურზე, განსაკუთრებულად არსებითია, თუ ვინ ასწავლის - იგულისხმება მასწავლებელი. სწორედ მის პროფესიულ დახელოვნებაზეა დამოკიდებული რამდენად კარგად არის კლასი მართული და შედეგად, რამდენად ეფექტურად და შედეგიანად წარიმართება სასწავლო პროცესი. ასე მაგალითად, ჯ. ქოუნინი კლასის ეფექტურად მართვის განსაზღვრულ ფაქტორებად მასწავლებლისათვის მიიჩნევს, არა მარტო რამდენად თანმიმდევრულად და ენერგიულად ხსნის ახალ მასალას, არამედ რამდენად ამოიცნობს იგი პოტენციურად ხელისშემშლელ ქცევას მოსწავლეში და ახდენს მის დროულ პრევენციას. (მარზანო, მარზანო, & ფიქერინგი, 2009, გვ. 6)

სადღესოდ, კლასის მართვის სამი ძირითადი მოდელია მოწოდებული: ჰუმანისტური, დემოკრატიული და ბიჰევიორისტული. კ. როჯერსისა და მ. მარლენდის მიხედვით, კლასის მართვის ჰუმანისტური მეთოდი აქცენტს აკეთებს მოზარდის ინდივიდუალობასა და უნიკალურობაზე, ხაზს უსვამს მის სწრაფვას თვითრეალიზაციისაკენ და, შესაბამისად, მასწავლებელი პირობებს უქმნის, მაგრამ ნაკლებად ერევა სწავლის პროცესში. კლასის მართვის დემოკრატიულ მოდელს ა. ადლერის პიროვნების თეორიის საფუძველზე, გთავაზობს რ. დრეიკერსი. აღნიშნული მოდელის თანახმად, მასწავლებელი არამცთუ არ რეაგირებს მოსწავლის ცუდ ქცევაზე, არამედ საპირისპიროდ, ცდილობს მაქსიმალურად შეაქოს ან წაახალისოს იგი, როცა კარგად იქცევა. პედაგოგი უნდა ჩაწვდეს მოზარდის დესტრუქციული ქცევის გამომწვევ მიზეზებს და ასეთი ქცევის კორექცია მოახდინოს დასჯის გარეშე, წინასწარ ისაუბროს მოსწავლეებთან მიუღებელი საქციელის მოსალოდნელ შედეგებზე. კლასის მართვის ბიჰევიორისტული მოდელის ფარგლებში კლასის მართვის ცენტრალური ფიგურა მასწავლებელია. ბ. სკინერის ქცევის მართვის თეორიის საფუძველზე, პრისლენდი პედაგოგებს სთავაზობს ქცევის მოდიფიკაციის მოდელს (არასასურველი პრობლემური ქცევის განსაზღვრა, არასასურველი პრობლემური ქცევის სერიოზულობის განსაზღვრა, ქცევის გამომწვევი მიზეზებისა და შედეგების განსაზღვრა, არასასურველი პრობლემური ქცევის გამომწვევი მიზეზებისა და შედეგების განსაზღვრა, ცვლილებათა დაგეგმვა, სრულყოფა) და სისტემური განმტკიცების პროგრამას. (ლაბარტყავა, 2012)

კლასის მართვის საკითხის მიმოხილვისას არ შეიძლება არ შევჩერდეთ მოზარდის ასაკობრივ და ინდივიდუალურ თავისებურებებზე, იმ პედაგოგიურ და ფსიქოლოგიურ მახასიათებლებზე, რომლებიც დაწყებითი საფეხურის მოსწავლისათვის არის დადგენილი. ასაკობრივი განვითარების საფეხურები ერთმანეთისაგან გამოირჩევიან ასაკისათვის დამახასიათებელი ფსიქოფიზიკური თავისებურებებით. ისინი ქცევაში იჩენენ თავს, ამიტომ დაწყებითი საფეხურის მოზარდის ასაკობრივი განვითარების პერიოდების დადგენა ქცევაში შენიშნულ ცვლილებათა საფუძველზე ხდება. აქედან გამომდინარე, მასწავლებელმა პროფესიული საქმიანობისას აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს მოსწავლის შესაბამისი ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებანი.

ამ ასაკის მოზარდის აზროვნება კონკრეტულ-საგნობრივია, რაც ასევე გასათვალისწინებელი ფაქტორია სასწავლო პროცესში. აღნიშნული ფაქტორი პირდაპირ კავშირშია კლასის მართვის საკითხთან იმ თვალსაზრისით, რომ უმცროსი სასკოლო ასაკის მოზარდისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება კომფორტულ საკლასო გარემოს: „ეფექტური გაკვეთილისათვის მნიშვნელოვანია როგორც მერხების განლაგება..., ისე კლასის მორთვა საჭირო თვალსაჩინოებებით: პლაკატებით, მოსწავლეთა ნამუშევრებით.... რაც უფრო ესთეტიკური და თბილი სამუშაო გარემოა კლასში, მით უფრო მშვიდად მიმდინარეობს გაკვეთილები“. (ლაბარტყავა, 2012, გვ. 2)

დაწყებითი საფეხურის მოსწავლეები უმცროს სასკოლო ასაკს განეკუთვნებიან. მისი ძირითადი მახასიათებელია სწავლის დაწყება. თამაში, ცხადია, კვლავ ბავშვის საქმიანობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სახედ გვევლინება და იგი, უდავოდ მისი განვითარების მნიშვნელოვან ფაქტორად რჩება, მაგრამ ის პირველ ადგილს უთმობს ახალ აქტივობას - სწავლას, ცოდნის შეძენას, რომელიც მისი გონებრივი, ზნეობრივი და ა.შ. ზრდის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს. მოსწავლის ცხოვრებაში ჩნდება ახალი ავტორიტეტი - მასწავლებელი. (ჭკუასელი & ჭკუასელი, 2012, გვ. 100-105) მისი ინდივიდუალური უნარები და მასწავლებელ-მოსწავლის ურთიერთობების ხარისხი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს კლასის ეფექტურ მართვაზე. მასწავლებლის მხრიდან თანამშრომლობითი და მეგობრული დამოკიდებულება ეხმარება მოსწავლეებს სათანადო ქცევის წესების შერჩევაში. აღნიშნულ კონტექსტში მნიშვნელოვანია პედაგოგის თვითშეფასების უნარი. თავის თავში ზომიერად დარწმუნებული, მიღებული გადაწყვეტილების სისწორეში გამყარებული, მოსწავლეებისადმი პოზიტიური განწყობის მქონე, სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვაში ინიციატივიანი, ყურადღებიანი, გულისხმიერი მასწავლებელი დიდ გავლენას ახდენს მოსწავლეების არა მარტო პიროვნული თვისებების ფორმირებაზე, არამედ მაგალითს იძლევა მათში ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობითი, მეგობრული ურთიერთობების ჩამოყალიბებისათვის, რაც, საბოლოო ჯამში, კლასის ეფექტურად მართვის საწინდარი ხდება.

განათლების სფეროში კლასის მართვის პრობლემებთან დაკავშირებით არაერთი სახელმძღვანელო, სამეცნიერო ნაშრომი თუ კვლევა არსებობს, შემუშავებულია კლასის მართვის სხვადასხვა მოდელები, მაგრამ კლასის ეფექტური მართვა, მათ შორის, დაწყებით საფეხურზე, კვლავ პრობლემური რჩება. ეს საკითხი ძალზე მრავალწახნაგოვანია. წარმოდგენილი ნაშრომის მიზანს წარმოადგენდა დაწყებით საფეხურზე კლასის მართვის ზოგიერთი იმ პრობლემური საკითხის კვლევა, რაზეც ზემოთ იყო ყურადღება გამახვილებული. მიზნის მისაღწევად განხორციელდა შემდეგი ამოცანები: მეორადი ინფორმაციის დამუშავება, სამიზნე ჯგუფის შერჩევა, კითხვარის შედგენა, მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავება. სამუშაო ჰიპოთეზა: მასწავლებლები სტანდარტით გათვალისწინებულ კლასის მართვის სტრატეგიებს სათანადოდ ვერ ფლობენ პრაქტიკაში. კვლევის ობიექტს წარმოადგენს თბილისის საჯარო და კერძო სკოლებში, დაწყებით საფეხურზე კლასის მართვის პროცესები. კვლევის პროცესში გამოვიყენეთ თვისებრივი კვლევის მეთოდი. მეორადი ინფორმაციის დამუშავების შედეგად, გამოიკვეთა საკითხები, რომლის მიხედვითაც შევადგინეთ ნახევრადსტრუქტურირებული კითხვარი. მეთოდოლოგიის განსაზღვრის შემდეგ შევარჩიეთ რესპონდენტთა ჯგუფი. არჩევანი შევარჩიეთ მასწავლებლებზე, რადგანაც მათ უშუალო შეხება აქვთ სასწავლო პროცესთან. რესპონდენტები შეირჩა შემთხვევითი შერჩევის საფუძველზე, კვლევის ფარგლებში ჩატარდა ინტერვიუ თბილისის საჯარო სკოლების დაწყებითი საფეხურის 30 მასწავლებელთან. გამოიკითხა პირველი კლასის - 8, მეორე კლასის - 12, მესამე კლასის - 7, მეოთხე კლასის 3 მასწავლებელი. ინტერვიუს თემატიკას შეადგენდა: ქცევის წესები (შემუშავება/მნიშვნელობა/რეაგირება დარღვევაზე), საკლასო ოთახის ფიზიკური გარემო, კლასის მართვის პროცესში გამოყენებული სტრატეგიები და აქტივობები, კლასის მართვის სტილი, ხელისშემშლელი ფაქტორები.

ქცევის წესების შემუშავება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა კლასში წესრიგის დასამყარებლად. ყურადღებამისაქცევია ის ფაქტი, როდის და როგორ შეიმუშავებს მასწავლებელი ქცევის წესებს, რთავს თუ არა მოსწავლეებს ქცევის წესების შემუშავებაში, არის თუ არა ეს წესები თვალსაჩინო და გასაგები, როგორ რეაგირებს მასწავლებელი წესების დარღვევისას.

გამოკითხულ მასწავლებელთა უმრავლესობას შემუშავებული აქვს ქცევის წესები და თვლის, რომ ეს აუცილებელია. კითხვაზე, ქცევის წესების შემუშავებაში მოსწავლეები იყვნენ თუ არა ჩართულნი, უმრავლესობამ დადებითი პასუხი გასცა. რეზიუმირებულად, მათი აზრით, მოსწავლეები ჩართულნი უნდა იყვნენ წესების შემუშავებაში, რადგანაც ისინი უკეთ დაიცავენ მათ. რაც შეეხება რაოდენობას, უმეტეს მასწავლებელთან წესების რაოდენობა მერყეობდა 6-10 შორის (უნდა აღინიშნოს, რომ დაწყებით საფეხურზე, რეკომენდებულია წესების რაოდენობა არ აღემატებოდეს 5-ს). კითხვაზე, დაესახელებინათ წესებიდან უმთავრესი, გამოიკვეთა შემდეგი პასუხები:

- „ერთმანეთის მოსმენა“;
- „ურთიერთპატივისცემა“;
- „ხელის აწევა ნებართვის მისაღებად“.

მასწავლებელთა უმრავლესობამ განაცხადა, რომ წესების დარღვევისას, იგი საჯაროდ აძლევს მოსწავლეს შენიშვნას, ხოლო კითხვაზე, სიტყვიერი შენიშვნის გარდა, როგორ იქცეოდნენ წესების დარღვევის დროს, აღსანიშნავია შემდეგ პასუხები:

- „ვამყარებ თვალთ კონტაქტს“;
- „ვრთავ მშობელს“;
- „ინდივიდუალურად ვუხსნი, რა მოჰყვება წესის დარღვევას“;
- „არასასურველ ქცევაზე არ ვრეაგირებ“.

საკლასო ოთახის ფიზიკური გარემო ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს სწავლა-სწავლების პროცესში, მით უმეტეს მაშინ, როდესაც საქმე ეხება დაწყებით საფეხურს. გარემო ფაქტორების ზემოქმედება ბავშვსა და მოზრდილზე განაპირობებს გარემოს მიმართ ადეკვატური ქცევის ჩამოყალიბებას. (მირიანაშვილი, ჩხენკელი, ჯაში, ბლიაძე, ხატისაშვილი, გახელაძე, ლორთქიფანიძე, ჩორგოლაშვილი, ბერიშვილი, მახარობლიძე & ფირცხალავა, 2010, გვ. 94-95) სწორედ ამიტომ მასწავლებელი მუდმივად უნდა ცვლიდეს ფიზიკურ გარემოს ბავშვების ინტერესებიდან და შესაძლებლობებიდან გამომდინარე. საკლასო ოთახის სწორად ორგანიზებულმა გარემომ შესაძლებელია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს კლასის მართვის პროცესში, რადგან გარემო საერთო სასწავლო კლიმატის მნიშვნელოვანი ნაწილია და დიდ გავლენას ახდენს აღსაზრდელთა ჩართულობაზე სასწავლო პროცესში.

მასწავლებელთა თითქმის ნახევარმა (18 რესპონდენტი) თავისი საკლასო ოთახის ფიზიკური გარემო დადებითად დაახასიათა. მაგალითისთვის მოგვყავს ინტერვიუთა რამდენიმე პერიფრაზი: „ჩემი საკლასო ოთახი გაჯერებულია ნათელი ფერებით, საინტერესო ნამუშევრებითა და რესურსებით, სადაც ბავშვი თავს მყუდროდ და მშვიდად გრძნობს“, „საკლასო ოთახი დაყოფილი გვაქვს სივრცეებად, მაგალითად ქართულის, მათემატიკის, ბუნების, კითხვის, ასევე გვაქვს თავისუფალი სივრცე, სადაც განთავსებულია ბავშვების შემოქმედებითი ნამუშევრები“, „გარემო კომფორტულია და უსაფრთხო. კედლები გაფორმებულია სასწავლო თვალსაჩინოებებითა და მოსწავლეების ნამუშევრებით“.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ დანარჩენი მასწავლებლები (12 ინტერვიუერი), არ თვლიან საჭიროდ კლასის ე.წ. „გადაპრანჭვას და აჭრელებას“, რადგან ეს მოსწავლეს ყურადღებას უფანტავს გავითილზე და ამისთვის დროს ვერ დაკარგავენ.

კლასის მართვის პროცესში გამოყენებული სტრატეგიები და აქტივობები: კლასის ეფექტური მართვისათვის მნიშვნელოვანია, მასწავლებელი იყენებდეს სხვადასხვა აქტივობასა და სტრატეგიას, რათა გაკვეთილი უფრო საინტერესო, სახალისო და მრავალფეროვანი იყოს. ასეთი გაკვეთილი ზრდის მოსწავლეთა ინტერესს, მოტივაციას, ჩართულობას, საბოლოოდ კი, ხელს უწყობს კლასის ეფექტურ მართვას.

კითხვაზე, სწავლა-სწავლების პროცესში რა აქტივობებს იყენებთ მოსწავლეებში საგაკვეთილო პროცესისადმი ინტერესის გაღვივების თვალსაზრისით, მასწავლებელთა უმრავლესობამ ჩამოთვალა ის აქტივობები, რომელთა გამოყენებითაც ამდიდრებენ სასწავლო პროცესს (კერძოდ, მოტივაციის გაღვივება, ცხოვრებისეული მაგალითის მოყვანა, გონებრივი იერიში, ჯგუფური მუშაობა, დისკუსია, თამაშით სწავლება, თვალსაჩინოება). თუმცა 8 მასწავლებელმა დააფიქსირა საკუთარი პოზიცია, რომ გაკვეთილს წარმართავს ტრადიციული მეთოდებით და არ კარგავს დროს „სხვა რაღაცეებზე“.

საგულისხმო აღმოჩნდა გაცემული პასუხები კითხვაზე: იცნობთ კლასის მართვის სტრატეგიებს? ყველამ ცალსახად უპასუხა „დიახ“. ხოლო, როდესაც ვთხოვეთ ჩამოეთვალათ, რომელ სტრატეგიას ანიჭებდნენ უპირატესობას, შეინიშნა დაბნეულობა. მათ ითხოვეს, განგვემარტა, თუ რა იგულისხმებოდა „სტრატეგიებში“. ნაწილი (11 რესპონდენტი) სტრატეგიებად სწავლების მეთოდებს მიიჩნევდა, რაც საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ჩვენს რესპონდენტებს აქვთ წარმოდგენა კლასის მართვის სტრატეგიების შესახებ, თუმცა რა მოიაზრება, კონკრეტულად, ამ ტერმინის ქვეშ, ცოდნას არ ფლობენ.

ანალოგიურ შედეგზე გავვით, როდესაც შევეცადეთ გაგვეგო, კლასის მართვის რომელი სტილით ხელმძღვანელობდნენ მასწავლებლები. კითხვაზე, თქვენი აზრით, რომელი სტილის მმართველი ხართ უპირატესად? მასწავლებელთა ნაწილმა მოითხოვა, აგვეხსნა რა იგულისხმებოდა დასმულ კითხვაში. მას შემდეგ, რაც აღნიშნული საკითხი განვავრცეთ და განვუმარტეთ, დიდმა ნაწილმა (22 რესპონდენტი) აღნიშნა რომ, ასე ვთქვათ, „შერეული“ სტილით ამჯობინებს ხელმძღვანელობას, ხოლო, 8 ინტერვიუერმა კი, განაცხადა, რომ აუცილებელია სიმკაცრე, რომ „მოსწავლე არ გათამამდეს“.

ინტერვიუთა დასასრულს, ყველა რესპონდენტს, როგორც პრაქტიკოს მასწავლებლებს მივცით საშუალება გამოეთქვათ თავიანთი მოსაზრებები, კლასის მართვის პრობლემებთან დაკავშირებით,

როგორც ზოგად ჭრილში, ასევე მათ კონკრეტულ საქმიანობაში. რეზიუმირებულად, მათი პრობლემები შეიძლება ასე წარმოვადგინოთ: კლასის დიდი კონტინგენტი, რესურსების სიმწირე საკლასო გარემოს კეთილმოწყობისა და გაკვეთილის ინტერაქტიურად ჩატარებისათვის, სსსმ მოსწავლეების ჩართულობის გავლენა საგაკვეთილო პროცესში კლასის მართვაზე, საგაკვეთილო ცაიტნოტი და ასევე ზოგადად, დროის უკმარისობა თვითგანათლებისა და თვითშეფასების თვალსაზრისით.

დასასრულს, ჩვენ მიერ განხორციელებული კვლევის შედეგების მიმოხილვის საფუძველზე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ერთი მხრივ, კლასის მართვის პრობლემები, მასწავლებელთა მოსაზრებით, გარკვეულწილად დაკავშირებულია კლასში მოსწავლეთა რაოდენობასთან და მასთან დაკავშირებული საგაკვეთილო დროის დეფიციტთან, ასევე სასწავლო გარემოსა და რესურსებთან დაკავშირებულ პრობლემებთან. მეორე მხრივ, ჩვენი ჰიპოთეზის ფარგლებში, დადასტურდა, რომ დაწყებითი საფეხურის პედაგოგთა თეორიული ცოდნა კლასის მართვისა და პრაქტიკული საქმიანობისას, საკმარისი არ არის. მასწავლებელთა მხოლოდ მცირე ნაწილი იცნობდა და იყენებდა კლასის მართვის მოდელებსა და სტრატეგიებს, უმრავლესობას კი, მხოლოდ ზედაპირული წარმოდგენა ჰქონდა მათ შესახებ და, შესაბამისად, პრაქტიკაშიც ნაკლებად იყენებდა. იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენ მიერ განხორციელებული კვლევა მცირემასშტაბური იყო და მხოლოდ თბილისის საჯარო სკოლებს მოიცავდა, იმედს ვიტოვებთ, რომ ზოგადი მდგომარეობა ამდენად საგანგაშო არ არის. რეკომენდაციის თვალსაზრისით კი, ვისურვებდით, რომ ჯეროვანი ყურადღება ეთმობოდა დაწყებითი საფეხურის მასწავლებელთა განათლების დონეს როგორც კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგ-კურსების რაოდენობისა და ხარისხის მხრივ, ასევე მათი პროფესიული განვითარების სქემაში წინსვლის თვალსაზრისით.

ბიბლიოგრაფია:

- ლაბარტყავა, ნ. (2012 წლის 28 მარტი). *კლასის მართვის სტრატეგიები*. მოძიებულია 2018 წლის 08 ოქტომბერს ვებგვერდიდან: <http://mastsavlebeli.ge/?p=3527>
- მარზანო, რ., მარზანო, ი., & ფიქერინგი, დ. (2009). *კლასის მართვა: კვლევებზე დაყრდნობით შემუშავებული მეთოდები მასწავლებლებისათვის*. თბილისი: მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი.
- მირიანაშვილი, მ., ჩხენკელი, გ., ჯაში, ნ., ბლიაძე, მ., ხატისაშვილი, გ., გახელაძე, გ., ლორთქიფანიძე, ბ., ჩორგოლაშვილი, პ., ბერიშვილი, ლ., მახარობლიძე, ნ., & ფირცხალავა, ე. (2010). *დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მეთოდური გზამკვლევი*. თბილისი: მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი.
- ჭკუასელი, ქ., & ჭკუასელი, ი. (2012). *პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლები*. თბილისი: ინტელექტი.

Efemia Kharadze

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

PROBLEMS RELATED TO THE COMPETENCE OF THE PRIMARY LEVEL TEACHERS IN CLASSROOM MANAGEMENT RESUME

Classroom management is an important link in school's life, because it depends not only on the prevention of disciplinary violation, or the formation of trainee's proper inter-dependance and friendly collaboration skills, but also it conditions to realize successful learning-teaching process unequivocally. On secondary school's primary level, it's especially important to find out who teaches - it means a teacher. It depends on his professional skills to show how the class is managed and how effectively the learning process is conducted. The purpose of the work was the research of some problems during class management in primary level. Based on overview of the survey results, classroom management problems on primary level are grounded on both of specific hindering factors named by teachers (the big quantity of pupils in class and the deficit of the lesson time, related issues with learning environment and learning resource) and confirmed information within the study hypothesis that the theoretical knowledge of primary level teachers about classroom management and practical activity is not enough.

Keywords: Classroom management, Primary level teachers, Classroom management models, Classroom management strategies, Learning environment and resources.

ფილოლოგია Philology

ნანა არახამია
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შექსპირის ხელახალი აღმოჩენა

საკვანძო სიტყვები: რომანტიკოსები, შექსპირი, კლასიციზმი, დრამა, თეატრი.

რთულია იმ უდიდესი ღვაწლის შეფასება, რაც უილიამ შექსპირს მიუძღვის მსოფლიო ლიტერატურისა და კულტურის წინაშე, თუმცა დამოკიდებულება მისი შემოქმედების მიმართ ყველა ეპოქაში ერთნაირი როდი იყო. ვოლტერი „გენიალურ ბარბაროსად“ მოიხსენიებდა შექსპირს, მის კვალდაკვალ კლასიციზმისა და განმანათლებლობის ეპოქების კრიტიკოსები აღიარებდნენ დიდი დრამატურგის უნარს „ბუნებისადმი ბაძვისა“. თუმცა, კიცხავდნენ მას „კანონებისა“ და „წესების“ უცოდინრობის გამო. შექსპირის ხელახალი „აღმოჩენა“ რომანტიზმის ეპოქას უკავშირდება. მისი დრამები ეტალონად იქნა აღიარებული გოეთეს, სტენდალის, ჰიუგოს, კოლრიჯის და სხვათა მიერ. შექსპირისადმი დამოკიდებულება გოეთემ გერმანელი რომანტიკოსების მიერ აღიარებულ „რომანთა რომანში“ დააფიქსირა, რომლის გმირი ვილჰელმ მაისტერი ამბობს: „მე არ მახსენდება, რომ ჩემზე რომელიმე წიგნს, ან ადამიანს, ან ცხოვრებისეულ მოვლენას მოეხდინოს ისეთი ძლიერი შთაბეჭდილება, როგორც იმ შესანიშნავ პიესებს... ისინი მე ზეციური გენიოსის შექმნილი მგონია, რომელიც ადამიანებთან იმისთვის დაეშვა, რათა მათთვის გაეცნო მათივე შინაგანი სამყარო. მას პოეზიასაც ვერ ვუწოდებ. მეჩვენება, თითქოს ფართოდ გადაშლილი ბედისწერის წიგნების პირდაპირ აღმოვჩნდი, რომლებშიც მჩქეფარე ცხოვრების ქარიშხალი ტრიალებს, ამ ბედის წიგნის ფურცლებს სწრაფად, რომ შლის“. (Чулков, 2009)

კლასიციზმის მიერ დამკვიდრებული წესების ნაცვლად, რომელიც ყველგან საღი აზრის გატარებისკენ ისწრაფოდა, რომანტიკოსებში გაჩნდა განწყობების „ხშირად სავესებით განუსაზღვრელისა და ბუნდოვანის“ ასახვის მოთხოვნა. რომანტიკოსების თანახმად, პოეტმა, თავისი ირონიული ჭკრეტის სიმადლიდან ერთმანეთში უნდა „შეაზავოს“ სერიოზული და სასაცილო, გროტესკული. შექსპირი იმითაც იზიდავდა რომანტიკოსებს, რომ იგი არღვევდა წესებს, რომლებიც ხელშეუხებლად იყო აღიარებული ფსევდოკლასიკოსების კატეხიზმოში. რომანტიკულმა დრამამ საკმაოდ უჩვეულო ფორმები მიიღო გერმანულ სინამდვილეში. ასე, მაგალითად: ტიკის ერთ-ერთი პიესა იწყებოდა არა სცენაზე, არამედ პარტერში. ფარდა ჩამოშვებული იყო და რამდენიმე მაყურებელი პირველი რიგებიდან იწყებდა ავტორის ლანდღვას: როგორ ბედავს იგი მათი ყურადღების მიქცევას რაღაც სულელური ზღაპრით, რომელშიც არ არის გადმოცემული არც სათნო ოჯახური ისტორია და რომლისგანაც ვერანაირ მორალს ვერ გამოიტან. ამ სიტყვების გაგონებაზე ავტორი სცენაზე გამოდიოდა და ჯერ თავის მართლებას იწყებდა, ხოლო შემდეგ მაყურებელთა დამახინჯებულ გემოვნებას იწუნებდა. საკუთრივ პიესის მიმდინარეობისას კი, სცენური მოქმედება დროდადრო ჩერდებოდა მაყურებლების შენიშვნებითა და მსახიობების შეპასუხებებით.

უნდა აღინიშნოს, რომ ტიკის პიესა გამონაკლისი როდია, თავიანთ პიესებსა და რომანებში რომანტიკოსები ხშირად თავს ესხმოდნენ მაყურებელთა გემოვნებასაც და „ჩვეულებრივ“ მორალსაც, რომელსაც ფილისტერულად მოიხსენიებდნენ. (ნეჩაევი, 2011)

ბრძოლამ ფრანგი მაყურებლის დამახინჯებული გემოვნების წინააღმდეგ გამოძახილი პოვა ჰიუგოსა და სტენდალის თეორეტიკულ ნააზრევშიც. რომანტიკული დრამის მნიშვნელოვანი საკითხები ჩამოაყალიბა ვიქტორ ჰიუგომ „კრომველის“ წინასიტყვაობაში, რომელიც რომანტიკული დრამატურგიის მანიფესტად არის მიჩნეული. სხვა საკითხებთან ერთად (მაგალითად, სამი ერთიანობის კანონის, სიუჟეტის სწორხაზოვანი განვითარების უარყოფა...) ჰიუგომ განავითარა დრამატული გროტესკის თეორია. მისი აზრით, თეატრალურ ფიცარნაგზე ფარსის წარმოდგენამდე გროტესკის ელემენტები სხვადასხვა ლიტერატურულ ჟანრებში არსებობდა. კონტრასტულობის გზით გროტესკი ხაზს უსვამს ამალელების ფასეულობას: ოფელია და მირანდა პოლონიუსისა და კალიბანის ფონზე უფრო მშვენიერები ჩანან, მესაფლავეების უხეში იუმორის ფონზე ხაზგასმულია ჰამლეტის ლირიული ბუნების

სინატიფე და სხვა. ჰიუგოს აზრით, ამაღლებულისა და გროტესკის შეზავების დიდოსტატი სწორედ შექსპირია, რომელიც არანაირი ერთიანობის კანონებს არ ცნობს. შექსპირმა შექმნა არაჩვეულებრივი გალერეა დრამატული გროტესკის შესანიშნავი სახეებისა, ამიტომაც მის დრამას შეუძლია მაყურებელი სერიოზულიდან სასაცილოზე გადართოს, სახუმარო ეპიზოდებიდან - სულის შემძვრელ სცენებზე: „გროტესკის წყალობით ხვდება რომეო აფთიაქარს, მაკბეტი-სამ ავსულს, ჰამლეტი - მესაფლავებებს, და ბოლოს, მას შეუძლია ჰარმონიის დაურღვევლად, „როგორც ეს მეფე ლირისა და ხუმარა სცენაშია“, თავისი მყვირალა ხმა შეუერთოს ყველაზე ამაღლებულ, მუსიკალურ, პოეტურ სულის ხმას“. (Гюго, 1985, стр. 35-37) აღსანიშნავია, რომ ჰიუგო უარყოფდა არა მხოლოდ კლასიკური დრამის სისტემას, არამედ საერთოდ, ყოველგვარ სისტემებს, თეორიებს, სწავლებებს პოეტურ ხელოვნებაზე. „დაე ჩვენი კანონები იყოს მხოლოდ ბუნების ზოგადი კანონები“ - წერდა იგი. მსგავსი განცხადებების ფონზე გასაგებია, კლასიციზმის „სიწმინდეების“ დამცველთა მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება ჰიუგოს მიმართ და რომანტიკოსების შერაცხვა „ხელოსნებად“.

ანალოგიური მოსაზრება ჰქონდა შექსპირის დრამებთან დაკავშირებით სტენდალსაც. ბროშურაში „რასინი და შექსპირი“ იგი სამართლიანად შენიშნავდა, რომ საზოგადოების ცხოვრებაში მომხდარ სოციალურ და პოლიტიკურ ცვლილებებს (იგულისხმება საფრანგეთის რევოლუცია) მოჰყვა როგორც მკითხველის, ასევე მაყურებლის შეცვლა. თეატრებში მაყურებლის სიმცირე იმით აიხსნება, რომ თანამედროვე ფრანგ ბურჟუაზს არ აინტერესებს კორნელისა და რასინის პიესები, რომლებშიც მეფისადმი ერთგულებისა და თავდადების მოწოდებები ისმის. სტენდალის აზრით, იმ დრამატურგებს, რომელთაც აქვთ ამბიციაცია, რომ თავიანთი პიესებით დააინტერესონ თანამედროვე მაყურებელი, მოუწევთ უარის თქმა უპირველეს ყოვლისა სამი ერთიანობის კანონზე და შემდგომ, ალექსანდრიულ ლექსზეც, „რომლის მიღმა ათასი სისულელე იმალება“ და რომელიც შორს დგას რიგითი ფრანგი მაყურებლის მეტყველებისგან. რაც შეეხება დრამატული გმირების გრძნობათა ამპლიტუდის წარმოჩენას, სტენდალი ურჩევს დამწყებ დრამატურგებს, მაგალითი აიღონ შექსპირისგან და არ მიბადონ რასინს. სტენდალის თანახმად, კლასიციზმის მოძველებული კანონების ყველაზე ერთგული მიმდევარი რასინი იყო, რაც შეეხება ახალი ლიტერატურული მიმდინარეობის - რომანტიზმის მხატვრული პრინციპების გამომხატველ ნაწარმოებებს, თანამედროვე ევროპულ მწერლობაში ჯერ ასეთები არ შექმნილა. თუმცა, ყველაზე ახლოს მათთან შექსპირი იდგა. ბროშურაში გამოთქმული შეხედულებების შეჯამებისას სტენდალი აღნიშნავდა, რომ ფრანგებს, გარკვეულწილად, სნობიზმი ახასიათებთ, ისინი გადაჭარბებულად აფასებენ თავიანთ კულტურას და სხვისი მიღწევების იგნორირება შეუძლიათ. სავარაუდოდ, ესეც უშლის მათ ხელს, რომ აღიარონ და ჯეროვნად შეაფასონ სხვების მიღწევები, თუნდაც ელისაბედის პერიოდის ინგლისური დრამა და შექსპირი. (Стендаль, 1985)

ზოგადად, რომანტიზმმა დიდი გამოძახილი პოვა თეატრში. ინგლისური სცენა ამ პერიოდში „დაიპყრო“ გენიალურმა ედმუნდ კინმა, რომელიც ძლიერი, მემბოხე ხასიათების წარმოჩენით იყო გატაცებული. არსებობს თანამედროვეთა მოგონებები, რომლებიც აღფრთოვანებას ვერ ფარავდნენ მის მიერ შესრულებული შექსპირის ჰამლეტისა და შილერის ფრანგ მორის როლებთან დაკავშირებით (თუნდაც ეს ფაქტი მიუთითებს კინის არტისტულ დიაპაზონზე, მას თანაბარი სიძლიერით შეეძლო განესახიერებინა კეთილშობილი და უარყოფითი გმირები). ცნობილია, რომ „ჰამლეტის“ ერთ-ერთ წარმოდგენაზე პარტერში მყოფ ქალბატონს გული წაუვიდა, რადგან მართლა დაიჯერა, რომ მისი საყვარელი მსახიობი მოწამლული დაშნით მოკლეს.

შეიძლება ითქვას, რომ რომანტიკოსებმა მკვედრებით ადადგინეს კლასიციზმისგან მივიწყებული შექსპირი, რომელიც ტიტანური გმირებით კვლავ აქტუალური და თანამედროვე გახდა რომანტიზმის ეპოქის მაყურებლისთვის. ინგლისური სცენის კვალდაკვალ შექსპირი წარმატებით იდგმებოდა არა მარტო ევროპულ, არამედ ამერიკულ სცენაზეც. განსაკუთრებით პოპულარული იყო მისი „ჰამლეტი“, „ოტელო“ და „რომეო და ჯულიეტა“, რომლის გმირებიც ბოროტებისა და სიკეთის მარადიულ დაპირისპირებას ეწირებიან. აღსანიშნავია, რომ „რომეო და ჯულიეტას“ თემამ გამოძახილი პოვა ხელოვნების სხვა დარგებშიც, კერძოდ მუსიკაში, დიდი პოპულარობით სარგებლობდა ფრანგი კომპოზიტორის, ჰექტორ ბერლიოზის სიმფონია „რომეო და ჯულიეტა“.

რომანტიკოსებმა არა მარტო დაუბრუნეს შექსპირი სცენას, არამედ მისი ზეგავლენით თავად შექმნეს დრამატურგიის სკოლა, რომელმაც საბოლოოდ დაასამარა „სამი ერთიანობის კლასიციზტური კანონი. ვიქტორ ჰიუგოს მიერ პარიზში დადგმულ დრამას - „ერნანი“ თანამედროვეებმა „ერნანის ბრძოლა“ უწოდეს. ჰიუგოსა და მისი თანამედროვეების თეატრი, რომელიც შექსპირისეულ ტრადიციებს მისდევდა, თავისი ესთეტიკით აბსოლუტურად მისაღები გახდა თანამედროვე ფრანგი მაყურებლისთვის. ანალოგიურად განვითარდა მოვლენები გერმანიაშიც, სადაც ახალგაზრდა პოეტებისა და დრამატურგების ჯგუფმა - „ახალგაზრდა გერმანია“ კარლ გუცკოვთან ერთად საფუძველი ჩაუყარა

გერმანულ რომანტიკულ თეატრს, რომელიც ასევე შექსპირისეულ ტრადიციებს მისდევდა. (The Penguin Dictionary of Literary Terms and Literary Theory, 1991).

როგორც ვხედავთ, რომანტიკოსებმა ააღორძინეს კლასიციზტებისგან მივიწყებული შექსპირისეული თეატრის ტრადიციები და სწორედ მასზე დაყრდნობით შეუწყვეს ხელი ახალი რომანტიკული ესთეტიკის ჩამოყალიბებას სცენაზე.

ბიბლიოგრაფია:

ნეჩაევი, ვ. (2011 წლის 25 აპრილი). რომანტიზმი ევროპულ ლიტერატურაში და გერმანული რომანტიკოსები. (მ. ქსოვრელი-ხართიშვილი, & ი. ხართიშვილი, მთარგმნ.) მოძიებულია ვებგვერდიდან: http://defencegeorgia.blogspot.com/2011/04/blog-post_6102.html

The Penguin Dictionary of Literary Terms and Literary Theory. (1991). New York.

Гюго, В. (1985). *Собр соч. в 15 томах* (Т. 14). Москва.

Стендаль. (1985). *Рассин и Шекспир. Собр соч. в 10 томах* (Т. 6). Москва.

Чулков, Г. (2009). Пушкин и театр. Получено из http://magazines.russ.ru/neva/2009/6/chu12.html#_ftn1

Nana Arakhamia
Sokhumi State University
SHAKESPEARE’S REVIVED DISCOVERY
RESUME

The article relates to the views of two main literary courses (classicism, romanticism) to immortal work of William Shakespeare the leading figure of world literature and culture. In order to have more clearly introduced as to how important is the work of William Shakespeare for the comprehension of literary and aesthetic views of the era of romanticism. Classicists diverged from the requirements of modern French society with their works and mentality. That is why it was essential to require moods: often reflection of quite indefinite and obscure in literature that made Shakespeare to attract romanticists. In accordance to aforesaid standpoint the article includes opinions of Goethe, Stendhal, Hugo, Colorigi and others, clearing up that romanticists resuscitated Shakespeare forgotten by classicists, who again became topical and modern for society with his titanic characters. Based on the works of Shakespeare on the scene was founded formation of new romantic aesthetics.

Keywords: Romanticists, Shakespeare, Classicism, Drama, Theater.

მაია გელაშვილი
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქართულ-ოსური ენობრივი ურთიერთობები
საკითხის ისტორია

საკვანძო სიტყვები: ლექსიკა, დამწერლობა, ანბანი, ენობრივი ურთიერთობები, ნასესხები სიტყვები.

ქართველურ-ოსური ლექსიკურ ურთიერთობებზე ბევრი ნაშრომი შექმნილა, პირველი შენიშვნები ამ საკითხზე ოსური ენის კვლევის დასაწყისიდანვე ჩნდება. ოსური ენის პირველმკვლევრები უთითებდნენ საერთო სიტყვებს ქართველურსა და ოსურ ენებში. ამ თემას იკვლევდნენ ვ. მილერი, ჰ. ჰიუბშმანი, ე. ბენვენისტი, ვ. აბაევი, გ. კლიმოვი, გ. ახვლედიანი, გ. ბესთაევი, რ. გორდეზიანი, გ.

ლიახველი, ა. სანაკოვი. ქ. ბურნაძე, მ. ანდრონიკაშვილი, ო. თედევი, თ. გვანცელაძე, ნ. მაჭავარიანი, მ. ჩუხუა, მ. ბუკია... ამ თემას მიემდგნა არაერთი მონოგრაფია თუ ცალკეული სტატია.

კულტურული ურთიერთობების შესაბამისად, მსოფლიოს ენებს შორის აქტიურად იცვლება ლექსიკა; ქართულიდან ბევრი სიტყვაა შესული სხვა ენებში და ქართულშიც მრავლადაა უცხო ენებიდან შემოსული ლექსიკური ერთეულები. ქართველ ერს საუკუნეების განმავლობაში მსოფლიოს მრავალ ხალხთან ჰქონია ურთიერთობა, რაც ძირითადად განპირობებული იყო გეოგრაფიული მდებარეობით ან კულტურულ-ეკონომიკური კავშირებით. ეთნოკულტურული კონტაქტები ნათლად აღიბეჭდება ენის სტრუქტურაში, განსაკუთრებით - ლექსიკაში. სიტყვები ერთი ენიდან მეორე ენაში შედარებით ადვილად გადადიოდა, ვიდრე გრამატიკული ელემენტებისა (ფონემები, აფიქსები). წმინდა ენა არ არსებობს. ქართულ ენას ურთიერთობა ჰქონდა განსხვავებული სისტემის ენებთან, როგორებიცაა: არაბული, სპარსული, თურქული, ოსური, ბერძნული, სომხური... ამ ენათა გავლენა ქართველურ ენა-კილოებზე მეტ-ნაკლები ინტენსივობისაა.

გიორგი წერეთელი თავის სტატიაში „ენათა ნათესაობისა და ენათა კავშირის შესახებ“ მიუთითებს, რომ ენათა ურთიერთკავშირის საკითხს ყურადღება ჯერ კიდევ მაშინ მიაქცევს, როდესაც გაჩნდა ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერება. ამდენად, დაახლოებით, XVIII საუკუნის დასაწყისიდან ჩნდება ინტერესი ენათა ურთიერთკავშირის პრობლემის შესახებ. (Церетели, 1968, стр. 3)

1786 წელს უ. ჯონსმა, ქ. კალკუტაში, „Asiatick societ“-ში წარმოადგინა დასკვნები, რომლებიც ეფუძნება კვლევებს, იგი ხაზს უსვამს ფაქტს, რომ ზოგიერთი ენა ავლენს მეტად დიდ მსგავსებებს სხვა ენებთან. ეს იმდენად ცხადია, რომ მათ შემთხვევითად ან გავლენების შედეგად ვერ მივიჩნევთ. ენებს შორის კავშირის ერთ-ერთი მტკიცებულებაა ნასესხები სიტყვები. (Jones, 1786, p. 8)

სიტყვათა სესხება ენის ლექსიკური ფონდის შევსებისა და გამდიდრების ერთ-ერთი ძირითადი წყაროა. უცხო ენებიდან შეთვისებული ელემენტების გამოვლინება ჩვენ გვეხმარება შევისწავლოთ ყოველი ენა მისი ისტორიული განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე და, რაც მთავარია, არა იზოლირებულად, არამედ ენათა შორის არსებული ენობრივი კავშირების დადგენით; შევძლებთ ენათა შედარებით კვლევას, განსაკუთრებით კი ენათა შორის კანონზომიერი ფონეტიკური შესატყვისობის დადგენისას. აღნიშნული შესატყვისობის შეუსაბამო დარღვევანი, ხშირად, სესხების შესაძლებლობის გაუთვალისწინებლობის შედეგია.

ნასესხები მასალის მკვიდრისაგან გამიჯვნა ხშირად მრავალ სირთულესთან არის დაკავშირებული, განსაკუთრებით ეს ეხება უძველეს ნასესხობებს, რადგან შეთვისებული სიტყვების მსესხებელ ენასთან შეგუების პროცესი ძალიან შორს არის წასული. მაგრამ ენობრივი ანალიზი მაინც შესაძლებელია: მსესხებელი და გამსესხებელი ენის ისტორია, უმეტესად, საშუალებას გვაძლევს გამოვწახოთ კრიტერიუმი ნასესხები მასალის გამოსავლენად, კულტურულ-ისტორიული ურთიერთობის გათვალისწინებას.

ნაშრომის მიზანია წარმოვადგინოთ ადრე ჩატარებული კვლევების შედეგები, რომლებიც მოიცავს სამეცნიერო მომიქცევაში არსებულ თვალსაზრისებს. ჩვენ გვსურს, მოპოვებული მასალის საფუძველზე ნათელი გავხადოთ ქართველურ-ოსური ენობრივი ურთიერთობები.

1888 წელს მდ. ზელენჩუკის ხეობაში არქეოლოგმა დიმიტრი სტრუკოვმა იპოვა საფლავის ქვა, რომელის წარწერაც ბერძნული ასოებით იყო შესრულებული. აღმოჩნდა, რომ ქვაზე ოსური სიტყვებია დაწერილი ბერძნული გრაფიკებით. ძეგლი დათარიღდა 941 წლით. (Абаев, 1949, стр. 260)

ჩრდილოეთ ოსეთის ტერიტორიაზე შემონახულია საფლავის ქვები, რომლებზეც არაბული ასოებით არის დაწერილი ოსი მიცვალებულების გვარები და სახელები. ეს წარწერები XIV საუკუნით თარიღდება. (თედევი, 1979, გვ. 5)

პირველი ცდა ოსებისათვის საკუთარი ანბანის შექმნისა დაკავშირებულია ოსეთში ქრისტიანობის გამავრცელებელი კომისიის მოღვაწეობასთან. კომისია 1745 წელს შეიქმნა რუსეთის ეკლესიის სინოდის გადაწყვეტილებით. ამ კომისიის წევრი იყო ქართველი სასულიერო მოღვაწე, არქიმანდრიტი გაიოზი, რომელმაც შეადგინა ოსური ანბანი ძველი საეკლესიო სლავური გრაფიკის საფუძველზე და რუსულიდან ოსურად თარგმნა მოკლე კატეხიზმო ანუ პირველდაწყებითი სწავლა ქრისტიანული სარწმუნოების შესახებ. წიგნი მოსკოვში 1798 წელს დაიბეჭდა.

გაიოზის შედგენილმა ანბანმა ოსეთში ვერ გავრცელდა, რადგან მის ანბანში არ იყო გარკვეული და დაზუსტებული ოსური ენის ბგერათა თავისებურებანი. მიუხედავად ამისა, გაიოზის ნათარგმნ წიგნს ისტორიული ღირებულება მაინც აქვს, ის ითვლება ოსურისთვის პირველ ბეჭდურ წიგნად.

გაიოზის შემდეგ ოსებისთვის ანბანის შედგენა ითავა იოანე იალღუზიძემ, ეთნიკურმა ოსმა /ნამდვილი გვარია გაბარავეი/. ი. იალღუზიძე დაიბადა 1775 წელს ჯავის რაიონში. მცირეწლოვანების ჟამს ერეკლე II-ის ბრძანებით ჩამოიყვანეს და დავითგარეჯის მონასტერში გაამწესეს, სადაც შეისწავლა ფილოსოფია, თეოლოგია, ქართული მწერლობა, ფოლკლორი. 1820 წლიდან ი. იალღუზიძე

ქართულ და ოსურ ენებს ასწავლის ოს სტუდენტებს თბილისის სასულიერო სემინარიაში. პედაგოგიური მოღვაწეობის გარდა, ი. იალღუზიძემ ცნობილია როგორც გადამწერი და პოეტი. მას გადაუწერია „ვეფხისტყაოსანი“ და სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონა“. მასვე ეკუთვნის პოემა „იალღუზიანი“, რომელშიც გადმოცემულია ოს-ჩერქეზთა მეფის, ალღუზის, საგმირო საქმეები. (თედევი, 1985, გვ. 5-7)

ი. იალღუზიძემ ქართული დამწერლობის საფუძველზე შექმნა ოსური ანბანი, რომელიც დაიბეჭდა თბილისში 1821 წელს. ანბანი ხუცური შრიფტითაა დაბეჭდილი. ი. იალღუზიძემ ქართულ ანბანს ოსური ენის სპეციფიკური ბგერებისთვის ორი ნიშანი დაუმატა და შეადგინა ოსური ენისათვის სრულყოფილი ანბანი. ეს დამატებითი ნიშნებია: 1. z - დავიწროებული ა /თანამედროვე ოსური გრაფიკით - /; 2. j -გერმანულიდან გადმოღებული ნიშანი, ქართული ძ-ის შესატყვისი (თანამედროვე ოსური გრაფიკით - ж). სხვა სპეციფიკური თანხმოვნების გადმოსაცემად ი. იალღუზიძემ გამოიყენა ქართულ გრაფიკაში ანტონ კათალიკოსის მიერ შემოღებული ასოები ჯ და ჭ /თანამედროვე გრაფიკით ჯ, ჭ/ (თედევი, 1985, გვ. 27)

ი. იალღუზიძემ ქართულიდან ოსურზე თარგმნა რამდენიმე ტექსტი: 1. 1802 წლით დათარიღებული ხელნაწერი, რომელიც ეხება სოფ. ვანათში სასამართლოს დაწესებას. ოსური ტექსტი შესრულებულია ქართული გრაფიკით. ხელნაწერი 1926 წელს ქართველმა ისტორიკოსმა დავით კარიჭაშვილმა აღმოაჩინა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ფონდში, ხოლო საფუძვლიანად შეისწავლა გიორგი ახვლედიანმა, ქართველმა ლინგვისტმა და ოსოლოგმა.; 2. ლოცვანი, დაიბეჭდა თბილისში 1820 წელს (ტირაჟი 300 ეგზემპლარი); 3. საღმრთო ლიტურგია /მოსკოვი, 1821 წ., 600 ეგზემპლარი/; 4. ოთხთავი, შესრულებული 1923 წელს, რომელიც არ გამოქვეყნებულა; 5. გამოკრებილი კურთხევანი /მოსკოვი, 1824 წ., 500 ეგზემპლარი/. აღსანიშნავია, რომ ხელნაწერები მხედრულად სრულდებოდა და იბეჭდებოდა ხუცურად. ამ წიგნებით სარგებლობდნენ როგორც სამხრეთ, ისე ჩრდილოეთ ოსეთის სამრევლოებში თითქმის 25 წლის მანძილზე. (თედევი, 1964, გვ. 109-120)

ჩვენ გვაქვს ცნობები იმის შესახებ, რომ ქართული გრაფიკით შესრულებული ოსური ტექსტები ი. იალღუზიძემდე გაცილებით უფრო ადრე არსებობდა: რუსი ისტორიკოსი პ. ბუტკოვი, როდესაც საუბრობს გაიოზის მიერ ოსურისთვის რუსული გრაფიკის გამოყენების შესახებ, იქვე დასძენს, რომ ქართველებიც ოსური ენის გადმოსაცემად ხმარობდნენ თავიანთ ასოებს დიდი სიზუსტით. (თედევი, 1979, გვ. 6)

მოსე ჯანაშვილი, ქართველი ისტორიკოსი და ეთნოგრაფი, წერს, რომ ერეკლე II-ის დროს მეფის სტამბაში იბეჭდებოდა საღმრთო წიგნები ოსურ ენაზე ხუცური ანბანით, რომელსაც დაემატა ოსურისთვის დამახასიათებელი რამდენიმე გრაფიკული ერთეული. ჯანაშვილი იმასაც აღნიშნავს, რომ ასეთი წიგნი თავადაც უნახავს, 1753 წელს დაბეჭდილი. (თედევი, 1979, გვ. 7)

საარქივო მასალიდან, რომელიც პეტერბურგის ცენტრალურ ისტორიულ არქივში ინახება, ჩანს, რომ მე-18 საუკუნის 50-60-იან წლებში უკვე არსებობდა ქართული ანბანით ნაწერი ოსური ხელნაწერები. ამ ხელნაწერების შესრულებაც ოსეთში ქრისტიანობის გამავრცელებელი კომისიის სახელთან არის დაკავშირებული. ამ კომისიის წევრს, ილუმენ გრიგოლს, უთარგმნია რამდენიმე სასულიერო ხასიათის ძველი ქართული გრაფიკებით, თუმცა გრიგოლის საქმიანობას საყოველთაო ხასიათი არ მისცემია და მისი თარგმანები ხელნაწერის დონეს არ გასცილებია. (თედევი, 1979, გვ. 7)

თანამედროვე ოსური დამწერლობის ბედი საბოლოოდ გადაწყდა მე-19 საუკუნის შუა წლებში ანდრია შეგრენის მიერ. მოსკოვის მეცნიერებათა აკადემიის წევრმა, აკადემიკოსმა ა. შეგრენმა, იმოგზაურა ოსეთში. ის 1835 წელს ჩამოვიდა კავკასიაში თვალის ავადმყოფობის გამო მინერალურ წყლებზე სამკურნალოდ და ოსური ენის შესასწავლად. ა. შეგრენმა კირილიცას საფუძველზე დაამუშავა და შეადგინა ოსური ანბანი. მანვე პირველმა შექმნა ოსურის გრამატიკა. (Шагрен, 1844, стр. 33; ჩოჩიშვილი, 1883, გვ. 45)

შეგრენისეული ანბანი მოგვიანებით სრულყო რუსმა ენათმეცნიერმა ვსევოლოდ მილერმა. მან შეგრენისეული ანბანის რამდენიმე ასო გრაფიკულად დახვეწა. (Миллер, 1881, стр. 135)

პირველი ავტორი, ვინც სერიოზულად სცადა კავკასიაში გავრცელებულ ენა-კილოთა კლასიფიკაცია მის მიერვე ადგილზე მოპოვებული ენობრივი მასალის (ლექსიკის) საფუძველზე, იყო იოჰან ანტონ გიულდენშტედტი. მან ამჟამად იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის წევრებად მიჩნეული ენები რვა ჯგუფად დაყო. ამ ჯგუფთა შორის ი. გიულდენშტედტს პირველ ნომრად ცალკე აქვს გამოყოფილი „ქართველური დიალექტები“ ქართულის, მეგრულისა და სვანურის შემადგენლობით. (Güldenstädt, 1787, pp. 496-504) კავკასიაში მოგზაურობის დროს იოჰან გიულდენშტედტმა შეკრიბა ლექსიკური მასალა და შეადგინა კავკასიაში გავრცელებული ენების შედარებითი სიტყვათა კონები. თითოეული ასეთი კონა შეიცავს 340-მდე სიტყვას /ესენია არსებითი სახელები, ნაცვალსახელები,

რიცხვითი სახელები, ზედსართავები, ზმნები/. სიტყვები დალაგებულია შინაარსობრივად. მთის მრავალი იბერიულ-კავკასიური ენის ლექსიკური მასალა ასე ვრცლად პირველად ჩაიწერა, ამიტომ მათი შესწავლის ისტორიაში ამ დოკუმენტაციას დიდი ღირებულება აქვს. ლექსიკური მასალის შედარების საფუძველზე იოჰან გიულდენშტედტმა გამოჰყო ენათა ექვსი ჯგუფი:

- ქართული (ქართული, მეგრული, სვანური);
- ქისტური (ჩაჩნური, ინგუშური, თუშური);
- ლეკური (ხუნძურ-დოდოური, ანწუხური, ჭარული, ყაზიყუმუხური, ახუშური);
- ჩერქეზული (ყაზარდოული და აფხაზური);
- ოსური;
- თათრული.

ეს ენები ჯგუფებად დაყო და ცალკეული ჯგუფის წევრთა ნათესაური ურთიერთობის საკითხი პირველად წამოაყენა იოჰან გიულდენშტედტმა.

1846 წელს ბერლინში გამოიცა გერმანელი კავკასიოლოგის, გეორგ როზენის, შრომა, რომლის სათაურია: „ოსური გრამატიკა გამოკვლევითურთ მეგრულისა, სვანურისა და აფხაზურის შესახებ“ (Ossetische Sprachlehre nebst einer Abhandlung ber das Mingralische, Suanische und Abchasische). აღნიშნულ ნაშრომში ოსურისთვის გ. როზენმა ქართული ანბანი გამოიყენა. მისი აზრით, ქართული ანბანი ოსური ბგერების ადეკვატურია. (ჩიქობავა, 2008, გვ. 144, 157).

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ოსურ და მეგრულ ენებს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ, როგორც არქაულ ენებს. მისი შესწავლის მამამთავარი იყო პროფ. ვსევოლოდ მილერი (1846-1913). ის ხუთჯერ იყო ოსეთში. 1879, 1880, 1881 და 1886 წლებში. მილერმა საფუძვლიანად გამოიკვლია და შეისწავლა ოსური ენა, ლექსიკოლოგია და დაადგინა კავშირი მონათესავე ენებთან.

გასულ საუკუნის 40-იან წლებში სამეცნიერო მიზნით კავკასიაში გამოგზავნა ბერლინის მეცნიერებათა აკადემიამ პროფ. გეორგ როზენი. მან პირველმა, თუმცა დიდი დეფექტებით, შეადგინა გრამატიკული მიმოხილვა ჭანურ-მეგრულ-სვანურ-აფხაზურისა, აგრეთვე, ოსური ენისა. სახელწოდებით: „Uiber die sprache der Lazen, Dr. C. Rosen. 1844 და Ueber das Mingrelische, Suanische und Abchasische 1846. Berlin. გ. როზენი სრულებით არ ეხება მეგრ. ენის ბგერათა მხარეს /ფონეტიკას/ და არ მოჰყავს მეგრული ტექსტები. მის ნაშრომს აქვს მნიშვნელობა უფრო ლექსიკოგრაფიისათვის, ისიც დიდის სიფრთხილით. სხვათა შორის, მას ეკუთვნის უტყუარი აზრი იმის შესახებ, რომ ქართული მხედრული ასოები ყველა ასოებზე უფრო შეეფერებიან მეგრ., სვანურ, აფხაზურ და ოსურ ენებსა. როზენი თავის შრომებში კიდევაც ხმარობს ამ ენათა სიტყვების გადმოსაცემად ქართულ ასოებს. (როზენი, 1846, გვ. 2)

ამ საკითხის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მკვლევარი გახლდათ ვასილ აბაევი. 1985-90-იან წლებში მან გამოსცა „ოსური ენის ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონი“, დიდი მნიშვნელობა აქვს ირანულ ენათა კვლევისათვის, ქართულ-კავკასიური და ირანულ ენათა კონტაქტების შესწავლისათვის, აგრეთვე კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის საერთო ელემენტების კვლევის თვალსაზრისით. მან განაცხადა: “ოსურ-ქართული კულტურული ურთიერთობანი თავისი სიძველის, სიმდიდრის, სირთულისა და ინტერესის მიხედვით იმსახურებენ იმას, რომ გახდნენ საგნად სპეციალური კვლევისა“. (Абаев, 1949, стр. 93-94) აბაევამ თავის შრომებში ხაზგასმით აღნიშნა და დაასაბუთა: კავკასიური ელემენტი ოსურში შევიდა არა როგორც გარეგანი გავლენა, თურქულისა და არაბულის მსგავსად, არამედ როგორც დამოუკიდებელი სტრუქტურული ფაქტორი. როგორც მისი მეორე ბუნება. (Абаев, 1949, стр. 79) ერთ-ერთ ბოლო ნაშრომში აბაევმა აღნიშნა, რომ ოსური ენის ფონეტიკასა, მორფოლოგიასა და სინტაქსში კავკასიური სუბსტრატული გვევლინება, როგორც დამოუკიდებელი კონსტრუქციული ელემენტი და არა როგორც სესხება, კავკასიური ელემენტი იჭრება ოსური ენის ძირითად ლექსიკურ ფონდში, რაც შეიძლება მხოლოდ ხანგრძლივი ორენოვნების ფონზე. (Абаев, 1949, стр. 291). როგორც აბაევის, ასევე სხვა მკვლევარების მტკიცებით, ამ სუბსტრატულ ელემენტებს შორის ძირითადი და მნიშვნელოვანია ქართულ-ქართველური ელემენტები, რამდენადაც ცხადყოფს ქართულის გავლენას ინდოევროპულ ოჯახის ერთ-ერთი ძირითადი შტოს - ოსური ენის - წარმომადგენელზე. ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა აბაევის ნაშრომები: „ნართების ეპოსი“ /1945/, „ოსური ენა და ფოლკლორი“ /1949/.

ზ. ჭიჭინაძის ცნობით, ნიქოზისა და ურზნისის სამონასტრო სკოლებში ასწავლიდნენ ოსთა შვილებს “წერა-კითხვას ქართულ ენაზე, ოსურს, ბერძნულს, ასურულს და რომაულს... მღვდელმოქმედებასა და საეკლესიო საქმეებში ოსურის ენითაც წვრთნიდნენ... სასულიერო პირთა გარდა ოსთა მეფენიც ქართული ასოებით სწერდნენ წერილებს, სიგელთა და გუჯრებს.. ლექსებს, შაირებს... ეს გარემოება ოსთა და ქართველთ დიდათ აკავშირებდა, აახლოვებდა.” ზ. ჭიჭინაძისავე ცნობით, ბაგრატ მეოთხემ ოსთა შვილებს “მრავლად გაუხსნა სხვადასხვა სახის სკოლები ... ამავე ბაგრატის მეოხებით, ოსთა შვილების რიცხვმა გამრავლება იწყო შიო მღვიმის სასწავლებელში.

აკად. ქეთევან ლომთათიძე აღნიშნავს: „ბოლო ხანებში ენათა შორის გამოვლენილმა ბგერათმშენებლობებმა და ბგერათვლილებების კანონზომიერებებმა ერთგვარად ნიადაგი „მოსაფუთავა“ ნასესხები ლექსიკის გამოყოფისა და სესხების მიმართულების გარკვევისათვის“. (ლომთათიძე, 1999, გვ. 25)

ბესარიონ ჯორბენაძე წერდა: "ცნობილი ფაქტია, რომ სესხების თვალსაზრისით ერი სწორედ იმ ხალხის ენას ერიდება ინტუიციურად, ვისგანაც განიცდის ძალდატანებას". (ჯორბენაძე, 1997, გვ. 39) ამ თვალსაზრისით საინტერესო ფაქტებს იძლევა ჩვენი ისტორია და სინამდვილე. მუსულმანიზმის ძალმომრეობის ეპოქაში /VIII-XI საუკუნეები/ ქართულ ენაში არსებითად არ არის დამოწმებული მასობრივი სესხება აღმოსავლური /სპარსული, არაბული/ ენებიდან, მაგრამ აღმოსავლურ სიტყვებს ფართოდ გაედო კარი მაშინ, როცა ძალმომრეობის საშიშროება აღარ იყო /XI-XII საუკუნეები/. საერო ლიტერატურა არსებითად წილნაყარი აღმოჩნდა აღმოსავლურ ლიტერატურასთან. ანალოგიურად შეგვიძლია დავასკვნათ ოსებთან მიმართებითაც. საუკუნეების განმავლობაში ჩვენი ურთიერთობის შედეგად „ბუნებრივია, რომ ქართული არა მხოლოდ სესხულობდა სიტყვებს, არამედ გაასესხებდა კიდეც“. (ჯორბენაძე, 1997, გვ. 4)

გ. ახვლედიანის აზრით, „ოსურ-ქართული ენობრივი ურთიერთობის სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ აქ გვაქვს ხანგრძლივი საურთიერთო გავლენა, რომელიც სცილდება ჩვეულებრივი გავლენის ფარგლებს“. აღნიშნულ ენებს შორის ურთიერთდამოკიდებულებას, მისი აზრით, შეიძლება ვუწოდოთ უფრო ურთიერთგამჭვალე. მისივე თქმით, ქართული სიტყვები ოსურში და ოსური ქართულში ვერ მოხვდებოდა ამ ენებში იზოლირებულად, ცალკეული ნასესხობების სახით, ისინი უთუოდ შეადგენდნენ მრავალრიცხოვან სიტყვათა სისტემის უმნიშვნელო ნაწილს, რომელიც ორივე ენისათვის საერთო იყო და რომელიც ურთიერთკავშირის შედეგად იწვევდა ამ ენათა სტრუქტურაში შესაბამის ცვლილებებს გრამატიკულ და ფონეტიკურ დონეზე. ოსურისა და ქართული ენების ასეთი ურთიერთგავლენისა, როგორც გ. ახვლედიანი წერს, თავს იჩენს, ამ ენათა ფონეტიკური სისტემების მსგავსებაში. თანამედროვე ოსურ თანხმობანთა სისტემას ქართულისაგან განასხვავებს მხოლოდ ერთი თანხმობანი, ეს არის f. (Ахвледиани, 1960, стр. 173) მეტად საინტერესო მასალა აქვს წარმოდგენილი ახვლედიანს ოსურ-ქართული ენობრივი შეხვედრების შესახებ, რომელშიც ავტორი განზრახ დიფერენციაციის გარეშე, მეტწილად წარმომავლობის მიუთითებლად განიხილავს, ლექსიკურ და ფრაზეოლოგიური ხასიათის დეტალებზე ამახვილებს ყურადღებას.

მზია ანდრონიკაშვილი თავის ნაშრომში საუბრობს ქართველთა და ოსთა ურთიერთობებზე, რომელიც პირველ საუკუნეში ფიქსირდება. კასისოს დიონის ცნობით, ქართლის მეფე ფარსმან მეორემ მოაწყო ალანების მსხვილი შემოსევა, პართიისა და სოხეთის სამფლობელოში. (ანდრონიკაშვილი, 1964, გვ. 48) მას შემდეგ ხშირად იკვეთება ქართველებისა და ოსების ხაზები. ასეთი ხანგრძლივი და მჭიდრო პოლიტიკურ-ისტორიული ურთიერთობას, ბუნებრივია, უნდა მოჰყოლოდა ენობრივი ურთიერთობა. „ორივე ხალხის ენაში ჩვენ ვხვდებით ამ ურთიერთობის კვალს შეთვისებული ლექსიკური ელემენტების სახით. ოსურ ენაში მნიშვნელოვანი რაოდენობით ქართული ელემენტების რაოდენობა არაერთხელ იყო აღნიშნული ოს მკვლევართა მიერ“. (ანდრონიკაშვილი, 1964, გვ. 50) აბაევისა და ახვლედიანის მიერ აღინიშნება, რომ ქართულის გავლენა ოსურზე უფრო დიდი იყო, ვიდრე პირიქით. ოსურ ენაში არსებული ქართული ელემენტები მისი განვითარების მთელ გზაზე და შემდგომისდაგვარად განსაზღვროს მათი შესვლის გზები. უნდა აღინიშნოს, რომ ქართულიდან ოსურში შესული სიტყვები არ შეიძლება განვიხილოთ, როგორც უბრალო ნასესხობები, რადგან ისინი ოსური ენის ორგანულ ნაწილს შეადგენენ, ისინი შედიან მისი ლექსიკის ძირითად ნაწილში; ბევრ მათგანს შესატყვისიც კი აქვს მონათესავე ენებში. ანდრონიკაშვილის აზრით, აბაევამდე სათანადო ყურადღება არ ექცეოდა ქართულ-ქართველური ენების მნიშვნელობას ოსური ენის ჩამოყალიბებაში. ნასესხობათა დიდი ნაწილი განეკუთვნება დიალექტურ ლექსიკას. აღსანიშნავია რაჭული, მოხეური, ხევსურული, რაჭული, სვანური, მეგრული, ჭანური, იმერული, მთიულური და სხვ., რომელთაც მეზობლური ურთიერთობა ჰქონდათ ოსურ მოსახლეობასთან.

სესხება მეტ-ნაკლები ინტენსივობით ორივე მიმართულებით ხდება. გარდა ამისა, გვაქვს სიტყვათა ნაწილი, რომელიც ორსავე ენაში ნასესხებია, მაგრამ ოსურ ფორმას აშკარად ეტყობა, რომ სესხებისას შუალედური რგოლი ქართველური, სვანური, ჭანური და მეგრულია. შეთვისებულ სიტყვათა ნაწილში კი შუალედური რგოლის გამოკვლევა ჭირს, რადგანაც ხელშესახები ფონოტაქტიკური მასალა არ გვაქვს. ჩვენს ხელთ არსებული მასალა საშუალებას გვაძლევს, ვივარაუდოთ სესხების შემდეგი მიმართულებები: ოსურიდან ქართველურში შეთვისებული ლექსიკა; ქართველურიდან ოსურში შესული სიტყვები; უცხო ენებიდან (ძირითადად აღმოსავლურიდან) ოსურში შეთვისებული ლექსიკური ერთეულები, სადაც სესხების შუალედური რგოლი ქართველური, სვანური, ჭანური და მეგრულია; ლექსემათა მცირე ნაწილი,

რომელიც ორივე ენისთვის ნასესხობაა, მაგრამ სესხების მიმართულების კვლევა ჭირს. (ანდრონიკაშვილი, 1964, გვ. 40-60)

მკვლევარი ნ. აფხაზავა ლინგვისტური მონაცემების /ოსურ ენაში არსებული ქართული სიტყვები/ ანალიზით ვარაუდობს, რომ „აფსილ-აფშილები ქართველური მეგრულენოვანი ტომია, ვისგანაც ალან-ოსებს „მეგრელიზმი“ შეუთვისებიათ“. (აფხაზავა, 1998, გვ. 6-13)

ერთ-ერთ ბოლოდროინდელ კვლევაში ლინგვისტმა, ფილოლოგიის დოქტორმა აისა ხაიდოვმა თავის ნაშრომში „Введение в изучение кавказских языков“ ყურადღება გაამახვილა ქართველიზმებზე, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში გავრცელდა მოსაზღვრე სახელმწიფოებში. (Халидов, 2006, стр. 89)

ი. დეშერიევი წერდა, რომ საუკუნეების განმავლობაში „სახელწოდებები ნაყოფებისა და კულტურული მცენარეების მომდინარეობს ქართულიდან ან სხვა ენებიდან ქართულის მეშვეობით. (Дешериев, 1948, стр. 226)

აღსანიშნავია, რომ დღეს ამ საკითხზე მუშაობა გრძელდება. თანამედროვე მკვლევრებს შორის მნიშვნელოვანია პროფესორ მ. ჩუხუას მოღვაწეობა. მის მიერ შემუშავდა უნიფიცირებული ტრანსკრიფცია იბერიულ-კავკასიურ ენათა ფონოლოგიური სისტემისათვის. შესაბამისი მეთოდის გამოყენებით, მტკიცდება ამა თუ იმ ენებს შორის გენეტიკური ნათესაობა. ჩუხუას კვლევას შეადგენს ფუძე-ენების დონეზე რეკონსტრუირებული ეტიმოლოგიური ლექსიკონი. შეიქმნა ახალი პარადიგმა, რომლის ფარგლებშიც ენებს შორის გამოვლინდა რეგულარული, კანონზომიერი და სისტემური ბგერათმესატყვისობები და მასზე დაყრდნობით დამტკიცდა ხალხთა და ენათა ერთიანი გენეტიკური წარმომავლობა-ნათესაობა. (ჩუხუა, 2017, გვ. 23)

არ შეიძლება არ აღინიშნოს პროფესორ მანანა ბუკიას მოღვაწეობა, რომელმაც დაადგინა საერთოკავკასიური ლექსიკური ერთეულები, სესხების მიმართულებები, ქრონოლოგია და ლინგვოკულტურული გარემო. ანგარიშგასაწევია მონოგრაფიულად დამუშავებული საკითხი ურთიერთმონათესავე ენებს შორის. (ბუკია, 2014)

აღსანიშნავია, ქართულ-ოსური და ოსურ-ქართული ლექსიკონი, რომლის შემდგენელი და მთავარი რედაქტორი ორგანიზაცია „კავკასიური მოზაიკის“ თავმჯდომარე – პროფ. ნაირა ბეპიევი გახლავთ. აგრეთვე, 2014 წელს გამოვიდა ნართების ეპოსის ორენოვანი გამოცემა და ოსურ-ქართული და ქართულ-ოსური ლექსიკონების მეორე გამოცემა. კრებულში შესულია ტექსტების დიდი ნაწილი პირველად. ქართულ-ოსური და ოსურ-ქართული ლექსიკონები სრულიად ახალი მოვლენაა ქართველებისა და ოსების კულტურულ-საგანმანათლებლო ისტორიაში. ქართულ-ოსური და ოსურ-ქართული ლექსიკონები მთლიანობაში 50 000-ზე მეტ სიტყვას მოიცავს. ლექსიკონების შემდგენელი და მთავარი რედაქტორია ნაირა ბეპიევი. ლექსიკონებს ერთვის ოსური ენის გრამატიკული ნარკვევი და ქართული ენის გრამატიკული მიმოხილვა. წიგნს დართული აქვს გამოყენების წესები ოსურ და ქართულ ენებზე, ოსური და ქართული ანბანი ტრანსკრიპციით, ასევე – შემოკლებები, განმარტებები და სხვა.

სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ სესხება ამ ორ ენობრივ კოლექტივს შორის ხდება ორივე მიმართულებით, ოღონდ არათანაბარი ინტენსივობით. ოსურს ქართველურიდან ნასესხები აქვს საყოფაცხოვრებო, შრომის იარაღების, სამეურნეო ნაგებობების, კულტურული მცენარეების, მიწათმოქმედებასთან, ქრისტიანობასთან დაკავშირებული ტერმინები.

ბიბლიოგრაფია:

- ანდრონიკაშვილი, მ. (1964). *ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან*. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- ანდრონიკაშვილი, მ. (1976). *შენიშვნები ქართულიდან ოსურში შესული სპარსული სიტყვების შესახებ*. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები აღმოსავლეთმცოდნეობა.
- ანდრონიკაშვილი, მ. (1984). *შენიშვნები ქართველური ენებიდან ოსურში შესული ლექსიკის ფონეტიკური ადაპტაციის შესახებ*. *საენათმეცნიერო კრებული* (I).
- აფხაზავა, ნ. (1998). *აფშილთა ეთნიკური ვინაობისთვის*. *აფხაზეთის ისტორიის კობლეტები*. თბილისი.
- ბუკია, მ. (2014). *ნარკვევები ქართველურ-აფხაზური ლინგვოკულტურული ურთიერთობის ისტორიიდან*. მერიდიანი.
- თედევი, ო. (1964). *ქართული ოთხთავის ოსური თარგმანის ისტორიისათვის*. *თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები* (108).
- თედევი, ო. (1979). *დანიელ ჭონქაძე როგორც ოსოლოგი*. თბილისი: მეცნიერება.
- თედევი, ო. (1983ა). *ნარკვევები ქართულ-ოსური ენობრივი ურთიერთობიდან*. თბილისი: მეცნიერება.
- თედევი, ო. (1983ბ). *ქართული ლექსიკური ნასესხობანი ოსურში*. *ნარკვევები ქართულ-ოსური ენობრივი ურთიერთობიდან*. თბილისი: მეცნიერება.
- თედევი, ო. (1985). *პირველი ოსური ხელნაწერების ენა*. თბილისი.

- თედევი, ო. (1988). *ნარკვევები ოსურ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან*. თბილისი: მეცნიერება.
- თედევი, ო. (2000). დიალექტების მონაცემების მნიშვნელობა ენობრივი კონტაქტების შესწავლისათვის (ქართულ-ოსური მასალების მიხედვით). *ტიპოლოგიური ძიებანი*, IV.
- იალღუზიძე, ი. (1823). *ქართულად თარგმნილი ოთხთავი*.
- ლომთათიძე, ქ. (1999). *აფხაზურსა და ქართველურ ენებში არსებული ზოგი საერთო ფუძის ნასესხობის მიმართულებისათვის*. თბილისი.
- როზენი, გ. (1846). *ოსური გრამატიკა გამოკვლევითურთ მეგრულისა, სვანურისა და აფხაზურის შესახებ*.
- ჩიქობავა, ა. (2008). *იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია*. თბილისი.
- ჩოჩიშვილი, გ. (1883). *ოსური ანბანი*. დროება (199).
- ჩუხუა, მ. (2017). *ქართულ-ჩერქეზულ-აფხაზური ეტიმოლოგიური ძიებანი (მასალები იბერიულ-კავკასიურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონისათვის)*. თბილისი.
- ჯორბენაძე, ბ. (1997). *ენა და კულტურა*. თბილისი.
- ჯუსოთი, ნ. (1980 წლის 14 აგვისტო). სიტყვა მეცნიერზე (ვ. ი. აბაევის დაბად. 80 წლისთავი). *საბჭოთა ოსეთი* (155).
- Jones, W. (1786). A dissertation on the orthography of Asiatick words in Roman letters. *Asiatick Researches*.
- Güldenstädt, J. A. (1787). *Reisen durch Russland und im Caucasischen Gebürge / Auf Befehl der Russisch-Kayserlichen Akademie der Wissenschaften herausgegeben von P.S. Pallas* (Vols. 1-2). St. Petersburg: Russisch-Kayserlichen Akademie der Wissenschaften.
- Абаев Василий Иванович. (1958). *Изв. Юго-Осет.*
- Абаев, В. И. (1925). Некоторые осетино-яфетические параллели. *Яфетический сборник*. 3.
- Абаев, В. И. (1949). Древнеосетинская зеленчукская надпись. *Осетинский язык и фольклор* (I).
- Абаев, В. И. (1956). О некоторых осетинских элементах в грузинском языке. *Труды Инст. языкозн.* VI.
- Абаев, В. И. (1958-90). *Историко-этимологический словарь осетинского языка» в 5 томах*.
- Абаев, В. И. (1959). Осетино-вейнахские лексические параллели. *Известия Чечено-Ингушского НИИ истории, языка и литературы*. Т. I. Вып. 2.
- Абаев, В. И. (1973а). Значение ареальных контактов в истории языка [На мат. осет. и кавк. языков]. *V региональная научная сессия по изучению истории иберийско-кавказских языков; Тезисы докладов*. Орджоникидзе.
- Абаев, В. И. (1973б). Некоторые осетино-грузинские семантические параллели. *ИКЯ*, XVIII, стр. 27-34.
- Абаев, В. И. (1978). О вариативности сонантов [испол. мат. и картв. яз.]. *Актуальные проблемы иранской филологии*.
- Андроникашвили, М. (1976). *О персидских словах, проникших в осетинский язык через грузинское посредство*.
- Ахвледиани, Г. (1960). *О функциях провербов в грузинском и осетинском языках*.
- Ахвледиани, Г. С. (1948). К вопросу о кавказском характере осетинского языка. *Научная сессия Тбилисского гос. унив. им. Сталина*.
- Дешериев, Ю. Д. (1948). Некоторые особенности эргативного строя предложения в бацбском языке. *Язык и мышление* (X1).
- Калоев, Б. А. (1995). *Моздокские осетины*. Москва.
- Климов, Г. А., & Алексеев, М. Е. (1980). *Типология кавказских языков*. Москва.
- Климов, Г. А., & Халилов, М. Ш. (2003). *Словарь кавказских языков. Сопоставление основной лексики*. (Я. Г. Тестелец, Ред.) Москва: Восточная литература.
- Миллер, В. Ф. (1881). *Осетинские этюды*.
- Халидов, А. И. (2006). *Введение в изучение кавказских языков*.
- Церетели, Г. (1968). О языковом родстве и языковых союзах. *Вопросы языкознания* (3).
- Шагрэн, А. (1844). *Осетинская грамматика*.
- Шанидзе, А. Г. (1964). *Страница из истории грузино-осетинских культурных отношений (Грузинско-осетинская книга 1823 года)*.

Maia Gelashvili
Sokhumi State University
GEORGIAN-OSSETIAN LANGUAGE RELATIONS
RESUME

The problem of Georgian - Ossetian language relations has long been the subject of scientific research. The issue has been studied for years and work on the Georgian-Ossetian linguistic relationship is still ongoing. Problems in the historical, political, socio-economic, archaeological or mythological direction have been elaborated over the past period. We cannot fail to focus on the work of great scholars such as: V . Abaev, O. Tedeev, M. Andronikashvili, G. Akhvlediani, V. Miller, G. Klimov and many others. Also noteworthy is the contribution of modern scholars such as M. Chukhua, M. Bukia, R. Topchishvili, N. Bepiev, K. Goderdzishvili. Studies of the aforementioned authors present Georgian-Ossetian relations in linguistic terms.

Georgians and Ossetians have been closely associated in the Caucasus region for several millennia. During this time, they had very intense relationships in many areas of life. Of course, the centuries-old cohabitation did not last long, solid material was accumulated, borrowed words were investigated, both from Georgian to Ossetian and vice versa.

The traces of centuries-long relationship between the named peoples are evident in the Georgian-language Ossetian vocabulary. The borrowed words covered different fields. In particular, the influence of Svan and Megrelian-Chan languages on Ossetian vocabulary should be noted. They had an intense relationship with the Ossetians. But there is also a trace of dialectical influence.

Words which entered from Georgian in Ossetian are of different times and different types. Here all kinds of realization of linguistic contacts are observed, which have been studied in terms of areal linguistics, such as:

- Words entered as a result of live lingual communication
- Artificial, book-based words
- So-called "internationalisms" entered via Georgian
- Words of Georgian origin, entered via another language, so called reverse borrowing.

Topicality of the work is also due to the fact that the origin of any Ossetian word is differently interpreted in it. I based on the researches of V. Abaev and O. Tedeev, to which new borrowings from Georgian in Ossetian obtained by me have been added.

Keywords: Vocabulary, Written language, Alphabet, Language relations, Borrowed words.

ანა გოგილაშვილი
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

**გურამ გეგეშიძის რომან „ცოდვილისა“ და კნუტ ჰამსუნის რომან „მისტერიების“
ურთიერთმიმართებისათვის
(მთავარ პერსონაჟთა მაგალითზე)**

საკვანძო სიტყვები: ლიტერატურა, მოდერნიზმი, რეალიზმი, ლიტერატურული ურთიერთობანი.

ცნობილი ნორვეგიელი ნობელის ლაურეატი მწერლის, კნუტ ჰამსუნის მსოფლიო ლიტერატურისათვის ერთ-ერთი ნიშნული იმპრესიონისტული რომანი - „მისტერიები“ 1892 წელს გამოქვეყნდა და ლიტერატურული პუბლიკისა და მკითხველის მყისიერი ინტერესი დაიმსახურა. ნაწარმოები ეგზისტენციალური ფილოსოფიის გავლენით არის ნასაზრდოები და ნეორომანტიზმის ნიშნებსაც შეიცავს. მწერალი ყურადღებას უთმობს ადამიანის დანიშნულებას, შინაგან კონფლიქტებს, გარესამყაროში ადგილის ძიებისა და თვითდამკვიდრების პრობლემას. რომანის მთავარი პერსონაჟი – არაორდინალური, გაორებული და მარტოსული იოჰან ნაგელი სიყვარულის მუდმივი, დაუსრულებელი მისტერიითაა შეპყრობილი.

გურამ გეგეშიძის „ცოდვილმა“ დღის სინათლე 1968 წელს, „მისტერიების“ შექმნიდან 76 წლის შემდეგ იხილა. ქრონოლოგია თავისთავად მეტყველებს იმაზე, რომ დასაშვებია, ქართველი მწერლის

თხზულებაზე ჰამსუნის რომანის გავლენა ვივარაუდოთ. ახლა კი კონკრეტული მიმართებების შესახებ მოგახსენებთ:

ნაწარმოებების კითხვისას ბუნებრივად ჩნდება სიუჟეტური მსგავსების განცდა. მთავარ გმირთა ცხოვრების გზა, მათი სულიერი მდგომარეობა, სიცოცხლის დასასრული იდენტურია, თუმცა, თუ კარგად დავეკვირდებით, ცხადდება, რომ ამ ორი პერსონაჟის ქცევის მიზეზი და მიზანი სხვადასხვაა, აქედან გამომდინარე, ნაწარმოებებიც განსხვავებულ იდეას ემსახურება. თუ ნორვეგიელი მწერალი იოჰან ნაგელის ბედის განმსაზღვრელად უპასუხო სიყვარულს წარმოგვისახავს, ვამეხ გურამიშვილისათვის საბედისწერო მის მიერ ჩადენილი მკვლელობა ხდება.

ადვილად სავარაუდოა, რომ ქართველმა მწერალმა შეგნებულად აიღო „მისტერიების“ ქარგა და მისი მეშვეობით საკუთარი, ჰამსუნისაგან განსხვავებული იდეა განახორციელა. როგორც ოტია პაჭკორია წერს: *„გურამ გეგეშიძე იღებს არსებულ მოდელს და მის თარგზე კრავს კომპოზიციას, იყენებს მზა მიზანსცენებს“...* (პაჭკორია, 1979, გვ. 70)

დასაწყისისათვის ისიც უნდა ითქვას, რომ ჩვენ წინაშეა ორი სხვადასხვა ეპოქა და ორი განსხვავებული მწერალი. ერთი მხრივ იმპრესიონისტულ, ხოლო მეორე მხრივ რეალისტურ ნაწარმოებთან გვაქვს საქმე. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ ავტორთა წერის ტექნიკა და გადმოცემის მანერა კონტრასტულია. თუმცა, ერთი ამჯერადაც საერთოა. ორივე მწერალი შესანიშნავად ახერხებს, ადამიანის სულს ჩასწვდეს, საკუთარი სათქმელი მკითხველის გულთან მიიტანოს და პერსონაჟთა ტკივილისა თუ სიხარულის თანამოზიარედ გვაქციოს, რაც უდავოდ დიდ მწერლებს ძალუძთ. აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ ერთ შემთხვევაში გახმაურებულ ნორვეგიულ, მეორე შემთხვევაში კი სათანადოდ ვერ შესწავლილ და ვერ დაფასებულ ქართულ რომანთან გვაქვს საქმე.

ახლა რაც შეეხება სიუჟეტისა და პერსონაჟების უშუალო ურთიერთმიმართებას:

„ვიღაც ახალგაზრდა, რომელსაც მიუხედავად სიციხისა, შავი, ოდნავ გახუნებული პერანგი, შავი შარვალი და მაღალყელიანი შავი „ბატინკები“ ეცვა, გადმოვიდა ვაგონიდან ბაქანზე და ნელა გაემართა ფარდულისაკენ“. (გეგეშიძე, 1987, გვ. 243) ასე შემოდის გურამ გეგეშიძის „ცოდვილის“ მთავარი გმირი – ვამეხ გურამიშვილი მკითხველთა თვალსაწიერში. საიდან მოვიდა ეს კაცი და საით მიდის, როგორი წარსული აქვს, ან რას აპირებს მომავალში, არავინ იცის. ამგვარადვე ჩნდება ნორვეგიელი მწერლის – კნუტ ჰამსუნის „მისტერიებში“ ვინმე იოჰან ნაგელი, რომელიც ავტორის თქმით: *„ყველასთვის მოულოდნელად აქ სრულიად უცხო მამაკაცი, ჩამოვიდა. ...ამ უცნაურმა შარლატანმა საოცარი ამბები დაატრიალა და შემდეგ ისევე მოულოდნელად გაუჩინარდა, როგორც გამოჩნდა“.* (ჰამსუნი, 2011, გვ. 5)

ორივე ნაწარმოების მთავარი პერსონაჟი ცხოვრების მსგავს გზას გადის. ორივე ხვდება საზოგადოებისგან გარიყულ და შეურაცხყოფილ კაცს, ერთ შემთხვევაში ეს ემწუთაა, მეორე ჯერზე-მეორე. ვამეხიცა და ნაგელიც მათთან სხვებისგან გამორჩეულ ურთიერთობას ამყარებენ, იცავენ და ჩვეულებრივ ადამიანად აღიქვამენ მათ, რაც პერსონაჟთა ჰუმანურობაზე მიუთითებს. ცხადია, რომ ისინი განსხვავდებიან საზოგადოების უდიდესი ნაწილისაგან. ადამიანებს სოციალური სტატუსისა და ფიზიკური, თუ გონებრივი შესაძლებლობების გამო არ ამცირებენ და არ ჩაგრავენ. მათ კარგად ესმით, რომ ყოველი პიროვნება თანასწორია უფლის წინაშე.

ასევე, საერთო აქვთ, ინტერესები და მისწრაფებები. „მისტერიებსა“ და „ცოდვილში“ მთავარი პერსონაჟები ხშირად საუბრობენ ფილოსოფიურ თემებზე, ღმერთის არსებობაზე, ცხოვრების აზრსა და მიზანზე. ეს მათ გონიერებასა და სულიერ სიღრმეზე მეტყველებს. ისინი ბევრს ფიქრობენ განგებაზე, უფლის ნებაზე, საკუთარ არჩევანზე. ამკარაა, რომ ამ ნიშნითაც სხვებისგან გამორჩეულები არიან. თუ ნაგელს მსგავსი თემების განხილვა ემწუთასაგან დაწყებული ექიმით დამთავრებული, ქალაქის ყველა მცხოვრებთან შეუძლია, ვამეხი თანამოსაუბრედ მოხეტიალე ანტონას ირჩევს.

უცხო ქალაქში გადახვეწილი ორივე პერსონაჟის ცხოვრებაში ჩნდება ქალი. თუ ჰამსუნი იმპრესიონისტისათვის დამახასიათებელი ხელწერით იოჰან ნაგელს ყოვლისმომცველ და დამანგრეველ გრძნობას განაცდევინებს, გეგეშიძე ამ მხრივ უფრო ზომიერი აღმოჩნდება და რეალისტი მწერლის თვალთახედვით წარმოგვიდგენს „ცოდვილის“ მთავარი პერსონაჟის დამოკიდებულებას ქალისადმი. ამიტომ, ალისა ვამეხისათვის მხოლოდ ახალ სამყაროში არსებული ყოველდღიურობის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად არის გააზრებული. ნაგელის ბედს თუ დაგნისადმი სიყვარული განსაზღვრავს, ვამეხის შემთხვევაში საბედისწერო მის მიერ ჩადენილი ძმის მკვლელობა აღმოჩნდება. ვამეხს თავდავიწყებაში ხელს უშლის ის, რომ მან საკუთარ თავს ამქვეყნიურ სიამეთა ტრფიალი აუკრძალა და თავი ზვარაკად შეამზადა. განწმენდა – ეს იყო ერთადერთი, რასაც იგი მთელი არსებით ეძლეოდა. სხვა გრძნობისა და მიზნისათვის მას ძალა აღარ რჩებოდა.

იოჰან ნაგელისა და ვამეხ გურამიშვილის ცხოვრების დასასრულიც ერთი შეხედვით, ერთმანეთს ჰკავს. ორივე ახალგაზრდა იღუპება, ორივე იმის გამო, რასაც საკუთარ თავში ვერ მოერია, მაგრამ ამ ორ

შემთხვევას შორის მაინც არის ერთი ძირეული სხვაობა, რაზეც უფრო დაწვრილებით ქვემოთ ვისაუბრებთ.

„მისტერიებისა“ და „ცოდვილის“ მთავარ პერსონაჟთა რამდენადმე მსგავსი თავგადასავლის მიუხედავად, მათი ხასიათი საკმაოდ განსხვავებულია.

იოჰან ნაგელი ნაწარმოებში თავდაპირველი გამოჩენისთანავე ექსტრავაგანტულ პიროვნებად გვევლინება. „*ღმერთო ჩემო, რა ლამაზი კეფა გაქვთ, ქალიშვილო!*– წარმოთქვა მან აღტაცებით.

...*იცი, რაღაც მინდა, გთხოვოთ... შეგიძლიათ კედლიდან ეს სურათი მოაცილოთ? არ მსიამოვნებს, ყოველ წუთას თვალში მეჩხირება. გაღვიძებისთანავე ამ სურათის დანახვა ცუდ გუნებაზე მაყენებს. სხვათა შორის, ნაპოლეონ მესამეს სულაც არ ჰქონია მწვანე წვერი... უღრმესი მადლობა!*“ (ჰამსუნი, 2011, გვ. 7)

„ნაგელისთვის ცოდვა-მადლი არავის გაუყვია. იგი სიკეთის მთესველია, მომკელი კი – არა; ნაგელი მარტოკაცია, ერთხელ და სამუდამოდ გამოთიშული თავისი კლანიდან, დაშთენილი საკუთარი თავის ამარა. იგი დგას ალტერნატივის წინაშე – მხოლოდ პირადი რისკით მოახდინოს არჩევანი.

ნაგელი სინამდვილით არ ცხოვრობს – ცხოვრობს შესაძლებლობით. მასში მძაფრია ყოფის ამაობისა და უზენაეს ტკობასთან შერწყმის შეგრძნება. *ოღონდ, მან არ იცის დუმილის სიდიადე. რადგან სულში დაგზნებულ სახმილს ვერ იურვებს და სუბლოგიკურობის წვდომის ჟინითაა ატანილი*“ (პაჭკორია, 1979, გვ. 69)

ნაგელისთვის უცხო არ არის ირონია. ის გულახდილია და თან არც არის გულახდილი. თამამად, გულწრფელად მსჯელობს ყველა საკითხზე, მაგრამ, თითქოს სხვების დაბნევა, მათი გაცეზებით მანიპულირება სურს და სიამოვნებს. „მისტერიების“ მთავარ გმირს ძალიან მოსწონს ყურადღების ცენტრში ყოფნა და სხვებისგან გამორჩეული მდგომარეობა. მართალია, ის კეთილი გულის გამო ეხმარება ემწუთას, მაგრამ შესაძლოა, ქვეცნობიერში მიძინებულია ქალაქის მცხოვრებთაგან გამორჩეული საქციელით თავის დამკვიდრების მცდელობა და ასევე გულწრფელი ინტერესი ემწუთას პიროვნების მიმართ. ნომერში მისი მიპატიჟებით ნაგელმა საზოგადოების ყურადღება პირველსავე საღამოს მიიპყრო.

„*დარბაზში მყოფი საზოგადოება ერთობ გააოცა იმ ამბავმა, რომ ნაგელი და ემწუთა ერთად ავიდნენ სასტუმროს მეორე სართულზე და ნაგელის ნომერში შეიკეტნენ, სადაც თითქმის მთელი საღამო გაატარეს*“ (ჰამსუნი, 2011, გვ. 23)

გარდა ამისა, იოჰან ნაგელს ფსიქოლოგის ნიჭი აქვს და ადამიანების ცნობა კარგად ეხერხება. ის ისწრაფვის, რათა გარშემომყოფების სულის დაფარულ კუნჭულებს ჩასწვდეს და ეს სანიშნოდ გამოსდის კიდეც. თუნდაც ის რად ღირს, რომ ერთი შეხედვით უცოდველი და საბრალო ემწუთა მარტა გუდესთან ჩადენილ დანაშაულში ამხილა. ნაგელი კარგი ფსიქოლოგია, ასეთივეა ვამეხიცი. ამის დასტური კი ის ფაქტია, რომ ყველასგან მიტოვებული, ერთი შეხედვით საცოდავი და მწირი ანტონის ნამდვილ სახეს სწორედ „ცოდვილის“ მთავარი გმირი ხედავს.

მიუხედავად იმისა, რომ ნაგელს ადამიანებთან ურთიერთობისას ერთგვარი პოზა აქვს შემუშავებული და ეს ართობს კიდეც, მისი წრფელი და გულუბრყვილო სახე მაშინ ჩნდება, როდესაც სიყვარული ეწვევა. ეს ყოვლისმომცველი გრძნობა მას ყველანაირ ნიღაბს ჩამოხსნის და დაგნის წინ ნამდვილი, დაუცველი იოჰან ნაგელი წარსდგება. მიუხედავად იმისა, რომ ქალს საქმრო ჰყავს და ნაგელის სიყვარული დასაწყისიდანვე განწირულია, იგი არ ცდილობს, გრძნობების მოთოკვას და თავის შეკავებას. ის თითქოს, სიამოვნებას იღებს ტანჯვისგან. დაგნის გამო ტკივილიც ხომ დიდი ბედნიერებაა მისთვის.

„*დაგნი, დაგნი, ამბობს იგი, ჩუმიდება და ორიოდ წამში კვლავ იმავე სახელს იმეორებს. მუხლებზე მოწყვეტით ეცემა, მერე ისევ დგება. ...ჯიბიდან ჯავყას იღებს და მიუხედავად იმისა, რომ საშინლად ბნელა, ხის მერქანზე ქალის სახელის ამოჭრას იწყებს. ამ საქმეს რამდენიმე წუთს ანდომებს. მერქანს ჭრის და თან ყოველ ასოს თითებით ეალერსება, ხელით სინჯავს და საქმეს აგრძელებს.*

...*გზაზე გამოსულს მოულოდნელად ისევ რაღაც ახსენდება, მცირე ხანს ყოვნიდება და ისევ ტყეში ბრუნდება. ხელის ცეცებით კვლავ იმ ვერხვს უახლოვდება, მერქანს ხელს უსვამს და ზედ ამოტვიფრულ ასოებს პოულობს. ისევ მუხლებზე ეცემა, სახელისაკენ იხრება და კოცნის. ყოველ ასოს ისე ეთაყვანება, თითქოს ეშინია, რომ მათ ვეღარასოდეს ნახავს. ბოლოს დგება და სწრაფი ნაბიჯით სცილდება იქაურობას*“ (ჰამსუნი, 2011, გვ. 265)

სიყვარული განსაზღვრავს „მისტერიების“ მთავარი პერსონაჟის ბედსაც. მას „ცოდვილის“ მთავარი პერსონაჟისგან განსხვავებით, სულიერი სიმყარე აკლია, რის გამოც ერთი კონკრეტული გზისკენ მიზანმიმართულად კი არ მიდის, არამედ ემოციების ტყვეა და გადაწყვეტილებებს სპონტანურად, გრძნობათა მოზღვაების საფუძველზე იღებს. ამის დასტურია მისი უკანასკნელი ქმედება რომანში:

„*მეძახის!* – *ამბობს ჩურჩულით და თვალებდაჭყეტილი ფანჯრიდან იხედება. შემდეგ ნაჩქარევად იცვამს, კარს აღებს და ქუჩაში გარბის. შეშინებული აქეთ-იქით იცქირება და ბოლოს რწმუნდება, რომ არავინ უთვალთვალებს. მაშინ ნაბიჯს კიდეც უფრო უჩქარებს და გეზს პორტისკენ იღებს. სიბნელეში*

მხოლოდ მისი თეორიული ჯილქის ზურგი იკვეთება. სანაპიროს უახლოვდება, ნავსადგურის სულ ბოლო მისადგომთან მიდის და დაუფიქრებლად ხტება წყალში.

წყლის ზედაპირზე რამდენიმე ბუშტუკი ჩნდება“. (ჰამსუნი, 2011, გვ. 340)

რაც შეეხება გურამ გეგეშიძის „ცოდვილის“ მთავარ პერსონაჟს, იგი სამართლიანობისა და სინდისიერების განსახიერებაა. ვამეხისაგან შორს არის სხვების თავის მოსაწონებლად ან დასაინტრიგებლად მიღებული პოზა, მორგებული როლი. იგი ნამდვილია, ისეთი, როგორც თითქმის არავინ პროვინციულ ქალაქში. ბედისწერის სიმუხთლეა, რომ ასეთი კაცი საკუთარი ძმის მკვლეელია და ამ უდიდეს საიდუმლოს ყველასგან მალავს.

ქალაქში ერთგვარი წესრიგია დამყარებული. „ცხოვრებისეული პეიზაჟები აქ უცვლელია. ერთ-ერთი პეიზაჟი-ფსიქიურად დაავადებული კაცის უსუსურობით ტკბობაა. ამგვარი „წარმოდგენა“ თითქმის ყოველდღე იმართება და არცთუ ისე ცოტა მაყურებელი ჰყავს. ამ პროვინციულ ქალაქში ყველა კარგად გრძნობს თავს, ყველას თავისი ფუნქცია გააჩნია“. (ჩუბინიძე, 1992, გვ. 170)

სწორედ ამიტომ ყველასთვის ასეთი თვალშისაცემი ვამეხის გამოჩენა. იგი ფაქტობრივად „წესრიგის დამრღვევია“. მას შესწევს ძალა, წინ აღუდგეს უსამართლობასა და ჩაგვრას. არაერთი პერსონაჟი გაუცნობიერებლად დასაყრდენს ეძებს მასში და მალე თითქმის მთელი ქალაქი ვამეხს ეკითხება ჭკუას. ბედის ირონიით, ეს ძმისმკვლეელი კაცი ქალაქელებს გმირად წარმოუდგენიათ.

ვამეხისათვის, იოჰან ნაგელისგან განსხვავებით, უცხოა სარკაზმი. რაც არ უნდა არასერიოზულად ეჩვენებოდეს ამა თუ იმ ადამიანის ნააზრვეი, ცდილობს, ჩასწვდეს მისი ფიქრის მიზეზს. სწორედ ასეთ დამოკიდებულებას ამჟღავნებს იგი მოფილოსოფოსო ანტონთან საუბრისას. კამათობს მასთან და საკუთარ შეხედულებებს გულწრფელად უზიარებს, თუმცა ხედავს, რომ ეს კაცი თავისებური და უცნაურია.

ვამეხის ახალი ცხოვრების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია ალისა. ლამაზი ქალი, რომელიც „ცოდვილის“ მთავარმა პერსონაჟმა უცხო ქალაქში ჩასვლისთანავე შენიშნა, მალე მასთან ერთად იწყებს ცხოვრებას. მიუხედავად იმისა, რომ ალისა თავდავიწყებით შეყვარებულია, ვამეხი ასეთვე გრძნობით ვერ პასუხობს. ეს კი იმის გამოა, რომ მისი გონება სხვა, ძალიან მნიშვნელოვან საფიქრალს დასტრიალებს. იგი სრულად მოცულია საკუთარი დანაშაულით, მუდმივ შებოჭილობას გრძნობს და თავს ბედნიერების ღირსად არ მიიჩნევს.

მიუხედავად იმისა, რომ ვამეხმა თავისი უდიდესი ცოდვისა და საიდუმლოს შესახებ პირველად ალისას გაუმხილა, ქალი მაინც ვერ გახდა მთავარი ადამიანი მის ცხოვრებაში. ნაგელისაგან განსხვავებით, ვამეხმა ვერ შეძლო სიყვარულით თავდავიწყება. „არც შეუძლია ვამეხ გურამიშვილს, ვინმეს ბედნიერი ყოფიერება მოუტანოს, სიმშვიდე, ან მემჩანური სიმყუდროვე. ვამეხის მისია სულიერი ინტენსივობის, საკუთარი არსის შეცნობის, შინაგანი თავისუფლების მინიჭებაა და არა ბედნიერი ცხოვრება“. (პაჭკორია, 1979, გვ. 79)

იოჰან ნაგელი ეძებს თავგადასავალს, ვამეხ გურამიშვილი – ჭეშმარიტებას. „ძნელია იმ მიზნის აღსრულება, რომლისთვისაც ვამეხი გზად გაემართა. მას სურს გარკვევა იმისა თუ რა მოხდა, რას ნიშნავს, იყო ცოდვილი და ძმის მკვლეელი“. (ჩუბინიძე, 1992, 170) ქალაქში დატრიალებული ამბები კი მას ამის საშუალებას არ აძლევს. ვამეხი გამოექცა ნაცნობ გარემოსა და ადამიანებს, რათა საკუთარი თავი იპოვოს და შეიცნოს ჭეშმარიტება.

როგორც კონსტანტინე გამსახურდია წერს: „ძლიერს უფრო მეტად უჭირს ამ ქვეყნად. ამიტომაც მუდამ დაღრენილნი დადიან ლომები, ვეფხვები და ავაზები, ხოლო თრითინები, თავგები და ციყვები მუდამ მხიარულად დაცუნცულბენ“. ეს სწორედ ვამეხს ეხება. იგი ძლიერი ადამიანია. თუნდაც ის რად ღირს, რომ ძმის მკვლელობის სახით უზარმაზარი ტვირთი დააქვს და ვერავის უმხელს. ეს ტანჯვა-წამება კი ერთხელ და სამუდამოდ უნდა დამთავრდეს, ამიტომ უფრო და უფრო მწიფდება ვამეხის სულში ლოგიკური დასასრულის წყურვილი და იგი მინდვრის ბატონის ასულისაკენ მიმავალ კლდოვან გზას მიუყვება.

ეს გოლგოთაა, განწმენდის გზაა, ამიტომ ვამეხის მთელი სული და ენერჯია ჩადებული ამ მოქმედებაში. იგი იბრძვის, კლდეებს ეკიდება, მთლად დასისხლიანდა, მაგრამ არ ნებდება, მან მიზანს აუცილებლად უნდა მიაღწიოს, რათა დაიმშვიდოს და გაითავისუფლოს ტანჯული სული.

...და ბოლოს „თავის გადარჩენის სურვილმა ძალა შემატა და გამწარებით მოეჭიდა წვეტიან, ალესილ ქიმს. ფრჩხილებიდან სისხლი წასკდა, ხელისგულები დაუტყავდა, სხეული კი საშინლად დაუმძიმდა. მაგრამ არ უნდოდა დანებება და კბილები ჩაავლო ქიმს. თქრიალით მოსდიოდა სისხლი ტუჩებიდან, პირი გაუმრა, უგემური გაუხდა. მთელი არსებით მოუნდა, დაჰყრდნობოდა რაიმეს, მაგრამ შორს იყო ერთგული და მფარველი მიწა, რომელსაც მოწყდა და აღარ იყო საშველი. თვალებიდან მდულარე ცრემლები წამოუვიდა ლაპალუპით, კიდევ ერთხელ სცადა შემავრება, მაგრამ სიცარიელისკენ გადააქანდა ტანი“. (გეგეშიძე, 1987, გვ. 467)

იოჰან ნაგელისგან განსხვავებით, ვამეხ გურამიშვილმა განიცადა კათარზისი. იგი ტანჯვის გზით ეზიარა ჭეშმარიტებას, მიაღწია სასურველ მიზანს, გამოისყიდა ცოდვა და ამის შემდეგ მისი ფიზიკური არსებობისა თუ არარსებობის მიუხედავად, ვამეხის ნაგვემმა სულმა როგორც იქნა შვება ჰპოვა.

ამ ორი ნაწარმოების მთავარ პერსონაჟთა ურთიერთმიმართების განსაზღვრის მცდელობის შედეგად დადასტურდა, რომ სიუჟეტური მსგავსების მიღმა აშკარაა იდეური სხვაობა. მართალია, გეგეშიძე იღებს ნორვეგიული ნაწარმოების სიუჟეტს, მაგრამ სრულიად სხვა აზრისა და იდეის გამოსახატად იყენებს. იგი იმპრესიონისტული ნაწარმოების ქარგას რეალისტურ რომანში ავითარებს და საკმაოდ წარმატებულადაც. ნაწარმოებთა ურთიერთმიმართებითი ანალიზისას იკვეთება, რომ ქართველმა მწერალმა შექმნა საინტერესო და მრავალწახნაგოვანი პერსონაჟის სახე, რომელიც მსოფლიოში აღიარებულ რომანისტთა მიერ ნაძერწ გმირებს არ უდებს ტოლს, სწორედ ამიტომ არის გურამ გეგეშიძის „ცოდვილი“ არა მარტო მწერლის შემოქმედებაში, არამედ ზოგადად, მისი ეპოქის რომანისტიკაში ერთ-ერთი საგულისხმო ნაწარმოები და ვამეხ გურამიშვილი ქართული და არა მარტო ქართული მწერლობის ერთ-ერთი ყველაზე სახასიათო და გამორჩეული პერსონაჟი.

ბიბლიოგრაფია

- გეგეშიძე, გ. (1987). „*ორი რომანი*“. *ერთტომეული*. საბჭოთა საქართველო.
პაჭკორია, ო. (1979). *ხმა სინათლეა*. თბილისი: საბჭოთა საქართველო.
ჩუბინიძე, ბ. (1992). *მინდვრის ბატონის ლეგენდა*. თბილისი: მნათობი.
ჰამსუნი, კ. (2011). *მისტერიები*. თბილისი.

Ana Gogilashvili
Caucasus International University
**FOR INTERACTION OF GURAM GEGESHIDZE'S
NOVEL "SINNER" AND KNUT HAMSUN'S NOVEL "MYSTERIES"**
RESUME

The purpose of my work is to determine the relationship between the novel "Tsodvili" by Guram Gegeshidze and Kunt Hamsun's "Mysteries". On the background of the similarity of the plot and the main characters, at first glance, we will calculate the fundamental contrasts, which ultimately leads to an ideal differentiation of the works. I would like to highlight the Norwegian writer's modernistic and georgian author's realistic writing style, which eventually defines the character of characters, their perception of love and the dynamics of events in both novels.

Keywords: Literature, Modernism, Realism, Literary Relationships.

თამარ გოგოლაძე
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

XIX საუკუნის ქართული მემუარის შესწავლის ისტორიისათვის

საკვანძო სიტყვები: მოგონება, დოკუმენტური პროზა, მოგზაურობის ჟანრი, ავტობიოგრაფია.

შესავალი

ქართული მწერლობის ისტორიაში ჟანრების აღმოცენებისა და განვითარების საკითხი დაკავშირებულია სხვადასხვა პროცესებთან. ამ მხრივ სრულყოფილი ეტაპი მაინც XIX საუკუნეა, როდესაც განსაკუთრებულად ვითარდება ეპიკური ჟანრების ისეთი სახეები, როგორცაა დოკუმენტურ-ეპიკური ჟანრი - მემუარი.

მემუარის განმარტებიდან გამომდინარე (ფრანგ. memoire - მოგონება) ესაა ნაწარმოები, სადაც ავტორი გვევლინება თვითმხილველად, მოწმედ მოვლენებისა, რომლის მოწმეც თვითონ იყო შორ თუ უახლოეს წარსულში. იგი შეიძლება იყოს იმ ავტორის ნაწარმოები, რომელიც ასე თუ ისე

დაკავშირებულია მხატვრულ აზროვნებასთან. ამ თვალსაზრისით იგი ჭეშმარიტად ეპიკური ჟანრის სახეობაა, მაგრამ მისი სპეციფიკა, ერთი მხრივ, პუბლიცისტურისაკენ იხრება, მეორე მხრივ, ფაქტის, მოვლენის დოკუმენტური ასახვისაკენ, რასაც ერთგვარად, სუბიექტური იერიც ენიჭება ავტორის მსოფლმხედველობიდან თუ მრწამსიდან გამომდინარე.

მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ საბჭოური ეპოქის ლიტერატურის თეორეტიკოსების განმარტებით, იგი უფრო ნარკვევს უახლოვდება „Мемуарная литература... художественная автобиография в узком смысле, рассказ о судьбе писателя, о его современниках, о событиях, свидетелем которых он был, в конечном счете – о судьбах его эпохи“. (Тимофеев & Тураев, 1985, стр. 78) ქართულ ენაზე „ლიტერატურის თეორიისა“ და „ლიტერატურათმცოდნეობის შესავლის“ ერთი პირველი ავტორის სიმონ გაჩეჩილაძის ნაშრომებში იგი არაა გამოკვეთილი და მხატვრული ნარკვევის ქვესახეობაში იკვეთება: „მხატვრული ნარკვევი საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე ცალკეულ მოვლენათა აღწერაა“ (გაჩეჩილაძე, 1957, გვ. 509), რის ნიმუშად ავტორი ასახელებს ი. ჭავჭავაძის „მგზავრის წერილებსა“ და გ. წერეთლის „კიკოლი, ჩიკოლიკსა და კულაბზიკს“.

„ლიტერატურათმცოდნეობის ტერმინთა მოკლე ლექსიკონით“ იგი „დოკუმენტური პროზაული ნაწარმოებია, რომელშიც მოთხრობილია ავტორის ცხოვრება და მოღვაწეობა, აგრეთვე დამახასიათებელი გარემო, უპირატესად ისტორიული მოვლენები და ცნობილი პიროვნებანი, რომელთანაც ავტორს ურთიერთობა ჰქონდა“. (დუდუჩავა, 1966, გვ. 83-84)

ანდრო ჭილაიასთან მემუარი ეპიკური ჟანრის პუბლიცისტური ნაწარმოებია, რომლის შინაარსი წარსული ცხოვრების ჩანაწერებსა და მოგონებებს ემყარება.

„მემუარი ისტორიული ხასიათის თხზულებაა“. (ჭილაია, 1971, გვ. 253)

„ლიტერატურის თეორიის საფუძვლები“ (ავტორთა ჯგუფის მიერ მომზადებულ კრებულში) 1972 წლის გამოცემაში მემუარი დახასიათებულია როგორც „უსიუჟეტოდ, ქრონოლოგიური თანმიმდევრობით გადმოცემული წარსულის მნიშვნელოვანი ამბები, რომელთა მონაწილე თავად ავტორია... მემუარების შემეცნებითი ღირებულება განისაზღვრება იმით, თუ რას აყენებს ავტორი წინა პლანზე - საზოგადოებრივად მნიშვნელოვან მოვლენებსა, თუ ავტობიოგრაფიულ მონაცემებს (ჭოლოკავა, 1972, გვ. 474) აქვე ცალკე, დამოუკიდებლად გამოყოფილია „ავტობიოგრაფია“, „ბიოგრაფია“, „მოგზაურობა“.

რამაზ ჭილაიას „ლიტერატურათმცოდნეობაში“ (2003) მემუარი ისევე პუბლიცისტურ ჟანრად ხასიათდება, „იმ პირთა ჩანაწერებად, რომლებიც წარსულ ამბავთა მონაწილენი თუ თვითმხილველნი იყვნენ თხრობის ფორმითა და ასახული მასალის მიწოდებით მ. უახლოვდება დღიურს. (ჭილაია, 2003, გვ. 105)

ზემოთ მოყვანილი ინფორმაციის გაანალიზებით ცხადი ხდება, რომ 2003 წლამდე ლიტერატურათმცოდნეთა შორის ზუსტად არაა დადგენილი: ა) მემუარის რაობა და მისი კუთვნილება ეპიკურისა თუ ჟურნალისტური ჟანრისადმი. ბ) ნარკვევი არაიშვიათად აღრეულია მემუარში; გ) მემუარის პარალელურად წარმოდგენილია ავტობიოგრაფია, დღიური სამოგზაურო ჟანრი, მოგონება; დ) XX საუკუნის მემუარული ჟანრის ნაწარმოებთა მიკუთვნება ნარკვევისა თუ მოგონებისადმი არაა გამოკვეთილი, ან მცდარია.

თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტსაც, რომ სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის ქართული ლიტერატურის ისტორიის კურსში (მაგისტრატურის საფეხური) შედის „XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის აქტუალური პრობლემები და მიმართულებები“, რაც აუცილებლად ითვალისწინებს აღნიშნულ ეპოქაში ამა თუ იმ ჟანრის განვითარებას, საჭირო ხდება თვალი გავადევნოთ ეპიკური ჟანრის ერთი სახეობის (მემუარის) განვითარების პროცესსაც.

რაც შეეხება თვით მემუარის ჟანრის დეფინიციას, აღნიშნულ ეტაპზე ვემყარებით „ლიტერატურათმცოდნეობის საფუძვლების“ ნ. გაფრინდაშვილისა და მ. მირესაშვილის ნაშრომში გამოკვეთილ გააზრებას, რომელიც დამყარებულია თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობითი სიახლეების შესწავლის საფუძველზე. მემუარის, როგორც პუბლიცისტური ნაწარმოების განსაზღვრა დოკუმენტურ ეპიკურ ჟანრებისადმი მიკუთვნების შედეგია, რაც აუცილებელია გათვალისწინებული იქნას შემდგომადაც, თუმცა „პუბლიცისტური“ ნამდვილად არ მიესადაგება აღნიშნული ჟანრის განსაზღვრას, რასაც სრული კატეგორიულობით გამოვხატავთ, მაგრამ მნიშვნელოვანი და მთავარია ის ფაქტი, რომ მემუარის პრიმიტიულ ჟანრად წინამდებარე ნაშრომში დასახელებულია დღიური, სხვა სახეობად დღიური, ავტობიოგრაფია, მოგონება, აღსარება, მოგზაურობა.

როგორც ნაშრომის ავტორები აღნიშნავენ „ზემოთმოყვანილი კლასიფიკაცია სქემატურია და ბოლომდე ვერ განსაზღვრავს მემუარული ლიტერატურის ამა თუ იმ ნაწარმოების ჟანრულ თავისებურებებს“. (გაფრინდაშვილი & მირესაშვილი, 2008, გვ. 312)

ვემყარებით რა მაინც აღნიშნულ კლასიფიკაციას, წინამდებარე ნაშრომში გვინდა პასუხი გავცეთ შემდეგ კითხვებს:

- ა) როდის ჩნდება მემუარი XIX საუკუნის ქართულ ლიტერატურაში?
- ბ) რომელი სახე განვითარდა მემუარისა?
- გ) რითაა მნიშვნელოვანი მემუარის ჟანრის განვითარება აღნიშნული ეპოქის დახასიათებისათვის?
- დ) კერძოდ, რომელი მემუარი ატარებს, მეტ-ნაკლებად ობიექტურ ხასიათს?

აღნიშნული საკითხების კვლევა საკმაოდ აქტუალურია და მნიშვნელოვანი როგორც კურიკულუმის ერთი შემადგენელი ნაწილის სრულყოფილი შესწავლისა, ისე, XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის გასივრცელებისათვის ევროპული და ქართული ლიტერატურული ჟანრების ჩამოყალიბების პროცესის ნათელსაყოფად.

ძირითადი ნაწილი (ლიტერატურის მიმოხილვა)

მემუარის ჟანრის ნაწარმოებები, როგორც მკვლევარნი აღნიშნავენ, ჯერ კიდევ ანტიკური პერიოდიდან გვხვდება (მაგ.: იულიუს კეისრის „კომენტარები გალებთან ომის შესახებ“ - ძვ. წ. I ს.), ასევე საინტერესოა ჟორჟუა დე ვილგარდუენის მემუარები ჯვაროსნული ლაშქრობების შესახებ (XIII ს.), ბენვენუტო ჩელინის, კარდინალ რიშელიეს, კაზანოვას მემუარები, ხოლო, „ახალი მიწების“ ასათვისებლად ესპანეთის მიერ განვითარებული მოგზაურობების შედეგად (XVI-XVII ს.ს.) საფუძველი ეყრება მოგზაურობის ჟანრს. განმანათლებლობის ეპოქაში კი იქმნება ცნობილი მემუარები სენ სიმონისა და სხვ.

საკითხის კვლევის პროცესში აუცილებელია განისაზღვროს:

ა) საკუთრივ XIX საუკუნეში შექმნილი ქართული მემუარის დროითი საზღვრები -საუკუნის დასაწყისიდან 1990-იან წლებამდე შექმნილი და მოღწეული ჩვენამდე ხელნაწერისა თუ ბეჭდური სახით (აქვე მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს იმას, თუ როდის დაიბეჭდა, XIX საუკუნის დასასრულამდე თუ XX საუკუნის 20-იან წლებამდე);

ბ) როგორი გვხვდება მემუარის ჟანრის ქვესახეები (დღიური, სამოგზაურო, ავტობიოგრაფია, მოგონება);

გ) რომელი ავტორი იყენებს „მემუარის“ სახელწოდებას ამავე ჟანრის ნაწარმოების სათაურად?

მოცემულ სტატიაში ვცადეთ შემოვფარგლოყავით ა) ჟანრის განვითარების წინასახეების მიმოხილვით ბაროკოს ეპოქაში; ბ) მემუარის ხელნაწერიდან მის პუბლიკაციამდე რეგლამენტირებულად მხოლოდ 1800 წლიდან 1900 წლამდე განხილვით; გ) მემუარის ქვესახეებიდან დღიურებითა და სამოგზაურო ჟანრის ნაწარმოებებით, რაც ასე ჭარბადაა დამახასიათებელი XIX საუკუნის მწერლობისათვის; დ) მხოლოდ ლიტერატურული მემუარით (რამდენადაც XIX საუკუნეში შეიქმნა, გამოქვეყნდა ნაწილობრივ არაერთი ეთნოგრაფიული - სამოგზაურო ჟანრის ნაწარმოები, როგორიცაა თედო სახოკიას „მოგზაურობანი“, გიორგი ყაზბეგის „სამი თვე თურქეთის საქართველოში“ და სხვ.)

ნაშრომში არ მიმოვიხილავთ სოფრომ მგალობლიშვილის „მოგონებებს“, რომელთა პუბლიკაცია დაიწყო 1910 წლიდან (ჯერ ჟურნალ „ერში“), შემდგომ 1914-1916 წლებში (ჟ. „თეატრი და ცხოვრება“), დავით კლდიაშვილის „ჩემი ცხოვრების გზაზე“ (1925) და გიორგი ლასხიშვილის „მემუარებს“ (1913-1920), რამდენადაც მემუარის სპეციფიკიდან გამომდინარე, თუმცა ასახავს XIX საუკუნის მოვლენებს, ფაქტებსა თუ ადამიანებს, მაინც ემჩნევა ახალი, XX საუკუნის ეპოქის, ახალი სოციალ-პოლიტიკური მოვლენების შედეგად ერთგვარი სუბიექტივიზმი. თუმცა, ვფიქრობთ, ეს მთლად გამართლებული არ არის და მათი შესწავლა მომავლის საქმეა. ასევე არაა წარმოდგენილი ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილების“ განხილვა სამოგზაურო ჟანრის ნაწარმოებთა არეალში, რამდენადაც იგი (როგორც წინამორბედი მკვლევრები აღნიშნავენ, უფრო მხატვრული ნარკვევის ჟანრს უნდა მიეკუთვნებოდეს) სერიოზული კვლევის საგანია ჟანრის სპეციფიკის გათვალისწინებით, ამავე მიზეზით არ ვიხილავთ გიორგი წერეთლის ნაწარმოებს „კიკოლიკი, ჩიკოლიკი და კუდაბზიკა“, რომელიც უფრო მხატვრული, პაროდული პროზის ნიმუშად გვეჩვენება, ვიდრე მემუარად.

მემუარის დანიშნულებაზე საინტერესოდ მიგვანიშნებს XIX საუკუნის 80-90-იანი წლების მოღვაწე პუბლიცისტი გიორგი ლასხიშვილი: „შეიძლება ზოგმა სთქვას, რა მნიშვნელობა აქვს ჩემსა და საზოგადოდ კერძო ადამიანის თავგადასავალს, რა ინტერესი აქვს ამის საქვეყნოდ გამოტანას, მით უმეტეს ჩვენს პატარა ქვეყანაში, სადაც ყველანი ერთმანეთს ვიცნობთ, სადაც განსაზღვრული დროის ერთი ინტელიგენციის ცხოვრება თითქმის არ განსხვავდება მეორის ცხოვრებისაგან. ეს შენიშვნა, შეიძლება, ერთის მხრივ მართალიც იყოს, მაგრამ მე მაინც განზრახვას არ ვტოვებ, რადგან ჯერ ერთი, ჩემი თავგადასავალი განსაზღვრული ხნის ქართველ ინტელიგენციის თაობისაა, იმის დროის აღწერაა, იმის ძიება-მუშაობის, ლხინისა და ჭირის, ფიქრისა და განზრახვის, შეცდომისა და გამარჯვების აღწერაა. ეს კი ერთგვარი საზოგადოებრივი დოკუმენტია, რომელსაც საზოგადოებრივი მნიშვნელობა მაინც ექნება და ინტერესმოკლებული მასალა არ იქნება ჩვენი საზოგადოებრიობის მომავალი ისტორიკოსისათვის.“ (ლასხიშვილი, 1934)

მემუარისტი საკმაოდ გააზრებულად მსჯელობს აღნიშნული ჟანრის მნიშვნელობაზე მკითხველი საზოგადოებისათვის, რაც ცხადყოფს მის საკმაო პოპულარიზაციას. მოგვიანებით დავით კლდიაშვილიც თავისი მემუარული სახის ნაწარმოების (რომლის ჟანრობრივი დეფინიცია მომავალი კვლევის საგანია, რამდენადაც ავტორმა მას „ჩემი ცხოვრების გზაზე“ უწოდა, და შეიცავს როგორც მწერლის ავტობიოგრაფიას, ისე მემუარულ ჩანაწერებს) – „ჩემი ცხოვრების გზაზე“ შესავალში წარემძღვარა (ავტორისაგან): „ეს მოგონებები იწერება იმ მოსაზრებით, რომ რომელიმე მკვლევარმა ჩვენი წარსული ცხოვრების სურათის დასახატავად შეიძლება ამ სტრიქონებშიაც იპოვოს გამოსადეგი რამ მასალა. თუ ეს ასე იქნა, მაშინ ამის დაწერაც გამართლებული იქნება და დამწერიც დიდად დაკმაყოფილებული... მოკლე მონაგონებში არაფერი შეფერადებული არ იქნება, მხოლოდ სინამდვილე, სინამდვილე, რომელსაც განუხრებლად ვემსახურებოდი მთელი ჩემი მწერლობის განმავლობაში“. (კლდიაშვილი, 1981, გვ. 77)

ამონარიდიდან ცხადი ხდება მემუარისტის მიზანსწრაფვა, შეუფარდებელი მოგონებები შემოუნახოს შთამომავლობას. მართლაც, სწორედ დ. კლდიაშვილის „ჩემი ცხოვრების გზაზე“ იქცა სამაგიდო წიგნად დასავლეთ საქართველოში, კერძოდ ბათუმში, XIX საუკუნის 80-იანი წლების ისტორიული მოვლენების შესასწავლად.

თუმცა როგორ იდგა მემუარის შექმნის საკითხი XVIII საუკუნის ქართულ მწერლობაში, ვფიქრობთ, მისი გენეზისის კვლევისათვის XIX საუკუნეში, აუცილებელ წინაპირობას უნდა წარმოადგენდეს.

ამ თვალსაზრისით, შეიძლება ითქვას, ბეჭდურ გამოცემებამდე ხელნაწერის სახით შემორჩენილი ჩანაწერები მეტად თვალსაჩინოა. ასეთად უნდა მივიჩნიოთ ჯერ სულხან-საბა ორბელიანის „მოგზაურობა ევროპაში“¹ და ტიმოთე გაბაშვილის „მიმოსვლა“ (1755-1799).

ორივე ნაწარმოები სასულიერო პირს ეკუთვნის და თუ ერთი, ს.ს. ორბელიანი (1658-1725) დიპლომატიური მისიით მიემგზავრება ევროპაში (1713-1716 წ.წ.), მეორე, ტიმოთე გაბაშვილი (გარდ. 1764 წ.) რელიგიური, მიმლოცველობითი მიზნებით მიემგზავრება „წმინდა ადგილებში“: (მცირე აზიის, ბალკანეთისა და პალესტინის, კონსტანტინეპოლსა და ათონზე) მოსანახულებლად. „ტიმოთე გაბაშვილის ქმნილებებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი, რითაც მან ჩვენი მწერლობის ისტორიაში სახელი დაიმკვიდრა, არის სამოგზაურო-მემუარული ჟანრის საისტორიო თხზულება „მიმოხილვა“ (დარჩია, 1990, გვ. 618).

სულხან-საბა ორბელიანის „მოგზაურობა ევროპაში“ დღიურია, რომელშიც მოჩანს როგორც იმავე დღეს ფაქტის აღწერის, ისე შემდგომად გახსენებული და მხატვრული ღირებულებითაც გამოირჩევა. იგი, როგორც ზემოთ აღნიშნა, დასაბეჭდად არ იყო განკუთვნილი და ხელნაწერის სახით ვრცელდებოდა. მაგრამ პირველ ქვესახეობაა მემუარისა, დღიური, რომელიც ამავდროულად სამოგზაურო ჟანრის პირველ ნაწარმოებად შეიძლება ჩაითვალოს. ასე რომ: „ევროპაში მოგზაურობას უნდა უმაღლოდეს ქართული ლიტერატურა საბას ერთი შესანიშნავი ნაწარმოების („მოგზაურობა ევროპაში“) წარმოშობას“. (კეკელიძე & ბარამიძე, 1987, გვ. 371)

ტიმოთე გაბაშვილის „მიმოსვლაც“ სამოგზაურო ჟანრის ნაწარმოებია, რომელშიც: „ავტორი დაწვრილებით გადმოგვცემს ყოველივე საინტერესოსა და საყურადღებოს, რაც კი უნახავს და გაუგონია... მოგზაურობისას და სამშობლოში დაბრუნების შემდეგაც ის ნანახსა და გაგონილს გულმოდგინედ სწავლობს და აჯერებს სხვა მასალებს“ (დარჩია, 1990, გვ. 610-619). „მიმოსვლას“ აქვს ისტორიული მნიშვნელობაც. აღნიშნული ნაწარმოებიც სამოგზაურო ჟანრისაა, მაგრამ, აშკარაა, შექმნილია გზადაგზა ჩანაწერების შემდგომი რედაქტირება-განვრცობის საფუძველზე.

XVIII საუკუნის 80-იან წლებში იესე ბარათაშვილი (მიქაძე) (1728-1786) ქმნის „ცხოვრება-ანდერძს“ ანუ საკუთარ ბიოგრაფიას, რომელიც შვილებისათვის იყო განკუთვნილი, მაგრამ, როგორც მკვლევარი ბორის დარჩია, აღნიშნავს, „ამ დოკუმენტურ თხზულებაში თვითმხილველის სიზუსტითა და უშუალოდ XVIII საუკუნის 30-80-იანი წლების საქართველოს, კერძოდ, ქართლ-კახეთის უამრავი პოლიტიკური და სოციალური ეკონომიკური ფაქტი და მოვლენაა აღწერილი... ცოცხლად არის დახატული და წარმოდგენილი ცალკეული როგორც მაღალი თანამდებობის პირები, ჩვენი მოღვაწეები, ისე უბრალო ადამიანები, მათი საქმიანობა და ურთიერთობანი. ერთი სიტყვით, ეს ისტორიულ-ლიტერატურული თხზულება საუკეთესო პირველწყაროა აღნიშნული პერიოდის ჩვენი ქვეყნის შესწავლისა და გაცნობისათვის“. (დარჩია, 1990, გვ. 622)

ვფიქრობთ, სწორედ „ცხოვრება-ანდერძში“ იკვეთება პირველი ავტობიოგრაფიული ჟანრის ჩანასახი, თუმცა აქაც და ზემოთაც XVIII საუკუნეში მემუარული ჟანრის აღმოცენება-განვითარების კუთხით, ჩვენი განცხადება ემყარება წინამორბედ ლიტერატურათმცოდნეთა, ძველი ქართული

¹ ბუნებრივია, დასავლეთ ევროპასთან კავშირის დასამყარებლად, გამგზავრებული ქართველი მეიგავის სულხან-საბა ორბელიანის „მოგზაურობა ევროპაში“, რომელსაც უფრო დღიურის ფორმა აქვს, გამოსაქვეყნებლად არ იყო გათვლილი. ამიტომ ამ დღიურებს აქვს უფრო საკუთარი შთაბეჭდილებების აღწერის, შემონახვის ფუნქცია აღნიშნულ საკითხს სხვადასხვა წლებში შევხებით სამეცნიერო პუბლიკაციებში (2008-2015 წ.)

მწერლობის მკვლევართა ნააზრევს (კ. კეკელიძე, ა. ბარამიძე, ბ. დარჩია), რაც, საკითხის მონოგრაფიული შესწავლისათვის უფრო სრულყოფილ კვლევას ითვალისწინებს.

ამრიგად, XVIII საუკუნეში გამოიკვეთა მემუარული ჟანრის საწყისები სამოგზაურო დღიურის (ს.ს. ორბელიანის „მოგზაურობა ევროპაში“) (მემუარის ტ. გაბაშვილის „მიმოსვლა“ და ავტობიოგრაფიის (ი. ბარათაშვილის „ცხოვრება-ანდერძი“) სახით. სწორედ ეს დაედო წინაპირობად XIX საუკუნეში მემუარული ჟანრის სხვადასხვა ქვესახეობების ჩამოყალიბება-განვითარებას.

პირველი მემუარული (სამოგზაურო ჟანრის) ნაწარმოებები XIX საუკუნეში ეკუთვნის ცნობილ მთარგმნელს, თეატრალურ მოღვაწეს, დიპლომატს, გიორგი ავალიშვილს (1769-1850), რომელსაც 1819-1820 წლებში უმოგზაურია თბილისიდან იერუსალიმში („მგზავრობა თბილისიდან იერუსალიმამდე“), აღნიშნული ნაწარმოები დღიურის ფორმითაა წარმოდგენილი, რომელსაც წამმღვარებელი აქვს ნაწყვეტი ფსალმუნებიდან „შენ გშვენიის გალობა, ღმერთო, სიონს, და შენ მიგეცეს ღოცვა იერუსალიმს“ (ფსალ. 64, მუხლი 1). (ავალიშვილი, 1984, გვ. 584) ავტორი ცდილობს გადმოსცეს თითქმის ყოველდღიური შთაბეჭდილებანი, არ იშურებს იუმორსაც. ბუნებრივია ნაწარმოების ენა და სტილი უახლოვდება XIX საუკუნის ახალ ენობრივ ფორმას, თუმცა შეინიშნება არქაიზმების სიუხვეც.

გიორგი ავალიშვილი, მიუხედავად იმისა, რომ ცხოვრების დიდი ნაწილი უცხოეთში (რუსეთში) გაატარა, კარგად იცნობდა ქართულ სინამდვილეს, ჰყავდა ნათესავ-მეგობრები ალექსანდრე ჰავჭავაძის წრეში, ამიტომ გასაკვირი არ უნდა იყოს ფაქტი, როდესაც პოეტი რომანტიკოსი გრიგოლ ორბელიანი (1804-1883) „1831 წელს წერს სამოგზაურო თხზულებას „მგზავრობა ჩემი ტფილისიდან პეტერბურგამდის“, რომელსაც მოჰყვა 1836 წლის 5 ივლისიდან 14 დეკემბრამდე შექმნილი დღიური, „ხან სისტემატურად, ხან რამდენიმე თვის გამოშვებითაც“. როგორც იონა მეუნარგია (რომელმაც პირველად მიაკვლია ამ დღიურს) აღნიშნავს: „ერთი პატარა დღიური პოეტისა, რომელიც ჩვენ ვიპოვნეთ მის ქალაქებში და რომელიც ეკუთვნის იმ დროებს, ნათლად წარმოგვიდგენს ორბელიანის მაშინდელ ყოფა-ცხოვრებას“. (მეუნარგია, 1905, გვ. 31)

„მგზავრობა“ საფუძვლიანად იქნა შესწავლილი სოცრეალიზმის ეპოქაში. კ. კეკელიძისა და პ. ინგოროყვას მინიშნებით აქ იგრძნობაო ერთგვარი სენტიმენტალური იერი, ხოლო მკვლევარმა მ. ზანდუკელმა მასში კარამზინის „რუსი მოგზაურის წერილების“ გავლენა აღმოაჩინა (1935 წ.). მკვლევარ ჯ. ჭუმბურიძის აზრით კი (შედარების საფუძველზე კარამზინის თხზულებასთან), უარყოფილია კარამზინის გავლენა, გრ. ორბელიანი თავის „მგზავრობაში ასეთ რამეს (სენტიმენტალურ ტენდენციას - თ.გ.) არ ისახავს მიზნად. ადამიანებთან შეხვედრისას მას სულ სხვა რამ აინტერესებს, მაგალითად ეროვნული საკითხი. (ჭუმბურიძე, 2001, გვ. 31), ძველი ქართული ლიტერატურის ტრადიციებიდან გამომდინარე, ეს თვალსაზრისი სავსებით ჭეშმარიტად მიგვაჩნია იმის გათვალისწინებითაც, რომ გრ. ორბელიანი არცთუ იშვიათად „მგზავრობაში“ გვთავაზობს ლირიკული ლექსების პროზაულ ვარიანტსაც მაგ.: შედარებისათვის საყურადღებოა 17 ივნისის დღიურის ერთი მონაკვეთი და ლექსი „სადამო გამოსალმებისა“.

„მგზავრობით“ გრ. ორბელიანი გვევლინება ჭეშმარიტ რომანტიკოსად, რომელიც მგზავრობის შთაბეჭდილებების გვერდით ამჟღავნებს თავის ეროვნულ განცდებს.

გრ. ორბელიანის შემდეგ გიორგი ერისთავიც (1811-1863) მიმართავს სამოგზაურო დღიურს, რომელშიც 1862 წლის 13 ივნისიდან ევროპაში მოგზაურობაა წარმოდგენილი აღნიშნული ნაწარმოები დაუმთავრებელია, მაგრამ საინტერესოა თავისი მხატვრულობით, დაკვირვებული თვალით აღწუსებული ევროპის სიახლეებით.

გარდა სამოგზაურო ჟანრისა, საუკუნის მეორე ნახევრიდან მეტად მნიშვნელოვანია უკვე საკუთრივ მემუარული ჟანრის ნაწარმოები დიმიტრი ყიფიანის (1814-1887) „მემუარები“, რომელიც პირველად ქართულ ენაზე 1930 წელს გამოიცა სიმონ ხუნდაძის წინასიტყვაობითა და შენიშვნებით.

„მემუარები“ სამი ნაწილისაგან შედგება: 1. სკოლა სულისა (რომელიც რუსულ ენაზე გამოქვეყნებულა ჟურნალში „Русская Старина“ 1886 წელს); 2. 1832 წლის ყაზარმობა; 3. ჩემი მონაწილეობა 1832 წლის შეთქმულებაში.

როგორც მკვლევარი ლეილა დარჩია შენიშნავს, „დიმიტრი ყიფიანმა კარგად იცოდა მემუარების მნიშვნელობა. ამიტომაც წერდა: „...ამ ჩემს მოგონებაში ისინი წაიკითხავენ ცოტად თუ ბევრად საინტერესო ფაქტებს, რამდენადმე რომ გააშუქებენ იმ ამბებს, ჩემს დროს რომ მოხდა ჩვენს ქვეყანაში.

მისი გაცნობის დროს ჩვენ თვალწინ იშლება თითქმის მთელი XIX საუკუნე თავისი ისტორიული პიროვნებებით, ტკივილებითა და წუხილით, პოლიტიკური მისწრაფებებით, იდეოლოგიური შეხედულებებითა და სოციალური მსოფლმხედველობით“. (ყიფიანი, 2016, გვ. 227)

1894 წლიდან „კვალის“ მეათე-მეთერთმეტე ნომრებში იბეჭდება ავტობიოგრაფიული ნაწარმოები „ჩემი თავგადასავალი“ (თავი 1), რომელიც გრძელდება „აკაკის კრებულში (1897-1898-1899 წლებში). როგორც სერგი ჭილაია შენიშნავს, „90-იანი წლების მწერლობა ხასიათდება ახალი ჟანრობრივი

ფორმების ჩამოყალიბებით. ამის ერთ-ერთ დადასტურებად აკაკისავე „ჩემი თავგადასავალი“ უნდა მივიჩნიოთ... აკაკი თავგადასავალს ტევადი ფორმის ნაწარმოებად თვლიდა. „მე - ამბობს აკაკი თავისი მემუარული თხზულების შესახებ, - წმინდა გული და წრფელი სული მაქვს ჩადებული შიგ. ამ თხზულებაში ყველაფერია მოხსენებული, რაც კი ნახევარი საუკუნის განმავლობაში მინახავს და სარწმუნოდ გამიგონია“. (ჭილაია, 1982, გვ. 37)

თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ თავად ავტორი მიიჩნევს მემუარულ ნაწარმოებად „ჩემ თავგადასავალს“, გამართლებული იქნება მკვლევარ ს. ჭილაიას თვალსაზრისი, მაგრამ მცირედი მინიშნებით, რამდენადაც იგი მემუარის ქვესახეობაა - ავტობიოგრაფია.

მეთოდოლოგია.

XIX საუკუნეში მემუარული ჟანრის შესწავლა მიმდინარეობდა ისტორიულ-აღწერითი მეთოდით.

შედეგები:

XIX საუკუნის ქართულ მწერლობაში მემუარის ჟანრის განვითარების თვალის გადავინახება-შესწავლამ მიგვიყვანა შემდეგ დასკვნებამდე:

1. XVIII საუკუნის ქართულ მწერლობაში უკვე მოინიშნება მემუარული ჟანრის აღმოცენების პროცესი სამოგზაურო და ავტობიოგრაფიული ქვესახეობების მეშვეობით. (ს.ს. ორბელიანის „მოგზაურობა ევროპაში“, ტ. გაბაშვილის „მიმოსვლა“, იესე ბარათაშვილის „ცხოვრება-ანდერძი“), რამაც, ჩვენი მტკიცებით, ხელი შეუწყო ევროპაში ასე პოპულარული, მემუარული ჟანრის, განვითარებას XIX საუკუნეში;

2. XIX საუკუნიდან ვითარდება მემუარული ჟანრის ქვესახეობა - სამოგზაურო ჟანრი (დღიური, მოგზაურობა) (გ. ავალიშვილი „მოგზაურობა ტფილისიდან იერუსალიმამდე“) (გ. ერისთავის „ჩემი მოგზაურობა ევროპაში“), რომლის ავტორებიც მხატვრულ ოსტატობას იჩენენ.

გრიგოლ ორბელიანის შემოქმედებაში („მოგზაურობა ჩემი ტფილისიდან პეტერბურდამდე“;

3. „მემუარის“ დეფინიციითაა შექმნილი დიმიტრი ყიფიანის „მემუარები“, რომელიც ჭეშმარიტ ჟანრისთვის დამახასიათებელ ნიშნებს ატარებს;

4. XIX საუკუნის 90-იან წლებში ქვეყნდება აკაკის „ჩემი თავგადასავალი“, რომელიც მემუარის ერთი ქვესახეობის - ავტობიოგრაფიის - ნიმუშს წარმოადგენს.

ბიბლიოგრაფია:

ავალიშვილი, გ. (1984). *ქართული პროზა* (ტ. 8). თბილისი: საბჭოთა საქართველო.

გაფრინდაშვილი, ნ., & მირესაშვილი, მ. (2008). *ლიტერატურათმცოდნეობის საფუძვლები*. თბილისი.

გაჩეჩილაძე, ს. (1952). *ლიტერატურის თეორია*. თბილისი: სახელმწიფო გამომცემლობა.

გაჩეჩილაძე, ს. (1957). *ლიტერატურათმცოდნეობის შესავალი*. თბილისი: სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის გამომცემლობა.

დარჩია, ბ. (რედ.) (1990). *ქართული მწერლობა* (ტ. 8). თბილისი: ნაკადული.

დუდუჩავა, მ. (რედ.). (1966). *ლიტერატურათმცოდნეობის ტერმინთა მოკლე ლექსიკონი*. თბილისი: ნაკადული.

კეკელიძე, კ., & ბარამიძე, ა. (1987). *ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია*. თბილისი: თსუ.

კლდიაშვილი, დ. (1981). *თხზულებანი ორ ტომად* (ტ. II). თბილისი: საბჭოთა საქართველო.

ლასხიშვილი, გ. (1934). *მემუარები*. ტფილისი.

მეუნარგია, ი. (1905). *ცხოვრება და ღვაწლი თ. გრიგოლ ორბელიანისა*. ტფილისი.

ყიფიანი, დ. (2016). *დიმიტრი ყიფიანი* (ტ. 1). ოაზისი.

ჭილაია, ა. (1971). *ლიტერატურათმცოდნეობის ძირითადი ცნებები*. თბილისი.

ჭილაია, რ. (2003). *ლიტერატურათმცოდნეობა: ენციკლოპედიური ცნობარი*. თბილისი.

ჭილაია, ს. (1982). *ქართული ლიტერატურის ისტორია* (ტ. V). თბილისი: საბჭოთა საქართველო.

ჭოლოკავა, ნ. (რედ.). (1986). *ლიტერატურის თეორიის საფუძვლები*. თბილისი: განათლება.

ჭუმბურიძე, ჯ. (2001). *ქართული პროზის ისტორიიდან*. თბილისი: თსუ.

Тимофеев, Л. И., & Тураев, С. В. (1985). *Краткий словарь литературоведческих терминов*; Москва: Просвещение.

Tamar Gogoladze
Gori State Teaching University
FOR THE STUDY OF THE HISTORY OF GEORGIAN MEMOIR OF THE XIX CENTURY
RESUME

The genre of memoir belongs to the number of works of documentary-epic genre. In difference from fiction, it has a cognitive function, primarily expressing the purpose of the author's goals to deliver his autobiography, daily feelings, travel impressions or facts accumulated over the years, the events reflected in the socio-political and cultural context.

In the Georgian literature the genre of memoir started in the XVIII century (by "Sulkhan-Saba Orbeliani's Journey in Europe"). Its development and perfection starts from the 19th century from memoirs of Giorgi Avalishvili, Grigol Orbeliani, Giorgi Eristavi, Ilia Chavchavadze, Akaki Tsereteli, Dimitri Kipiani, Vazha-Pshavela. The study these works, defining their types, specifications and their role in Georgian literature is the main subject of this article.

In the process of studying Georgian memorial literature of the XIX century, the aims of the authors of the same epoch and the various means of conveying their views served as registering the current events of the century, the styles of their delivery subjective-objective views of the authors.

The literary study of Georgian memoir texts of the XIX century led to the following conclusions: Georgian writers, supporting the attempt of establishing a European genre of memoir in Georgian reality tried it on their autobiography, religious nature, or simply travel experiences, diaries, recalling past events to create of an artistic image of the country's socio-political and cultural existence, which inevitably carried the author's subjective view. This has great importance from the point of view of establishing of the genre, as well as the study of literary processes.

Keywords: Memoir, Documentary prose, Travel genre, Autobiography.

იავლინა გუჯეჯიანი
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მასდარი ქართველურ ენებში

საკვანძო სიტყვები: მასდარი, პრეფიქსი, სუფიქსი, სვანური, ქართველური, პრეპიქს-სუფიქსი, აფიქსი.

მასდარის კვლევა ენათმეცნიერებაში საკმაოდ შრომატევადი და მრავალფეროვანია. ზოგადად სახელზმნა არ არის მეტყველების ნაწილი, ის არის გრამატიკული ფორმა, რომელსაც სახელის ნიშნებიც მოეპოვება და ზმნისაც. სახელზმნა ორგვარია ქართულში ანუ ორგვარი სახელზმნა გვაქვს, საწყისი და მიმდებარე. საწყისი ანუ მასდარი. თვით ტერმინი მასდარი არაბული სიტყვაა და ნიშნავს სათავეს, მაგრამ აკაკი შანიძის სიტყვით კი მასდარი ნიშნავს გამოსავალს და წარმოადგენს აწმყო-მყოფადში დასმული ზმნის პირიან ფორმას. ქართული ზმნისთვის დამახასიათებელია ფუძეზე სხვადასხვა აფიქსის დართვა, რითაც ნაზმნარ სახელებს ვიღებთ. უპირო ზმნის აღსანიშნავად ქართულში სამი ტერმინი გამოიყენება: სახელზმნა, საწყისი და მასდარი.

ძველი ქართული ზმნის საწყისი ფორმა ანუ ეგრეთ წოდებული მასდარი, მნიშვნელოვნად განსხვავდება ახალი ქართულის საწყისისაგან როგორც ფორმის, ისე ფუნქციის თვალსაზრისით. ახალი ქართული საწყისი გასუბსტანტივებული ნაზმნარი სიტყვაა, გრამატიკული აგებულებით იგი სახელთა რიგში დგას, რადგან მას ახასიათებს ძირითადი სახელადი კატეგორია - ბრუნვა. ზმნური კატეგორიებიდან კი მოეპოვება: გეზი, ორიენტაცია, ასპექტი, კონტაქტი და იშვიათად გვარიც.

არსებითად სხვა გვარია საწყისი ძველ ქართულში. ძველი ქართულის მასდარი ფუნქციურად გაორებული ჩანს. ერთი მხრივ, ჩვენ მოგვუპოვება ბრუნებადი საწყისი, რომელიც ახალი ქართულის კვივალენტს წარმოადგენს, მეორე მხრივ, დასტურდება გარკვეული ბრუნვის ფორმებში გაქვავებული

მასდარი, რომელიც წინადადებაში ზმნის მაგივრობას ეწევა. ასეთ მასდარს შეიძლება პირობითად ვუწოდოთ მასდარი - ინფინიტივი. (კოტინოვი, 1965, გვ. 95) ე.ი მასდარი ინფინიტივის, ზმნის განუსაზღვრელი ფორმის - ფუნქციით.

მასდარი-ინფინიტივი ძველ ქართულში არაერთხელ ყოფილა მეცნიერული კვლევის ობიექტი. იგი სპეციალურად შეისწავლა ა. მარტიროსოვმა და დაასკვნა, რომ ძველ ქართულში მასდარს ინფინიტივის რიგი ნიშნები გააჩნდა, მაგრამ ვერ განვითარდა, მეათე საუკუნიდან იგი გამოდის ხმარებიდან და აქედან მოყოლებული ქართულში ბატონობდა მასდარის სახელადი ფუნქციები. (მარტიროსოვი, 1955, გვ. 88)

მასდარი ქართველური ენების (ქართული, მეგრული, სვანური) ძირძველი მოვლენაა. იგი ქართულ-ქართველურ ენებში ზმნის პირიანი ფორმის ჩამოყალიბების შემდეგ გაჩნდა. ამრიგად, მასდარი ძველი, მაგრამ ზმნის პირიანი ფორმებთან შედარებით მეორეული მოვლენაა.

ქართველურ ენებში მასდარულ ფორმებს აწარმოებს როგორც თავსართი, ისე ბოლოსართი, ან ორივე ერთდროულად, გამოდის რომ ქართველურ ენებში მასდარის ორი ტიპი გვაქვს: თავსართიანი ან თავსართ-ბოლოსართიანი.

ქართველური მასდარის შესახებ არაერთი გამოკვლევა არსებობს. საწყისი განხილული აქვს აკაკი შანიძეს (შანიძე, 1973, გვ. 73), არნოლდ ჩიქობავას (ჩიქობავა, 1942, გვ. 80), ვარლამ თოფურიას (თოფურია, 1967, გვ. 22), ალექსანდრე ონიანს (ონიანი, 1998, გვ. 51), ბადრი ცხადაძეს (ცხადაძე, 1984).

მასდარს ეხება ზ. გიგინეიშვილის სტატია „მასდარი ძველ ქართულში“ და სხვა.

სვანური ენა - ერთ-ერთი ძირითადი წევრთაგანია იბერიულ-კავკასიური ენათა ოჯახისა. ქართული, ზანური (მეგრული-ჭანური) და სვანური ერთად შეადგენენ ამ ოჯახის ქართველურ ენათა ჯგუფს. სვანური ენა - ქართველთა უძველესი ტომის, სვანების მეტყველებაა. იგი ქართველური ენაა, ფუძე ენისაგან გამოიყვანა. დაშორება მომხდარა დიდი ხნით ადრე. მიუხედავად ამისა, მასში კარგად არის შემონახული ქართულ-ზანურთან საერთო ძირები და გრამატიკული სტრუქტურა.

სვანური უმწერლობო ენაა, იგი სვანთა სატომო-საშინაო მეტყველებაა. ქართველ ტომთა საერთო სალაპარაკო, სამწერლობო და სახელმწიფო ენა ყოველთვის იყო, არის და იქნება ქართული. (თოფურია, 2008, გვ. 10)

ნაზმნარის სახელები სვანურში

ზმნისგან წარმოქმნილ სახელებს ნაზმნარი ეწოდება. ნაზმნარია მასდარი, აბსტრაქტული სახელი, მიმღეობა, მასალისა და დანიშნულების სახელები. ამათგანაც იწარმოება ახალი სახელები სხვადასხვა მნიშვნელობის.

მიმღეობა ფართოდაა გავრცელებული. აქტიური მიმღეობა ემყარება უმაქცევარო აწმყოს ფუძეს და ხმარობს მე - მო - მა - თავსართებს.

როგორც ცნობილია მასდარი ქართველური ენების ძირძველი მოვლენაა და მას ამ ენებში აწარმოებს როგორც თავსართი, ისე ბოლოსართი ან ორივე ერთდროულად.

შესაძლებელია, რომ -ა ფორმანტი ქართველურ ფუძეენაშივე იყო გამოყენებული მასდარის საწარმოებლად, ვიდრე ეგრეთ წოდებული განყენებული და მოქმედების სახელები ერთ კლასს შეადგენდნენ. კვლევამ აჩვენა, რომ - ა ფონეტიკური შესატყვისებით კი არ არის წარმოდგენილი ქართველურ ენებში, არამედ ყველგან ერთი და იგივე სახე აქვს. მას შემდეგ, რაც სახელთა გარკვეულ ჯგუფს აბსტრაქციის მეტი უნარი აღმოაჩნდა, -ა სუფიქსის გამოყენების არე შეიზღუდა და მოქმედების პროცესის ნომინაციისათვის ყველა ენამ გაიჩინა თავ თავისი პრეფიქსები, რომლებიც რეგულარულად შესატყვისობებს ავლენენ ქართულ-ზანურ-სვანურში.

სვანურში მასდარი იწარმოება ლი - პრეფიქსით, რომელიც უმეტეს შემთხვევაში დაერთვის აწმყოს უმაქცევრო ფუძეს.

აწმყო

ტ-თრე --(სვამს)

ი-შხი --(იწვავს)

ხო-გემ --(უგებს)

იჭ-ვდი --(კითხულობს)

ი-ქტთერ --(იპარავს)

ა-ტყე --(სძინავს)

ი-ცხემ --(იზრდება)

ა-კცხე --(სხლავს)

ა-ჯჷდე --(აგრძელებს)

მასდარი

ლი-თრე --(სმა)

ლი-შხი -- (წვა)

ლი-გემ -- (აგება)

ლი-ჭვდი -- (წაკითხვა)

ლი-ქვთერ --(პარვა)

ლი-ტყე --(ძილი)

ლი-ცხემ -- (გაზრდა)

ლი-კცხე -- (სხვლა)

ლი-ჯჷდე --(გაგრძელება)

როგორც ვიცით სვანური უღვლილების სისტემა ქართველურია. ზმნას იგივე კატეგორიები მოეპოვება, რაც ქართულს და ზანურს. ქართველური ზმნის მექანიზმი საერთოდ რთულია, მაგრამ სვანურის - განსაკუთრებით. სვანურ ენაში მასდარის განხილვისას ვერ ვიტყვით იმას, რომ მის საწარმოებლად ყოველთვის აწმყოს ფუძეს ვიყენებთ. ეს მაგალითებითაც დასტურდება. მაგალითად:

აწმყო	მასდარი
ხალა - წყინს	ლი - რდე - ყოფნა
ხუღუა - აქვს	ლი - ლონე - წყენა
ხედნი - მოვა	ლი - ლუნე - ქონება
არი - არის	ლი - ჯედ - მოსვლა

როგორც ვთქვით, სვანურისთვის დამახასიათებელია განსაკუთრებული თვისებურებანი. მასდარის წარმოება ლი- თავსართით სახელთაგანაც შეიძლება. მაგ:

მეჩი - მოხუცი	ლი - მჩე - ე ბერება
ტახშამ - ვახშამი	ლი - ტახშმ - ჯლ ვახშამობა

საინტერესოა, მაგრამ უდაოა, რომ არსებობს მთელი რიგი ნასახელარი ზმნებისა და ნასახელარი მასდარისა, რომელთაც საერთო ფუძე მოეპოვებათ, მაგრამ არის აგრეთვე ხშირი შემთხვევა, როცა ნასახელარი მასდარი გვაქვს, ზმნა კი არა. მაგალითად:

მარე - კაცი	ლი - მარუ კაცობა
მეჩი - მოხუცი	ლი - მაჩ-უ სიბერე
დი - ი - გეზალ დედა-შვილი	ლი - დი - ლ - ლიგზელ დედაშვილობა
ხეხუ - ჭამ ცოლ-ქმარი	ლი - ხეხუ - ჭამუ ცოლ-ქმრობა
მე - ზბელ მეზობელი	ლი - მზობელ- მეზობლობა
ფუსტდ - ბატონი	ლი - ფუსდ ბატონობა

შესაძლებელი რომ იყოს აწმყოსა და მასდარის საერთო ფუძის ქონა, შეუძლებელი არ იქნებოდა ფონეტიკური ცვლილებების მოხდენა ან აწმყოში, ან მასდარში.

მაგალითად:	
ი - ზბ- ი ჭამს	ლი-ზობ ჭამა
ი - ჩო შვრება	ლი-ჩუმ ქმნა
ი - უჟე სძინავს	ლი - უჟე ძილი

ის, რომ განყენებული სახელები ყველა ენაში გამორჩეულია თავისი თავისებურებებით, არც სვანურისთვის არის გამონაკლისი. განყენებულ სახელებს სვანურ ენაში მა - პრეფიქსი აწარმოებს. მაგალითად:

მა - ლატ	სიყვარული
მა - ხალ	ცოდნა
მწ - ზიგ	სენი
მა - ჟარ	მოწყენა
მა - მჭირ	სიზარმაცე
მა - ტკლაბ	დანანება
მწ - გიდ	ძილი
მა - ფშ	დადლილობა
მწ - სისგ	სიმულვილი

ზოგადად მასდარზე მსჯელობისას აუცილებელია აღვნიშნოთ ისიც, რომ მასდარი და მიმღობა სახელზმნის ორგვარი ფორმაა და აქედან გამომდინარე გასაკვირი არ არის, რომ აწმყოს მიმღობა მიიღება მასდარის ლი - მოკვეცილი ფუძისგან. შევადაროთ, როცა ლი- მოიკვეცება მგ ჩაენაცვლება.

დალევა - ლი - თრე	_____	მგ - თრე - მსმელი
მზადება - ლი - მარე	_____	მგ - მარე - მომამზადებელი
წვა - ლი - შხი	_____	მგ - შხი - მწველი

ხშირია შემთხვევა, როცა ლი - ჩამოიკვეცება და მუ- ჩაენაცვლება.

მაგ:		
ტეხვა ლი - კუშე	_____	მუ - კუშე - მტეხი

ხშირია აგრეთვე შემთხვევა, როცა აწმყოს მიმღობა იწარმოება მასდარის ლი ნიშნის ჩამოშორებით და მე თავსართით და ნულოვანი დაბოლოებით ან ე დაბოლოებით. აგრეთვე გვაქვს შემთხვევა, როცა

მასდარი წარმოდგენილია ბოლოსართით, რომელიც იშვიათად მოიკვეცება და იმავე ფორმით შენარჩუნდება მიმდებარის წარმოებისას.

მაგ:

რთვა ლი-ლთე _____ მუ - ლთე მრთველი
დაცვა ლი-ლჩ-ე _____ მუ - ლჩ - ე დამცველი
ცხოზა ლი-ნყ-ე _____ მუ-ნყ-ე მცხოზელი

ბიბლიოგრაფია:

- თოფურია, ვ. (1967). *შრომები* (ტ. 1). თბილისი: მეცნიერება.
- თოფურია, ვ. (2008). *სვანური ენის სახელმძღვანელო*. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- კოტინოვი, ნ. (1965). ვითარებაში დასმული მასდარის ფუნქციები ძველ ქართულში. *თელავის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები*, V.
- მარტიროსოვი, ა. (1955). მასდარული კონსტრუქციის გენეზისისათვის ძველ ქართულში. *იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება*, VII, 43-60.
- ონიანი, ა. (1998). *სვანური ენა*. თბილისი.
- ქურდიანი, ნ. (1989). მასდარის წარმოების ზოგი საკითხი სვანურში. *ასპირანტთა და ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა სამეცნიერო კონფერენცია*.
- შანიძე, ა. (1973). *ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები* (ტ. 1). თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- ჩიქობავა, ა. (1942). *სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში*. თბილისი.
- ცხადაძე, ბ. (1984). *მასდარის წარმოება ძველ ქართულში*. თბილისი: მეცნიერება.

Iavlina Gujejiani

Sokhumi State University

INFINITIVE (MASDARI) IN THE SVANURI LANGUAGE RESUME

Infinitive (masdari) in the mainest phenomena in the kartluri languages. In these languages it is derived as by means of prefixes as by means of suffixes or by means of both of them at one and the same time. So in the Georgian language, in particular in Svanuri there are two types of infinitive prefixive and prefixive suffixive.

Keywords: Masdari, Prefix, Suffix, Svanuri, Kartvelian, Prefix-suffix, Suffix.

ანა დათუაშვილი

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ბასილი მელიქიშვილის მითოსური სამყარო

საკვანძო სიტყვები: მითოლოგია, მოდერნიზმი, ბიბლია, ფოლკლორი, ფილოსოფია.

XX საუკუნის დასაწყისში მოღვაწე მოდერნისტი მწერალი, ბასილი მელიქიშვილი, ჩემი აზრით, უსამართლოდ მივიწყებულ მწერალთა კატეგორიას მიეკუთვნება. ჭეშმარიტად ძალიან ნიჭიერი და უდროოდ დაღუპული პროზაიკოსი ქართული მწერლობისათვის ნამდვილი დანაკლისია. ალექსანდრე გომიაშვილი იხსენებს, რომ სანდრო რაზიკაშვილი მელიქიშვილს ცოტა პრანჭია, მაგრამ დიდი მომავლის მწერლად მოიხსენიებდა. სამწუხაროდ, მწერლის ცხოვრების გზა ისეთივე უიღბლო აღმოჩნდა, როგორც მისი შემოქმედებისა, 26 წლის ასაკში გარდაცვლილმა ბასილ მელიქიშვილმა სულ რამდენიმე მოთხრობა

და მინიატურა დატოვა, რომლებიც მხოლოდ მისი კარგი მეგობრების წყალობით მოვიდა ჩვენამდე, მაგრამ დღესაც, ფართო საზოგადოებისთვის ნაკლებადაა ცნობილი.

ბასილ მელიქიშვილის შესახებ ინფორმაციის ძიებისას აღმოვაჩინე მარინე რევიშვილის დისერტაცია და შემდეგ უკვე როსტომ ჩხეიძის რედაქტორობით და ხელშეწყობით გამოცემული, ამავე დისერტაციაზე დაფუძნებული წიგნი „ქვირინაი“. ბასილ მელიქიშვილზე წერილები გამოქვეყნებული აქვთ გიორგი შატბერაშვილს, ალექსანდრე გომიაშვილს, ინგა მილორავას და როსტომ ჩხეიძეს, სამწუხაროდ მკვლევართა ინტერესიც ნაკლებია ახალგაზრდა უიღბლო მწერლის შემოქმედებისადმი.

როგორც ჩვენთვის ცნობილია ბასილ მელიქიშვილი ერეკლე ტატიშვილის მოწაფე და მიმდევარი გახლდათ და ნიცშეანიზმის გავლენას განიცდიდა, რამაც განაპირობა მითოსური ხაზის შემოტანა მის მოთხრობებში. მითოლოგია იყო იმ პერიოდის მოდერნისტული ტექსტების მთავარი თემა: კონსტანტინე გამსახურდიას ადრეული წლების ნოველებში, დენა შენგელაიასა და გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებაში. სამართლიანობისთვის უნდა აღინიშნოს, რომ მოდერნისტულ ტექსტებს გააჩნია განსაკუთრებული წყობა, ამ მხრივ არც ბასილ მელიქიშვილია გამონაკლისი და, როგორც მარინე რევიშვილი წერს, ეს არ არის მწერლის პოზა, როგორც ეს სხვა იმდროინდელ მწერლებთან შეინიშნება: „მისთვის მეტყველების სტილიზაცია თვითმყოფადი იყო, მისივე არსებიდან მომდინარეობდა. ასეთივე იყო მისი ზეპირი მეტყველება“. (რევიშვილი, 1998, გვ. 40)

ბასილ მელიქიშვილის მცირერიცხოვან მოთხრობებში მითოსური ნაკადი სამი მიმართულებისაა: კლასიკური მითოლოგია, ბიბლიური ნაკადი და ფოლკლორულ-მითოსური ნაკადი. ზოგი მოთხრობა მთლიანად მითოლოგიზირებულია („თურმანი“, „გელიყარი“, „გველების ტბა“.) დანარჩენებში კი მეტ-ნაკლებად იგრძნობა მითოლოგიური აზროვნება.

ნაშრომში არ შევუდგები იმის გამეორებას, რაც უკვე ითქვა ზემოთ ჩამოთვლილი ავტორების მიერ, შევეცდები გამოვკვეთო ბასილ მელიქიშვილის შემოქმედებიდან რამდენიმე მითოსური პასაჟი:

1) უცოდველის მსხვერპლშეწირვა:

ამ თემაზეა მთლიანად აგებული მოთხრობა „თურმანი“, ამ მოთხრობაში შუქოთი (შუა ქართლი) და ქართლი ღვარძლსა და უბედურებას მოუცავს, მოთხრობის მთავარი გმირი თურმანი, ერთგვარი მხსნელის როლს ირგებს, შუქოთისათვის წმინდა თესლს აგროვებს, რათა შიმშილისა და უბედურებისაგან იხსნას ისინი. თუმცა, ირკვევა, რომ უმანკო სისხლია საჭირო რათა ეს ორი მხარე უბედურებას გადაურჩეს, თურმანი ამ აზრს არ ეთანხმება, ფიქრობს, რომ უდანაშაულო, უმანკო ბავშვის მოკვლა მხოლოდ უბედურების მომტანი შეიძლება იყოს. მაგრამ ძნელია უბედურების შიშით გადარეული ბრბოსგან უმანკო თანდილას დაცვა, მაგრამ თანდილამდე ასევე რამდენიმე უმანკო ბავშვი ეწირება ორივე სოფელში გამეფებულ ღვარძლსა და უბედურებას. მკვლევარი მარინე რევიშვილი ფიქრობს, რომ თანდილა იესო მაცხოვრის სიმბოლოა, რომელმაც ამ სოფლის ცოდვები უმანკო სისხლით უნდა გაწმინდოს, ძნელია არ დაეთანხმო, რადგან ოქროსკულულებიანი პატარა ბიჭი, რომელსაც ბრძენი მოხუცის გარეგნობა ჰქონდა და არავითარი ავადმყოფობა არ ეკარებოდა, მართლაც, პირველ რიგში, გვიჩენს იესოს ასოციციას, თუმცა უმანკო მსხვერპლის გაღება არა მხოლოდ სახარებისეული პასაჟია, არსებობს უამრავი მითი თუ ლეგენდა, მაგალითად: გავიხსენოთ მამა აბრაამის მსხვერპლშეწირვა, სურამის ციხის ლეგენდა და სხვა.

2) თვალხილული ბრმები:

საინტერესოა სიბრმავის თემა ბასილ მელიქიშვილთან, „თურმანში“ ერთ-ერთი პერსონაჟი - სალთუჯი ბრმავდება, ის თავისთავში იკეტება მეუღლის სიკვდილის შემდეგ და საკუთარ „მე“ ში ღრმავდება, 113 წლის ადამიანი სიკვდილის წინ ჯავრობს იმაზე, რომ მაინც ენანება მძორი. გარდაცვალების შემდეგ სალთუჯის ბრმა თვალიდან ცრემლი მოსდის, დაბრმავების შემდეგ გახდა ის ყოვლისმხედველი.

„გველების ტბაში“ ბრმას ეძახის ვაჟას ბასილ მელიქიშვილი, რამდენჯერმე მოიხსენიებს მას ბრმა ღმერთად, რომლის დაშრეტილი თვალიდან გირხას (ანუ სიბრმის) თვალი იყურება, და ამ დროს თავისთავად უამრავი მითოლოგიური პერსონაჟი, რომელთაც სიბრმავე ვერ უშლიდა ხელს თვალხილულებზე მეტი დაენახათ, ოდიპოსი, რომელმაც თავად აირჩია სიბრმავე რათა ჭეშმარიტება ეხილა, მისანი ტირესია, რომელიც ბრმა იყო და ბედისწერას წინასწარმეტყველებდა, ბრმები იყვნენ ბერძენი ბედისწერის ქალღმერთები მოირები, ბრმა იყო ზამთრის ღმერთი ჰოდრი სკანდინავიურ მითოლოგიაში, ეს სია შეგვიძლია უსასრულოდ გავაგრძელოთ. მითის ფილოსოფიით უნდა დაბრმავდე, რათა სულის თვალებით დაინახო, ცნობიერების თვალებით დაინახო.

3) უდაბნოდ ქცეული ზღვა:

ანუ „ნაზღვაური უდაბნო“ ასე უწოდებს ბასილ მელიქიშვილი იმ ადგილს, რომელიც მზემ ამოშრიტა: „ქვეყანა დაცარიელებულია. თურმე დიდი ზღვა მზემ ამოაშრო და ამოწურა, მაგრამ იცი

მეგობრო ზღვას უდაბნო დარჩა, ხოლო უდაბნოდ ქარიშხალი და მღელვარებაი“. (მელიქიშვილი, 1987) ეს დეტალი პირდაპირ გვახსენებს ფაეთონის მითს, რომელსაც მამამ, მზის ღმერთმა ჰელიოსმა, ცეცხლოვანი რაშები ჩააბარა, ფაეთონი ჩამოვარდა და გადაწვა უზარმაზარი ზღვა და ასე გაჩნდა უდაბნო. ზღვა სიცოცხლის სიმბოლოა უდაბნო სიცარიელის, ცარიელი ცხოვრების, ხოლო მზე უმეტესად უფლის, აბსოლუტური ცოდნის. ამრიგად შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მზემ ანუ აბსოლუტურმა ჭეშმარიტებამ ნამდვილი ცხოვრება უდაბნოდ აქცია.

4) საკუთარი თავის დასჯის თემა:

ოიდიპოსის მითი ანუ საკუთარი თავის დასჯა იმ დანაშაულისთვის, რომელშიც უნებლიედ აღმოჩნდება გმირი: მოთხრობაში „მოკვეთილი თითი“, მთავარი გმირი, ბადრი, იჭრის იმ თითს, რომლითაც თავის ყოფილ შეყვარებულს უკუაგდება, რათა მეგობრის დალატისგან დაიცვას თავი. აქვე გვახსენდება სახარებისეული შეგონება, „ხოლო თუ გაცდუნეს შენი მარჯვენა ხელი მოიკვეთე და გადააგდე, ვინაიდან გიჯობს დაჰკავო ერთი შენი ასოთაგანი, ვიდრე მთელი შენი სხეული ჩავარდეს გეენას“ [მათე 5, 30] (ბიბლია, 1989, გვ. 962)

მოთხრობაში „ჯილაგი“ ახალგაზრდა, რომელიც სიზმრად ნახულობს ადამიანს, რომელიც უწინასწარმეტყველებს, რომ შემთხვევით მოკლავს თავისი ჯილაგისას, რათა აიცდინოს ბედისწერა, პირველივე შემხვედრს კლავს და მოგვიანებით იგებს, რომ თავისი სისხლისა მოუკლავს, ამის შემდეგ ის განუდგება ქვეყანას, ტყეში მიდის და ელოდება მოკლულის ვაჟს, რომელიც მისი აზრით ცოდვისაგან იხსნის.

5) გველის თემა:

მოცემულ თემაზე ბევრი დაიწერა, მაგრამ გვერდს ვერ ავუვლით, რადგან საკმაოდ დიდი როლი აქვს არა მარტო ბასილ მელიქიშვილთან, არამედ იმ პერიოდის ლიტერატურაში: დემნა შენგელაიასთან, გრიგოლ რობაქიძესთან, კონსტანტინე გამსახურდიასთან და ა.შ. გველი იგივე დატვირთვას ატარებს ბიბლიაში, რასაც ლუციფერი, თუმცა ორივე მათგანი ჭკვიანია და რამდენადაც საშიშია და შემზარავი, იმდენად გიზიდავს და ცნობისმოყვარეობას გიღვიძებს. იესო ეუბნება მოსწავლეებს: „იყავით მშვიდი მტრედივით და ბრძენი გველივით“ რაც ავტომატურად ნიშნავს აღიარებას გველის სიბრძნისა, სწორედ ზედმეტი ცოდნის სურვილისთვის დაისაჯა გველიც და ლუციფერიც, სწორედ ეს დატვირთვა აქვს მელიქიშვილთან გველის მეტაფორას, მოთხრობებში „გელიყარი“ და „გველების ტბა“. ის ამბობს, რომ გველი გელიყარის სულია, რომელსაც თანამედროვე ტექნოლოგიის შემოსვლა ანადგურებს და თვით მისი ყველაზე დაუძინებელი მტერი ლელაც (კერიის მფარველი) კი დასტირის და შემდეგ თავადაც იღუპება. საინტერესოა სწორედ, რომ გველის სიბრძნეს ფლობს და ამ თვალს ხედავს ვაჟა-ფშაველას დაშრეტილ თვალეებში მელიქიშვილი. ვაჟა ხტება გველების ტბაში და სწორედ ასე ეზიარება ღვთაებრივ სიბრძნეს. საინტერესოა, რომ ეს მოიაზრება როგორც თავად ვაჟას მინდიას ახლებური გააზრება, სადაც გველის ხორცი აძლევს სიბრძნეს მინდიას, იგი თავად განწირულია, მაგრამ სამაგიეროდ შეუძლია სხვებს დაეხმაროს, სიცოცხლე შეუნარჩუნოს მომაკვდავებს. შემთხვევით არ გვიხსენებია აქ ღვთაებრივი ცოდნა, რადგან სწორედ ღვთაებრივ ცოდნას აზიარა გველმა ადამი და ევა ვაშლით ცდუნებისას: „თქვა უფალმა ღმერთმა: აჰა, გახდა ადამი როგორც ერთი ჩვენთაგანი, შემცნობელი კეთილისა და ბოროტისა.“ [დაბადება 3, 22] (ბიბლია, 1989, გვ. 15)

6) წინამძღოლი:

მელიქიშვილის მოთხრობაში „თურმანი“ მთავარი გმირი თურმანი ცდილობს გადაარჩინოს საკუთარი ხალხი შიმშილისა და სენისაგან, ამისათვის მან უნდა იშოვოს წმინდა თესლი, რომლითაც ხელახლა შეძლებს უნაყოფო და ღვარძლისაგან გადაგვარებული მიწის მოვლასა და ახალი მოსავლის მოყვანას. ცხადად ვხედავთ პარალელს ბიბლიურ მოსესთან, რომელმაც ასევე თავად იღო ებრაელი ხალხის ხსნა შიმშილისა და მონობისგან, უმეცრებისა და წარმართობის სარეველა უნდა მოაშოროს და ჩათესოს მათში რწმენა ჭეშმარიტი ღმერთისა. თურმანი ხალხის რჩეულია, მას ენდობიან ისევე როგორც მოსეს, მაგრამ ის, როგორც მოსე, მაინც მარტოსულია და ხალხსა და მას შორის დიდი ურთიერთგაგება არ არის. სწორედ ამიტომ თურმანის არყოფნაში, როდესაც ის გამოსავლის საძიებლადაა წასული, სოფელი იღებს გადაწყვეტილებას ძველი მეთოდით, მოგვთა რჩევის საფუძველზე ოქროსკულულებიანი თანდილი მოკლან და ამით სცადონ ღვთის რისხვის შეჩერება. აქაც პარალელი მოსესთან, როდესაც მოსე უფალთან შესახვედრად წავიდა, დროებით მიატოვა ებრაელები. მათ აღადგინეს ძველი კერპები და დაიწყეს მათი თაყვანისცემა: „დაინახა ხალხმა რომ აგვიანებდა მოსე მთიდან ჩამოსვლას, თავი მოიყარეს აარონთან და უთხრეს მას. ადექი და გაგვიკეთე ღმერთები, რომლებიც წინ მიგვიძღოდნენ, რადგან არ ვიცით რა დაემართა იმ კაცს, მოსეს, რომელმაც ეგვიპტიდან გამოგვიყვანა“ [გამოსვლა 32, 1] (ბიბლია, 1989, გვ. 86) თანდილის მკვლელობას შედეგი არ მოაქვს, ღვთის რისხვა ძლიერდება. მოსეს კი წმინდა მთიდან ჩამოაქვს ათი მცნება, რომელთა შორისაა „არა კლა“.

7) მხეცის დაბადება:

მრავალი ცოდვის საპასუხოდ „თურმანში“ სოფელი ისჯება მახინჯი ბავშვის დაბადებით, რომელიც შემდეგ ურჩხულად მოველინება სოფელს: „ახალგაზრდა მანდილოსანს, ოდესღაც მშვენიერს, დაებადა უგვანი და მახინჯი ბაღლი, ბალანდასხმული, ძაღლიყურა და მაჯლაჯუნის ფეხებიანი“. (მელიქიშვილი, 1987, გვ. 44) ამ ბავშვის დაბადებამ შეიწირა მისი მშობლები, დედამ თავი მოიკლა და მამა გადაიკარგა, სასიკვდილოდ განწირული მახინჯი ბავშვი აფთარმა გადაარჩინა და გაზარდა. ასევე მახინჯი ბავშვი ეყოლა მახარესაც: „თავი ჩვილი ჰქონდა და გასიებული, ქვემო ყბა კი გაწყალებული“ ორივე შემთხვევაში პარალელების გავლება შესაძლებელია ქართულ მითოსთან, ქართულ მითოლოგიაში აღწერილი ავსულები ძალიან მოგვაგონებენ მოთხრობაში დაბადებულ ბავშვებს, ჭინკას აღწერილობა ქართულ მითოლოგიაში და საერთოდ კავკასიურ ფოლკლორში სრულიად ესადაგება მოთხრობაში აღწერილ პერსონაჟებს, პატარა ბავშვის გარეგნობა, ბალნიანი ტანი, დაცქვეტილი ყურები, დაგრებილი ფეხები. საინტერესოა ისიც, რომ ქართულ მითოლოგიაში ჭინკა ზარაქის გამქრობია და ღვარძლით გატანჯული, დამშეული სოფლის უფრო დასამშევად მოუვლინა ზეცამ მახინჯი ბავშვი სოფელს.

დასკვნის სახით მინდა აღვნიშნო, რომ ბასილ მელიქიშვილის შემოქმედება ნამდვილად იმსახურებს ყურადღებას, რადგან მიუხედავად სიმცირისა, მასში კარგად ჩანს ავტორის კარგი განათლება, მისი ფილოსოფიურ-მითოსური აზროვნება. მწერალი კარგად იცნობს ანტიკური მითოლოგიის ფილოსოფიურ სიღრმეებს, ბიბლიურ სწავლებასა და ფოლკლორულ-მითოსს, რაც მისთვის, როგორც მთელი კაცისთვის, სრულიად ორგანულია. ბასილ მელიქიშვილის შემოქმედება ასევე კარგად ასახავს მითოსური აზროვნების საერთო ასპექტებს, რაც გვიჩვენებს რომ მითოსური გონი საუკუნეების მანძილზე უცვლელად ინახებოდა ნებისმიერი ხალხის ცნობიერებაში და დღემდე ახდენს გავლენას კაცობრიობის აზროვნების ჩამოყალიბებაზე.

ბიბლიოგრაფია:

- ბიბლია. (1989). თბილისი: საქართველოს საპატრიარქოს გამოცემა.
- გელოვანი, ა. (2016). *მითოლოგიური ლექსიკონი*. თბილისი: პალიტრა L.
- მელიქიშვილი, ბ. (1987). *მკერდშებოლილი მერცხალი*. თბილისი: მერანი.
- მილორავა, ი. (თ.გ.). *მითის ფუნქცია მოდერნისტულ ტექსტში*. მოძიებულია ვებგვერდიდან: <http://www.nplg.gov.ge/gsdll/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0periodika--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-----0-11--11-en-50---20-abou>
- რევიშვილი, მ. (1998). *ქვირინაი*. თბილისი: ლომისი.
- ქართული მითოლოგია*. (1992). თბილისი.

Ana Datuashvili
Gori State Teaching University
THE MYTHICAL WORLD OF BASILI MELIKISHVILI
RESUME

Basil Melikishvili, the public figure and modernist writer of the beginning of the XX century, belongs to unfairly forgotten writers' category. Unfortunately, the writer's life was as unlucky, as his His creative works. He died at 26 and has left some short stories, which reached to us, only with his good friends' help. Basil Melikishvili was Erekle Tatishvili's student and follower. Nietzscheanism Influenced and brought mythological lines in his stories. At that time ,mythology was the main topic of the modernist texts. There are three kinds of mythological flow in Basil Melikishvili's stories: classical mythology, Bible flow and folkloric mythological flow.

Basil Melikishvili's creative works really deserve attention, as in spite of few stories, a good education and his philosophical, mythological thinking are well seen in his works. His creative works illustrates well general aspects of mythological thinking, which shows, that mythological mind had been invariably kept in any people's consciousness for centuries and even nowadays influence the establishing of thinking of mankind.

Keywords: Mythology, Modernism, Bible, Folklore, Philosophy.

აკაკი წერეთელი და აღზრდის საკითხები

საკვანძო სიტყვები: აკაკი წერეთელი, აღზრდა, გონებრივი, მორალური, ფიზიკური.

აკაკი წერეთელი ისევე, როგორც ილია ჭავჭავაძე და სხვა ქართველი სამოციანელები, დიდ ყურადღებას აქცევდა ბავშვს, გიორგი წერეთელმა ჩვენი ცხოვრების ყვავილი რომ უწოდა, რაც იგივე მისი პატრიოტიზმის გამოვლენა იყო. აღზრდაზე დამოკიდებული ქვეყნის მომავალი. „ჩემ თავგადასავალში“ წერს: „ერთხელ კიდევ ვიმეორებ, რომ დღევანდელი ჩვენი უვარგისობა დამახინჯებული აღზრდის ბრალია, რომელსაც მომავალში ბოლო უნდა მოეღოს“. აღზრდის პროცესში აკაკი გადამწყვეტ როლს აკისრებს აღმზრდელს, მაგრამ აღმზრდელთან ერთად დიდი მნიშვნელობა ენიჭება აგრეთვე იმ საზოგადოებრივ წრესაც, რომელშიც მოქცეულია აღსაზრდელი. პოემა „გამზრდელში“ დასმულია აღმზრდელის როლისა და პასუხისმგებლობის საკითხი. შემთხვევითი არაა, რომ აკაკი ამ ნაწარმოებს მიუძღვნის აღმზრდელს („ვუძღვნი ჩვენს პედაგოგებს“). სხვა უაღრესად საინტერესო საკითხებთან ერთად აქ ერთი უმთავრესი თემა სწორედ აღზრდის შუქ-ჩრდილთა ჩვენებაა.

როსტომ ჩხეიძემ თავის ბიოგრაფიულ რომანში „ხან მიწისა და ხან ცისა“ ერთი თავი საგანგებოდ უძღვნა აკაკისა და ბავშვების ურთიერთობას. დაიმოწმა გრიგოლ რობაქიძის ესე აკაკიზე, კოკი აბაშიძის, შალვა დადიანის, გოგუცა კუპრაშვილის, ნიკო ლორთქიფანიძის, რუსუდან ნიკოლაძისა და სხვათა მოგონებები და სახიერად წარმოაჩინა პოეტის ბავშვად გადაქცევა ყმაწვილებთან ურთიერთობისას. აკაკი „დროისა და სივრცის გარეშე იდგა მათ წარმოსახვაში: ხან შოთას გვერდით ევლინებოდათ, როგორც „რჩეული ერის“ „მზისტოლი“ მგოსანი, ყმაწვილთათვის მიუწვდომელი ჩანგითა და გულის სიმებით. და ხანაც პირიქით - თავიანთ ტოლ ამხანაგად მიაჩნდათ, მათსავით ცელქად და ეშმაკობაში ამყოლად“.

(ჩხეიძე, 2017, გვ. 24)

სამშობლოს სიყვარული აკაკის ლექსებში ხშირად დედაენის სიყვარულითაა გამოხატული. ეს გასაგებია. ენაა ერის არსებობის უპირველესი ნიშანი, ისაა საფუძველი, საძირკველი ეროვნული სახელმწიფოსი. ენის სიყვარული აკვიდან უნდა შეიწოვოს ყრმამ. ენის უარყოფა ეროვნული მეობის უარყოფაა, გადაგვარებაა ხოლო გადაგვარების მოსურნე „შეჭამოს ტურა-მელამა“. ლექსში „წერილი პატარა მეგობრებს“ პოეტი ურჩევს მოზარდებს, უყვარდეთ სამშობლო, მშობლიური ენა, ემსახურონ მას, თავი დასდონ მისთვის.

„სტყუის დედინაცვალი! დედის ძუძუ ტკბილია!!
ვისაც დედა არ უყვარს, აბა, ის რა შვილია?
სამშობლოც ხომ დედაა ჩვენი, ტკბილი აღმზრდელი.
მისი ჭირი და ლხინი უნდა გავიზიაროთ!
იმას უნდა შევსწიროთ ჩვენი გრძნობა ... გონება.
მამ გიყვარდეთ სამშობლო! სხვისიც ნუ შეგძულდებათ.
წინაპრებსაც სამშობლო ჰყვარებიათ გმირულად“

პოეტი კიცხავს მშობლიური კუთხის და ენის მგომბელს. აი, ლექსი „დამურა“ .

„კრულ იყოს მისი სახელი, ვინც მთა გასცვალოს ბარზედა!
თვის ტომის დამწუნებელსა ჭირი მოუვა კარზედა!
გადაგვარების მოსურნე ბუნებისაგან კრულია!
მისი პირადი ღირსება ყოველგან დაჩაგრულია“.

„აკაკი წერეთლის გამჭრიახმა გონებამ და მახვილმა თვალმა იმთავითვე შენიშნა გადაგვარების აშკარად გამოხატული, დამღუპველი ტენდენცია - ეროვნულ მეობაზე, საკუთარ ენასა და კულტურაზე უარის თქმის ფასად, პირადი კეთილდღეობისაკენ ლტოლვა“.

(კვიციანიშვილი, 1991, გვ. 69)

ენის დაცვის ძირითად ასპარეზად, ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის ერთ-ერთ მთავარ უბნად სკოლა იქცა. სკოლას, როგორც ახალგაზრდობის აღზრდის კერას, უნდა გადაეწყვიტა, ვის დარჩებოდა გამარჯვება. ასე რომ, სკოლა მარტო პედაგოგიურ ფარგლებს სცილდებოდა და ფართო საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ბრძოლათა ასპარეზი ხდებოდა. ამ ბრძოლაში აქტიურად გახლდათ ჩართული აკაკი წერეთელი. იგი შეურიგებლად ილაშქრებს ქართული ენის მოსპობის მსურველ

იანოვსკის, ვოსტორგოვისა და სხვათა წინააღმდეგ, ამ სულისკვეთებითაა გამსჭვალული აკაკის კრიტიკულ-პუბლიცისტური წერილები თუ მხატვრული ნაწარმოებები. აღშფოთებით წერდა პოეტი, რომ „სასწავლებელში ყველგან საერთოდ მოსპობილია ენა ქართული“ (პოემა „ვორონცოვი“), რომ „შკოლებში მოსწავლეებსა უსპობენ დედა-ენასა“ (პოემა „რაჭა-ლექხუმი“). „ჩემ თავგადასავალში“ მოგვითხრობს, თუ როგორ სჯიდნენ გიმნაზიელებს ქართულად ლაპარაკისთვის. თვითონაც იწვნია ლინეიკის (სახაზავის) დარტყმა, რის გამოც კალიგრაფია გამიფუჭდაო.

მწერალმა კარგად იცოდა, რომ ყმაწვილის ცალმხრივად აღზრდა არ შეიძლება. სხვადასხვა თვისებათა ერთობლიობა აყალიბებს საბოლოოდ ადამიანს. ამიტომ ცდილობდა, გაეღვივებინა ნორჩებში ქრისტიანული მცნებების ერთგულება.

ჰუმანიზმი და კაცთმოყვარეობა, დაჩაგრულთა დახმარების იდეაა გამოთქმული ლექსებში: „ეფერებოდე ოზლებს“, „ყმაწვილი და პეპელა“, „მწერი და მწყემსი“, „მახეში გაბმული ჩიტი“.

პირველ ლექსში გამოხატულია ოზლებისადმი სიბრალული, თანაგრძნობა.

„ყმაწვილი და პეპელა“ დღემოკლე არსების სიბრალულს უვითარებს მკითხველს. პოეტს ისეთ მომხიბლავ მხატვრულ სამყაროში შეეყვართ, რომ თვალნათლივ ვხედავთ ბავშვის მიერ დაჭერილ პატარა, ლამაზ მწერს და მათი საუბარიც კი გვესმის.

„ჭრელი პეპელა დაათრო და გააბრუა იამა...

მას მიეპარა ყმაწვილი, დაიჭირა და იამა...”

ჰკითხა: თავს რითი ირჩენ, ან როგორ არ იღლები მთელი დღე ფრენითო. პეპელამ მიუგო: ყვავილებია ჩემი საზრდო, რაც დღე მაქვს ტკბილად ვატარებ,

„მაგრამ დღეგრძელი არა ვარ...

გამიშვი... ნუღარ მაცდენო!

ყმაწვილმა ხელი გაუშვა,

გაფრინდა ნაზი პეპელა...

და, თითქოს ნიშნად მადლობის

თავს ევლებოდა ნელ-ნელა“.

ამ სტრიქონებიდან მომდინარე სინაზეს, სიმშვიდეს, სითბოს თითქოს ჯადოსნური ძალა აქვს - შეუძლებელია, მას არ დაემორჩილოს ყმაწვილური გული.

„მწყერი და მწყემსი“. ყანის პირას მიდიოდა მწყემსი, თვალწინ მწყერი აუფრინდა, სახრე სტყორცნა და თავი წააწყვიტა. იქვე პირას მისი ბუდე ნახა ბარტყებით. „მიგმიგობდნენ, ჭყიპინობდნენ საცოდავად ის ოზლები“, თითქოს ეუბნებოდნენ, შე ცუდო და შე უწყალო, რა გინდოდა დედაჩვენთან? რას ერჩოდი, რომ მოჰკალიო?

„მახეში გაბმულ ჩიტშიც“ ყმაწვილები შეცდომას ფრინველის თხოვნის შემდეგ გამოასწორებენ. თავიდანვე უწყალოების გამო როდი დაიჭერენ ჩიტს. ჰგონიათ, რომ თვითონ უკეთ მოუვლიან.

„გაბმულხარ, ჩიტო, მახეში? გაჩერდი, ნუღარ ფრთხიალობ!

ჩვენი ხარ, ვერსად წაგვიხვალ, დაგვიმორჩილდი, რას წვალობ?“

ტკბილ რამეებს გაჭმევთ, გასმევთ, თბილად შეგინახავთო. ჩიტი კი პასუხობს: ეს ყველაფერი ჩემთვის მწარეა, თუ ტყვეობაში ვიქენი, თავისუფლება მირჩევნიაო. დაჩაგრულის სიბრალულთან ერთად აქ უთუოდ თავისუფლების წყურვილსაც მძაფრად განიცდის ზრდასრული მკითხველი.

ლექსებში „ბრიყვი და ჭკვიანი“, „ნაცარქექია“, პოემა-ზღაპარ „გორგ-ასლანში“ ისმის მოწოდება შრომა-გარჯისკენ.

„ბრიყვი და ჭკვიანი“ ასეთ დარიგებას სთავაზობს ყმაწვილს:

„საჭადრაკოა ქვეყანა, დიდი და მრავალფერია;

ავი და კარგი იმისი ერთ კაზადონზე სწერია,

მაგრამ არ შედრკე ვაჟკაცო, ყველა ცით მონაბერია!...

გადი-გამოდი, იშრომე, არ გახდე თავის მტერია...

თუ ხერხი კაცსა უჭირავს დევზედაც ღონიერია

ბრიყვი ამ სოფლის მონაა,

- უფალი გონიერია!..“

„ნაცარქექიაში“ უსაქმურობა, სიზარმაცეა დაგმობილი:

„ადექი, ნაცარქექია, რას მიჯდომიხარ კერასა.

ტოლებში გამოერიე, ნუ ჰკარგავ ბედისწერასა;

ძირს ნადირს დაუქაქანე, მაღლა ქორსა და ძერასა“...

პოემა-ზღაპარი „გორგ-ასლანის“ ფინალში გარკვევითაა ნათქვამი, რომ ომისა დახმლის დრო წავიდა და ახლა შრომის ეპოქაა. ასე რომ, ზრპარი ვახტანგ გორგასლის შესახებ, რომელშიც თამარიცაა ნახსენები, მთავრდება მე-19 საუკუნისთვის აქტუალური საკითხით.

„ახლა დაგიდგა სულ სხვა დრო
ამაღლებული შრომითო
და სისხლი ოფლად შესცვალე,
ვერას გახდები ომითო!...“

ეს უკვე პოეტის რჩევაა თანამედროვეთათვის და თავისი სულისკვეთებით ეხმაურება ილია ჭავჭავაძის წერილს „რა გითხრათ, რით გაგახართ?!“

აღზრდის კონცეპტის თვალსაზრისით საინტერესოა აკაკის საბავშვო ლექსები ცხოველებზე; „კატა“, „ციცუნია კატა“, „ჩემი თხა“, „დათვი“.

„კატა“ მოზარდს მორალურ-ზნეობრივი პრინციპების განსაზღვრაში უწყობს ხელს. დედა – კატა ტირის, ხვადი ეკითხება ამის მიზეზს:

„კოტემ თევზი მოიპარა, შეშინდა და ელდა ეცა:
მე ქურდობა შემომწამა, ურცხვად ღმერთი დაიფიცა,
ის გადარჩა, მე გამცოცხეს, ის მტყუანი, მე მართალი,
ამისთანა სამართალს კი დაუდგება ორივე თვალი!“

„ჩემ თხაში“ ნაჩვენებია ცხოველთან ადამიანის მეგობრობა:

„ჩემო ლამაზო ბეკეკა, შენ ჩემო თხაო ბელაო:
შენი მტერი და ორგული შენ გენაცვალოს ყველაო.“

შენ ხარ ჩემი შვილების მარჩენალი, საწველს ამივსებ, არ დამამადლი წველასო. თვალის ჩინივით მოგივლი.... და სხვა.

ხალხურ ზღაპრებში წარმოდგენილია დათვის კეთილი და ძლიერი სახე. აკაკის ლექსიც „დათვი“ განამტკიცებს ფოლკლორში აღბეჭდილ წარმოდგენას ამ მხეცზე:

„ყველა მხეცი – მხეცი არის, მაგრამ დათვი სხვაგვარია:
მთა და ბარი საჭმოდ აქვს, ტყე და ველი აბარია.“

დახატულია დათვის გარეგნობა („და თავხოკერა, ბანჯგვლიანი“), ყველაფერს ჭამს, მაგრამ ყველაზე მეტად თაფლი უყვარს... ზამთრობით ბუნებაში წვეს და ფეხს ილოკავს, უფრო მეტ ხანს სძინავს.

„სხვა მხეცები ეჯავრება, თავს ხომ არცერთს არ უყადრებს,
მხეცებსაც სძულთ, მაგრამ რა ქნან? პირადად კი ვინ რას ჰკადრებს.“

საგანგებოდ აღსანიშნავია წელიწადის სხვადასხვა დროის აღწერა აკაკის საყმაწვილო ლექსებში. „გაზაფხულის სიმღერა“, „ზაფხულის სიმღერა“, „შემოდგომის სიმღერა“, „ზამთრის სიმღერა“, „მისის დილა“, „ზამთარი“, „გაზაფხული“ – ბუნების მთელი ფერადონება, დროთა ცვლადობის ჰარმონია, ღვთიური სილამაზე ძირითადად სიმღერით (ამ სათაურით) მიეწოდება პატარებს. „გაზაფხულის“ სტრიქონები ისე მიესადაგა და შეერწყა წელიწადის ამ დროს, რომ სხვანაირად ვერც წარმოგვიდგენია გაზაფხულის დადგომის ხარება:

„გაზაფხულდა, ბუჩქის ძირას თავს იწონებს ნაზი ია“

(შემდეგში თამაზ ბიბილურმა შესანიშნავად აღწერა წელიწადის დროები).

აკაკის მცირე პროზა, ძირითადად, „საყმაწვილო ზღაპრების“ სერიით იბეჭდებოდა „დროებაში“, მაგრამ ეს იმ სახის „ზღაპრები“ იყო, ილია რომ წერს: „ზღაპარს გვეუბნება და სიბრძნეს კი გვამცნობს“. (კუცია, 2011, გვ. 223) ამჯერად მხოლოდ ორ მოთხრობაზე შევაჩერებ ყურადღებას.

ძველი დროის რაინდთა სახეებია დახატული აკაკის საბავშვო მოთხრობებში („დათუნა გოცირიძე“, „ოთია მესხი“).

დათუნა გოცირიძე – რაჭველი ზნაური, ცნობილი ვაჟკაცი.

ივანე კვიციანი – მისი დისწული, მისი გაზრდილი. როდესაც ივანე დავაჟკაცდა, თავმოყვარეობის სიხარბემ შური შეაპარა ორივეს. ერთ დღეს მეფის ნებიერისათვის დათუნას ხმლის ერთი მოქნევით თავი უნდა გაეგდებინებინა. დაჰკრა, მაგრამ ვერ გააგდებინა თავი. თურმე წინა ღამეს მის დისწულს დაებლაგვა ხმალი. დათუნამ გადაწყვიტა, სამაგიერო მიეზლო ხმლის შემრცხვენელისათვის... ივანე იმერეთში გადაიხვეწა. ერთხელ დათუნაც იმერეთში მოხვდა. იმ ხანებში დაღესტნიდან შემოჭრილიყვნენ ლეკები აჯამეთის ტყეები... ხედავს დათუნა, ვიდაცას სძინავს გზის პირად. იცნო ივანე, მიპარვით ღალატი რა ვაჟკაცობაა, უცდის გამოღვიძებას. ამ დროს ხედავს – ერთი ლეკი თოფს უმიზნებს მძინარე ივანეს. დათუნამ მოკლა ის ლეკი, შემდეგ სხვებს დაერია. თოფის ხმაზე ივანემაც გაიღვიძა, მიეშველა ლეკებთან მებრძოლს... ივანეს შერცხვა თავის მხსნელი ბიძის წინაშე.

„შენ ჩემთან დამნაშავე ხარ და მე კი ქვეყნის წინაშე: სანამ გარეშე მტერი არ მოგვიგერებია, შინაური მტრობა რჯულის უარყოფაა და ორივეს ღმერთმა შეგვიწოდოს!“ – უთხრა ბიძამ. მაშ, პირად ინტერესებზე მაღლა ყოველმა ადამიანმა სამშობლოს ინტერესები უნდა დააყენოს. ამკარად იკითხება მწერლის სურვილი გარეშე მტრისგან ქვეყნის გათავისუფლებისა, ესე იგი თავისუფალი, დამოუკიდებელი საქართველოს აღდგენის ოცნება. ეს კი მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი, თუ

ქართველები გაერთიანდებოდნენ, ერთმანეთის შუღლსა და მტრობას განზე გადასწევდნენ და წარსულში ჩადენილ მსგავს ცოდვებსაც მოინანიებდნენ. რაც მთავარია, უფროსმა უნდა აღზარდოს ახალგაზრდა, მაგალითი მისცეს მას.

„ოთია მესხშიც“ საქვეყნო ზრახვების ყველაფერზე მაღლა დაყენების აუცილებლობა იკითხება.

ოთია მესხი სახელგანთქმული რაინდი იყო.

ლექსზემელი ასათიანი – მისი დისწული, მისი გაზრდილი. დადიანმა ომი გამოუცხადა იმერეთის მეფეს. ლექსზემი დადიანს მიუდგა. ამრიგად ბიძა-დისწული ომში ერთმანეთის პირისპირ აღმოჩნდნენ. ხედავს ოთია: ომიდან გამოქცეულ მხედარს ვიღაც მეორე ცხენოსანი მოსდევს. პირველში იცონო თავისი პირადი მტერი, ჭაჭიაშვილი, მეორეში – დისწული, ასათიანი. შეუძახა ასათიანს: ჩემო დისწულო, აქ პირადობა აღარ არის, არ მოკლა, თორემ ცუდად გადაგიხდი, ან რა საკადრისია გაქცეული მტრის გამოდგომა!

ასათიანმა მაინც მოკლა, ოთიამ კი ამის გამო დისწული განგმირა. მაგრამ მისმა მოსიყვარულე გულმა ეს მწვავედ განიცადა და ამის შემდეგ მალე გარდაიცვალა კიდევ. ზნეობრივი სიმაღლე, სულის სიწმინდე და მამულის წინაშე განუზომელი პასუხისმგებლობის გრძნობაა შექცეული ამ რაინდული საქციელის ჩვენებით.

„ჩემ თავგადასავალში“ ასახულია სოფლის ცხოვრება, საბავშვო თამაშობანი...

ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულია. ავტორი მხარს უჭერს სპარტულ აღზრდას. თვითონაც ასე იზრდებოდა სოფელში. „არ შემიძლია არ გამოვტყდე, რომ თუ კი რამ დარჩა ჩემში კარგი და კეთილი, უფრო იმის წყალობით, რომ მე სოფელში ვიყავი გაზარებული და გლეხის შვილებთან ერთად ვიზრდებოდი“.

აკრიტიკებს სწავლის იეზუიტურ რეჟიმს, საცოდაობის ფირფიტას, მხეც მასწავლებლებს... აკაკი სულხან-საბასა და დავით გურამიშვილის იდეების ერთგული გამგრძელებელია. იგი თავისი მოთხრობებით უპირისპირდება იმპერიულ პოლიტიკას, რომელიც მიზნად ისახავდა ეროვნული ცნობიერების წაშლას“. (ფრუიძე, 2011, გვ. 53)

აკაკის აზრით, მთავარია:

1. გონებრივი აღზრდა;
2. მორალური აღზრდა;
3. ფიზიკური აღზრდა (პოემა „ჭიდაობა“ და სხვა).

ბიბლიოგრაფია:

ბრეგაძე, ლ. (1988). შენც წახდი, მეც წამახდინე. *ცისკარი* (8).

გიორგაძე, ო. (1976). აკაკი წერეთლის ისტორიული მოთხრობების თემატიურ-იდეური სამყარო. *მაცნე: ენისა და ლიტერატურის სერია* (3).

კვიციანი, ე. (1991). სიმბოლო და ალეგორია აკაკის შემოქმედებაში. *ლიტერატურა და ხელოვნება* (2).

კუცია, ნ. (2011). კლასიკური რეალიზმი და აკაკი წერეთლის ალეგორიული მცირე პროზა. *საერთაშორისო სიმპოზიუმის მასლები*. თბილისი: შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი.

ნატროშვილი, გ. (1941). *ლიტერატურული ეტიუდები*. თბილისი: სახელგამი.

ფრუიძე, ნ. (2011). აკაკის პროზა. *აკაკი წერეთელი 170: საიუბილეო კრებული*. თბილისი.

ჩხეიძე, რ. (2017). *ხან მიწისა და ხან ცისა*. თბილისი.

წერეთელი, ა. (2010). *თხზულებათა სრული კრებული: 20 ტომად* (ტ. I). თბილისი: ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი.

წერეთელი, ა. (2011). *თხზულებათა სრული კრებული: 20 ტომად*. (ტ. II). თბილისი: ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი.

წერეთელი, ა. (2012). *თხზულებათა სრული კრებული: 20 ტომად* (ტ. III). თბილისი: ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი.

წერეთელი, ა. (2014). *თხზულებათა სრული კრებული: 20 ტომად* (ტ. IV). თბილისი: საქართველოს მაცნე.

Nino Vakhania
Sokhumi State University
AKAKI TSERETELI AND ISSUES OF UPBRINGING
RESUME

Alike other Georgians living in 60s, Akaki Tsereteli used to attribute great importance to right way of youth's upbringing. It is known that the great poet especially loved kids. Moreover, even in his late years he had a candid and ingenuous nature. According to poet's belief, the future should be based on present child. So, the fate of future was completely depended on the way of youth's upbringing.

The poet tries first of all to instill love of homeland to the kids. He attributes special importance to teaching philanthropy to learners, instillation of the idea on support of others. Akaki's verses often include appeal to labor. In his verses the love of nature is expressed on the one hand by the introduction of fauna and on the other hand by stunning description of seasons.

By writing kids stories he makes little reader to love the truth, care for the society, also depicts images of old knights, thus increasing respect to past, love of language and generally feeling of homeland.

We may say that Akaki Tsereteli by all means considers essential mental, moral and physical training of youth and attributes equal importance to all these three components in youth upbringing.

Keywords: Akaki Tsereteli, Upbringing, Mental, Moral, Physical.

თამარ ვეფხვაძე
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

„მღვრიემდე გაგვიმარჯვას!“ – გოდერძი ჩოხელის „წერილი ნაძვებს“

საკვანძო სიტყვები: ჩოხელი, მარადმწვანე ნაძვი, მეტაფორულ-სიმბოლური სახე, უფალი.

„ბალები სუფთა იბადებიან, ადამიანებს მერე გვემღვრევა სული!“ – ამბობს გოდერძი ჩოხელი თავის პატარა შესანიშნავ მოთხრობაში „მოხვევის სადღეგრძელო“.

გვებადება კითხვა: რატომ? რა არის ამის მიზეზი? და ავტორიც გვპასუხობს: „თანდათან ცოდვებით მღვრიე ცხოვრებას ვუერთდებით და იმად...“ იქვე კი აგრძელებს: „მანამ სული სუფთა გვაქვს, გული სუფთა გვაქვს, სუფთა საქმეებს ვაკეთებთ და ისე არ ავიმღვრევით, რო ვეღარ ვგებულობთ, საით მივდივართ, მანამდე გაგვიმარჯვას. მღვრიემდე გაგვიმარჯვას!“ (ჩოხელი, 2008, გვ. 141)

თვით გოდერძი ჩოხელი, აუმღვრეველი და მშვიდობისმყოფელი, სულ რამდენიმე წლის წინ შეუერთდა სულეთის სამყაროს. მისი ნაწარმოებები ერთი ამოსუნთქვით იკითხება და მწარედ ჩაგვაფიქრებს ამქვეყნიური ცხოვრების ავ-კარგზე. ავტორის მიზანიც ეს არის... ამ კუთხით გოდერძი ჩოხელის შემოქმედების შესახებ ლიტერატურათმცოდნე, კრიტიკოსი მანანა კვაჭანტირაძე ერთ-ერთ ინტერვიუში ამბობს: „გოდერძი ჩოხელი მწერალია და ნამდვილი მწერლობის დანიშნულებაც დღემდე ესაა - ადამიანის სულში მადლის მარცვლები დათესოს, სიკეთის ძალა შემატოს და „ღვთის ხატი“ გამოაღვიძოს. ამას პირდაპირაც ათქმევინებს თავის გმირებს და ირიბადაც - „შთაგონების“ ცნობილი ხერხით. ალბათ, გახსოვთ, იგი ხშირად ლაპარაკობს ღმერთზე, ამ სოფლიდან წასვლაზე, ამქვეყნიად მოსვლის მიზანზე, ადამიანში ღმერთის წილის განსაზღვრას ცდილობს. მოკლედ, თუკი რაიმეზე წერს, სწორედ ამაზე.“ როგორ შეინარჩუნოს ადამიანმა ჰუმანურობა, როგორ იცხოვროს აუმღვრეველად, როგორ აარიდოს თავი ცოდვებს და როგორ დაიხსნას სული - ეს ის მარადიული კითხვებია, რომლებიც კაცობრიობას აწუხებს დასაბამიდან დღემდე. იმ დღიდან, როცა აკრძალული ნაყოფის გასინჯვის შემდეგ ადამიანმა შეიძინა დამოუკიდებელი ცნობიერება, მაგრამ დაკარგა ღვთაებრივი ხატი. წუთისოფელი ხომ ადამიანის დროებითი სამკვიდროა. ადამიანმა საკუთარ თავში უნდა

აღადგინოს დაცემული ადამი და ამაღლებული, განმდრთობილი ცნობიერებით კვლავ დაემკვიდროს ზეცის სასუფეველში. მწერლისა და მწერლობის მისიაც ესაა, დაეხმაროს ადამიანებს საკუთარი თავის ძიებასა და პოვნაში. ძველი საბერძნეთის რელიგიურ-ფილოსოფიურ კერებსაც ეს ჰქონდათ დევიზად: „შეიცან თავი შენი“. მათაც მიაჩნდათ, რომ თუ ადამიანი საკუთარ თავს შეიცნობდა, – ეს სამყაროს შეცნობაც იყო. ხოლო რადგან „ლიტერატურაში აირეკლება ერის მრწამსი, ადათ-წესები, ეპოქალური მოვლენები თუ სარწმუნოებრივი იდეოლოგია, ამ „დანალექის“ კვლევა განსაკუთრებით საგულისხმოა“ (დათაშვილი, 2015, გვ. 4) „ქართული ლიტერატურა, ხომ, ქრისტიანული კულტურის ზედნაშენია და მასაც ერთი უმთავრესი მიზანი აქვს – თითოეულ ჩვენგანს დაეხმაროს, „ია-ვარდითამც გალიოს სულეთის ქვეყნისაკენ მიმავალი ამ წუთისოფლის შარაგზა“ (გოდერძი ჩოხელის ერთ-ერთი პერსონაჟის სიტყვები რომ მოვიშველიოთ) (დათაშვილი, 2015, გვ. 5). სწორედ ამიტომ მისი შემოქმედება დატვირთულია პარადიგმული სახეებითა და პერსონაჟებით.

გოდერძი ჩოხელი განსაკუთრებული მწერალია, ის დაიბადა (1954 წ.) ჯერ კიდევ უძრავობის ხანაში, კოლონიური რეჟიმისა და სტერეოტიპული აზროვნების დროს და, შესაბამისად, ძალიან რთული და სახიფათო იყო ასეთ თემებზე წერა. არსებობს მოსაზრება, როცა აზროვნება აკრძალულია, ეპოქის სულის ამოსაცნობად უნიჭო მწერალი უფრო მეტ მასალას იძლევა, ვიდრე ნიჭიერი. უნიჭო მწერალი ქვევრია, რომელსაც მხოლოდ ჩამახებული ამომახება შეუძლია. იგი ეპოქის კონიუნქტურას, დოგმასა და გემოვნებას ფოტოგრაფიულად ასახავს, რაკი თავისი აზრი არ გააჩნია, თუთიყუშით იმას იმეორებს, რაც ყოველდღე ესმის. ამ გადასახედიდან თუ ვიმსჯელებთ, გოდერძი ჩოხელი უნიჭიერესი მწერალია, რომელიც არაორდინალური, განსაკუთრებული მოვლენაა ქართულ მწერლობასა და კინემატოგრაფიაში. მისი მისტიკური შემოქმედების გაგება არცთუ ისე ადვილია, მეტიც, ზოგჯერ ძალიან რთულიც კია, რადგან ავტორი გამუდმებით „სულეთის სამყაროში“ მოგზაურობს და მკითხველსაც ამოგზაურებს. შეიძლება ითქვას, რომ გოდერძი ჩოხელი ყველაზე სევდიან, მაგრამ მართალ შემოქმედად არის მიჩნეული, რადგან მის ნაწარმოებებში ჩანს დიდი რწმენა და იმედი სულიერი ცხოვრებისა. ერთ-ერთ ლექსში: „მე აღარ წავალ საიქიოში,“ ამბობს:

„მე დავბრუნდები საიქიოდან,
ვიქნები მზეში, მზის ამოსვლაში...“

მაღალი ღმერთის სუნთქვა ვიქნები

სიყვარულს დავთეს ყველას გულეებში!..“ (ჩოხელი, 2011, გვ. 68)

გოდერძი ჩოხელის მეუღლე ნინო მელაშვილი იგონებს: გოდერძი ხშირად ამბობდა: „როგორ წარმომიდგენია სული? როცა ქართულ სიმღერას ვისმენ, თითქოს წინაპრების სულს ვხედავ, ერთად შეკრულს, აზუგუნებულს, ზეცისკენ მიმავალს... სული ნამგალს ჰგავს, ჩაჟანგება იცის ნამდვილად, სულ ეკიდება შენი წარსული, არსებობს ყანა, რომ ბოლომდე კარგად მოიმკას, სულს გაფხავება უნდა ქასურით. ქასური სალესი ქვაა, ხოლო გაფხავება გალესვა ნიშნავს. კარგია, რომ სული გააფხავო, მაგრამ რეცეპტი არ არსებობს, თუ როგორ უნდა იშოვო ის სალესი ქვა. სული მძიმდება წარსულით, იმ ყოფით, რა ყოფაშიც ხარ. სულს თითქოს ჟანგიც ეკიდება. სულიდან ჟანგის მოცილება ალბათ ისევ ღვთის რწმენით უნდა შეძლო. თუმცა არც ესაა მთლად შენზე დამოკიდებული. ხშირად სული ისეთ მდგომარეობაშია, რომ რწმენაშიც მერყეობს, თითქოს ღმერთს შორდება და აღარ იცის, რა ქნას. ხშირად კეთილად მშურს ხოლმე იმ ადამიანების, რომლებიც ალაღად არიან ღმერთს მინდობილნი. მათ უბრალოდ სწამთ და ყველაფერი ისეა, როგორც სწამთ. უბედურებაა, როდესაც იცი, რომ უნდა გწამდეს და მაინც რაღაცა გიშლის ხელს.“

მისნაირ ადამიანებს ყოველთვის უჭირთ, რადგან ღრმა გააზრება ამა თუ იმ პრობლემისა ყველას არ ძალუძს. გოდერძი ჩოხელი იყო იმ იშვიათთაგანი, რომლსაც შეეძლო განსხვავებულად შეეხედა და განსხვავებულად აღექვა ყველაფერი, თუმცა ეს მისთვის, რა თქმა უნდა, უდიდესი ტვირთიც იყო.

მისი ნაწარმოები „წერილი ნამძებს“ 1980 წელს დაიბეჭდა, (რომელიც შემდგომ ფილმადაც გადაიღეს). ნაწარმოებს უცნური სიუჟეტი აქვს. მთავარი მოქმედი გმირია ბერი, თუმცა კარგად არ იკვეთება ბერი სახელია თუ წოდება. მას ჰყავს მეუღლე, ქრისტიანული წესით კი ბერს მეუღლე არ უნდა ჰყავდეს. სავარაუდოდ, ბერი სახელად არის მოაზრებული, თუმცა ესეც შემთხვევითი არ უნდა იყოს. ნაწარმოებში მოქმედება ასე ვითარდება: როგორ უცნაურადაც არ უნდა გვეჩვენოს, ბერს, რომელსაც გული აწუხებს, მხარზე ნამძე ამოსვლია (ომში დაჭრილა და ტყეში ნამძის მტვერი ჩაყრია ჭრილობაში). ყველა განიცდის მის მდგომარეობას, ექიმი ურჩევს, გაიკეთოს რაღაც ნემსი, რომელიც გაახმობს ხეს და ბერსაც ეშველება, თუმცა ბერი სასტიკი წინააღმდეგია და მხოლოდ იმაზე ფიქრობს, როგორ გადაარჩინოს ხე. ამისთვის მიდის ბორჯომში, რათა ნამძემა უკეთესად იგრძნოს თავი, ასეც მოხდა: „უცებ აიყარა ტანი ნამძემა. ბერი გულ-მკერდში გრძნობდა იმის ფესვებს და წიწვების სახეში მოლამუნებით ტკბებოდა. ის ახლა ნამძის ყოველ ნაფიქრალს ხედებოდა, გრძნობდა, როგორ ელაპარაკებოდნენ ხეები ერთერთს. ბერი ახალ სამყაროს გრძნობდა, გრძნობდას და არა ხილვადს, უჩინარს, იდუმალებით მოცულს. ახლა

იმის სხეულში ორი სული იდგა და ეს ორი სხვადასხვა სული ერთუროს შერწყმას ლამობდა.“ (ჩოხელი, 2007, გვ. 40) რა თქმა უნდა, რთულია მიხვდე, რისი თქმა უნდა ავტორს. ბერი რთული და საინტერესო მხატვრული სახეა, რომელსაც მარადმწვანე ნაძვი მხარზე აქვს და მას სულს უწოდებს, რაღაც სიახლეს, რაღაც ახლის დაბადებას წითელ საუკუნეში... „გრძნობადს და არა ხილვადს“, როგორც მას ავტორი უწოდებს. ადამიანში მიჩქმალული გრძნობადი სამყაროს გაღვიძებას ლამობს გოდერძი ჩოხელი. ნაძვი ამბობს:

„აქაურ ტყეებს სიყვითლე შეეპარა. ამათ ძალიან უკვირთ, მე რომ სულ მწვანე ვარ და ფერს არ ვიცვლი. ეს კიდევ არაფერი, მე რომ სიარული შემიძლია, ამაზე მთლად გიჟდებიან, ალბათ ზეციდან მოვლენილი ვგონივარ, ისე მეკრძალებიან.“

მე ვუთხარი მათ, რომ არ ვარ სხვაგნინდან მოსული.

არ დამიჯერეს:

--თუ მიწაზე დაიბადე, რატო შენც ჩვენსავით ფერს არ იცვლი, შენიანებს სიარული არ შეუძლიათ, შენ დადიხარ, სადაც მოგესურვება, იქ დგები, თან ჩვენნაირი ფოთლები არ გაქვსო.

რა უნდა ვუთხრა... რით დავაჯერო. წიფელს კიდევ რამეს გააგებინებ, სხვები მთლად ურწმუნოები არიან.“ აქ აშკარაა ხაზგასმა რწმენასა და ურწმუნობაზე. მარადმწვანე ნაძვი მეტაფორული სახე უნდა იყოს უფლისა, რომელიც არ გაწირა და გაზარდა ბერმა. იმ დროს არაერთი ნაწარმოები დაიწერა, რომლებშიც ჩანდა სურვილი და მისწრაფება სულიერი ცხოვრების აღორძინებისა, ჩანდა ჩუმი მოწოდება საზოგადოების გამოსაფხიზებლად, რასაც დიდი სიფრთხილედ სჭირდებოდა. ასეთი იყო რეზო ინანიშვილის, ნოდარ დუმბაძის, ანა კალანდაძის, ნაირა გელაშვილის, ჯემალ ქარჩხაძის, გურამ დოჩანაშვილის, ოთარ ჭილაძის და სხვათა ნაწარმოებები. როგორც ზემოთ ვთქვით, მწერალს, შემოქმედს დიდი როლი აკისრია ერის სულიერი ცხოვრების წარმართვაში, მაგრამ ეს როლი კიდევ უფრო მეტად ეკისრება ეკლესიას, რომლის აღორძინებაც ეპოქალური მოვლენა იყო იმ დროს, მრავალსაუკუნოვანი ქრისტიანული ტრადიციების მქონე ქვეყანაში.

ცხადია, ეს ნაწარმოები მცდელობაა ღმერთთან მიახლოებისა, სულიერი საწყისის მიებისა და ვინ უნდა იყოს ამ დიდ საქმეში პირველი, თუ არა სასულიერო პირი, რისი მანიშნებელიცაა გოდერძი ჩოხელის პერსონაჟი – სახელად, ბერი. მოთხრობა „წერილი ნაძვებს“ რომ დაკარგული ღმერთის ძიებაა, ადასტურებს შემდეგი ეპიზოდიც:

„სოფლის თავს ერთი ბებერი კაცი ცხოვრობს, არც ცოლ-შვილი ჰყავს იმ კაცს, არც და-ძმები, მარტოა, რაც თავი მახსოვს. ადრე ღმერთი არა სწამდა და სოფელს იმიტომ გამოშორდა სოფლის თავს სახლი აიშენა და შეუვალი ღობე შემოავლო. მთელი თავისი სიცოცხლე ღმერთის გმობაში გაატარა. ახლა მოხუცდა, ჯან-ღონე წაერთვა და სიღარიბემ წელში მოხარა. სამადლოდ თუ ვინმე მიაწვდის პურ-წყალს. ჩამომხმარ სხეულში ცოდვილობს იმისი სული. ყოველდღე ღმერთს ევედრება შეწყალებას... სახლის წინ მუხლებზე დაჩოქილი დგას ხოლმე და ცას შესძახის:

„ჩამომეშველე, ზენაარო,

ეგ თალხი კალთა ჩამომაფარე...

წამიყვანე!..

თორემ დავიღალე,

ამ ბნელ მღვიმეში ყოფნით დავიღალე...“

და ამ ლოცვის დროს მე თუ დამინახა, აკანკალებული მეხვეწება:

სთხოვე უფალს, ჩამომეშველოს,

სთხოვე, ჩამომეშველოს,

მიშველე, სთხოვე...“

სულის შემძვრელია ეს მონოლოგი. ბერიც სთხოვს შემწეობას, მაგრამ „არ სჩანს გამკითხავი. იგვიანებს...“

ავტორი ხაზს უსვამს იმას, რომ თხოვნა დაგვიანებულია, ხაზს უსვამს იმასაც, რომ ადამიანის სული თავისას ითხოვს, ადრე თუ გვიან, საწყისს უბრუნდება და უფლისკენ მიიწევს.

ნოდარ დუმბაძე „მზიან ღამეში“ წერდა: „ღმერთი ისე ნათელია, ისე ახლობელი, ისე ცხადი და ისე უბრალო, რომ როდესაც ხედავ, არ იცი, რომ ღმერთია, ამიტომ არ წამთ ღმერთი. ღმერთი რომ სხვაგან იყოს, შორს ჩვენგან, ცალკე და მაღლა, ღმერთი რომ ჩვენში არ იყოს, მაშინ ყველა იწამებდა. ამაშია საქმე!.. ღმერთი მაშინ უნდა იწამო, ღმერთის სახე რომ არ აქვს, რომ არ ჰგავს ღმერთს, რომ არ გეუბნება, ღმერთი ვარო...“ (დუმბაძე, 1980, გვ. 223)

„ღმერთი?“ – პირდაპირ კითხულობს ავტორი და პასუხსაც პირდაპირ სცემს: „მე მწამს ღმერთი, რადგან მწამს დედამიწა და რაკი ჩვენ ყველანი დედამიწის ნაწილი ვართ, ალბათ, დედამიწაც ასევე ღმერთის ნაწილია... ალბათ, როგორც დედამიწას შეერთვიან მისგან გამოსული სახეები, თვითონ დედამიწაც შეერთვის ღმერთს.“

მე რატომღაც მგონია, რომ ღმერთი ერთია და ამასთანავე იმდენი, რამდენი სახეცა დგას მასში“. გავბედავ და ვიტყვი, რომ ეს განმარტება არის ჩოხელისეული აღქმა უფლისა, ეს იყო იმ მიების შედეგი, რაც მის სულში ხდებოდა. ერის გამოღვიძლებას ყოველთვის სჭირდება ბიძგი, დიდი შინაგანი ძალა, რომელიც ერისა და უფლის რჩეულებს აქვთ მხოლოდ...

„რა უნდა გააკეთოს პიროვნებამ იმისთვის, რომ გახარებული იყოს ამა-სოფელსა შინა? უპირველეს ყოვლისა, საჭიროა გვექონდეს რწმენა, არა ნებისმიერი, არამედ ჭეშმარიტი მართლმადიდებელი სარწმუნოებისა, რომელმაც გადაარჩინა ჩვენი წინაპრები, ჩვენი სამშობლო და რომელსაც ადამიანი მიჰყავს უფალთან, სასუფეველში.

ვეიქრობ, აუცილებელია რამდენიმე სიტყვით შევეხოთ ეკლესიის როლს. მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ ეკლესია იესო ქრისტეს - ღმერთის მისტიური სხეულია და იგი თვით უფლის მიერ არის დადგინებული. „კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესია ჩემი და ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდიან მას (მათე 16, 18) - ბრძანებს მაცხოვარი. მხოლოდ მართლმადიდებელი ეკლესიის მადლით არის შესაძლებელი აბსოლუტურ ჭეშმარიტებასთან მიახლება, სულიერი სრულყოფის კიბეზე ამაღლება, ოდენ იგი იცავს განუყოფელი სამოციქულო ეკლესიის რწმენას და ტრადიციებს. წმიდა ირინეოს ლიონელი ამბობს: „სადაც ეკლესიაა, ის სულიწმიდაა და სადაც სულიწმიდაა, იქ ეკლესიაა მისი სრული ჭეშმარიტებით“.

ჩვენ რთულ ეპოქაში გვიხდება ცხოვრება. ბოროტი ყოველნაირად ცდილობს ეკლესიაში განხეთქილებისა და შფოთვის შემოტანას. დღეს მართლმადიდებელ ქრისტიანს დინების აღმა უხდება სვლა, რაც სულ უფრო მეტ წინააღმდეგობებს გვიქმნის, მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა, ჩვენ მაინც უნდა ვიაროთ ამ გზით.

მე ვაფრთხილებ ჩვენს ხალხს, ჩვენს მორწმუნეთ: იყავით დაკვირვებულნი და ყურადღებიანი: ნუ დაკარგავთ ჭეშმარიტებას, ნუ დაკარგავთ ჩვენს სარწმუნოებას, მიწიერ საცდურზე ნუ გაცვლით მარადიულ ცხოვრებას, თორემ მერე გვიან იქნება...“ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II.

საყურადღებოა ნაწარმოების დასასრული: „ბერმა ღრმა ორმო ამოთხარა და შიგ ჩადგა. მერე ნათხარი მიწა შიგნით ჩაიყარა და ხელებით ფეხებში ჩაიტკეპნა წელამდე.

იდგა ასე.

უკანასკნელი, რაც ბერმა იგრძნო, ის იყო, თუ როგორ შეავსო ორმა სხეულმა ერთი მთლიანი და გახდა ერთსახე, რომელიც წვრილი ფეხებით საოცარი სისწრაფით ჩაებლაუჭა მიწას.

ხოლო პირველი, რაც ნაძვმა იგრძნო, ეს მზის ამოსვლა იყო.“ (ჩოხელი, 2007, გვ. 44)

ორი სიმბოლიკა იყრის ერთად თავს, მარადმწვანე ნაძვი და მარადიული მზე.

„ორი მზე – საცნაური და უცნაური! – ასე განმარტავს მას დავით გურამიშვილი. ერთი მზე – ასტრონომიული პლანეტა და მეორე მზე – უფლის მეტაფორა. საცნაური მზისთვის თვალის გასწორებაც კი ჭირს, ხოლო უცნაური მზის (უფლის) გზა-კვალის ცნობა კიდევ უფრო რთულია: „ო! ღმერთის სიმდიდრეთა და სიბრძნისა და შემეცნების სიღრმე! როგორ ჩაუწვდომელნი არიან მისნი სამართალნი და მიუკვლეველნი მისი გზები!“ (რომაელთა 12, 33). (ბარბაქაძე, 2014)

გრიგოლ რობაქიძე პუბლიცისტურ წრილში: „მზის ხანა საქართველოში“ ამბობს:

„ასევე შეიძლება გავიხსენოთ სულხან-საბა ორბელიანის განმარტება სიტყვისა „ღმერთი“: „წვა და ხედვა“. ეს განმარტება მზეზეა თითქო გამოჭრილი. მზე იწვის, არ იფერფლება, იწვის და „მზერს“ – ანათებს...

მზისგან იშვის სხივი და ნივთიერი იღებს „სახეს“ – იმდენად, რამდენად იგივე სხივმფენია. მხოლოდ სხივის გამოკრთომით ეზიარების ნივთიერი ღვთიურსა: იქცევა „სახიერ“. არც ერთ ენაში არ იხმარება ზედმესრულიო „სახიერი“ ღვთის მიმართ ისეთი ღრმა მნიშვნელობით, როგორც სწორედ ქართულში. რაც სახიერია, ის ღთიურია – ასე ვგონებთ ქართველნი.“

მზის სიმბოლიკა არაერთ მწერალსა და პოეტს აქვს გამოყენებული თავის ნაწარმოებში უფლის ან ღვთისმშობლის მხატვრულ სახედ. გავიხსენოთ, მაგალითად, დავით გურამიშვილი: „სახით სიტყვა შევნიერო, სხიო, მზეთა მზის სახეო, ვეძებე და შენი მსგავსი მე აქ ვერცადა ვნახეო...“. (როდონაია, გიგინეიშვილი, გრიგოლაშვილი, 2012, გვ. 359) ან კიდევ:

„დიდება შენდა, დიდება, სახით მზეთა მზეო,
მიუწვდომელო ნათელო, გრძელო ძველო დღეო,
უფალო უფლებათაო, მეფეთ მეუფეო!“

(როდონაია, გიგინეიშვილი, გრიგოლაშვილი, 2012, გვ. 360)

გავიხსენოთ გალაქტიონიც, რომელიც ღვთისმშობელს მიმართავს: „დედაო ღვთისავე, მზეო მარიაო!“ (ტაბიძე, 1988, გვ. 129)

ცხადია, პირველ შემთხვევაში მზე უფლის მეტაფორაა, ხოლო მეორე შემთხვევაში ღვთისშობლის. ამ პრინციპით თუ ვიმსჯელებთ, მზე, რომლის ამოსვლაც ნაძვმა იგრძნო, უფალთან მიახლოებას უნდა ნიშნავდეს, თვით მარადმწვანე ნაძვიც მეტაფორული სახეა მარადიულობისა და დაუსრულებელი სიცოცხლისა. ასეთივე მეტაფორას იყენებს გურამ დოჩანაშვილი თავის გენიალურ რომანში „სამოსელი პირველი“, რომლის ერთ-ერთ ეპიზოდში სრულიად უდანაშაულო, ძალადობის მსხვერპლი ბალახისფერი კაცის გარდაცვალების ადგილას მარადმწვანე ფიჭვი ამოდის.

საბოლოოდ, შეიძლება მაინც გაუჩნდეს ვინმეს კითხვა: რას შეეწირა ბერის სიცოცხლე? ჩემი აზრით, აქ სულიერი თვალთვალის საჭირო და საკითხავიც აღარაფერი რჩება, უფლის შეცნობა დიდ მონდომებასა და ძალისხმევას მოითხოვს, ავტორს სურს გვითხრას, რომ თითოეულმა ჩვენგანმა უნდა გაზარდოს გულში ქრისტე, „რამეთუ ესრეთ შეიყუარა ღმერთმან სოფელი ესე, ვითარმედ ძეცა თვისი მხოლოდშობილი მოსცა მას, რაითა ყოველსა, რომელსა ჰრწმენეს იგი, არა წარწყმდეს, არამედ აქუნდეს ცხორებაჲ საუკუნოდ“ [იოან. 3,16].

წმინდა იოანე ოქროპირი ამბობს, რომ ქრისტეს დაბადება შეუძლებელია გააზრებულ იქნეს ადამიანური ლოგიკით. ეს არის სასწაული, რომელიც აღემატება ადამიანის გონებას. „ნუ შემეკითხები: როგორ მოხდა სასწაული? რამეთუ, როდესაც ბრძანებს უფალი, ბუნება მხოლოდ მორჩილებს; მან ინება და შეძლო, მოვიდა და გვიხსნა! ღვთის ნებამ არ იცის, რა არის წინააღმდეგობა და არსებული უწინარეს ყოველთა საუკუნეთა - დღეს ხორციელდება!“ მაგრამ ღვთის განხორციელების საიდუმლო გასაგები ხდება მისთვის, ვისი გულიც გამთბარია რწმენითა და სიყვარულით, იმიტომ, რომ ეს სიყვარულის საიდუმლოა. სიყვარულის საიდუმლო გაუგებარია იმათთვის, ვისაც არ ძალუძს რწმენა და სიყვარული, მაგრამ გასაგებია მათთვის, ვისაც ძალუძს თავისი სიყვარულით უპასუხოს ჩვენს მოყვარულ უფალს. (საშობაო ეპისტოლე, 1980)

თავის გმირებს შორის გაზრდილი გოდერძი ჩოხელი ამბობდა:

„ეს ჩემი სულის ლოცვებია, სიმარტოვეში დავწერე. მიწოდდა რაღაცით გამეთბეთ. ღმერთო შემინდე! ისე ვილოცე, როგორც შევძელი“. (ჩოხელი, 2011, გვ. 3)

და ბოლოს, „ადამიანები იმიტომაც ბერდებიან, რომ, სხვა ყველაფერთან ერთად, თანდათანობით აკლდებათ სითბო: მშობლების სითბო, შვილების სითბო, შეყვარებულის სითბო, მეგობრებისა და ახლობელი ადამიანების სითბო და, რაც მთავარია, იმედის სითბო. ადამიანს დაბადებიდან სულ თან დაჰყვება იმედის სითბო, ფიქრობს, რომ ერთხელაც იქნება... მაგრამ რაკი ის რაღაც ამ ქვეყანაზე თურმე არ ხდება, ნელ-ნელა, რაც წლები გადის, თანდათანობით ქრება იმედის სითბო და, მართალია, სიკვდილამდე მაინც ღვივის მისი ნაპეწკლები ადამიანის სულში, მაინც საზარელია სიმარტოვის ჟამს საიდანღაც მონა ქროლის ამაოების ქარი.“ (ჩოხელი, 2008, გვ. 35)

ბიბლიოგრაფია:

ბარბაქაძე, ც. (2014 წლის 25 მარტი). „მზის“ მეტაფორები. მოძიებულია 2018 წლის 11 ივნისს ვებგვერდიდან: <http://mastsavlebeli.ge/?p=3943>

დათაშვილი ლ. (2015). *ოღამი ქართულ ლიტერატურაში*. თბილისი.

დუმბაძე ნ. (1980). *მზიანი ღამე*. თბილისი.

რობაქიძე, გ. (2009 წლის 30 მაისი). *მზის ხანა საქართველოში*. მოძიებულია 2018 წლის 11 ივნისს ვებგვერდიდან: <https://burusi.wordpress.com/2009/05/30/გრიგოლ-რობაქიძე-მზის-ხან/>

როდონაია, ვ., გიგინეიშვილი, მ., გრიგოლაშვილი ლ., (2012). *ქართული ენა და ლიტერატურა*. X კლასის სახელმძღვანელო, თბილისი: „სწავლანი“.

საშობაო ეპისტოლე. (1980). საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ელ-რესურსი, მოძიებულია 2018 წლის 10 ივნისს ვებგვერდიდან: <http://www.nplg.gov.ge/gsdll/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0patriarc--00-1---0-10-0---0---0direct-10---4-----0-0l--11-ru-50---20-about---00-3-1-00-0-11-1-0utfZz-8-00&cl=CL3&d=HASH012a036bfffac05d2a4cbaf4a.1.4.4>=1>

ტაბიძე გ. (1988). *თხზულებანი ორ წიგნად*, წ. I, ლექსები, თბილისი: საბჭოთა საქართველო.

ჩოხელი, გ. (2007). *თხზულებანი: 5 ტომად* (ტ. 1). თბილისი: საქართველოს მაცნე.

ჩოხელი, გ. (2008). *თხზულებანი: 5 ტომად* (ტ. 2). თბილისი: საქართველოს მაცნე.

ჩოხელი, გ. (2010). *თხზულებანი: 5 ტომად* (ტ. 3). თბილისი: საქართველოს მაცნე.

ჩოხელი, გ. (2011). *თხზულებანი: 5 ტომად* (ტ. 4). თბილისი: საქართველოს მაცნე.

ჩხარტიშვილი, ლ. (თ. გ.). *მანანა კვაჭანტირაძე - "სიტყვა გოდერძი ჩოხელის შემოქმედებაში"*. მოძიებულია 2018 წლის 11 ივნისს ვებგვერდიდან: <https://www.georoyal.ge/?MTID=5&TID=46&id=2568>

Tamar Vepkhvadze
Sokhumi State University
“CHEERS TO US TILL WE STAY CLEAN” GODERDZI CHOKHELI –
“A LETTER TO THE FIRS!”
RESUME

The current work is dedicated to a particular phenomon of XX century Georgian literature - Goderdzi Chokheli. “Know Your Self” – has been heard since the antic times and to our great sorrow a human – the one born as an image of God, cannot still know oneself. All the works by Goderdzi Chokheli consider this eternal problem. Their purpose is to help people to find his/her self and soul. Goderdzi Chokheli is the most talented writer and an extraordinary representative of Georgian literature and cinematography. His work “A Letter to the Firs!” is also extraordinary. Though the work starts with the words: “Cheers to Us till We Stay Clean” from his own work “Mokheve’s Tost”. The aim of this letter as well as of all Goderdzi Chokheli’s creations is to help a human to keep the inner balance so that each of us could end the road from this world to that one easily.

Keywords: Chokheli, Evergreen fir, Metaphorical-symbolic face, Lord.

ელენე ზურაბაშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უცხო სიტყვების დამკვიდრების ტენდენცია ქართულ ლექსიკაში

საკვანძო სიტყვები: თვითმყოფადობა, ლექსიკა, შენარჩუნება, დამკვიდრება, მენტალიტეტი.

ენა, როგორც სისტემა, უპირველესად ლინგვისტიკის ობიექტია და მისი განსაზღვრა, ბუნებრივია, ადეკვატური უნდა იყოს იმ მოთხოვნებისა, რასაც ენათმეცნიერება უყენებს. „ენა ნიშანთა სისტემაა“, - აღნიშნავდა ავ. არაბული. (არაბული, 2013, გვ. 315) ამავე დროს ენა, ობიექტური რეალობაა, როგორც ცნობიერი არსებობის უმთავრესი საშუალება. რაც მთავარია, „ის არის „თვისობრივი“ თვითიდენტიფიკაციის, ადამიანთა საზოგადოების განყოფისა თუ გაერთიანება-კონსოლიდაციის შინაგანი დვრიტა, კაცობრიობის ისტორიის მთავარი ენერგია. სრულიად აშკარაა, რომ ენის ფაქტორი ერთ-ერთი მთავარი წარმმართველი და კატალიზატორი იყო ლოკალური თუ გლობალური ისტორიული პროცესებისა“. (არაბული, 2013, გვ. 316)

სამყაროს შექმნა ადამიანს მხოლოდ ენის საშუალებით შეუძლია. ენა იმავდროულად პიროვნების სოციალური და ეროვნული ვინაობის გამომხატველია. ბ. ჯორბენაძის აზრით: „ენა არა მხოლოდ აზრის გამოხატვის ან ურთიერთობის საშუალებაა, არამედ უშუალოდაა დაკავშირებული თვით აზრის ფორმირების პროცესთან“. (ჯორბენაძე, 1997, გვ. 132) ბ. ჯორბენაძე იხსენებს ლ. ვაისგერბერის სიტყვებს: „ენა უნდა განხილულ იქნეს, როგორც კულტურის წარმომქმნელი ძალა, რამეთუ სწორედ ენაა აუცილებელი პირობა ადამიანის კულტურის შემოქმედებაში და უშუალოდ მონაწილეობს მისი რეზულტატების ჩამოყალიბებაში. იგივე პრინციპი განსაზღვრავს ენის გაგებას, როგორც ისტორიის წარმომქმნელ ძალას, რადგან იგი მოიცავს და სულიერად ასტიმულირებს ისტორიული ცხოვრების მუდმივ მატარებელს - ხალხს“. (ჯორბენაძე, 1997, გვ. 133)

ბუნებრივი გარემო დიდ გავლენას ახდენს საუკუნეთა განმავლობაში მცხოვრები ხალხის მენტალიტეტზე, კულტურის თავისებურებებზე, ტრადიციებზე, ფოლკლორზე. აღნიშნული შეხედულების დამტკიცება ადვილად შესაძლებელია ბუნებრივი გარემოსა და მასში მცხოვრები ხალხის კულტურის თავისებურებებზე. ერების, კულტურების ხელოვნური შერწყმით, მათი გაქრობისაკენ სწრაფვით გლობალიზაციური პროცესების მმართველი მთავრობების საქმიანობამ კაცობრიობამ

შეიძლება მძიმე პრობლემების წინაშე დააყენოს. ამის სიმპტომები დღევანდელობაში მრავლადაა, როგორცაა ტერორიზმი, ლოკალური კონფლიქტები და სხვათა სახე. მართლაც, ეროვნული თვითმყოფადობა არის ის, რისი დაკარგვის უფლებაც არც ერთ ქართველს არ აქვს. მსოფლიო გლობალიზაციის პირობებში სახელმწიფოთა პოლიტიკური და ეკონომიკური საზღვრები უწინდელ მნიშვნელობას კარგავს, რასაც თან სდევს ხალხებისა და კულტურების ასიმილირების რთული პროცესი. ამიტომ ეროვნული იდენტიფიკაციის უმთავრეს ფაქტორად კულტურული არეალიდა რჩება, მით უმეტეს, ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორცაა საქართველო.

ერის თვითმყოფადობის ჩამოყალიბებისა და შენარჩუნების პროცესში არაფერია უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე მშობლიური ენა და მისი თითმყოფადობა. შემთხვევითი არ იყო, რომ მე-19 საუკუნის ქართული ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის სიმბოლოს, მიზანს, რწმენასა და მამულთან ერთად, ენა და მისი დაცვა წარმოადგენდა. თუმცა მშობლიური ენის მნიშვნელობას მარტო ჩვენ - ქართველები არ მივხვდარვართ. საუკუნეების განმავლობაში მსოფლიოს ყველა კონტინენტზე არაერთი გამათავისუფლებელი მოძრაობის თუ საგანმანათლებლო-ფილოსოფიური მიმდინარეობის ერთ-ერთი მთავარი მამომრავებელი მოტივი სწორედ მშობლიური ენის თვითმყოფადობის შენარჩუნება იყო.

ეროვნული კრიზისი ყველაზე უფრო თბილისურ მეტყველებას დაეტყო. ცოცხალი კილოების ტენდენციების შესისხლხორცებამ ქართული ენა გადაარჩინა. ეს პროცესი მე-19 საუკუნის 60-იანი წლებიდან დაიწყო თერგდალეულთა მესვეურობით. თბილისურ მეტყველებაში ინტენსიურად დაიწყო შემოსვლა ქართული ენის დიალექტებისათვის დამახასიათებელმა მოვლენებმა. ცნობილია მთელი ათწლეულები, როცა თბილისი არაქართველი მმართველობის ხელში იყო. მაგრამ ამას რაიმე მკვეთრი ზეგავლენა თბილისურ ქართულზე არ მოუხდენია (არსებული დოკუმენტებით არ ჩანს).

ქალაქური მეტყველების თავისებურებანი უშუალოდაა დაკავშირებული თბილისის ინდუსტრიალიზაციის პროცესთან ხელოსნობის, ვაჭრობის ინტენსიურ განვითარებასთან. ქალაქში თავს იყრიდა საქართველოს სხვადასხვა ეთნოგრაფიული მხარის წარმომადგენლობა. მახლობელი თუ შორეული ქვეყნიდან მოსულ ვაჭრებსა და ხელოსნებს უხვად შემოჰქონდათ უცხოური ტერმინოლოგია. მე-19 საუკუნის 60-იანი წლებიდან კი ისახება თბილისის ევროპეიზაციის ტენდენცია, რაც თავისებურ გამოძახილს პოულობს მეტყველებაში. სწორედ ამ მიმართულებამ განსაზღვრა ახალი სალიტერატურო ქართული ენის ჩამოყალიბება. ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დადგენამ შეზღუდა განუკითხავი სესხების პროცესი.

უკანასკნელ წლებში, ქართულ ენაში ინგლისური სიტყვების დიდი ნაკადი შემოვიდა, რომელიც უკვე არსებულ სიტყვათა მარაგის გაძვეების ხარჯზე მკვიდრდება. ამ უცხოურ სიტყვებს ქართულ ენაში უკვე აქვს არათუ ერთი, არამედ რამდენიმე სინონიმი. თუმცა მათ ქართულ ენაში დამკვიდრებას არავითარი საფუძველი არ გააჩნია, რადგან ენას უზარმაზარი ლექსიკური მარაგი აქვს.

ამ საკითხთან დაკავშირებით მინდა მოვიშველიო პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორის ვასილ რუხაძის მოსაზრება: „პირველი პრობლემა გახლავთ ჩვენს ენაში უცხოური სიტყვების, კერძოდ კი ინგლისურის მასობრივი შემოდინება, რამაც უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში ქართული ენა წალეკა. ქართული ტელევიზორებიდან, ინტერნეტ-სივრციდან თუ საგაზეთო ფურცლებიდან ვაი-ჟურნალისტები, პოლიტიკოსები, ხელოვნების მოღვაწეები და ინტელექტუალები სრულიად ხელოვნურად ამკვიდრებენ ინგლისურ, ქართველი ადამიანისთვის სრულიად გაუგებარ ახალ სიტყვებს, რომლებიც თანდათანობით ქართულ ენას ხმარებიდან ამევენ. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ არცთუ იშვიათად მათ მიერ დაწერილ თუ წარმოთქმულ ყოველ წინადადებაში გამოყენებული სიტყვების ნახევარი უცხოურია“ (რუხაძე, 2016). ამ მოსაზრების დასადასტურებლად მაგალითად მინდა მოვიყვანო ქართულ ენაში დამკვიდრებული უცხოური სიტყვების მხოლოდ მცირე ნაწილი:

- „ნიუსი“ (news) ახალი ამბები.
- „გლამურული“ (glamorous) მიმზიდველი, მომაჯადოებელი.
- „სენსიტიური“ (sensitive) მგრძობიარე.
- „თიმი“ (team) გუნდი.
- „შოუ“ (show) სანახაობა.
- „კასტინგი“ (casting) მსახიობების შერჩევა.

დედამიწაზე არ არსებობს ისეთი ენები, რომლებიც მთლიანად საკუთარ სიტყვათა მარაგს ეყრდნობა. საუკუნეების განმავლობაში მსოფლიოს ყველა ენამ უამრავი უცხო სიტყვა ერთმანეთისაგან შეითვისა. გამონაკლისი, რა თქმა უნდა, არც ქართულია, რომლის წიაღში დროთა განმავლობაში ადგილი დაიმკვიდრა არაერთმა ბერძნულმა, ლათინურმა, არაბულმა, სპარსულმა და თურქულმა სიტყვამ. ენის სიტყვათა ახალი მარაგით გამდიდრება ბუნებრივი პროცესია, რომელშიც თავისთავად ქართული ენაც ჩართულია. მაგრამ ეს მხოლოდ მაშინ ხდება, თუკი ყოველი ახალი უცხოური სიტყვა ენაში არარსებული

სიტყვის ადგილს იკავებს, სიცარიელეს ავსებს და მასში ახალი მნიშვნელობა და აზრი შეაქვს. წინააღმდეგ შემთხვევაში უცხოური სიტყვა უკვე არსებულს ამეცებს და ენის ნელი გადაგვარებისა და კვდომის პროცესს წარმოშობს.

მეორე, არანაკლებ მტკივნეული პრობლემაა სალიტერატურო ქართულში ქუჩის ენის ანუ ე.წ. „ჭარგონის“ (ინგლისურად sleng) დამკვიდრება. „ჭარგონული“ ლექსიკა ყოველ ენაში არსებობს. შეიძლება ითქვას, იგი ნებისმიერი ენის განუყოფელი ნაწილია, მაგრამ ის ფაქტი, რომ „ჭარგონი“ ენის ნაწილია, სრულიადაც არ ნიშნავს, რომ მან სალიტერატურო ენაში უნდა დაიმკვიდროს ადგილი.

ქართულ ენაში „ჭარგონის“ და სხვა დამახინჯებული სიტყვების ესოდენ მომძლავრების უმთავრესი მიზეზი ჩვენში ზოგადი განათლების დონის მკვეთრი დაცემაა. მან ასევე მძლავრი უარყოფითი გავლენა მოახდინა თანამედროვე მწერლების, ჟურნალისტების, პოლიტიკოსებისა და ინტელექტუალების წერისა და მეტყველების ზოგად კულტურაზე. სატელევიზიო ეთერში, ინტერნეტ სივრცესა და თუ საგაზეთო ფურცლებზე დღეს ძალიან იშვიათად წავიკითხავთ ან მოვისმენთ გრამატიკულად, სტილისტურად გამართულ სრულ წინადადებებს, რომელიც აზრს ნათლად და სალიტერატურო ქართულით გადმოსცემს. ეს პრობლემა განსაკუთრებით ნათლად ჩანს ქართველ ტელეჟურნალისტთა მეტყველებაში. მათი უდიდესი ნაწილის ლექსიკური მარაგი ძალიან ღარიბია და შესაბამისად უჭირთ წინადადებების ჩამოყალიბება, აზრისა თუ მომხდარი ამბის გამართული, სალიტერატურო ქართულით გადმოცემა.

სამწუხაროდ, ჩვენი საზოგადოების, როგორც ერის ქართული ენისადმი უდიერი და უფრო მეტიც, მავნებლური დამოკიდებულება მხოლოდ ბარბარიზმებისა და ქუჩის ენის დამკვიდრებით არ შემოიფარგლება. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ უკანასკნელ 10-15 წელიწადში საზოგადოების ერთ ნაწილში ქართული ენა და ქართულ ენაზე საუბარი ერთგვარ ტვირთად, სოციალური, კულტურული და ინტელექტუალური ჩამორჩენილობის ნიშნად იქცა. სამაგიეროდ, განვითარებულობის „უტყუარ ნიშნად“ გვევლინება უცხო ენაზე, განსაკუთრებით კი ინგლისურ ენაზე მეტყველება. ქართველების საკმაოდ დიდი ნაწილი მიზანმიმართულად ერიდება ქართულად საუბარს.

ქართული მართლმადიდებლური ქრისტიანული კულტურის ტრადიციები გამორჩეულად გამძლე და მკვიდრი აღმოჩნდა დროთა, ვითარებათა მძაფრი ძვრების მიმართ. ავთანდილ არაბული აღნიშნავდა: „ეს გამძლეობა უწინარესად ქართული ენის შედარებითი „უცვალებლობის“ უნიკალურ ფენომენში გამოიხატა. არ მოიძებნება მეორე ისეთი ენა, რომელსაც ხილული თხუთმეტი-თექვსმეტი საუკუნის განმავლობაში ასე შეენარჩუნებინოს სტრუქტურული ბუნება და სისტემური მთლიანობა“. (არაბული, 2013, გვ. 11)

ქართული კულტურის ეს ფენომენი, რომელსაც კარგად მიესადაგა რ. თვარამის ფორმულა - „თხუთმეტსაუკუნოვანი მთლიანობა“ (არაბული, 2013, გვ. 11) აღიარებულია ქართველოლოგთა, როგორც ლიტერატორთა, ისე ლინგვისტთა მიერ.

ი. გრიშაშვილი წერდა: „არავინ უნდა შეშინდეს ქართული ენის სიჭრელით. უხსოვარ დროთაგან მიღებულ ლექსიკურ მასალას ვერ შეუძლიან დაამახინჯოს ენა, რომლის სილამაზეც ჩვენ უნდა ვვძებოთ მის საერთო აგებულებაში, მის საერთო სინტაქსში“. (გრიშაშვილი, 1985, გვ. 143)

გარდა ამისა, ქართულ ენას, ისევე და ისევე მისი უნიკალურობისა და ლექსიკური სიმდიდრის გამო, დიდი პოტენცია აქვს. ისევე როგორც ერთ დროს იზოლირებული, რეგიონული მასშტაბის ესპანური და ინგლისური ენები საერთაშორისო ენად იქცნენ. თუმცა სავარაუდოდ, ასევე წარმოუდგენელი იქნებოდა მე-12, მე-13 საუკუნის ინგლისელისთვის ის აზრი, რომ მსოფლიოს დიდი ნაწილი ოდესმე მის მშობლიურ ენაზე იმეტყველებდა. იმისთვის, რომ ქართულმა ენამ ოდესმე მსგავს წარმატებას მიაღწიოს, საჭიროა დღეს მისი თვითმყოფადობა დავიცვათ. ამის გარეშე ის სწრაფად დაკარგავს თავის განსაკუთრებულ, უმდიდრეს სიტყვათა მარაგს და ხმოვანებას და სხვა ენების მკვდარ დანამატად გადაიქცევა.

მშობლიური ენის შენარჩუნების საკითხი და მასთან დაკავშირებით ბილინგვიზმის პრობლემაც განსაკუთრებით მწვავედ დაისვა ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში. აქ უკვე ჩამოყალიბდა მთელი თეორიული დებულებები, თუ რა მნიშვნელობა აქვს ენას ერისთვის. ბ. ჯორბენაძე აღნიშნავდა: „ერი, რომელიც ნებაყოფლობითა თუ ძალდატანებით უარს იტყვის შექმნას სამეცნიერო ლიტერატურა მშობლიურ ენაზე, ყოველწლიურად გონებრივი განვითარებით ათი წლით ჩამორჩება იმ ერებს, რომელთა ენებზეც ასეთი ლიტერატურა იქნება. ეს საკითხი მწვავე ეროვნული საკითხია. წინააღმდეგ უნდა ვიყოთ იმგვარი ბილინგვიზმისა, რომელსაც შეფარულად მოაქვს მეორე ენა ე. წ. „მშობლიურ ენად“. (ჯორბენაძე, 1997, გვ. 30)

დასკვნის სახით მინდა ვთქვა, რომ ქართულ სახელმწიფო ენას საკმაოდ დიდი საფრთხე ემუქრება, სადაც შეიძლება განვიხილოთ ზემოთ აღნიშნული პრობლემები, თუმცა ერთი რამ ფაქტია: ქართული ენა, მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი და უმდიდრესი ენაა, რომელიც ჩვენი ეროვნული განძია, რომლის მსგავსი დღევანდელი მსოფლიოს ყველა ერს არ გააჩნია. ეს განძი ჩვენ არ შეგვიქმნია. იგი ჩვენმა

წინაპრებმა შექმნეს და საუკუნეების განმავლობაში ჩვენამდე უზარმაზარი ადამიანური მსხვერპლის ფასად მოიტანეს, რათა დღეს ჩვენ ქართულ ენაზე გვემეტყველა და ჩვენი თვითმყოფადობა შეგვენარჩუნებინა. ჩვენი ვალია, რომ ეს განძი, რომელიც დიდი ბრძოლით, თავდადებით გადმოგვცა, ჩვენი უგუნურობის გამო არ დავთმოთ, გავუფრთხილდეთ და მომავალ თაობას შეურყენელი გადავცეთ.

ბიბლიოგრაფია:

არაბული, ა. (2013). *ენა ჩვენი არსობისა*. თბილისი: უნივერსალი.
გრიშაშვილი, ი. (1985). *თხზულებანი 5 ტომად* (ტ. III). თბილისი.
რუხაძე, რ. (2016). *ქართული ენის ნელი მკვლევლობა*. მოძიებულია ვებგვერდიდან: <http://www.accentnews.ge/ge/news/details/7452-ქართული-ენის-ნელი-მკვლევლობა>
ჯორბენაძე, ბ. (1997). *ენა და კულტურა*. თბილისი.

Elene Zurabashvili

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

**TREND OF INTRODUCTION OF THE FOREIGN WORDS IN GEORGIAN LANGUAGE
RESUME**

The language is an objective reality that is not only necessary condition for expression of thoughts and for communication but also it influences people’s mentality, culture characteristics, traditions, folklore.

In the recent years significant inflow of English words into Georgian language has taken place, it establishes through displacement of the existing words material, though their establishment has no any basis as the language has indeed great vocabulary.

Georgian language is one of the oldest and richest languages in the world that allowed us to maintain our originality. Therefore, we have to take care of our mother tongue and maintain its integrity for future generations.

Key words: Originality, Vocabulary, Maintain, To establish, Mentality.

*მირანდა თოდუა, ნონა ქეცბაია
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

**სომატური სახელის, სისხლის, კონცეპტი
(ლექსიკონებისა და სასულიერო პოეზიის მასალების მიხედვით)**

საკვანძო სიტყვები: სასულიერო პოეზია, სემიოტიკა, კონცეპტი, ლექსიკოგრაფია.

სისხლ- საერთოქართველური წარმოშობის ფუძეა. **ზისხლ-** ფორმას კანონზომიერად შეესატყვისება მეგრული **ზისხირ-**, ლაზური **დიცხირ-** და სვანური **ზისხ-**. საერთოქართველური ფუძე-ენისათვის აღდგენილია ***ზისხლ-** არქეტიპი. (ფენრიხი & სარჯველაძე, 2000, გვ. 214)

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში სისხლის შემდეგი მნიშვნელობებია დადასტურებული: **სისხლი** – 1. წითელი ფერის სითხე, რომლის მიმოქცევაც წარმოებს ორგანიზმში; უზრუნველყოფს სხეულის უჯრედთა კვებას და ნივთიერებათა ცვლას. 2. გადატ. წარმომავლობა, წარმოშობა. 3. ისტ. სამ. სასჯელის სახე, საზღაური სისხლის სამართლის დანაშაულისათვის. სემანტიკურად სიცოცხლის,

სასიცოცხლო ძალის, სიჯანსაღის ფუნქციის მატარებელია. სისხლის სწორედ ეს მნიშვნელობა უდევს საფუძვლად შემდეგ იდიომატურ გამოთქმებს: უკანასკნელ სისხლის წვეთამდე – ვიდრე ძალ-ღონე შესწევს, ვიდრე ცოცხალია; სისხლითა და ხორციტ სავესე – გადატ. ჯან-ღონით სავესე, - ჯანსაღი, ახალგაზრდა. (ჩიქობავა, 1960) სისხლის სამართლებრივი სემანტიკა იკითხება გამოთქმებში: სისხლი ამევს (ადევს), სისხლი ამძიმებს – ცოდვა ადევს, ცოდვა ამძიმებს... (შდრ.: ამევს – || აწევს (ცოდვა). სისხლის სამართალი, სისხლის აღება, სისხლის წყურვილი და ა.შ. ზოგიერთ იდიომასა თუ შესიტყვებაში ლექსიკური ერთეული სისხლი მძიმე შრომასა და დიდ ტანჯვაზე მიანიშნებს: სისხლით შეძენილი, სისხლით დაწერილი... ოფლით და სისხლით შეძენილი (მონაგარი) – გადატ. მძიმე შრომით, გაჭირვებით, ვაი-ვაგლახით შეძენილი. (ჩიქობავა, 1960) სისხლის ცრემლები გამოიყენება დიდი უბედურების, მძიმე განცდის გამოსახატავად სისხლის ოფლსა ღვრის – გადატ. მძიმე მუშაობას ეწევა, ილაჯს იწყვეტს მუშაობით (სისხლს ჩააქცევს... იგივეა, რაც ოფლს დაღვრის)

სისხლ- ლექსემის მონაწილეობით შექმნილი კომპოზიტივის დიდი ნაწილი ორი ფუძის შეერთებით არის მიღებული. არს. სახ. + არს. სახ. სისხლიგუდა (კუთხ.: ქართლ.), სისხლისფერი არს სახ. + ზედსართავი სახელი სისხლმეტი, სისხლნაკლები (აქედან: სისხლნაკლებობა), სისხლჭარბი (სისხლჭარბობა) არს. სახ. (ფუძის სახით) + მიმღობა სისხლალღებელი, სისხლგამოლეული, სისხლგამმრალი, სისხლგაყინული, სისხლდანთხეული, სისხლმდენი, სისხლმორეული, სისხლმოწყურებული, სისხლნაკლული (სისხლნაკლულობა), სისხლსავსე (სისხლსავსეობა), სისხლჩაქცევა არს. სახ. (ნათ. ბრუნვის ფორმით) + მიმღობა სისხლისმსმელი (აქედან -ობა სუფიქსით ნაწარმოები აბსტრაქტული სისხლისმსმელობა), სისხლისმღვრელი, სისხლისმწოველი; სისხლის ანატომიურ-ფიზიოლოგიური ფუნქციებიდან გამომდინარე, სისხლ- ცნების აღმნიშვნელი ლექსემა სხვადასხვა ენაში სამედიცინო ტერმინოლოგიის წარმოებაში აქტიურ მონაწილეობას იღებს და ამ მხრივ არც ქართული ენაა გამონაკლისი. ქველ-ში სამედიცინო ტერმინოლოგია შემდეგ სიტყვებშია წარმოდგენილი: სისხლის მიმოქცევა, სისხლის ამოღება, სისხლის გადასხმა და სხვ.

აღსანიშნავია სისხლის მონაწილეობით შედგენილი იდიომები, ფრაზეოლოგიზმები და შესიტყვებები, რომლებიც ადამიანის სხვადასხვა ემოციურ მდგომარეობას აღნიშნავენ, **გული სისხლით ევსება** – გადატ. ბოღმა ერევა, დარდი აწვება გული სისხლით მევესებოდა, ნაღველი მისივდებოდა (ა. ყაზბ.) (პეპოს) ბოღმა ახრჩობს, გაბრაზება, აღელვება, მღელვარება. **სისხლი თავში აუვარდება** – გადატ. მეტისმეტად გაბრაზდება, გაცეცხლდება, გამმაგდება **სისხლი აუდუღდება** – გაცეცხლდება; **სისხლი ყელში აწვება** – ბრაზი მოსდის, ბოღმა ახრჩობს სისხლი (გული, სული, ბრაზი...) ყელში ებჯინება – გადატ. გული ყელში ადგება, სუნთქვა ეკვრის, სული ეხუთება (მეტისმეტი აღელვებისაგან, სიბრაზით...); **სისხლი ემღვრევა** (გული ემღვრევა) – გადატ. მღელვარება იპყრობს; ბრაზი ერევა, გული მოსდის. **სისხლი აუჩქროლდება** – სწრაფად აუმომრავდება (გული, სისხლი...), აუტოკდება (გული) **სისხლი აუდუღდება** – გადატ. აღელდება, გრძნობა მოერევა (შდრ.: გული აუდუღდება) ძლიერი შიში **სისხლი თავში აუვარდება** – გადატ. ძლიერ შეშინდება, შეკრთება სისხლი ეყინება – შეშდება, უმომრავ ხდება (შიშისაგან, მწუხარებისაგან...) ტანჯვა, წუხილი; **სისხლი უშრება** – გადატ. ძლიერ წუხს, იტანჯება; **სისხლი უდუღს** – გადატ. ენერგია მოჭარბებული აქვს, ძალ-ღონე ერჩის (იტყვიან ფიცხ ახალგაზრდაზე).

ცალკე უნდა გამოვყოთ **სისხლ-** ლექსემის მონაწილეობით შექმნილი შესიტყვებები და ფრაზები, რომლებიც მკვლელობის, ხოცვის, შურისძიების (მკვლელობით) სემანტიკას შეიცავს. ამ შესიტყვებებისა და ფრაზების ერთი ნაწილი ძველად საქართველოში გავრცელებულ სისხლის აღების რიტუალთან არის დაკავშირებული. მკვლელობა, ხოცვა სისხლის ღვრა – გადატ. ჟლეტა, ხოცვა, ომი. **სისხლი (და)იღვრება (და)იქცევა** – ხოცვა-ჟლეტა, სისხლს ღვრიან. სისხლი დაიქცევა; **სისხლით მორწყავს** (რასმე) – ბევრ სისხლის დაღვრის, ბევრს დახოცავს; **სისხლით შეღებავს რასმეს, ვისამეს (რისამე)**, სისხლით შეიღებავს ხელებს – ვისიმე (რისამე) სისხლს დაღვრის, მოკლავს ვისმე (რასმე). **სისხლში აქვს ხელი გასვრილი** – ვინმე ჰყავს მოკლული, მკვლელობა აქვს ჩადენილი; **ვისიმე სისხლში ხელს გაურევს** – გადატ. ვისიმე მკვლელობაში მონაწილეობას მიიღებს; **სისხლში ზანაობს** – გადატ. ბევრი უდანაშაულო ადამიანის სისხლის მღვრელია; **ვისიმე სისხლი ადევს კისერზე** – ვინმე ჰყავს მოკლული; **სისხლით დაბანა სისხლისა** – სისხლის აღება, სანაცვლოს მიზნად, სამაგიეროს გადახდა სისხლის აღება – ძვ. ეთნ. შურისძიება, მკვლელობისათვის სამაგიეროს გადახდა, **სისხლს ჩამოაგდებს** – გადატ. მოსისხლე მტრებად აქცევს, შუღლს ჩამოაგდებს. სისხლი მართებს ვისიმე – ძვ. სისხლია ასაღები ვინმესაგან... ცალკე უნდა აღინიშნოს **სისხლის დაღვრის/წყურვილის** სიმბოლიკა იდიომებში სიცოცხლის მოსწრაფების (პირდაპირი – მოკვდინება (ხშირად შურისძიების მიზნით) და გადატანითი – გამწარება, გატანჯვა) სემანტიკით: (ვისიმე) სისხლსა სვამს – გადატ. ვისმე კლავს; არ ინდობს, ამწარებს, აწამებს (ვისიმე);|| გამწარებს, აწამებს (ვისიმე). ვისიმე სისხლს დაღვრს (სისხლის დაღვრა) – შურს იძიებს, მოკლავს. **სისხლსა სწოვს** (ვისიმე) – გადატ. ყვლევს, ექსპლოატაციას უწევს. **[სისხლს უშრობს** – გადატ. აწამებს, აწვალავს. მკვლელობის, ხოცვის, შურისძიების მნიშვნელობათა კვლევისთვის საინტერესო მასალას გვაწვდის

დიალექტების მონაცემებიც: სისხლთ მიაკვცს – ბრალად დასდებს, რომ სისხლი მართებს. სისხლთ სჩქევფს – მოსისხლეთა ურთიერთობას ამწვავებს. სისხლს იძებნის – მკვლელს სამაგიეროს მიუზღავს. სისხლით მთვრალი – კარგი, გამირულად დაღუპული ვაჟკაცის ეპითეტია. სისხლის მანანა (ასევე, სისხლის შამანი) – სისხლი, სიკვდილიანობა (ჯვართ ენაზე).. ხევსურულ ლექსიკონში წარმოდგენილი მასალები სისხლ-მესისხლეობის ფენომენის, სისხლის ალების მთელი რიტუალის გააზრების საშუალებას გვაძლევს.

საინტერესოა სისხლის სემანტიკა ნათესაობის მიხედვით. ნათესაობის სემანტიკა ასახულია შესიტყვებაში: სისხლით ნათესაობა – ერთი და იმავე მშობლების შთამომავალთა ნათესაობა. ნათესაობის სემანტიკაზე მიაწინებს გამოთქმა: სისხლში აქვს – მოსდგამს, თანდაყოლილი აქვს, საინტერესოა სომატური სახელი სისხლ-ხორცი: სისხლ-ხორციში გაუჯდება – მტკიცე ჩვეულებად გადაექცევა (მდრ.: ძვალ-რბილი – ძვალი და რბილი, ძვალი და ხორცი (კუნთი)). || მთელი სხეული ერთიანად. (ჩიქობავა, 1964) ტოლად შერწყმული კომპოზიტი სისხლ-ხორცი სემანტიკური წყვილის - სისხლისა და ხორცის - შერწყმის შედეგადაა მიღებული და სისხლის ნათესაობის (გადატ. ახლობლობის) სემანტიკის მატარებელია. სისხლი და ხორცი – ღვიძლი, მკვიდრი ნათესავი. როგორც ჩანს, სისხლი და ხორცი (სისხლ-ხორცი) ნათესაობის (ახლობლობის) და (შესაძლოა, ერთიანობის) სემანტიკით შედარებით გვიანდელია. ეს მნიშვნელობა მხოლოდ ახალ ქართულ ილუსტრაციებში გვაქვს. ძველ ქართულში გვაქვს ხორცი და ძვალი. სისხლ-ხორცი ნათესაობის გამოხატვის სემანტიკით დასტურდება ქართული ენის ხევსურულ დიალექტშიც: სისხლ-ხორცი – სისხლით ნათესავი სისხლ-ხორცს გაჰყიდის – თავისიანებს უღალატებს. უნდა ითქვას ისიც, რომ ძველ ქართულში დადასტურებული მოსისხლე – ნათესავის მნიშვნელობით, არ არის დადასტურებული არც ახალ ქართულში და არც დიალექტებში. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ქართულში ნათესაობის აღნიშვნის ფუნქციით სისხლის გამოყენება (დამოუკიდებლად თუ შესიტყვებებში) პირვანდელი არ არის: გამორიცხული არ არის, რომელიმე ენის გავლენით, ნათესაობის აღნიშვნელი სომატური სახელების მიკროველის გაფართოებაც, მაგ.: მიჩნეულია, რომ ამ ფუნქციით დღეს ქართულში უფრო ადრინდელი ხორცის, ღვიძლის, გულის და მისთანათა ადგილს თანდათან, სხვა ენების გავლენით, ფეხს იკიდებს სისხლი. (სუხიშვილი, 2010, გვ. 77) ძველი ქართულის ტექსტებში, საბას ლექსიკონში სისხლი “ნათესავის” მნიშვნელობით დადასტურებული არ არის. ამ მნიშვნელობით სისხლი ქართულში, როგორც ჩანს, გვიან დამკვიდრდა. შესაძლოა, სემანტიკურ გადასვლას – ჩემი სისხლი > ჩემი ნათესავი ხელი შეუწყო ზიარების სიტყვიერმა ფორმულამ – ქრისტეს წმინდა ნაწილების – ჯორცისა და სისხლის გვერდიგვერდ ხმარებამ. (სუხიშვილი, 2010, გვ. 80)

ბიბლიის ტექსტების მიხედვით, სისხლი, უპირველეს ყოვლისა, სიცოცხლის მატარებელია და ამიტომაც აკრძალულია სისხლის ჭამა: “სისხლი საცხოვრისა სამშინველ მისა არს; არა შეშჰამო შენ სამშინველი იგი ხორცსა მას თანა” (ლევიტ. 7, 11; 2 სჯ. 12, 23). ვინაიდან სიცოცხლე ღვთის მიერაა შექმნილი, მთელი სისხლი ღმერთს ეკუთვნის და ის საკვებად არ უნდა იხმარებოდეს (დაბ. 9,4...). პირველ რიგში, ადამიანის სისხლია ხელშეუხებელი. დაღვრილი სისხლი ზეცის მიმართ ღალადებს (ფს. 9, 12; დაბ. 4, 10). ღმერთი აზღვევინებს ყოველგვარი სისხლისღვრის გამო: ცოდვილ ადამიანს შეუძლია ღმერთს თავისი სიცოცხლის სანაცვლოდ შესწიროს მსხვერპლი (ცხოველი სისხლითურთ, ლევიტ. 17, 11). ბიბლიაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ქრისტეს სისხლს, როგორც ადამიანთა განწმენდის საშუალებას. საყურადღებოა სისხლის დაღვრის, როგორც ღვთის მიერ მოვლენილი სასჯელის, გააზრება (ეზეკ. 16, 38; გამოცხ. 16, 6), ამასთან, სისხლის დაღვრა ბილწავს მიწას (ფს. 105, 38) და თავად ადამიანსაც (ეს. 59, 3). გვხვდება წყლის სისხლად გადაქცევის სიმბოლიკა (სასჯელის ნიშნად – გამ. 7, 17-21; სასწაულის ნიშნად – გამ. 4, 9-30). ბიბლიის მიხედვით, აკრძალულია სისხლის ჭამა (ლევიტ. 3, 18...). ზიარებაში სისხლის კორელატი ადამიანს ცოდვების განწმენდაში ეხმარება.

საინტერესოა ისიც, რომ ჯვარცმული მაცხოვრის სისხლი სასულიერო მწერლობაში ღვინოსთან ასოცირდება, რაც დასაბამს საიდუმლო სერობიდან იღებს, სადაც იესო პურსა და ღვინოს საკუთარ ხორცთან და სისხლთან აიგივებს: „და ვითარცა ჭამდეს იგინი, მოიღო იესო პური, და ჰმადლობდა და განტეხა, და მისცა მოწაფეთა თვსთა და ჰრქუა მათ: მიიღეთ და ჭამეთ, ესე არს ჯორცი ჩემი, და მოიღო სასუმელი, და ჰმადლობდა და მისცა მათ და თქუა: სუთ ამისგან ყოველთა, ესე არს სისხლი ჩემი ახლისა აღთქმისა, მრავალთათჳს დათხეული მისატეველად ცოდვათა“ (მათე 26, 26-28). მაცხოვრის სისხლი უკვდავების სასმელია: „განჰბანე უხრწნელით გუერდით შენით წყაროთა მით განმაცხოველებელითა სისხლისა და წყლისაჲთა, რომლითაც აღავსე სულთა ჩუენთა წყურვილი სახიერებით და მოგუანიჰე, მკსნელო სასუმელი უკუდავებისაჲ“. (ინგოროყვა, 1913, გვ. 149) სასმელში იგულისხმება ქრისტეს ხვედრიც, მისი ვნება, ტანჯვა-წამება კაცთა ხსნისთვის. მათეს სახარებაში იესოს ლოცვას ვეცნობით: „მამაო ჩემო, უკუეთუ ვერ შესაძლებელ არს სასუმელი ესე თანა-წარსვლად ჩემდა, რაჲთამცა არა შევსჳ იგი, იყავნ ნება შენი“ (მათე 26, 42). ჰიმნოგრაფი მოგვიწოდებს ქრისტესთან ერთად ვეცვათ ჯვარს, ჯვარზე გავაკრათ ხორციელი უკეთურობანი:

„ჯუარს-ვეცუნეთ მის თანა
და მოვილოთ სასუმელი იგი,
რომელი მიიღო ჩუენთჳს
მკსნელმან ჯუარსა ზედა“ (იოანე მინჩხის პოეზია, 1987, გვ. 152)

ეკლესიური შეხედულებით, ზიარების გარეშე კაცის სულის მარადიულობა შეუძლებელია, რამეთუ თავად უფალი ბრძანებს: „რომელი სჳამდეს ხორცსა ჩემსა და ჰსმიდეს სისხლსა ჩემსა, იგი ჩემთანა დადგრომილ არს და მე-მისთანა“ (იოანე 6, 56). პურისა და ღვინის სიმბოლურ გააზრებას ჯერ კიდევ „შუშანიკის წამებაში“ ვხვდებით, როცა ნაცემ-ნაგვემი დედოფალი ღვინოში დამბალ პურს მიიღებს. „გარკვეული სიმბოლური აზრის შემცველი საკვების მიღებით შუშანიკი ისწრაფვის ღვთაებისადმი შერწყმისკენ, რის გამოც იგივე იაკობი სხვა შემთხვევაში წერს: „ეზიაროს კორცსა და სისხლსა ქრისტეს ღმერთისა ჩუენისასა“, იმავე სიმბოლოებზე მიგვანიშნებს იოანე საბანის-მე... „წარავლინა წმიდად ეკლესიად და მიჰჯუარეს მას წმიდაჲ იგი საიდუმლოჲ, კორცი და სისხლი ქრისტესი“. (ბარამიძე, 1966, გვ. 185) მორწმუნე, რომელიც ეზიარება უფლის სისხლსა და ხორცს, მარადიულ სიცოცხლეს მოიპოვებს, რამეთუ როგორც იესო ბრძანებს: „მე ვარ პური ცხოვრებისაჲ, რომელი მოვიდეს ჩემდა, არა ჰჳიოდის და რომელსა ჰრწმუნეს ჩემი, არასადა სწყუროდის“ (იოანე 6, 35).

სასულიერო პოეზიაში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ფერები, რომლებიც სისხლს უკავშირდება, კერძოდ, მეწამული, მოწეული. ეს ფერები ქრისტესა და მოწამეთა დაღვრილ სისხლთან ასოცირდება: „სისხლისა დათხევითა მეწამულ ჰყავ ღუაწლი, სანატრელო, ყოვლად ქებულო მოწამეო ჰაბო და შეამკვე მოწეულითა ეკლესიად წარმართთაჲ“. (ინგოროყვა, 1913, გვ. 152) მოწეულით იყო შემოსილი ჯვარცმული იესო: „განმარცუეს იგი და ქლამინდი მეწამული შეჰმოსეს მას“ (მათე 27, 28); „ედგა ეკლითა გვრგვნი და მოწეული სამოსელი“ (იოანე 19, 5).

მეწამული საპირისპირო მნიშვნელობითაც გვხვდება. თუ ერთ შემთხვევაში ის აღნიშნავს სისხლს და წყაროა განახლებისა, სამოთხის კარის გაღებისა, მეორე შემთხვევაში განასახიერებს ცოდვას, რომლისაგან განბანას შესთხოვს ჰიმნოგრაფი უფალს: „სიმეწამულე ბრალთა ჩუენთაჲ განასპეტაკე აწ უფროს თოვლისა, მკსნელო“. (ინგოროყვა, 1913, გვ. 215) ჰიმნოგრაფი ეხმაურება ფსალმუნს: „განმბანე მე და უფროს თოვლისა განვსპეტაკნე“ (ფს. 50, 9). მეწამულის ორმნიშვნელოვნება საინტერესოდ აქვს გადმოცემული მიქაელ მოდრეკილს: „აჰა, მოვიდა ქრისტე, მღდელთ მოძღუარი ყოფილთა მათ კეთილთაჲ და მატყლისა მის წილ მეწამულისა შეგმოსა სამოსელი ბრწყინვალეჲ, განახლებული წყლითა და სულითა და მეწამული საღმრთოთა სისხლითა, რომელი ჯუარსა ზედა დასთხია მკსნელმან სოფლისა ვსნისათვის“. (ინგოროყვა, 1913, გვ. 368) მეწამული მატყლის სამოსელი ცოდვის სამოსელია, რომელიც ქრისტემ ჯვარზე დაღვრილი მეწამულივე სისხლით განწმინდა და განაახლა. მეწამული ფერის ცოდვასთან დაკავშირება სათავეს ბიბლიიდან, ძველი აღთქმიდან იღებს. ესაიას წინასწარმეტყველება გვაუწყებს: „და უკეთუ იყვნენ ცოდვანი თქვენნი, ვითარცა ღებილნი, ვითარცა თოვლი განვსპეტაკო, ხოლო უკეთუ იყვნენ, ვითარცა მოწეულნი მეწამულნი, ვითარცა მატყლი განვსპეტაკო“ (ეს. 1, 18).

სარწმუნოებისათვის დაღვრილი სისხლი დიდების შარავანდედით მოსავს მოწამეთა ხსოვნას და სწორედ სარწმუნოებრივი ნათლის ფერთა სიმბოლური მნიშვნელობით ამკობს მათ სახელებს.

ბიბლიოგრაფია:

- აბულაძე, ი. (1973). *ძველი ქართული ენის ლექსიკონი*. თბილისი: მეცნიერება.
- ბარამიძე, რ. (1966). *ნარკვევები მხატვრული პროზის ისტორიიდან*. თბილისი: მეცნიერება.
- გელენიძე, ლ. (1974). *ადამიანის ანატომია-ფიზიოლოგიასთან დაკავშირებული ლექსიკა ძველ ქართულში*. თბილისი: მეცნიერება.
- ინგოროყვა, პ. (1913). *ძველ-ქართული სასულიერო პოეზია*. ტფილისი: საეკლესიო მუზეუმის გამოცემა.
- იოანე მინჩხის პოეზია*. (1987). (ლ. ხაჩიძე, შემდგენელი) თბილისი: მეცნიერება.
- ონიანი, ა. (1966). *ქართული იდიომები*. თბილისი: ნაკადული.
- სარჯველაძე, ზ. (რედ.). (2000). *ბიბლიის ლექსიკონი (მასალები) ორ ტომად*. (ე. გიუნაშვილი, & ზ. კალანდაძე, შემდგენლები) ნიდერლანდები.
- სახოკია, თ. (1979). *ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი*. თბილისი: მერანი.
- სუბიშვილი, თ. (2010). *სომატური სახელები ნათესაობის აღნიშვნის ფუნქციით ძველი ბერძნულისა და ქართულის მიხედვით, დისერტაცია*. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.
- ფენრიხი, პ., & სარჯველაძე, ზ. (2000). *ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი*. თბილისი: თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- ჩიქოზავა, ა. (საერთო რედ.). (1950-1964). *ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (8 ტომად)*. თბილისი.
- ჩუბუა, მ. (2000-2003). *ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, დამატებითი მასალები ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონისათვის*. თბილისი: უნივერსალი.

Miranda Todua, Nona Ketsbaia

Sokhumi State University

**THE CONCEPT OF THE SOMATIC WORD “სისხლი” (“SISKHLI” – BLOOD)
(ACCORDING TO VOCABULARIES AND THEOLOGICAL POETRY)
RESUME**

“სისხლ” (“siskhl”) is a root word that originates from the common-kartvelian language. Different meanings of blood (Georgian – “სისხლი”) are given in Georgian Language Dictionary. This word is also used in compound words. Many of those words composed by lexical unit “სისხლ” (“siskhl”) are derived by connecting two root words. One can highlight idioms, phrasal verbs and word combinations, which define human’s different emotional conditions, and which are composed using “სისხლი” (“siskhli” – blood). We must consider separately word combinations and phrases composed by lexical unit “სისხლი” (“siskhl”), which include semantics of murder, massacre or vengeance. The semantics of სისხლი (“siskhli” – blood) with regards to consanguinity is quite interesting. According to the Bible, blood (Georgian – “სისხლი”), first of all, is a life keeper, a symbol of cleansing from sins. It is also interesting that the blood of crucified Jesus Christ is associated with wine in theological literature. Colors that are connected with blood are also specifically emphasized in theological poetry.

Keywords: Theological poetry, Semiotics, Concept, Lexicography.

იგორ კველია

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

დიცისა და ქორდის ტოპონიმია

საკვანძო სიტყვები: სოფელი, ტოპონიმი, ლოკალიზაცია, ისტორია.

შესავალი: ნაშრომში წარმოდგენილია გორის მუნიციპალიტეტის კონფლიქტის ზონის სოფლების – დიცისა და ქორდის გეოგრაფიულ სახელწოდებათა წუსხა. ტოპონიმები ანბანურ რიგზეა დალაგებული. გვხვდება სახნავ-სათესების, ბაღ-ვენახებისა და ბოსტნების, ვენახების, საკარმიდამო ნაკვეთების, ისტორიულ ძეგლთა – კოშკის, ეკლესიების, აგრეთვე მდინარეების, ხეების, არხების, გვართა დასახლებების სახელწოდებანი. ტოპონიმი წარმოადგენს მეთაურ სიტყვას, რასაც ტირეს შემდეგ მოსდევს თვით დენოტატის (სახელდებული ობიექტის) რაობის აღნიშვნა, თუ რისი სახელწოდებაა იგი. შეძლებისდაგვარად წარმოდგენილია ხალხური მოტივაციები და ავტორისეული, მეცნიერული ეტიმოლოგიები.

დიცისა და ქორდის ტოპონიმთა შესწავლის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია 2012 წელს ნ. ოქროპირიძის ავტორობით გამოცემული წიგნი – „გორის რაიონის ტოპონიმთა ლექსიკონი“. ტოპონიმთა წუსხაში ავტორის მიერ შეტანილია რამდენიმე ათეული ტოპონიმი, დაზუსტებული ლოკალიზაციის გარეშე.

მეთოდოლოგია: ნაშრომზე მუშაობისას გამოყენებულია ტოპონიმთა კვლევის ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური (ენობრივი და გარეენობრივი ანალიზის), აგრეთვე ისტორიულ-შედარებითი მეთოდი. უნდა აღინიშნოს, რომ გეოგრაფიული სახელწოდებანი მნიშვნელოვანი პირველწყაროა ამ სოფლების ისტორიული და ისტორიული გეოგრაფიის საკითხების შესასწავლად.

I. სოფელი დიცი

დიცი სოფელი და თემის ცენტრია შიდა ქართლში, გორის მუნიციპალიტეტში. მდებარეობს შიდა ქართლის ვაკეზე, მდ. პატარა ლიახვის მარჯვენა ნაპირას, ზ. დ. 880 მ-ზე. გორს 31 კმ-ით არის დაშორებული. აერთიანებს სოფლებს: არბოს და ქორდს. გაშენებულია ვაკე ადგილზე. დასავლეთით

ესაზღვრება ს. ერგნეთი, სამხრეთით – ს. ს. მეღვრეკისი, ტირმნისი, თერგვისი და ქორდი. სოფლის შუაში ჩამოედინებოდა მდ. დიცურა. ამჟამად მდინარის წყალი დაფანტულია. სოფელში 400-მდე კომლია. ცხოვრობენ მძინარაშვილები, მარკოზაშვილები, მინდიაშვილები, ყორანაშვილები, ბარიაშვილები, მაისურაძეები, მეტრეველები და სხვ.

1921-22 წლებში გორის მაზრის ცხინვალის რაიონის დიცის თემში შედიოდა სოფლები: ვანათი, აწრისხევი, საცხენეთი, ხომური და ხადურიანთკარი.

„საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის“ 1961 წლის მონაცემებით, გორის რაიონში არსებობს დიცის სასოფლო საბჭო, მასში შემავალი სამი სოფლით: საკუთრივ დიცი, არბო და ქორდი. (საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა 1961 წლის 1 ივლისისათვის, 1961, გვ. 31)

2002 წლის აღწერის მონაცემებით სოფელში მოსახლეობს 1258 სული. მ. შ. 635 კაცი, 623 – ქალი. 2014 წლის მონაცემებით მოსახლეობის რაოდენობაა 1072 ადამიანი. მ. შ. 539 სული – კაცი, 533 სული – ქალი.

2012 წელს გამოიცა ნ. ოქროპირიძის წიგნი „გორის რაიონის ტოპონიმთა ლექსიკონი“. დიცის ტოპონიმთა ნუსხაში ავტორის მიერ შეტანილია 26 ტოპონიმი, დაზუსტებული ლოკალიზაციის გარეშე. მეთაური სიტყვა წარმოადგენს ტოპონიმს, რასაც მოსდევს სახელდებული ობიექტის სახეობის (თუ რისი სახელწოდებაა) რაობის აღნიშვნა. (ოქროპირიძე, 2012, გვ. 305-306)

ალაიანები – ბაღ-ვენახები, მინდორი სოფლის სამხრეთით, ს. ბროწლეთის საზღვარზე. „ალას ვეძახით ადგილს, რაშიც დაფქვილი ფქვილი ჩადის“. ინფორმანტებს ამ ადგილას წისქვილის არსებობა არ ახსოვთ. ტოპონიმი „ალაიანები“ შესაძლებელია ადგილის ოდნავ მაღალ მდებარეობაზე მიუთითებდეს. „ალა – მაღლა ამართვა. სიგრძეზედ ამართული“. (ორბელიანი, 1928) ამ მნიშვნელობით სახელწოდება გვხვდება აგრეთვე ს. მეღვრეკისში.

არდიგარდმო – მინდორი.

ბაგები – საკარმიდამო ნაკვეთები, ვაკე, ბაღ-ვენახები სოფლის ცენტრში, სკოლასთან ახლოს. „აქ ვენახი იყო დიდი. ვაზს რო ჩავყრიდით, წალამს წავაწვენდით. ის მალე ხარობდა და მტევანსაც მალე იბამდა. ამიტომაც ამ ადგილს ბაგა უწოდებ“. **ბაგა** ნიშნავს „ახალ ვენახს“ (საბა). ნ. ოქროპირიძე ასახელებს დაზუსტებული ლოკალიზაციის გარეშე, საკარმიდამო ნაკვეთის სახელწოდებად. (ოქროპირიძე, 2012, გვ. 305)

ბარიაანთ უბანი – უბანი სოფლის ცენტრში. ცხოვრობენ ძირითადად ბარიაშვილები.

ბოლანთეული – ბაღ-ვენახები. ეკუთვნოდა ბოლანშვილებს.

ბუმბულახევა – ხევი.

ბუმბულახევეები – მინდორი.

გალავანი//დიცის ციხე – ციხე-სიმაგრე.

გორა – ნაეკლესიარი.

გორეები – მინდორი, სახნავ-სათესი.

გოხები – მინდორი.

დათილასეული – მინდორი. დათილა კაცის სახელია.

დათილანთეულების ბაღი – ბაღი.

დამპალე(ე)ბი – მინდორი, ბაღები.

დიდმუხის ბაღები – ბაღები.

დიცის ციხე//გალავანი – ციხე. მდებარეობს სოფლის ცენტრში. შემოზღუდულია გალავნით. ძველი თავდაცვითი ნაგებობაა. ნ. ოქროპირიძე ასახელებს **დიცის ხევს**, თავდაცვითი ნაგებობის, ციხის გალავნის სახელწოდებად (?). (ოქროპირიძე, 2012, გვ. 56)

დიცისწყალი//დიცურა – მდინარე. მოედინება მდ. პატარა ლიახვიდან, სოფლის შუაში. უერთდება ვანათის არხს. ამჟამად რუებად არის დაფანტული.

დიცურა – იხ. **დიცისწყალი**.

ზეითხევეები – ხევი სოფლის სამხრეთით. ამჟამად თითქმის გადასწორებულია და ზევიდან წყალი გადადის. ნ. ოქროპირიძე ასახელებს დაზუსტებული ლოკალიზაციის გარეშე (ოქროპირიძე, 2012, გვ. 306).

თადიანთ უბანი – თადიაშვილების უბანი.

თავკ(ვ)ალაურები//თავკალაურის ბაღი – ბაღები სოფლის ჩრდილო-დასავლეთით, არხის გასწვრივ. ვაკე ადგილია. „ადგილი ურწყავი ყოფილა. წყალი რო შემოვიდა, ადგილიც წყლის კვალს მივაყოლეთ და ღონიერი ბაღ-ვენახებიც გავაშენეთ“. ნ. ოქროპირიძე ასახელებს ტოპონიმ **თავკვალაურებს**, ბაღ-ვენახის სახელწოდებად, დაზუსტებული ლოკალიზაციის გარეშე (ოქროპირიძე, 2012, გვ. 306).

თავკალაურის ბაღი – იხ. **თავკ(ვ)ალაურები**.

თელას ურწყავი – მინდორი.

კიკუჟანთეული – ბაღი.

კინობები – მინდორი.

ლაფაჩიანთ უბანი – უბანი. ცხოვრობენ გვარად ლაფაჩები.

ლომისა//ლომისის ნიში – სამლოცველო, ეკლესიის ნანგრევი სოფლის ცენტრში. ამჟამად სახლებია აშენებული. ამ ადგილზე ადრე სახატო მამულები ყოფილა. ნ. ოქროპირიძე ასახელებს **ლომისის ნიშს**, დაზუსტებული ლოკალიზაციის გარეშე. (ოქროპირიძე, 2012, გვ. 305) **ლომისა** უძველესი სალოცავია, IX-X სს. წმ. გიორგის სახელობის ეკლესია, ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი მდინარეების – ქსნისა და არაგვის წყალგამყოფი ქედის უღელტეხილზე. იგი მთიულეთისა და ქსნის ხეობის მოსახლეობის უპირველეს სალოცავად ითვლება (ახალგორის მუნიციპალიტეტი).

მარკოზაანთ უბანი – უბანი სოფლის დასავლეთით. ცხოვრობენ მარკოზაშვილები.

მეთონეკაკლების მინდვრები – მინდვრები, რაც მეთონეს ეკუთვნოდა.

მთავარანგელოზის ნიში – სამლოცველო სოფლის ცენტრში. ნიში უკვე დანგრეულია. მის ირგვლივ შემორჩენილია ეკლესიის ნაშთი.

მინდიაანთ უბანი – უბანი სოფლის დასავლეთით. ცხოვრობენ ძირითადად მინდიაშვილები. ნ. ოქროპირიძე ასახელებს ტოპონიმ **მინდიაანთ უბანს**, დაზუსტებული ლოკალიზაციის გარეშე. (ოქროპირიძე, 2012, გვ. 306)

მინდადაურები//მინდოდაურები – მინდორი, სახნავ-სათესი სოფლის დასავლეთით. ს. ერგენტის ესაზღვრება. ადრე ამ ადგილზე მინდიაანთ (მინდიაშვილების) მამული ყოფილა. სახელი მინდოდაურიც აქედან წარმოსდგა. ნ. ოქროპირიძე ასახელებს ტოპონიმ „მინდოდაურებს“, დაზუსტებული ლოკალიზაციის გარეშე. (ოქროპირიძე, 2012, გვ. 306)

მინდიაურების ბაღები – ბაღები.

მუხამიწები – ვენახები.

მმინარაანთ უბანი – უბანი სოფლის სამხრეთით. ცხოვრობენ ძირითადად მმინარაშვილები.

ნაალიზეც(ებ)/ნაალიზეცების ბაღი – ბაღები ვაკეზე, სოფლის სამხრეთით. გადმოცემით, უწინ ამ ადგილზე ალიზს მოიპოვებდნენ და მშენებლობაში იყენებდნენ. ნ. ოქროპირიძე ასახელებს დაზუსტებული ლოკალიზაციის გარეშე. (ოქროპირიძე, 2012, გვ. 305)

ნაალიზეცების ბაღი – იხ. **ნაალიზეც(ებ)ი**.

ნაფუზრები – ბაღები ვაკეზე, სოფლის სამხრეთით. მის გარშემო მოსახლეობის საკარმიდამო ნაკვეთებია. ნაფუზრებს ახლომდებარე მამულებს უწოდებენ. „ახლო მამულებია, მამლიყვილი სადამდინავ მიდის, ნაფუზარი უნდა დავუძახოთ“. ნ. ოქროპირიძე ასახელებს მამულის სახელწოდებად, დაზუსტებული ლოკალიზაციის გარეშე. (ოქროპირიძე, 2012, გვ. 130, 305).

ნაჭაობრების ბაღი – ბაღი.

ნაჯილდო(ვ)არები//ნაჯილდორები – ბაღ-ვენახები სოფლის სამხრეთით, სოფელ ქორდის „მიდგმაზე“. შემოსაზღვრულია ბაღ-ვენახებით. „ბატონისეული მიწები ყოფილა. რატომ დაერქვა ეს სახელი, არ ვიცი“. ნ. ოქროპირიძის წიგნში დასახელებულია ტოპონიმი **ნაჯილდოვარები**, ბაღის სახელწოდებად, დაზუსტებული ლოკალიზაციის გარეშე. (ოქროპირიძე, 2012, გვ. 306)

ნაჯილდორები – იხ. **ნაჯილდო(ვ)არები**.

რკინობები – სათესი. ნ. ოქროპირიძე ასახელებს დაზუსტებული ლოკალიზაციის გარეშე, ვენახისა და სახნავის სახელწოდებად. (ოქროპირიძე, 2012, გვ. 305)

რკინობის ბაღი – ბაღი რკინობებში.

რუპირები – ბაღ-ვენახები სოფლის სამხრეთით, რკინობების გვერდით. შემოსაზღვრულია ბაღ-ვენახებით და სარწყავი რუთი. რუს ნაპირებზე მდებარეობის გამო ადგილს ეწოდება რუპირები. ნ. ოქროპირიძე ასახელებს დაზუსტებული ლოკალიზაციის გარეშე. (ოქროპირიძე, 2012, გვ. 306)

სამნიმიწების ბაღი – ბაღი.

საყდრიმიწები – სასაფლაო, ბაღები.

სოსიაანთეული – მინდორი. ეკუთვნოდა სოსიაშვილებს.

სოსიაანთ უბანი – სოსიაშვილების უბანი.

ტირიფონას არხი – სახნავი სოფლის ბოლოში. თვით არხი წარმოადგენს საინჟინრო სარწყავ სისტემას შიდა ქართლში, ტირიფონის ვაკეზე. იწყება ქ. ცხინვალის სამხრეთით, მდ. დიდი ლიახვის მარცხენა ნაპირზე. მიემართება სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ, გადაკვეთს მდინარეებს – პატარა ლიახვს, აძურას, ჭარებულას და თავდება სოფელ პატარა ხურვალიეთის მახლობლად, მდ. კირბალულასთან. სიგრძე 42 კმ-ია. წყლის ხარჯი 14 მ³/წმ. მწყობრში ჩადგა 1929 წელს. 1960-იან წლებში ჩატარებული რეკონსტრუქციის შედეგად 3-ჯერ მეტი ფართობი ირწყვევა. რწყავს გორის რაიონის 30,6 ათ. ჰა-ს. არხზე აგებულია ტირიფონის ჰესი. (აფხაზავა, 1985, გვ. 725)

ურწყავი//ურწყავები – ვენახები სოფლის დასავლეთით. ვაკე ადგილია. „ადრე ამ ადგილს წყალი არ უდებოდა. ამიტომაც ურწყავი დაერქვა. ახლა კი ირწყვევა ვანათის არხით. აქვე დგას დიდი თელა,

რომელიც წმიდა ხედ არის მიჩნეული. აქ სამლოცველოც უნდა ყოფილიყო. ხე ამჟამად გამხმარია. სასუქების ხმარების შემდეგ დაუწყია ხმოზა“. ნ. ოქროპირიძის წიგნში დასახელებულია ტოპონიმი **ურწყავი**, ვენახის სახელწოდებად, დაზუსტებული ლოკალიზაციის გარეშე. (ოქროპირიძე, 2012, გვ. 306)

ურწყავები – იხ. **ურწყავი**.

ურწყავის ბაღი – ბაღი ურწყავებში.

ფცქრიალასული ბაღები – ბაღი. ფცქრიალა კაცს ერქვა.

ქვაკირა – სახნავ-სათესი სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით. ვაკე ადგილია და გარშემო ბაღები აკრავს. „ეს ადგილი ძალიან უღონო მამული ყოფილა. ხვნის დროს მიწიდან სულ ქვა ამოდიოდა. ამჟამად ქვაკირა გაღონიერებული მამულია. სახელი კი ძველი შემორჩა“. ნ. ოქროპირიძე მიუთითებს დაზუსტებული ლოკალიზაციის გარეშე. (ოქროპირიძე, 2012, გვ. 305)

ქვეითხეები – ბაღები სოფლის დასავლეთით, ერგნეთის მხარეს. ამჟამად გასწორებული ადგილია და ბაღებია გაშენებული. ნ. ოქროპირიძე ასახელებს ხევის სახელწოდებად, დაზუსტებული ლოკალიზაციის გარეშე. (ოქროპირიძე, 2012, გვ. 306)

ღვთისმშობლის ეკლესია – არქიტექტურული ძეგლი სოფლის განაპირას, სამხრეთ-დასავლეთით, სასაფლაოზე. შ. ნათაძის აღწერილობით, სავარაუდოდ თარიღდება გვიანდელი ფეოდალური ხანით. ესაა რიყის ქვით ნაგები დარბაზული ეკლესია, ზომები: 10, 7+6, 1 მ. კედლის კუთხეებისა და სარკმლებისთვის გამოყენებულია თლილი ქვა. ეკლესიაში შესასვლელი სამხრეთით და დასავლეთითაა. ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე დატანილი სარკმლის ორივე მხარეს თაღოვანი ნიშებია. სამხრეთ კედელში ორი სარკმელია. დარბაზი გადახურულია ცილინდრული კამარით. ეკლესია შიგნით და გარეთ შელესილია. ოთხივე მხარეს სწორკუთხა ღიადებით გახსნილი, პირამიდულსახურავიანი და თუნუქით გადახურული სამრეკლო მოგვიანებითაა დაშენებული დასავლეთი კედლის ფრონტონის თავზე. ეკლესიის ორფერდა სახურავი ღარიანი კრამიტისაა. ეკლესიას სამხრეთისა და დასავლეთის მხარეს ჰქონია მინაშენები, რასაც მოწმობს სარკმლისა და გადახურვის ფრაგმენტები. (ნათაძე, 1990ა, გვ. 65) ღვთისმშობლობას დღესასწაულობენ აღდგომის მეორე დღეს. ნ. ოქროპირიძე ასახელებს **ღვთისმშობლის ეკლესიას**, დაზუსტებული ლოკალიზაციის გარეშე. (ოქროპირიძე, 2012, გვ. 305)

ღვინიანთეულები//ღვინიანთეული//ღვინიანთეულების ბაღი – ბაღ-ვენახები სოფლის დასავლეთით. „ბროწლეთელ ღვინიანთეულებს ეჭირათ ეს მამულები. შემდეგ მათ ადგილი მოუცვლიათ, სახელი კი დარჩა – ღვინიანთეულები“. ნ. ოქროპირიძე ასახელებს ტოპონიმ **ღვინიანთეულებს**, ბაღ-ვენახის სახელწოდებად, დაზუსტებული ლოკალიზაციის გარეშე. (ოქროპირიძე, 2012, გვ. 306)

ღვინიანთეული – იხ. **ღვინიანთეულები//ღვინიანთეულების ბაღი**.

ღვინიანთეულების ბაღი – იხ. **ღვინიანთეულები//ღვინიანთეული**.

ყორანანთ უბანი – უბანი სოფლის აღმოსავლეთით. ცხოვრობენ ძირითადად ყორანაშვილები.

შეთიაურები – მიწის ნაკვეთი სოფლის ცენტრში. ამჟამად სტადიონია. აქ უცხოვრიათ შეთიაშვილებს. მათ ოსფრისიდან (სოფელია სამხრეთ ოსეთში) მიღებით მოჰყავდათ წყალი. შემდეგ ისინი ამოწყდნენ. იმდროინდელი მიწების გამოყენება გასული საუკუნის 70-იან წლებშიც უცდიათ. შეთიანი, საბას განმარტებით არის „სნეული, ხელის მსგავსი“. შესაძლოა, ამ ტოპონიმსაც ეს მნიშვნელობა უდევს საფუძვლად. ნ. ოქროპირიძე ასახელებს დაზუსტებული ლოკალიზაციის გარეშე. (ოქროპირიძე, 2012, გვ. 306)

ცაცხვები – ვენახები.

ცხინვალის გზა – გზატკეცილი.

ჭანდრები – ბაღი.

ხეების ბაღი – ბაღი.

ხვთიშობელი – ეკლესია.

II. სოფელი ქორდი

ქორდი სოფელია შიდა ქართლის მხარის გორის მუნიციპალიტეტში (დიცის თემი), შიდა ქართლის ვაკეზე, პატარა ლიახვის მარცხენა ნაპირას, ზ. დ. 880 მ-ზე. მდებარეობს ქ. გორიდან ჩრდილოეთით, 30 კმ-ის დაშორებით, მაღლობ ადგილზე. სოფელში 200-მდე კომლია.

ქორდი ისტორიული სოფელია. იგი არაერთ წყაროში მოიხსენიება. 1398 წლით დათარიღებული საბუთის მიხედვით, სოფელ ქორდის შეწირულება ალექსანდრე მეფემ განუახლა სვეტიცხოველს, ხოლო 1559 წლის საბუთის მიხედვით სიმონ მეფემ განუახლა მისი შეწირულება იმავე ეკლესიას. 1574 წლის 14 მარტით თარიღდება საბუთი, რომლის მიხედვით სოფელი ვირმა მონასტრითურთ, აგრეთვე ზაკვი, ქორდი, ტირმნისი და სხვა ადგილები ნიკოლოზ კათალიკოზს ყურისუბნის ნაცვლად უბოძებია ვახტანგ ბატონიშვილისთვის. 1638 წლით დათარიღებული დოკუმენტის თანახმად ქორდში აფხაზაშვილის

ნაქონი მოზურაული მამული და ბექნაშვილის ნაქონი ვენახი ევდემოზ კათალიკოზს დავით გედაონიშვილ-ელიოზიძისთვის უბოძებია. 1656 წლის საბუთიდან ირკვევა, რომ როსტომ მეფემ შანშე ჩოლოყაშვილს უბოძა პაპუას ნაქონი მამული ქორდში: მახური და ჩურული ნემსაშვილები და პაპუნა და სოზიკა ქოილაშვილები. სოფელი წერილობით წყაროებში ქორდას ფორმითაც მოიხსენიება. 1694 წლის 5 ოქტომბრით თარიღდება საბუთი, საიდანაც ირკვევა, რომ ქორდას მდებარე ბახუტა ბადასშვილის მამული ნიკოლოზ კათალიკოზმა უბოძა გიორგი გედევანისშვილს. XVII ს-ით დათარიღებული დოკუმენტის მიხედვით, ქორდელმა ჩოლაყაანთ ყმებმა პირობა დადეს, რომ არ დაუშვებენ თავიანთ შორის „რჯულის გარდამავალ საქმეს“: მარხვის ჭამას, ქადაგობას და მისთ. ამავე საუკუნით თარიღდება დოკუმენტი, რომლის თანახმად ქორდს ეწერა 17 სახასო მოლაშქრე. (მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონომიკისათვის, 1964, გვ. 226)

„საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის“ 1961 წლის ცნობარის მონაცემებით, ქორდი სოფელია დიცის სასოფლო საბჭოში. (საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა 1961 წლის 1 ივლისისათვის, 1961, გვ. 31) 2002 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემებით სოფელში მცხოვრებთა რაოდენობაა 850 ადამიანი. მ. შ. კაცი – 424, ქალი – 426. 2014 წლის აღწერის მონაცემებით სოფელში ცხოვრობს 728 ადამიანი. მ. შ. კაცი – 368, ქალი – 360.

სოფლის მოსახლეობა ქართულია. გავრცელებული გვარებია: ჯალაბაძე, ხაჩიური, ლომოური, არჩუაძე, ინაური და სხვ. სოფლის სახელწოდების ხალხური მოტივაცია: „ქურდების თავშესაფარი ყოფილა“.

სოფლის ტოპონიმები ჩვენ მიერ ჩაწერილია 2004 წლის აგვისტოში. ნაშრომზე მუშაობისას გათვალისწინებულია თსუ ონომასტიკის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის არქივში დაცული მასალებიც. 1967 წელს ქორდის ტოპონიმები ჩაუწერია მ. მელითაურს. 1981 წელს სოფლის ტოპონიმური მასალა შეუგროვებიათ თსუ-ის ტოპონომიკის ლაბორატორიის თანამშრომლებს – მურად კემულარიას და გიგი ხორნაულს. მათი რესპონდენტი ყოფილა ლევან ივანეს ძე ლომოური, 54 წლისა.

ნ. ოქროპირიძის მიერ 2012 წელს გამოცემულ წიგნში სოფელ ქორდის ტოპონიმთა ნუსხაში შეტანილია 33 ტოპონიმი, დაზუსტებული ლოკალიზაციის გარეშე, ობიექტის სახელწოდებისა და სახეობის (თუ რისი სახელწოდებაა) რაობის აღნიშვნით. (ოქროპირიძე, 2012, გვ. 374-375) თსუ-ს ონომასტიკის ს-კ. ცენტრის არქივში დაცული ბარათებიდან ირკვევა, რომ ნინო გიორგის ასულ ოქროპირიძეს ქორდის ტოპონიმთა ჩაწერა უწარმოებია 1972 წლის მარტის თვეში და მისი რესპონდენტი ყოფილა ზოოტექნიკოსი ლევან ივანეს ძე ლომოური (45 წლისა). აქვე დაცულია კოლმეურნე გიული არჩილის ასულ მეტრეველის მიერ 1972 წლის თებერვალში, სოფ. ქორდში მცხოვრები 72 წლის პენსიონერ სოფიო ზურაბის ასულ მახარაშვილი-ლომოურისგან ჩაწერილი 24 ტოპონიმური ბარათი.

არდიგარდმოები – ბაღი. შდრ.: **არდიგარდმო** – სახნავ-სათესი ს. არბოში. ნ. ოქროპირიძის მიერ ჩაწერილი განმარტების მიხედვით: „ამ მიწებს ზოგი სიგრძეზე ხნავდა, ზოგიც სიგანეზე. ამიტომ შეერქვა ეს სახელი“. (ოქროპირიძე, 2012, გვ. 17) ტოპონიმი არდიგარდმო ჩაწერილია აგრეთვე აძვში, თერგვისში, სათემოში, ფლავისმანში, ქერეში, ძევერაში (მოტივაცია: „ეს ნაკვეთი ირწყვის აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ. სხვა ნაკვეთები კი ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ“). **არდიგარდმო მიწები** ეწოდება: 1. სათიბს ქვეშში; 2. სახნავ-სათესს კირბალში. (ოქროპირიძე, 2012, გვ. 17-18)

არღუნაულები – სახნავები.

ახოები – ბაღები, მინდორი და სახნავები სოფლის ჩრდილოეთით.

ბაბალიანთ ვენახები – სახნავი. ბაბალე ქალის სახელია.

ბაგები – ვენახი სოფლის სამხრეთ-დასავლეთით. „აქ ადრე ვაზი ყოფილა ჩაყრილი“. ნ. ოქროპირიძის მასალებში დასახელებულია დაზუსტებული ლოკალიზაციის გარეშე. (ოქროპირიძე, 2012, გვ. 374) ბაგები ადგილთა სახელწოდებად დამოწმებულია აგრეთვე ატენში, გარდატენში, ბროწლეთში, კირბალში, ტინისხიდასა და სხვაგან. (ოქროპირიძე, 2012, გვ. 23)

ბადაური//ზედაური – ვენახი სოფლის ცენტრში. „საუკეთესო მიწები ყოფილა და აქედანაა სახელწოდება ბედაური“. ნ. ოქროპირიძის მასალებში დასახელებულია ტოპონიმი **ბადაური//ზადაურები**, ვენახის სახელწოდებად, დაზუსტებული ლოკალიზაციის გარეშე (ოქროპირიძე, 2012, გვ. 374). მკვლევრის განმარტებით, „ასე ეძახიან კარგმოსავლიან მიწებს“ (ოქროპირიძე, 2012, გვ. 27)

ბედაური – იხ. **ბადაური**.

ბარბალე – დარბაზული ეკლესია, არქიტექტურული ძეგლი ს. ქორდის განაპირას, სამხრეთით, ხაჩიურიაანთ უბანში. გარს ეკვრის ასწლოვანი მუხნარი. აგებულია წმ. ბარბარეს სახელზე და დღესაც იყენებენ სალოცავად. დათარიღებულია XVI-XVII სს-ით. მისი ზომებია 5, 76+3, 68 მ. ნაგებია რიყის ქვით, ხოლო სარკმლის საპირეებად და ლავგარდანისთვის თლილი ქვაა გამოყენებული. შენობის კამარა ჩანგრეულია. შესასვლელი სამხრეთითაა. ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე მცირე ზომის სარკმელია, რომლის ქვეშ სამი თაღოვანი ნიშია. დასავლეთისა და სამხრეთის კედლებში დატანებულია თითო

სარკმელი. (ნათამე, 1990ბ, გვ. 117) ბარბარობას დღესასწაულობენ აგრეთვე ატენ-ჯებირში, ყოველ ორშაბათ დღეს. ს. მაკალათიას გამოკვლევით, ქართლში არსებული ბარბარეს სალოცავების რიტუალები ძველი წარმართობის საყურადღებო გადმონაშთია. (მაკალათია, 1971, გვ. 72)

ბარბალეს მიწები – მამული.

ბასანთული – ვენახი სოფლის დასავლეთ ნაწილში. უწინ ბასაშვილები ფლობდნენ. ნ. ოქროპირიძის მასალებში დასახელებულია დაზუსტებული ლოკალიზაციის გარეშე. (ოქროპირიძე, 2012, გვ. 374)

ბახუტა ბადასშვილის მამული – მოიხსენიება 1694 წლის 5 ოქტომბრით დათარიღებულ ისტორიულ დოკუმენტში. (მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონომიკისათვის, 1964, გვ. 226)

ბეგისპირები – მიწის ნაკვეთი სოფლის სამხრეთით, ფერმასთან ახლოს.

ბექნაშვილის ნაქონი ვენახი – მოიხსენიება 1638 წლით დათარიღებულ ისტორიულ დოკუმენტში. (მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონომიკისათვის, 1964, გვ. 226)

გედევანანთ მიწები – მინდორი, ბაღ-ვენახი სოფლის ბოლოში, ხაჩიურიანთ უბანში. უწინ აზნაურ გედევანიშვილებს ეკუთვნოდათ. ნ. ოქროპირიძის მასალებში დასახელებულია ტოპონიმი **გედევანთ მიწები** და **გედევანანთ მიწები**, როგორც ბოსტნის სახელწოდება, დაზუსტებული ლოკალიზაციის გარეშე. (ოქროპირიძე, 2012, გვ. 38, 374)

ელიზბარანთ მიწები – სახნავი მიწა.

ერეკლესელი – ბაღი.

ვაზიარული – ვენახი.

ვაშლამიწები – მინდორი.

ზაქას არხი – არხი. ტირიფონის არხის ნაწილი. ქორდისა და თერგვისის გამყოფია. „ქორდში არხის მეთვალყურე ყოფილა ვინმე ზაქარა და სოფელში არხს მისი სახელი უწოდეს“. (ოქროპირიძე, 2012, გვ. 67)

ზაქას მიწა – ხილის ბაღები თერგვისის მიდამოებში. 14 ჰა. „ზაქა დარაჯი ყოფილა. სახლიც იქ ედგა“.

ზევითუბანი//ჯალაბანთ უბანი – უბანი.

ზვრები – მიწის ნაკვეთი. ტოპონიმები – ზვარე, ზვარეები, ზვარი, ზვრები, ზვრიბოლოები, ზვრისთავეები გორის მუნიციპალიტეტის რამდენიმე სოფელშია დამოწმებული. (ოქროპირიძე, 2012, გვ. 71)

თერგული მიწა – სახნავი ჭაღის ბარებთან. სულ 5 ჰა. „თერგველებისა იყო და მერე ჩვენ გვერგო“. თერგვისი სოფელია.

თხელი ფონა – ხეხილის ბაღები მდ. ლიახვის ნაპირზე. გვერდით ჩაუდის მდ. ტირმნიულა. მდინარეზე გასასვლელი თავთხელი ფონი ყოფილა.

კვირაცხოველი – მინდორი სოფლის ცენტრში. აქ ყოფილა სალოცავი კვირაცხოვლისა. დანგრეულა გასული საუკუნის 60-იან წლებში. ლოცულობდნენ კვირადღეობით. ამჟამად სახელი მინდორს შემორჩა. კვირაცხოვლის ეკლესია არის აგრეთვე სოფლებში: აძვი, ბერბუკი, ატენი-გარდატენი, ზემო ბოშური, კირბალი, მეჯვრისხევი, რეხა, ტირმნისი, ქვემო ქერე, ორმოცი. „კვირაცხოვლის ნიში“ ეწოდება ნიშს სოფ. კარალეთში. ამ სახელწოდებით ცნობილია სახნავ-სათესი პატარა გორიჯვარში, სამოვარი ქვემო ნიქოზში, ადგილი ხურვალეთში. „კვირაცხოვლის გზა“ ეწოდება გზას პატარა გორიჯვარში. „კვირაცხოვლის მიწები“ ბაღის სახელწოდებაა მარანაში. „კვირაცხოვლის საყდარი“ ეკლესიაა ატენში – მიხანანთ უბანში. „კვირაცხოვლის ღელე“ ეწოდება ღელეს ზემო ბოშურში და ა. შ. (ოქროპირიძე, 2012, გვ. 90-91)

კინტუსელი – მიწის ნაკვეთი.

კოშკი(ს)მიწები – იხ. ქვემოთ ციხი(ს)მიწები.

კუტათგორები – მიწის ნაკვეთი.

ლარები – მინდორი, მცირე სახნავები ჭორის მიწების სამხრეთით. მდრ.: ლარები – 1. სამოვარი შერთულში; 2. მინდორი პატარა გორიჯვარში. მოტივაცია: „გრძელი და სწორი მიწებია, ლარივით გაჭიმული“. (ოქროპირიძე, 2012, გვ. 101)

ლომოურების უბანი/შუაუბანი – უბანი.

მთავარანგელოზი – ეკლესია, სასაფლაო ლიახვის ნაპირას, სოფლის განაპირას, აღმოსავლეთით. არქიტექტურული ძეგლი – დარბაზული ეკლესია თარიღდება XVI-XVII სს-ით. მისი ზომებია 7+5 მ. ფასადები წითელი ქვისაა. შენობა შიგნიდან შელესილი ყოფილა. ეკლესიის სამხრეთ კედელში გაჭრილია შესასვლელი და ერთი სარკმელი. დარბაზის გრძივ კედლებზე პილასტრებია, რომლებსაც ეყრდნობა შეისრული კამარის საბჯენი თაღი. კონქიც შეისრული ფორმისაა. სარკმლები დეკორირებულია. აღმოსავლეთი ფასადის კეხის ქვეშ ჩაშენებულია აქ ადრე მდგარი, სავარაუდოდ XI-XII სს-ის ეკლესიის კანკელის ფრაგმენტები. აღმოსავლეთის სარკმლის ზემოთ დიდი რელიეფური ჯვარია გამოსახული.

მარჯვნივ ადამიანის ფიგურაა, რომელსაც მარცხენა ხელში მოზრდილი ჯვარი უჭირავს. ეკლესიაზე სამხრეთით მიდგმულია კარიბჭე. მასში შესვლა შესაძლებელია სამხრეთიდან, რომელიც მორთულია შეწყვილებული ლილვებით. ნაგებობას შემოვლებული აქვს ბრტყელი, შვერილი ლავგარდანი. სახურავი ორფერდაა, გადახურულია კრამიტით. (ზაქარაია, 1990ბ, გვ. 117)

მოზუერაული მამული – მოიხსენიება 1638 წლით დათარიღებულ ისტორიულ დოკუმენტში. (მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონომიკისათვის, 1964, გვ. 226)

მურყნები//ჭალის ბაღები – იხ. ქვემოთ.

მუხამიწები//მუხის მიწები – მინდორი, სახნავ-სათესი სოფლის სამხრეთით, ქვემოუბნის დასავლეთით, ჭაობების თავზე. 30 ჰა. აქ სოფელს კალოები ჰქონდა. ნ. ოქროპირიძის მასალებში დასახელებულია ტოპონიმი მუხის მიწები, სახნავ-სათესის სახელწოდებად, დაზუსტებული ლოკალიზაციის გარეშე. (ოქროპირიძე, 2012, გვ. 375) შდრ.: **მუხის მიწები** – მინდორი პატარა გორიჯვარში. (ოქროპირიძე, 2012, გვ. 120)

ნავენახრები – ვენახი. ბაღებისა და სახნავ-სათესების სახელწოდებად ნავენახრები ჩაწერილია აგრეთვე ქვემო ნიქოზში, მერეთში, ქვემო ქერეში, არამენდაში. (ოქროპირიძე, 2012, გვ. 123)

ნამგალე(ე)ები – მინდორი, ვენახი სოფლის სამხრეთით. ნ. ოქროპირიძის მასალებში დასახელებულია ტოპონიმი **ნამგალეები**, როგორც ვენახის სახელწოდება, დაზუსტებული ლოკალიზაციის გარეშე. (ოქროპირიძე, 2012, გვ. 374) შდრ.: **ნამგალა მიწები** – სახნავ-სათესი ატენში-მახანანთ უბანში. (ოქროპირიძე, 2012, გვ. 126)

ნაფუზარი//ნაფუზრები – მინდორი, ვენახი სოფლის სამხრეთით. „კართან ახლო მდებარე ვენახს ნაფუზარს ვეძახით“; „გადმოცემით, აქ ავი ფუძე იყო“. ნ. ოქროპირიძის მასალებში დასახელებულია ტოპონიმი **ნაფუზარი**, ვენახის სახელწოდებად, დაზუსტებული ლოკალიზაციის გარეშე. (ოქროპირიძე, 2012, გვ. 374) შდრ.: **ნაფუზარი** – 1. სახნავ-სათესი შერთულში; 2. ვენახი გარდატენში; **ნაფუზრები** – 1. ბოსტანი ბერბუკში; 2. ბაღი მეღვრეკისში; 3. ვენახი ქვემო რენეში; 4. ბაღ-ვენახი არამენდაში; 5. სახნავ-სათესი სათემოში; 6. ვენახი ატენში - ვანიანთ უბანში; **ნაფუზრები** – ბაღი ყელქცეულში. (ოქროპირიძე, 2012, გვ. 130)

ნაფუზრები – იხ. **ნაფუზარი**.

ნერგიმიწა//ნერგიმიწები – სახნავ-სათესი. „მდებარეობს სოფლის სამხრეთ-დასავლეთით. ნერგები გაუჩეხიათ და სახნავ-სათესად გამოუყენებიათ მიწა. ერთი ნერგი ამჟამადაც დგას. მას „ობოლ ნერგს“ უწოდებენ. ნ. ოქროპირიძის მასალებში დასახელებულია ტოპონიმი **ნერგიმიწები**, დაზუსტებული ლოკალიზაციის გარეშე. (ოქროპირიძე, 2012, გვ. 134, 374)

ობოლნერგი – მარტოხე. დგას სერიმიწებში, ყორულებთან.

ოთათხები – 1. მიწის ნაკვეთი; 2. სარწყავი არხი. ქორდს ჩაუდის დასავლეთით. მდ. დიცურიდან მომდინარე წყალი მიწის ამ ნაკვეთზე მეტად სწრაფად მოდის, ნიადაგს გლეჯს და ხევებს ქმნის. სოფლის ყველა რუ აქ იყრის თავს. მსაზღვრელ-საზღვრულის ტიპის ტოპონიმი. პირველი კომპონენტი გაუგებარია, მეორეში კი ამოსავალი უნდა იყოს ხევი – ოთათხეები; 3. მდინარე. მოედინება ორ, ქვემო და შუა უბანს შორის. გამოყენებულია სარწყავად. მდინარეს ამ ადგილზე პატარა ნაკადულები უერთდება. გაზაფხულზე იცის ადიდება და ნაპირებზე გადმოსვლა. ტოპონიმის მოტივაცია უცნობია. ნ. ოქროპირიძის მასალებში დასახელებულია მდინარისა და მიწის ნაკვეთის სახელწოდებად, დაზუსტებული ლოკალიზაციის გარეშე. (ოქროპირიძე, 2012, გვ. 374)

ორლობეშიწები – ვენახები სოფლის სამხრეთ-დასავლეთით. „ადრე ორლობეები ყოფილა. ახლა ვენახებია გაშენებული“.

ოსიაურები – ბაღ-ვენახები. „ოსისგან უყიდია ჯალაბამეს“.

ოსიაურების რუი – სარწყავი არხი.

პაპუას ნაქონი მამული – მოიხსენიება 1656 წლით დათარიღებულ ისტორიულ დოკუმენტში. (მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონომიკისათვის, 1964, გვ. 226)

პარტახტი – ვენახი შუა სოფელში. „ადრე ეს ადგილი მიტოვებული, გამოუყენებელი და აუთვისებელი ყოფილა. ამიტომ ჰქვია პარტახტი“.

პატარა ლიახვი – მდინარე. მოედინება ქორდსა და მერეთს შორის. მერეთის ნაპირი მაღალია და სამოვარ ჭალას წარმოადგენს, ქორდისა კი შემადლებულია და სოფელია გაშენებული.

ჟამიმიწები – მიწის ნაკვეთი.

სათივე – ვენახები. მდებარეობს სოფლის სამხრეთ-დასავლეთით. სათივედ, საბალახოდ გამოიყენებოდა, შემდეგ გაუტეხიათ და დაუმუშავებიათ.

სალელე//სალელეები – ვენახები სოფლის დასავლეთით. „ნიადაგი ლელით ყოფილა დაფარული, ჭაობიანი ადგილი იყო“. ნ. ოქროპირიძის მასალებში დასახელებულია დაზუსტებული ლოკალიზაციის გარეშე. (ოქროპირიძე, 2012, გვ. 374)

საღელეები – იხ. **საღელე**.

სამალულეები – სახნავ-სათესი სოფლის სამხრეთით. გვერდით ღრმა ხევი ჩაუყვება. „აქ ისეთი ღრმა ხევი იყო, რომ საქონელი ხშირად იმალებოდა და იკარგებოდა მასში“; „ჩავარდნილი ადგილია და საქონელი არსაიდან ჩანს ხოლმე“.

სამუნეთები – ბაღები, მინდორი, სახნავები ქვემო უბნის სამხრეთით, ქორდსა და ტირძნის შორის. ტირძნისში ეს ადგილი ცნობილია **მუნი[ს]მიწების** სახელწოდებით. „ძველად ამ ადგილზე გავლისა ეშინოდათ, ეშმაკთა საბუდარიო, იტყოდნენ“. ნ. ოქროპირიძის მასალებში დასახელებულია ბაღების სახელწოდებად, დაზუსტებული ლოკალიზაციის გარეშე. (ოქროპირიძე, 2012, გვ. 374) „უღონო, დამუნათებული მიწებია, მოსავალიც უხეირო იცის“. (ოქროპირიძე, 2012, გვ. 160)

სანახიროები – ბაღები სოფლის სამხრეთ-დასავლეთით. ადრე სამოვარი იყო. ამჟამად ხილის ბაღებია. „აქ ნახირს ანეულად აგდებდნენ“.

სანდროსეული – მიწის ნაკვეთი.

სერიმიწები – სახნავი მუხიმმიწების დასავლეთით.

ტირძნეულა//ტირძნიულა – სარწყავი არხი, რუ. გამოედინება პატარა ლიახვიდან და მიემართება ტირძნისისკენ.

ტირძნიულა – იხ. **ტირძნეულა**.

ქვაკირეები – სახნავები და ბაღები სოფლის ჩრდილო-დასავლეთით. ქვაკირნარევი, ვაზისათვის მეტად ნოყიერი ნიადაგია. ნ. ოქროპირიძის მასალებში დასახელებულია დაზუსტებული ლოკალიზაციის გარეშე, ხილის ბაღის სახელწოდებად. (ოქროპირიძე, 2012, გვ. 375)

ქვახიდები – მინდორი. შდრ.: **ქვახიდა** – 1. ხიდი თერგვისში; 2. გადასასვლელი ძევერაში.

ქვევითუბანი – უბანი. პარალელური სახელწოდებაა **ხაჩიურიაანი**.

ქვემოუბანი//არჩუანთ უბანი//ზარბალის უბანი – უბანი. „ზარბალე სალოცავი ეკლესიაა ამ უბანში. ბავშვები მიჰყავთ ხოლმე, როცა სახადი შეხვდება. მამლებს, საკლავებს კლავენ“.

ქვიანა//ქვიანე(ე)ბი – კერძო ბაღ-ბოსტნები სოფლის სამხრეთით. ნიადაგი ქვიან-რიყიანი ყოფილა. შემდეგ გაუწმენდათ და ბაღ-ბოსტნები გაუწმენებიათ“. ნ. ოქროპირიძის მასალებში დასახელებულია ტოპონიმი **ქვიანები**, ბაღ-ბოსტნის სახელწოდებად, დაზუსტებული ლოკალიზაციის გარეშე. (ოქროპირიძე, 2012, გვ. 375). ტოპონიმები – ქვიანა, ქვიანები და ქვიანეები გორის მუნიციპალიტეტის რამდენიმე სოფელშია დამოწმებული (ღვედრეთი, ქვემო ნიქოზი, მეღვრეკისი, ფხვენისი, ერგნეთი, კარალეთი).

ქვიანე(ე)ბი – იხ. **ქვიანა**.

ქინძიანები//ქინძიანი – სახნავ-სათესი სოფლის სამხრეთ-დასავლეთით. ხარობდა ველური ქინძი. ნ. ოქროპირიძის მასალებში დასახელებულია ტოპონიმი **ქინძიანები**, დაზუსტებული ლოკალიზაციის გარეშე, სახნავ-სათესის სახელწოდებად. (ოქროპირიძე, 2012, გვ. 375) შდრ.: **ქინძიანები** – სახნავ-სათესები კარბსა და შავშვებში.

ქინძიანი – იხ. **ქინძიანები**.

ქოჩორეები//ქოჩოხეები – მიწის ნაკვეთი. ადრე სანერგე იყო.

ქოჩოხეები – იხ. **ქოჩორეები**.

ქოჩორეების გზა – გზა. „ქოჩორეებს ემახდნენ ნერგიანს“.

ღელემიწები – ბაღ-ბოსტანი. ზოგან მადლობზეა, ზოგან – დაბლობზე. შდრ.: **ღელეების მიწები** – სახნავ-სათესი ხურვალეთში; **ღელე მიწა** – 1. მინდორი მეჯვრისხევიში; 2. სახნავ-სათესი გარდატენში.

ყანდუანთ მიწები – სახნავი მიწა.

ყორულეები//ყორუხეები – მიწის ნაკვეთი. ყორული პირუტყვის სამოვრად შემოკავებული ადგილია, ნაკრძალი (ალ. ღლონტი, სიტყვის კონა). შდრ.: **ყორულეები** – სახნავ-სათესი თერგვისში.

ყორუხეები – იხ. **ყორულეები**.

შარა – ვენახი შუა სოფელში. მიტოვებული ადგილი იყო, შემდეგ ვენახები გააშენეს. შდრ.: **შარეები** – სახნავ-სათესი ტინისხიდში.

შარაგზა – ცენტრალური გზატკეცილი.

შუაუბანი//ლომოურების უბანი – უბანი.

ციხი(ს) მიწები//კოშვი(ს) მიწები – სახნავ-სათესი პატარა ლიახვის მარჯვენა მხარეს, დაახლ. 1, 5 ჰა. „ამ ადგილზე ლეკიანობის დროს ციხე აუშენებიათ. მის ირგვლივ მყოფ მიწებს ციხის მიწებს უწოდებენ ამჟამად. კოშვი ახლაც შემორჩენილია. არქიტექტურული ძეგლი დგას სოფლის განაპირას, მდ. ლიახვის მარჯვენა ნაპირზე. თარიღდება XVIII ს-ის შუა ხნით. ცილინდრული ფორმის, ორსართულიანი კოშვი აგებულია რიყის ქვით, შიგადაშიგ გამოყენებულია აგურიც. მისი დიამეტრი 8, 4 მ-ია. შენობა დაზიანებულია. ვარაუდობენ, რომ კოშვს ადრე საბრძოლო ბანიც უნდა ჰქონოდა. კოშვს შესასვლელი ჩრდილოეთით, მეორე სართულზე აქვს. კარის მარცხნივ, კედელში არსებული ორი კიბიდან ერთი

პირველ სართულზე ჩადის, ხოლო მეორე ბანზე ადის. შიგნიდან წრიული ფორმის მქონე პირველი სართული დამხმარე სათავსია. გუმბათში გაჭრილია სამი სარკმელი. გადახურვა ნახევარსფერულია. მეორე, რვაგვერდა სართული საცხოვრებელს წარმოადგენდა და ჰქონდა თავდაცვითი ელემენტები. გუმბათში ხუთი სარკმელია, კედლებში – ბუხარი და სხვადასხვა ზომის ცალმაგ და ორმაგ სათოფურიანი ნიშები. კოშკის წიბოებში დატანებულია სათოფურები. თალიანი კარი სწორკუთხედშია ჩასმული, რომლის თავზეც გამოსახულია მოზრდილი ჯვარი. ჯვრის გვერდებზე ორ რიგად რომბებია ჩამწკრივებული. რომბების თითო რიგი კარის ძირამდე ჩამოდის. მეორე სართულის გადახურვა რვაგვერდა პირამიდისებრია. (ზაქარაია, 1990ა, გვ. 117)



ქორდის კოშკი. XVIII ს-ის შუა ხანა

წისქვილი – წყლის წისქვილი. „ვანო ლომოურის საკუთრება ყოფილა და კოლმეურნეობას ჩამოურთმევია“.

წყლიჯადა – ვენახი სოფლის სამხრეთით. ადრე წყალი დიოდა, შემდეგ სხვა მიმართულება მიუციათ, ხოლო ამ ადგილზე ვენახი გაუშენებიათ. „სახელწოდება წყლიჯადა წყლის ნადენ ადგილს უნდა ნიშნავდეს. თუმცა ქართლურ დიალექტში ჯადა შემოუღობავი ეზოს, მამულის აღმნიშვნელია“.

(ოქროპირიძე, 2012, გვ. 238 და იქვე მითითებული ლიტერატურა)

ჭალის ბაღები//მურყნები – ბაღები პატარა ლიახვის პირას.

ჭალამიწები//ჭალის მიწა – მიწის ნაკვეთი. დაახლ. 11 ჰა.

ჭალის მიწა – იხ. **ჭალამიწები**.

ჭაობები//ჭაობის მიწები – სახნავ-სათესი სოფლის სამხრეთით. ადრე ჭაობიანი ნიადაგი ყოფილა. ახლა დამშრალია. ნ. ოქროპირიძის მასალებში დასახელებულია ტოპონიმი ჭაობები, სახნავ-სათესის სახელწოდებად, დაზუსტებული ლოკალიზაციის გარეშე. (ოქროპირიძე, 2012, გვ. 375) შდრ.: ჭაობები – 1. სახნავი ტინისხიდში; 2. სამოვარი ფიცესში; 3. ბაღი ზედდულეთში; 4. სახნავ-სათესი პატარა გარეჯვარში; 5. სახნავ-სათესი არაშენდაში. (ოქროპირიძე, 2012, გვ. 241)

ჭაობის მიწები – იხ. **ჭაობები**.


ხვთიშობელი – დარბაზული ეკლესია სოფლის სამხრეთით, განაპირას, მდ. ლიახვის მარჯვენა ნაპირზე. თარიღდება XVI-XVII სს-ით. ზომებია: 5+8 მ. პ. ზაქარაია ეკლესიას შემდეგნაირად აღწერს: „ნაგებია რიყის ქვით, კონსტრ. ნაწილები, კუთხეები და კარ-სარკმლის წირთხლები თლილი ქვისაა. კამაროვანი გადახურვა ჩანგრეულია. შენობის ნახევარწრიული, ტიმპანებიანი შესასვლელი სამხრ-ითა და დას-ითაა. აღმ-ით ერთი სარკმელია, სამხრ-ით – ორი. დარბაზის გრძივ კედლებზე ორ-ორი ნახევარწრიული თალია. საკურთხეველი, რ-იც თავდაპირველად ერთი საფეხურით ყოფილა აწეული, შემდეგში კიდევ უფრო აუმაღლებიათ და აქ აგურისა და ქვის ორკარიანი კანკელი დაუდგამთ. აღმ-ის ფასადზე, კეხის ქვემოთ, მომწვანო ქვაზე დაბალრელიეფიანი ჯვარია გამოსახული. დანარჩენ ფასადებს მარტივი ფორმის გრეხილი გასდევს. დას-ის კედელზე სამსტრიქონიანი ასოთ. წარწერაა. იკითხება პირველი სტრიქონი: „ქრისტე შეიწყალე გიორგი“. მოგვიანებით ეკლესიისათვის სამხრ-ისა და დას-ის მხრიდან მიუშენებიათ სწორკუთხა სათავსები, რ-ებიც ნაგებია რიყის ქვით. სამხრ-ის მინაშენს, რ-იც ეკლესიის სამხრ. სარკმლებს ფარავდა, შესასვლელი სამხრ-ითა აქვს, დას-ისას – დას-ით“. (ზაქარაია,

1990გ, გვ. 117) ეკლესიის ირგვლივ სამარხები იყო, მაგრამ სასაფლაოს ცენტრში საავტომობილო გზა გაიყვანეს. ღვთისმშობლის ნაწილში მოქცეული სამარხები დაცულია, ხოლო მეორე ნაწილი გადასწორებულია.

ხოდაბუნები – სახნავები შუაუბნის დასავლეთით.

ბიბლიოგრაფია:

- აფხაზავა, ი. (1985). ტირიფონას არხი. *ქართული საბჭოთა ენციკლოპედია*. (ტ. IX). თბილისი.
- ზაქარაია, პ. (1990ა). [ქორდის] კოშკი. *საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა*. (ტ. 5). თბილისი.
- ზაქარაია, პ. (1990ბ). [ქორდის] მთავარანგელოზის ეკლესია. *საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა*. (ტ. 5). თბილისი.
- ზაქარაია, პ. (1990გ). [ქორდის] ღვთისმშობლის ეკლესია. *საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა*. (ტ. 5). თბილისი.
- მაკალათია, ს. (1971). *ლიახვის ხეობა*. თბილისი: საბჭოთა საქართველო.
- მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონომიკისათვის (X-XVII სს-ის ისტორიული დოკუმენტების მიხედვით). (1964). წ. I. (ზ. ალექსიძე, & შ. ბურჯანაძე, შემდგენლები) თბილისი: მეცნიერება.
- ნათაძე, შ. (1990ა). [დიცის] ღვთისმშობლის ეკლესია. *საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა*. (ტ. 5). თბილისი.
- ნათაძე, შ. (1990ბ). [ქორდის] წმ. ბარბარეს ეკლესია. *საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა* (ტ. 5). თბილისი.
- ორბელიანი, ს. ს. (1928). *ქართული ლექსიკონი*. (ი. ყიფშიძე, & ა. შანიძე, რედ.) ტფილისი: ქართული წიგნი.
- ოქროპირიძე, ნ. (2012). *გორის რაიონის ტოპონიმთა ლექსიკონი*. გორი: ფარნავაზი.
- საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგები* (ტ. II). (2003). თბილისი.
- საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა 1961 წლის 1 ივლისისათვის. (1961). (ვ. ა. ქუჩუკაშვილი, შემდგენელი) თბილისი.
- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (ნოემბერი 2014). *მოსახლეობის საყოველთაო აღწერა 2014*. თბილისი.
- ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. (1978). *დიცი* (ტ. III). თბილისი.
- ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. (1986). *ქორდი* (ტ. X). თბილისი.



გორის მუნიციპალიტეტის რუკა
(საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობიდან)

Igor Kekelia
Akaki Tsereteli State University
THE TOPONYMY OF DITSI AND KORD
RESUME

The work represents the list of geographical names of villages Ditsi and Kordi belonging to the conflict zone of Shida Kartli region (Gori Municipality). The word “chief (metauri)” is a toponymy, which is followed by the definition of named object and mono-level or bi-level localization.

The work emphasizes that the concept of toponymy is an important starting point for studying the history and historical geography of the villages.

Keywords: Village, Toponym, Localization, History.

ბავშვთა აზრები ვასილ გულეურის საბავშვო პოეზიაში

საკვანძო სიტყვები: ბავშვი, პოეზია, ლექსი, წიგნი.

ქართული საყმაწვილო, საბავშვო ფოლკლორის სათავე საუკუნეების მიღმა იკარგება. ბავშვი ხომ ბედნიერებისა და სიხარულის წყაროა, დიდი მიზანი და მომავლის იმედი, ამიტომაც იგი მუდმივად იყო, არის და იქნება ადამიანთა ზრუნვის უმთავრესი მიზანი. მომავალი თაობის სწორად აღზრდასა და ფორმირებაზე, პიროვნებად ჩამოყალიბებაზე დამოკიდებული ქვეყნის მომავალიც. სწორად ბავშვების დიდი სიყვარულით იშვა ჩვენი ერის წიაღში მოზარდებისთვის განკუთვნილი ღრმად ემოციური, მომხიბვლელი ჰანგები, მხატვრული აზროვნების დიდებული ნიმუშები, რომელთაც აღმზრდელითი ფუნქციაც ეკისრებოდათ.

ქართული საბავშვო მწერლობა, პოეზია, ცარიელ ნიადაგზე არ შექმნილია. მას, ძველი მწერლობიდან მოყოლებული, ასაზრდოებდა და დღესაც ასაზრდოებს მდიდარი და ჟანრობრივად მრავალფეროვანი ხალხური შემოქმედება. ეს კანონზომიერია, რადგან ბავშვის ხასიათი, ფსიქიკა ყველაზე უკეთ ეწყობა ზღაპრულ, უჩვეულო, განსაკუთრებულ ამბებსა და სიუჟეტებს.

საბავშვო ლიტერატურის წინ წამოწევასა და განვითარებაში განსაკუთრებული როლი ითამაშეს XIX საუკუნის 60-იანელებმა, რომელთაც კარგად იცოდნენ მისი მნიშვნელობა და თავადაც არაერთი ბრწყინვალე ნაწარმოები უძღვნეს ბავშვებს. საყმაწვილო ლიტერატურის დამოუკიდებელ მიმართულებად ჩამოყალიბება კი დიდი ქართველი პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის იაკობ გოგებაშვილის დამსახურებაა. მათ დაწყებულ საქმეს ღირსეული გამგრძელებლები გამოუჩნდნენ შემდგომი თაობების შემოქმედთა შორის, რომელთაც მრავალფეროვანი, ღირებული ლექსები თუ მოთხრობები უსახსოვრეს პატარებს. მათ შემოქმედებაზე არაერთგზის დაწერილა და თქმულა. მათ შესანიშნავ ნაწარმოებებზე იზრდებოდნენ, იზრდებიან და კვლავაც გაიზრდებიან ჩვენი ბავშვები. ამიტომაც მათზე არ შევჩერდები.

საინტერესოა, რა ვითარებაა დღეს, XXI საუკუნეში საქართველოში საბავშვო ლიტერატურის მიმართულებით.

საგულისხმოა, რომ ახალგაზრდა ქართველი ავტორები მშვენიერ ნაწარმოებებს ქმნიან ფენტეზის ჟანრში, რომელიც წარსულში ასეთი პოპულარობით არ სარგებლობდა, მაგრამ ეს უფროსი ასაკის ბავშვებისთვისაა. ბავშვის აღზრდა და ფორმირება კი თითქმის დაბადებიდან იწყება და, ამდენად, სკოლამდელი ასაკისა და დაწყებითი კლასებისათვის წერა უფრო რთულია, განსაკუთრებულ ნიჭს, ალღოსა და დაკვირვებას მოითხოვს; მოსამებნია ე.წ. ოქროს შუალედი, რათა საბავშვო ლექსები თუ მოთხრობები არც პირდაპირი შეგონებებით იყოს გადატვირთული და არც არაფრისმთქმელი სიტყვების ნაზავი. ბავშვებისთვის მწერალი შინაგანად ალბათ ცოტათი მაინც უნდა იყოს „ბავშვი“, რომ ეს ბუნებრივად შეძლოს – შეძლოს, დაინტერესოს პატარები, ფორმისა თუ შინაარსის ერთობლიობით აღძრას მათში სასიამოვნო ემოცია, ამავე დროს მისცეს გარკვეული ინფორმაცია, ცოდნა გარემომცველ სამყაროზე, დაანახოს, რა არის კარგი და რა – ცუდი, რაც საბოლოოდ მათ სულიერ წვრთნას ემსახურება და საბავშვო ლიტერატურის დანიშნულებაც ხომ სწორედ ესაა.

დღეს წიგნების ბაზარს თუ გადავხედავთ, იგი საკმაოდ გაჯერებულია საბავშვო ლიტერატურით, როგორც ორიგინალურით, ასევე თარგმანით, პოლიგრაფიულად თითქმის ყველა თვალისმომჭრელად გამოიყურება ფერადოვნებითა და დასურათებით, მაგრამ მხატვრული ღირებულებითა და შინაარსით ყველა როდია ფასეული (ვერც იქნება).

თავისუფალი ბაზარი ყველანაირ პროდუქციას იტანს, მაგრამ, საბედნიეროდ, საქართველოში არიან ნიჭიერი ახალგაზრდა შემოქმედნი, რომლებიც პატარებისთვის ბრწყინვალე ლექსებს წერენ.

ერთ–ერთი მათგანია ვასილ გულეური, პროფესიით არქიტექტორი, საბავშვო პოეტი, მთარგმნელი, მრავალი ლიტერატურული კონკურსის გამარჯვებული.

მისი ერთ–ერთი საბავშვო კრებულის რედაქტორი ანა ჭაბაშვილი წერს: „ვასო გულეური გახლდათ ერთ–ერთი საუკეთესო ავტორი დღევანდელი საბავშვო ლიტერატურისა.“

როდესაც მან პირველად წიგნი მომიტანა და ფიქრობდა, გამოეცა, აღტაცებული დავრჩი. ეს არის არაჩვეულებრივი გულით დაწერილი, იუმორით, რაც აუცილებელია საბავშვო მწერლობისთვის.“ (ლობჯანიძე, 2013)

ვასილ გულეურის საბავშვო ლექსები ისეთი ლაღი, უშუალო და გულწრფელია, ერთი სულის მოთქმით იკითხება. სამართლიანად აღნიშნავს გიორგი ლობჯანიძე (რადიო „თავისუფლება“ ბიბლიოთეკა): „ის სხარტად, ლაკონურად წერს, გულღიად, ყოველგვარი გადაპრანჭვის გარეშე, მაგრამ უამრავ ისეთ პრობლემას წამოჭრის, რაც არა მხოლოდ ბავშვებს, არამედ დიდებსაც დაინტერესებს. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ვასო გულეური წერს ვასო გულეურისთვის, ოღონდ მაშინ, როდესაც ის პატარა ბიჭი იყო.“ (ლობჯანიძე, 2013)

თავად ავტორი იმავე ინტერვიუში ამბობს, რომ პატარებისთვის ლექსების წერა შვილებმა შთააგონა, იმდენად ახალი და განსხვავებული განცდა იყო: „ვიფიქრე, ხომ არ ჯობდა, ისეთი ლექსები დამეწერა, რომლებიც გაახალისებდა“. (ლობჯანიძე, 2013)

ამ ერთ ფრაზაში ჩანს მისი დამოკიდებულება ამ საკითხისადმი, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია პატარებისთვის უნდა იწერებოდეს სახალისო, მხიარული მომცრო ლექსები, რადგან მათ დიდხანს ყურადღების კონცენტრაცია უჭირთ. გზა წიგნის სიყვარულისაკენ სწორედ ასეთ ლექსებზე გადის, რათა ბავშვები გაახალისოს, აღძრას მათში სასიამოვნო ემოციები, ჩაუნერგოს სიკეთისა და სიყვარულის გრძნობა, გაუღვიძოს სილამაზის, მშვენიერების აღქმის უნარი, ასე თამაშ-თამაშით შეაყვაროს პოეზია, წიგნი, ამავე დროს მისცეს გარკვეული ცოდნა გარემომცველ სამყაროზე, ასწავლოს ავისა და კარგის გარჩევა და ამ გზით ხელი შეეწყოს მათ ცნობიერებაში საუკეთესო თვისებების ფორმირებას.

ვასილ გულეურის შემოქმედება მეტად ნაყოფიერია. მისი საბავშვო ლექსების კრებულები 2007 წლიდან ინტენსიურად გამოიცემა სხვადასხვა გამომცემლობის მიერ. ესენია: „მელაკუდას მაღაზია“ (2007) „ჩიტის მოტანილი ამბები“ (2008), „საბავშვო ლექსები“ (2009), „ხუთი ამბავი ლექსად“ (2009), „ზოოპარკი“ (2011), „დაბრუნებული ბგერები“ (2012), „ნაძვის ხის მოსართავი“ (2012), „ციცქნა ციკოს ცისქვეშეთი“ (2013), „თოვლის გუნდა ცირკში“ (2015), „თოვლის შვილიშვილი“ (2015), „თოვლის გუნდა მეგობრებს დაეძებს“ (2015), „მხიარული ლექსები“ (2016), „ჩხუბი სამზარეულოში“ (2017), „გრაფიკული ლექსები“ (2017).

მრავალფეროვანია მათი თემატიკა და პერსონაჟთა სამყარო. რასაკვირველია, უხვადაა ტრადიციულ, სტერეოტიპულ თემებზე დაწერილი ლექსები, მაგრამ მათი სიუჟეტი ახლებურია; თემა ძველია, მაგრამ ამბავი ახალია, ავტორის მდიდარი ფანტაზიის ნაყოფი. მაგალითად, ბრძენი ბუ (ნაცნობი თემა), რომელიც იმიტომაც ბრძენი, რომ ბეჯითია, მთელი დღე ფულდუროში ზის და წიგნებს კითხულობს, ღამით კი ვარსკვლავებს უყურებს და ალბათ ოცნებობს, იგი ამავე დროს კეთილიცაა და მასთან რჩევისთვის მისულს არასდროს ისტუმრებს უარით. ამ ორტაეპიანი ლექსით – „ბუ“ ბავშვის ცნობიერებაში ჩნდება ოთხი მეტად ფასეული ღირებულების განცდა – სიბრძნე, შრომისმოყვარეობა, სიკეთე, მშვენიერებით ტკბობა (ოცნება). აი, მაგალითად, ლექსი „სახლი“, რომელშიც ჩამოთვლილია, რომელი ცხოველის „სახლს“ რა ჰქვია – ბუნაგი, ფულდურო, სორო, ბაკანი თუ ნიჟარა, ჩიტისას კი – ბუდე. ამ ღამაზი, ლაკონური რიტმული ლექსის მოსმენისას ბავშვის მეხსიერებაში ძალდაუტანებლად ილექება საჭირო ინფორმაცია, ცოდნა და ისიც, რომ ყველას თავისი სახლი უყვარს და რომ საქმით დაღლილს „გელოდება შენი კერა, გელოდება შენი სახლი“. პატარა ლუკას მამამ საქართველოს რუკა მიუტანა და მასზე გამოსახული ფერების მნიშვნელობა აუხსნა, ლექსის („ლუკას რუკა“). დასასრული კი ასეთია: „რუკაზეც კი ღამაზია ეს პატარა საქართველო“. (ვასო გულეური - საბავშვო ავტორი და ჩვენი თანამოქალაქე, 2014)

ყველა ლექსზე, რა თქმა უნდა, ვერ შევჩერდებით, მაგრამ ნიშანდობლივია, რომ მათ აერთიანებს საერთო კონცეფცია – ამ ერთი შეხედვით მარტივ პატარა ლექსებში დევს დიდი აზრი, სერიოზული სათქმელი, პატარების გონებრივი და სულიერი წვრთნისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი ცოდნა და ინფორმაცია, რასაც უნდა ემსახურებოდეს საბავშვო ლიტერატურა.

დრო იცვლება და მის კვალდაკვალ მხატვრულ ლიტერატურაშიც (მათ შორის საბავშვოშიც) შემოდის ახალი თემები და მოთხოვნები. ვასილ გულეურსაც უხვად შემოაქვს თავის ლექსებში ახალი თემები და სახეები. ასეთებია ლექსი „ტელეფონი“, „პინგვინები“, რომლებიც როგორღაც უდაბნოში მოხვედრილან და ბჭობენ, როგორ შეცვალონ იქაურობა სათავისოდ, თოვლის გამოწერას კი ინტერნეტით აპირებენ და კიდევ სხვა მრავალი.

ამ ლექსებში არა პირდაპირი მომბეზრებელი შეგონებებით, არამედ ირიბად, პერსონაჟთა საქციელის მეშვეობით, ბუნებრივად, შექმნილია ადამიანის საუკეთესო თვისებები და დაგმობილია ცუდი – სიზარმაცე, ენატანობა, სხვისი ჩაგვრა, მკვებარობა, ბუტიაობა, ქიშპობა, კინკლაობა და სხვა.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ხალხური ზღაპრის – „რწყილი და ჭიანჭველა“ გულეურისეული ვარიანტი – „ჭიანჭველა და რწყილი“. თავიდან მოქმედება ხალხურის მსგავსად ვითარდება: დამობილებული ჭიანჭველა და რწყილი გაუდგნენ გზას, მდინარეზე ხიდი დახვდათ და გადახტომის გარეშე, მშვიდობიანად გადავიდნენ მეორე ნაპირზე. იქ კი რწყილმა უცაბედად ქვას წამოჰკრა ფეხი და მეოთხე ფეხი მოიტეხა. ჭიანჭველა არც კი დაფიქრებულა, მოიკიდა ზურგზე მასზე 3-ჯერ მძიმე მეგობარი

და გასწია, რათა დროზე უშველოს. ასე ჭაპანწყვეტით მიმავალს გზაზე ხან ხოჭო შემოხვდა, ხან კალია, ხან კოდო და სამივემ ძმობილის მიტოვება ურჩია, შენს თავს უშველე, მაგისტანას კიდეც ნახავო. ჭიანჭველა კი შეუვალა, მტკიცეა მისი ერთგულება: „თუ ერთმანეთს არ გავწირავთ, ორივენი გადავრჩებით“, რასაც ამყარებს ავტორის რეფრენი გზაზე შემხვედრებთან ჭიანჭველას დიალოგის შემდეგ „როცა არის გასაჭირში, მაშინ უნდა ძმობილს შველა“. (ვასილ გულეური, 2008)

უშველა კიდეც. დალოცვილმა ფუტკარმა დაუნანებლად მისცა უებარი მალამო და მეგობარი მუდამ გვერდით გყავდესო, ურჩია“. (ვასილ გულეური, 2008)

ვასილ გულეური ერთგან წერს: „ბავშვობაში ხშირად მიფიქრია, რატომ მთავრდებოდა ზღაპრების უმეტესობა ასე: „ჭირი – იქა, ლხინი – აქა, ქატო იქა, ფქვილი აქა...“ რამდენიმე წლის წინ იდეა გამიჩნდა, ცნობილ ხალხური ზღაპრის – „რწყილი და ჭიანჭველას“ ახალი ვერსია დამეწერა. ამ ზღაპარში ისიც მიტოვებდა უკამარისობის განცდას, რომ დახმარების სანაცვლოდ ყველა რაღაცას ითხოვდა. ამიტომ ჩემს ვერსიაში ყველაფერი შევატრიალე, ბოლოს კი ჩემი ბავშვობისდროინდელი საფიქრალიც გადავჭერი და ზღაპარი ასე დავამთავრე: „ლხინი იქაც, ლხინი – აქაც, სულ სიკეთით დამიბერდით“. (ლობჟანიძე, 2013)

მართლაც რომ მშვენიერი მიგნებაა. ჩემი აზრით, ასეთ დასასრულში „იქაც“ და „აქაც“ ჩვენი სამყარო იგულისხმება: ლხინი – იქაც – თქვენთანაც და ლხინი აქაც – ჩვენთანაც. ლხინიც ალბათ მხოლოდ პირდაპირი მნიშვნელობით არ უნდა გავიგოთ – რაც მეტი სიკეთე, სიყვარული, კეთილგანწყობა – ლხინი იქნება იგვიფ, მით უფრო უკან დაიხვეს ბოროტება. ხალხური ზღაპრების დაბოლოება „ჭირი იქა“; „ქატო იქა“ კი ალბათ იმ ზღაპრულ სამყაროს გულისხმობს, სადაც მხოლოდ ბოროტი მეფეები, საზარელი დევები, კუდიანი ჯადოქრები, ავი დედინაცვლები, საშიში გველეშაპები სახლობენ და კარგად ახსნის შემთხვევაში ამას ბავშვიც გაიგებს.

ვასილ გულეურის საბავშვო ლექსები შესანიშნავი საჩუქარია პატარებისთვის, მხატვრულ-ესთეტიკურ ღირებულებასთან ერთად, დიდია მათი დიდაქტიკურ-აღმზრდელობითი მნიშვნელობა რაოდენ დასანანია, რომ მხოლოდ პოლიტიკურ შოუებსა და ვითომ გასართობ უგემოვნო უხამს შოუებს გამოკიდებულ ტელევიზორებსა და, ზოგადად, მედიაში ნაკლებად არის (ან საერთოდ არ არის) ანალიტიკური გადაცემები ხელოვნებაზე, ლიტერატურაზე, მათ შორის საბავშვო ლიტერატურაზე; არ ხდება ქართველი ავტორების წარმოჩენა და პოპულარიზაცია; ფაქტობრივად, არც კრიტიკა არსებობს, მხოლოდ ინტერსივრცეში თუ წააწყდები მსგავს ინფორმაციას და ისიც ხშირად მწირია. არც პერიოდული პრესით არიან განებივრებული ჩვენი ბავშვები, მცირე ტირაჟით გამომავალი თითოეული საბავშვო ჟურნალი ამინდს ვერ ქმნის.

არადა, აუცილებელია ამაზე საქვეყნოდ საუბარი, სანამ ჩვენი წარსულში წიგნიერი ერი უწიგნურ მასად არ ქცეულა, რისი ნიშნებიც, სამწუხაროდ, ამჟამად, გზა წიგნის სიყვარულისკენ, წიგნიერებისკენ, ცოდნისკენ კი თითქმის ბავშვის დაბადებიდან იწყება. თანაც იწყება მომცრო მხიარული ლექსებით და არა პატარებისთვის გაუგებარი, მოსაბეზრებელი, თუნდაც საუკეთესო, უზარმაზარი ლექსების ძალდატანებით დაზუთხვით და მერე ამით თავმოწონებით.

ვასილ გულეური წერს და მართებულადაც: „იქნებ დავაცადოთ ბავშვებს ბავშვობა; იქნებ ვუკითხოთ საბავშვო ლექსები და ზღაპრები; იქნებ ვიხალისოთ მათთან ერთად და თამაშ-თამაშით წიგნის სიყვარული ვასწავლოთ, ეს პოეზია კი (სადიდო მ.კ.) იმ დროისთვის დავტოვოთ, როცა გაიზრდებიან“. (გულეური, 2018)

ეს სიმართლეა – უნდა დავაცადოთ ბავშვებს ბავშვობა!

ბიბლიოგრაფია:

გულეური, ვ. (2011). *ხოპარკი*. თბილისი: შემეცნება.

გულეური, ვ. (2012). *დაბრუნებული ბგერები*. თბილისი: ელფი.

გულეური, ვ. (2015). *თოვლის გუნდა ცირკში*. თბილისი: პალიტრა L.

გულეური, ვ. (2017ა). *გრაფიკული ლექსები*. თბილისი: დილა.

გულეური, ვ. (2017ბ). *ჩხუბი სამზარეულოში*. თბილისი: ელფი.

გულეური, ვ. (2018 წლის 19 თებერვალი). *საბავშვო პატრიოტიზმი*. მოძიებულია ვებგვერდიდან:

[http://liberali.ge/blogs/view/34429/sabavshvo-](http://liberali.ge/blogs/view/34429/sabavshvo-patriotizmi?fb_comment_id=1828813523855473_1828876223849203)

[patriotizmi?fb_comment_id=1828813523855473_1828876223849203](http://liberali.ge/blogs/view/34429/sabavshvo-patriotizmi?fb_comment_id=1828813523855473_1828876223849203)

ვასილ გულეური. (2008). მოძიებულია ვებგვერდიდან: <http://armuri.georgianforum.com/t23-topic>

ვასო გულეური - საბავშვო ავტორი და ჩვენი თანამოქალაქე. (2014 წლის 05 სექტემბერი). მოძიებულია ვებგვერდიდან: <https://geocentre.wordpress.com/2014/09/05/ვასო-გულეური-საბავშვო-ავ/>

ლობჟანიძე, გ. (2013 წლის 24 ნოემბერი). *დიდებისათვის, ოღონდ ცოტა უკეთ*. მოძიებულია ვებგვერდიდან: <https://www.radiotavisupleba.ge/a/weekly-cultural-program/25178340.html>

Medea Kvaratskhelia
Sokhumi State University
CHILDREN PORTRAITS IN VASIL GULEURI VERSES
RESUME

The Basis of Georgian Literature for children as well as ancient Georgian literary texts is Georgian folklore different and rich samples.

The Georgian “Samotsianelebi” (Generation of 60s of the 19th century) took the greatest part in the development of Georgian literature for children.

Fortunately, there are a lot of young Georgian poets writing for children nowadays.

One of them, Vasil Guleuri is an architect translator, winner of different literary tournaments. His verses for children are too interesting. He writes short, sincere. Short verses are too deep and important for children development.

Verse collections of Vasil Guleuri are published from 2007 and they are a nice present for children as they have literary – aesthetic (al) value as well as didactical (al).

Keywords: Child, Poetry, Verse, Book.

მარიამ კობერიძე
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

სიმცირის სემანტიკის გამომხატველი ლექსიკა ქართულში

საკვანძო სიტყვები: ენა, ქართული, სემანტიკა, ლექსიკა, მცირე

სიმცირის აღმნიშვნელი ლექსიკა ქართულ სალიტერატურო ენაში საკმაოდ დიდ და საინტერესო ჯგუფს ქმნის. ქართული დიალექტი კვლევისათვის მდიდარ და მრავალფეროვან მასალას გვაწვდის. სიმცირის ლექსიკიდან გამოიყოფა როგორც ზოგადად პატარის, მცირის აღმნიშვნელი ლექსემები, ისე ემოციურ-ექსპრესიული ლექსიკა, რომელიც გამოხატავს საგნის ან მოვლენის მოცულობას, ზომას ან თვისებას ერთი ან რამდენიმე ნიშნის მიხედვით.

სიმცირის სემანტიკის გამომხატველ ლექსიკაზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ „ემოციურ-ექსპრესიულ ელფერს ქმნის ერთი მხრივ ბგერწერა, მეორე მხრივ კი დიმიინტურ მაწარმოებელთა დართვა“ (კიკონიშვილი & ჭუმბურიძე, 2016, გვ. 46) სიმცირე, როგორც სემანტიკური კატეგორია, სხვადასხვა ენობრივი საშუალებით გამოიხატება. „სიმცირის ცნების გასიტყვება ორ ასპექტს აერთიანებს - კოგნიტიურს, რომელიც ადამიანის მიერ მოცულობის, ფორმისა და ზომის აღქმას უკავშირდება და ემოციურს, რომელიც აღქმულის მიმართ ადამიანის სუბიექტურ მიმართებებს გულისხმობს. აქედან გამომდინარე, სიმცირის გამოსახატავად ენაში ვხვდებით როგორც წმინდა დენოტატიურ, საგნობრივ-ლოგიკურ მნიშვნელობის მქონე სიტყვებს, ასევე ე.წ. პრაგმატიკულ ერთეულებს, რომლებსაც უფრო რთული სემანტიკური სტრუქტურა აქვთ და საგნობრივ-ლოგიკურ მნიშვნელობასთან ერთად ემოციურ დამოკიდებულებასაც გამოხატავენ“ (ომიაძე, 2016, გვ. 46).

სიმცირის სემანტიკის გამომხატველი ლექსიკიდან ქართულში შეიძლება გამოიყოს ნეიტრალური, ექსპრესიული და დამცირება-დაკნინების გამომხატველი ლექსიკა.

სიმცირის სემანტიკის გამომხატველ ნეიტრალურ ლექსიკას ქმნის არა მარტო ქართული სალიტერატურო ენისათვის დამახასიათებელი სიტყვები (მცირე, პატარა, მომცრო, ცოტა, ნაკლები), ისე ქართულ დიალექტში დადასტურებული ლექსემები. მაგალითად: **ქინცა** -ერთი ბეწო, ერთი ნამცეცი. „როცა ოჯახში გამიღევა ან ლობიო, ან ხორბალი, ან სხვა რამე, რაც უნდა იყოს, იტყვიან, **ქინცაც** აღარ არიო, ესე იგი სუ აღარაფერიო“ (კავთ.) (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, & ნოზაძე, 1981, გვ. 52, 70, 423).

დინკლა, დინტლა - პატარა, მოლუელი; უვარგისი. „ნაბორალა გოჭი ხო ყველაზე პატარაა ხომე, დამნაკული, იმასა ქვიან **დინტლაი**“ (ტყვ.). **დინკლა** (ქვ. ჭალა, ერთაწმინდა, ოძ., საკორ. ქემ) (ბეროზაშვილი & სხვები, 1981, გვ. 430). „დინწი - დანა მცირე და წვლილი“. (ორბელიანი, 1991, გვ. 251) **დინტლა** (ქართ.) - ნაბოლარა, დანაკული გოჭი, ნალიტა, ნადინტალა“ (ქეგლ).

საგნის ან მოვლენის მოცულობას, ზომას ან თვისებას აღნიშნავს ერთი ან რამდენიმე ნიშნის მიხედვით. მაგალითად, პატარა ადამიანს აღნიშნავს: **ბლუნელა** - მობლუნძული, მოკუნტული, მოლუნული. „**ბლუნელა** ის არი, რო დაიკუზება, მუხლფესაც მოხრი, რო დაბლა დაიხარო და ხელების მოშველიებით გაიქცევა მოლუნული“ (წილკანი) (ბეროზაშვილი & სხვები, 1981, გვ. 70). საბა: „**ბლუნვა** - ოთხზე დგომ“ (ორბელიანი, 1991, გვ. 104). შდრ. **ბლუნავს, ბლუნვა** - ოთხით დადის (ქეგლ). **ბლუნვი** - პატარა, დალუელი. „ეს რა ბლუნვი პურები დაუცხია?“ (ტყვიავი, ზერტი). **კუსპა** - პატარა ტანისა, დაბალი, მოლუელი. „ჩვენებიანთ თამროი ერთი კუსპა არის, მოცინცლული“ (ჩუმ.), (ხაშ.).(წილკანი) (ბეროზაშვილი & სხვები, 1981, გვ. 259). იგივე მნიშვნელობით ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში დასტურდება კუსპა, კუსპარა.

კოჟია - დაბალი, პატარა ტანის ბავშვი. „ეგ, როდი გითხარი, შე კოჟია, შენა!“ (ქვ. ჭ.). **კოჟიჟა** ცუდად განვითარებული, პატარა, დაბალი (მცენარე, ცხოველი, „მაგალითათა, რო არ გაიზრდება და პატარა დარჩება, დაიგვალება, **კოჟიჟა** ის არი“ (ხც.).(წილკანი) (ბეროზაშვილი & სხვები, 1981, გვ. 253, 259). **კოჟია არ გვხვდება**. შდრ. კოჟიჟი, კოჟიჟიანი (ქეგლ).

ჩმაგვი - დაბალი ტანის, მოლუელი. „დიდი ხანი აქ, მაგრა ტანათ პატარა არი, **ჩმაგვს** იმას ვეტყვით“ (ქვ. ჭ., ახალშ. ლამ.). **ჩოგმანა**. „ჩოგმანა ისეთი ადამიანია, ვინც ხნოვანებასთან შედარებით დაბალი არის“ (კარალ.). (წილკანი). (ბეროზაშვილი & სხვები, 1981, გვ. 477).

ჩოფანა/ჩოქელა - პატარა, დაბალი (თამარ., ჩუმათ., კარალ.). (წილკანი) (ბეროზაშვილი & სხვები, 1981, გვ. 478). „ჩოფანო კუთხ (გურ.) უფხო, დუნე, უფოლადო (შდრ. ჩოლფოთი) (ქეგლ). „**ჩოქელა** 1. დაჩოქილად, დაჩოქილ მდგომარეობაში; 2. მცენ. ტანდაბალი სიმინდის ერთ-ერთი ჯიში“ (ქეგლ).

ბაჩაჩუყა - პატარა ტანის, დაბალი ადამიანი. „**ბაჩაჩუყას** ვეტყვით, რომელიც დაბალი ადამიანია“ (გრავ.) (მესხიშვილი, 2006, გვ. 28). „**ბაჭა** 1. კუთ. პატარა ტანის საქონელი; 2. საზოგადოდ ცხენის ეპითეტი (ქეგლ.). **ბაჩანა ხევ.**, ფშაურ. ტანმორჩილი კაცი (ქეგლ).

კუმაჭია - პატარა ტანისა, რომელიც პატარა არი, რო ადგილზე ძლივა ჩამს, იმას ვეტყვით კუმაჭიასა“ (რუისი) (მესხიშვილი, 2006, გვ. 98). **კურკა** - პატარა კაცის ზედმეტი სახელი. (კავთ.). „**კუჭი** - ფრინველის ფაშვი“ (ორბელიანი, 1991, გვ. 400). იგივე მნიშვნელობით დასტურდება ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში.

კუსპარა - პატარა და ცქვიტი ბავშვი. „სპარტაკას შვილიშვილი ისეთი კუსპარაა, რო რაღა“ (მესხიშვილი, 2006, გვ. 98). **კუსპარა** - დაბალი პატარა ტანის ადამიანი (ქეგლ).

მოწკლიპული - პატარა, მოცუცქნული „ი ახმახ კოლასა ერთი **მოწკლიპული** გოგო მოუყვანია, წელამდინ ძლივა სწვდება“ (რუისი). **ცოცობელა** -პატარა ტანისა ((მესხიშვილი, 2006, გვ. 115, 484). „**ცოცობელა** პატარა ტანი ადამიან ვეტყვით“ (წილკანი) (ბეროზაშვილი & სხვები, 1981, გვ. 484) .

ზოგი სიტყვა რამდენიმე ნიშან-თვისების სიმცირეზე მიუთითებს. მაგალითად:

ოდოჭუტი - 1. პატარა; 2. დაგვალული; 3. მახინჯი. „ოდოჭუტი ვაშლები რო ჩაგიყრია, ვისთვის უნდა გეჭმია?“ (გარ., კარალ.) (ბეროზაშვილი & სხვები, 1981, გვ. 346). არ გვხვდება - ქეგლ-ში. **წიწლიკა** - 1. ძალი, გამხდარი; 2. პატარა; **გამწვლიკული** - 1. გამხდარი; 2. პატარა; **ბაკუტა** -1. დაბალი; 2. სქელი (ადამიანი). „ე, ოხერი, ისეთი **ბაკუტა** ფეხები მაქ, რო არარა ფეხსაცმელი არა მრგვფს“ (მერეთი). **მწკვლიტი** - 1. ძალიან პატარა; 2. გამხდარი, გალუელი. „რომელიც ძიენ გალუელი არი, სუ პატარაი, გინდა ადამიანი იყოს, გინდა საქონელი, გინდა სხვა რამეი, ყველაფერზე ითქმის მწკვლიტი“ (მეჯვ.) (ბეროზაშვილი & სხვები, 1981, გვ. 327). შდრ. „მწიკვი - თითებით აღებული მარილი“ (ორბელიანი, 1991, გვ. 545; ქეგლ).

ზოგი ლექსიკური ერთეული რამდენიმე საგნის ნიშან-თვისების სიმცირეზე მიუთითებს. მაგალითად:

კუწუწი 1. წვრილი ფიჩხი. „კუწუწი ცეცხლის დასანთები ფიჩხის ნარჩენებია (ცხ.)“ (ბეროზაშვილი & სხვები, 1981, გვ. 261). **კუწუწი** (ქართ.) 1. ლობიოს დაბეგვის შემდეგ დარჩენილი ძირი და ღერო ფოთლებითურთ (ქეგლ).

ცუცნელა: 1. პატარა, პაწაწინა. „ერთი ცუცნელა სურა მქონდა და ვედარ ვიპოვე“ (დის.). 2. ცოტას მჭამელა. „ამოდელა კაცია და ცუცნელაა, ერთი პური არ გაუთავდება თელ დღემია“ (ტირძ.) (ბეროზაშვილი & სხვები, 1981, გვ. 485). „ცუცუნა მატად პატარა“. (ორბელიანი, 1993, გვ. 343) იგივე მნიშვნელობით ცუცნა (ქეგლ). **ცოცობა** - 1. პატარა; 2. კოჭდაბალი. „ჩვენი პატარძალი **ცოცობა** გოგოა“. (მესხიშვილი, 2006, გვ. 161).

დაკუტდება: 1. პატარა დარჩება, არ გაიზრდება. „დაკუტდა, რაღაც მოუიდა წრეულ კიტრსა“ (წილკ.); 2. დაკუტება დახალვისას გაუმლეოდა (დაუბატავად) დარჩენა სიმინდისა. „სიმინდისა, რო დაუბატავად სიმინდისა და ბატილა არ გამოვა, დაკუტება ის არი“ (ატ.). (ბეროზაშვილი & სხვები, 1981, გვ. 172). „კუტი სხვათა ენაა, ქართულად საპყარი ჰქვია“ (ორბელიანი, 1991, გვ. 400). კუტი: 1. ადამიანი, რომელსაც ფეხები არ ემორჩილება, სიარული არ შეუძლია, - საპყარი; გამოზამთრების შემდეგ დავარდნილი საქონელი; 2. თონეში ჩავარდნილი პური (ქეგლ).

დამცირება-დაკნინებას აღნიშნავს: **აიზუზება** - აიზუზება. „აიზუზვა წიწილებმაც იციან აიზუზვაი, ავით რომ გახდებიან“ (ბროწლ.). აიზუზება-მორიდებით დადგება (ქეგლ). **აიკანჭურებს** - მეტისმეტად დაიმოკლებს (კაბას). „რას აიკანჭურებია ე კაბაი, ვედარ ჩამოუშალე?“ . **აიკანჭურებს** (აიკანჭურა, აუკანჭურებია თავის). ფებს აიკანჭურებს ნატკენ ფებს მოხრის და ასწევს (ქეგლ). **აიკაჩავებს** - აიწევს, აიკეცავს (კაბას) მუხლებამდე. „კაბას რო წამოიწევს კაჩამდინა, კალთასა, იმაზე იტყვიან, აიკაჩავაო (საგურ.). აიკაპიწებს, აიკარწახებს (ქეგლ). **აიკვალთავს** იგივეა, რაც აიკალთავებს. „აუკვალთია ჩოხის კალთები და შესულა ი წყალშია, მითომ მარტო ჩოხა ეცო და სხვა აღარაფერი დაუსველდებოდა“ (იგ.) . **აიკვანჭილებს** -აიკანჭურებს (ფებს). „რო დაკოჭლდება, ფებს აიკვანჭილებს, ან შეერჭობა რამეი, ფეხი აიკვანჭილაო (ატ.). აკვანჭილებული. **აიღუღება** - აიზუზება. „ჭუკები აიღუღებიან, იზუზებიან და იხოცებიან“ (ქემ.). არ დასტურდება. **ატიალია** - აბადია, გააჩნია (ამზობენ უპატივისმცემლოდ). „არაფერი ატიალიათ ოჯახში“ (იკ.) (ბეროზაშვილი & სხვები, 1981, გვ. 20, 40). უარყოფით კონტექსტში. აქვს, მოეპოვება, აბადია.

ბალლაჭა - პატარა ბავშვი დაცინვით. „ბალლაჭა ეუბნებიან დაცინვით პატარა ბავშვს. „ბალლაჭა ბალ ეტყვიან ხომე დაცინვითა, როცა დიდი გონია თავი და დიდეფში გეერევა თამაშობაშია“ (წილკ.) (ბეროზაშვილი & სხვები, 1981, გვ. 55). „ბალაჭი უფუვარ პური“ (ქეგლ).

აიზუზება - მხრებს აიწევს. „გაშალე მხრები, ახუხული ნუ დადიხარ!“ (ბეროზაშვილი & სხვები, 1981, გვ. 23).

შენელებულ, მცირე მოძრაობას აღნიშნავს: **მიკოკმანებს** - ნელა, მოკლე ნაბიჯებით მიდის (ცხენი). „რაც უნდა გაუჯავრდე, მაინც მიკოკმანებს, მოკლემუხლა ცხენია“ (რუისი). **დახუსხუსებს** - მოკლე ნაბიჯებით დადის. „მოკლე ნაბიჯებით რო დადი და ჩქარა-ჩქარა, დახუსხუსებს“ (იგ.) (ბეროზაშვილი & სხვები, 1981, გვ. 194, 285). „ხუსხუსი 1. (ქიზ.) მოხუცის სწრაფი სიარული; 2. იმერ. ახლადფეხადგმულის რბენა (ქეგლ).

სხეულის რომელიმე ნაწილის სიმცირეს აღნიშნავს: **თვალემოკრუტულა** - პატარა, წვრილი თვალების მქონე; თვალემოკრუტული. „პატარა თვალები რო აქ, ან თუ ისე მოხუჭულივითა აქ თვალები, იმას ეტყვიან თვალემოკრუტულსა“ (ხც., ძეგვ.) (ბეროზაშვილი & სხვები, 1981, გვ. 222). თვალემოკრუტული (ქეგლ). **კიჟა** - ვისაც ცალი თვალი მოჭუტული აქვს. „რა კიჟასავით მოკიჟავ თვალსა!“ (ტყვ., ქვეშ.) (ბეროზაშვილი & სხვები, 1981, გვ. 249). „კიჟავს-ხუჭავს, ჭუტავს (თვალს) (ქეგლ). ასეთ გამოთქმებს ხშირად დამამცირებელი ელფერიც ახლავს.

სიმცირე გამოხატულია სხვასთან მიმართებით. მაგალითად:

დედამთილა - პატარა გოგო, რომელიც დიდივით იქცევა „აბა, დედამთილა, ერთი შენებურათ დატრიალდი!“ (ბეროზაშვილი & სხვები, 1981, გვ. 195).

დოვდება - ფერი ეკარგება. „ესე ლურჯიანს ვიყიდამდი, მაგრამა თეთრდება, დოვდება მიენა“ (ერედვ.), ხაშ. (ბეროზაშვილი & სხვები, 1981, გვ. 197).

ეუმცროსება - უსრულებს დავალებას, სურვილს. „მართალია, დიდი სიკეთე აქ ჩემზე, მაგრამ მეც, რაც შემიძლია, ვეუნცროსები (ბიწმ., აკ.) (ბეროზაშვილი & სხვები, 1981, გვ. 295).

სიტყვა გამოხატავს რომელიმე კონკრეტული ნივთის სიმცირეს. მაგალითად:

ზედაგარდა - მოკლე თოკი ან წნელი საქონლის დასაბმელი. „ძან მოკლე ზედაგარდა აქ კამეჩი რკალსა და უჭერს ყელშია“ (წილკ., ბრ., ერთაწმ., თვალ., ქემ., ქვ. ჭ. ქვეში) (ბეროზაშვილი & სხვები, 1981, გვ. 211). „ზედაგარდა ზროხათა დასაბმელი“ (ორბელიანი, 1991, გვ. 278).

კვეყო - ხის პატარა ურო. „კვეყო ხის უროა, მრგვალია და ტარი აქვს“ (ხაშ.) (ბეროზაშვილი & სხვები, 1981, გვ. 247). იგივე მნიშვნელობით დასტურდება ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში.

კვიჭი - პატარა, მომცდარი ტარო. „სიმინდი მოვიდა წელსა სუ მთლად კვიჭი“ (ხაშ.) (ბეროზაშვილი & სხვები, 1981, გვ. 247, 248). იგივე მნიშვნელობით დასტურდება იმერულში (ქეგლ).

ჭკუა-გონების სიმცირეს აღნიშნავს: **ატაუტა** - მსუბუქი, მჩატე ჭკუისა. „მსუბუქი, ფშუტი ადამიანი არი ატაუტა, ჭკუა რო არ ექნება დალაგებული“ (ბროწლ., ერედვ.). შდრ.: „ატაბატა ლაპარაკი შეუსაბამოდ, თანმიმდევრობის, ლოგიკურობის გარეშე“ (ქეგლ).

აფშატურაფ - დაუფიქრებელი, ქერქეტა, არასერიოზული. „სუბუქი ჭკუისა არი აფშატურაფ“ (სამწ.). (ბეროზაშვილი & სხვები, 1981, გვ. 40, 43).

საკვებ პროდუქტებთან დაკავშირებული სიმცირეა გამოხატული სიტყვებში:

აიკუწება - აიჭრება (დო, რძე და მისთ.) „დოს შეჭამანდს რო მალე მოურევ, აიკუწება, თუ არ მოურევ, შეიკვრება ისევ“ (ზერტ.). შდრ. „აიკუწება - აკუწვა მოხდება რისამე“ (ქეგლ). განსხვავებული მნიშვნელობაა.

აღავებს - აქა-იქ აზნევს, ფანტავს (მარცვლეულს, ნაგავს). „აქშა, ნუ აღავეფ სიმინდსა! (ქორ.).

აცენცავს - სათითაოდ, მარცვალ-მარცვალ კრეფს, აკენკავს. „სად არიან ეხლა ჩემი ჭუკები, რო ამ მარცვალ არ აცენცავენ?!“ (თამარ. ატენ., ბროწლ. სად. ქორ., ძეგვ.).

ბიმბილი - ყურძნის მარცვალი (იკ.) (ბეროზაშვილი & სხვები, 1981, გვ. 20, 47, 60). ბიმბილი კუთ (იმერ.) „თხმელისა და თხილის ყვავილი“ (ვ. ბერიძე) შდრ. ბიბილა (ქეგლ).

ქონების შემცირებას აღნიშნავს: **აუბარაქოებს** - ანიავებს, ფლანგავს. „სუბუქი ადამიანი რო არი, იმას ეტყვიან, **აბუქა** ადამიანი ხარო, ცხოვრებას **აუბარაქოებო**“ (იკ.). (ბეროზაშვილი & სხვები, 1981, გვ. 41). შდრ. „რასაც ხვავი არ აქვს - უნაყოფო, ბარაქის გარემე“ (ქეგლ).

ზოგი ლექსიკური ერთეული ერთდროულად აღნიშნავს სიდიდესაც და სიმცირესაც. მაგალითად: **ლანჩა** - პატარა თხელი ქვა. შდრ. 1. სქელი ტყავი ფეხსაცმლის ძირისა; 2. კუთხ. (ქიზ.) იატაკის ფიცრის ქვეშ დატანებული სოლი ან ნაფოტი (ქეგლ).

წიწლიკა: 1. მაღალი გამხდარი; 2. პატარა, დალეული. (ბროწლ., ტირძნ., ძეგვ., ატ., ძლევიჯვ.) (ბეროზაშვილი & სხვები, 1981, გვ. 253, 265, 503). „წიწლიკანა - პატარა და წვრილი, გამხდარი (ითქმის ჩვეულებრივ ადამიანზე), წრიპა“ (ქეგლ.).

წინწილებს - ცოტა მოდის. მოწანწკარებს (წყალი). „ჯერ სუ წინწილებდა ე წყალი, ახლა სუ დაწყდა“ (ბროწლ., ქვეშ.) (ბეროზაშვილი & სხვები, 1981, გვ. 301). „წინწკალი - ნაპერწყალთ ნაწილი“ (ორბელიანი, 1993, გვ. 379). წინწილა - საკრავი; 2. ქვ. იმერ. - მეტად ცივი, სუსხიანი, გამყინავი (ქართ.); 3. პატარა, წვრილი (ქეგლ).

ამრიგად, სიმცირის გამომხატველი ლექსიკის სემანტიკური ჯგუფების სახელდება და წარმოება საინტერესო სურათს გვაძლევს ქართული ენის სხვა დიალექტების მასალასთან შედარებით. სიმცირის აღმნიშვნელი ლექსიკიდან ქართულში დასტურდება ისეთი ლექსიკური ერთეულები, რომლებიც ქართული ენის სხვა დიალექტებსა და ლექსიკონებში არ დასტურდება, ან თუ დასტურდება, მათ განსხვავებული მნიშვნელობა აქვთ. მაგალითად: **აფმატურა, შემოწუფხვა, ჩამჩაკუდა, გატვინდება, დაიდვრება, კუჟანა, მიკოკმანებს, კლანცხა, ქინცა, ატაუტა**. ასეთი ლექსიკური ერთეულების აღნუსხვა და კვლევა მნიშვნელოვანია ქართული ენის დიალექტებში მიმდინარე პროცესების წარმოსაჩენად.

ბიბლიოგრაფია:

ბეროზაშვილი, თ., მესხიშვილი, მ., & ნოზაძე, ლ. (1981). *ქართული დიალექტის ლექსიკონი*. თბილისი: მეცნიერება.

კიკონიშვილი, მ., & ჭუმბურიძე, ნ. (2016). სიმცირის აღმნიშვნელი ლექსიკა ქართული ენის დიალექტებში. *XXXVI დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები*. თბილისი: თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი.

მესხიშვილი, მ. (2006). *ქართული ლექსიკონი (მასალები)*. თბილისი: არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი.

ომიძე, ს. (2016). *სიმცირის გამომხატველ ერთეულთა ლინგვოკულტუროლოგიური ველი*. თბილისი: არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი.

ორბელიანი, ს. ს. (1991). *ლექსიკონი ქართული* (ტ. I). თბილისი: მერანი.

ორბელიანი, ს. ს. (1993). *ლექსიკონი ქართული* (ტ. II). თბილისი: მერანი.

შემოკლებათა განმარტება:

ქეგლ - ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (სრული სერია). 1950-1964.
<http://www.ice.ge/liv/liv/ganmartebiti.php>

შდრ - შეადარე.

Mariam Koberidze
Gori State Teaching University
**VOCABULARY EXPRESSING A MINORITY OF SEMANTIC IN KARTLIAN
RESUME**

Vocabulary expressing a minority of semantic in Kartlian offers a rich and diverse material for research. From the vocabulary of a minority stand out as in general words expressing a minority so emotionally-experimental vocabulary, which expresses the volume of an event or object, size, or lack of character in accordance with one or more attributes.

The person of small stature is expressed by: ზღუნკი [bghunki], კვიჭი [kvitchi], კუსპა [kuspa], კოჟია [kozhia], ჩმაგვი [chmagvi], ჩოგმანა [chogmana], ჩოფანა [chopana], ჩოქალა [chokala], ცოცობელა [tsotsobela], ბაჩაჩუყა [bachachuka], კუმაჭია [kumatchia], კუსპარა [kuspara], მოწკლიპული [motskclipuli]...

Some words indicate a lack of several features. For example: [Oghutchuti] 1. small; 2. ugly; ცუცნელა [tsutsnela], 1. small; 2. little eater; წიწლიკა [tsitslika] 1. tall, thin; 2. small; გამწვლიკული [gamtslikuli], 1. thin; 2. small; ბაკუტა [bakuta]; 1. low; 2. thick.

Humiliation – diminishing is expressed by the following: აუეშიე [aukshie] -harum scarum; ბაღლაჭა [baghlatcha]-small child; კიკნია [kiknia]- who eats little; ლიფსიტა [lipsita]- tiny; ჩამჩაკუდა [chamchakuda]- man of small stature...

A little movement is expressed by the following: მიკოკმანებს [mikokmaneb], მიცუკეუებს [mitsuksuebs] დაბუსხუებს [dakhushuebs]... The small volume of some part of the body is expressed by the following: აკვანჭილება [akvantchileba], ატაცება [atatseba] (to be lame), კიჯა [kizha] (the one who has one narrowed eye), დაკუტება [dakuteba] (can not move)... A small property is expressed by the following: აუბარაქობებს [aubarakoeb], გაანაშლიანებს [gaanashlianeb], განაკლულება [ganakluleba]... For the expression of tasteless meal is expressed by the following: აიკუტება [aikutseba], კიკვივა [kivkiva], გატვინდება [gatvindeba].

In work the attention is directed to the naming and composition of vocabulary expressing a minority of semantic. This gives us an interesting picture of the comparison of lexical items with other dialectical materials of the Georgian language.

In Kartlian there are such lexical units from the vocabulary expressing a minority of semantic, which are not found in other dialects and dictionaries of the Georgian language or if they exist they have a different meaning. For example: აფშატურა [apshatura], შემოწუფხვა [shemotsupkhva], ჩამჩაკუდა [chamchakuda], გატვინდება [gatvindeba], დაიდგრება [daighvreba], კუჯანა [kuzhana], მიკოკმანებს [mikokmaneb], კლანცხა [klantskha]. The description and study of such lexical units is important and interesting for representing current processes in the dialects of Georgian language.

Keywords: Language, Kartlian, Semantic, Little, Vocabulary.

ნანა კუცია, მარინე ტურავა
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**მოდერნისტული ეპოქის რეალისტური პერსონაჟი მიხეილ ჯავახიშვილის
რომან-პარაბოლა „ჯაყოს ხიზნებში“**

საკვანძო სიტყვები: აბსურდულ-ტრაგიკული ხანა, პერსონა, პერსონიფიკაცია, ორმაგი კოდირება.

თეიმურაზ ხევისთავი – პერსონა, პერსონაჟი, პერსონიფიკაცია – მიხეილ ჯავახიშვილმა გამოიხმო წარმოსახულ ლანდთა სივრციდან, მოდერნიზმის ხანაში ნეორეალისტური რომანი შეთხზა, როგორც გრიგოლ რობაქიძემ – მითოსურ-რეალისტური, კონსტანტინე გამსახურდიამ – ისტორიული, „რივალციების“, „პალტიკა-მალტიკის“, „უცხო ქვეყნებში ატეხილი ჭირის“ რეკვიემად, „განწირულის სულისკვეთების“ და „წარმავალთა ბედის“ წარმოსაჩენად.

ხვეისთავის ისტორია პოსტმოდერნისტული ტექსტი არ არის და ვერც იქნება (პოსტმოდერნიზმამდე ლამის საუკუნეა), მაგრამ **ორმაგი კოდირება** ამბის ტვიფარი – ზედაპირულ შრეზე გულისამრევი ადიულტერი პარადიგმულ პლასტში ჟამის პარაბოლად აღიქმება, მაგრამ ყველა იაზრებს კი ფაქტს პარაბოლად, ამბავს – იგავად?

ოთარ ჩხეიძე ბარნოვის, რობაქიძის, გამსახურდიას, ჯავახიშვილის – დიდ ქართველ პროზაიკოსთა – მხატვრული მანერის განსხვავებულობას, მაგრამ „წყევლაკრულვიანი საკითხავის“ სამწუხარო უცვლელობას მიანიშნებდა: „თუ სხვაგან მეტაფორებსა და სიმბოლოებში, ალეგორიებსა და მითოსურ სიტუაციებში კითხულობენ რეალურ სახეებს, „ჯაყოს ხიზნებში“ რეალურში, რეალურსა და შიშველ სახეებში ამოიკითხება, ამოიკითხება პირიქითა, გაიაზრება პირიქითა, მეტაფორული და სიმბოლური სურათები გაიაზრება პირიქითა – დიდოსტატობა სწორედაც ესაა რეალისტურ რომანში“.

დიდოსტატობა სტიგმა იყო ბოლშევიზმის (სიცოცხლის გაარაფრების, ხელოვნების პროფანირების, მუშაკებისა და „მწერლობაში მშრომელთა მასობრივი გაწვევის“) **აბსურდულ-ტრაგიკულ ხანაში**.

შალვა ამირეჯიბი წერდა პარიზში 1926 წელს, „ჯაყოს ხიზნები“ დაწერილია კარგი ავტორის მიერ, მაგრამ ცუდი მკითხველისთვისო.“ ბოლშევიკურ კრიტიკას თუ გულისხმობდა, ცილისწამების ნიაღვარი რომ გადაანთხია ავტორს: ვინმე ბეგაშვილი „ჩანჩურათა მწერლად“ ნათლავდა, ვინმე ხუროძე – „ჯაყოს აპოლოგეტად“, ვინმე ჭანტურიშვილი „სადისტურ-სექსუალურ მიდრეკილებებს“ უკიჟინებდა (შავგულიძე, 1988, გვ. 16) ...

„ერთიმეორეზე გამანადგურებელ რეცენზიებად“ იხსენიებს საბჭოურ ოპუსებს მწერლის ქალიშვილი – ქეთევან ჯავახიშვილი. 1925 წლის 17 მაისს რუსთაველის თეატრში „ჯაყოს ხიზნების“ პერსონაჟთა – „გასამართლება“ მოეწყო, დიდი ვნებათაღელვაც ახლდა. ნიკა აგიაშვილმა უამბო მერე ქეთევან ჯავახიშვილს, „დისპუტს დავესწარი, საზოგადოება აღშფოთებული იყო რომანით, რაღა ოსი დავგასვი თავზეო. მიხეილმა უპასუხა, „ჯაყოს ხიზნები“ საბჭოთა სინამდვილემ დამაწერინაო. სხვები მწერალს უკიჟინებდნენ, ქართული ინტელიგენცია მიწასთან გაასწორა და დაამცირა, ქართველი ქალი ზნედაცემულად წარმოაჩინაო...“

მწერლის ქალიშვილი ოთხმოციან წლებში გამოცემულ „მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრებაში“ სისხლით და გონით არისტოკრატიათვის ბუნებრივი ტაქტით იტყვის, „დღესაც ისმის ამდაგვარი ხმები, ჩანს, საზოგადოების ერთი ნაწილი ვერ ჩახვდა მწერლის ჩანაფიქრს, რაც ძალზე სამწუხაროაო.“

იმავე ოციან წლებში იმედის სხივად გაიკიაფებდა „მშვენიერ წიგნის მკითხველის და არა მხოლოდ გადამკითხველისეული“ აღქმა პარაბოლური რომანისა – ვალერიან გაფრინდაშვილი „აყვავებული პროზის გაზაფხულის პირველ მერცხლად“ შეიგულეებდა, ივანე გომართელი დაწერდა, „თუკი სასახლის ქალები, თვით დედოფალიც, ფეხქვეშ ეგებოდნენ ტლანქსა და უხემ რასპუტინს, განა გასაკვირია, მარგო ჯაყოს დამორჩილებოდაო“, შალვა ამირეჯიბი უცხოეთიდან მოაწვდენდა გულისხმას: „ჯაყო ეპოქის ფაქტია, რეჟიმული მოვლენაა, ავტორი აგვიწერს ქართულ ყოფას ბოლშევიკურ ჩარჩოში. მარგოს სახით ავტორმა ორიათასწლოვანი ქართული კულტურა ჯაყოს მიუგდოო“. (კვანჭილაშვილი, 1966, გვ. 163)

ამგვარად ტექსტს მხოლოდ რეჟიმს დაუმორჩილებელნი ან ემიგრანტები თუ გაიაზრებდნენ.

„რევოლუციამ გააჩანჩურა თეიმურაზი, რევოლუციის საქაჯავში გაჩანჩურდაო“ – ასეთია თავად მწერლისეული ვერდიქტი. კრიტიკოს ხუროძის სტატიას მიაწერს, „ვინ მომცა ნება, დღევანდელი ყოფაცხოვრება ისე აწერო, როგორც ვხედავო“, ივანე გომართელის წერილის პასაჟს, „ასეთი ანალიზი ინტელიგენციის ერთი ნაწილის სულიერი ავადმყოფობისა არავის მოუცია ჩვენს სიტყვაკაზმულ მწერლობაშიო“, დაურთავს რემარკას: „ავტორის გლოვა თეიმურაზის ბედისა არ გესმის?!“

მწერლისეულ ჩანაწერებში აღნიშნულია: „უცნაურია – ყველაზე მეტი დავა „ჯაყოს ხიზნებმა“ გამოიწვია, მაგრამ ყველაზე მეტი სიხარულიც ამ რომანის დასრულებამ მაგრძნობინა... ბევრნი ჩამაგონებენ, თუ გინდა, ძველებურად მიგიღოთ, შენი შემოქმედებიდან „ჯაყო“ ამოშალეო. თუ მართლა კითხვა ასეა დაყენებული, მაშინ მე ყველაფერს დავთმობ, მაგრამ „ჯაყოს“ და „თეთრ საყელოს“ ვერავინ გამამეტებინებს!“ რადგან, როგორც თავადვე წერს: „ჯაყო“ გმინვაა ჩემი სულის!“

ნაწარმოების გადასარჩენად თუ მისწერა 1926 წელს შალვა დადიანს, „ისე არ მოვკვდები, სრული „ჯაყო“ არ დაწერო, დასასრული სულ სხვანაირი იქნება, ნინიკა მარგოს წაართმევს, ჯაყოს საქართველოდან გადაასახლებენ, რაც დიდმა ილიამ ვერ გაჰბედა, მე უნდა გავბედო, თავად-გლეხთა შორის ჩატეხილი ხიდი უნდა გავამრთელოო“. (გვერდწითელი, 1977, გვ. 97)

როსტომ ჩხეიძე ეპოქის ტრაგიკული კონტექსტით განპირობებულ ციტატაზე იტყვის, ანტიკურ ტრაგედიასავით შეკრულ კომპოზიციას არაფერი ჩაემატებაო.

ნუგზარ შავგულიძე ოთხმოციან წლებში დაწერს, „ჯაყოს ხიზნების“ შეფასებას საფუძვლად ედო როგორც ყალბად გაგებული „შეურაცხყოფილი ეროვნული ღირსების დაცვა“, ისე კრიტიკოს-ლიტერატორთა მიერ ოციანი წლების პროზის განვითარების სპეციფიკურ კანონზომიერებათა ან არცოდნა, ან შეგნებული უგულვებლყოფაო.“

ნებისმიერ შემთხვევაში, „ჯაყოს ხიზნები“ საკრალური და საბედისწერო ტექსტია და ბედისწერადვე ექცა მწერალს, როგორც ნახატისათვის სულს მოსთხოვენ ოდესმე დამხატველს, მუსლიმთა რწმენით.

კრიტიკოს ჭანტურიშვილის განაცხადს, „ჯაყოს ხიზნები“ მალე განიდევნება, როგორც უმსგავსი მოვლენა ჩვენს მწერლობაშიო“, აშიაზე მიაწერს ჯავახიშვილი, „ვერ მოესწრებო.“ მისთვის დღესავით იყო ნათელი, რას იტყოდა მასზე შთამომავლობა – ბოლშევიკური წნეხისაგან თავისუფალი „მკითხველი მშვენიერ წიგნის.“

მშვენიერ წიგნებს და პერსონაჟებს ყოველთვის ტრაგიკული ბედი აქვთ – მოლი ბლუმიც ირლანდიის სირცხვილად იყო შერაცხული დიდხანს, ავტორი – მარგინალად საკუთარ სამშობლოში, კედი კომპოსონსაც „პატარა მეძავად“ თვლიდა ჯეისონიც და ჯეისონიზებული საზოგადოებაც, თუმც იმავე საზოგადოებას ემილი გირსონიც მარგინალიზებული ჰყავს და, ამდენად, ძნელდება სოციუმის ღირებულებით სისტემებზე მსჯელობა, უნიათოდ და უხერხემლოდ ინათლება ექიმი ჟივანო, რომელსაც საბჭოთა კრიტიკა დიდხანს იხსენიებდა დაცინვით „დოქტორ მერტვაგოდ“...

თეიმურაზ ხევისთავის გვარის წარმოთქმისას უნებლიეთ აკაკის სარკასტული, მწარე რეპლიკა მოგვაგონდება, ვინმე ბრეჟი ერისთავისთვის მიხლილი, „ერი აღარა გყავთ, ჩემო ბატონო, და ცარიელი თავი გინდ გბმიათ მხრებზე, გინდ – არაო.“

თეიმურაზი აღარაა ხევის თავი, ვეღარაა, და ეს ავტორის ნება არაა, „ულმობელი ისტორიის“ (ჯავახიშვილისეული სინტაგმა) კაპრიზია და განაჩენი.

გარდამავალ ხანას, ღირებულებათა, ფასეულობათა ტორტმანის, ყველაფრის გაარაფრების ჟამს, დამთრგუნველ, დამაბნეველ ორომტრიალს მიხეილ ჯავახიშვილის თანამედროვე, ნიკო ლორთქიფანიძე ლეგენდაში „ეს იყო ძველად“ ასე აღწერს: „მემოდგომაზე, სიკვდილის წინ, აირევა ბუნება, ქარი აზუზუნდება, აქ აიღებს კორიანტელს და იქ მიაყრის, ყავარს ხეზე გადებს, ხის ფოთოლს მაგიდაზე მოფენს, ისლი წყაროს დაფარავს, წყლით აივსება აივანი... ასეთ წამს, რა მახვილი თვალიც არ იყოს, ვერ გაიგებს, რა ვის ეკუთვნის, საიდან რა არის ჩამოტანილი. ასე იყო მაშინ საქართველოშიც...“

არა მხოლოდ „მველი“, თეიმურაზის ჟამიც ასეთია – მეოცე საუკუნის პირველი ოცწლეული – მსოფლიო ომის, რუსული რევოლუციების – „მუსრს ავლებდა საქართველოს სხვის ქვეყნებში ატეხილი ჭირიო“, სხვა მწერალი იტყვის, მაგრამ – ამავე ჟამის ჟამიანობის ასარეკლად. ეს „უჟამო ჟამის“ ჟამი არაა, არც „მზიანი ღამის“, არც „ერთარსება ერთის“... იმავე ჟამზე პოეტიც ლაკონიურად კონსტატირებს, „ჯოჯოხეთური სამოთხე შენდებაო“, სხვაგან – „ეს საუკუნე – ლიუციფერიო“ (გალაკტიონი).

უბის წიგნაკში ჩაუწერია მიხეილ ჯავახიშვილს, „ჯაყო – ბიოლოგიაა, თეიმურაზი – ესთეტიკაო“ (და, ავტორზე უკეთ, ვინ იცნობს პერსონაჟ(ებ)ს?).

თეიმურაზის ეპოქა ის ჟამია, ესთეტიკას ბიოლოგია რომ „ჩაანაცვლებს“, ქართულ წიგნს და სიგელ-გუჯრებს – ჯაყოს რუსული მაუზერი, ხატს მწნილს გადააფარებენ, ხმლებს ხარხებდად გადებენ ნასახლარში, ნაშინდარში, ნახუცართა, ნათავადართა, ნავექილართა უბედურ სამკვიდროში – და წინარე ვითარების „ნა-არ“ თავსართ-ბოლოსართი ისევე მეტყველია, როგორც პოს მზრინავი ევერმორე – „ამიერიდან აღარასოდეს“ ...

„შვიდასი წელი გამიხდა, არ გავპოხილვარ დუმიტაო“, ვაჟას ხმალიც ჩიოდა დუქნადქცეულ სახელმწიფოში. ხმლის ჩვილს ვილა ჩიოდა – დგებოდა მაუზერის ხანა, დასწრების, დასმენის, სიციქაფის, გაუტანლობის, ვაჟას შვილის დახვრეტისა და, ვაჟა რომ ცოცხალი ყოფილიყო – მისიც...

განა მხოლოდ თეიმურაზზე წერს მიხეილ ჯავახიშვილი – თეიმურაზი უბრალოდ პერსონაჟი კი არა, პერსონაცაა და პერსონიფიკაციაც. მასზე წერდა და ყოველ არისტოკრატს გულისხმობდა – წიგნიერს, მრავალათასწლოვანწარსულიანს და... უღონოსა და უნიათოს, „გაფუფქულ ქათამს მინამგვანს, უმზეო ყვავილივით ნაზს“, საუკუნეების მანძილებით, ჭვრეტით და ფიქრით, ფუყე აზროვნებით და ამო ფუსფუსით, მართასეული მიმოდაზრუნვით, „საქვეყნო საქმეებით ორსულობით“ დადლილს, მარღვებში რომ სისხლის მაგივრად, გაზეთის ნახევები დაუდის, ასი წლის წინ „მოჰკიოდა, ანჯღრევდა, აფხიზლებდა“ შთამომავლებს, არ დაკარგო, არ წააგო ეს წალკოტი, არ იქცე ჯაყოს ხიზნადო. თეიმურაზ ხევისთავი – იქცა შთამომავალი რომ არ ქცეულიყო, იმად ხატავდა მწერალი, საუკუნის შემდეგ მოსახდენს საუკუნით ადრე ჭვრეტდა, რადგან დიდი მწერლები დიდი წინასწარმეტყველებიც არიან და მათი ბედისწერაც წინასწარმეტყველისას ჰგავს.

თეიმურაზ ხევისთავს – პერსონას, პერსონაჟს, პერსონიფიკაციას, ჟამზე ფიქრისას, „თავის გათავისწინებისას“, როგორც ავთანდილზე იტყოდა რუსთველი, ხანდახან ისეთი სასოწარკვეთა იპყრობდა! იქნებ, ვინმემ იცოდეს, რა გაეწყობა კუზმა კილგასთან, რა შეაჩერებს მის „მოკლე, ბეჯით ნაბიჯებს“ „შმიდტის“ კაბინისაკენ, როცა კრეისერის ზარბაზნების „ერთდროულად ბრმა და მხედველი მზერა“, ასი წლის წინ, ახლაც სოხუმისკენაა მიპყრობილი? რას დაუპირისპირებს წიგნის კაცი თარაში მაუზერის კაც არზაყანს? რა დაუხვდება ევროპიდან დაბრუნებულ სავარსამიძეს ჯერ

„გავარდისფერებულ“, შემდეგ „გაწითლებულ“, გავერანებულ საქართველოში? რას გააწყობს თამაზ ენგური ბერზინთან? გრაალის მცველები – გრაალის მტრებთან? ვის დარჩება ნატა, თამარი, მარგო?

რევოლუციის დუნდგოს ჯერ წინათგრძნობის, მერე კი მზერისას, რას არ ებღაუჭებოდა სულისა და სისხლის არისტოკრატი! სუდანნი და ზანზიბარი, ლოიდ-ჯორჯი და ჩარტისტული მოძრაობა განა ანადვლებდა, ღობე-ყორეს ედებოდა, ეგებ წაღმა ეფიქრა სოფლის უკუღმა ტრიალი, „ბუმბულზე გაზრდილს და წიგნებით შეჭმულს“ ეშინოდა, რომ „ქვეყნის მამლადა“ ვერ ივარგებდა. „საჭურისის ცოდნად“ ნათლავდა ქმრის ნაფიქრალს მარგო. რაინდობის საუკუნის „მგზავრი გვიანი“ „კაპრატვის“ საუკუნეში გამოერიყა განგებას.

მამის ჟამზეც რამდენი უფიქრია – ლიახვის ნაპირებზე, სოფელ ნაშინდარში ციხე-დარბაზი, მუხის ბელელი, თავმონგრეული კოშკი, მარანი, ხუთიოდე დღიური ბალ-ვენახი, კაკლის დიდი ჭალა, სამი ათასი დღიური სახნავი, როკის ხეობაში დიდძალი მიწა, ოთხი ათასი დღიური ხელუხლებელი ნაძვნარი. ისე მიიცვალა, თავის მამულებში ერთი ხეც არავის მოაჭრევინა...

თეიმურაზს არასოდეს შემოუვლია მამულები, რადგან არც ცხენზე ჯდომა შეეძლო, არც მამულის დასახედად სამიოდე დღის გამეტება. მიწისთვის სულაც არ სცხელოდა, რადგან სწორედ იმ ხანებში სხვენზე დამპალი და ჩრჩილნაჭამი გუჯრები იპოვა და ჩაუჯდა. ეგონა, XVII ს. საქართველოს ისტორიის „თეთრი ლაქები“ ამოავსო; მაგრამ... გუჯრებში არაფერი აღმოჩნდა, გარდა ხევისთავთა უთავბოლო ბრძოლისა ამილახორებს, ერისთავებს, მჩაბლებს, ამირეჯიბებსა და სხვა მახლობელ თუ შორეულ ქართველ მეზობლებთან...

კიდევ ამიტომ ეპოტინება და ეპატრონება საქართველოს ჯაყო.

თავმონგრეულ კოშკსაც უნდა დაეფიქრებინა... გალაკტიონთანაც ხომ იგივე ხატია, იგივე ენიგმა: „ინგრევა კოშკი, საუკუნით აშენებული, წინაპართაგან მოტანილი ძვირფას ბროლებით,... დაშინებული საუკუნის გამოქროლებით.“

კიდევ იმიტომ მოვა ჯაყო და დაჯდება თეიმურაზის მამისეულ სითიკანზე, რომ, „როგორც შეეფერებოდა ნასწავლ თავადიშვილს, მუდმივი ბინა ტფილისში ჰქონდა, ხოლო ნაშინდარი მეწველი ფურად და აგარაკად იყო ქცეული.“

მიწას და ტაძარს ვერ უერთგულა.

განა მარტო მან?! ჟამის ჟამიანობა ყველას და ყველაფერს მისწვდა: „ლომბარდებში ეწყო ინტიმური ისტორია და უცხო თავგადასავლები, სევდიანი დასასრული სხვისი იმედებისა.

იყიდებოდა კნინა ახატნელის სპილოს ძვლის მარაო, კნინა არაგველის – კვერნის ქათიბი, თავადი სურამელის საგვარეულო რახტი... ეს იყო უღმობელი ისტორია, რომლის წყალობით ერთნი ამ ქვეყნის ასპარეზიდან უკვე მიდიოდნენ და თავიანთ წარსულს ჰყიდნენ, ხოლო მეორენი ახალ ქვეყნიდან მოდიოდნენ და თავიანთ მომავალს ყიდულობდნენ.“

ძველი ფრანგული და ყირიმული [ხმლები] ხარიხებად გადაეკეთებინათ და ზედ აკიდოები ჩამოეკიდნათ.

სახლში არც ერთი წიგნი აღარ მოიპოვებოდა. მამის სურათი, ფერადებით ნახატი და მშვენიერ მოოქროვილ ჩარჩოში ჩასმული, ხონჩად არის გამოყენებული.

ხატები და უძველესი წიგნების ყდები მწიწილებისა და ყველის ქილებისთვის დაეხურათ, გაბარჯდული ვაზი ლიახვის ჭალას დამსგავსებოდა.

ყვავილნარის, იშვიათი ვარდნარის ალაგას გოგრა, მზესუმზირა, ლობიო გაემენებინათ.

ბოსტანში მდგარი საფრთხობელა „ნამდვილი ემბლემა ჩვენი ბედისა“ საფრთხობელაზე შუბი, საბარკულები, სამკლაურები ერთმანეთზე აუხორხლავთ, დასკინტლულ რკინის მუხარადზე წარწერა: „ალლაჰ-ილ-ალაჰ“

ცხრა ქალი-ვაჟი ჰყავს ჯაყოს, თეიმურაზს – ერთიც არა.

სადამოობით „ძველ ქართლს“ გადასცქერის საგვარეულო კოშკიდან. „ოდესღაც იმ კოშკზე ქართლისა და ხევისთავების მტრები კბილებს იმტვრევდნენ, სისხლით რწყავდნენ. ახლა კი გალავნის კარები ყველასთვის გაღებულია, ხოლო კედლებს იმიტომ არ ანგრევენ მასალის წასაღებად, რომ ძველს დულაბზე რკინის წერაქვიც კი ჩლუნგდება.“

თეიმურაზს მხოლოდ ამის სათქმელად ხატავს მწერალი, ტრაგედიის გასააზრებლად, საქვეყნო ვარამის მიხეზთა გასაცნობიერებლად. გაცნობიერება გონის ჯაფაა, სინანული – ზნეობისა. „დულაბზე“ ფიქრი ამასაც ათქმევინებს პერსონა-პერსონაჟ-პერსონიფიკაციას:

„[ახლანდელი ქართლი] უწინდელ ქართლისა მეოთხედიც აღარ არის. ჩამოეცალნენ სამცხე, არტანი, ჯავახეთი, ტაშირი, მცირე სომხეთი, აბოცი, ბორჩალო, ყაზახი და ტფილისის მიდამოები... ისტორიამ დაანგრია ძველი ქართლი ... ქართლი დაეცა და საქართველოც დასუსტდა... ყოველ ქვეყანასა აქვს თავისი პრუსია, ჰყავს პრუსიელები.“

დიდი ბრიტანეთი უელსის საპერცოგომ ააშენა, რუსეთი მოსკოველებმა მოაგროვეს, რომის იმპერიის ისტორია რომისა და კაპუას ისტორიაა, ხოლო ძველი საბერძნეთი ათინამ და ატიკამ ააყვავეს, რომელნიც ხალხის ცხოვრებაში დუღაბის მაგივრობას ასრულებენ... საქართველოს პრუსიკაქართლი იყო. საქართველოს პრუსია აღარა აქვს და აღარც პრუსიელები ჰყავს.“

ვინ ამოკრეფს ტექსტიდან ეპოქალურ მინიშნებებს, ჯავახიშვილისეულ ხედვას საქართველოს მომავლისა: „ჩრდილოეთიდან ყინულის სუსხი მოდიოდა... რა მშვენივით არის შემოსილი დასავლეთი... ყოველივე დასავლეთიდან მოდის: სიმდიდრე, განათლება, ზნეობა, თავისუფლება და მშვიდობა“...

ჯერ გავარდისფერებულ, მერე გაწითლებულ, გავერანებულ საქართველოში „პროვიზორს მატარებელი მიჰყავს, მემანქანე აფთიაქში მუშაობს, ერთი მატარებელს ამტვრევს, მეორე ხალხს სწამლავს.“

მასწავლებლობას ურჩევდნენ, მაგრამ „ბავშვს ისეთ რამეს ვერ ვასწავლი, რისაც თვითონ არა მწამსო“, დასცდა, დასცინოდნენ, შვეიცარიული ძროხა ქართლის მინდორში ვერ გაძლებს, ნაშინდარში მუსკატის ღვინო ვერ მოვა, ქართლი ბელგია არაა და ქართველი – ინგლისელიო.

დაშხამული სიცოცხლე ისევ ძაღლის ლემივით ეკიდა გულზე...

გულარძნილი იმასაც იტყოდა ხოლმე, სასოწარკვეთილი: „ქართული კულტურა ჭორია! ერთი სული მხოლოდ ერთ მთლიან ერსა აქვს, ქართველობა კი, როგორც ფსიქიური და ეროვნული ერთეული, აღარ არსებობს. რა აქვთ საერთო ქართლელსა და მეგრელს, კახელსა და ქვემო იმერელს, ხევსურსა და გურულს?! დომხალივით არეულან არიელი და სემიტი, აზია და ევროპა,... ვისი სისხლი არ გვიდგას ძარღვებში, ვისი სული არ გვიტრიალებს სასულეში.“

ერის უკვდავება მეტაფიზიკური ბოდეაა. ელლინთა გენიალობამ თავისი დრო მოსჭამა და დაიშრიტა... ჩვენზე გვერდით, წინა აზიის გულში სამუდამოდ აღიგავა კაცობრიობის ხსოვნიდან ასიოდე ერი, ისტორიამ მათი სახელებიც კი არ იცის: ფინიკია, კართაგენი, ეგვიპტე, ატტეკები, ინკები, ასურეთი, ბაბილონი, ამორეველნი, ქალდეველნი, ურარტელნი, შუმერები, ხეთნი... დროის წინაშე უკვდავი არაფერია. ჩვენც იმ გადაშენებულთა ბედი მოგველის.

ჩვენ ხვალ ან ზეგ უკუნეთს უნდა ჩავბარდეთ, ზოგნი კი მხოლოდ გუშინ დაიბადნენ...

საქართველო სად არისო, ევროპას რომ ჰკითხო, ან სამხრეთ აფრიკას დაატაკებს ხელს, ან რომელიმე ტროპიკულ კუნძულს. საიდან და როდის უნდა შექმნილიყო ერთიანი ქართველი ერი და კულტურა? ორი ათასი წელიწადი მაინც იქნება, რაც ამერ-იმერეთი ერთ ნაჭერ მიწაზე ვცხოვრობთ, ერთად კი, ერთიან სახელმწიფოებრივ და ეროვნულ შენობაში 200 წელიც არ გვიცხოვრია. ერთმანეთს ჭირიანებივით ვერიდებოდით და ისე გაგურბოდით, თითქოს სხვადასხვა სისხლისა და ტომისანი ვყოფილიყავით. მუდამ ცალ-ცალკე ვიღუპებოდით და ცალ-ცალკე ვშენდებოდით. საქართველო ყოველთვის ორპირი ან სამპირი იყო. ერთი რომ აღმოსავლეთისკენ ჰქონდა მიღრეცილი, მეორე დასავლეთს იხედებოდა, მესამე კი ჩრდილოეთით ან სამხრეთით... გურამიშვილი როდის წერდა ვახტანგ მეექვსესეზე: „მესამე კიდეც მოიბა, ორი საბელი თავს ება“ – სპარს-თურქებს რუსებიც დაუმატა დამპყრობლებადო.

1918-1921 წლებში შუა აზიაში შვეიცარიის შექმნა მოვიწოდებოდა... ღმერთმა ჰკუა დაგვაკლო და წაბადვის ნიჭი ნაჭარბევად მოგვცა. სადაც არ გვეოფნის ჰკუა, მხნეობა და გამძლეობა, იქ უცხოელთა წაბადვით ვლამობთ ლელოს გატანას... ყველანი ბუნებითვე აზნაურები ვიყავით, ვართ და დავრჩით. ყველა შრომას გაურბის და მინისტრობას და კომისრობას ეტანება... სხვა ერთა მდიდრები საკუთარ სიმდიდრეს მალავენ, ჩვენი კუდაბზიკები კი ისე იცვამენ და იბერებიან, თითქო ქვეყნის ნახევარი მათი იყოს... ქართველს სულივით უყვარს ფული, მაგრამ უძირო სიძულვილით სძულს და ეზიზღება ფულიანი კაცი, ე. ი., ფულის შოვნის ხერხი, ვაჭრობა და მრეწველობა, ე. ი., ორის შოვნა და ერთის დახარჯვა, ანუ დინჯი და ანგარიშიანი ცხოვრება, ე. ი., შრომა და ნებისყოფა.

ჩვენთვის შრომა ღვთის რისხვაა. ჩვენს მამა-პაპებსაც სძულდათ ფულიანი ხალხი.

ფულიანების მახვილს ჩვენ დავეუპირისპირეთ ჩვენი აზნაურული ფარი – დენდობა და რაინდობა, ე. ი., მფლანგველობა, ყოყოჩობა, ნებამოშლილი(ი) ადამიანის უძლური ამპარტავნება და ლატაკის ჭექა-ქუხილი.

ნუ გამახსენებ ქართველ ინტელიგენტს... რა იმედი უნდა ჰქონდეს ხალხს ისეთი ბელადისა, რომელიც ყველაზე ადრე გარბის ბრძოლის ველიდან, ან სულაც არ გადის ბრძოლის ველზე.

... ისტორიის სიტყვა ცხელი შანთით დასდაღავს ჩვენს დამპალ თაობას! ვერასოდეს დავეწევით ევროპელებს... ერთნი დედ-მამას გაჰყიდნან განათლებისთვის, მძიმე მუშაობის თავიდან აცდენისათვის, მეორენიც ასე მოიქცევიან, ოღონდ სკოლას და განათლებას ნუ გაახსენებ.

ჩვენი მთიელები ევროპაში უმაღლეს სკოლას ამთავრებენ, მერმე კი ცხვარს დასდევენ... იმერლებს აქვთ დაუმრეტელი სურვილი განათლებისა, ოღონდ მხოლოდ იმისთვის, რომ მძიმე სამუშაოს გაექცნენ.“

კითხულობს მათეს სახარების მეხუთე თავს, ცხრა ნეტარებას. მაგრამ გული სიტყვებს ისხლექს: „...მათი არს სასუფეველი ცათა – ცაზეა ლაპარაკი, მხოლოდ ცაზე, ხოლო ამ ქვეყანამ და იესომ ერთმანეთი დაჰკმეს და უარყვეს.“

„მასწავლე მე, უღირსსა მონასა შენსა, სიძმართლე შენი...“

წიგნმა მოსტაცა რწმენის სული, მეცნიერებამ დასწყვიტა უფლამდე ასაფრენი ფრთები, არადა, რუსთველის მზიურ საუკუნეში ისე უბრალოდ ითქმოდა: „მით ვისწავლებით, მოგვეცეს შერთვა ზესთ მწყობრთა წყობისა“... იმ ბედნიერ ხანაში ცოდნა რწმენას არ გამოორიცხავდა, პირიქით, გულისხმობდა.

თეიმურაზს დარჩა მხოლოდ თავის გამასხარავება და უძირო მოთმინება.

მაგრამ, იცით, რა მაიმედებს, რა მაძლებინებს?! – დასვამს კითხვას პერსონაჟი.

დამარცხებული ისაა, ვინც დამარცხება აღიარა.

ავყროდით... ჩვენვე ვესწრებით ჩვენსავე ქელეხს... მე მომღუნეს, შეიძლება გამტეხონ, მაგრამ ვერასოდეს დამიმორჩილებენ... როცა იქნება, ჩემს ნამდვილ სათქმელს ვიტყვი. მე ისე მჯერა ამ დღის მოსვლა, როგორც ხვალ – მზის ამოსვლა. ჯერჯერობით კი ახია ჩვენზე – უძღური ყოველთვის ბრალისანი – „მე ამას ვსტირი, განაწირი, ვაჰ, თუ ვესწრა ვერ, თვარაღა ჟამი, გულთ მაამი, კვლავმცა იქმნების“ – აკი გრიგოლ ორბელიანსაც ეიმედებოდა.

გრიგოლ ორბელიანივე წერდა ერთდროულად მემატაიანის და წინასწარმეტყველის მწუხარე მრისხანებით: „ჩუმად, კვნესით და ოხვრით ჰკვდება და ჰქრება ის სახელოვანი თავადაზნაურობა, რომელიც ათასის წლის განმავლობაში მამაცობით ებრძოდა მთელს აზიასა ქრისტეს სარწმუნოებისა და მამულის დასაცველად. საქართველო მრავალჯერ გაოხრებულა მონღოლთაგან, სპარსთა და თურქთაგან, მაგრამ დაემორჩილა მხოლოდ რუსთ ხელმწიფესა, იმ იმედით, რომ მის მფარველობის ქვეშე ეღირსება მშვიდობიანად ცხოვრებასა. ეხლა რასა ვჰხედავთ? ასე დაცემული სულითა არა ყოფილა არასოდეს. მოველით ყოველდღე, რომ გამოგვრეკენ სახლიდან, მამულიდან. ფიტარეთი, ჩვენის მამა-პაპების სასაფლაო, უფალს თაიროვს უქცევია ცხვრების ფარებად.“

„უფალს თაიროვს“ – ჯაყოს წინაპარს.

თითქოს „ჯაყოს ხიზნების“ კონსპექტი თუ სინოპსისია მოხაზული ორბელიანის წერილში, ლორის-მელიქოვისადმი მიწერილში 1881 წელს.

ამაზეც გვიფიქრია: ძაღლისა და კატის ბედს იქნებ გადაშენებული ვეფხვი სჯობდეს. რაც უნდა იყოს, მკვდარ ვეფხვს მაინც პატივით მოიხსენიებენ, ცოცხალ ძაღლს კი ორღობეში ამოუვა სული...

ორეული უკიჟინებს თეიმურაზს: „არ მესმის, რა დაგემართა? შენი წინაპრები მიწას სჭამდნენ, დათვებს ხანჯლით ხოცავდნენ და ყინულზე იძინებდნენ. ისე სდგებარ შენი მამის საფლავზე, როგორც წიწილა – დევის მკერდზე.“

მამაშენი და შენი წინაპარნიც სულითა და ხორციტაც ფოლადისგან იყვნენ ჩამოსხმულნი. შენ კი გაქალდი და გაფუჭდი... საგულეს გულის მაგივრად დამძალი ძონძი ჩაგიგდია, სასულის სულის ნაცვლად სიმყრალე დაგიგუბებია, მარღვებში ცხელი სისხლის მაგივრად ჭაობის დუბელა ჩაგისხამს. ისე დაკნინდი და დაილიე, ვაჟკაცობისა არაფერი გცხია.“

მარგო დასცინის ქმარს, „თევზებისა და ბატკნების რელიგიის წინასწარმეტყველი ხარო!“ ბედნიერია – პატარა ჯაყო შესძენია. იქნებ, ხევისთავი დავარქვათო, თეიმურაზს აპარებს ჯაყო.

გარეთ თეიმურაზის სულივით ბნელა, სამჯერ წაკითხულ ძველ წიგნებს მეოთხეჯერ კითხულობს და გაუბედავ იმედს ვებღაუჭება – იქნებ, დაუბრუნდეს ნაწამები მარგო...

განუყრელ ძაღლის მძორს აუყროლებია ოთახი...

ძველ კიდობანს მიადგება. კიდობანში ძველი ხატი აქვს დამალული. კუთხეში დაასვენებს, სანთელს დაუნთებს, პირქვე დაემხოზა. მეტანიით, სასოებით, ცრემლით ლოცულობს: წმიდაო ღმერთო! წმიდაო ძლიერო! წმიდაო უკვდავო! შეგვიწყალენ ჩვენ!

გარეთ სიბნელეში კვლავ ასვეტილა კომპი. მძორები ქრება, სიმყრალეც.

ელის ნაქმრევი ნაცოლარს.

დაყუდებულ შიო მღვიმელივით იცდის თეიმურაზ ხევისთავი.

ინგლისელი პრერომანტიკოსის, სემიუელ ტეილორ კოლრიჯის ლექსში „ბებერი მეზღვაური“ მთავარ პერსონაჟს მოკლული ალბატროსის ლეში ჰკიდია გულზე, როგორც სიმბოლო გაცნობიერებული ცოდვისა – მას შემდეგ, რაც მეზღვაურმა ზღვის ფრინველი მოკლა, სტიქიონი გაწყრა, ქარი ჩადგა, გემი ვერ იძვრის, წყალი კუდიანის ზეთს ემსგავსება. განრისხებული მეზღვაურები ყველაფერს ბებერ ზღვაოსანს აბრალებენ. მოხუცი ჩივის, ჯვრის ნაცვლად, ალბატროსი (ლეში) მკიდია გულზეო: “Instead of the cross, the Albatross about my neck was hung”. (An Anthology of English and American Verse, 1972, p. 205)

იქნებ, თეიმურაზმა ადგილის დედას უღალატა, მიწის და ტაძრის მაღლს, და ეს ცოდვა ლეშივით ჰკიდია გულზე?! იქნებ, ჯაყოს ზეობაც პროვიდენციული სასჯელია?!

ფიქრობს, ვეწამება, პასუხი არა აქვს: რატომ გამორიცხავს მისი ინტელექტი ბრძოლის უნარს, ეროვნულ პასუხისმგებლობას? რატომ არა აქვს ძალი, ტარიელივით გამძვინვარდე მომხდურის აღლავისას: „სხვა მეფე დაჯდეს ინდოეთს, მე მერტყას ჩემი ხრმალია?!“

რა შეიცვალა ეროვნულ და პერსონალურ ფსიქიკაში?

ნუთუ ასეთი დამთრგუნველია, დამაბეჩავებელი, დამადამბლავებელია მენშევიკთა „ბურჟუაძის თავრობაი“ და „ბალშენიკების ზაკონი“?!...

რატომ აღარ ამხილებენ ნახუცრები ჯაყოს, „ახალ აზნაურად“ რატომ უხმობენ, განსხვავებით კირიონ და ამბროსი კათალიკოსებისაგან?

რატომ წერს ბოლშევიზმის არსის „შიგნიდან“ მზირალი ცვეტაევა:

« — ».

რატომ აფორიაქებს მამისეული წარწერები სახარების არშიებზე:

„განიყვეს სამოსელი ჩემი და კვართსა ზედა იყარეს წილი“;

„ჰსაჯენ უფალო მავნებელნი ჩემნი და ჰბრძოდენ მებრძოლთა მათ ჩემთა“?

რად ეხმანება მინაწერები შვილის სულიერ განწყობას?

უბრალო დიაკონს ეკითხება სოფლის ეკლესიაში: „მითხარ, მამაო, ვითარ შევეუფარდო სიტყვა იესოსი დღევანდელ ცხოვრებას?“

დათრგუნვილს, ისღა ეიმედება, რომ, თუმც ხევსთავთა საგვარეულო სითიკანზე (საბას განმარტებით, „მამამთავართ დასაჯდომ ადგილზე“) დღესაც ჯაყო ზის, მაგრამ ქართული კრიტიკა დღეს სწორად კითხულობს „ჯაყოს ხიზნების“ ტრაგიკულ პარაბოლას.

ნონა კუპრეიშვილი წერს (მხოლოდ ციტატები): „ნამდვილი არსის გახსნა ბოლშევიზმისა (რომელსაც გრიგოლ რობაქიძე სულის გამხრწნელ დემონურ ძალებს უკავშირებდა) მხოლოდ ერთეულებმა თუ შეძლეს. უმეტესობისათვის, რომელიც ზედმეტად მიენდო მითად ქცეული თანასწორობისა და ძმობის იდეას, თვითგამორკვევის პროცესი არანაკლებ მტკივნეული, მხოლოდ ესაა, დროში გაწელილი აღმოჩნდა. ორივე შემთხვევაში თვალის ახელის მიზეზი უცვლელი იყო – ყველამ დაინახა, თუ როგორ იქცა ქაოსიდან ახალი სამყაროს შექმნის მისტერია დაუნდობელ ბრძოლად ყველასი ყველას წინააღმდეგ“.

შემადრწუნებელია ხალხის სახელით ხალხთან უღმობელი ანგარიშსწორების სცენები.

„სახლების ნაცვლად – ნაცარი, ფერფლი, მგლოვიარება.

რბის ორი ძალი, მათ ისტორია ვერ დააფეთებს.

პირიდან გლეჯენ ერთიმეორეს ხორცის ნაფლეთებს“, – კვითხულობთ გალაკტიონის პოემაში „მოგონებები დღეებისა, როცა იელვა.“

პოეტის მიერ ქრისტიანულ კულტურაში გავრცელებული ძაღლის სახისმეტყველებაა გამოყენებული, რომლის მიხედვითაც ეს ცხოველი არა ერთგულების, არამედ რიტუალური უწმინდურობისა და ბოროტების განსახოვნებად, მეტიც, ბნელ ქვესკნელურ ძალთა მცველად წარმოგვიდგება... ასევე აქვს აღქმული და გამოყენებული ეს სიმბოლიკა მიხეილ ჯავახიშვილისაც. ამის მტკიცების საშუალებას იძლევა არა მარტო „ჯაყოს ხიზნებში“ მოხელთებული ძაღლის ლეკვის აყროლებული ლეშის, როგორც თეიმურაზისაგან შეზიზღებული ცხოვრების ალეგორია, არამედ (და უფრო მეტადაც) ორი ძალი, რომელიც რომანის 1926 წლის (მეორე) გამოცემის გარეკანზეა გამოსახული (მხატვარი სოსო გაბაშვილი).

გალაკტიონისეული სიმბოლოს საგნობრივ-ნიშნობრივი ფორმა აშკარად დააინტერესებდა მწერალს, რომელიც ურთულეს საქმეს შესდგომოდა – უკანასკნელ ტრაგიკულ მოვლენათა [1924 წლის აჯანყების] მხატვრულ-სინთეტურ სურათს ქმნიდა.

გარეკანზე ნახატი არა უბრალოდ გაანჩხლებული ძაღლების, არამედ ავად ბალანაშლილი, ლამის მგლებად მოქცეული, ძველი ზოროასტრული გადმოცემით კი, მიცვალეზულთა ლეშით მდაადრული არსებების ილუსტრაციაა. ჯავახიშვილ-გაბაშვილის ინტერპრეტაციით, ხორციჭამიობის საზარ წესს დემონური არსებები ადასრულებენ.

გაიგო თუ არა სიმბოლიკის ეს მრავლისმეტყველი ენა წიგნის უმთავრესმა ადრესატმა – მკითხველმა? ცხადია, გაიგო და, მათ შორის, იმანაც, ვისთვისაც რომანის გარეგნულ სამკაულს მიღმა, მის ტექსტუალურ შრეებში ჩადებული უმთავრესი ინფორმაცია ნაკლებად იყო განკუთვნილი. გზაჯვარედინზე მდგომმა ქართულმა სახელმწიფომ XX საუკუნის ოციან წლებში ძველიდან ახალში გადასვლის პრობლემა ასე გადაწყვიტა: ძველ ლომს – ეროვნული სუვერენობის სიმბოლოს – მან კლასობრივი ბრძოლის იდეოლოგიაზე დაფუძნებული ქვეყანა – ახალი ძალი არჩია. ნოე ჟორდანია „ჯაყოს ხიზნების“ შეფასებისას პირდაპირ მიანიშნებს ახალი ქვეყნისა და ძაღლის სახისმეტყველების იდენტიფიკაციაზე. ქართული სულის რეგენერაციაზე საუბრისას 1916 წელს ტიციან ტაბიძე იყენებს ჩვენს ცნობიერებასთან კარგად ადაპტირებული სიმბოლურ სახეებს, რომლებიც, როგორც ბ-ნი რევაზ

თვარაძე მიიჩნევს, უთუოდ, ეკლესიასტედან იღებენ სათავეს („...რადგან ცოცხლებში შერაცხულს კიდევ აქვს იმედი, რადგან ცოცხალი ძალის მკვდარი ლომის უმჯობესია“ (ეკლესიასტე, თ. 9)). მხოლოდ აქ „ცოცხალ ძალთან“ გაიგივებულია არა მხოლოდ ფსევდონაციონალური, ფსევდოეროვნული ტენდენციები, არამედ ავთენტურობასა და ღირსებას მოკლებული არსებობაც („საქართველოს ყოველთვის ერჩია ცოცხალ ძალს მკვდარი ლომი და ამიტომ საქართველოს ეროვნული აღდგომა უნდა იქნეს აღდგომა ლომის ძველი ქართული იდეით“... – „ცისფერი ყანწებით“).

მიხეილ ჯავახიშვილი „წითელ ეშმას“ უწოდებდა პროლეტარიატის ჰეგემონიის ხანას, რაც ზემოთ წარმოდგენილი ძალის სახისმეტყველების ჩვენეულ ახსნაში ჯდება. რაც შეეხება თავად სიმბოლოს გაორმაგებული ნიშნით წარმოდგენის პრინციპს (ნახატზე ორი ძალის გამოხატვა), იგი ერთი არსის (მარქსიზმის) ორ ჰიპოტაზასად (მენშევიზმად და ბოლშევიზმად) გარდასახვაზე მიგვანიშნებს. სწორედ მათ შორის არსებულმა დაპირისპირებამ გაუმძაფრა მიხეილ ჯავახიშვილს და სოსო გაბაშვილსაც ერთგვარი ესქატოლოგიური განგაშის განცდა; იგი სამყაროს მთლიანობის, მისი მყიფე კოსმიური წესრიგის რღვევით იყო გამოწვეული, რომელსაც სწორედ ქვესკნელიდან ამომსკდარი ბნელი დესტრუქციული ძალა, იგივე „წითელი ეშმა“ ემუქრებოდა. (კუპრეიშვილი, 2002, გვ. 1)

სემანტიკური ღირებულებებით დამატებული ფინალური ფრაზა ე კ ი გ რ ა ფ ი ს ტოლფასია.

რომელ ასოციაციურ პლანებს მოიცავს „დაყუდებული შიო მღვიმელის“ სემანტიკური ველი მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნებში“?

„ათცამეტ ასურელ მამათაგან“ ერთ-ერთის – შიო მღვიმელის სახელი მიხეილ ჯავახიშვილის რომანის ბოლო ფრაზაში წაიკითხება, როგორც 1924 წლის ტრაგიკულ მოვლენათა გამოძახილი, მინიშნება აჯანყებაზე [აჯანყებულნი სწორედ შიომღვიმის მონასტრის მიდამოებში დააპატიმრეს];

მეტად მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ თეიმურაზ ხევისთავი მოიაზრება აჯანყების მესვეურთა შორის. ანალოგიურ კონტექსტში პროტაგონისტი რომანის ტექსტის „შიდა“ სივრცეშიც გვხვდება: „შორიდან სამხე ურემი თვლებზე შემდგარ დიდ გალიას ჰგავდა, ხოლო ხელფეხაშლილი და აყვირებული თეიმურაზ ხევისთავი აჯანყებულ ტყვეს ემსგავსებოდა.“

„აჯანყებული ტყვე“ უნდა მიანიშნებდეს იმ ინტელექტუალურ-პარტიულ ელიტას, რომელმაც ერთხანობას, პოლიტიკური აქტივობის დასაწყისში, საკუთარი ეროვნული სახე უარყო, ხოლო შემდგომში კი ერის სათავეში მოექცა. მიუხედავად პარტიული ელიტისა და მენშევიკური მთავრობისადმი ნეგატიური დამოკიდებულებისა („არ ვენდობი მენშევიკებს. ეს არის ჩემი გეზი“) (ჯავახიშვილი, 1991, გვ. 145), მიხეილ ჯავახიშვილი შემრა თვით აჯანყებულთა ტრაგიკულმა ხვედრმა.

მწერლის საბოლოო ნებით, მის სიცოცხლეში განხორციელებული უკანასკნელი გამოცემის თანახმად, თეიმურაზის გზა, შიო მღვიმელის ფართო სემანტიკის გათვალისწინებით, განისაზღვრება, როგორც „თავის სჯისა“ და სულის წვრთნილების, ანუ, რწმენაში გამლიერების გზა, გზა მოთმინებისა და მეთოდური, დაუღლეი მუშაობისა, სულის ბრძოლისა. ამ ასპექტით თვით ხევისთავი შიო მღვიმელის მოსაგრეობას ეხმიანება. „შიო მღვიმელი“ ხომ „ხევისთავის“ არქექტიპიცაა, როგორც საერო ცხოვრებისათვის აუცილებელ სათნოებითა სრულყოფილი სულიერი წინასახე. შიო მღვიმელს უკავშირდება, ასევე, „მიწა-სამშობლოს“, ანუ დედა-წილის დამკვიდრების მოტივიც; ჯაყოს დუქანში თეიმურაზის მიერ „ნეტარებათა“ წაკითხვისას აქცენტირებულია სწორედ ის მუხლი, სადაც მოიხსენიებიან „მშვიდნი“, რომელთაც უნდა, „დაიმკვიდრონ ქუეყანა.“

თავისთავად, „ქუეყნის დამკვიდრება“ განმარტებულია, როგორც სასუფეველის მკვიდრობა, თუმცა, არ გამოირიცხება თვით ამსოფლიური მკვიდრობა, მიწის, როგორც უფლისმიერი სიკეთის დამკვიდრება, ანუ, სიხარული „ორსავე სოფელსა შინა.“

სულიერი სიმშვიდისაკენ სწრაფვა არ ნიშნავს ბოროტების წინაშე ქედის მოდრეკას, სატანური ძალისათვის სიწმინდეთა დათმობას. თეიმურაზ ხევისთავს სწორედ ეს სულიერი წონასწორობა აკლია. მის სულში ვერ შედგა ამბოხი ეშმაურის წინააღმდეგ, ვერ შედგა მრისხანებისა და თავშეკავების თანაბრობა.

გვახსენდება „სიმპლე“ თეიმურაზ ხევისთავის კისერზე ჩამოკიდებული ძალის მძორისა. ხრწნილების ამ სიმბოლოს გაქრობაზე რომანის ფინალურ სცენაში მწერალმა საგანგებოდ გაამახვილა ყურადღება. „სიმპლე“ ქრება, როცა თეიმურაზი გულწრფელად ლოცულობს კიდობნიდან ამოსვენებული ხატის წინაშე. თეიმურაზის „საყოფელში“ – ხევისთავთა სახლის დიდ ოთახში, რომელიც მისი აკვანიცაა (ყრმობის ჟამს ამ ოთახიდან გაჰყავდა იგი ყოველ აღდგომა ღამით დედას ნაშინდარის საგვარეულო ეკლესიაში) და საფლავიც (ჯაყოსა და მარგოს ხორციელი აღრევის ადგილი), ფინალურ სცენაში დამეული სიმძიმის კოშკიდან გამონათებულმა „იმედის სანთელმა“ უნდა განაქარვოს. სიყრმისეულ ოთახში განმარტობა ნეტარი შიოს მღვიმედმყოფობის ანალოგიაა თეიმურაზისათვის.

1924 წლის ტრაგიკულ მოვლენებთან მიმართებით ნიშნულია არა მხოლოდ ნეტარი შიო მღვიმელის ხსენება, არამედ რომანში მითითებული „აღდგომის ღამე“, როცა ყმაწვილი თეიმურაზი

ხვეისთავთა სახლის დიდი ოთახიდან (სიმბოლოური სივრცე: აკვანი – საფლავი) მიჰყავდა ხოლმე დედას ნაშინდარის საგვარეულო ეკლესიაში.

1924 წლის აჯანყების თარიღი მრავალგზის გადაიდო. საბოლოოდ, არჩევანი შეჩერდა 29 აგვისტოზე, ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაულის მომდევნო განთიადზე. ორი წლით ადრეც, 1922 წლის 28 აგვისტოს მოხდა ხვესურეთის ცნობილი გამოსვლა ქაქუცა ჩოლოყაშვილის მეთაურობით.

ქარიზმატულ თარიღთა სათავეშია 1922 წლის აღდგომა ღამე – 16 აპრილი, როცა დაარსდა პარიტეტული კომიტეტი. ამავე დღეს ანჩისხატის საყდარში სააღდგომო ქადაგებისას კათოლიკოს-პატრიარქმა ამბროსიმ ამხილა ბოლშევიკები და მათ მიერ საქართველოს ოკუპაცია (ვარდოსანიძე, 2001, გვ. 123).

ბესტიალური ძალის წინააღმდეგ წამოწყებული მოძრაობის მესვეურებს ბუნებრივად გაუჩნდებოდათ ღვთის შეწევნის გამოთხოვისა და ზეციურ ძალთა მფარველობის მოლოდინის განწყობა.

აღდგომა ღამე და თეიმურაზ ხვეისთავის დედა – სოფიო, როგორც მხატვრული პერსონიფიცირება დიდი დედისა, რომელსაც განსაკუთრებულ პატივს ჩვენში სწორედ 28 აგვისტოს მიაგებენ, შესაძლოა, მიხეილ ჯავახიშვილის წარმოსახვაში ისევე დაუკავშირდა 1922-1924 წლების მოვლენებს, როგორც ნეტარი შიო მღვიმელის სახელი.

თეიმურაზის საბოლოო ლოცვა უცვლელად მეორდება „ჯაყოს ხიზნების“ ყველა გამოცემაში (მწერლის სიცოცხლეში): წმინდაო ღმერთო, წმინდაო უკვდავო, წმინდაო ძლიერო, შეგვიწყალებ ჩვენ. უფალო ძლიერო, მოგვეცე ჩვენ, დავრდომილთა და უღირსთა ძეთა შენთა, მოთმინება უღვეელი, მშვიდობა უსაზღვრო და რწმენა უძირო.

მოთმინება, მშვიდობა სულისა და რწმენა სჭირდება თეიმურაზ ხვეისთავს, რათა აღდგომის ღამეს განზრახული (პარიტეტული კომიტეტის გადაწყვეტილება აჯანყების მოწყობის თაობაზე (ქეთევან ჯავახიშვილი ხაზს უსვამს, რომ მწერალს 1937 წელს პარიტეტული კომიტეტი გაუხსენეს)), ოდესმე მაინც აღესრულოს ყოვლადწმიდა დედის მფარველობით (1924 წლის 28-29 აგვისტო), რათა მშვიდთა კვალად „დაიმკვიდრონ ქუეყანა.“

თუკი ბოლშევიზმი სახიერდება, როგორც სატანური კულტი, მისი გაუვნებელყოფა შესაძლებელი ხდება მხოლოდ უმწიკვლო და ნებაყოფლობითი მსხვერპლშეწირვით, ზორვით.

1924 წელს გაღებული მსხვერპლი ისეთივე გარდამქმნელი ძალისა უნდა ყოფილიყო, როგორც ილიას სისხლი წიწამურის ველზე (როსტომ ჩხეიძის აზრით, წიწამურის ველის მრავალგზის გაელვებას „დიდოსტატის მარჯვენას“ ტექსტუალურ ქსოვილში იგივე ღრმად სიმბოლოური დატვირთვა აქვს, რაც შიო მღვიმელის სახელისა – „ჯაყოს ხიზნების“ ფინალურ ეპიზოდში).

თეიმურაზ ხვეისთავი ფუჭი ძიებებსა და ეჭვებს საბოლოოდ თავს დააღწევს და სულიერი მსხვერპლის გზას დაადგება: ინანიებს, ლოცულობს კიდობნიდან ამოსვენებული ხატის წინაშე... კიდობანს ორპლანიანი სიმბოლოური საზრისი ეძებნება: შესაძლებელია მისი დაკავშირება იმ რკინით შეჭედულ მუხის სკივრთან, რომელშიც ხვეისთავთა საგვარეულო ქონება ინახებოდა. ხვეისთავთა – საკუთრების და ქურდობის მამხილებელთა – განძეულობას ჯერ ჯაყო მიითვისებს, შემდეგ კი საბჭოთა მუზეუმი მიითვლის. თეიმურაზს მამაპაპისეული საგანძურიდან მხოლოდ კიდობანი და ხატი შერჩება. ამას გარდა, კიდობანი მოიცავს გადარჩენის, ხსნის კონტექსტს (ძველი აღთქმის ნოეს კიდობანი) (წიქარიშვილი, 2003, გვ. 1)...

თეიმურაზის მიერ სულიერი მსხვერპლის გაღებისათვის მზაობა რომანის ფინალურ სცენაში ვლინდება.

მსხვერპლშეწირვის, „განწირული სულისკვეთების“ მოტივი მიხეილ ჯავახიშვილმა მოგვიანებით სწორედ ზემოხსენებული ფინალური ფრაზით გამოკვეთა და თეიმურაზ ხვეისთავის მოლოდინი 1924 წლის მსხვერპლს დაუკავშირა, მსხვერპლით აღბეჭდა. ლუარსაბის ტრაგედია კი უმსხვერპლობის, მსხვერპლის უუნარობის დრამაა. „რაც უნდა ექნა, ლუარსაბს სწორედ ისაა, რასაც მაღლი ჰქვია. მაღლი, ილიასავე სიტყვით, „ერთისგან განწირვაა და მეორისგან შეწირვა ერთსა და იმავე დროს“ („ოთარანთ ქვრივი,“ თ. XIX). ოთარაშვილები გამწირველები არიან. მსხვერპლის გაღების უნარით უპირისპირდებიან ისინი თათქარიძეებს. გარდაქმნილი მსხვერპლის იდეა ილიას შემოქმედებაში ვლინდება წმიდა მხედრის სახისმეტყველებით (წმ. გიორგი, წმ. თევდორე, წმ. დემეტრე თავდადებული).

გრიგოლ რობაქიძისა და მიხეილ ჯავახიშვილის მიერ თხზულ მხატვრულ სახეებში (თეიმურაზ ხვეისთავი, თამაზ ენგური, ლევან ორბელი) იკვეთება 1924 წლის მოვლენებთან ავტორთა თანაზიარობა, გარდამქმნელი და გამომსყიდველი მსხვერპლის იდეა: მსხვერპლის გზას დაადგებიან თეიმურაზ ხვეისთავი და თამაზ ენგური (გრიგოლ რობაქიძის „ჩაკლული სული“), რომლებიც სინანულის ცრემლს ღვრიან, ხოლო ლევან ორბელი (გრიგოლ რობაქიძე, „გრაალის მცველნი“) სიწმინდის დაცვას ემსხვერპლება.

მიხეილ ჯავახიშვილი დესაკრალიზებული გამოვლენას ლამობდა, რათა ეროვნული კატასტროფის მიზეზები წარმოეჩინა. ბოლშევიკური ტერორის მსხვერპლი შეერთო 1907 წლის წიწამურისა და 1918 წლის მარტყოფის (კათალიკოს-პატრიარქის კირიონის მკვლელობა) მსხვერპლს, შემდეგ – 1937 წლისას და სხვათა მრავალთა... გამოიწვია თუ არა მსხვერპლმა გარდაქმნა?

პასუხის მოლოდინში ინტერპრეტაციათა ნაირგვარობამ, ალბათ, არ უნდა დაჩრდილოს უმნიშვნელოვანეს ტექსტთა სულიერი საზრისი, ცოდვისა და მადლის, ბრალეულობისა და უბრალოების განწვალულობის ავტორისეული მოდელები, დაფუძნებული ქრისტიანობის უმთავრეს ღირებულებებზე – გამომსყიდველი და გარდამქმნელი მსხვერპლის იდეაზე.

თეიმურაზ ხევისთავი ოცდამეერთე საუკუნის ქართველშიც მკვიდრობს. ჩვენს სითიკანზე კვლავაც ჯაყო ზის, ჩვენი ხმლები კვლავ ხარიხებადაა გადებული ჩვენს ნასახლარზე, ჩვენს ნაშინდარში, ჩვენი ხატები კვლავ მწნილს ახურავს. „ჯაყოს ხიზნების“ გამოც დახვრეტილი მიხეილ ჯავახიშვილი დაკარგულ საფლავეში ბრუნავს...

ბიბლიოგრაფია:

გვერდწითელი, გ. (1977). მიხეილ ჯავახიშვილი. *გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრება* (ტ. 58). თბილისი: ნაკადული.

გვერდწითელი, გ. (1999). *მიხეილ ჯავახიშვილი*. თბილისი.

ვარდოსანიძე, ს. (2000). *საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 1917-1927 წლებში*. თბილისი: ქრონოგრაფი.

კვანჭილაშვილი, ტ. (1966). *მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედება*. თბილისი: განათლება.

კუპრეიშვილი, ნ. (2002 წლის 14-17 მაისი). ორი მადლი - გახლეჩილი სამყაროს სიმბოლო. *ჩვენი მწერლობა* (20 (98)).

შავგულიძე, ნ. (1988). *ჩანჩურადან არსენამდე*. თბილისი: მეცნიერება.

წიქარიშვილი, ლ. (2003 წლის 18-24 აპრილი). არ არსებობს ტრაგედია გარეშე გამომსყიდველი მსხვერპლისა. *ჩვენი მწერლობა* (15 (145)).

ჯავახიშვილი, მ. (1995). ჯაყოს ხიზნები. *ქართული პროზა* (ტ. 22). თბილისი.

ჯავახიშვილი, ქ. (1991). *მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება*. თბილისი: მერანი.

An Anthology of English and American Verse. (1972). Moscow.

" " , . 1991.

Nana Kutsia, Marine Turava
Sukhumi State University

A REALISTIC CHARACTER OF THE NOVEL OF MODERNISM (MIKHEIL JAVAKHISHVILI, "JAKOS KHIZNEBI")

RESUME

Twentieth century Georgian literature is remarkable for a great diversity of artistic values and methods. The present age being what it is - a welter of **contradictions, conflicts and confrontations** only too often leading to small and large scale wars, a paradoxical age where the greatest triumphs go along with dire catastrophes - literature naturally responds to its spirit and presents an unprecedented variety of social, ethic and aesthetic attitudes.

The widening recognition of the Marxist interpretation of history and society has had its impact on Georgian literature. While mirroring the dramatic changes in the larger world, contemporary writers not only revolutionized literary form, but also adhered to a great many traditional modes of expression.

Mikheil Javakhishvili was one of the most important representatives of Georgian literature of the 20th century making it obvious that tradition and innovations are twin substances. The interplay of the traditional and the new goes pretty far to determine the distinctive nature of twentieth century. His character -Teimuraz Khevistavi (The novel "Jakos Khiznebi") is a realistic person of the novel of modernism.

Keywords: Absurd-tragic epoch, Person, Personification, Double code.

დალის ხეობა – ენოლინგვისტიკა, ინტერფერენცია, ლინგვოკულტუროლოგია
(ახალი კოდორული მასალების მიხედვით)¹

საკვანძო სიტყვები: დალის ხეობა, დასავლეთ საქართველო, კოდორის ხეობა.

კოდორული მეტყველება საინტერესო სეგმენტია სვანურისა და, ზოგადად, ქართველური დიალექტოლოგიური სივრცისა; წინასწარი დაკვირვების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ დალის ხეობის კვლევა ეთნოლინგვისტური, ისტორიული, ონომასტიკური, ლინგვოკულტუროლოგიური ასპექტებით, კოდორული ტექსტების შესწავლა ინტერფერენციული კუთხით იძლევა საინტერესო დასკვნების გამოტანის შესაძლებლობას ინტერდისციპლინურ ჭრილში. შესაბამისად, ჩვენ გასული საუკუნის 80–იანი წლებიდან დღემდე ვაწარმოებთ დალისხეობელებთან მუშაობას ონომასტიკური და ეთნოლინგვისტური მასალების შეკრება-სისტემატიზაციის მიზნით. დალის ხეობა ისტორიული მხარეა დასავლეთ საქართველოში, აფხაზეთში. ამ მხარეს ანტიკურ ეპოქაში მივსიანეთი ანუ მისიმიანეთი ეწოდებოდა, შუა საუკუნეებში – დალის ხეობა, XIX საუკუნეში – წებელდა-დალის საბოქაულო, საბჭოთა ეპოქაში – აფხაზეთის სვანეთი, XXI საუკუნეში – ზემო აფხაზეთი. სახელწოდებათა ასეთი მრავალფეროვნება კი, ვფიქრობთ, თავისთავად მიანიშნებს საქართველოს ისტორიაში ამ ხეობის განსაკუთრებულ როლსა და მნიშვნელობაზე. 2008 წლის ცნობილი მოვლენების შემდგომ კოდოროლები დევნილის სტატუსით ცხოვრობენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში – იმერეთში, ქვემო ქართლში, სვანეთში, რუსეთში, ევროპის ქვეყნებში...

უაღრესად ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობით – კლუხორის, მარუხის, ნაჰარვის... უღელტეხილებით ისტორიული დალის ხეობა არის დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა რეგიონის ჩრდილოეთ კავკასიასთან დამაკავშირებელი უმოკლესი გზა, რაც ამ ხეობას ყოველ ისტორიულ ეპოქაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას და სტრატეგიულ ფუნქციას აკისრებდა, სძენდა. დალის სვანეთი მდებარეობს დასავლეთი კავკასიონის სამხრეთ კალთებზე მდინარე კოდორის ხეობის ზედა წელზე, სათავეებიდან 70 კმ-ის მანძილზე. ჩრდილოეთიდან მას ესაზღვრება ყარაჩაი-ჩერქეზეთის ავტონომიური ოლქი, საზღვარი გადის კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედზე, ნაჰარვისა (გონდორაის) და კლუხორის უღელტეხილებიდან მარუხის უღელტეხილამდე (დაახლოებით 80-90 კმ.) დალის სვანეთს აღმოსავლეთით მესტიის რაიონი ესაზღვრება. მათ ერთმანეთისაგან ყოფს ხვარაშისა და ჯერილის საკმაოდ მაღალი მთაგრეხილები; სამხრეთით ოჩამჩირისა და ტყვარჩელის რაიონების ტერიტორიებია (ურთიერთგამყოფია ფანავის ქედი, ჰარვასა და ბარუმზას მთები), დასავლეთით კი – ბაგადის კლდეებია. დალის სვანეთი მოიცავს მდინარე კოდორის ხუთი (ამგარა, ყულუჩი, გვანდრალა, ხეცქვარა, საკნარა) შენაკადის აუზებს. მისი ფართობი შეადგენს 650 ჰექტარს, აქედან 350 ჰექტარი საკარმიდამო და სახნავ-სათიბ მიწებს უკავია, დანარჩენი კი ტყის მასივები და ალპური საძოვრებია. (მარგიანი, 2005, გვ. 16)

დალის ხეობის ისტორია შორეულ წარსულში ივარგება, ის ათასწლეულებსაც კი ითვლის. არქეოლოგთა დასკვნით, ქრონოლოგია კოდორის ხეობის არქეოლოგიური ძეგლებისა საკმაოდ ფართოა: აქ გვხვდება როგორც ძველი ქვის ხანის, ასევე ბრინჯაოს და მომდევნო დროის ნაშთები, რაც რეგიონის ადრეული ხანიდან დასახლების მაუწყებელია; იგულისხმება წებელდის კულტურა და პოსტწებელდური მატერიალური კულტურის ძეგლები. (ჯაფარიძე, 2009, გვ. 650). ვარაუდობენ, რომ კლუხორის უღელტეხილით ჯერ კიდევ ძვ. წ. აღ-ის III ათასწლეულში მყარდებოდა რეგულარული კავშირები სრულიად სხვადასხვა ეთნოსთა შორის, ხოლო ხალხთა მასიური გადაადგილების ეპოქაში - IV-VII სს. კოდორის ხეობა იყო ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გზა ბიზანტიასა და შუა აზიას შორის. (Бондарев, 1981, стр. 89) ითვლება, რომ უაღრესად ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობისა და სტრატეგიული მნიშვნელობის გამო დალის ხეობას საუკუნეების მანძილზე ხალხთა და ტომთა გადაადგილება-

¹ პუბლიკაცია შესრულებულია შოთა რუსთაველის ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის „კოდორული მეტყველების ადგილი სვანური ენის სისტემაში (ინტერდისციპლინური გამოკვლევა სვანურ-გერმანული ლექსიკონითურთ 2016–2019)“ ფარგლებში.

გადანაცვლებისა თუ დროებითი განსახლების მრავალმა გრიგალმა გადაუქროლა, რამაც გარკვეულწილად პოვა ასახვა ამ მხარის ტოპონიმიაში, ყოფაში, სულიერ და მატერიალურ კულტურაში. დალის ხეობის თანამედროვე ტოპონიმის უპირველესი მახასიათებელი არის ენობრივი სიჭრელე, მრავალფეროვნება, სახელდების სრულიად განსხვავებული ქრონოლოგია, სხვადასხვა ენობრივი წარმომავლობა; ზოგადი სურათი ასეთია: სვანურია, ძირითადად, დალის ხეობის სოფლებისა და უღელტეხილების სახელწოდებანი, მთელი მიკროტოპონიმია, ჰიდრონიმთა უმეტესობა, აგრეთვე წერილობითი (ბერძნული) წყაროებით ფიქსირებული გეოგრაფიული სახელები; აფხაზურია არაერთი სოფლის, მდინარის, მთისა და საზაფხულო სამოვრის/იალალის სახელი; მხოლოდ ერთეულების სახითაა არის წარმოდგენილი მეგრული, რუსული... გაურკვეველი ეტიმოლოგიის გეოგრაფიული სახელები. სრულიად დამაჯერებელია ბერძნულ წერილობით წყაროებში ფიქსირებული ისტორიული მისიმიანეთის სვანურენოვანი გეოგრაფიული სახელების მ. ქალდანისეული ანალიზი: „მისიმიანეთით დასახლებულ მხარეს მისიმიანეთი შეარქვეს იქაური ხალხის სახელის მიხედვით, ადგილობრივი მოსახლეობა კი თავის ქვეყანას სულ სხვა სახელით მიმართავდა. ამის მაგალითები ხომ მრავალია! რა შეიძლება ყოფილიყო ეს სახელი და გვაქვს თუ არა რაიმე ცნობა მისი არსებობის შესახებ? ეს სახელი, ჩვენი ვარაუდით, იყო დალი (დალ). მხოლოდ ამ სახელით იცნობს მთელი სვანეთი ყოფილი მისიმიანეთის ტერიტორიას. იგივე სახელი მოხსენიებული აქვთ ი. გიულდენშტედტს, ლ. ლიულიესა და კლაპროტს იმავე ტერიტორიის საერთო სახელწოდებად. გარდა ამისა, ამ მხარის კარგ მცოდნეს ლ. ლიულიეს თავის რუკაზე ერთ-ერთი სოფლის სახელადაც აქვს ნაჩვენები “დალი”. ეს სოფელი, მაშინდელი რუკის მიხედვით დღევანდელი ლათის ტერიტორიას ემთხვევა. თუ ვიწამებთ, რომ დღევანდელი აფხაზეთის სვანეთის უძველეს სვანურ სახელწოდებას - დალს კავშირი აქვს სვანების წარმართული პანთეონის დალის სახელთან, მაშინ შეიძლება გვეფიქრა, რომ იმ სოფელში, რომელსაც ძველთაგანვე სახელად “დალი” რქმევია, წარმართობის ეპოქაში სწორედ ნადირობის ქალღმერთის სახელობის ტაძარი მდგარიყო. (ქალდანი, 1999, გვ 57) აღსანიშნავია, რომ ხეობის მკვიდრნი თავიანთ თავს დანარჩენ ქართველებთან მიმართებით ყოველთვის ხაზგასმით უწოდებდნენ და უწოდებენ დალელს და დალელებს.

უადრესად მნიშვნელოვანია და საყურადღებო, რომ ანტიკური პერიოდისა და შუა საუკუნეების სხვადასხვა წყაროებში მოხსენიებულია დალის ხეობის შემდეგი სვანურენოვანი (ან სვანური ეტიმოლოგიის) გეოგრაფიული სახელები: ფუსტა, ჩხარი/ჩხალი/ჩხალთა, ლაგვანა, შიყერი/შეყერი, ტიბელეოსი, დარენი, ბოკერი /ბოგერი... ფუსტა < სვან. ფუსდ „უფალი, მეუფე, პატრონი, თავადი, ბატონი, უფროსი“... სქიომარი/ჰიომარი/სქიომარი < სვან. სგიმ „მყავე წყალი“, სკოტორი < სვან. სკოდლი „ღრმა“; შეყერი/შიყ-ერი < სვან. შიყ „ზურგი“, ბოკერი/ბოგ-ერი < ბოგ „ხიდი“, ლაგვანა/ლაგვანთა < სვან. ლი-გვანე „საგოდებელი“, ლათა < სვან. ლა-თალ „საზღვარი, გასაყარი, გასაყოფი ადგილი“, ციხე ტიბელეოსი < სვან. ტვიბ/ტივიბ „ხევი, ხეობა“... ციხესიმაგრე ბოკერი/ბოგერი (ბუკერი, ბოკელი, ბოკელკ, ბუქლონი, ბუხლონი) < სვან. ბოგ „ბოგა, ხიდი“ – დღევანდელი „ნაღვიმალჟურ“-ის ადგილას სოფ. ომარიშალის ბოლოს, კლუხორისაკენ მიმავალ გზაზე მოხსენიებული აქვს აგათია სქოლასტიკოსს; დარენი < სვან. „ლი-დრენი „დადარაჯება“ – მენანდრე პროტიქტორს; ჩხალთა/ჩახარ < ჯახარ – „საბრძოლო ადგილი“ – აგათია სქოლასტიკოსს, თეოფანე ჟამთააღმწერელს. (მიზიუანი, 1989, გვ. 132) როგორც აღვნიშნეთ, დალის ხეობის ძველი სვანური გეოგრაფიული სახელების შესახებ ცნობები მოწოდებული აქვთ ჯერ კიდევ ანტიკური პერიოდის ბერძენ და რომაელ ავტორებს, ნაწილი გვიანდელი პერიოდის შუა საუკუნეების წერილობით წყაროებშია ფიქსირებული, ნაწილზე კი ლეგენდა-გადმოცემებსა და ხალხის მეხსიერებას შემოუნახავს ცნობა...

დალის ხეობის სალოცავთაგან, ქრისტიანულ ძეგლთაგან და ნაეკლესიართაგან განსაკუთრებული მნიშვნელობისაა:

ა) **ჯგერწგ შეყერიშ** – X საუკუნის შიყერის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია კოდორის სათავეებთან, საკენისა და ომარიშალის გამყოფ მაღალ ზეგანზე.

ბ) **აჯარწ ჯგერწგ/ჯგერწგ სტიფიშ** – აჯარის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია; დალის ხეობაში კაზაკების მასიურად ცხოვრების ხანაში იქვე მდგარა წმინდა ნიკოლოზის სახელობის სალოცავი.

გ) **ნალჭამი** (სვან. ნალჭამ „ნაეკლესიარი“ ლაჭამი „ეკლესია“ შდრ. სვან. მაჭამ „მადლობა“, ე.ი. ლაჭამი/ლაჭამ სიტყვასიტყვით ნიშნავს „სამადლო, სამადლიერო“)... კოდორელთათვის, ადგილობრივ მკვიდრთათვის ნალჭამის სახელითაა ცნობილი ქვის ზღუდის სახით შემორჩენილი ძეგლი აჯარის ერთ-ერთ შემადგენელ გორაზე, რომელიც ხალხური გადმოცემით მაცხოვრის სახელობის სალოცავს წარმოადგენდა და საიდუმლო გვირაბით უკავშირდებოდა აჯარწ ჯგერწგს – აჯარის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიას.

დ) **ჩხალთა ჯგერა** – ჩხალთის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია, რომელიც მისიმიანთა მთავარი ისტორიული ციხის ჩიხარის/ჩიხარისის მიმდებარე ტერიტორიაზე კოდორელთა ძალისხმევით აღიმართა მიმდინარე საუკუნის დასაწყისში.

ე) ნაშთები და ნანგრევები კლუხორის უღელტეხილის სიახლოვეს, საკენში, ჩხალთასა და ლათაში, რომელიც ადგილობრივთა ცნობიერებით ბაზილიკის ტიპის ნაეკლესიარები უნდა იყოს და წმინდა ადგილებადაა მიჩნეული.

კოდორის ხეობაში ბოლო პერიოდამდე შემორჩა ქრისტიანულ სამყაროში არსებული ტრადიცია განდევნილობისა, რასაც ადასტურებს ტოპონიმი ბეროლრე ნალზიგჷ „ბერების ნასახლარი, ბერთა სავანე“. ათეისტურ ეპოქაში ქრისტიანულ რელიგიურ წეს-ჩვეულებათა ზედმიწევნით აღსასრულებლად ბერ-მონაზვნებს შეუმჩნეველი და ერთგვარად გასაიდუმლოებული ადგილები ჰქონიათ სოფლებში – აჯარასა და ბრამბაში/ბარგმბაში.

დალის ხეობის სვანური მეტყველება ინტერფერენციულობით ხასიათდება. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ, მიუხედავად ენათმეცნიერთა დიდი ინტერესისა, დალის ხეობის სვანურზე დაკვირვება, კოდორული ტექსტების შეკრება და გამოსაცემად მომზადება პირველად გახდა შესაძლებელი 2006-2009 წწ. პროფესორ იზა ჩანტლადის ხელმძღვანელობით შესრულებული საგრანტო პროექტის ფარგლებში.

ამჯერად ჩვენი ნაშრომის მიზანს წარმოადგენს დალის ხეობის მოსახლეობის მეტყველებაში ინტერფერენციაზე დაკვირვება – (კერძოდ კი, ინტერფერენციაზე სახელთა ბრუნებაში) – იმ საერთოსა და განსხვავებულის, ზოგადი თუ ნიუანსური თავისებურებების წარმოჩენა, რაც ენგურის ხეობის ზემოსვანურ დიალექტებთან მიმართებაში შესაძლოა ახასიათებდეს კოდორულ მეტყველებას ერგატივის ფორმანტა და ალომორფთა განაწილების, ერგატივზე დაფუძნებული ორფუძიანობის, ბრუნებათა ტიპების მრავალფეროვნების, ინტერფერენციის თუ ერგატიული კონსტრუქციის გამოყენების თვალსაზრისით. შესაბამისად ნაშრომი **აღწერითი** ხასიათისაა.

სვანური ენის არქაულობისა და სირთულის შესახებ არაერთხელ მიუთითებიათ ქართველ თუ უცხოელ მკვლევართ. თავის დროზე ა. შანიძე აღნიშნავდა: „...მნელია, ნათლად გაერკვეს კაცი იმ არეულ-დარეულ ფორმებში, რომელთაც იძლევა სვანური ბრუნება დღეს“. (შანიძე, 1981, გვ. 62) ეს სირთულე უკავშირდება როგორც თავად სისტემას, ისე ბრუნვის ნიშანთა მრავალფეროვნებას. მოთხრობითი ბრუნვა სვანურში გამოირჩევა ალომორფთა სიმრავლით და მათი განაწილების წესების სირთულით. (ჭუმბურიძე 2007, გვ. 92). კოდორის მოსახლეობის მეტყველებაზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ ერგატივს აქ, ისევე, როგორც ენგურის ხეობის სვანურში, ახასიათებს როგორც ოდენ საკუთრივ მოთხრობითი ბრუნვის ფორმანტებით (-დ, -ემ) წარმოება, ასევე ორ- (-ჰ-ემ, -ნ-ემ, -ა-დ) და სამფუძიანობაც კი (-ემ-ნ-ემ, -ემ-ნ-ემ-დ).

მხოლოდ ერთეულების სახით შეგვხვდა **მუხჷბე-მ-ნ-ემ** (“მამა”), **მარე-მ-ნ-ემ** (“კაცმა”) ტიპის მაგალითები. ამასთან დაკავშირებით უაღრესად საინტერესოდ გვეჩვენება ი. ჩანტლადის თვალსაზრისი: “ამ ტიპის მასალა სვანური ენის განვითარების ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე სხვადასხვა ქრონოლოგიურ სიბრტყეთა ამსახველი უნდა იყოს, რადგანაც იგი წარმოგვიდგება ნაირ-ნაირ პარადიგმატულ სისტემაში შემავალ კომპონენტთა ნაერთად”. (ჩანტლადე, 1998, გვ. 124) კოდორულ ტექსტებში ვხვდებით თავად ერგატივისეულ ორმაგ აფიქსაციას (-ემ-დ), რაც ენგურის ხეობის ზემოსვანურში დღეს შედარებით იშვიათია ნაცვალსახელთან და თითქმის უჩვეულოა არსებით სახელთან; კოდორის ხეობის სვანურში ეს მოვლენა შეიძლება არქაულობის გამოვლენადაც ჩაითვალოს, თუმცა ინტერფერენციულობაც დასაშვებია: **ჩი-ემ-დ** “ყველამ” (შდრ. **ჩი-ემ**): **ლიმზუბჷლ** – **ადუ, ჩიემდ ჟ’ოხსყედ** (შდრ. ჩი-ემ) – “მძობა (საძმო) – კი, ყველამ ჩამოვაყალიბეთ (“გავაკეთეთ”);

ღერთ-ემ-დ “ღმერთმა”: **ღერთემდ მაქდის, ლიმზირ-ლიჯგრჷლ მჷმ მალტგნდღდს!** (შდრ. ღერთ-ემ) – “ღმერთმა მაშოროს, ლოცვა-ვედრება [რომ] არ მიყვარდეს!”

როგორც ტენდენცია, შეიძლება შევნიშნოთ, რომ საუკუნუნახევრის წინ ზემო სვანეთიდან კოდორის ხეობაში საცხოვრებლად გადასულ სვანთა მემკვიდრეების (როგორც ბალსზემოური, ისე ბალსქვემოური კილოს წარმომადგენელთა) მეტყველებაში ბრუნების I ტიპი ცდილობს გაბატონებას. ფორმანტთა და ალომორფთა მრავალფეროვნების მიუხედავად, მოთხრობითი ბრუნვის დონიან ფორმებს აქ თითქმის ცალსახად ირჩევენ ორივე დიალექტის წარმომადგენლები. კოდორული ტექსტების მიხედვით -დ ფორმანტიანი ერგატივი გვხვდება თითქმის ყველა ტიპის არსებით სახელთან, ზედსართავებთან (**მემზე-დ** “შავმა”, **კვლთხი-დ** “მაღალმა”), რიცხვითებთან (**სემი-დ** “სამმა”, **მეჷჷსგჷე-დ** “მეექვსემ”), სახელზმნასთან (**ლიჷჷდჷნი-დ** “კითხვამ”, **ლიმზირ-დ** “ლოცვამ”, **ლგგე-დ** “ამენებულმა”, **მგგემ-დ** “ამშენებელმა”...

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დალის ხეობის სვანურში -ემ ფორმანტიანი მოთხრობითი, თუმცა ძალიან იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება (ძირითადად ბალსქვემოური წარმოშობის რესპონდენტთა მეტყველებაში).

უთუოდ საყურადღებოა გარემოება, რომ, დონიანი ფორმების გაბატონების ტენდენციის მიუხედავად, -ემ ფორმანტი მყარად არის შემორჩენილი იდიომატურ გამოთქმებში: **“ღერთ-ემ მაქდის!”** – **“ღმერთმა მაშოროს!”** **ღერთ-ემ ჯასწრტინას!** – **“ღმერთმა გაპატიოს!”** (მდრ. **ღწრბეთ-დ ეჯას ძალა ლახტემ** – **“ღმერთმა იმას ძალა მისცა”**), რაც მის არქაულობაზე მეტყველებს.

ინტერფერენციის თვალსაზრისით საინტერესოდ გვეჩვენება განუსაზღვრელობით ნაცვალსახელთა მხოლოდ კოდორულ მასალებში გამოვლენილი შემდეგი ფორმები: **ერდტამ** (მდრ. **ერდტამდ**) **“ვინც”** (**“ვინცმა”**), **ერდ-ტა-ლ-ა-შ-ემ** (მდრ. **ერ-ტა-ლ-ე-დ**) **“ვიღაცამ”**.

სალიტერატურო ქართულის მსგავსად და ზანურისგან განსხვავებით, სვანურში გარდამავალი და მედიოაქტიური ზმნები უღლებს II სერიაში ერგატიულ კონსტრუქციას ქმნიან; არის გამონაკლისები: ხოხა ამსჟალდს –”იცის (მგ. II ხოლმ.) ადამიან-ს”; ჟანანცხ ბეფშუ – **“გაიღვიძა ბავშვი-ი”**. თუმცა ეს შემთხვევები კონკრეტულ ზმნათა სტრუქტურის სპეციფიკით აიხსნება და ასეთი მონაცემები ქართულისას ხშირად მხოლოდ სემანტიკურად შეესაბამებიან; მაგალითად, ხოხა ”იცის” სვანურში სტატიკური ზმნაა და II სერიის ფორმები არ გააჩნია, ამიტომაც პირველ სერიაში სტატიკურთა კვალობაზე დატიურ კონსტრუქციას ქმნის. ჟანანცხ **“გაიღვიძა”** სვანურში გარდაუვალია და დეცხნი სიტყვასიტყვით **“იღვიძებს”** კი არ არის, არამედ **“ღვიძდება, ფხიზლდება”**.... გელნი **“იხევა”**, ხეპნი **“სკდება”** ტიპის ზმნათა მსგავსად, ის ვნებითის სტრუქტურისაა; მართალია, აწმყოში გამოვლენილი -ნ სუფიქსი მთელ პარადიგმაზე არ ვრცელდება, მაგრამ სპეციალურ ლიტერატურაში იგი კვალიფიცირებულია **“ვნებითის გამომხატველ დამატებით მორფემად”**. (ონიანი, 1998, გვ. 235)

ლინგვოკულტუროლოგიური თვალსაზრისით საინტერესოა დალის ხეობის გეოგრაფიულ სახელთა ანალიზი. ცნობილი თვალსაზრისია, რომ ტოპონიმის გარეშე შეუძლებელია ხალხთა ისტორიის, წარსულის, ენის... შესწავლა. გეოგრაფიულ სახელში ხშირ შემთხვევაში მოცემულია ხოლმე ის დიდი ინფორმაცია, რომელიც შეიძლება ვერ მოგვეცეს ვერცერთმა ისტორიულმა დოკუმენტმა, წყარომ, მეცნიერულმა შრომამ. ისტორიული გეოგრაფიის ენათმეცნიერული ანალიზის გარეშე, შეიძლება ითქვას, რომ შეუძლებელიცაა დაიწეროს საქართველოს ისტორია. ტოპონიმის, როგორც ცნობილია, **„დედამიწის ენას“** უწოდებენ, რადგანაც **„ამეტყველების“** შემთხვევაში შეუძლია გვაზიაროს მრავალ საიდუმლოს, რომელიც მასშია ჩაუნჯებული. ყოველი ტოპონიმი ერთდროულად გარდასულ დღეთა ნაყოფიცაა და მემატაიანეც, რომელიც მოგვითხრობს ჩვენი შორეული თუ ახლო წინაპრების მატერიალურ თუ სულიერ ცხოვრებაზე...

სვანური ტოპონიმით არაერთი ცნობილი მკვლევარი თუ ქართველოლოგი დაინტერესებულა. კვლევა-ძიების შედეგად მნიშვნელოვანი დასკვნებიც არის გაკეთებული: **„ძველი ბერძენი ისტორიკოსის სტრაბონის ცნობები სვანების მრავალრიცხოვნების შესახებ ზღაპრული გაზვიადების ნაყოფი რომ არ არის, ამას თვალნათლივ ადასტურებს სვანეთისა და მის მიმდებარე ტერიტორიების ტოპონიმიკური მასალის ანალიზი... რაჭა-ლეჩხუმის, ზემო იმერეთისა და მთიანი სამეგრელოს ტოპონიმიაში აშკარად შეინიშნება სვანური ენის კვალი, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ამ ტერიტორიაზე ოდესღაც სვანებს უცხოვრიათ, ამგვარი ნაკვალევი შეიმჩნევა აგრეთვე ჩრდილო კავკასიის მიწა-წყალზეც. მდინარე ყუბანისა და თერგის შენაკადთა სათავეებში. ამას მოწმობს იქაური ტოპონიმები: ხუმარი (მდრ. ცხუმარი), უშკალანი (მდრ. უშკულ) და სხვა... (ჭუმბურიძე, 2007, გვ. 25-34; Лавров, 1950, стр. 78) დალის ხეობისა და, ზოგადად, დასავლეთ საქართველოს ისტორიული ტოპონიმის კვლევის თვალსაზრისით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა თეოდოსე განგრელის (VII საუკუნის იერუსალიმელი მონაზვნის) თხზულება და მასში ასახული საქართველოში გადმოსახლებული ანასტასი აპოკრისიარის (VII ს). წერილი, რომელშიც ძველი აფხაზეთის რამდენიმე ტოპონიმია დაფიქსირებული, მათ შორის ბიზანტიიდან 662 წელს ეგრისში გადმოსახლებული მონოფიზიტების – მაქსიმე აღმსარებლის, ანასტასი აპოკრისიარისა და ანასტასი ბერის საპატიმრო ციხეები და მოძრაობის ადგილები, ესენია: სკოტორი, მუკორისი, სვანიდის ციხე, ბუკოლუსი, თაკვირია, ფუსტა, ჯიხახორა, თუსუმე, სხემარი, სქიმარი (სქიომარი, ჰიმარი), მოქვი... (გასვიანი, 1998, გვ. 85). საყურადღებოა, რომ კოდორის ხეობის გეოგრაფიულ სახელებში ხშირია გამოყენება ლანდშაფტისა და გეოგრაფიული გარემოს ამსახველი და მახასიათებელი ისეთი ლექსემებისა, როგორიცაა: ტუბ „ხევი, ხეობა“, კოჯ/კოჯროლ **“კლდე”** ლახტ//ლახულდ **„მთა“**, ტუბრა **„ღელე“**, ჯარ/ჯარვგლდ **„გადასასვლელი“**, თანანდ /თანლი **“უღელტეხილი“**, სარაგ **„წყარო“**, რომ **„გაშლილი მდელი ან ყანა“** ზენ **„შედარებით მოვაკებული ადგილი მთის ტყიან, დამრეც ფერდობებზე“**, მაგ. ჩუბე ზენ, ლექვა ზენ ... ზუგ/ზუგლანდ **„მადლობი“**, გორანგ **„გორაკი“**, დაბუ **„ყანა“**, ლექმე **„სათიბი“**, ლგლჰენ **„ღელე, ნაკადული“**, კუნჯანბ **„ციცაბო კლდე“**, ფელტ **„ფერდობი“**, ლატანგ **„დამრეცი ფარდობი“**, მგჰ **„ტბა“**, ტომბ **„ტბა“**, რივენ **„ადიდებული მდინარე“**, ნაჩჰალ **„მეწყერი, ნამეწყრალი“**, ნაჰლაჰ **„მდინარის ნაკალაპოტარი“**, ნაჰაჰჰ **„ზვავის ჩამონაწოლი/ნაზვავარი“**, ზაგარ **„ზეგანი, მადლობი“**, კუმედ **„ძალზედ ციცაბო ფერდობი“**, მაჩხანგ/მანჩხანგ **„ჩანჩქერი“**... ყაფარ **„ტერასები“**... დალის ხეობის**

მიკროტოპონიმიაში ხშირად გამოიყენება ზმნისართი-მორფემოიდები: ლექტა//ლექტან; ლექა//ლექან; რომელთა ზუსტი თარგმანი ქართულად თითქოს ვერ ხერხდება, რამეთუ აქვთ სემანტიკა მზის ამოსვლა-ჩასვლის მხარეებისა ე. ი. აღმოსავლეთ-დასავლეთისა, ასევე ზედა-ქვედასი, ზემოურ-ქვემოურისა; თუმცა ამ უკანასკნელთ სვანურში საკმაოდ მკაფიოდ გამოხატავენ ლექსემები, ტოპონიმებში აგრეთვე მორფემოიდებად გამოიყენებული: ჟიბ//ჟიბე; ჩჷნბ//ჩუბ//ჩუბე „ზემოთ, ქვემოთ, ზემოური, ქვემოური“.

ასევე თანდებულები ჟიქან, ვეშგინ, ჩუქვან... მაგ. ჟიბე ხუტია, ლექა აჯარა, ჟიბე ზიმა, ჩუბე ხუტია, ლექა ომარიშალ, ჩჷაბე აჯარა, ლექა ლახტ, ლექა ლაკტორ...

ამრიგად, დალის ხეობის ტოპონიმისათვის ნიშანდობლივია ენობრივი სიჭრელე, მრავალფეროვნება, სახელდების სრულიად განსხვავებული ქრონოლოგია, სხვადასხვა ენობრივი წარმომავლობა; ანტიკური პერიოდისა და შუა საუკუნეების წყაროებში მოხსენიებულია უძველესი სვანურენოვანი გეოგრაფიული სახელები ამ მხარისა (ფუსტა, ჩიხარი/ჩხალი/ჩხალთა, ლავგანა, შიყერი/შეყერი, ბოკერი/ზოგერი...) დალის ხეობის მიკროტოპონიმია კი ხასიათდება ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემოს მახასიათებელი ტერმინების სიუხვით. აქ ხშირია ისეთი გეოგრაფიული ცნებებისა და ლექსემების გამოყენება, როგორცაა – ხევი, ხეობა, კლდე, ტბა, მთა, დელე, გადასასვლელი, უღელტეხილი, მალლობი, გორაკი, სათიბი, ციცაბო კლდე, ქარაფი, ფერდობი, ადიდებული მდინარე, მეწყერი, ჩანჩქერი, მწვერვალი... ასევე ზმნისართი-მორფემოიდები –ზედა, ქვედა, ზემოთ, ქვემოთ, ზემოური, ქვემოური, აღმოსავლეთი, დასავლეთი...

საერთო ქართულ დიალექტოლოგიურ სივრცეში დალის ხეობის ონომასტიკური, ფოლკლორული, ლინგვისტური... მასალების კვლევა ენოლინგვისტური, ინტერფერენციული, ლინგვოკულტუროლოგიური ასპექტით იძლევა საკმაოდ საინტერესო დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას.

ბიბლიოგრაფია:

- ბატონიშვილი, ვ. (1973). აღწერა სამეფოსა საქართველოსა. *ქართლის ცხოვრება*. (ტ. IV). თბილისი.
- ბერულავა, ნ., & თოლორდავა, რ. (2009). ჩახარის ნაქალაქარი და მისიმიანელთა ანტიბიზანტიური აჯანყების (555–556 წწ.) ზოგიერთი ასპექტი. *სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები*. (ტ. V). თბილისი.
- გასვიანი, გ. (1998). *აფხაზეთი: ძველი და ახალი აფხაზეთი*. თბილისი: ფავორიტი.
- ზარდალიშვილი, გ. (1949). ქლუხორის რაიონის ზოგიერთი გეოგრაფიული სახელწოდების დადგენისათვის. *თსუ შრომები*, 36.
- თაყაიშვილი, ე. (1991). არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს. *ქართული ემიგრანტული ლიტერატურა: დაბრუნება*. თბილისი.
- მარგიანი, შ. (2005). კოდორის ხეობის/დალის სვანეთის სოციალ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული გეგმა. *კრებული – დალეღთა იმედი*. თბილისი.
- მიბჩუანი, თ. (1989). *დასავლეთ საქართველოს ქართველ მთიელთა ეთნოგენეზის, განსახლებისა და კულტურის ისტორიიდან*. თბილისი: თსუ.
- ონიანი, ა. (1998). *სვანური ენა*. თბილისი.
- ქალდანი, მ. (1970). დიალექტთა შერევა კოდორის ხეობის სვანურში. *იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება*, 17.
- ქალდანი, მ. (1999). მივსიანეთისა და მივსიანთა ტომის ვინაობის საკითხისათვის. *აფხაზეთის მოამბე* (2).
- შანიძე, ა. (1981). უმლაუტი სვანურში. *თხზულებანი* (ტ. II). თბილისი.
- ჩანტლაძე, ი. (1998). *ქართველოლოგიური ძიებანი*. თბილისი.
- ცხადაია, პ. (1986). სვანური სუბსტრატის საკითხისათვის სამეგრელოს ტოპონიმიაში. *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მოამბე“* (122, #1).
- ჭუმბურიძე, ზ. (2007). სვანური ენა. *სვანური ტოპონიმია*. თბილისი.
- ხორავა, ბ. (2008). წებელდა – დალის 1840 წლის აჯანყება. *სვანეთი – ქართული კულტურის სვანე*.
- ჯაფარიძე, ვ. (2009). მთიანი აფხაზეთის (მდ. კოდორის შუა წელის) არქეოლოგიური ძეგლების შესწავლის საკითხისათვის. *სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები*.
- Бгажба, Х. (1956). Некоторые вопросы этнонимии топонимии Абхазий. *Труды Абхазского института языка, литературы и истории*, 27.
- Бондарев, Н. (1981). *В горах Абхазий*. Москва.
- Лавров, Л. И. (1950). *Расселение сванов на Северном Кавказе до XIX века*. Москва: КСИЭ.
- Март, Н. (1911). *Где сохранилось сванское склонение?* СПб: Известия Императорской Академии Наук.

Ketevan Margiani
Sokhumi State University
DALI GORGE – LINGUOCULTUROLOGY, INTERFERENCE, ETHNOLINGUISTICS
(ACCORDING TO THE SPEECH OF KODORI GORGE POPULATION)
RESUME

History of Dali Gorge is being lost in distant past. Kodori Gorge is a historical part of the West Georgia, Abkhazia. In the antique epoch it was called Mivisianeti or Misimianeti, in the middle ages - Dali Gorge, in the XIX century – Tsebelda Dali Sabokaulo (the area controlled by a certain police department), in the Soviet epoch it was called Abkhazian Svaneti, and in the XXI century – Upper Abkhazia. Such a variety of the names speaks for itself, of the importance and special role of this gorge in the history of Georgia. After well-known facts taken place in 2008, residents from Kodori live under refugee status in various regions of Georgia – Imereti, Kvemo Kartli, Svaneti, also Russian Federation and Europe...Speech of Kodori residents is an interesting segment of Svanetian and generally Georgian dialectologic field; From 80s of last century to present we work with the residents of Dali Gorge for the purpose of collection and systematization of onomastic and ethnolinguistic materials.

Svan speech of Dali Gorge is famous with its interference. Here is revealed mutual influence of Svan Balszemouri and Balsqvemouri dialects on all levels of lingual hierarchy – in phonetics, morphology and syntax.

According to the ethnolinguistic and linguoculturological standpoint it is very interesting that lingual variety, diversity, completely different chronology of term and various lingual lineage is noteworthy for the toponymy of Dali Gorge;

Study of onomastic, folk and linguistic materials of Dali Gorge in general Georgian dialectological field under ethnolinguistic, interferential, linguoculturological aspects enables us to have made quite interesting conclusions.

Keywords: Dali Gorge, West Georgia, Kodori Gorge.

ქეთევან მარგიანი, მარინე კაკაჩია
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
მარინა ჯღარკავა
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

კონცეპტი „ზარი“ ქართველურში

საკვანძო სიტყვები: ზარი, სვანური, მეგრულ-ლაზური, კონცეპტი.

კონცეპტი წარმოადგენს ძირითად ცნებას კონცეპტუალური ლინგვისტიკის თეორიაში. თანამედროვე ენათმეცნიერებაში მრავალი განსხვავებული მიდგომა არსებობს კონცეპტთა კლასიფიკაციისა. განსხვავებული მიმართულებებია მისი სტრუქტურის შესწავლის თვალსაზრისითაც. ერთ-ერთი მათგანია ლინგვოკულტუროლოგიური მიმართულება, რომელშიც ენობრივი ექსპლიკაციის ფორმებად ძირითადად გვევლინება ლექსემები, ფრაზეოლოგიური გამონათქვამები, ტექსტები. ზოგიერთი ეთნოკულტურული და სოციოკულტურული კონცეპტები თავისთავად გამოხატავენ ენის, კულტურის, ისტორიის თავისებურებებს. ასეთი კონცეპტების სემანტიკური მნიშვნელობა უტოლდება მათ იმ მნიშვნელობას, რომელიც ლექსიკონებშია განმარტებული. ამ თვალსაზრისით საინტერესოა კონცეპტი ზარი ქართველურში.

სიტყვა **ზარი** ქართულ ლექსიკონებში ასეა განმარტებული:

ზარი - 1. სპილენძის შენადნობისგან ჩამოსხმული ღრუ ნაკეთობა კონუსის ფორმის, რომელსაც შიგნიდან თავმსხვილი რერო (ენა) ჰკიდია ხმის გამოსაცემად; 2. მოწყობილობა ბგერითი სიგნალისათვის - ელექტრონული ზარი; 3. (საუბრ.) ზარის რეკვის ხმა; 4. უზომო შიშით ან რაიმე საშინელი სანახაობით,

ამბით გამოწვეული შემფოთება; 5. სამგლოვიარო, უსიტყვო გალობა მიცვალებულის გასვენებისას; 6. მოთქმით ტირილი, ვინმეს დატირება, გლოვა - ზარი დაეცემა, თავზარი დაეცემა. (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი: ერთტომეული, 1986, გვ. 230)

მ. ანდრონიკაშვილი სიტყვა **ზარს** შიშის, საშიშის მნიშვნელობით უკავშირებს საშუალო სპარსულ სიტყვას zahr: პართ. Zahr - შხამი ახ. სპარსული. Zahr - შხამი, საწამლავი, დარდი, ნაღველი, რისხვა, აღშფოთება. ძველ ირანულ ფორმას აღადგენენ, როგორც jazara, მიღებული ძირიდან jan, რაც ცემას, კვლას ნიშნავს. **ზარ** სიტყვასთანაა კავშირში **ზრუნ-ვა** (ზრუნი): ზრუნ - > ზარ - უნ. **ზრუნვის** ამოსავალი მნიშვნელობაა **მოთქმა, წუხილი**, შემდგომში მან შეიძინა ზრუნვის მნიშვნელობა. (ანდრონიკაშვილი, 1966, გვ. 323-324)

ზარი - ლითონის სარეკი. ძირითადად ცილინდრული ფორმისა, რომელსაც აქვს ენა. მისი მნიშვნელობა განსაკუთრებით გამოკვეთა ქრისტიანობამ, როგორც ცნობილია, მკვდრეთით აღდგომის იდეა ქრისტიანული მორალის ქვაკუთხედს წარმოადგენს. იგია რწმენის ძირითადი საყრდენი, რომელსაც მოელის მორწმუნე თავის დროზე. ამ აუცილებელი აქტის მაუწყებელი გახდება ზარი, მან უნდა მისცეს ნიშანი სიკვდილისგან დახსნისა და მარადიული არსებობისა. ზარი წარმოადგენს ყველა საეკლესიო დღეების, დღესასწაულებისა და სალიტურგო წესთმასხურების შესრულების აუცილებელ ატრიბუტს. შუასაუკუნეებში ზარისთვის გაჩნდა საგანგებო შენობა - სამრეკლო. (ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი, 2011, გვ. 150)

ქართულში ზარი ნასესხები სიტყვაა საშუალო სპარსულიდან. სპარსულში მისი მნიშვნელობა დაკავშირებული იყო სიკვდილთან. სპარსულში შიშიც სიკვდილს უკავშირდებოდა. თუ ქართულში ზარის მრავალმნიშვნელობას დავაკვირდებით, ჩნდება მოსაზრება, რომ ზარი ქართულში სპარსულიდან შიშის მნიშვნელობით შემოვიდა. მისგან ნაწარმოები ჩანს ზმნა **ზარავს** - განაცდევინებს, შიშსა და ძრწოლას ჰგვრის, - ამრწუნებს. თავზარსა სცემს.

ზართანაა დაკავშირებული ზარზმის სახელი: „და თუ ვითარ შემსგავსებული სახელი ეწოდა ზარზმა ერთა მიერ, სასწაულთა საკრველთა ზარგანჯდილთა“. (იაკობიძე, 2015, გვ. 90)

ქართულში **ზარი** რეკა /სარეკელსთან ასოცირდება. რეკა/სარეკელი ასეა განმარტებული:

რეკა - რისამე ცემით ზარის და მისთ. ხმის გამოცემა: სიჩუმე იყო და მხოლოდ სალიტანიო ზარების რეკა ისმოდა.

სარეკელი - ძვ. დასარეკი მოწყობილობა; ხის ფიცარი, რომელზედაც სცემდნენ ხისავე ძელს ხმის გამოსაცემად; იყენებდნენ ლოცვაზე მოსახმობად. ამავე დღეს, წირვის დრო რომ დადგებოდა, „სამ ჟამ ჰრეკონ ძელსა“-ო, ე. ი. „სარეკელა“ ხის ფიცარს ჰრეკონო. გარდა ამ მნიშვნელობებისა ზარი სხვა მნიშვნელობითაც გვხვდება: ზარი - ქართული გლოვის სიმღერა, დატირება. ქართლ-კახეთში წარმოადგენს ქალთა რეპერტუარის ორხმიან სიმღერას (ორი მოტირალის მონაცვლეობა გაჭიმული ბანის ფონზე), სვანეთში - სამხმიან სამგლოვიარო ჰიმნს (ასრულებენ მამაკაცები). (ხელოვნება: მოკლე ენციკლოპედიური ლექსიკონი, 2004)

ნათელია, რომ ხის ფიცარი, ძელი - სარეკელა, რომელსაც იყენებდნენ საშიშროების ან რაიმე სხვა აუცილებელი ამბის შესატყობინებლად და რომლის ხმაც უფრო ხშირად არასასიამოვნო ამბის მაუწყებელი იყო, ქრისტიანობის შემოღების შემდეგ შეცვალა ლითონის ზარმა. სიტყვამ ზარი შემდგომ სხვა მნიშვნელობებიც შეიძინა.

ზარი — სამგლოვიარო გუნდური სიმღერა-ტირილი. დაკრძალვის დღეს ჯერ ოჯახში და შემდეგ სასაფლაოზე ცალ-ცალკე ასრულებდნენ ქალები და მამაკაცები. გუნდის ერთ-ერთი წევრი იწყებდა უსიტყვო მოთქმას, ხოლო სხვები ბანს აყოლებდნენ. შორეული სოფლებიდან მოსულ ნათესავებს მოზარეთა საკუთარი გუნდი მოჰყავდათ, თან მოჰქონდათ დიდი კელაპტარი ან სიცოცხლის ხის სიმბოლო. ზარი ყველაზე სრულად სვანეთის ეთნოგრაფიის ყოფამ შემოინახა. სვანური ზარი სამხმიანი სიმღერაა და ორ გუნდად სრულდება. ძველი ქართული წერილობითი წყაროებით დასტურდება ზარით გლოვა. საქართველოს ზოგ კუთხეში მას ბანს ან ზრუნს უწოდებენ. (ვიკიპედია – თავისუფალი ენციკლოპედია)

ოთარ ქაჯაია თავის ლექსიკონში გვაწვდის ცნობას: ჯვემო უჩქუდეს ზარი: ღურელიმ ონგარუმა მანგარალს (დას, ვარა ცირასკუას) მოჰუნდუ ეჩი-ეჩიდოვითი კოჩი. ათენენს იწოჰუნდუ ოთხი კოჩი (მეტით შიილებედუ) ზარით (ობირუუ). თავარი მაგარუუ სოიშახ ვემილეშუ ცუდემანი, ენეფი იბირდეს; ასეიანი მუზიკაში მანგიორიდუ. თქუანდეს „ზარით მორთუ ონგარუმავანი“, თენა დიდი პატიციემას ნიშნენდუ. - „ძველად იცოდნენ ზარი: მკვდარს რომ ტიროდნენ, მომტირალს (დას ან ქალიშვილს) მოჰყავდა ოცი-ოცდაათი კაცი. ამათ წინ მიუძღოდა ოთხი კაცი (მეტიც შეიძლებოდა) ზარით (სიმღერაა). მთავარი მომტირალი სანამ არ შევიდოდა სახლში, ესენი მღეროდნენ; ახლანდელი მუსიკის მაგიერი იყო. რომ იტყოდნენ: „ზარით მოვიდა სატირლადო“ – ეს დიდ პატივისცემას ნიშნავდა. (ქაჯაია, 2002, გვ. 11)

მეგრულ-ლაზურში გვაქვს **ზარი / ზარა / ზორი** შემდეგი მნიშვნელობებით:

- 1 - ზარი, სარეკელი.
- 2 - სასიმინდეს წნელით მოწნული კედელი.
- 3 - ტირილის წესი; სიმღერა ტირილში.
4. ზორი - საყვირის მიერ გამოცემული ძლიერი ხმა, ზარი.

ხმოვანი სიგნალისათვის, შეტყობინებისათვის გამოიყენება **ორეკეში /ორაცეში** - სარეკავი, სარეკისი, გასადენი; დასაფერთხი.

კისერს ზარეს გითაბუნუნა - „კისერზე ზარს ჩამოჰკიდებენ“. ჟემტიმ ხვმათ მემორჩქენა, ზარეს უხაკუნანანი - „ჟესტის (თუნუქის) ხმად მიგვაჩნია, ზარს რომ უკაკუნებენ“. დოურეკათ თინენს ზარა: (ხუბუა, 1937, გვ. 308) - „დავურეკოთ იმათ ზარი“. ზარა თავი მიკომიბუ: (სამუშია, 1979, 83) - „ზარი აქ მიკილია“. ცოროფილეფიში გამათ ჭანდი მიწოლენსზარს (ყიფშიძე, 1994, გვ. 140) - „მეყვარებულების მაგიერ ბუზი მეტყვის ზარს“. სქანდა ვემოგამაფუა ტრუბა მუზიკანტიში ზორით! (სამუშია, 1979, გვ. 91) „შენზე ნუ დამაკვრევენებ საყვირს მუსიკოსის ხმით!“. მა მუთუნერო ზორიში უმუშო ჭკუმუა ვეშემილებუ „მე არანაირად საყვირის(ზარის) გარეშე ჭამა არ შემიძლია“.

ლაზურში **ზარი** ბედის მნიშვნელობით ითქმის: „ანდლა ზარი ვარ მილუნ“ – დღეს ბედი არ მაქვს (თანდილავა, 2013, გვ. 271). „დულდა ჩქიმი ვარ ივენ, ჰაწი ვარ მილუნ ზარი“ – ჩემი საქმე არ კეთდება, ახლა არა მაქვს ბედი (ყიფშიძე, 1939, გვ. 69);

ზარი = კამათელი: „ზად ისთომელან“ – კამათელს აგორებენ. (ჩიქობავა, 1929, გვ. 123).

ზარი = ხის ძარღვი

ლაზურში **მეზარე** არის საფლავი, **მეზარლული** - სასაფლაო, გლოვის ადგილი: მეზარეზე ჯინაზე-ოხორჯა ჯუმა მუშიქ დოლოდონამს, ვანა ჯუმადი მუშიში ბიჭიქ. „საფლავში მიცვალებულ ქალს მისი ძმა ჩაიყვანს (ჩადებს) ან მისი ბიძაშვილი“. (ჟლენტი, 1938, გვ. 11). ზაიმიში მეზარლულიკალა არ დიდი მუნთხანი ქონაგუ „ზაიმიშის საფლავთან ერთი დიდი რალაცა შეხვდა“ (ჟლენტი, 1938, გვ. 4). **ზარი-ზარი ნიშნავს** მწარეს, ქვითინ-ქვითინს: იბგარტუ ზარი-ზარი! „ტიროდა ქვითინ-ქვითინით (ტიროდა მწარედ)“. (ყიფშიძე, 1939, გვ. 69).

სარეკელას მნიშვნელობით ლაზურში გვაქვს **რანწკ** ძირისგან ნაწარმოები ლექსემები (შდრ. ქართ. **წკრ**):

რანწკ-|| რანწ-|| ორანწკუ - რეკვა

ორანწკალუ რეკვა: „გერმაქ რანწკალამტუ იამომ სერსითე“ – ტყე რეკავდა იამოს ხმით (ყიფშიძე, 1939, გვ. 154). / **ოლანწკალუ** წკრიალი, რეკვა: „კავალი-მუშის ეკო ჩქვა ოლანწკალუ-ქი“ – მისი სალამური კიდევ იმდენი აწკრიალა რომ (კარტოზია, 1972, გვ. 126).

ორანწკილონი ექვანი: „კუჩხეს ორანწკილონეფე დოლობუნ“ – ფეხზე ექვნები ჰკილია. (ჩიქობავა, 1929, გვ. 23).

სარეკელა (ნადირის შესაშინებელი) ასევე არის **ორაონი**: „ჰემუში ჯოხო რენ ორაონი“ – იმისი სახელია „ორაონი“ (სარეკელა). (ჩიქობავა, 1936, გვ. 73).

ლაზურში, ისევე როგორც მეგრულში, ტირილს, გლოვას მოთქმას **მგარ/ნგარ** ძირისგან წარმოქმნილი სახელები:

გემგარაფა დატირება, **გემგარელი** დატირებული, დატირება

გემგარუ /გემგარინუ / გემგარუ დატირება: გემამგარით, ნანა დო ბაბა ჩქიმი! – „დამიტირეთ, დედავ და მამა ჩემო!“ (ჟლენტი .1938.158). დალეფე მუშიქ „ჯუმა ჩქიმი“-ა დო გამამგარეს – მისმა დებმა „ჩემო ძმაო“ და დაიტირეს. (ჩიქობავა, 1929, გვ. 132)

ზარ ძირი მეგრულში გვაქვს სიტყვაში **გაზარება** „გაცილება“. სავარაუდოა, რომ საქმე გვაქვს სიტყვის თავდაპირველი მნიშვნელობის (საბოლოო გზაზე გაცილების) შეცვლასთან: **გაზარება (გაზარებას)** სახელი **გააზარენს** ზმნისა - გაცილება: ცუდეშახ გააზარენს, აბა, მუს იქუნს „სახლამდე გააცილებს, აბა, რას იზამს“. ჩვენს ლაზურში გაცილება არის **გამაყონუ**, რომელსაც **ყონ = ყოლ** ძირი აქვს (შდრ. ქართ. გაყოლა). გამიტაში-ა ნეკნაშენ ქაგამაყონი-ა „გასვლისასო კარიდან გააცილეო“. (ჩიქობავა, 1939, გვ. 126)

ზარი - ლექსიკურ-სემანტიკური ბუდე სვანურში:

სიტყვის მნიშვნელობა დროთა განმავლობაში იცვლება და ცვლილების გამომწვევი მიზეზები მხოლოდ ლინგვისტური ფაქტორებით არ აიხსნება. იგი უნდა განიხილებოდეს ეთნო-ისტორიულ-ლინგვოკულტუროლოგიურ კონტექსტში.

ქართულში სიტყვა ზარი აქტიურად მონაწილეობს კომპოზიტების შექმნაში: თავზარი, თავზარდაცემული, ზარდაცემული, ასევე მონაწილეობს ფრაზეოლოგიზმებში - თავზარი დაეცა, ზარი

დაეცა. სვანურში არ გვხვდება ზართან დაკავშირებული ფრაზეოლოგიზმები და კომპოზიტები იმ ტიპისა, როგორცაა **თავზარი დაეცა, ზარი დაეცა, თავზარი, თავზარდაცემული, ზარდაცემული...**

სვანური ზარის შესახებ არაერთგზის უსაუბრიათ ეთნოგრაფებს, ეთნოლოგებს და არა მხოლოდ მათ, ზარი განუყოფელი ნაწილია ქართული (სვანური) ადათ-წესებისა. ზარი აქტიურად მონაწილეობს სვანურ სიტყვათწარმოებაში: **ზარი მქუტისგ** „მოზარე“, **მოზრა** „მოზარეები“, **ზარი ლქუტისგ** „ზარის თქმა“, თემებისა და სოფლების მიხედვით განასხვავებენ ზარის ნაირსახეობებსაც: **ლემლახუ ზარ** „მულახური ზარი“, **ლგცერუ ზარ** „ეცერული ზარი“, **ლუკალუ ზარ** „კალელთა ზარი“...

ზანგლაგ (-იმ, -ლაგარ) ბზ., **ზანდლაგ** (-იმ, -ლაგარ) ბქ. – ზანზალაკი, ზარი.

მი **ზანგლავს** ღვხუყედანი ი სი ეჩი ჰერს ხეჭმინაღდას (ბზ. 360) – მე ზარს დავიკავებ და შენ მის ხმას გამოჰყევი (სდიე).

ზარ (-იმ, -ალ) ზს., ლნტ., **ზარ** (-ალ) ლშხ.

1. ზარი. ზარ ოხყიდდ (ლშხ.) -- ზარი ვიყიდეთ. ლაქტვამს მწხე **ზარ** ლახუბედ (ლნტ.) -- ეკლესიას ახალი ზარი შევაბით.

2. ზარი (სამგლოვიაროჰიმნი). ნიშგუედ გუარიმ **ზარურ** დარ ლუმდღული -ა **ზარ** ხეჟა! (ბზ. 364) -- ჩვენი გვარისა უზაროდ არავინ დამარხულა და ზარი უთხარი! ლა სგუჯინაჟი **ზარ** უქუიცად ხეკუეს ლესეს (ლშხ. 37) -- გამოსვენებისას ზარი უწყვეტად უნდა იყოს.

მეზრი (-რიმ, -ზრა ბზ., -ამ, -ზრა ბქ.), **მეზარ** (-იმ, -ალ) ლშხ., **მოზარა** (-რამ, -რალა) ლნტ. -- მოზარე, ზარის მთქმელი.

ჩიქე **მეზრა ზარს** ყღლებ (ბზ. 7) -- ჯერ მოზარეები ამბობენ ზარს. ფარარს გუნ ხოჩა **მეზრა** ხორიხ (ბქ.) -- ფარელებს ძალზე კარგი მოზარეები ჰყავთ. მეზარ ლუაჟარ ანჯადხ (ლშხ.) - ზარის მთქმელი კაცები მოვიდნენ.

ნასესხებმა სიტყვამ ზარი სალიტერატურო ქართულსა და ქართველურ ენებში შეინარჩუნა როგორც თავდაპირველი მნიშვნელობა, ასევე შეიძინა სხვადასხვა ნიუანსური სემანტიკა: 1. ზარი - „გლოვა“, სამგლოვიარო მოთქმა, ტირილი“, 2. ზარი - „ხმის გამომცემი საგანი, სარეკელა“ 3. ზარი - სასიგნალო ხმა“ 4. ზარი - კომპოზიტებში - შიში, თავზარი, გაოგნება...”

კონცეპტ ზართან დაკავშირებულ ლექსემებში სემანტიკური გადასვლა ქართული ეთნოგრაფიული ყოფის გათვალისწინებით მოხდა შემდეგნაირად: ზარი - გლოვა > სამგლოვიარო გოდება > საშიშროების მაცნე, ხმა, ხმის გამომცემი საგანი...

ამგვარად ჩანაცვლა ნასესხებმა ზარმა ქართულში არსებული სარეკელა, გლოვა, ზან. ნგარა, სვან. ლიგენი...

მეგრულ-ლაზურსა და სვანურში **ზარ** და მისგან წარმოქმნილ ლექსემათა ანალიზმა კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვა თეზას, რომ ქართველური ენების ლინგვოტიპოლოგიური აღწერა და ინტერპრეტაცია წარმოადგენს თითოეული ამ ენის თავისებურებების დადგენასა და მათ შორის მსგავსებისა და განსხვავების გამოვლენას.

ამრიგად, მეგრულ-ლაზურისა და სვანურის ემპირიული მასალის საფუძველზე აღწერითი მეთოდოლოგიის გამოყენებით გაანალიზებულია ქართველურ ენათა საერთო ძირისა და მისგან წარმოქმნილ ლექსემათა გამოყენებითი არეალი, სემანტიკური ასპექტები, ყალიბები... აქცენტირებულია ქართველურ ენათა საერთო ტიპოლოგია კონცეპტ ზარის მაგალითზე.

ბიბლიოგრაფია:

ანდრონიკაშვილი, მ. (1966). *ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან*. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ვიკიპედია – თავისუფალი ენციკლოპედია. ვებგვერდი: <https://ka.wikipedia.org/wiki/>

თანდილავა, ა. (2013). *ლაზური ლექსიკონი*. თბილისი: საარი.

იაკობიძე, ნ. (2015). *ემოციის აღმნიშვნელ აბსტრაქტულ სახელთა სემანტიკა ქართულსა და გერმანულ ენებში*. თბილისი.

კარტოზია, გ. (1972). *ლაზური ტექსტები*. თბილისი: მეცნიერება.

ჟღენტ, ს. (1938). *ჭანური ტექსტები*. ტფილისი.

სამუშია, კ. (1979). *ქართული ხალხური პოეზიის საკითხები: მეგრული ნიმუშების მიხედვით*. თბილისი: მეცნიერება.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი: ერთტომეული. (1986). თბილისი.

ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. (2011). თბილისი: მერიდიანი.

ქაჯაია, ო. (2002). *მეგრულ-ქართული ლექსიკონი* (ტ. 2). თბილისი: ნეკერი.

ყიფშიძე, ი. (1939). *ჭანური ტექსტები*. ტფილისი.

ყიფშიძე, ი. (1994). *რჩეული თხზულებანი*. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ჩიქობავა, ა. (1936). *ჭანურის გრამატიკული ანალიზი*. ტფილისი.

ჩიქობავა, ა. (1929). *ჭანური ტექსტები*. ტფილისი.

ხელოვნება: მოკლე ენციკლოპედიური ლექსიკონი. (2004). (ნ. მაჭარაშვილი, შემდგენელი) თბილისი: მერიდიანი.

ხუბუა, მ. (1937). *მეგრული ტექსტები*. ტფილისი.

Ketevan Margiani, Marine Kakachia

Sokhumi State University

Marina Jgarkava

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Arnold Chikobava Institute of Linguistics

CONCEPT ZARI (“BAD BELL”) IN THE KARTVELIAN LANGUAGES

RESUME

Language as the treasure of a nation preserves cultural values in vocabulary, grammar, idiomatic expressions, folklore, fiction and scientific literature, also, in written and oral speech. In current international linguistics the research into the concept as a semantic unit of language is conducted in various aspects. In connection with the above, concept Zari (“bad bell”) in the Kartvelian languages is worth discussing.

In the article on the basis of the empirical data of Megrelian, Lazi and Svan languages, with the help of Descriptive methodology a common root of these languages and the genesis of lexemes derived from this root, semantic aspects and forms are analyzed. The common typology of the Kartvelian languages is highlighted on the example of concept Zari (“Bad bell”).

The analysis of “Zari” and the lexemes derived from this concept has underlined once more, that linguo-typological description and interpretation of the Kartvelian languages depict the specificity, similarity and differences between each language.

Keywords: Zari (“bad bell”), Svan, Megrelian, Laz, Concept.

ნინო მაშია

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**სამიწათმოქმედო რიტუალების აღმნიშვნელი რამდენიმე ტერმინისათვის
მეგრულ-ლაზურში**

საკვანძო სიტყვები: საერთოქართველური, მეგრულ-ლაზური, ლექსიკა, წეს-ჩვეულებანი.

სამეურნეო საქმიანობა საქართველოსთვის მხოლოდ მეურნეობის დარგი კი არ არის, არამედ მისი ისტორიის, ცნობიერებისა და კულტურული მემკვიდრეობის განუყოფელი ნაწილია. აგრარული სექტორის ერთ-ერთი უმთავრესი და განმსაზღვრელი რესურსი არის მიწა. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულება მიწასთან ასოცირდება, რადგან მიწა წარმოების მთავარი ფაქტორია.

საქართველოში სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში სოფლის მეურნეობა ასრულებდა ქვეყნის თვითმყოფადობის, თვითუზრუნველყოფისა და თავისთავადობის შენარჩუნების მნიშვნელოვან ფუნქციას. მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული ლექსიკა მეგრულ-ლაზურში მრავალფეროვანი და ცვალებადია. იგი კვალდაკვალ მისდევს საზოგადოების განვითარებას. დროთა განმავლობაში იკარგება ან ჩნდება კონკრეტული სამეურნეო დარგები, რაც საფრთხეს უქმნის არაერთი ლექსიკური ერთეულის

გაქრობას. ამიტომ უძველესი დარგობრივი ლექსიკური ჯგუფების სრულად აღწერა და ისტორიულ-შედარებითი ანალიზი მეტად საშური საქმეა.

საქართველოს დასავლეთ ნაწილში სამეურნეო ლექსიკის შესწავლისათვის, კერძოდ, სამიწათმოქმედო რიტუალების კვლევისათვის აუცილებელია ვიცნობდეთ ამ კუთხის ისტორიას, კლიმატს, ნიადაგს, მეგრელებისა და ლაზების ტრადიციულ საქმიანობას, მათ შრომით ადათ-წესებს. ყველა პერიოდის აღმწერილი თუ მკვლევარი საგანგებოდ მიუთითებს აქაური მიწა-წყლის სიუხვეზე, სიმდიდრეზე და სიკეთეზე. ეს ხაზგასმულია ვახუშტი ბატონიშვილთან: - „ერთი მხოლოდ მუშაკად მოქმედი კაცი, მხოლოდ წალდ-თოხისა მქონებელი დასახლდების, მოიყვანს საზრდელსა ჯალაბათსა და გარდაიხდის ბეგარასაცაო“. (ბატონიშვილი, 1941, გვ. 145) ანალოგიურად ახასიათებს სამეგრელოს ნიადაგებს კ. ბოროზდინი: „ხარობს ძალზე მრავალფერი კულტურა მცენარეთა სამეფოთაგან. აქაურს მიწას არავითარი ხელოვნური გაპატიება არ სჭირია, ისე ხორბალი ერთორმოცად მოდის. სიმინდი და ღომი პირდაპირ საარაკო მოსავალს იძლევიან; კარგად მოდის ბამბა, უმაღლესი ხარისხის თუთუნია... თუთუნის ხე და ვაზი ხომ ყველა ეზოშია“. (ბოროზდინი, 1934, გვ. 99) სამეგრელოს მიწის ნაყოფიერებზე მიუთითებს ჟ. შარდენიცი, რომელიც სამეგრელოში 1672 წ. ჩამოვიდა: „გარდა ღომისა სამეგრელოში მოჰყავთ დიდი რაოდენობით ფეტვი, უფრო ნაკლებად ბრინჯი, ხორბალი და პური, ხორბლის პურს მხოლოდ შეძლებულები ჭამენ“. (შარდენი, 1975, გვ. 113) ამ ცნობებს ავსებს ს. მაკალათია და მიუთითებს: „მიწა სამეგრელოში ურწყავია და ყველა მოსავალი ოდითგან, მათ შორის სიმინდიც ამინდზე იყო დამოკიდებული“. (მაკალათია, 1941, გვ. 186) სათესი კულტურებიდან სამეგრელოში, ძირითადად მოჰყავთ ფეტვი, ღომი, სიმინდი, ხორბალი, ქერი, ჭვავი, ასევე ტექნიკური კულტურები.

სამიწათმოქმედო მუშაობის პროცესს მრავალი რიტუალი ახლდა. მიწათმოქმედება წარმოუდგენელი იყო, სიმღერის გარეშე როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში. გამონაკლისს არც სამეგრელო წარმოადგენდა. **ობირეში** (სიმღერა) და **ნოდურა ობირეში** (ნადური სიმღერა) ცნობილი გახლდათ ამ კუთხის თითქმის ყველა სოფელში.

გლეხები ყანის თოხნის დროს მღეროდნენ სიმღერას - **ხეხვამიო ხვარელი**. (მაკალათია, 1941) არსებობს ცნობა, რომ ამ სიმღერას ტარობის ამოყრის პროცესში მღეროდნენ (კვირტია, 2001). სიმინდის ამოყრის პროცესში მღეროდნენ **ობობოია**-საც, რომელიც ხორხოცს, ტაშფანდურს, ერთგვარ მისამღერს ნიშნავს (ქობალია, 2010), ასევე ცნობილია თოხნის დროს შესასრულებელი **ობირეშეფი** (სიმღერები) **ოდოია** (ქობალია, 2010) და **ოჟონური** (ქობალია, 2010).

ოჟონური სემანტიკურად გამჭვირვალეა (საყანეს ნიშნავს). **ოდოიას** სემანტიკა კი ბუნდოვანია. მეცნიერთა ნაწილი ფიქრობს, რომ კოლხთა ნაყოფიერების ღვთაების ოდის სახლი იგულისხმება (ტულუში, 1988). ალ. ქობალიას ლექსიკონის მიხედვით ოდოია ნაყოფიერების წარმართული ღვთაებაა და მასთან ყანურს, ყანაში სიმღერასაც ნიშნავს. (ქობალია, 2010) მეგრელთა რწმენით მოსავლიანობის მფარველი იყო **სუჯუნის ხატი**, ამიტომ კარგ ყანაზე სუჯუნა, ნატიბ **ცვანას** იტყოდნენ: „სუჯუნა მის უტიბუნე ღუმე თის აყინია“- სუჯუნა ვისაც წყალობს ღომიც იმას ექნებაო. (ბებია, 2003)

ლაზურში ცნობილია ერთადერთი სიმღერა - **ჰეამო**, რომელსაც მღერიან ნადში სიმინდის თესვის დროს. (თანდილავა, 2013) სხვა ლაზური სიმღერები უშუალოდ მიწათმოქმედებას არ უკავშირდება.

ლაზურში ნათესების მფარველ ხატს **ხალადიდა**-ს უწოდებენ. (თანდილავა, 2013) **ხალადიდა** კომპოზიტია, **დიდა** ლაზურად დედაბერს ნიშნავს: „არ ოხორის ჯურთანე არ ბადი დო არ დიდა ქორტეს“ - ერთ სახლში ორი, ერთი ბერიკაცი და ერთი დედაბერი იყვნენ. (თანდილავა, 2013, გვ. 195) **ხალა** (არაბ. hala) ლექსიკონების მიხედვით მამიდას ნიშნავს: „ბაბაში და ხალა-ს ვუწოდებთ“ - მამის დას „**ხალას**“ ვეძახით. (ჩიქობავა, 1936, გვ. 101)

ლაზურში ცნობილია მოსავლიანობის ღვთაება **დიდა-მანგისა**. (თანდილავა, 2013)

სიმინდის ყანა ქარისგან რომ დაეცვათ, მეგრელები ასრულებდნენ რიტუალს, სადაც წარმოთქვადნენ სახვეწურს, რომელსაც **ბორიამ ოხვამერი** ერქვა. (მაკალათია, 1941, გვ. 331)

ჭირნახულის დაბინავების შემდეგ სამეგრელოში იცოდნენ **შკვითული და**. ამ დღეს კლავდნენ გოჭს, ციკანს, ხბოს. ხარშავდნენ თევზს, აცხობდნენ ფეტვისა და პურის ფქვილის კვერებს, რომელსაც კვარი ჰქვია. (თოფურია, 1984, გვ. 78)

ცნობილი რიტუალია **ნემიშ თასუა** (კაკლის თესვა). ამ დროს ოჯახის უფროსი კაკალს და სხვა ყველა ჭირნახულის ცოტაოდენ თესლს ეზოში გაიტანდა დასათესად. ეს რიტუალი ტარდებოდა კარგი მოსავლისათვის.

სამეგრელოში მიმართავდნენ წარმართულ რიტუალსაც - **კატუმ ინოკირაფა**, რომელიც გვალვის წინააღმდეგ გამოიყენებოდა (რათა მდინარე განრისხებულიყო და წვიმა მოევილინებინა). (ქობალია, 2010) წვიმის მოსახმობი რიტუალი გახლდათ **ოჭვიმფარი**, რაც გულისხმობდა ბაყაყის გასრესას, საფლავიდან ძვლების ამოყრას, წყლის, ცის მთვარის რისხვას, რასაც წვიმა უნდა მოჰყოლოდა. (ქობალია, 2010, გვ. 556)

ტერმინი **ძივავობა**-ც გვალვის საწინააღმდეგო რიტუალს აღნიშნავს, რომელიც იგივე სახელწოდებით არის ცნობილი აფხაზეთის მკვიდრთათვის. **ძივავა**-ს ემახდნენ საფრთხობელას, გაბურძნულ ტიკინას, რომელსაც მლოცველები წვიმისათვის კარდაკარ ჩამოატარებდნენ. საფრთხობელას ჯერ წუწავდნენ, ხოლო შემდეგ მდინარეში აგდებდნენ, მისი სახით ასამარებდნენ გვალვას.

ძივავა იგივეა, რაც **ძვებრა გონჯა, ძივოუ**. (ქობალია, 2010, გვ. 556) ეს ტერმინი დღესაც შენარჩუნებულია: „მე **ძივავა**-ს ქოგუქი-ა“- რა საფრთხობელას ჰგავხარ-ო“.

საგულისხმოა, რომ ყველანაირ ლოცვას მეგრულად **ხვამას** ემახიან და ეს ტერმინი ლაზურშიც იდენტურია. (თანდილავა, 2013, გვ. 882) **ხვამინი** (ლაზ) მიცვალებულის ლოცვაა, **ოხვამე** - სამლოცველო. (თანდილავა, 2013, გვ. 689) **ოხვამე** მეგრულშიც სასაფლაოს, სამლოცველოს, საგოდებელს აღნიშნავს. (ქობალია, 2010, გვ. 558)

სამეგრელოს სინამდვილეში ღმერთის შესაწირავ ღვინოს, პურს, საკლავს, თაფლს, თუ სანთელს **ოხვამერს** ემახიან.

ალექსი ჭინჭარაული ძირს „ხვამ“ ბერძნულიდან ნასესხობად მიიჩნევს, ამბობს, რომ ბერძნულიდან სიტყვის სესხებისას ზანურმა **ხვამ ხომ** ფორმა მიიღო, ხოლო სვანურმა **ჯვამ**- (ჭინჭარაული, 1998, გვ. 207).

ჰაინც ფენრიხისა და ზურაბ სარჯველადის „ქართველურ ენათა ეტიმოლოგიურ ლექსიკონში“ აღდგენილია ძირი *ჯუამ-: ისინი ერთმანეთს უპირისპირებენ ზანურში მოცემული ხომ-ალა-სა („დღეობა, სალოცავი“) და სვანურში დაცულ ლი-ჯუამ-ს („სალოცავი“) | მა-ჯუამ-ს („მადლობა“). ამ მეცნიერთა აზრით, ქართულში დღეს შესატყვისი ძირი არ ჩანს, თუმცა, სავარაუდოდ, მეგრულსა და ლაზურში ეს ფუძე ან ქართულიდან უნდა შესულიყო, ან სვანურიდან: „სვან. ჯუამ და ლაზ. ხომ- (ჯომჰმ-ა (ჩუხუა 2000-2003, გვ. 410).

რაჭა-ლეჩხუმსა და სვანეთში დადასტურებულია დღესასწაული „**ხვამლობა**“, რომელიც იმართებოდა ამაღლების მეორე შაბათს (სულთმოფენობაზე). „სახვამლობო“ კაკლის ხის ქვეშ ლოცულობდა ოჯახის უფროსი ქალი, რომელიც ანთებდა სანთელს და ამ დღისთვის სპეციალურად დაკლულ და შემწვარ წიწილას შემოავლებდა კაკლის ხის ქვეშ მიყვანილ ბავშვებს და დალოცავდა მათ“. (აბაკელია, 1997, გვ. 112-113).

ხვამლ- ძირთან დაკავშირებით, ტარიელ ფუტყარაძე აღნიშნავს, რომ ლეჩხუმში დიდი მთის სახელი – ხვამლ-ი არის საერთოქართველური ვარიანტი; კერძოდ: **ხვამ** ლოცვაა, ხოლო **ხვამლ-ი** – სალოცავი ადგილი. მისი აზრით, **ხვამლ-** სიტყვაში **-ლ** ისეთივე სუფიქსია, როგორც თოვ-ს – თოვლ-ი, მამა – მამრ-ი... ფორმებში. (ფუტყარაძე, 2005, გვ. 168-169) **ლ-**ს ფუნქციაა კუთვნილობის, წარმომავლობის გამოხატვა. შესაბამისად, ხვამლი – სალოცავი ადგილია, ან ადგილი, სადაც სალოცავი დგას | სალოცავიანი ადგილი.

ოხვამური – სალოცავი: (ჭარაია, 1997, გვ. 177-178);

ტერმინი **ზედაშე** ცნობილია ღვთაებისადმი შეწირული სოფლის მეურნეობის პროდუქტების აღსანიშნავად საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში. ზედაშე შესაწირავი ღვინოა სულხან-საბას განმარტებით. მის შესატყვისად, სამეგრელოში ტერმინ **ოხვამური**-საც იყენებენ.

ოხვამური, სალოცავი, ზედაშე, სათაო, თავეული ადგილობრივია, ქართული წარმოშობისაა. (მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, 1963)

„აზღალური ოხვამეშ თის ქილისეფეტუ“ - აზღალის სამლოცველოს თავზე ეკლესიები იყო. (ყიფშიძე, 1939, გვ. 698)

სალოცავ ღვინოს სამეგრელოში ტერმინი **ბენღვინი** ჰქვია. სოფ. პირველი მასის მკვიდრი გაიოზ მირცხულავა (ხობის რ-ნი, 82 წლის) აღნიშნავს, რომ ბენღვინი მათ ოჯახში მხოლოდ შესაწირის დროს იხსნებოდა (ინჰყაფუდ). **ბენღვინი** ალ. ქობალიას მეგრულ ლექსიკონშიც განმარტებულია, როგორც ზედაშე. (ქობალია, 2010, გვ. 60)

ცნობილია, რომ სამეგრელოში სოფ. მუხურში (ჩხოროწყუს რ-ნი) ოცინდალეს წმ. გიორგის თავისი მამული ჰქონდა, რომელსაც **ხატიშ ბინეხს** ემახდნენ: „თე ბინეხის (ვენახს) თოდუაშ გვარი ულუანდუ დო შხვას გვარს უფლება ვაულუდ ობინეხეშა მინულაში“- ამ ვენახს თოდუას გვარი უვლიდა და სხვა გვარს შიგ შესვლის უფლება არ ჰქონდა. თოდუას გვარიდან იყო არჩეული მეხატული (რესპონდენტი, ანტონ თოდუა, სოფ. მუხური, 80 წლის).

მწიფობის, მოსავლის ნაყოფიერების ღვთაებაა **აგუნა**. (ქობალია, 2010, გვ. 8)

სამეგრელოში წვიმის ღვთაებისადმი მიძღვნილ ღვთაებას **კოხინჯობას** უწოდებდნენ (კოხმა ნათესი რომ არ გააფუჭოს). (ქობალია, 2010, გვ. 374)

ოხვამური ლაგვანი (სალოცავი ქვევრი) ცნობილია მთელ სამეგრელოში. სამეგრელოში ჭურს სახელს მისი სიდიდის მიხედვით არქმევდნენ. საშუალო ტანის ჭურჭელს **ლაგვანი** ერქვა. **ლაგვანი** - არგვანი (წაგვანი). (ელიავა, 1997, გვ. 202) „ღვინი გეიშუმუჟ ჟირ ლაგვანი“ - ღვინო შეგისვამს ორი ქვევრი.

„ლაგვანიშე ღვინი ლაგვანიში უმოსი ხირკეთი ვეშელავა“ (ხალხ. სიბრძ. გვ. 78). **ლაგვანი** იყო: ერთკოკიანი, ორი, სამი, ხუთი, ათი, თხუთმეტი, ოცი, ოცდახუთი და ოცდაათკოკიანი. დანიშნულების, ანუ სალოცავების მიხედვით, ყველა ლაგვანს თავისი სახელი ჰქონდა; მაგალითად: **ოდუღია, ოდაბადე, სალორონთო, სამანცხვარო, დიდი ოხვამერი**. (ქაჯაია, 2002, გვ. 178)

ლაზურში ლაგვანს (ქვევრი) **ლამგვანი** ჰქვია. (თანდილავა, 2013, გვ. 393)

ლაზურ ტექსტებში ქვევრი მეგრული **ლაგვან**-ის იდენტურია: „ოხოორეფე ნა კოდუმტან, ორეფს ლაგვანი მოშალამს - სახლებს რომ აგებენ იმ ადგილებში ქვევრი გაითხრება. (ასათიანი, 2012, გვ. 17).

ლაზ. **ლანგვან-ი||ლამგვან-ი**, ნო-**ლანგვან-ე** (ტოპ.)~ მეგრ. **ლაგვან-ი** „ქვევრი“; შდრ. ქართ. **ლაგვინ-ი** (საბა). (ქირია, ეზუგბაია, მემიშიში, & ჩუხუა, 2015, გვ. 809)

ოხვამერი ორგვარი მნიშვნელობისაა: 1. საკულტო ადგილი, სადაც ლოცვა-რიტუალი სრულდება და 2. შესაწირავი (ღვინო, პური, სანთელი, თაფლი და სხვ.) ამგვარი მნიშვნელობისაა იმერულ-რაჭული „სალოცვილი“ - ქართული „საწირავის“ შესატყვისი. ტერმინისათვის ამოსავალია სიტყვა ხვამა „ლოცვა“ (შდრ: ოხვამე „ეკლესია“). (თოფურია, 1984, გვ. 123)

სადაბადო (მეგრ) ქალის სალოცავი ქვევრია, რომელიც ოჯახის სალოცავი ქვევრიდან შორს ემარხა. (ანთელავა, 2017, გვ. 538)

სანწველო მეგრული ლოცვაა, რომელსაც მეგრელები შემოდგომით ქვევრთან ატარებდნენ. ამ დღეს საგანგებოდ აცხობდნენ ლავაშის ფორმის პურს, ანთებდნენ სანთლებს და ლოცულობდნენ: „მარდიან მანცხვარ წკნელ, სქან ტიბანი ქომუჩით მა, ჩქიმ მოთასი დო გამნაწყამს“- მადლიანო მაცხოვარო წკნელ, შენი წყალობა მოგვეცი მე, ჩემს შვილიშვილს და შთამომავლობას. (მაკალათია, 1941, გვ. 321)

სკიბუშ ოხვამერი (ხელსაფქვავის სალოცავი) ერქვა ლოცვას, რომელსაც ასრულებდნენ ჭირნახულის დაბინავების შემდეგ ნებისმიერ დღეს. ს. მაკალათიას ცნობით შობა-კალანდას შუა რომელიმე დღეს დიასახლისი გამოაცხობდა „ჭვიშთარს“ (ყველიან ან ქონიან მჭადს) მიიტანდა ხელის წისქვილთან და დაილოცებოდა, რომ წისქვილის დაფქული მუდამ ხვავიანი და გემრიელი ყოფილიყო, რომ არასდროს მოკლებოდათ, შემდეგ ჭვიშთარს ოჯახის ყველა წევრს გაუნაწილებდა. (ანთელავა, 2017, გვ. 584)

ცვანაშ ხვამა (მეგრ. ყანის ლოცვა) დღემდე შემორჩენილია სამეგრელოში (სახეცვლილი ფორმით) მას **ხვამა ივანობა**-საც (იავნობისთვის ლოცვა) ეძახიან. სამეგრელოში სიმინდის შემოსვლის შემდეგ მეგრელები დიდ წილად მას სთესდნენ, მაგრამ ღომის ღომის ყანებზე ჰქონდათ. აღნიშნული თვის მეორე ნახევარში მხოლოდ ღომის ყანაში ლოცულობდნენ. ოჯახის უფროსი ხისგან გაკეთებულ ჯვარს შუა ყანაში დაასობდა, რომლის მხრებზე მოსავლის სიმბოლოს „კაკლარიშ ორდოხუს“ ჩამოკიდებდა; ჯვრის გარშემო ოჯახის წევრებს დააჩოქებდა, მუხლს თვითონაც მოიყრიდა და წმ. ილიას სახელზე ლოცულობდნენ, შესთხოვდნენ მოსავლის დაცვას და ბარაქას. (ანთელავა, 2017, გვ. 704)

ყურხენიშ ოხვამერი (მეგრ. ყურძნის სალოცავი) რიტუალია, რომელსაც ყურძნის დამწიფებამდე ასრულებდნენ, გამოაცხობდნენ კვერებს, წაიღებდნენ ვენახში და მიწაში ჩაფლავდნენ. ამით ღმერთს უხვ მოსავალს შესთხოვდნენ. (მაკალათია, 1941, გვ. 331)

შქვითულიშ ხვამა (შვიდეულის ლოცვა) - მოსავლის დაბინავებასთან დაკავშირებული მეგრული სალოცავია, რომელიც მოსავლის აღების შემდეგ იმართებოდა, ოქტომბრის ბოლო ორშაბათს. ამ დღეს შვიდ სულ სხვადასხვა ცხოველს სწირავდნენ. აქედან უნდა იყოს წარმომდგარი მისი სახელი შქვითულა (შქვითი მეგრ. შვიდს აღნიშნავს). (მაკალათია, 1941, გვ. 320)

ჭვენთერობა საგაზაფხულო ციკლის დღეობაა სამეგრელოში (ქობალია, 2010, გვ. 709), რომელიც სოფ. ბანძაში (მატვილის რ-ნი) იმართებოდა ნააღდგომებს, ახალი კვირის ორშაბათს. რესპონდენტ ნელი დავითაიასგან (სოფ. ონტოფო, აბაშის რ-ნი, 89 წლის) ჩავიწერეთ ლოცვის ტექსტი: „წმ. გიორგი, ამდღანერ ჭვენთარობას სი ქომჩით გომორძგუაა, ძალი დო ღონე, მინა მუნაწიმ დო ნახანდიშ, ტერი ქუმოდირი დამაცხებული, მოულირი სუმარს დო მენძელს არძა ზნახება დო ხვამა გოუტიბინე“- წმ. გიორგი, დღევანდელ „ჭვენთარობას“ შენ მომეცი გამარჯვება, ძალა და ღონე, გამიმრავლე მოსავალი და ნაჯაფი, მტერი მანახე დამარცხებული, მოსულ სტუმარს და მასპინძელს ყველა სათხოვარი და ლოცვა აუსრულე“.

ჭვე მერგულად ჭვავს ნიშნავს. (ქობალია, 2010, გვ. 709) შესაძლებელია ეს ლოცვა ჭვავის და ზოგადად მარცვლეულის კარგი მოსავლისთვის ყოფილიყო განკუთვნილი და სახელწოდებაც „ჭვენთერობა-ც“ ამას გულისხმობდეს.

ზოგადად სარიტუალო ყოფა და წეს-ჩვეულებანი ადასტურებს ქართველთა ერთიანობას: „არამცთუ საზოგადო ქართული, ყველა ქართველ ტომთათვის, მათ შორის მეგრელთა და სვანთათვისაც, საერთო წარმართობა არსებობდა, არამედ რომ ამ წარმართობას საერთო ტერმინოლოგიაც, საერთო ენაც ქართული ჰქონია“. (ჯავახიშვილი 1979, გვ. 156)

ბიბლიოგრაფია:

- ასათიანი, ი. (2012). *ლაზური ლექსიკონი*. თბილისი.
- ანთელავა, ნ. (2017). *კავკასიის ხალხთა მითები და რიტუალები*. თბილისი: უნივერსალი.
- აბაკელია, ნ. (1997). *სიმბოლო და რიტუალი ქართულ კულტურაში*. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია.
- ბატონიშვილი, ვ. (1941). *აღწერა სამეფოსა საქართველოსა*. (თ. ლომოური, & ნ. ბერძენიშვილი, რედ.) თბილისი.
- ბეზია, ი. (2003). *სამიწათმოქმედო ლექსიკა მეგრულში*. დისერტაცია. თბილისი.
- ბოროზდინი, ვ. (1934). *სამეგრელო და სვანეთი, 1854-61 წლების მოგონებანი*. (თ. სახოკია, მთარგმნ.) თბილისი.
- ელიავა, გ. (1997). *მეგრულ-ქართული ლექსიკონი*. თბილისი: ინტელექტი.
- თანდილავა, ა. (2013). *ლაზური ლექსიკონი*. (მ. ჩუხუა, რედ.) თბილისი: საარი.
- თოფურია, ნ. (1984). *ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფის ისტორიიდან*. (თ. ოჩიაური, რედ.) თბილისი: მეცნიერება.
- ვერტიკა, მ. (2001). *კვიმატი*. თბილისი
- მაკალათია, ს. (1941). *სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია*. თბილისი.
- მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. (1963). თბილისი.
- ტულუში, ა. (1988). ერთი ქართული წარმართული ღვთაებრივი სახელის გამო. *ცისკარი* (2).
- ფუტყარაძე, ტ. (2005). ქართველნი. ქუთაისი.
- ქაჯაია, ო. (2002). მეგრულ-ქართული ლექსიკონი (ტ. II). თბილისი: ნეკერი.
- ქირია, ჭ., ეზუგბაია, ლ., მემიშიძე, ო., & ჩუხუა, მ. (2015). ლაზურ-მეგრული გრამატიკა. მორფოლოგია (ლაზურისა და მეგრულის საერთო ძირ-ფუძეთა ლექსიკონი). თბილისი: მერიდიანი.
- ქობალია, ა. (2010). *მეგრული ლექსიკონი*. თბილისი: არტანუჯი.
- ყიფშიძე, ი. (1939). *ჭანური ტექსტები*. თფილისი.
- შარდენი, ჟ. (1975). *მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში*. თბილისი: მეცნიერება.
- ჩიქობავა, ა. (1936). *ჭანურის გრამატიკული ანალიზი*. ენათმეცნიერების ინსტიტუტი.
- ჩუხუა, მ. (2000-2003). *ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი*. თბილისი.
- ჭარაია, ვ. (1997). *მეგრულ-ქართული ლექსიკონი*. თბილისი
- ჭინჭარაული, ა. (1998). კიდევ ერთი ბერძნული წარმომავლობის სიტყვა. *ქართველური ონომასტიკა*. თსუ.
- ხალხური სიბრძნე, I. (1994). მეგრული და ლაზური ანდაზები, ალმანახი „მსგეფსი“ თბილისი
- ჯავახიშვილი, ი. (1979). *მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ისტორიისათვის*. (ტ. II. ნაწ. I). მეჭურჭლეობა, თბილისი.

Nino Mashia

Sokhumi State University

SEVERAL TERMS FOR THE NEGLECTED RITUALS IN MEGRELIAN-LAZUR RESUME

In the previous article we have analysed the vocabulary of grain crops and its names in Megrelian-Laz language. Their corresponds with Georgian language and the dialects are given as far as possible the attempt of etymological search of these names is made. The example of archeological and ethimological material is viewed.

In comparison of the basis of the names, it is found that the constituents are part of the bases and endings that show only morphological comparison (and not phonetic). We have been convinced that the languages of comparable languages are not replaced by the structure but the meaning.

The purpose of the work is to present the results of previously conducted studies covering the viewpoints in scientific circulation and to show the attitude towards this research based on new material obtained by us. Several terms of granular cultures show the same level of presented material. It is important that the matches are just functional and the differences are fixed at the same angle. The root does not give us conclusions, and the impressions are phonetically common. The article contains the words that are derived from other languages. Hence, the failure to find a similar (similar) base does not always mean historically. Laz and Megrelian according to the material given to each other as kilograms - not languages.

The analysis proved that Georgian-Megrelian-Laz material is basically Georgian. The difference appeared later. Laz language because of widely known reasons was more developed.

Keywords: General Georgian, Megrelian-Laz, Vocabulary, Ritualism, Vocabulary.

პიკარესკული რომანის რეალიზმის შესახებ

საკვანძო სიტყვები: მტკივნეული სინამდვილე, ესპანური ბაროკო, რენესანსი, დაცემული საზოგადოება, ანტიგმირი.

ლიტერატურათმცოდნენი საკამათოდ არ მიიჩნევენ იმ მოსაზრებას, რომ პიკარესკული რომანი - რეალისტური რომანია, თუმცა სამართლიანად სვამენ კითხვას, თუ რა იგულისხმება ამ რეალიზმში. ესპანური ლიტერატურის ერთ-ერთმა აღიარებულმა მკვლევარმა, მარსელ ბატაიონმა, თავის ნაშრომში „ლასარილიო ტორმესელის ცხოვრებაზე“ აღნიშნა: „ლასარილიო“ ერთდროულად გამჭვირვალეც არის და იდუმალიც. ერთი შეხედვით, ისე ჩანს, თითქოს ამ ნაწარმოებში თვით ესპანეთია ასახული. ლასარო, ბრმა, ძუნწი მღვდელი მაკედედან, მშიერი დიდგვაროვანი, პაპის სიგელების გამყიდველი, ბევრი სხვა ეპიზოდური პერსონაჟი თითქოს რეალური ცხოვრებიდან პირდაპირ წიგნში აღმოჩნდა. თუმცა, უფრო ყურადღებით დაკვირვება გაიძულებთ შეაფასოთ თავად ლიტერატურის ჩართულობის ხარისხი“. (Томашевский, 1975, стр. 5). ტომაშევსკი მიიჩნევს, რომ პიკარესკული რომანი რეალისტურია, მაგრამ არა XIX საუკუნის ნატურალიზმის ან კლასიკური რეალიზმის გაგების თვალსაზრისით. მკვლევარს ასევე საეჭვოდ მიაჩნია სოციოლოგიური კრიტიკის მართებულობა, რომელიც ცდილობს პიკარესკული რომანისთვის დოკუმენტური ღირებულების მინიჭებას, მისი ანალიზის საფუძველზე „ოქროს ხანის“ ესპანეთის ცხოვრების, საზოგადოების, ჩვევებისა და ადათ-წესების აღდგენას. გასათვალისწინებელია, რომ პიკარესკული რომანის ეპოქაში ჯერ კიდევ მოქმედებდა კლასიკური პოეტიკა, ლიტერატურული კანონი, რომელიც არ ავალდებულებდა ლიტერატურული ნაწარმოების ავტორს, ზუსტად აესახა რეალობა, შეექმნა გარემომცველი სინამდვილის რეალისტური სურათები. აღნიშნულ ეპოქაში ავტორი ქმნიდა სამყაროს იმგვარ სურათს, რომელიც არ ეწინააღმდეგებოდა სინამდვილის კანონებს; რომელიც იმის მიუხედავად, რომ სინამდვილეს არ ასახავდა, შეეძლო აღწერილი სინამდვილედ მოეჩვენებინა. ასევე გასათვალისწინებელია, რომ პიკარესკული რომანის სტილი არის დაბალი და მისი იდეა ანტიკურმა რიტორიკამ გადასცა მემკვიდრეობით აღორძინების ხანას. აღნიშნული სტილი, რიგი კულტურულ-ისტორიული მიზეზების გამო, სწორედ ესპანეთში დამკვიდრდა; დამკვიდრა იმდენად მყარად, რომ აღიარებულ იქნა ეროვნული სულის გამოხატველად. სინამდვილეში, არსობრივად პიკარესკული რომანი წარმოაჩენს უხემ, მტკივნეულ სინამდვილეს, მაგრამ ეს არ არის უშუალოდ სინამდვილე; ეს არის რომანის შემქმნელის ლიტერატურული აზროვნებისთვის დამახასიათებელი იდეოლოგიური ცნებებისა და უნარების საფუძველზე, მწერლის შემოქმედებით ლაბორატორიაში გადახარშული სინამდვილე. ხუან გოიტისოლო სტატიაში „ესტებანილიო გონსალესი“ აღწერს, თუ როგორ შემოიჭრა XVI საუკუნის ესპანური ნარატიული ლიტერატურის გაყინულ სტრუქტურაში რეალობის ელემენტები და როგორ შეარყია ეს სტრუქტურა. ამასთან დაკავშირებით ესპანელი ავტორი „ლასარილიო ტორმესელის ცხოვრებას“ მოიხსენიებს ფორმალურ ოპოზიციად არსებული ლიტერატურული მოდელისა და იდეალური რაინდი-გმირის პერსონის მიმართ: „ლასარილიო არა მხოლოდ XVI საუკუნის ესპანეთის პარაზიტულ ფაუნას ასახავს, არამედ ის არის ანტი-გმირი, რომლის ასპარეზზე გამოჩენა შეიძლება აიხსნას რაინდული რომანების თემატური მოტივების მოძველებითა და გაუფასურებით“. (Goytisolo, 1966, p. 78) ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, პიკარესკულ რომანში პიკაროს ფიგურა ასახავს არა რეალურ პიკაროს, არამედ მის ლიტერატურულად ტრანსფორმირებულ ვარიანტს. სწორედ ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია ვისაუბროთ პიკარესკული რომანის რეალიზმზე, რადგან მას საფუძველად უდევს გარკვეული ისტორიული სინამდვილე (რასაკვირველია მწერლის მიერ გარკვეულწილად გადასხვაფერებული). ამ შემთხვევაში სამართლიანად დაისმის კითხვები, თუ რეალობის რა დონაზე შეგვიძლია ვისაუბროთ, რა უნდა იქნეს გათვალისწინებული „ოქროს საუკუნის“ ესპანურ ლიტერატურაზე მსჯელობისას.

ისტორიიდან ცნობილია, რომ იმპერატორ კარლის მმართველობის წლები ესპანეთისთვის პოლიტიკური და სამხედრო ძლიერების დემონსტრირების ეპოქას წარმოადგენდა; თუმცა, იმავდროულად, სწორედ აღნიშნულ პერიოდში დაიწყო ეკონომიკური და საზოგადოებრივი ყოფის დაქვეითება. ფილიპე II და ფილიპე III მმართველობისას ქვეყნის ეკონომიკა საბოლოოდ განადგურდა;

სახელმწიფო მლიერების ნიშნებს მხოლოდ ფასადური ხასიათი ჰქონდათ. რაც შეეხება ფილიპე IV მმართველობის პერიოდს, უკვე ყველასათვის აშკარა გახდა ესპანეთის სახელმწიფოებრივი კრახი.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ჯერ კიდევ კომუნეროსების ამბოხების დროიდან¹ შეინიშნებოდა ამერიკიდან მეტროპოლიაში ძვირფასი ლითონების შემოდინების მნიშვნელოვანი შემცირება, რაც განპირობებული იყო მადარობების გამოფიტვით, კონტრაბანდისა და მეკობრეობის ზრდით, ვაჭრობის გაფართოებით ამერიკასა და აზიას შორის (ფილიპინების კუნძულების დაპყრობის შემდეგ), ამერიკის მოსახლეობის გაზრდითა და ეკონომიკური ცხოვრების აღორძინებით. ამ პერიოდში სხვა ნიშნებიც შეიმჩნევა; კერძოდ, მიუხედავად სასტიკი პროტექციონისტული პოლიტიკისა, ძვირფასი ლითონების იმპორტმა ნაცვლად იმისა, რომ გაემლიერებინა ეროვნული ეკონომიკა, ევროპის სხვა ქვეყნები გაამდიდრა. ეს ნაწილობრივ აიხსნებოდა ოქროსა და ვერცხლის ფარული ექსპორტით; ნაწილობრივ - მარცვლეულისა და სხვა საკვების შესყიდვის აუცილებლობით. განსაკუთრებით დამღუპველი კი ქვეყნის მეურნეობისთვის ესპანეთის ჰაბსბურგების ოჯახის იმპერიული პოლიტიკა აღმოჩნდა (ნიდერლანდები, იტალიის კამპანია). სწორედ ომის პოლიტიკის წინააღმდეგ ილაშქრებდა პროგრესულად მოაზროვნე ესპანური საზოგადოება, მათ შორის ეკლესიის მსახურებიც; ისტორიამ შემოგვინახა ერთ-ერთი მათგანის სიტყვები: „ხელმწიფეებო, ვინ დაგაბრმავათ და შთაგაგონათ აზრი, რომ ომით შეგიძლიათ გამდიდრდეთ და რატომ ივიწყებთ, რომ მშვიდობის წყალობითაც შეიძლება მდიდრები დარჩეთ!“. (Mercadal, 1954, p. 172) ძვირფასი ლითონების იმპორტს თან ახლდა ფასების ზრდაც. სახელმწიფო ვალი კატასტროფულად იზრდებოდა და ამ პროცესის შეჩერებას ვერანაირი დამატებითი გადასახადი ვეღარ შეელოდა. ევროპის ყველაზე ბრწყინვალე სამეფო კარის შენახვის უპრეცედენტო ხარჯებმა, ყალბი მონეტების მოჭრამ, სახელმწიფო მოხელეების ქურდობამ საბოლოოდ გააკოტრეს ესპანეთის სახელმწიფო ხაზინა. მოსაკრებლები იზრდებოდა, მაგრამ იგი არ ეხებოდა არისტოკრატასა და ეკლესიას, რომლებიც უმდიდრესი მიწათმფლობელები იყვნენ.

სახალხო მოძრაობის დამარცხებამ (იგულისხმება კასტილიური კომუნეროსები და ჰერმანები ვალენსიაში და მაიორკაში 1521-1522 წ.წ.) განაპირობა დიდგვაროვანთა კლასის არისტოკრატიული ფენის განდიდება, რომელიც მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის, და ზოგადად, შრომის მიმართ, გულგრილობით გამოირჩეოდა; მას მხოლოდ კეთილშობილური“ცისფერი“ სისხლისა და დიდგვაროვნის ღირსების ცნებები ალელვებდა. ესპანური არისტოკრატია თითქმის მთლიანად იყო გათავისუფლებული გადასახადებისგან, ფლობდა უზარმაზარ ტერიტორიებს, განუყოფლივ აკონტროლებდა საკვანძო თანამდებობებს მართლმსაჯულების სისტემაში, განკარგავდა ჯარისა და სახელმწიფო მართვის სფეროებს. მისგან პოლარიზებული იყო უფლებებო ხალხის მასა, რომელიც ძირითადად, მეცხოველეობას მისდევდა. ამ უკანასკნელს აკონტროლებდა მეფის ძალაუფლების ქვეშ მყოფი ე.წ. ადგილობრივი საბჭოები, რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ როგორც კერძო მეცხოველეობის, ასევე მიწათმოქმედების განვითარებას. დიდგვაროვანთა უზარმაზარი მამულები განადგურების პირას იყო, რადგან იქ მხოლოდ მონები და მორისკები მუშაობდნენ. ამ უკანასკნელთა გაძევებით (1609-1614)² საბოლოოდ განადგურდა მამინდელი ესპანური საზოგადოების მშრომელი ფენა; პრაქტიკულად, მუშახელი აღარ დარჩა.

მასების სილატაკეში ცხოვრებას ამძიმებდა ოკეანისგაღმა ცხოვრებისა და იოლი გამდიდრების ილუზიაც; ესპანური სოფლები დაცარიელდა, გლეხობა ქალაქებში გადასახლდა. ეს ყველაფერი ხელს უწყობდა საკმაოდ დიდი სოციალური ფენის (რადგან მას, მკაცრი გაგებით, კლასს ვერ დავარქმევ) - ავანტიურისტების, მაწანწალების, მუქთახორებისა და უსაქმურების - ჩამოყალიბებას. აღნიშნული სოციალური ფენის ფორმირებას არა თუ ხელს უშლიდა ყველა სახის საქველმოქმედო დაწესებულება და მოწყალეების გაღება, არამედ პირიქით - ამრავლდება პარაზიტებისა და ავანტიურისტების ამ საკმაოდ ჭრელ კატეგორიას. სიღარიბემ, სოციალურმა სასოწარკვეთამ, უიმედობამ და მორალურმა გახრწნამ განაპირობა სოციალურ ავანსცენაზე *პიკაროს* გამოჩენა. პირველად ეს სიტყვა დაფიქსირდა 1540-იანი წლების ლიტერატურულ ტექსტებში. იგი აღნიშნავდა შავ მუშას, მაწანწალას, თაღლითს, რომელსაც არ გააჩნია პროფესია და ცხოვრობს შემთხვევითი შემოსავლების იმედზე. შესაძლოა, ეტიმოლოგია უკავშირდებოდეს „პიკარდიელს“ (პიკარდიის მაცხოვრებელს), საიდანაც მოედინებოდა დაქირავებული

¹ კომუნეროსების ამბოხება (ესპ. *Guerra de las Comunidades de Castilla*) - კასტილიის ქალაქების ამბოხი 1520-1522 წ.წ. საღვთო რომის იმპერიის მიერ ხელდასმული იმპერატორის - კარლ V წინააღმდეგ, რომელიც იმავდროულად ესპანეთის ხელმწიფე იყო (კარლოს I სახელით). 1521 წლის 23 აპრილს ამბოხებულები დამარცხდნენ ვილიალარესთან ბრძოლაში; რეპრესიები მათ წინააღმდეგ 1526 წლამდე გაგრძელდა.

² მორისკების განდევნა/მავრების განდევნა (ესპ. *Expulsión de los moriscos*) - 1609-1614 წლებში ფილიპე III ბრძანებით მორისკების/მავრიტანული მოსახლეობის საბოლოო დეპორტაცია ესპანეთის სამეფოს ტერიტორიიდან. ძირითად სამიზნეს წარმოადგენდნენ მორისკები/მავრები, რომლებმაც ჯერ კიდევ 1502 წელს მიიღეს ოფიციალურად ქრისტიანობა. დეპორტაცია ზედმიწევნით იყო ორგანიზებული და განხორციელებული; მის შესახებ დარჩა უამრავი დოკუმენტური ჩანაწერი.

ჯარისკაცების ნაკადი. ეს ადამიანები ხშირად მაწანწალებად და გზის მძარცველებად იქცეოდნენ. პიკაროს კატეგორიას ასევე განეკუთვნებოდა მოხეტიალე სტუდენტები, რომლებსაც სწავლა არ ჰქონდათ დასრულებული; წვრილი უმუშევარი ჩინოვნიკები, ყოფილი სამხედროები, გაკოტრებული დიდგვაროვნები, ბანქოს მოთამაშეები, ქურდები, მეძავეები და ა.შ. მათ საკუთარი ჟარგონი, საკუთარი იერარქია, საკუთარი ორგანიზაციები და კანონები ჰქონდათ. არცერთ სამეფო განკარგულებას არ შეეძლო აღეკვეთა ეს სწრაფად მზარდი სოციალური ფენა.

გასათვალისწინებელია, რომ პიკაროს გარდა თავადაზნაურულ არისტოკრატიასა და ხალხს შორის ესპანეთის საზოგადოების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სოციალური ფენა მოექცა, რომელიც ვერ ჩამოყალიბდა კლასად. საქმე ის არის, რომ სხვადასხვა მიზეზის გამო (ჰაბსბურგების აბსოლუტიზმი, უცხოელი მოვაჭრეებისა და ხელოსნების იმიგრაცია, ეკონომიკური ფესვების არარსებობა და ა.შ.) ესპანეთში იმ დროსთვის ჯერ კიდევ ვერ ჩამოყალიბდა ბურჟუაზია. ეს მარგინალიზირებული ფენა წარმოადგენდა ამორფულ მასას, ე.წ. "აპიკარადოს", რომელსაც ზიზღით უყურებდა არისტოკრატია და სასახლის თავადაზნაურობა. თავის მხრივ, აპიკარადოც ანალოგიურად ანუ, ზიზღით უყურებდა უბრალო ხალხს, თუმცა ზოგჯერ უერთდებოდა პიკაროს. საზოგადოებრივ სისტემაში სათანადო ადგილის ვერდამკვიდრებისა და მარგინალიზაციის გამო, აპიკარადო არსებული სისტემის ოპოზიციაში აღმოჩნდა. მან გააცნობიერა მისი ილუზორული ხასიათი, მაგრამ საკუთარი ამორფულობის გამო, პროტესტის გარდა, ვერაფერი დაუპირისპირა. ესპანური პიკარესკული რომანის ერთ-ერთმა წამყვანმა მკვლევარმა, ფ. ჩენდლერმა მოსწრებულად შენიშნა: „საზოგადოებრივ ცხოვრებაში პიკარო ესპანეთის სახელმწიფოებრივი დაკნინების პროდუქტს წარმოადგენს, მაგრამ ესპანურ ლიტერატურაში იგი პროტესტის გამოვლენის ყველაზე ძლიერ ფორმად გვევლინება“. (Томашевский, 1975, стр. 9)

ზემოაღნიშნული პროტესტი განხორციელდა მძაფრი კათოლიკური რეაქციის პირობებში, ბაროკოს ეპოქაში. როგორც ცნობილია, ბაროკო მოიცავს მხატვრული კულტურის განვითარების ისტორიულ პერიოდს, რომელიც არსებობდა აღორძინებასა და კლასიციზმს შორის (XVI-XVII საუკუნეები, ზოგ ქვეყანაში - XVIII საუკუნემდე). ბაროკო ხელს უწყობდა როგორც სასულიერო, ასევე საერო ხელოვნების განვითარებას. იგი იმავე იდეალებს ქადაგებდა, რომელთაც აღორძინება. მისი მთავარი ესთეტიკური პრინციპი გახდა ბუნების გარდაქმნა და დახვეწა სილამაზის იდეალური ნორმების შესაფერისად, რამაც მას მძაფრი დინამიკა და დახვეწილი დეკორატიულობა შესძინა. ბაროკო ასახავს აღორძინების ეპოქის ადამიანისა და სამყაროს კონცეფციის კრიზისს. იგი არის კულტურის რეაქცია აღორძინების ჰუმანისტური იდეალების კრიზისზე. ბაროკოს გმირები ან სკეპტიკოსები არიან ან ეგზალტირებული წამებულები, რომლებმაც ცხოვრების რწმენა დაკარგეს. ბაროკოს მხატვრული კონცეფცია ჰუმანისტური ორიენტაციისაა, მაგრამ სოციალური თვალსაზრისით პესიმიზტურია, რადგან ეჭვქვეშ აყენებს ადამიანის შესაძლებლობებს, აქვს ცხოვრების ამაოების განცდა და ბოროტების დამარცხებისაც არ სჯერა. ბაროკოს ნაწარმოებები გამსჭვალულია ტრაგიკული პათოსით და ასახავს, როგორ გაითელა ადამიანი, როგორ გამოფიტა იგი ფეოდალურმა და რელიგიურმა ომებმა, როგორი დაბნეულია და ვერ პოულობს გამოსავალს. ბაროკომ გააფერმკრთალა რენესანსულ-ჰუმანისტური რწმენა ადამიანის ყოვლისშემძლეობისა და უნივერსალურობის შესახებ. ის, რაც ტრაგიკული იყო აღორძინებაში, ბაროკოში გადაიქცა საშინელებად. რენესანსის გმირი მზად არის გმირული სიკვდილისათვის, ხოლო ბაროკოს გმირში მოქმედებს გადარჩენის ბიოლოგიური ინსტინქტი. ბაროკოს ადამიანი საბრალო არსებაა, ვერ აცნობიერებს თავის დანიშნულებასა და ფუნქციას ამ ცხოვრებაში და ძრწის მოსალოდნელი სიკვდილის შიშით. ბაროკოსათვის დამახასიათებელია თვითმკვლელობის მოტივიც; მისი გმირები ხშირად ნებაყოფილობით ამბობენ უარს სიცოცხლეზე. (გაფრინდაშვილი & მირესაშვილი, 2012, გვ. 213)

ესპანური ბაროკო არა მხოლოდ ლიტერატურული, არამედ პოლიტიკური და ეთიკური მოვლენაა. იგი წარმოადგეს ცხოვრების შეცნობისა და აღქმის საშუალებას და მჭიდროდ უკავშირდება კონტრეფორმაციის იდეოლოგიას. ბაროკოს ადამიანი სიცოცხლეს რელიგიური ვიზიონერობის თვალსაზრისით აღიქვამს. სახელმწიფოს უპირველეს მოვალეობას წარმოადგენს კათოლიკური ეკლესიის დაცვა და განდიდება; ესპანური ერი ღვთის რჩეულ ერად ცხადდება, რომლის დანიშნულებას ურწმუნოთა განადგურება წარმოადგენს. ესპანეთის ბაროკოს მემკვიდრეობით ერგო რენესანსისგან ნატურალიზმი, სამყაროს აღქმა, როგორც ფორმების მოძრაობა და ბრძოლა და ამავდროულად, შუა საუკუნეების შეუცვლელი ტრადიცია - *დასასრული გარდაუვალია*. ესპანურ ბაროკოში ყველაფერი გამძაფრებულია, გაზვიადებულია; აქედან იღებს სათავეს ამაზრზენი, მახინჯი მოვლენების კულტი (როგორც სიკვდილის, დასასრულის გარდაუვალობის შეხსენება). კონტრეფორმისტული ცნობიერების ქვეშ მყოფი ესპანეთის ბაროკო ბუნებრივში - ზებუნებრივის არსებობას აღიარებდა; აღიარებდა რომ ინდივიდს, თუნდაც ყველაზე გზააბნეულს, აქვს გადარჩენის შანსი თავისუფალი ნების გამოვლენის წყალობით; აღიარებდა ინდივიდს ღვთის განგების თანამონაწილედ და შესაბამისად, აღიარებდა მასში

იმედგაცრუების, პესიმიზმის, პატივმოყვარეობის გრძნობის და ყველა სხვა მცდარი გრძნობის გადალახვის უნარს. აუცილებელი იყო იმქვეყნიური ცხოვრების ურყევი რწმენა. ესპანური ბაროკოსთვის დამახასიათებელია დაპირისპირება: რეალობა - ილუზია, სული - მატერია, სიკვდილის შიშით გამსჭვალული ცხოვრების განდიდება. ბაროკოს ესპანური ლიტერატურა, თავის ორთოდოქსალურ ვარიანტში, გამსჭვალულია რელიგიური მიზნებითა და მოძღვრებითი ტენდენციებით.

აღსანიშნავია, რომ ესპანური ბაროკოს ეპოქის დახასიათებას ვერც „ლასარილიო ტორმესელის ცხოვრების“ ქართულ ენაზე მთარგმნელმა, პეტრე უმიკაშვილმა აუარა გვერდი. გამოცემის წინასიტყვაობაში იგი აღნიშნავდა: „როგორ გაჩნდა ამისთანა მწერლობის რომანები და რა იყო ამის მიზეზი, რომ მწერლობას მასალა მიეღო მატყუარა კაცების გამოყვანისათვის? მიზეზი იყო შემდეგი: იმ დროს ესპანია ძლიერი სახელმწიფო იყო, რომელსაც ევროპის სხვა ქვეყანა ვერ შეედრებოდა. გარეთ ესპანია მთელ ევროპაში ბრძანებლობდა და ამერიკის მფლობელი იყო. ევროპაში ლაშქრობამ და ამერიკაში ოქროს შოვნამ მთელი ესპანიის ხალხი, თავად-აზნაურობიდან მოყოლებული გლეხობამდის მიიზიდა. ყველას ჯარში შესვლა ჰსურდა ან და ამერიკის სიმდიდრის შოვნა. ყველა იქ ეტანებოდა, საცა კი ადვილი ცხოვრება შეეძლო. ხვანა-თესვა, მეურნეობა, ხელოსნობა და ვაჭრობა სათაკილო და მსაზიზღარ საქმედ შეიქმნა. მაგრამ, რაც უნდა დიდი ჯარი ჰყოლოდა ესპანიის მეფეს, ყველას სად დაიტევდა. ამის გამო უადგილო აზნაური უსაქმოდ დაეხეტებოდა, რაკი სათავისო საქმეს ვერ შოვობდა საზოგადოებაში. ზოგი კიდევ ჯარიდან დაბრუნებული უსაქმობას დაჩვეული ვერაფერ საქმეს ვერ მოსჭიდებოდა. ეს ორ გვარი უსაქმო ხალხი ქალაქ ადგილებში იხვეტებოდა და მთელ საზოგადოებას მძიმე ტვირთად აწევებოდა. ამ ჯურის ხალხს სხვა მეტი ხელობა არაფერი გააჩნდა პირფერობისა, სხვების ფეხთ-კოცნის, ენა მტანიობის, ლაზღანდარობის, ხან მძიმე დანაშაულის და ავაზაკობის მეტი. უნდა ეცხოვრა სხვის სუფრაზე ლაყანდარასავით. ესენი სულ მჭადა დიდგულა აზნაურები (ჰიდალგოები) იყვნენ. ყველა ჰხედავდა და იცნობდა, რა სახით ეთრეოდნენ ქუჩა-ქუჩა მაწანწალასავით, უყვარდათ გვერდზე დადება ქუდისა და ატეხა ჩხუბისა. ან და დიდ-კაცებს ხეწნით სულს ართმევდნენ, სულ უკანასკნელი მცირე რამე ადგილი გვიწყალობო. მჭადა ჰიდალგოებს გარდა, სხვა ჯურის კაცებიც იყვნენ მდაბალ წოდებისა, რომელნიც მხნე გამრჯენი იყვნენ, თავის გამჭრიახობას, ცბიერობას, ათასგვარ მოხერხებულობას იმაზე ხმარობდნენ, რომ ბუზებივით გარს ეხვეოდნენ ამერიკის ოქროს მხვეჭელებს. ხედავდნენ, რომ ადვილად ნაშოვნნი ოქრო ადვილადვე იფლანგება წვიმა-წყალსავით და რა იქმნება, ამ ოქროს ნაწვიმი ჩვენც მოგვხვდესო. ამისთვის ყოველ-გვარ მატყუარობას, პირფერობას და ოინებს ხმარობდნენ თავის მწყალობლებთან, რომ ხელცარიელები არ დარჩენილიყვნენ. საზოგადოება გაირყვნა ერთი მხრივ, მფლანგველების ცხოვრებით და მეორე მხრივ, მათ გარს შემოხვეულ მატყუარა კაცების ზნე-დაცემულობით. აი, ამ დროს დაიბადა იმ გვარი მწერლობა, რომელშიაც პლუტი, მატყუარა და ცბიერი ცხოვრებაა ნაამბობი. (ლაზარილიო ტორმესელის ცხოვრება, 1959, გვ. 3)

ცხადია, ზემოთ განხილული კონტრეფორმისტული ფასადის მიღმა იფარებოდა სახელმწიფოს ეკონომიკური და მორალური კრახი - ის სინამდვილე, რომლის გამჭრიახი თვალთ ალქმისას, შეუძლებელი იყო არ დაგენახა და გაგეცნობიერებინა მდგომარეობის კატასტროფულობა. სწორედ ეს რეალობა აღიქვა და გააცნობიერა იმ მარგინალიზებულმა სოციუმმა, რომელიც არ იზიარებდა ბაროკოს ოფიციალურ იდეოლოგიას, ანუ *აპიკარადოს გარემოცვამ*, ამ ვერშემდგარმა ბურჟუებმა, რომლებსაც განათლება და კულტურა არ აკლდათ. ამ ბანაკის მწერლები შეეცადნენ რეალობის მიერ დასმულ კითხვებზე პიკარესკული რომანით გაეცათ პასუხი. ცხადია, გასაგები მიზეზების გამო მათ ყველა კითხვას ვერ უპასუხეს; მათ არ გააჩნდათ კონსტრუქციული იდეები, რომელთა შეთავაზება შეეძლოთ იმ საზოგადოებისთვის, რომელსაც ამხელდნენ. ისინი გამოდიოდნენ *უკმაყოფილოების* როლში, როგორც საკმაოდ მწვავე და სარკასტული კრიტიკოსები. თავად ჟანრი (მაშინდელი იერარქიით, დაბალი) დასაშვებად თვლიდა ასეთ შესაძლებლობას, რაც მაღალ ჟანრებში სრულიად წარმოუდგენელი იყო. დაბალ ჟანრში დასაშვები იყო რელიგიური ინდიფერენტულობაც კი.

პიკარესკული რომანის ავტორთა დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ სასტიკი რეაქციით გამოწვეულ სტაგნაციის პირობებში მათ მოახერხეს საზოგადოების დაცემისა და გახრწნის სურათების წარმოჩენა, საკუთარი იმედგაცრუებისა და სამომავლო პერსპექტივებზე შემფოთების ნათლად წარმოსახვა. მათ არისტოკრატიული ბაროკოს გამოგონილ გმირებს დაუპირისპირეს საკუთარი ანტიგმირი, ილუზიებს - სინამდვილე. სულ სხვა საკითხია, რომ ლიტერატურული კანონის მაშინდელი პირობებით დასაშვები რეალობა ძალზე სწრაფად ამოიწურა და როდესაც სინამდვილით საზრდოობა ვეღარ შეძლო, პიკარესკულმა ჟანრმა გადაგვარება დაიწყო: ხან კონფორმიზმში გადაიზარდა, ხან - მარტივ სარკაზმში, ხანაც - მკითხველთა გულის მოსაგებად ორიენტირებულ ამკარა გასართობ საკითხავში.

ბიბლიოგრაფია:

გაფრინდაშვილი, ნ., & მირესაშვილი, მ. (2012). *ლიტერატურათმცოდნეობის საფუძვლები*. თბილისი: მერიდიანი.
 გაფრინდაშვილი, ნ. (2012). *შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის თეორიული საფუძვლები*. თბილისი: მერიდიანი.
ლაზარულიო ტორმესელის ცხოვრება. (1959). (პ. უმიკაშვილი, მთარგმნ.) თბილისი: საქართველოს სსრ საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობა.
 Goytisoló, J. (1966). Estebanillo Gonzalez, hombre de buen humor. *Cuadernos de ruedo iberico*. (8).
 Mercadal, G. (1954). *Estudiantes, sopistas picaros*. Buenos Aires.
 , . (1975). : 200 ., 40, . 5-20.

Maia Melanashvili, Maia Bolashvili
Gori State Teaching University
ABOUT THE REALISM OF PICARESQUE NOVEL
RESUME

Poverty, social despair, hopelessness and moral dissipation promoted to appear Picaro on the social proscenium. This word was used in 1540s literary texts at first. Its meaning was a worker, a swindler who has no profession and lives on the hope of casual incomes. Maybe this etymology is related to “from Picard” (a person who lives in Picard) where the hired number of soldiers come from. These people became beggars and robbers very often. Wandering students who had not completed studying were also related to Picaro’s category; mini-unemployed officials, former military people, bankrupt nobles, card players, thieves, prostitutes and etc. They had their own rules of jargons, hierarchies, organizations and laws. None of royal regulations could stop this rapidly growing social level. In literary reflection, the collapse of economic and moral failure of the country is shown-that reality which can’t be seen the disaster of the conditions. Particularly this reality was perceived and understood by that organizing community which did not share the official ideology of Baroque or Picardo’s supporting, these failed bourgeois who were not in lack of education and culture. The writers of this category tried to respond to the questions of reality by answering Pokéesque novel. It is clear that they could not answer all the questions; they did not have constructive ideas, which they would offer the society which they blamed. The played the role of dissatisfied people as the most severe and sarcastic critics. The genre itself (according to that time’s hierarchy, low) accepted such possibility, which was absolutely unimaginable in higher genres. Religious indifference is also acceptable in low type of genres.

The merits of Piccarque authors are that, in stagnant conditions caused by the brutal reactions they managed to show dissolved and falling pictures of the society, clearly expressed the concern about their frustration and future prospects. They confronted their own hero Baroque invented heroes, illusions, -reality. Absolutely different issue is that according to that time’s literary law conditions the permissible reality was very quickly ended and when it couldn’t live in reality, it started dysfunctioning: sometimes it turned into conformism, sometimes-into simple sarcasm -in a clear entertainment orientation focused on the reader’s heart.

Keywords: Painful reality, Spanish Baroque, Renaissance, Declined society, Antihero.

ციალა მესხია
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რომანი ცხოვრებისეულ სიმართლეზე
(ევგენი აქუბარდიას რომანი „კოჩა“)

საკვანძო სიტყვები: კოჩა, ახალი ადამიანი, გამოსახვის სპეციფიკა.

შესავალი. წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს, აჩვენოს თუ რა ადგილი უჭირავს ცხოვრებისეული სიმართლის ასახვას აფხაზეთის ქართულენოვანი მწერლობის წარმომადგენლის ევგენი აქუბარდიას რომანში „კოჩა“. ნაშრომში თეორიულად არის ახსნილი ლიტერატურის ეთიკური დანიშნულების არსი და განალიზებული, თუ როგორ გამოვლინდა ევგენი აქუბარდიას რომანში ლიტერატურის აღნიშნული ფუნქცია. „კოჩა“ დაიბეჭდა 1953 წელს. 1965 წელს გამომცემლობა „ნაკადულის“ დახურულ კონკურსში

გაიმარჯვა. შეძლებისდაგვარად, დამახასიათებელია ეთიკური ღირებულების თვალსაზრისით, რომანის თავისებურება და შემოქმედებითი ინდივიდუალობა. აქვე საგულისხმოდ გვეჩვენება ადვანიშნოთ, რომ რომან „კოჩას“ მიეძღვნა საკმაოდ ვრცელი ადგილი ჩვენს დისერტაციაშიც „ლიტერატურის ეთიკური დანიშნულება და მისი გამოვლენის თავისებურებანი აფხაზეთის თანამედროვე ქართულენოვან პროზაში“. აღნიშნული ნაშრომი პრობლემის მონოგრაფიულად შესწავლის პირველი ცდაა. (მესხია, 1994, გვ. 4) ამ რომანზე არ ყოფილა რაიმე ლიტერატურული გამოკვლევა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ცალკეულ წერილსა თუ გამომხაურებას...

ნაშრომში მოცემულია მსჯელობა ეთიკურ და ესთეტიკურ იდეალთა ურთიერთმიმართებაზეც. დახასიათებულია ისიც, თუ რაში გამოიხატება რომანის აღმზრდელობითი ფუნქცია, დანიშნულება და რა გზით ხდება მისი რეალიზაცია. კერძოდ ნაჩვენებია შრომისმოყვარეობამ, ერთგულებამ, სიყვარულმა თუ როგორ გაიყვანა ფართო სარბიელზე ობოლი ბიჭი კოჩა. მისი დადებითი თვისებები ავტორს ნაჩვენები აქვს სხვადასხვა ნიუანსით, ზოგიერთი მათ შორის, ერთი შეხედვით, შეიძლება უმნიშვნელოდაც ჩაითვალოს, მაგრამ ასეთი დეტალები ემსახურება სახის მრავალფეროვნად წარმოჩენას. რომანში მხატვრული სიმართლე მოცემულია ცხოვრებაზე გულასმით დაკვირვების, სინამდვილეში მიმდინარე პროცესების ღრმად გააზრების საფუძველზე. კოჩა ზნეობრივი გმირია, რომლისთვისაც დამახასიათებელია ამაღლებული მორალური თვისებები. ამიტომაცაა, რომ არსებითად იგი გამოხატავს მწერლის ეთიკურ იდეალს. რომანში დიდი სიყვარულითაა ნაჩვენები ცხოვრებისეული სიმართლე, ქართველი ხალხის რთული ცხოვრება და მისი ზნეობრივი ხასიათი.

ქართველმა მკითხველმა სიხარულით გაულო გულის კარები ეგგენი აქუბარდიას რომანს „კოჩა“. ეს რომანი ყურადღებას იქცევს ავტორის შემოქმედებით კონცეფციას მხატვრული რეალიზებით. რომანს დღესაც არ დაუკარგავს აქტუალობა და შემეცნებითი ღირებულება... თითქმის არ დარჩენილა საქართველოს კუთხე-კუნჭული, საიდანაც არ მიეღოს მწერალს გამომხაურება - სწერდნენ თბილისიდან, ქუთაისიდან, თელავიდან, ბორჯომიდან, მშობლიური კუთხის შვილები ემადლიერებოდნენ მწერალს - ჩვენი გზამკვლევი ხარ, მეგზურიო. ავტორის ღირსება იმაშია, რომ გვიჩვენოს პიროვნების ფორმირების ურთულესი პროცესი...

1965 წელს გამომცემლობა „ნაკადულის“ დახურულ კონკურსში გაიმარჯვა ამ რომანმა.

ავტორი თავის გმირთა შესანიშნავ გალერეას ქმნის - წერს ჟიურის ერთ-ერთი რეცენზენტი. გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ რომანის ყველაზე დიდ ღირსებად სწორედ ეს მიმაჩნია. ავტორის მიერ მსუბუქი, გამჭვირვალე ფერებით დახატული პორტრეტები ხელშესახებნი და რელიეფურნი არიან. ამა თუ იმ პორტრეტის ხატვისას ავტორი ხშირად ლამაზ იუმორსაც მიმართავს ხოლმე, რაც აცოცხლებს და ახალისებს გმირს. ხელს უწყობს გმირის ინდივიდუალური სამყაროს წარმოსახვას მკითხველის ცნობიერებაში. ამაღლებული შინაგანი ექსპრესიით, ამასთანავე საქმის ცოდნითაა დაწერილი მრავალი ეპიზოდი. განსაკუთრებით მსუყე ფერებითაა დახატული ტივის დაცურება ენგურზე. ძველი მეტივის კოჩას მოგზაურობა ტივით. ემარჯვება პეიზაჟებით ხატვა. რომანში ხშირად ვხვდებით ბუნების წარმტაც სურათებს. იმედი გვაქვს, ჩვენს მოზარდ თაობას სასარგებლო და საინტერესო წიგნი ექნება...

„გაჭირვებამ კოჩა ბავშობიდანვე მიაჩვია შრომას, - ვკითხულობთ მეორე რეცენზენტის მიმოხილვაში, - იგი დაუზარელია, მარდი, ღონიერი. ვისაც არ უნდა დაევალებინა, არ დაეზარებოდა. „ახლავე“ შესძახებდა თხოვნის შესასრულებლად. ამით ყველას თავი შეაყვარა, მან თითქოს თილისმა იპოვა ხალხის სიყვარულის მოსაპოვებლად, ეს თილისმა სიტყვა „ახლავე“. ავტორს ეხერხება ტიპების ჩამოყალიბების, დასამახსოვრებელი სახეების შექმნა, მოგვცა გამრჯე, გულმართალი, ნებისყოფის ადამიანთა სახეები“.

„შრომის სიყვარული, ენგურისპირა საკოლმეურნეო სოფლის ცხოვრება, კოჩას კაიკაცობა მშვენივრად აქვს ავტორს დახატული“ - ასკვნის ჟიურის მესამე წევრიც (დახურული კონკურსის მასალებიდან, მწერლის არქივი). უნდა ითქვას, რომ სალიტერატურო კრიტიკისა და მკითხველთა განსაკუთრებული აღიარება „კოჩამ დაიმსახურა“.

„ტრილოგია კოჩა“ - ეს შრომისა და ადამიანთა ურთიერთობის ჰიმნია. რომანი ინტერესით იკითხება. იგი მიმზიდველია, ჭკუის მასწავლებელი და, რაც მთავარია, ადამიანს ამაღლებს“. (Чургулия, 1986, стр. 4)

ჟურნალი „კრიტიკა“ შეეხმინა მწერალს. მისცა ტრიბუნა გამოეხატა თავისი პრეტენზია. („კრიტიკა“ N2.1991 წ.), მაგრამ ამაოდ. ეს მაშინ, როცა რომანის ხელმეორედ გამოცემას მხარი დაუჭირეს ცნობილმა მწერლებმა და საზოგადო მოღვაწეებმა: გურამ ფანჯიკიძემ, გურამ გვერდწითელმა და სხვებმა. დასაწყისია ის, რომ „სოვესტსკი პისატელში“ გამოსაცემად გამოზადებული, მთარგმნელობითი კომისიის მიერ რუსულად თარგმნილი „კოჩა“ ავტორის სხვა ხელნაწერთან ერთად დაიკარგა სადენ-ჭუმერის

უღელტეხილის გადალახვისას. უნებურად მახსენდება რევაზ მიშველამის სიტყვები: „ევგენი აქუბარდია საქართველოს ულამაზეს კუთხეში, ავტონომიად უსამართლოდ მონათლულ აფხაზეთში პატრიოტი ქართველის მწარე პურს ჭამდა და სიმართლის გასარკვევად ხმაღს იქნევდა!“ (მიშველაძე, 1993, გვ. 3)

აფხაზეთის ქართულენოვანი მწერლების მოწინავე წარმომადგენლები თავიანთ რომანებში, ჩვენი აზრით, შექმნილ ვითარებას კარგად ითვალისწინებდნენ და ხშირ შემთხვევაში ოსტატურად უვლიდნენ გვერდს ისეთ თემებს, რომელთა ასახვა პარტიული დოგმების მიხედვით გარკვეულ მკაცრ სქემებსა და ტრაფარეტს ექვემდებარებოდა. ერთ-ერთი ასეთი თემა იყო ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ახალგაზრდა კაცის სახის შექმნა და მასთან დაკავშირებული საბჭოთა სკოლის თემაც.

„აფხაზეთის ქართულენოვანი მწერლობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის, ევგენი აქუბარდიას უმთავრეს ღირსებად უნდა მივიჩნიოთ ის, რომ მან დიდი მხატვრული სიმართლით წარმოსახა ახალგაზრდა კაცის საუკეთესო თვისებები, მისი პრინციპულობა, პატიოსნება, გრძნობების სიღრმე, პროგრესული მისწრაფებები. ჩვენი დროის მაღალი ზნეობრივი პრინციპები და გვაჩვენა მაღალზნეობრივი ხასიათის ადამიანის ფორმირება, მისი მომზადება ურთულესი ცხოვრებისეული პრობლემების გადასაჭრელად“... (მესხია, 1998, გვ. 100)

რომანის ცენტრში მოქცეულია ახალი ადამიანის სახე. ნაჩვენებია შრომისმოყვარეობამ, ერთგულებამ და სიყვარულმა თუ როგორ გაიყვანა იგი ფართო სარბიელზე, დედ-მამასთან ერთად, რომლებიც ახალგაზრდულ ასაკში დაელუპვნენ კოჩას. კოჩას ადრევე გამოეცალა უკანასკნელი ცხოვრებისეული საყრდენებიც - ბებია და ბაბუა. პატარა ბიჭი თავის უმცროს დაიკო ცაბულისთან ერთად მარტოდმარტო დარჩა ღარიბულ ქოხში. ცხოვრება, რომელიც საერთოდ მკაცრია, განსაკუთრებით უღმობლობს ობოლი ბავშვების მიმართ. მაგრამ სწორედ ეს უკიდურესი სიმკაცრე სინამდვილისა, აიძულებს მარტოხელა პატარებს განსაკუთრებით დაკვირვებოდნენ ადრეული ასაკიდანვე, რათა უფრო ღრმად ჩასწვდომოდნენ გარემოს შინაარსს, ვიდრე ამას ცხოვრებით გალალეული მოზარდები ახერხებდნენ. ცნობილია, ბავშვების განსაკუთრებული გულისხმიერება ცხოვრებისადმი. პირველ ჭრილობას პატარას გულს მიაყენებს იმის აღქმა, თუ როგორ დაახრჩობს ბაბუამისი შინაურ კატას, რომელიც თურმე დაბერდა და თავგებს ველარ იჭერს. აქედან ქვეცნობიერად ისისხლხორცებს კოჩა მწარე ცხოვრებისეულ ჭეშმარიტებას. არსებობის ღირსი არ არის ის, ვისაც თავისი საქმიანობით სარგებლობა არ მოაქვს თავისი ერისთვის, ვინც ადამიანებს არაფერს მატებს. მცირეწლოვან კოჩას და კიდევ უფრო პატარა ცაბულისას ისედაც მძიმე, ობლურ გაუხარელ არსებობას კიდევ უფრო ამძიმებს ის, რომ მათ დაობლებას თან ერთვის მეორე მსოფლიო ომის დასაწყისი. ქვეყნად საშინელი გაჭირვება ისადგურებს. ადამიანებს უძნელდებათ თავის გატანა. ადვილი წარმოსადგენია, რა დღეში უნდა ყოფილიყვნენ იმ დროს პატარა კოჩა და მისი უმცროსი და. გარდა ამისა, ცხოვრების ნამძირლები ცდილობდნენ პატარა ბიჭი დანაშაულებრივ საქმიანობაში ჩააბან.

რომანის თემა ახალგაზრდა კაცის პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესი. ეს მწერლის მიერ მხატვრულად რეალიზებულია ორი ძირითადი ცხოვრებისეული ფაქტორის ზემოქმედების წარმოსახვით. პირველი გულისხმობს სამიჯნურო მოტივს, მეორე კი ადამიანების ზეგავლენას, რომლებიც კოჩას ირგვლივ ცხოვრობდნენ და მოქმედებდნენ. ვისთანაც მას ყოველდღიური ურთიერთობა აქვს. ნაწარმოების დასაწყისში მთავარი პერსონაჟი იმ ასაკშია, როცა ყმაწვილს ჯერ კიდევ გაუცნობიერებლად, მაგრამ უჩნდება პირველი გრძნობები საპირისპირო სქესის წარმომადგენლისადმი. ამ მოვლენის შთამბეჭდავი ჩვენების მიზნით ავტორი მიმართავს ეფექტურ მხატვრულ საშუალებებს. ნაწარმოების დასაწყისში ნაჩვენებია კოჩას ტრფობის ობიექტის გარეგნული მომხიბვლელობა - ხორბლისფერი პირისახე, მარცხენა ღაწვზე ციცქნა ხალი, მაყვლისფერი თვალები, მოშვილდული წარბები, სქელი ნაწნავები. ავტორი ყურადღებას ამახვილებს ქალ-ვაჟის გარეგნობის ისეთ მხარეებზეც, რომლებშიც მჟღავნდება გამიჯნურებულთა სოციალური უთანაბრობა. ხაზგასმულია, რომ სწორედ ეს ფაქტორი იქცევა კოჩას ნებისყოფის მასტიმულირებელ ძალად. კონკრეტულად ეს იმაში გამოიხატება, რომ თუ ქალიშვილს, როგორც შეძლებული ოჯახის შვილს, გემოვნებით აცვია, კოჩა ამის საპირისპიროდ, როგორც მეორე მსოფლიო ომის პერიოდის ობოლი ბიჭი, არსებითად კონკეშია გამოხვეული, რაც მასში სირცხვილის გრძობას იწვევს. ეს უფრო ძლიერდება იმით, რომ იცის - ქალთა სქესის წარმომადგენლები ჩაცმულობას შედარებით ყოველთვის მომეტებულ მნიშვნელობას ანიჭებენ. ამიტომაც, რომ ცირა გამიჯნურების შემდეგ ერთ-ერთი შეხვედრისას კოჩას ღარიბულ კონკებს შეფარვით ათვალთვინებს. გონებამახვილი ვაჟი ამჩნევს ამას, არ იბნევა და უხერხული მდგომარეობიდან გამოსავალსაც პოულობს - ქალიშვილს ეტყვის: „ტივის შესაკრავად წნელს ვჭრი და ძველანებიც იმიტომ მაცვიაო!“ კოჩასათვის, რომელსაც ცირა თავდავიწყებით უყვარს, ძველი და უხეიროდ შეკერილი ტანისამოსის ტარება განსაკუთრებით საძნელოა, რადგანაც ისიც იცის, რომ შეძლებული მშობლები უკრძალავენ მასთან შეხვედრას. გარდა ამისა, ისიც უწყის, რომ ძველმანებში ადამიანი საცოდავად და სასაცილოდ გამოიყურება.

კოჩას დადებითი ადამიანური თვისებები ავტორს ნაჩვენები აქვს სხვადასხვა ნიუანსების წარმოსახვით, ზოგიერთი, მათ შორის ერთი შეხედვით უმნიშვნელოდაც შეიძლება ჩაითვალოს, მაგრამ რამდენადაც მწერლობა არის ადამიანთმცოდნეობა, ეს ე.წ. „წვილიმანები“ მკითხველის სრულ ინტერესს იწვევს. უქმნის მთლიან შთაბეჭდილებას გმირის ხასიათზე, პიროვნებაზე, ბუნებაზე, უწინარეს ყოვლისა მწერალი გვიჩვენებს კოჩას უნარს, მისთვის სასარგებლო ურთიერთობა დაამყაროს სხვებთან. თავი მოაწონოს მათ, მომგებიანი აღმოჩნდეს მის მიერ სხვებზე მოხდენილი შთაბეჭდილება. მან იცის, რომ ქალები აფასებენ, როცა ახალგაზრდა მამაკაცი მათდამი ყურადღებას იჩენს, თუ ამას ყვავილების თაიგულის მიძღვნაც თან ერთვის, ქალებზე ზემოქმედების ძალა ორკვედება. შედეგად იჩრდილება ის ნაკლოვანებანი, რაც მამაკაცს შეიძლება ჰქონდეს და წინ იწევს სხვა მიმზიდველი თვისებები, კერძოდ ის, თუ რამეა მამაკაცის გარეგნობაში მოსაწონი. ერთ-ერთ ეპიზოდში კოჩა ლამაზი ყვავილების თაიგულით ჩრდილავს თავის ჩაცმულობას, როცა ქალაქიდან ჩამოსულ ცირას დახვდება.

კოჩა თავის ასაკთან შედარებით ღონიერიცაა, ძვალმსხვილი და კუნთოვანი, ამიტომ როცა დირექტორი გაიგებს კოჩა ცამეტი წლისაა - იტყვის: „ ეჰ, ომი რო არა? ...“ - და ხელფასს ისეთივე რაოდენობით გამოუწერს, როგორც მოზრდილ მამაკაცს. ამ ეპიზოდში გამოვლენილია ომის წლებისათვის დამახასიათებელი ტიპური მოვლენები, როდესაც ვაჟკაცები ფრონტზე იმყოფებოდნენ. ისინი ზურგში, ფაბრიკა-ქარხნებსა და ველ-მინდვრებზე ქალებმა, მოხუცებმა და ბავშვებმა შეცვალეს. კოჩა ამ პერიოდის მოზარდების ტიპური სახეა. იგი ერთხანს სკოლაშიც დადის, მაგრამ შრომას ერთდროულად იმდენსავე დროს ახმარს, რამდენსაც სწავლას. ასე მოითხოვს ცხოვრება და მართლაც „საგანგებო მსჯელობის საგანია, დადებითი გმირის პრობლემა დიდი სამამულო ომის სახელით ცნობილ მეორე მსოფლიო ომის თემატიკაზე შექმნილ ნაწარმოებში, სწორედ აქ არ გვეჩვენება გადაჭარბებულად და ყალბად ოფიციალის შეფასება - საბჭოთა ხალხის მასობრივი გმირობა (კომუნიზმის, მშენებელთა მასობრივი გმირობა, ნამდვილად საბჭოთა აგიტაციისა და პროპაგანდის ნაყალბევი იყო). შეიძლება სწორედ ომის თემატიკაზე შექმნილი ნაწარმოებები მივიჩნიოთ სოციალისტ მწერალთა გულწრფელობის გამოხატულებად. ბევრი მათგანი მახატვრობის თვალსაზრისითაც ღირებულია, არ ახასიათებს მყვირალა პათეტიკა. თუმცა, რასაკვირველია, შიშველი პლაკატურობით, აგიტაციურობითა და პროპაგანდისტობით გამორჩეული ნაწარმოებებიც გვხვდება, ეს შეიძლება აიხსნას იმ გარემოებით, რომ ბოლშევიკური კონცეპტუალური და მიზანმიმართული პოეზია (ისტორია უნდა შეიქმნას ძალისმიერი გზით) ომის წლებში არ ეწინააღმდეგებოდა ჰუმანიზმის პრინციპებს. ამ პერიოდის ლიტერატურის ბევრი ნიმუში ჭეშმარიტი ხალხურობითაც გამოირჩევა, რადგან ისინი ნამდვილად ხალხის სულისკვეთებას, მის განწყობილებას გამოხატავს. როგორც აღვნიშნეთ კოჩას ხასიათი ყალიბდება ომისა და ომისშემდგომი წლების საზოგადოებრივი მოვლენების ზემოქმედებით. დღესდღეობით ზოგს უცნაურად მოეჩვენება, მაგრამ რომანში ასეა დახატული, რომ ამ დროსაც სკოლა და კომკავშირი არსებითად არავითარ დადებით ზეგავლენას არ ახდენენ ახალგაზრდობაზე, ის ფაქტი, რომ კოჩა სულდგმულობს არა სკოლისა და კომკავშირის, არამედ სწორედ გამრჯე მეზობლების, კოწია ბიძიას, თომა დურგლის, ორდე მჭედლის, ტატუ ოქროპირის, ილო ბრიგადირისა და სხვების მხარდაჭერით. ისინი ხედავენ ბეჯითი და დაუზარელი ბიჭის ბრძოლას საკუთარი თავისა და პატარა დაიკოს არსებობისათვის და მას გვერდით უდგანან. ასევე იქცევიან კოჩას თანატოლებიც. ეხმარებიან საკოლმეურნეო მიწის ხვნასა და თესვაში. მკითხველის გაზრდილ ინტერესს რომანისადმი ისიც განაპირობებს, რომ ავტორი ახერხებს იმის ჩვენებას, რომ შრომით ჩვევების შემუშავება მოზარდის მიერ ხდება არა მხოლოდ უშედეგოდ შრომის პროცესში, არამედ თამაშისა და გართობის დროსაც. ამგვარ ეპიზოდებს რომანში ხშირად ვხვდებით. მათ შორის გამოირჩევა მეცხრე თავი „ტოფობა“, რომელშიც აღწერილია თუ როგორ მოჰყავს მეზობელ გლეხს თევზების დასაჭერად გიჟმაჟ მდინარე ენგურზე მეზობლის ბავშვები, სადაც წააწყდებიან კატას, რომელიც სათანადოდ ენგურის ნაპირზე მოსულა. ცხოველმა იცის, რომ თევზი ტოფობის პერიოდში თავთხელ წყალში ქვირითს ყრის ხოლმე და უსაფრდება. კოჩას გაგებული აქვს, რომ მამამისი ენგურზე ხეების დაცურების დროს დაილუპა, თვითონ კი ამის შემდეგ ბებია-ბაბუასთან იზრდება. მწერალი ახერხებს მოხუცებისა და მათი შვილიშვილების ცხოვრების ჩვენებას. ამასთან, ყოველივე ეს მოცემულია ომის მრისხანე წლების ფონზე, როცა ყველაფერი ფრონტისათვის იყო განკუთვნილი, როცა ყველაფერი ქვეყნის დამცველებს ეგზავნებოდათ, ზურგის მცხოვრებლები კი, მათ შორის ისინიც, ვინც უშუალოდ ველ-მინდვრებზე თავდადებით შრომობდა, სანახევროდ მშვირები ათენებდნენ და აღამებდნენ. პატარა კოჩა ტოფობაზე დაჭერილ თევზებს რომ მოიტანს, ბებია-ბაბუა ორგვარი სიხარულით ხარობენ. მათი შვილიშვილი იმდენად წამოიზარდა, რომ უკვე ოჯახს ეხმარება. გარდა ამისა, კოჩას მოტანილი თევზებით მოხუცებს საშუალება მიეცათ პირი ჩაიგემრიელონ. ვინაიდან ომის დროს თავი ძირითადად მუხუდოთი გაჰქონდათ, ბებია ოჯახის წევრებს, სულიერი სიმხნევის შესანარჩუნებლად ამას უქონლობით კი არ ხსნიდა, არამედ კოჩას და, საერთოდ, ყველას გასაგონად ამბობდა ხოლმე, ბოსტნეული მარგებელიაო. ჭკვიანი კოჩა, ცხადია, ყველაფერს ხვდებოდა, მაგრამ ცდილობდა ბებიას გული არ

სტკენოდა. კოჩა იხსენებს: „გაზაფხულზე ჭინჭარი ღობე-ყორეს რომ მოედებოდა, ბებიას თვალები გაუბრწყინდებოდა, ჭინჭარიც წამალიაო, - გვაიმედებდა. „წამალია, კიდევ მინდა“, - ვეტყვოდი განგებ, ვიცოდი, ეს სიამოვნებდა ბებიას, ღიმილს ჰგვრიდა ბაბუსაც.“ ჭამე, ნანა, - იყო პასუხი და ბებია კვლავ დამიმატებდა“. (აქუბარდია, 2009, გვ. 30)

ავტორის ჭეშმარიტი შემოქმედებითი ნიჭი რომანში არაერთხელაა გამოვლენილი. ეს ვლინდება პირველ რიგში მართალი სურათების შექმნით. მოგვითხრობს, თუ როგორ ეხმარებიან მეზობლები და ახლობლები კოჩას იმაში, რომ ეს მონდომებული პატარა ბიჭი ცხოვრებაში სწორ გზაზე დადგეს. როგორ ასწავლიან ხეხილის შენებას, ვაზის გასხვლას, ჭიგოს გამართვას და ა.შ. ავტორი ქმნის შთამბეჭდავ, ცოცხალ სურათებს მოზარდისა და მისი მეზობელი მშრომელების ერთობლივ საქმიანობაზე. ყოველივე ეს კოჩასათვის დიდ ცხოვრებისეულ სკოლას წარმოადგენდა, ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა კოჩას მეგობრობა ტატუ ოქროპირთან. ეს უკანასკნელი ბუნებრივი ნიჭით დაჯილდოებული პიროვნებაა. მას არავითარი განათლება არ მიუღია, მაგრამ მოვლენებზე დაკვირვებისა და დიდი ნიჭის წყალობით, შეიძლება ითქვას, ნათელმხილველია. იგი სავსებით რეალურ გეგმებს სახავს საკუთარი არსებობის მკვიდრთა გაუმჯობესების მიზნით. ამგვარ ნათელ ოცნება-იდეალებს ტატუ ოქროპირი, პირველ რიგში, თავის ყველაზე ერთგულ მსმენელს, ჭკვიან პატარა ბიჭს, კოჩას უზიარებს ხოლმე. მოსწონს, რომ თუ სხვებს არ სცალიათ, ან არ სურთ მისი დონკიხოტური ოცნებების მონოლოგებისათვის ყურისგდება. კოჩა არასოდეს აგრძნობინებს მას უპატივცემულობას და ყოველთვის სახეში შეჰყურებს გაფაციცებით. იმასსოვრებს მის ყოველ სიტყვას. კოჩა ამიტომაც ეძახის ტატუ ოქროპირს „მასწავლებელს“. ასეთივე ურთიერთობა აქვს კოჩას სოფლის ბევრ სხვა მშრომელ ადამიანთან. მეზობელი კოჩია ბიძია კოჩას ენგურთან დაახლოებს, როგორც ცნობილია, სამეგრელოს ამ რეგიონების მცხოვრებლების არსებობა, რომელთაც ენგური ახლოს ჩაუდის, ოდითგანვე ბევრად იყო დამოკიდებული ამ გიჟმაჟი მდინარისაგან. კოჩია ბიძია აცნობს ამ მიდამოებს მომავალ თაობას, რამეთუ სულ მალე ისინი ყველაფრის ბატონ-პატრონი უნდა გახდნენ. კოჩას იგი ჯერ თევზის ჭერით დააინტერესებს, „ტოფობაზე“ მიჰყავს. ამას იგი იმიტომ აკეთებს, რომ ამ პერიოდში ენგურზე სათევზაოდ წასული კაცი არ შეიძლება უკან ხელცარიელი დაბრუნდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ადამიანს, მით უმეტეს მოზარდს, გული გაუტყდება და შეიძლება შემდეგ აღარც კი გაიხედოს ნაპირისაკენ. წარმატებით დამთავრებული თევზაობა, დიდძალი თევზი ტოფობისას კოჩია ბიძიას დახმარებით რომ იჭერს, კოჩას სიხარულით აღაცებს. ამას ბებია-ბაბუაცა და მეზობლებიც ამჩნევენ და ვაჟკაცობას უქებენ. სწორედ ამითაც აიხსნება, რომ პატარა კოჩა ამიერიდან ძალიან შეიყვარებს ენგურს. შემდეგ ეს სიყვარული ენგურზე მზრუნველობაში, მისთვის გაწეულ შრომაში გადაიზარდა. პატარა კოჩა მეტად მძიმე და სარისკო საქმეებზე იწყებს მუშაობას - პატარაობიდანვე ხეების დაცურებაში იღებს მონაწილეობას... თუმცა ისიც იცის, რომ მამამისი ამ საქმეს შეეწირა. იგი მოვალეობას არ ღალატობს, რადგან ოჯახის, გვარის, ტრადიციებისადმი ერთგულება გენებიდან მოსდევს. რა თქმა უნდა, ყოველივე ეს შეიძლება უკვალოდაც გამქრალიყო. ცხოვრების მასწავლებლები, - კეთილი მეზობლები რომ არ ჰყოლოდნენ გვერდში ამომდგარნი. ამასთან ისიც ცხადია, რომ დიდი და მძიმე ხეების დაცურების საქმეში ყველა, მათ შორის ზოგიერთი არა მარტო მოზარდი, არამედ ასაკოვანიც არ გამოდგება, მაგრამ სულ სხვაა კოჩა თავისი ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობებით. საოცარი საზრიანობით, სიმარჯვით, სისწრაფით. ყოველივე ეს მუდავნდება მაშინ, როცა მდინარის კალაპოტის მოსახვევში ხეები ჩაიხერგება. წყალი ადიდდება, ნაპირებიდან გადმოვა და სოფლებს წალეკვით ემუქრება. სწორედ ამ დროს ზოგიერთ გამორჩეულ ვაჟკაცებთან ერთად კოჩაც სოფელს მხსნელად ევლინება. ამის შესახებ ავტორი კოჩასავე პირით მოგვითხრობს: „დილით კოჩია ბიძიას მივყვებოდი სამუშაოდ. შუადღესაც მზე რომ დაიჭერდა, ენგურისკენ მივიჩქაროდით, რამდენიმე დიდ მორს ჩანგლებით ერთმანეთს გადავაბამდი, ზედ საშეშე კუნძებს დავახვავებდი, წყალგამდიდან გამოდმა ნაპირისკენ ტალღებს რომ დაფუტევი, ვგრძნობდი, შორიდან გასუსული მიმზერდნენ ქალები“. (აქუბარდია, 2009, გვ. 87) შემდეგაც კოჩა კოჩია ბიძიასთან ერთად მხოლოდ „ტოფობას“ დღეებში კი არ თევზაობდა, არამედ სხვა დროსაც. ასე იყო პატარა ბიჭი თავიდანვე ჩაბმული აქტიურ შრომაში. ამის გამოა, რომ „სისხლის წვიმების დროს“, მას სკოლაში ორი წელი უცდება, მაგრამ სამაგიეროდ დიდ ცხოვრებისეულ გამოცდილებას იძენს და ზნეობრივად ამაღლებულ ადამიანად, სანიმუშო ქართველად ყალიბდება. მეზობელ-ახლობლების, სოფლის მშრომელი კეთილი ადამიანების ზრუნვა, მათგან მიღებული არაერთი დადებითი მაგალითი კეთილისმყოფელ გავლენას ახდენს კოჩაზე, ცხადია, ერთი და იგივე გარემო ყველაზე ერთნაირად როდი მოქმედებს. საქმე ისაა, რომ კოჩა პატარაობიდანვე შინაგანადაა მომზადებული ამისთვის, რომ შეიცნოს, აითვისოს და გაითავისოს ყველაფერი ის, რაც შრომასთან, სიკეთესა და სილამაზესთანაა დაკავშირებული.

კოჩას სახე მწერალს აჰყავს დიდ განზოგადებამდე. საამისოდ იყენებს ეროვნულ ტრადიციულ სახეებს და ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს. სკოლის ეზოში ძალიან დიდი ქვა დევს. კოჩა ქვას შეეჭიდება, მოინდომებს აწიოს. თვითონ ჯერ პატარაა და მხოლოდ მკერდამდე აზიდვას მოახერხებს. სკოლის

ბავშვებთან ერთად ზოგიერთი მასწავლებელიც უყურებს ამას. ისინი არაჩვეულებრივ ამბებს თხზავენ კოჩაზე: აიგივებენ მას ხალხური თქმულების გმირთან. ღობეზე ხელში აყვანილი ზაქი რომ გადაყავს სიყმაწვილის ასაკში. თანდათან ზაქი იზრდება, მაგრამ ყმაწვილიც იზრდება და მაგრდება, რის გამოც დიდი ზაქის ღობეზე გადაყვანაც არ უჭირს.

ბავშვებში თავისთავად დიდ ინტერესს იწვევს სოფლის ელექტროსადგურის დათვალიერება, ყველაფერი ის, რასაც ამასთან დაკავშირებით უხსნის ფიზიკის მასწავლებელი, მაგრამ კოჩაზე განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ახდენს სამამულო ომის მონაწილე ხეიბარი, რომელიც სამშობლოს იცავდა, მძიმედ დაიჭრა, ფეხიც დაკარგა, ინვალიდიც გახდა, მაგრამ სიცოცხლის ხალისი არ დაუკარგავს. კვლავაც შემმართველური ენერგიით იღწვის და ამ ელექტროსადგურის მშენებლობაშიც მიუღია მონაწილეობა. ახლა კი სოფლის „ინდუსტრიის ცისფერი მტრედების“ ბუდეს თვალჩინოვით უფრთხილდება.

რომანში ნაჩვენებია მართალი სურათები ომისშემდგომი ქართული სოფლის ცხოვრებისა, ვხედავთ, როგორ იშუშებს თანდათან ომისგან მიყენებულ ჭრილობებს ქართული სოფელი, მაგრამ მაინც ბევრი ნაიარევი რჩება, რადგანაც „სისხლის წვიმების“ წლებმა განუზომელი მსხვერპლი მოითხოვა. ქართველი ვაჟკაცები ომიდან უკან რომ ვეღარ დაბრუნდნენ, ეს, უწინარეს ყოვლისა, ველ-მინდვრებს დაეტყო. ერთხელ გამიჯნურებული ცირა და კოჩა მეზობელი სოფლისკენ გაისეირნებენ. ღობის გადაღმა შენიშნავენ, თუ როგორ მუშაობენ ქალები საკუთარ ნაკვეთში. თურმე ამ ოჯახის სამი ვაჟკაცი ფრონტიდან აღარ დაბრუნებულა. ქალები ხნავენ კავით, რომელშიც შეხებულია დონკიხოტური როსინანტის მსგავსი გაძვალტყავებული ლურჯი ცხენი, შემოცვეთილი ძუითა და აბურძნული ფაფარით. ამ ისედაც საცოდავ ცხოველს კიდევ უფრო აწვალებენ ქალები, რომელთაც ხვნა არ იციან: ნაადრევად დაღვინებული, უკვე გამოცდილი მხვნელ-მთესველი კოჩა და ცირა შეეშველებიან ქალებს, მკითხველი ნათლად ხედავს როგორ ექაჩება აღვირს ნირწამხდარი ცირა, რომელსაც ეშინია ცხოველმა კბილი არ გამოკრას, არ დაკბინოს. ყოველივე ეს შინაგანი მოთხოვნილებაა არა მარტო კოჩასი, არამედ ცირასიც, რომელთაც ვალი აწევთ იმათი, ვინც მკერდით დაიფარა ისინი, შეეწირა მომავალი თაობების მშვიდობიან არსებობას.

ეგგენი აქუბარდიას რომანში მხატვრული სიმართლე მიღწეულია უშუალოდ ცხოვრებაზე გულდასმით დაკვირვების, სინამდვილეში მიმდინარე პროცესების ღრმად გააზრების საფუძველზე. როგორც უკვე აღვნიშნეთ, რომანის ძირითადი თემაა ქართველი ჭაბუკის ფორმირება. მწერალი ამ პრობლემას სავსებით მართებულად წყვეტს, არა დოგმატურად, არამედ რეალიზმის პრინციპების პოზიციებიდან. მას მტკიცედ სწამს, რომ ახალგაზრდა კაცის აღზრდის, სწავლებისა და პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესში ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში, განსაკუთრებით უმოძრაობის წლებში არსებით როლს თამაშობდა არა ფული, არამედ, უწინარეს ყოვლისა, ოჯახური გარემო, წინაპართა ტრადიციები, ნაცნობ-მეგობართა და მეზობელთა წრე, ის ადამიანები, რომლებიც მოზარდებთან მჭიდრო ურთიერთობაშია.

როგორც ცნობილია, 60-იანი წლების ქართულ პროზაში არაიშვიათად მასწავლებლის, პედაგოგის, აღმზრდელის სახე კრიტიკის ობიექტად იქცა. მწერალი შეგნებულად უხვევს გვერდს არა მარტო ამ თემას, არამედ თითქმის საერთოდ არ ეხება სკოლის ცხოვრებას. ცხადია, ეს ავტორის საქმეა, ისე კი უნდა ითქვას, რომ პედაგოგის უარყოფითად წარმოსახვას სჯობს ლიტერატურა არ შეეხოს, რადგანაც ნებისმიერი მასწავლებლის დამცირება-გაქილიკება მოწონებას არ შეიძლება იმსახურებდეს.

რომანის სახეობრივი ქსოვილი მრავალ საყურადღებო სახე-ხასიათს აერთიანებს, მათ შორის ყურადღებას იქცევს ასახული ეპოქის დამახასიათებელი ტიპები. მათ შორისაა სოფლის მკვიდრთათვის „უდიპლომო ინჟინერის“ სახელით ცნობილი პიროვნება. თავის დროზე მძიმე ოჯახურმა პირობებმა კოჩას მსგავსად, არც მას მისცა სწავლის გაგრძელების საშუალება. იგი კოჩას სახლიდან მოშორებით ცხოვრობს, მაგრამ კოჩას მჭიდრო კონტაქტი აქვს მასთან. კოჩა გულისყურით უსმენს ყველაფერს, რაც მისი ხალხის ახლო და შორეულ წარსულს შეეხება. აღფრთოვანებაში მოდის ერისთვის თავდადებულ მამულიშვილთა გმირობით. მეზობლები ათასგვარ ჭკუის სასწავლებელ ამბებს უყვებიან პატარა ბიჭს. სწორედ ესაა კოჩასთვის ნამდვილი სკოლა. არაიშვიათად საქმე ეხება მშობლიური ხალხის საუკეთესო შვილების გმირულ მოქმედებებს, სამეგრელოს რეგიონის მცხოვრებლებს სწამდათ, რომ მტერზე გამარჯვებისთვის ყველაფრის გამოყენება იყო საჭირო, მათ შორის, მარჩენალი ენგურისაც. წინაპრებმა იცოდნენ, როცა მდინარე ადიდდებოდა, ისე უნდა ემოქმედათ, რომ მის მღვრიე ტალღებში მომხდური ყიზილბაშების დიდი ნაწილი დაეხრჩოთ. ხალხში ასეთი გამოთქმაც არსებობდა: „ბრძოლაში ენგური რომ ჩაერთვება, მდინარის ზურგზე გადატყდება მტრის ხერხემალი“.

ქართველთა ერთ-ერთი უპირატესობა ისიც იყო, რომ ენგურზე გაზრდილმა ვაჟკაცებმა ცურვა კარგად იცოდნენ, უდაბნოში გაზრდილმა ყიზილბაშებმა კი - არა, ამიტომ იყო, რომ თურქები ყოველთვის ფონს ეძებდნენ ხოლმე და როცა ვერ პოულობდნენ, ადგილობრივ მცხოვრებლებს ეკითხებოდნენ, სად არის თავთხელი წყალი. ყველაზე გამბედავნი, გმირული სულის მქონენი ასეთ შემთხვევაში

თავგანწირული ნაბიჯის გადადგმას არ ერიდებოდნენ ხოლმე. ყველაზე ღრმა ადგილზე მიუთითებდნენ, ფონი აქ არისო, ცურვაში დაოსტატებული ვაჟკაცები ფეხებით მიცურავდნენ, ხელებს მაღლა წევდნენ. ასე შეიტყუებდნენ ადიდებულ ენგურში თურქების ლაშქარს და მათი ნახევარი მდინარის მსხვერპლი ხდებოდა. ასე სწავლობს უფროსი ადამიანებისგან კოჩა საქართველოსათვის, მშობელი ხალხისათვის თავდადებას (მესხია, 1998, გვ. 57). კოჩა გრძნობს, რომ მისი მშობლიური ხალხის სიბრძნე მეტყველებს მშრომელი მეზობლების პირით. ყოველივე ეს ავტორს ნაწარმოებში მოცემული აქვს არა დეკლარაციულად, არამედ ცოცხალი მხატვრული სახეებით, მისი პერსონაჟები მჭიდრო ურთიერთობაში არიან ერთმანეთთან, მოქმედებენ, იღწვიან, ცხოვრობენ, მსჯელობენ, კამათობენ. პატარა კოჩა სულმოუთქმელად უგდებს ყურს ყოველივე ამას, რომანში ეპიზოდები მოცემულია მკაფიო სახეებისა და სურათების საშუალებით. მოვიტანთ ერთ-ერთ ასეთ მაგალითს, მხედველობაში გვაქვს „ტოფობაზე“ წასული, ენგურის ნაპირზე სიბნელეში წამოწოლილ კოჩა ბიძიას და კოჩას საუბარი. უფროსი მეზობელი ახალგაზრდა კოჩას მოუთხრობს თუ რა წვალების ფასად უჯდებოდა წინათ გლეხებს ყოველდღიური არსებობისთვის აუცილებელი საქონლის - მარლის, თევზის, საპნის, ასანთის, ნავთის შოვნა, შემდეგ ენგურზე გადმოტანა. ამ საუბრისას, რომელიც შუალამით ხდება, მწერალი ასეთ კონკრეტულ სურათს გვიხატავს:

„ ამ დროს ხელმარჯვნივ რაღაცამ ლაწანი მოიღო.

- რა იყო?

- სადღაც ახლო ხე წამოაყირავა წყალმა.

- დღისით საშინელი სიციხე იყო და ღამე წყალმა იმატა, ალბათ წყალგაღმა სოფელში ძაღლები ისე ღრიალებდნენ, თითქოს სოფელს მდინარის შემოტევისაგან იცავდნო.“

რეალისტურ შინაარსთან ერთად, სწორედ ასეთი ბუნებრივი, ძალდაუტანებელი, „ხელოვნურად მოჩუქურთმების“ გარეშე შექმნილი სურათები განაპირობებენ რომან „კოჩას“ მომხიბვლელობას.

მეთოდოლოგია. პრობლემის კვლევას საფუძვლად უდევს მეცნიერული მიღწევები ლიტერატურისა და ესთეტიკის დარგში, სადაც ხაზგასმულია ლიტერატურისა და ხელოვნების უდიდესი საზოგადოებრივი ღირებულება ადამიანის სულიერი ფორმირების, მისი ზნეობრივი აღზრდის საქმეში. კერძოდ, ახალი ადამიანის ჩამოყალიბების ურთულესი პროცესი. გამოყენებულია შედარებითი - ტიპოლოგიური და ანალიზის მეთოდები.

შედეგები/დისკუსია. როგორც დავინახეთ, ევგენი აქუბარდია ღირსეულად აგრძელებს ჩვენი მწერლობის დიდ და სახელოვან ტრადიციებს, წარმოადგენს უჩვეულო პანორამას, რომელშიც ეთიკური იდეალები მაღალესთეტიკური სპექტრითაა გასხვივონებული. კვლევის გზით მიღებული შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნას უმაღლესი სასწავლებლების პრაქტიკაში, არა მარტო სალექციო კურსის მომზადებისას ისეთ დისციპლინებში, როგორცაა ლიტერატურის თეორია, ლიტერატურის ისტორია და აფხაზური ლიტერატურის ისტორია, არამედ სემინარული მეცადინეობების დროსაც, პრეზენტაციებზე, საკურსო და სადიპლომო ნაშრომების დაწერისას.

ბიბლიოგრაფია:

აქუბარდია, ე. (2009). *კოჩა*. თბილისი: ეროვნული მწერლობა.

მესხია, ც. (1994). *ლიტერატურის ეთიკური დანიშნულება და მისი გამოვლენის თავისებურებანი აფხაზეთის თანამედროვე ქართულენოვან პროზაში*. დისერტაცია. შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი. თბილისი.

მესხია, ც. (1998). *მწერალი და სინამდვილე*. თბილისი: სამშობლო.

მესხია, ც. (2017). *ევგენი აქუბარდიას შემოქმედებითი პორტრეტი*. თბილისი: სვეტი.

მიშველაძე, რ. (1993 წლის 24 დეკემბერი). ევგენი აქუბარდია. *ლიტერატურული საქართველო*.

Чургулия, О. (22 ноября 1986 г.). Евгений Акубардия. *Советская Абхазия*.

Tsiala Meskhia

Sokhumi State University

NOVEL ON THE LIFE TRUTH (EVGENI AKUBARDIA'S NOVEL "KOCHA")

RESUME

Georgian literature is remarkable for a great diversity of artistic values. The present age being what it is – a welter of contradictions, conflicts and confrotations.

One of the most interesting representatives of Abkhazia writers Evgeni Aqubardia is an author of the novel “Kocha”. Aqubardia worked in the best novelistic traditions of Georgian literature. He destined to react to the same

ferment of ideas about society. The novelist wrote about the particular spheres of life known to him observing the passage of time and contrasting the successive generations.

Aqubardia describes scenes of the young character Kocha's boyhood and early manhood as well as the years of dullness and frustration.

The writer was concerned with the persistence of change which was altering not only the outward shape of Georgia (Abkhazia region) but also having its devastating affect on character, moral values and individual destinies.

The novelist was devoted to the concept of literature as an art which has a social and moral function to fulfil.

The novel demonstrating that the events and happiness of practical living are for the writer the least part of life. Private thoughts and feelings form the real flux of living.

Keywords: Kocha, New person, Imaging specifics.

ნაილე მიქელაძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი;

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის

სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი

ერთი ტოპონიმის ეტიმოლოგიისათვის

საკვანძო სიტყვები: ეტიმოლოგია, ტოპონიმი, ვაზი, ქრისტიანობა.

ტოპონიმის მეცნიერული შესწავლა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალებაა ამა თუ იმ ტერიტორიაზე ოდესმე მოსახლე ხალხის სოციალურ-კულტურული ყოფის, ისტორიის გასაცნობად. გეოგრაფიულ სახელებში ხშირად ასახულია ტოპონიმის ეტიმოლოგია, რადგან ადგილის სახელწოდება სისხლხორცეულად უკავშირდება ერის, კუთხის ისტორიის მოვლენასა თუ ფაქტს.

აჭარა ტოპონიმთა სიუხვით ერთობ გამორჩეული კუთხეა. ეტიმოლოგიური თვალსაზრისით, ყურადსაღები ტოპონიმია „მანჩხაური“, რომელიც შუახევის რაიონის, სოფელ ნიგაზეულის ერთ-ერთი უბნის სახელწოდებაა. (ქამადაძე, 1992, გვ. 112) ამ სახელის წარმომავლობას რამდენიმე ვერსია უკავშირდება. ინფორმატორთა მონათხრობით, ტოპონიმი „მანჩხაურის“ ეტიმოლოგიურ განმარტებას გვამღევს სიტყვის ფუძის შესწავლა „ჩხა“. იგი დაკავშირებულია ვაზის ჯიშთან ჩხავერთან, რომელიც გავრცელებული იყო აღნიშნულ სოფელში (მთქ. ბეგლარ კეკელიძე, დაბ. და მცხ. სოფ. ნიგაზეულში, 43 წ. ნ. კეკელიძე, დაბ. და მცხ. სოფ. ნიგაზეულში, 78 წ. ჩაწ. 2018 წ. ინფორმაცია მომარწოდა მ. კეკელიძემ).

მევენახეობა რომ დაწინაურებული ყოფილა ამ რეგიონში, ამაზე მეტყველებს ბოლოდროინდელი არქეოლოგიური აღმოჩენები ზემო აჭარაში. კერძოდ, სოფელ ნიგაზეულის მჭედრულსა და მანჩხაურის უბანებში აღმოჩენილი ქვევრები – 500 ლიტრიანები და 700 ლიტრიანები, რამდენიმე ტონაზე მეტი ტევადობისა. მთქმელთა გადმოცემით, ამ უბნის სახელწოდება, სწორედ ჩხავერის ჯიშის ყურძენს უკავშირდება. ამ კუთხეში ვაზი განსაკუთრებულ მცენარედ მიიჩნეოდა: „ოდითგანვე აჭარაში ვაზის ტოტებს (ლერწებს) არ წვავენ, რადგან მიაჩნდათ, რომ დაწვა ცოდვა იყო. წინაპრები გასხლულ ვაზის ტოტებს ცალკე აგროვებდნენ. შუახევის რაიონის, სოფელ ნიგაზეულის მკვიდრი 50 წლის შაქრო ხიმშიაშვილი მოგვითხრობს: „ჩემმა წინაპრებმა კარგად იცოდნენ, რომ ვაზის ტოტებს (ლერწებს) არ წვავენ, რადგან ვაზი წმინდა მცენარედ მიაჩნდათ; ყველამ იცოდა, რომ დაწვა ცოდვა იყო. ამიტომაც წინაპრები გასხლილი ვაზის რტოებს აგროვებდნენ. ამის შესახებ მოსახლეობის ყველა თაობამ კარგად იცის. და გაჰქონდათ ტყეში ან თავისუფალ ადგილას ყრიდნენ. ასევე ისინი ყურძენს იყენებდნენ „წამლობისათვის“. (კეკელიძე, 2017)

აჭარაში, როგორც საქართველოს სხვა რეგიონში, ვაზს განსაკუთრებულად ეპყრობოდნენ. აქ უფრო მეტად გავრცელებული ყოფილა მაღლარი ვაზი, რომელიც ხეებზე იყო აყვანილი. მკვლევართა ნაწილი, ამას იმით ხსნის, რომ ოსმალთა ბატონობისას, ამ რეგიონში ყველა ქრისტიანული რიტუალი

იკრძალებოდა და მათ შორის ღვინის დალევა. გადმოცემის თანახმად, აჭარაში მტერმა მოსახლეობას მასიურად ააჩეხვინა ვაზი. აქაურმა მოსახლეობამ კი ვაზის ნერგები ტყეში გაიტანეს და დარგეს, რათა გადაერჩინათ გადაშენებისაგან. (მიქელაძე, 2017, გვ. 333)

„აჭარის ლივის ვრცელი და მოკლე დავთრები“ წიგნში წერია თუ ოსმალოს ბატონობის დროს, როგორი მძიმე გადასახადები ჰქონდა აჭარის მოსახლეობას, მაგ: „აჭარის მოსახლეობაზე უშურის სახით გაწერილი იყო გადასახადები ხორბალზე, ქერზე, ფეტვზე, ჭვავზე, ყურძნის წვეწვზე (შირე), ხილზე, ბოსტანზე... იმდენად, რამდენადაც უშურის გადასახადი აგრარული მეურნეობის ყველა დარგს მოიცავდა. (შენგელია, 2011, გვ. 47) აქედან გამომდინარე, მათი ცხოვრება ერთობ ძნელი ყოფილა. ამას ემატებოდა ისიც, რომ ოსმალები განსაკუთრებული სისასტიკით ქრისტიან მოსახლეობას ექცეოდა. იძულებულს ხდიდა ისლამი მიეღოთ. ამავე წიგნში ვკითხულობთ: „ოსმალური საგადასახადო სისტემის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისება იყო ის, რომ ქრისტიანი გაცილებით მეტი რაოდენობის გადასახადს იხდიდა, ვიდრე მუსლიმანი (შენგელია, 2011, გვ. 50) და ბოლოს გადატაკებული მოსახლეობა იძულებული გახდა ისლამი ელიარებინა. რაც შეეხება „აჭარის ლივის ვრცელი დავთარი“ მასში სათითაოდაა წარმოდგენილი გადასახადის ოდენობა და მათი სოფლები. აღნიშნული სოფლის, სოფელ ნიგაზეულის გადასახადი კი იმ დროისათვის 7000 შეადგენდა. (შენგელია, 2011, გვ. 52) შესაძლოა, ყურძნისა და სხვა მოსავლის გადაშენება მსგავსმა საგადასახადო სისტემამაც გამოიწვია.

ტოპონიმი „მანჩხაური“ არათუ ლექსიკური მნიშვნელობითაა საკვლევი და საინტერესო, არამედ მის სახელდებას უკავშირდება ამ სოფელში დატრიალებული უბედურებაც. კერძოდ, სოფელ ნიგაზეულში, ოსმალთა შემოსვლისთანავე, ყველა ჯიშის ყურძენი ამოუძირკვავთ, მოუგროვებიათ სოფლის შუაგულში და დაუწვავთ. ამ სოფლის ერთ უბანში ახალციხიდან მოყვანილ რძალს თხემლისა და ნაძვის ტოტებს ქვეშ დაუმალავს ჩხავერის ყურძნის ნერგები. ახალციხელი რძალი ძალიან ლამაზი ყოფილა, მოწონებია სოფლის მუფთს, მაგრამ ნებით მისი დათანხმება ვერ მოუხერხებია. მუფთი გადაჰკიდებია მას, მარო მაგარი ქალი ყოფილა და ვერაფერს ვერ უხერხებდა. ერთხელაც ეს ქალი ვიღაცას გაუცია, რომ ქალი მალავდა ჩხავერის ნერგებს. განრისხებულ მუფთს ყურძნის ნერგების დამალვისათვის ეს ქალი ცხენის კუდზე გამოუბამს და ყველას დასანახად დაუსჯია. ამ ადგილას დღესაც ხარობს ჩხავერის ჯიშის ყურძენი, ხოლო ადგილს კი „მანჩხაური“ ჰქვია. (მიქელაძე, 2013)

ამ ტოპონიმთან დაკავშირებით, ასევე არსებობს სხვა მოსაზრებაც: „უძველეს დროში, მირიან კეკელიძე გურიიდან ამოსულა სოფელ ნიგაზეულში საცხოვრებლად მის მეუღლესთან, მანოსთან ერთად. მათ ამოუტანიათ „ჩხავერის“ ჯიშის ყურძენი და სოფელში გაუშენებიათ. შემდეგში ხალხი მას „მანოს ყურძენს“ ეძახდა“. სწორედაც, „მანო-ჩხავერი“ გამხდარა საფუძველი უბნის „მანჩხაურის“ შემდგომი სახელწოდებისა (მთქ. ბეგლარ კეკელიძე, დაბ. და მცხ. სოფ. ნიგაზეულში, 43 წ. ნ. კეკელიძე, დაბ. და მცხ. სოფ. ნიგაზეულში, 78 წ. ჩაწ. 2018. მასალა მომარაგა მ. კეკელიძემ).

მართალია, ზემო აჭარის ტოპონიმიაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ანთროპონიმული წარმომავლობის გეოგრაფიულ სახელებს. (ქამადაძე, 1992, გვ. 46) თუმცა ლეგენდა ხშირად ისტორიულ სინამდვილის შემცველია, თანაც ამ კუთხეში არაერთი ტოპონიმია შემონახული, სადაც საუბარია რწმენასთან ჭიდობაზე. ასევე წერილობით მასალებში საუბარია, თუ გარკვეული პერიოდის განმავლობაში მევენახეობამ როგორ დაკარგა ტრადიციული ფუნქცია, ერთ-ერთ წერილში ვკითხულობთ: „აგერ ათი წელი არის ჩვენში ყურძენი არ მოსულა. წრეულს უფრო მეტი ჩხავერი და თეთრი მოვიდა. ღვინის დაყენება მაინც არავინ იცის ჩვენში, რომ ჩხავერის ყურძნის ღვინოზედ უკეთესი ღვინო არ შეიძლება, მაგრამ ვინ გააკეთებს. მარტო ბეთმეხსა და ლეჩერს აკეთებენ ჩვენში, იმას მოადულებენ და ზამთარში ხმარობენ. სხვა ვერაფრად სარგებლობენ ყურძნით. აჭარის სოფელ ჭვანაში ყურძნის ხარდალს დააყენებენ ზაფხულობით და სვამენ. ცოტა ღვინის სუნი თუ შეეძინდა, მაშინვე დააქცევენ“. (შონია, 1987, გვ. 47)

ოსმალოს აგრესიამ, რა თქმა უნდა, ხელი შეუწყო ვაზის სხვადასხვა ჯიშების გადაშენებას, თუმცა ამ მხარის მკვიდრებმა, რაღაც ხერხებით მაინც გადაარჩინეს ვაზის სხვადასხვა ჯიშები გადაშენებას. აჭარაში ვაზი ყოველთვის ითვლებოდა საკულტო მცენარედ. მას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა როგორც რელიგიაში, ისე ყოფით ცხოვრებაშიც. ვაზი იმდენად მნიშვნელოვანი გახლდათ, რომ იგი ორნამენტების სახითაც გვხვდება ნაქარგებში და რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს მეჩეთის კედლის მოხატულობაშიც, რომელიც ქრისტიანული რელიგიის გადმონაშთია.

ისტორიულად, ვაზი არა მარტო ხალხურ რწმენა-წარმოდგენებში, არამედ ქრისტიანულ რელიგიაშიც მოიაზრება წმინდა ხედ. ის ეკლესია-ტაძრების „უძველეს ქართულ ჩუქურთმაშიც იჩენს თავს, რომელიც გამოხატავს მზიურ მოძრაობასა და მზის ძალას. ვაზი, წინაქრისტიანული რწმენის მიხედვით, როგორც ჩანს, დაკავშირებული იყო მზესთან და მიიჩნეოდა მის სწორფრად. ასე რომ, ვაზი, მითოსური რწმენით, ღვთაებრივი მცენარე იყო. (სირაძე, 1987, გვ. 140-141)

ქრისტიანობაში ვაზის მითოსურმა საწყისმა ფუნქცია კი არ დაკარგა, პირიქით, ამაღლდა კიდევ. მის პირველსაწყისს ჯვრის სიმბოლიკა და სიწმინდე შეერწყა. სწორედ, ქართველების გამაერთიანებელი და გამაქრისტიანებელია ვაზის ჯვარი, წმიდა ნინოს ჯვარი, ვაზის რტოებისა და უბიწო ქალწულის ნინოს თმის ნაზავი, რომელიც თავისი სიმბოლიკით ქრისტიანულ იდეოლოგიასთან მჭიდროდა დაკავშირებული.

მართალია, აჭარაში ოსმალთა სამასწლოვანი ბატონობის პერიოდში დაქვეითდა მევენახეობა-მეღვინეობა, მაგრამ აჭარლებმა მაინც შემოინახეს მეურნეობის ამ დარგის ბევრი ძირძველი ტრადიცია. (კახიძე, 1974, გვ. 97) მათ შორის საინტერესოა, ამ კუთხის აგრარული ყოფის ერთ-ერთი რიტუალი - „ვენახის დალოცვა“. იგი იმართებოდა ყურძნის დამწიფების დროს. ამ დროს აქ აცხობდნენ სპეციალურ კვერებს. სამი ასეთი კვერი მიჰქონდათ ვენახში, იქ მიწაში ჩაფლავდნენ და დაილოცებოდნენ: „ღმერთო ყურძნის ბევრი მოსავალი მოგვეცი, ღვინო კარგი და მაგარი!“ გადაიწერდნენ პირჯვარს და დალოცვას სამჯერ გაიმეორებდნენ. (ლომთათიძე, 2014, გვ. 84) ამ კუთხეში, საყოფაცხოვრებო-საწესჩვეულობო ქმედებების დროს სამობის ტრიმეტრი (ყოველგვარი საქმის სამგზის ჩატარება) დღესაცაა დაცული.

ისტორიულადაც, გამაჰმადიანებულ ქართველებში, მაინც იყო შემონახული ვაზთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები. ამ მხრივ, მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს, ექვთიმე თაყაიშვილის მიერ 1917 წლის ექსპედიციის დროს ჩაწერილი მასალები: „პარხალის გამაჰმადიანებულ ქართველებში რთველის დღესასწაულთან დაკავშირებით აქაურები, ტან-გახდილი ჭაბუკები ფერხულს ცეკვავენ დ ყურძნის მტევნებს იკიდებენ ტანზე. ეს წესი პარხალს ქვემოთ სოფლებში-და შემორჩენოდა, თვით პარხალში კი მოლები უკრძალავენ ახალგაზრდებს ტანთ გახდას. ეს გაშიშვლებული ვაჭები ჩვენებური აგუნას და კლასიკური ბახუსის თანამგზავრებს მოგვაგონებენ. (თაყაიშვილი, 1960, გვ. 83) ეს და სხვა მსგავსი რიტუალები ერთხელ კიდევ ადასტურებს და ეხმიანება ზოგადქართულ ტრადიციებს ვაზის კულტის შესახებ.

ანალოგიურ ინფორმაციას ვეცნობით მკვლევარ ჯემალ ვარშალომიძის კვლევებში. საქართველოს სხვა გამაჰმადიანებული პროვინციების მოსახლეობის მსგავსად, აჭარამ არა მარტო მევენახეობა, არამედ მეურნეობის ამ დარგთან დაკავშირებით წეს-ჩვეულებებიც შემოინახა: აქ სასტიკად იკრძალებოდა ვაზის მოჭრა, დიდ ცოდვად ითვლებოდა მისი გამხმარი ღეროს დაწვა. პატარა ლერწის გატეხვასაც კი ერიდებოდნენ. თუ ეს მოხდებოდა, სითხის (წვენის) გამოსვლას ვაზის „ტირილს“ უწოდებდნენ და ცუდად მიიჩნევდნენ. (ვარშალომიძე, 1979, გვ. 67)

მართლაც, ერთობ მნიშვნელოვანია ვაზთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები. ისტორიულ-კულტურული მნიშვნელობა აქვს ვაზის გამოსახულებათა სიმრავლეს აჭარის მეჩეთებზე. ვაზის ჩუქურთმა ქართველთა ეროვნული ცნობიერების სიმბოლოდაა გააზრებული. იგი საეკლესიო ხუროთმოძღვრებაში ძველთაგანვე პოულობს საპატიო ადგილს. მისი გამოსახვის პრაქტიკა ისლამის გავლენის პირობებში ქართველთა უძველესი ტრადიციების გამძლეობის თვალსაჩინო მაგალითია. მეჩეთებზე ვაზისა და ჯვრის გამოსახვის ფაქტს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება გვიანფეოდალური ხანის აჭარის მოსახლეობის საზოგადოებრივი ყოფის ისტორიის შესწავლისათვის. (დიასამიძე, ფუტკარაძე, კახიძე, & ჯიბაშვილი, 2016, გვ. 169) დღესაც ამშვენებს შუახევის რაიონის სოფელ ოლადაურის ჯამეს ვაზის ჩუქურთმა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ვაზი, იყო, არის და იქნება ის მცენარე, რომელიც უძველესი ცივილური ვაზის თაყვანისცემიდან მომდინარეობს. ყურადსაღებია ის ფაქტიც, რომ საქართველოს ამ რეგიონში ტოპონიმთა ეტიმოლოგია მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს ამ კუთხის უკეთ შესწავლის თვალსაზრისით.

დაბოლოს, მართლაც, არცერთ ქრისტიანულ ქვეყანაში არ არსებობს ვაზისადმი პატივისცემა ისეთი სახით, როგორცაა ქართულ რეალობაში.

ბიბლიოგრაფია:

დიასამიძე, ბ., ფუტკარაძე, შ., კახიძე, ნ., & ჯიბაშვილი, ო. (რედ.). (2016). *აჭარა: ტურისტულ-მხარეთმცოდნეობითი რესურსები*. ბათუმი: ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ვარშალომიძე, ჯ. (1979). *ორნამენტი ხეზე*. ბათუმი: საბჭოთა აჭარა.

თაყაიშვილი, ე. (1960). *1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში*. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია.

კახიძე, ნ. (1974). *მაჭახლის ხეობა*. ბათუმი: საბჭოთა აჭარა.

კვეციანი, მ. (2017). ვაზთან დაკავშირებული თქმულება აჭარის ზეპირსიტყვიერებაში (ჩემი სოფლის ისტორიიდან). *ხიჭაურის ტბელ აბუსერისძის უნივერსიტეტის სტუდენტურ კონფერენციაზე წარდგენილი მოხსენება*.

- ლომთათიძე, თ. (2014). *ხალხური აგრარული კალენდარული წეს-ჩვეულებები აჭარაში*. ბათუმი: ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
- მიქელაძე, ნ. (2013). *ტოპონიმური თქმულება-გადმოცემები აჭარის ფოლკლორში*. სადოქტორო ნაშრომი.
- მიქელაძე, ნ. (2017). ვაზის კულტთან დაკავშირებული თქმულება-გადმოცემები ქართულ ფოლკლორში. *სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს (ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია) საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები. VII*. თბილისი: უნივერსალი.
- სირაძე, რ. (1987). *ქართული აგიოგრაფია*. თბილისი: საქართველო.
- ქამადაძე, მ. (1992). ზემო აჭარის ტოპონიმია. *აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, VIII*.
- შენგელია, ნ. (რედ.). (2011). *აჭარის ლივის ვრცელი და მოკლე დავთრები*. (ზ. შაშიკაძე, & მ. მახარაძე, მთარგმნ.) თბილისი: ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
- შონია, ნ. (1987). *აჭარის მოჭირნახლე*. ბათუმი: საბჭოთა აჭარა.

Naile Mikeladze

*Batumi Shota Rustaveli State University, Niko Berdzenishvili Institute
Tbel Abuserisdze Teaching University of Georgian Patriarchate
FOR THE ETYMOLOGY OF ONE TOPONYM
RESUME*

Scientific study of toponym is one of the most important ways to get acquainted with the history of socio-cultural life of the population on a certain area. Geographical names often reflect the etymology of Toponym. Sometimes these names are closely related to the real facts or events in the history of the nation, or local folk.

In Adjara, as in other regions of Georgia, the vine has always been especially treated. There was a much wider variety of the high species of vine that is grown on trees. A Part of the researchers explain that at the time of Ottoman domination, all Christian rituals in this region were prohibited, including drinking wine. According to the legend, the enemy made the local population to dig out all vine. However, people stealthily planted vineyards in the woods and in this way managed to survive its extinction.

Even today we can find the toponyms from this plant name, which is accompanied with the legend about its genesis. Among them is the name of one of the districts - "Manchkhuri". The name of the district is related to the history of one of the grape varieties "Chkhaveri".

So, the question of our topic is toponyms and related history and legends, as most of the toponyms in Adjara have not been studied yet.

Keywords: Etymology, Toponym, Vine, Christianity.

*ტიტე მოსია
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტოლოგიური საკითხების კვლევისათვის მე-19 საუკუნეში

საკვანძო სიტყვები: ტექსტოლოგია, ვეფხისტყაოსანი, ხელნაწერი, ჟურნალი.

ხელნაწერების კვალდაკვალ. დღეისათვის შესწავლილია „ვეფხისტყაოსნის“ 162 ხელნაწერი და 32 ფრაგმენტი. ძველი ხელნაწერები თარიღდება XVII საუკუნით. ერთი ფრაგმენტი XVI საუკუნისაა. პოემის უძველეს თარიღიან ხელნაწერს წარმოადგენს მამუკა თავაქალაშვილის მიერ 1646 წელს ლევან მეორე დადიანის სამთავრო კარზე ზუგდიდში გადაწერილი ტექსტი (H-599). მოგვეპოვება „ვეფხისტყაოსნის“ სტროფების მთელი რიგი მინაწერები სხვა ხელნაწერებზე და მატერიალურ ძეგლებზე.

ქვემოთ მოკლედ შევხებით „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერების მდგომარეობას და სიცოცხლეს XIX საუკუნის მანძილზე. გავეცნობით მასალებს და ინფორმაციებს, რომელიც შემოგვინახეს რუსთაველის

პოემის ხელნაწერთა შესახებ მეცხრამეტე საუკუნის მოღვაწეებმა. გვინდა წინ გავუსწროთ ქრონოლოგიურ თანმიმდევრობას ამ მიმართულებით და ყურადღება გავამახვილოთ 1880 წელს გაზეთ „დროების“ ფურცლებზე იონა მეუნარგიას, იაკობ გოგებაშვილის და რაფიელ ერისთავის მიერ გამოქვეყნებულ მოწოდებაზე „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის გასინჯვისა და დადგენის თაობაზე:

„დიდი ხანია განზრახვა გვქონდა დასტამბული „ვეფხისტყაოსანი“ შეგვეთანხმებინა ხელნაწერ „ვეფხისტყაოსანთან“ და აგრეთვე ის გარემოება, რომ მთელი გამოცემა გაიყიდა და ზოგიერთი გამომცემელი აპირებენ ხელახლა ბეჭდვას, გვადლებს მარჯვე შემთხვევას, ჩვენი განზრახვა სისრულეში მოვიყვანოთ დაუყოვნებლივ... ჩვენ ვფიქრობთ, რომ თანამედროვე ქართველ ლიტერატორს არა აქვს ნება და არც შეუძლია უბრალო რამ ცვლილება მოახდინოს „ვეფხისტყაოსანში“, თუ ეს ცვლილება არ იპოვება თვითონ პოემის სხვადასხვა ვარიანტებში. ჩვენი მოვალეობა იქნება მხოლოდ სხვა და სხვა ვარიანტებიდან უკეთესის არჩევა და აქა-იქ მართლწერის ნიშნების შესწორება.

ჩვენი განზრახვა არის:

ა) შევთანხმდეთ ვეფხისტყაოსანი სხვა და სხვა ვარიანტებთან, რაც აკლია შევმატოთ ტექსტს და რაც ნამეტანი გამოვაკლოთ. ხელთ გვაქვს ხუთი ხელნაწერი ვარიანტი, კიდევ ველით რამდენიმეს;

ბ) თუ შესაძლებელი იქნება, შევიტყოთ – ვინ არიან ამ დამატების ავტორნი, რომელნიც არ იქნებიან რუსთაველის ნაწერად ცნობილი, მოვიყვანოთ წიგნში სრული ბიოგრაფიული ცნობა რუსთაველზე (ერისთავი, გოგებაშვილი, & მეუნარგია, 1880). იონა მეუნარგიას მიზანი იყო „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის უკეთესად და კრიტიკულად დადგენა. სწორედ მისი თაოსნობით შედგა პოემის ტექსტის დამდგენი რედაქცია: გრიგოლ ორბელიანი (თავმჯდომარე), დიმიტრი ყიფიანი, გაბრიელ ეპისკოპოსი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვახტანგ ორბელიანი, გიორგი წერეთელი, სერგეი მესხი, პეტრე უმიკაშვილი, ნიკო დადიანი, დავით ერისთავი და სხვა.

რაც ამჯერად ჩვენთვის მთავარია, რედაქციის უმთავრესი საზრუნავი იყო ხელნაწერების შეგროვება. გაზ. „დროებაში“ ქვეყნდება ცნობა, რომ რედაქციაში სხვადასხვა პირისაგან შემოსულა 16 ხელნაწერი. საინტერესოა, რომ რედაქციას მუშაობა დაუწყია მის ხელთ არსებული 22 ხელნაწერით, რომელიც ეკუთვნოდათ თურმე: ე. ქავთარაძეს, დ. თუმანოვს, ა. მამაცოვს, გ. მუხრანსკის, ზ. ჭიჭინაძეს (სამი ეგზემპლ.), ა. მელიქოვს, დ. ბაქრაძეს, ე. მარიჯანიძეს, ნ. წერეთელს, ბ. წერეთლის მემკვიდრეებს, ი. მერკვილაძეს, ნ. კორინთელს, რ. ერისთავს, გ. თუმანოვს, ა. თუთაევს, პ. უმიკაშვილს, კეხელს, ი. მეუნარგიას (დროება, 1881, 11 იანვარი, გვ. 3). ეს უკანასკნელი გამოქვეყნებულ „ვეფხისტყაოსანს“ შეუდარებს პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში დაცულ ხელნაწერს. იძლევა მის მოკლე დახასიათებას ამ ხელნაწერების სიძველისა და სანდოობის თვალსაზრისით. იქვე ჩამოთვლის რედაქციის ხელთ არსებულ ბეჭდურ გამოცემებს. (იმედაშვილი, 1957, გვ. 71-74)

იონა მეუნარგია გაზეთ „დროების“ ფურცლებიდან იუწყებოდა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენ კომისიას მუშაობა შეუწყვეტია ხელნაწერების უქონლობის გამო. იგი მიმართავს ოჯახებს, რათა ათხოვონ დროებით პოემის ტექსტის ხელნაწერები. აქვე იგი იხსენიებს პლატონ იოსელიანს, რომელსაც ნ. ელიოზოვის ოჯახში უნახავს ალექსანდრე მეფის (1443) ნაქონი „ვეფხისტყაოსანი“. (დროება, 1881, №129, გვ. 2).

„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის მიერ გამოსაცემად მომზადებული პოემა, როგორც შენიშნულია სამეცნიერო ლიტერატურაში, – ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიური თვალსაზრისით რამდენადმე წინ გადადგმული ნაბიჯი იყო. გაცხრილული ტექსტი, გასწორდა ზოგიერთი ტექსტობრივი შესაბამობა, გაიმართა არა ერთი ადგილი, გასწორდა მრავალი სიტყვის დაწერილობა, შეიცვალა სტროფული შედგენილობაც. იგი არსებითად არცაა პოემის მეცნიერულ-კრიტიკული გამოცემა. (მენაბდე, 2003, გვ. 314)

სარგის ცაიშვილის ენით რომ ვთქვათ: „1880 წლის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა კომისიის მუშაობის ერთ-ერთი უმთავრესი დამსახურება ის არის, რომ ამ დროს მოხდა პირველი თავმოყრა „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერებისა. „ვეფხისტყაოსნის“ სხვადასხვა ნუსხა პირველად მაშინ მოხვდა მკვლევართა ყურადღების სფეროში. აქვე საჭიროა შევნიშნოთ, რომ ზოგი ამ ხელნაწერთაგან მაშინ კვლავ დაუბრუნდა პატრონებს და იქნებ ზოგი მათგანი ჯერ კიდევ არ არის მოხვედრილი ხელნაწერთა საცავებში. (ამას მოწმობს „დროებაში“ გამოქვეყნებულ მფლობელთა გვარები, რომელთაგან ზოგი აღარ ჩანს ჩვენთვის ცნობილ ხელნაწერთა შესწავლის შედეგად)“. (ცაიშვილი, 1984, გვ. 355).

რადგან ზემოთ იონა მეუნარგიას დეაწლზე ვსაუბრობდით, ბარემ შევნიშნავთ: პარიზში ყოფნისას ეს ჩინებული მწიგნობარი ნაციონალურ ბიბლიოთეკაში გადმოწერს ნაწილად ციციანშვილისეული „ვეფხისტყაოსნის“ დამატებანის 396 სტროფს. ჯერ კიდევ 1842 წელს დავით ჩუბინაშვილი აღნიშნავდა, რომ ნაწილად ციციანშვილმა პოემას გაგრძელება დაუწერაო, მაგრამ მისი სტროფები არ დავბეჭდეთ, რადგან ყოველგვარ მხატვრულ ღირებულებას მოკლებული არისო.

ქრონოლოგიურად რომ მივყვეთ, XIX საუკუნის 20-იანი წლების ბოლოსთვის, კერძოდ, 1829 წელს ფრანგი ქართველოლოგი მარი ბროსე პირველად აღაპარაკდა „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერზე. ამას ყურადღება მიაქცია ჯერ გაიოზ იმედაშვილმა თავის „რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში“, ასევე, სარგის ცაიშვილმა: „თავის წერილში მარი ბროსე ახსენებდა ხელნაწერს, რომელიც ინახებოდა პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში. ეს ხელნაწერი ბროსემ პირველად გადაწერა და იყენებდა მას თავისი ფრანგული თარგმანის შესასრულებლად. მის მიერ გადაწერილი ეს ხელნაწერი ამჟამად ინახება ლენინგრადში. როგორც შემდეგში გახდა ცნობილი, – განაგრძობს ს. ცაიშვილი, – იგი წარმოადგენს პირს 1702 წელს შემახიაში გადაწერილი „ვეფხისტყაოსნისა“, რომელიც ახლაც ინახება პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში“ (ცაიშვილი, 1984, გვ. 349).

ს. ცაიშვილი იქვე შენიშნავს: „ამ ხელნაწერის აღწერილობები თავის დროზე გამოაქვეყნეს ი. მეუნარგიამ, ა. ხახანაშვილმა და ე. თაყაიშვილმა. ამჟამად კი ჩვენ მოგვეპოვება ამ ხელნაწერის სრული ფოტოპირი“. (ცაიშვილი, 1984, გვ. 349).

გ. იმედაშვილი ორიოდე სიტყვით გვაცნობს ი. ევლახოვის მიერ გაზეთ „კავკაზში“. (Кавказ, 1847, стр. 31) გამოქვეყნებულ წერილს, სადაც ევლახოვი გაკვრით ეხება „ვეფხისტყაოსნის“, აღნიშნავს მის ხალხურობას, პოპულარობას და მიუთითებს „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერს, რომელიც თავად ნ. დ–ს ჰქონია. (იმედაშვილი, 1957, გვ. 26) ახლა კი ს. ცაიშვილს მოვუსმინოთ: „1847 წელს „ვეფხისტყაოსნით“ დაინტერესებული მკვლევარი (და შემდეგ წიგნის ავტორი) ი. ევლახოვი ერთ თავის მოგზაურობის დღიურში ახსენებს თავად ნ. დ–ს კუთვნილ „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერს. მკვლევარი იძლევა მხოლოდ ზოგადი ხასიათის ცნობას. ცხადია, რომ თავად ნ. დ–ს–ში იგულისხმება სამეგრელოს თავადი ნ. დადიანი, რომელმაც სხვა საქველმოქმედო საქმეებთან ერთად იმითაც ისახელა თავი, რომ წერა–კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას უანდერძა თავისი მდიდარი საგვარეულო წიგნთსაცავი და ხელნაწერთა კოლექციები („ვეფხისტყაოსნის“ ეს ხელნაწერი, ალბათ, ამ გზით მოხვდა აღნიშნული საზოგადოების ფონდებში, რაც 1908 წელს აღწერა ე. თაყაიშვილმა)“.

როდესაც ვეხებით XIX საუკუნის ცნობებს „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერებზე, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს პლატონ იოსელიანის საინფორმაციო მასალებს. მან 1852 წელს გამოსცა ტ. გაბაშვილის მოგზაურული ჟანრის ნაწარმოები „მიმოსლვა“. აქ გამომცემელი იერუსალიმის ქართველთა ჯვრის მონატერში დაცულ რუსთაველის პორტრეტზე საუბრისას ასეთ ცნობას გვაწვდის: „არა უწყი არისა დღესაცა სახე ესე შოთა რუსთაველისა იერუსალიმს – აქა თფილისს მეფის ირაკლის ასულს თეკლას ჰქონდა ძველად ნაწერი ვეფხისტყაოსანი, სახით ანუ პორტრეტითურთ თვით რუსთაველისა ერისკაცისა სამოსით, უფრო ყიზილბაშთა წესით. ეს წიგნი და პორტრეტი წარვუდგინე კნიაზს მ. ს. ვორონცოვსა და ამან წარგზავნა სახე ესე ხელითა აქა ყოფილის ფრანგუზის მოგზაურის ფლერისა საფრანგეთსა ქალაქსა პარიჟსა, რათა გადაბეჭდონ იგი მრავალრიცხვედ ეგზემპლარებად ხრომო–ლიტოტრაფიით“.

ამ ცნობასთან დაკავშირებით ს. ცაიშვილი შენიშნავს: „პლატონ იოსელიანის ამ ცნობამდე რამდენიმე წლით ადრე ვეფხისტყაოსნის ხელნაწერსა და, კერძოდ, იქ გამოხატულ რუსთაველის პორტრეტს შეეხო გრ. გაგარინი თავის ცნობილ ალბომში (საუბარია 1847 წელს პარიზში გამოცემულ ალბომზე – ტ.მ.)“ (ცაიშვილი, 1984, გვ. 350). მკვლევარი სპეციალურად იმეორებს ამ ალბომისთვის დართულ განმარტებას: „პორტრეტი (იგულისხმება რუსთაველის პორტრეტი – ტ.მ.), რომელიც XI ტაბულაზეა მოთავსებული, ეკუთვნის ძალიან ძველ ხელნაწერს. ეს ხელნაწერი არის ნაწილი თავად რევაზ ერისთავის ქალიშვილის მზითვისა. ხოლო რევაზ ერისთავი ცხოვრობდა დაახლოებით 1700 წელს. შემდეგ ეს ხელნაწერი გახდა ირაკლი მეფის ქალის თეკლა ბატონიშვილის საკუთრება. დღეს კი ეკუთვნის მის ვაჟს ალექსანდრე ორბელიანს, რომელმაც იგი გადასცა ამ გამოცემის ავტორებს“.

გურამ შარაძის დაკვირვებით, დასახელებულ ალბომში მოთავსებული ცნობები გამორჩენილია გ. იმედაშვილის წიგნში „რუსთველოლოგიური ლიტერატურა“. გაგარინის ალბომზე დართული ეს განმარტება ეკუთვნის გრაფ ე. შტაკელბერგერს. (შარაძე, 1982, გვ. 155).

ს. ცაიშვილის მიხედვით, პლ. იოსელიანის ცნობა და გაგარინის ალბომის განმარტებაში მოთავსებული ცნობა ერთსა და იმავე ხელნაწერს გულისხმობს. ეტყობა, პლ. იოსელიანს აწვალგბდა „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთა საკითხი და მასზე საგანგებოდ ამახვილებს ყურადღებას 1870 წელს გაზეთ „კავკაზში“ გამოქვეყნებულ წერილში. მასში ავტორი საუბრობს „ვეფხისტყაოსნის“ სამ ხელნაწერზე, რომელიც თვითონვე უნახავს. ეს ხელნაწერები შესრულებული ყოფილა საუკეთესო კალიგრაფების მიერ. მათგან ერთი ხელნაწერი უძველესი ყოფილა, ეტრატზე დაწერილი და ხარვეზებიანი. იგი ეკუთვნოდა თურმე იმერელ თავადს, პოლკოვნიკ გრიგოლ წერეთელს. ასევე ავტორი გვაცნობს მეორე ხელნაწერს, რომელიც უნახავს აზნაურ ნიკოლოზ ელიოზიშვილის ოჯახში. ეს ხელნაწერი ადრე ეკუთვნოდა თურმე მეფე ალექსანდრეს, გადაწერილი ყოფილა დაახლოებით 1440–იან წლებში. ს. ცაიშვილის შენიშვნით, პლ. იოსელიანს ეს თარიღი ალექსანდრე დიდის (1412–1443) მეფობის წლების მიხედვით უნდა ჰქონდეს დადგენილი. პლ. იოსელიანი ლაპარაკობს მესამე ხელნაწერზეც,

რომელიც ვახტანგ შაჰნავაზის კუთვნილება ყოფილა თავიდან, ბოლოს კი ხელთ ჰქონია თეკლა ბატონიშვილს. ხელნაწერის აღწერის შემდეგ პლ. იოსელიანი იქვე აღნიშნავს, რომ თეკლა ბატონიშვილის ნაქონი ეს ხელნაწერი მემკვიდრეთა დავალებით თვითონვე გადაუცია მთავარმართებელ მ.ს. ვორონცოვისათვის.

ს. ცაიშვილი მსჯელობს რა პლ. იოსელიანის მიერ მოწოდებულ ცნობებზე „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერზე, განსაკუთრებით აქცენტს აკეთებს მესამე ხელნაწერზე: „1935 წელს ლენინგრადიდან საქართველოში ჩამოიტანეს ერთი ხელნაწერი, რომელიც ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში ინახებოდა ვორონცოვთა საგვარეულო არქივში. მაგრამ იმ ცნობებზე დაყრდნობით, რაც პლ. იოსელიანმა 1870 წელს წარმოადგინა, საკმაოდ გაძნელებოდა ამ ხელნაწერში სწორედ ის მესამე ხელნაწერი შეგვეცნო. საქმე ისაა, რომ მინიატურები და რუსთაველის პორტრეტი, როგორც ეს აღნიშნული აქვს მკვლევარს, უკვე აღარ ჰქონდა ხელნაწერს... მეორეც – პლატონ იოსელიანი ზუსტად ასახელებს ხელნაწერის გადაწერის თარიღს – 1678 წელს, ხოლო ჩამოტანილ ხელნაწერს არავითარი ჩვენება თარიღზე არ აქვს. მესამე – პლატონ იოსელიანს ხელნაწერის მფლობელად ვახტანგ V შაჰნავაზი მიაჩნია; თუმცა ანრაგიშს არ უწევს იმ გარემოებას, რომ 1678 წელს შაჰნავაზი უკვე გარდაცვლილი იყო. ნამდვილად კი ხელნაწერის მფლობელად სხვა პიროვნება ჩანს“. (ცაიშვილი, 1984, გვ. 351-352; ლეონიძე, 1949, გვ. 323).

როგორც ცნობილია, ეს ხელნაწერი მეცნიერულად შეისწავლა გიორგი ლეონიძემ. მან პირველმა გამოავლინა ამ ხელნაწერის ნამდვილი მფლობელი ზაზა ციციშვილი და გაარკვია ხელნაწერთან დაკავშირებული რიგი საკითხები. დღეს ეს ხელნაწერი, – წერს ს. ცაიშვილი, – „ზაზასეულის“ სახელითაა ცნობილი და ერთ-ერთ მნიშვნელოვან ხელნაწერად ითვლება. (ცაიშვილი, 1984, გვ. 351-352; ლეონიძე, 1949, გვ. 353).

ვ. ზოტოვი თავის წერილში „ქართული ლიტერატურა“ შეეხო „ვეფხისტყაოსანს“, სხვა საკითხებთან ერთად. შეჩერდა პოემის 1712 წლის ვახტანგისეულ გამოცემაზე. აქცენტირებულია ამ გამოცემის განხორციელება წარყვნილი ხელნაწერის საფუძველზე, რომელიც 1678 წლის შაჰნავაზის ნაქონი ხელნაწერი უნდა იყოსო. (Зотов, 1877, стр. 344). ეტყობა, ზოტოვი პლ. იოსელიანის ნათქვამს იმეორებს ხელნაწერის ვახტანგ V კუთვნილებასთან დაკავშირებით. იმეორებს იოსელიანისეულ შეცდომას, რადგან შაჰნავაზი 1678 წელს ცოცხალთა შორის არ იყო (გარდაიცვალა 1675 წელს).

პეტრე უმიკაშვილი 1877 წელს ჟურნალ „ივერიაში“ გამოქვეყნებულ წერილში გვამცნობს, მას გაგონილი ჰქონია, რომ 50-55 წლის წინათ ვიდაცას „ვეფხისტყაოსნის“ ძველი ხელნაწერი მოეტანოს თითქოს. ასევე, პ. უმიკაშვილი ჟურნალ „ივერიაში“ გამოქვეყნებულ წერილში „გარდაამწერელი ქართულის წიგნებისა დავით რექტორი“ საუბრობს პეტრე ლარაძის მიერ გადაწერილ „ვეფხისტყაოსანზე“, რომელსაც მოკლედ ახასიათებს. მისი თქმით: „ამ ახლო ხანებში ერთ სახლში აღმოჩნდა „ვეფხისტყაოსანი“, გადაწერილი პეტრე ლარაძისაგან (ახლა დიმიტრი ბაქრაძესა აქვს). ეს „ვეფხისტყაოსანი“ ადგილ-ადგილ ძალიან შეცვლილა“. (უმიკაშვილი, 1877, გვ. 7-14). გ. იმედაშვილი წერს: „ეს ხელნაწერი ლარაძის შენიშვნით გადაწერილი ყოფილა გიორგი თუმანიშვილის ნაქონი ძველი ხელნაწერიდან, რომელიც არტანუჯში მოუპოვებია იმასო. ავტორის (იგულისხმება პ. უმიკაშვილი – ტ.მ.) შენიშვნით, ლარაძეს შესაძლოა „ვეფხისტყაოსანში“ თვითონვე მოეხდინოს ჩასწორებები და ავტორიტეტობის გულისთვის არტანუჯი დაესახელებინოს, როგორც საქართველოს განათლების პირველი მიწა-ადგილი“. (იმედაშვილი, 1957, გვ. 62)

1879 წელს გაზეთ „დროების“ რედაქტორს კოტოჩი უგზავნის წერილს, სადაც აღნიშნულია საგულისხმო ცნობა, რომ კნ. პელაგია წერეთლისას განკარგულებაში ყოფილა სურათებიანი ვეფხისტყაოსანი, რომელიც პერგამენტზე ყოფილა ნაწერი. აქვე მოცემულია მისი მოკლე აღწერა. (კოტოჩი, 1879) ასევე, გაზეთ „დროებაში“ ვეცნობით ალექსანდრე როინიშვილის წერილს რედაქტორთან, სადაც იგი შესთხოვს კნ. ნ. დადიანისას, რომ დროებით დაუთმოს დასურათებული „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი სურათების გადასაღებად“. (როინიშვილი, 1879)

1880 წლის 21 ივნისის გაზეთ „დროებაში“ დაიბეჭდა პ. კარბელაშვილის წერილი „შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ განგრძობა“. ავტორი იუწყება მის ხელთ არსებულ „ვეფხისტყაოსნის“ უცნობ ხელნაწერზე. მისი ვარაუდით, ეს ხელნაწერი უნდა ეკუთვნოდეს XVII საუკუნეს, რომელიც ჩანართების შემცველია. პ. კარბელაშვილს ამ ხელნაწერის 1846 წლის პოემის დ. ჩუბინაშვილისეულ გამოცემასთან შედარებისას გამოურკვევია, რომ ეს ხელნაწერი უფრო სრულია, 314 სტროფით მეტი. აქედან გამომდინარე, ავტორი გამოთქვამს აზრს, რომ აღნიშნული ჩანართები კარგად ავსებენ (ზოგ შემთხვევაში) „ვეფხისტყაოსანში“ თითქოს არსებულ ხარვეზებს და ლოგიკურად ამთავრებენ პოემის ბოლოს, რომელშიაც იგრძნობა ერთგვარი დაუმთავრებლობა. (კარბელაშვილი, 1880, გვ. 2-3).

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ პ. კარბელაშვილს „ვეფხისტყაოსნის“ „გაგრძელების“ ტექსტი გაუგზავნია ჟურნალ „ივერიის“ რედაქციისთვის, რაც გამოქვეყნდა კიდევ. გავცნოთ სარედაქციო

შენიშვნას: „ეს „გაგრძელება“ ვეფხვის ტყაოსნისა მოგვივიდა პ. კარბელაშვილისაგან და ვბეჭდავთ „ივერიაში“, რადგან საინტერესოა ჩვენი ლიტერატურისათვის. ჩვენ კი გვგონია, რომ ეს გაგრძელება „რუსთაველის“ კალამს არ დაუწერია“. (ივერია, 1880, გვ. 3-35). გაგრძელებათა ტექსტი შეიცავს 308 სტროფს. დანართი თავების სათაურები სტროფთა რაოდენობით ასე გამოიყურება:

1. ტარიელისგან ინდოთ მეფის სიკვდილის ცნობა, 1573-1574
2. აქა ტარიელისაგან ინდოეთს მისვლა და ხატაელთ დამორჩილება, 1575-1611
3. ქორწილი ტარიელისა და ნესტან-დარეჯანისა, 1612-1654
4. აქ ტარიელის დასწვლვა და ხვარაზმისაგან სისხლისათვის მოხდომა, 1655-1676
5. ესმა ინდოთ მეფესა მოსვლა ხვარაზმელთა ინდოეთში, 1677-1689
6. გამარჯვება ხვარაზმთა მეფისაგან ინდოთ ლაშქართა ზედან, 1692-1694
7. ტარიელისაგან კაცის გაგზავნა ავთანდილ და ფრიდონთან სამშველად, 1695-1714
8. მოსვლა ავთანდილისა და ფრიდონისა ტარიელის სამშველად, 1715-1727
9. აქა ავთანდილისა და ფრიდონის წასვლა ხვარაზმის საომრად, 1728-1758
10. ომი ზედ დასხმით ხვარაზმთა, ინდოთა, არაბთა და თურქთა ზედა, 1759-1806
11. ანდერძი ტარიელისა ოდეს მიიცივლებოდა მის ჟამის ნათქვამი, 1807-1836
12. სიკვდილი ტარიელისა და ცოლისა მისისა ნესტან-დარეჯანისა, 1837-1858
13. ანდერძი ავთანდილისა სიკვდილისა ჟამსა, 1843-1858
14. სიკვდილი ავთანდილისა და ცოლისა მისისა თინათინისა, 1859-1864
15. მოსვლა ფრიდონისა და ტირილი ძმობილთა მისთა ტაგრუტსა ზედა, 1865-1881

გ. იმედაშვილს თავის ანოტაციაში დამოწმებული აქვს გაგრძელებათა ტექსტის დასაწყისი სტროფი, რასაც ჩვენც გავიმეორებთ:

„ქედსა ზედა გადმოადგა მეტად დიდი ქარავანი.

კაცები და სახედრები მეტად იყო შავოსანი.

გარეშემო მოეკეცნეს უკანა მათ დალაღანი.

მეფე ბრძანებს: მოასხენით, ჩვენ დავჰყოვნოთ ცოტა ხანი“. (იმედაშვილი, 1957, გვ. 69)

„ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი მემკვიდრეობის შესასწავლად ს. ცაიშვილს საყურადღებოდ ესახება პ. კარბელაშვილის ზემოთ ფიქსირებული ცნობები. მეცნიერი წერს: „პ. კარბელაშვილს ეკუთვნის რამდენიმე წერილი ვეფხისტყაოსანზე. 1880 წელს გაზეთ „დროების“ ფურცლებზე მან გამოაქვეყნა მოკლე ცნობა „ვეფხისტყაოსნის“ ერთი ვრცელი ვარიანტის შესახებ, ხოლო იმავე წელს ჟურნალ „ივერიაში“ მთლიანად დაბეჭდა ამ ვარიანტის ბოლო თავები მოკიდებული „ინდო-ხატაელთა ამბიდან“. უნდა აღინიშნოს, რომ დღესაც არ არის ცნობილი, თუ რომელი ხელნაწერით სარგებლობდა მკვლევარი“. (ცაიშვილი, 1984, გვ. 356) აქვე ს. ცაიშვილი წინასწარი ცნობის სახით შენიშნავს შემდეგს: „პ. კარბელაშვილის ხელში გაუვლია ორ ხელნაწერს. ეს არის H-2610 და თარხან-მოურავისეული ხელნაწერი W-27, ჯერ ს. ყუბანეიშვილმა, ხოლო ბოლო ხანებში ჩვენ შევისწავლეთ ეს საკითხი და ირკვევა, რომ „ივერიაში“ გამოაქვეყნებული ნუსხა არ ემთხვევა არცერთ ამ ხელნაწერს. კარბელაშვილი საკმაოდ ზუსტ ცნობებს გვაწვდის მის მიერ ნახულ ხელნაწერებზე. ამის გამო იმედს არ ვკარგავთ, რომ საბოლოოდ მივაკვლევთ აღნიშნულ ხელნაწერს“.

1880 წლის გაზეთი „ობზორი“ ეხმაურება პ. კარბელაშვილის მიერ ნაპოვნი პოემის ხელნაწერს. გამოხმაურების ვინაობა უცნობია. მისი თქმით, „ვეფხისტყაოსნის“ ეს ხელნაწერი ბეჭდურ ტექსტთან შედარებით შეიცავს ბევრ უცნობს სტროფს. მთლიანად ხელნაწერში 1907 სტროფია, აქამდე კი ბეჭდურით 1593 სტროფი იყო ცნობილი. ახალი სტროფები უმთავრესად დაბოლოებას შეიცავს. ანონიმი ავტორი, ამასთანავე აღნიშნავს, რომ წინასწარი შთაბეჭდილების მიხედვით, წერილში მოყვანილი სტროფები რუსთაველს არ უნდა ეკუთვნოდეს. ამ ხელნაწერიდან ჩანს, რომ არსებობდა რუსთაველის პოემის განვრცობის ტრადიცია. (Обзор, 1880, 22 июня; იმედაშვილი, 1957; გვ. 66-67)

1880 წლის 23 ივნისს გაზეთი „ობზორი“ აქვეყნებს ცნობას იმის შესახებ, რომ იონა მეუნარგიას რედაქციისთვის წარუდგენია პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში დაცული ხელნაწერიდან „ვეფხისტყაოსნის“ 396 სტროფი, რომელიც 1702 წელს ყოფილა გადაწერილი ქ. შემახაში ბეჟანა ოცხანას ქალიშვილის მიერ. ამ საინფორმაციო მასალაში მოცემულია შენიშვნაც, რომ პარიზის ხელნაწერი შესწავლილი იყო მარი ბროსეს მიერ, რომელმაც ეს ზედმეტი სტროფები „ვეფხისტყაოსნის“ 1841 წლის პეტერბურგის გამოცემაში არ შეიტანა. არ მოათავსა იმიტომ, რომ ისინი რუსთაველის კუთვნილებად არ მიიჩნია. (Обзор, 1880, 23 июня, стр. 1).

1880 წლის გაზეთ „დროების“ ფურცლებზე (6 ივლისი, 9 დეკემბერი, 13 დეკემბერი, 21 დეკემბერი) ქვეყნდება ცნობები „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერების ოჯახებში აღმოჩენის თაობაზე, მათი მოკლე აღწერილობით. აქვეა ცნობა იმის შესახებ, რომ პ. კარბელაშვილისაგან მიღებულია წერილი „ვეფხისტყაოსნის“ ვრცელ ხელნაწერზე. „დროების“ რედაქციას მიუღია ცნობა თ. გრ. დ. გურიელისაგან

პელაგია წერეთლის ოჯახში დაცული ხელნაწერი ვეფხისტყაოსნის შესახებ, ამავე ხელნაწერს ეხება ცნობა დ. წერეთლისა, რომელიც, მისი სიტყვით, მეფე სოლომონ დიდის ნაქონი ყოფილა და დარეჯან ბატონიშვილისაგან ივანე აბაშიძის ოჯახში გადასულა. ასევე საინფორმაციო ცნობა იუწყება ქართლში დავით ბეგთაბეგოვის სახლში დაცული ხელნაწერი „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ. აქვე ვეცნობით: დ. ი. ყიფიანისთვის პელაგია წერეთლისას რედაქციისათვის გადასაცემად მიუწოდებია „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი; აგრეთვე საჩხერეში მცხოვრებ თ.ა. დავითის ძე წერეთელს ჰქონია „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც სიძველითა და ღირსებით სჯობდა პელაგია წერეთლის ვეფხისტყაოსანს. (იმედაშვილი, 1957, გვ. 67).

გაზეთ „დროების“ ფურცლიდან (1881, 16 ივნისი) იონა მეუნარგია იუწყებოდა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისია წყვეტდა მუშაობას ხელნაწერების უქონლობის გამო და სთხოვდა ოჯახებს ვეფხისტყაოსნის დროებით რედაქციისთვის მიწოდების შესახებ. აქვე ნახსენებია ნიკოლოზ ელიოზოვის ოჯახში პლატონ იოსელიანის მიერ ნანახი ვეფხისტყაოსანი, რომელიც ალექსანდრე მეფის (1443) ნაქონი ყოფილა.

1881 წლის 1 იანვრის გაზეთ „დროებაში“ ქვეყნდება განცხადება „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთა შეგროვებაზე. ეს იყო რუსთაველის პოემის დამდგენი კომისიის მიმართვა ქართველი საზოგადოებისადმი – დროებითი სარგებლობისათვის რედაქციისთვის ეთხოვებინათ „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერები.

1881 წლის 11 იანვრის გაზეთ „დროებაში“ დაბეჭდილია ინფორმაცია, რომ სოფ. ახმეტაში რევაზ ჩოლოყაშვილის ოჯახში ჰქონიათ მეფე ერეკლეს ნაქონი ტყავზე ნაწერი არშია დაბასმული ვეფხისტყაოსანი. აქვე ვკითხულობთ, იონა მეუნარგიას ცნობას, რომ სხვადასხვა პირისაგან რედაქციას მოსვლია 16 ხელნაწერი „ვეფხისტყაოსნისა“. ტექსტის დამდგენ მუშაობაში გამოსაყენებლად, ჩამოთვლილია ამ ხელნაწერთა მფლობელები და ის პირნი, რომელთაგან კიდევ ელიან ხელნაწერებს. (იმედაშვილი, 1957, გვ. 75-76).

გაზეთ „ივერიაში“ (1886, 6 სექტემბერი) შემოსულა ცნობა რედაქციის მისამართით, რომ სოფელ ახმეტაში ნ. მაყაშვილს ჰქონია „ვეფხისტყაოსნის“ იშვიათი პირი. ხელნაწერის მოკლე აღწერაში აღნიშნულია, რომ ის გადაწერილია მეფე ვახტანგ V შაჰნავაზ გიორგის ძის მეფობის მესამე წელს – 1661–1664 წლის დასასრულს. აქვე მითითებულია, რომ ეს წიგნი მოსკოვში შეუძენია 1781 წელს ერეკლე მეორის მიერ რუსეთში გაგზავნილ სახლთხუცეს თავად ჩოლოყაშვილს. (იმედაშვილი, 1957, გვ. 113).

1888 წლის 10 სექტემბრის გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნდა ინფორმაცია: ერევნის გუბერნიის მკვიდრი სომხის ოჯახში აღმოჩენილია „ვეფხისტყაოსნის“ ყველაზე უძველესი ხელნაწერი. იგი ერთი სომხის მიერ ნაპოვნი ყოფილა ქურთების სოფელში. ხელნაწერი შესრულებული ყოფილა ტყავზე. აქვე გამოთქმულია სურვილი პოემის გამოცემებთან მისი შედარებისა. ამავე წლის 18 სექტემბრის გაზეთ „ივერიაში“ დაბეჭდილია ცნობა ლევან მჭედლიშვილზე, რომელსაც ბათუმიდან წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისათვის შეუწირავს შავშეთში ნაპოვნი ძველ ხელნაწერებთან ერთად „ვეფხისტყაოსანიც“.

გაზეთ „ივერია“ (1889, 8 სექტემბერი) იუწყება, რომ მ. ქართველიშვილს სხვა ხელნაწერთა შორის ჰქონია „ვეფხისტყაოსნის“ გაგრძელება, რომელიც ისე იწყება, როგორც ა. ხახანაშვილის მიერ აღწერილი პარიზის ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერი (ლაპარაკია ომანის ამბავზე). (იმედაშვილი, 1957, გვ. 143).

1889 წელს გაზეთ „ივერიაში“ (28 მკათათვე, 8 მარამობისთვე, 6 სექტემბერი) იბეჭდება ა. ხახანაშვილის „საბიბლიოგრაფიო შენიშვნა“ (პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები). ავტორი გვამცნობს ბიბლიოთეკის კატალოგში მოხსენიებულ სამ ხელნაწერზე, როგორც „ვეფხისტყაოსნის“ პირზე. პოემის ხელნაწერის აღწერისას ა. ხახანაშვილი საუბრობს მის ორ ნაწილზე – საკუთრივ პოემის და მისი გაგრძელების, კერძოდ, ომანის ამბავზე, სათაურით: „ამბავი პირველი ტარიელის შვილის სარიდანის ძის ომან ჭაბუკისა, რომელიცა ამბავი ესე ზედ მიეზმის ამბავსა ვეფხისტყაოსნისასა“. ა. ხახანაშვილი ამ გაგრძელებაში ხედავს ვეფხისტყაოსნისადმი დიდ ინტერესს – მკითხველ საზოგადოებას არ აკმაყოფილებს პოემის ამგვარი დასრულება და სწყურია ამბავის შემდგომ გაგრძელება. მისი შენიშვნით (იგი მინაწერიდან ამოდის), ეს ხელნაწერი გადანუსხულია 1782 წელს დავით რექტორის მიერ.

1895 წლის 3 მაისს გაზეთ „ივერიაში“ ქვეყნდება გ. სამაგლოვი–ივერიელის (იგივე ცნობილი საზოგადო მოღვაწის, მკვლევრის, ეპისკოპოს კირიონის – ტ.მ.) საინტერესო წერილი „ახალი ვარიანტი ვეფხისტყაოსნისა“. ავტორი ჯერ მსჯელობს XIX საუკუნის 80-იან წლებში ვეფხისტყაოსნის ტექსტის დამდგენი კომისიის მუშაობაზე. მისი შენიშვნით, პოემის ტექსტის ვარიანტებთან შედარებისას კომისიის ხელთ არსებულ ხელნაწერთა შორის ყველაზე ძველი ხელნაწერი 1646 წელსაა გადაწერილი. ავტორი კომისიას უქებს ჩატარებულ მუშაობას და იქვე მიუთითებს ნაკლებზე. კირიონს მიაჩნია, რომ კომისია ვალდებული იყო აღდგენილი ტექსტის ქვეშ ყველა ვარიანტი მოეყვანა, საჭირო იყო 1888 წელს გამოცემული პოემის ტექსტი დაბეჭდილიყო ნუმერაციით, რაც მათ სარგებლობას გაადვილებდა.

ამასთანავე, კირონი არ იზიარებს დასურათებაში ტარიელის ჩაცმულობას, რომელსაც მთელი ვეფხის ტყავი ადევსო ზედ.

აქვე მოცემულია კირონის მიერ ნანახი ვეფხისტყაოსნის ხელნაწერი, რომელიც გადაწერილი ყოფილა XVIII–XIX საუკუნეებში ცნობილი კალიგრაფის პეტრე ტაბლიაშვილის მიერ. კირონს ეს ხელნაწერი შეუდარებია სხვა ცნობილი ტექსტისთვის და გამოუტანია დასკვნა, რომ იგი ზოგ შემთხვევაში უკეთეს წაკითხვას იძლევა. გამოყოფს რამდენიმე სტროფს, რომელიც ტექსტს აკლია სიტუაციის მიხედვით, ეს კი ავსებს. იმავე 1895 წელს გ. სამაგელოვ–ივერიელი წერილით მიმართავს გაზეთ „ივერიის“ რედაქციას აქვე (№98) დაბეჭდილი შენიშვნის გამო რევაზ ჩოლოყაშვილის ოჯახში შენახული ვეფხისტყაოსნის ხელნაწერის შესახებ. იგი რედაქციას ამცნობს თავის გადაწყვეტილებას ვეფხისტყაოსნის ვარიანტების დაბეჭდილ ტექსტთან შედარების თაობაზე. გამომდინარე აქედან, კირონი თხოვნით მიმართავს ჩოლოყაშვილების ოჯახს, რათა მისცენ საშუალება ამ ხელნაწერის დროებით სარგებლობისათვის.

ს. ცაიშვილს მე–19 საუკუნის მოღვაწეთაგან პლ. იოსელიანის, პ. კარბელაშვილის შემდეგ განსაკუთრებით საყურადღებოდ ესახება ეპისკოპოს კირონის მიერ მოწოდებული ცნობები ვეფხისტყაოსნის ხელნაწერებზე. მას თავის მონოგრაფიაში („ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერები და პოემის ტექსტის ისტორია“) ვრცელი ადგილი დაუთმო, დაწვრილებით შეისწავლა იგი. (ცაიშვილი, 1984, გვ. 356–362).

ს. ცაიშვილი პირველ რიგში აქცენტს აკეთებს 1904 წელს ჟურნალ „მომბეში“ (№5) გამოქვეყნებულ წერილზე „ვეფხისტყაოსნის“ შესამოწმებელი მასალა“. წერილს ჰქონია ასეთი ხელმოწერა ე.კ. მკვლევრის თქმით. წერილის ავტორი ეხება „ვეფხისტყაოსნის“ ერთ ხელნაწერს, რომელიც მას ხელთ ჰქონია რამდენიმე დღის განმავლობაში. ს. ცაიშვილს მოაქვს ციტატა ამავე ავტორის წერილიდან: „ამ ათი წლის წინ ჩვენ ჩავვივარდა ხელში ერთი შესანიშნავი ვარიანტი ვეფხისტყაოსნისა, მაგრამ შემთხვევა არ გვქონდა გაგვეცნო ქართული საზოგადოებისათვის ეს ძვირფასი ხელნაწერი. ვარიანტი რამდენიმე დღით მომიტანა სასულიერო სასწავლებლის მოწაფემ ბ. მიროტაძემ. როგორც მან გადმომცა, ის ეკუთვნის თბილისში მცხოვრებ ქვრივ სომეხ მანდილოსანს“.

ს. ცაიშვილი აქვე იმეორებს წერილის ავტორის შენიშვნას, რომ მას 1895 წლის „ივერიაში“ (№93) გამოქვეყნებია ასეთივე ხასიათის წერილი. ს. ცაიშვილი წერს: „მართლაც „ივერიის“ ამ ნომერში არის წერილი ვეფხისტყაოსანზე და იგი ეკუთვნის ცნობილ საზოგადო მოღვაწეს და მკვლევარს, ეპისკოპოს კირონს (წერილს ხელს აწერს გ. სამაგელოვ–ივერიელი). წერილის ავტორი, – განაგრძობს ს. ცაიშვილი, – აქ ეხება ვეფხისტყაოსნის ერთ ხელნაწერს, რომელზედაც გვაწვდის საყურადღებო ცნობებს. ავტორისეული ცნობით აშკარა ხდება, რომ აქ ორ სრულიად სხვადასხვა ხელნაწერზე არის საუბარი“. (ცაიშვილი, 1984, გვ. 356) წორედ ს. ცაიშვილმა იტვირთა ორივე ხელნაწერის ცალ–ცალკე შესწავლა.

კვლევის შედეგად ს. ცაიშვილი მივიდა საგულისხმო დასკვნამდე: „აღმოჩნდა ძალზე საინტერესო ვითარება. კირონის ხელნაწერი ყველა შემთხვევაში არა მარტო შედგენილობით, არამედ წაკითხვითაც ზუსტად იმეორებს „გურგენისეულ“ ხელნაწერს. უფრო მეტიც, ყველა მონაცემით მტკიცდება, რომ კირონისა და „გურგენისეული“ ხელნაწერი არის ერთი და იგივე ნუსხა“. (იმედაშვილი, 1957, გვ. 360). სანიშნოდ მეცნიერს მოაქვს სპეციფიკურობით გამორჩეული წაკითხვები, რომლებიც არ დასტურდებიან სხვა არც ერთ ხელნაწერში. (ცაიშვილი, 1984, გვ. 361). ს. ცაიშვილის მტკიცებით, ყველა მონაცემებით: შედგენილობით, წანაკითხებით, ხელნაწერის ისტორიით (ორივე ხელნაწერი სომხის ოჯახიდან მოდის) ჩანს, რომ კირონის მიერ ნახული და აღწერილი ხელნაწერი იგივე ნუსხაა, რომელიც 1946 წელს საქართველოს გადმოსცა საჩუქრად სომხეთის მთავრობამ და „გურგენისეული“ ნუსხის სახელითაა ცნობილი“. (ცაიშვილი, 1984, გვ. 311–312).

ს. ცაიშვილი გვარკვევს კირონის აღწერილობის მნიშვნელობის შენარჩუნებაზე დღემდის ორი გარემოების გამო. 1. ამ აღწერილობიდან ირკვევა, რომ „გურგენისეულის“ ხელნაწერის აწ დაკარგული პროლოგი ისეთივე ყოფილა, როგორც ეს ვნახეთ ამ აღწერილობათა შედარების დროს. 2. კირონის აღწერილობაში შემონახულია ზოგი ისეთი სტროფის წაკითხვა, რაც დღეისათვის დაზიანებულია „გურგენისეულ“ ხელნაწერში. (ცაიშვილი, 1984, გვ. 311–312).

მეცნიერი დამატების სახით შენიშნავს შემდეგს: „კირონი ადრე 1895 წელს გაზეთ „ივერიაში“ (№93) ეხებოდა ხელნაწერს, რომელიც აშკარად სხვა ხელნაწერია. რასაკვირველია, საინტერესო იქნებოდა ამ ხელნაწერის მიკვლევა იმ მონაცემების მიხედვით, რაც გამოაქვეყნა კირონმა, არ არის ძნელი აღნიშნული ხელნაწერის მიგნება. ხელნაწერის გადამწერი ყოფილა პეტრე ტაბლიაშვილი. ხელნაწერი შეიცავს 1434 სტროფს... ხელნაწერთა მემკვიდრეობის შესწავლა გვიჩვენებს, რომ პეტრე ტაბლიაშვილს გადაუწერია ვეფხისტყაოსნის რამდენიმე ნუსხა. (ცაიშვილი, 1984, გვ. 311–312). ს. ცაიშვილი აქ ასახელებს ნუსხას S–2686, რომელც შეიავს ზუსტად 1434 სტროფს, ხოლო რედაქციულად იგი, მართლაც, შეიცავს ვახტანგისა და ჩუბინაშვილის გამოცემებთან შედარებით რამდენიმე დამატებით სტროფს როგორც ახლა

გარკვეულია, – განაგრძობს ს. ცაიშვილი, – ეს ჩანართი სტროფები ეკუთვნის გიორგი თუმანიშვილს, ხოლო ამ ტიპის ხელნაწერებს კი ეწოდება ე.წ. „ვეფხისტყაოსნის“ არტანუჯული ვარიანტი“, რაც ვახტანგისეული გამოცემის გვიანდელ სახესხვაობას წარმოადგენს მხოლოდ. (ცაიშვილი, 1984, გვ. 311-312).

1895 წლის 11 მაისის გაზეთ „ივერიაში“ (№98) დაბეჭდილია ინფორმაციული მასალა იმის თაობაზე, რომ ახმეტაში, რევაზ ჩოლოყაშვილის ოჯახში მოიპოვება ვეფხისტყაოსნის ძველი ხელნაწერი. წარწერიდან ირკვევა: ხელნაწერი შედგენილია მოსკოვში გრიგოლ ჩოლოყაშვილის მიერ. ჰქონია მხატვრული არშიები.

1895 წლის ჟურნალ „კვალში“ (№35) მოთავსებულია ცნობა: მელიქ ხოჯაშვილს უპოვია ერთი ხელნაწერი. მასში მოთხრობილი ყოფილა რუსთაველის პოემის გმირების თავგადასავალი და სიკვდილი ტარიელისა. რედაქციის თხოვნით ეს ხელნაწერი უნდა გადაცემოდა გ. წერეთელს.

ჟურნალი ჟმნკ (№XII) ბეჭდავს ა. ხახანაშვილის ნარკვევს რუსთაველზე და მის პოემაზე. ავტორი, სხვა საკითხებთან ერთად, მიმოიხილავს „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერებს, სადაც, ამასთანავე, დაყენებულია საკითხი თხზულებაში შემდეგდროინდელი ჩამატებების შესახებ.

გაზეთ „ივერია“ (1896, 6 აპრილი) გამოუქვეყნებია ცნობა, სადაც ვკითხულობთ: „ჩვენ მივიღეთ ბ.ა. ხახანაშვილის ახალი შრომა „ქართული ხელნაწერი პოემა ვეფხისტყაოსნისა“. გადმოწერილია იმ ხელნაწერიდან, რომელიც ინახება მოსკოვში, გარეშე საქმეთა სამინისტროს უმთავრეს არქივში. წიგნი მეტად საინტერესოა ყველასათვის, ვინც ჩვენს მწერლობას თვალ-ყურს ადევნებს“.

მოსკოვის ერთ-ერთ ჟურნალში (დრევენოსტი ვოსტოჩნიე) 1896 წელს ქვეყნდება ცნობა: მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების 1895 წლის 24 იანვრის სხდომის ოქმში აღნიშნულია, რომ ა. ხახანაშვილს წაუკითხავს მოხსენება ვეფხისტყაოსნის ხელნაწერზე, მითითებულია მოხსენებაში, რომ პოემის ბეჭდურ ტექსტთან შედარებით განსხვავებულ სტროფებზე, ზოგი მათგანი შემდგომ ინტერპოლაციას წარმოადგენსო. (იმედაშვილი, 1957, გვ. 202).

1898 წლის იანვარში ჟურნალ „მომამბეში“ (№1) დაიბეჭდა ა. ხახანაშვილის „პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები“. ხელნაწერთა მოკლე აღწერილობაში აღნიშნულია „ვეფხისტყაოსნის“ რამდენიმე ნუსხა:

1. „ტარიელის რომანი ლექსად, 1 კაბად. ასლი სრულია, მაგრამ სისწორეს მოკლებულია (ნამდვილი სათაური ამ რომანისა არის „ვეფხისტყაოსანი“). ტარიელი სახელია უმთავრესი გმირისა. დამწერი რუსთაველია, 268 ფურც“.
2. „რომანი ტარიელისა ლექსად. შემოწირულია სამეფო ბიბლიოთეკაში ბ–ნ განბას მიერ. ხელნაწერი ახალი დროისაა. გადაწერილია 1811 წელს იოანე იალღუზოვის მიერ, თვით პოემა ეკუთვნის მე–XII საუკ. ბ–ნმა ბროსემ დაბეჭდა პოემის ნაწყვეტი „ჟურნალ აზიატიკ“–ში. არც ეს ასლი, როგორც ზემოდ მოხსენებული, არ არის სრული“.
3. „VII (მეშვიდე), დაწერილია ტყავზე მე–XVII–XVIII საუკ. ხელით, მხედრული ასოებით. ჰქონია მინაწერი „დიალ ცუდი ვეფხის ტყაოსანია“. ავტორი მოკლედ ახასიათებს ხელნაწერის შედგენილობას.
4. VIII (მერვე). ვეფხისტყაოსნის ხელნაწერი გადაწერილი იოანე იალღუზის ძის მიერ.
5. ავტორი ბარამისა და გულიჯას დახასიათებისას აღნიშნავს ზოგ მსგავსებას ვეფხისტყაოსნის ცალკეულ ადგილებთან.
6. XXIV (ოცდამეოთხე). აღწერილია ვახტანგ მეექვსის მიერ დაბეჭდილი ვეფხისტყაოსანი, რომელსაც შიგა და შიგ ჰქონია ხელით ნაწერი ფურცლები.

გაზეთ „ივერიაში“ (1899, 6 თებერვალი) გამოუქვეყნებულია მღვდ. დ. ვარდიაშვილის „ხელნაწერი ვეფხისტყაოსანი ერევანში“. აქ საუბარია ერევანში, თათრის ოჯახში, აღმოჩენილ ვეფხისტყაოსნის ხელნაწერზე. შენიშნულია, რომ ხელნაწერს თავსა და ბოლოში აკლია სტროფები. დ. ვარდიაშვილს ეს ხელნაწერი შეუდარებია „ვეფხისტყაოსნის“ 1887 წლის გამოცემისათვის (ცხადია, იგულისხმება გრიგოლ ჩარკვიანის გამოცემა, ეს იყო რიგით მერვე გამოცემა) და გამოუტანია დასკვნა, რომ ხელნაწერში ბეჭდურთან შედარებით გვხვდება ბევრი ზედმეტი სტროფი. ხელნაწერის ტექსტს ჰქონია ანდერძები. ბოლოს ავტორი გვარკვევს იმაში, რომ თურმე ეს ხელნაწერი ჰქონია ერევნის ვიცე-გუბერნატორს ნაკაშიძეს. იგი მოითხოვს რუსთაველის პოემის ტექსტის დადგენისას მისით სარგებლობას.

აღსანიშნავია, რომ ერევნის გუბერნიაში, კერძოდ, დაბა ივდირში აღმოჩენილი ვეფხისტყაოსნის ხელნაწერზე ცნობები მეორდება გაზეთებში: „ნოვოე ობოზრენიე“ (1899, 4 თებერვალი) და „ცნობის ფურცელში“ (1899, 5 თებერვალი).

ერევნის გუბერნიაში ნაპოვნ ვეფხისტყაოსნის ხელნაწერს გამოხმაურებია ზაქარია ჭიჭინაძე და იგი „შესანიშნავ ვარიანტად“ არ მიუჩნევია. მისი აზრით, ის ადგილები, რომლებიც 1888 წელს გამოცემულ ვეფხისტყაოსნის ტექსტში არ მოიპოვება, XVII საუკუნეშია დაწერილი ნაწილა ციციშვილის მიერ. მისი თქმით, ამ ადგილებს „ცხადათ აკლია რუსთაველის შემოქმედებითი ძალა, მკვეთრი ბასრი ტალი და

დიდი მხატვარ ხელოვნება“ მიუხედავად ამისა, ზაქარია ჭიჭინაძის თანახმად, ამ ხელნაწერს გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება რუსთაველის პოემის ტექსტის დასადგენად. აუცილებლობად ესახება მისი გამოყენება ვეფხისტყაოსნის დაბეჭდვისას. (ჭიჭინაძე, 1899, გვ. 3).

ირკვევა, რომ XIX საუკუნის 90-იან წლებში ალ. ხახანაშვილი განსაკუთრებული ინტერესს იჩენს ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა მიმართ. ამისი კიდევ ერთი დასტურია ჟურნალ „კვალში“ (1899, 4 აპრილი) მის მიერ გამოქვეყნებული „ვეფხისტყაოსნის ახალი ვარიანტების შესახებ“. აქ ავტორი ეხმაურება ერევნის გუბერნიაში ნაპოვნ ვეფხისტყაოსნის ხელნაწერს, უდარებს მას პ. კარბელაშვილის მიერ ნაპოვნ რუსთაველის პოემას და სხვა ხელნაწერებს. დაუდასტურებია მათი ერთნაირობა, რომლებიც ხასიათდებიან თხზულების გაგრძელებებით. ხელნაწერთა ურთიერთობის დახასიათებისას ა. ხახანაშვილს გამოაქვს დასკვნა, რომ მასში უცნობი და ახალი არაფერია, მაგრამ მაინც აუცილებელია მისი დაცვა.

ასეთია მოკლედ „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერების (გაგრძელებებითურთ) თავგადასავალი და რაობა მთელი XIX საუკუნის მანძილზე. ხელნაწერების ჭირისუფალთაგან კვლავ გამოვყოფდით პლ. იოსელიანის, პ. კარბელაშვილის, ეპისკოპოს კირიონის და ა. ხახანაშვილის ღვაწლს.

ბიბლიოგრაფია:

დროება. (1881 წლის 11 იანვარი).

დროება. (1881). (129).

ერისთავი, რ., გოგებაშვილი, ი., & მეუნარგია, ი. (1880 წლის 15 ნოემბერი). ვეფხის ტყაოსნის რედაქცია.

დროება (241), გვ. 1-2.

ივერია. (1880). *ივერია* (111).

იმედაშვილი, გ. (1957). *რუსთველოლოგიური ლიტერატურა*. თბილისი.

კარბელაშვილი, პ. (1880 წლის 21 ივნისი). შოთა რუსთაველის „ვეფხის ტყაოსნის“ განგრძობა. *დროება* (32).

კოტოჩი. (1879 წლის 21 თებერვალი). *დროება* (38), გვ. 3.

ლეონიძე, გ. (1949). *ძიებანი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან*. თბილისი.

მენაბდე, დ. (2003). იონა მეუნარგია - „ვეფხისტყაოსნის“ გამომცემელი და მთარგმნელი.

რუსთველოლოგია (II).

როინიშვილი, ა. (1879 წლის 3 მარტი). წერილი რედაქტორთან. *დროება* (47), გვ. 3-4.

უმიაშვილი, პ. (1877 წლის 29 ნოემბერი). გარდამწერი ქართული წიგნის დავით რექტორი. *ივერია* (8).

შარაძე, გ. (1982). *პლატონ იოსელიანი – რუსთველოლოგი*. თბილისი.

ცაიშვილი, ს. (1984). *წერილები და გამოკვლევები* (ტ. I). თბილისი.

ჭიჭინაძე, ზ. (1899 წლის 3 მარტი). მცირე შენიშვნა. *ცნობის ფურცელი*.

Зотов, В. (1877). Грузинская Литература. В *История всемирной литературы в общих очерках, биографиях, характеристиках и образцах* (Т. I). Санкт-Петербург: М.О. Вольф.

Кавказ. (Март 1847 г.). (9).

Обзор. (22 июнь 1880 г.). (534).

Обзор. (23 июнь 1880 г.).

Tite Mosia

Sokhumi State University

FOR THE RESEARCH OF THE TEXTUAL ISSUES OF "THE KNIGHT IN THE PANTHER'S SKIN" IN THE 19TH CENTURY RESUME

Today, it has been studied 162 manuscripts and 32 fragments of "The Knight in the Panther's Skin". The old manuscripts are dated by the XVII century. One of the fragments is of the XVI century. The oldest dated manuscript is the text of the of the poem rewritten by Mamuka Tavakalashvili in Zugdidi at Levan II Dadiani Main Hall in 1646. There are numbers of stanzas of the "The Knight in the Panther's Skin" on the manuscripts and material monuments.

Throughout the 19th century, people in Georgia continued, despite the unbearable conditions, collecting and processing of the Manuscripts of "The knight in the Panther's Skin", as well as making the ability to read the text and to publish it in such a way. All the said above is about add-ons of Rustaveli's genius poems. In this direction, the most distinguished patrons of the text of "The knight in the Panther's Skin" are: Pl. Ioseliani, P. Karbelashvili, Bishop Kirian, Al. Khakhanashvili.

Keywords: Textology, The knight in the panther's skin, Manuscript, Journal.

COMMUNICATIVE FUNCTIONS OF LANGUAGE: SEMANTIC TRANSFORMATIONS OF VERBS IN AVIATION ENGLISH

Abstract. The article deals with the problem of defining the communicative functions of Aviation radiotelephony discourse. The communicative function of an utterance corresponds to the speaker's intention in producing a given message. The author gives the analyses of the language forms and functions. Also the classification of language functions has been presented. In the paper, the authors analyze the language forms and functions of radiotelephony and classifies them into seven different functions of language: instrumental, regulatory, representational, interactional, personal, heuristic, imaginative. The functions of Aviation radiotelephony discourse have been grouped into four categories corresponding to their role in carrying out ATC and piloting tasks. These categories are: triggering actions, sharing information, managing the pilot-controller relationship and managing the dialogue. In addition the specific features of ICAO Aviation English as an important factor of safety of flights have been analyzed in the article; and the tendencies concerning professional preparation of English for aviation specialists at Flight educational institutions of Ukraine have been outlined and descriptors of linguistic skills and proficiency have been described according to the linguistic qualification scale of ICAO; priority directions of the modern approaches in teaching of English at Flight educational institutions have been selected. Taking into account the construction of the system of professional preparation of future aviation specialists, and, having studied the main provisions of researches in this respect, in the article the authors analyze concepts „verb”, „characteristic”, „level” and „semantic transformation” in the context of the professional preparation of aviation specialists and radio communication between pilots and controllers.

Keywords: ICAO, Communication, Communicative function, Aviation English, International standards, Verb, Semantic transformation, Pilot-controller dialogue.

Introduction. Air-Ground communication is the passage of voice and data between an aircraft and a ground station such as air traffic control or an aircraft operating agency. Until data link communication comes into widespread use, air traffic control will continue to depend heavily upon voice communications, which are affected by various factors. Any breakdown in communication between the pilot and ATCO can result in a hazardous situation, especially in controlled airspace. Alternative means of communication do currently exist but they are still very limited in their capability to substitute for radiotelephony as usually employed. Problems with Air-Ground Communications have been a significant cause or a contributory factor in many aircraft accidents and serious incidents.

Communication breakdown may result from: failure to hear or to respond to a message because of communication equipment problems caused by malfunction or complete failure of aircraft or ground equipment – although this is becoming less of an issue with improved system redundancy; radio interference, which makes the message difficult or impossible to read; blocked transmission; call-sign confusion - the message is wrongly addressed or was taken by another aircraft; Flight crew unintended mismanagement of radio frequency or box selection - which remains one of the main causes of prolonged loss of communication; a breakdown in radio discipline resulting in the pilot receiving and acting on an incorrect version of the message passed, due to failure to use standard phraseology; poor language skills and failure of the read-back/hear-back process; effects. (Manual on the Implementation of ICAO Language Proficiency Requirements, 2004)

Communication breakdown may result in the pilot not flying the required vertical profile which may lead to a level bust, or not following the required horizontal profile. Either situation may cause the aircraft to make an unauthorized entry into designated airspace (airspace infringement) which may lead to the disruption of air traffic causing risk to other airspace users and an increased workload for pilots and controllers, or may put the infringing aircraft at risk from ground hazards such as artillery firing (anti-aircraft fire). Either situation can lead to loss of (or) separation from other aircraft, or airborne objects (balloons or parachutists, for example) which may result in collision. Level bust may also lead to collision with an obstacle or the ground (CFIT). Injury to cabin crew or passengers, may be occasioned by sudden maneuvers to avoid collision with other aircraft or the ground, or as a result of a wake vortex turbulence encounter. The pilot changing to an incorrect frequency or not implementing a frequency change, can lead to: loss of situation awareness; inability to respond to further clearance or to emergency instructions, e.g. avoiding action. Contributory Factors are: pilot workload; ATCO workload; inadequate language proficiency; frequency congestion; non-standard phraseology; radio interference; distractions or interruptions; fatigue; weather; emergency communications. (Sirichenko, 2012, p. 53)

The communicative function of an utterance corresponds to the speaker's intention in producing a given message. For example, his/her intention may be to *request information*, to *thank*, to *deny approval* and so on.

Analysis of recent research and publications. The theoretical underpinning for describing language functions derives from the work of linguists such as J. L. Austin, M. A. K. Halliday, J. R. Searle. More recently these theoretical categories have been of practical use in discourse analysis by such researchers as M. Coulthard, E. Roulet, J. Sinclair. Different aspects of linguistic problems, such as term translation (etymology of term-formation; terminology antinomies; terminology synonymy and homonymy; term standardization; translation transformations and others) have been researched in the scientific papers of B. Golovina, T. Kiyaka, In. Karabana, D. Lotte, Z. Kudel'ko, F. Citkinoy and other scientists.

The **aim** of this article is to define communicative functions of Aviation English and to highlight the main differences in the usage of verbs in radio communication between pilots and controllers.

Presentation of the main material. Pragmatic conventions of language are sometimes difficult to learn because of the disparity between language forms and functions. While forms are the outward manifestation of language, functions are the realization of those forms. «How much does that coast? » is usually a form functioning as a question, and “He bought a car” functions as a statement, but linguistic forms are not always unambiguous in their function. "I can't find my umbrella," uttered by a frustrated adult who is late for work on a rainy day may be a frantic request for all in the household to join in a search. A child who says "I want some ice cream" is rarely stating a simple fact or observation but requesting ice cream in her own intimate register. A sign on the street that says "one way" functions to guide traffic in only one direction.

Communication may be regarded as a combination of acts, a series of elements with purpose and intent. Communication is not merely an event, something that happens; it is functional, purposive, and designed to bring about some effect-some change, however subtle or unobservable- on the environment of hearers and speakers. Communication is a series of communicative acts or speech acts, to use John Austin's term (Austin, 1962), which are used systematically to accomplish particular purposes. Austin stressed the importance of consequences, the perlocutionary force, of linguistic communication. Researchers have since been led to examine communication in terms of the effect that utterances achieve. That effect has implications for both the production and comprehension of an utterance; both modes of performance serve to bring the communicative act to its ultimate purpose.

The functional approach to describing language is one that has its roots in traditions of the British linguist J.R. Firth who viewed language as interactive and interpersonal, “a way of behaving and making others behave”. (Firth, 1957) Since then the term function has been variously interpreted. Michael Halliday (Halliday, 1970), who provided one of the best expositions of language functions, used the term to mean the purposive nature of communication, and outlined seven different functions of language:

1. The *instrumental* function serves to manipulate the environment to cause certain events to happen.
2. The *regulatory* function of language is the control of events. While such control is sometimes difficult to distinguish from the instrumental function, regulatory functions of language are not so much the "unleashing" of certain power as the maintenance of control.
3. The *representational* function is the use of language to make statements, convey facts and knowledge, explain, or report-that is, to "represent" reality as one sees it.
4. The *interactional* function of language serves to ensure social maintenance. “Phatic communion”, Malinowski's term referring to the communicative contact between and among human beings that simply allows them to establish social contact and to keep channels of communication open, is part of the interactional function of language. Successful interactional communication requires knowledge of slang, jargon, jokes, folklore, cultural mores, politeness and formality expectations, and other keys to social exchange.
5. The *personal* function allows a speaker to express feelings, emotions, personality, "gut-level" recreations. A person's individuality is usually characterized by his or her use of the personal function of communication. In the personal nature of language, cognition, affect and culture all interact in ways that have not yet been explored.
6. The *heuristic* function involves language used to acquire knowledge, to learn about the environment. Heuristic function is often conveyed in the form of questions that will lead to answers.
7. The *imaginative* function serves to create imaginary systems or ideas. Telling fairy tales, joking, or writing a novel are all uses of the imaginative function.

These seven different functions of language are neither discrete nor mutually exclusive. A single sentence or conversation might incorporate many different functions simultaneously.

Yet it is the understanding of how to use linguistic forms to achieve these functions of language that comprises the crux of second language learning. A learner may acquire correct word order, syntax, and lexical items but not understand how to achieve a desired and intended function through careful selection of words, structure, intonation, nonverbal signals, and astute perception of the context of a particular stretch of discourse. Halliday's seven functions of language tend to mask the almost infinite variety and complexity of functions that we accomplish through language. Van Ek and Alexander's taxonomy lists almost 70 different functions to be taught in English curricula. Some of these functions are listed below:

- Greeting, parting, inviting, accepting;
- Complimenting, congratulating, flattering, seducing, charming, bragging;
- Interrupting;
- Requesting;
- Evading, lying, shifting blame, changing the subject;

- Criticizing, reprimanding, ridiculing, insulting, threatening, warning;
- Complaining;
- Accusing, denying;
- Agreeing, disagreeing, arguing;
- Persuading, insisting, suggesting, reminding, asserting, advising;
- Reporting, evaluating, commenting;
- Commanding, ordering, demanding;
- Questioning, probing;
- Sympathizing;
- Apologizing, making excuses. (Van Ek & Alexander, 1980)

All of these fall into one or more of Halliday's seven functions, and all of them are common everyday acts whose performance requires knowledge of language.

Since intentions are inherently linked to the activities that are being undertaken by the speakers, it is evident that those tasks which are peculiar to the jobs of pilot and controller will give rise to a limited range of communicative functions occurring with a high degree of frequency.

J. Melll & C. Godmet suggest the dominant functions in pilot-controller dialogue. The functions have been grouped into four categories corresponding to their role in carrying out ATC and piloting tasks. These categories are:

1. Triggering actions
2. Sharing information
3. Managing the pilot-controller relationship
4. Managing the dialogue. (Mell & Godmet, 2002)

The "triggering actions" category is the core function of pilot-controller communications. Supporting the core is the "sharing information" category in the sense that appropriate actions can only be triggered when the pilot and controller are in possession of sufficient shared information about the current situation. The two last categories play a subordinate mediating role with regard to the first two. An examination of the functions listed under these headings will help to clarify this idea.

The individual functions in each broad category are labelled in the checklist without making reference to specific ATC/piloting topics such as *clearances to take off, flight plan changes* or *radar identification*. All of these functions and their associated language forms can be usefully learned and practiced by referring to general topics in the context of everyday communication.

The first category 'triggering actions' is realized through orders, requests and offers to act, advice, permissions and undertakings. For example, the orders may take the following forms:

- 1) affirmative sentences: *Skyfly 053, cleared ILS approach, runway 09.*
- 2) imperative sentences: *Critter 592, turn left heading three-three-zero.*

The example of advice: *Traffic avoided thunderstorm to the north.*

The requests can be from the pilot (*Request any known conflicting traffic*) and from the air traffic controller (*Report passing flight level 150*). The peculiar feature of these requests is the usage of different words *request* for a pilot and *report* for an air traffic controller.

The second category 'sharing information' contains the following communicative functions: information concerning present facts, information concerning the future, information concerning immediate/recent past events, information concerning the past, necessity, feasibility/capacity. All these can be addressed both to the pilot and the air traffic controller. For example,

1. *Air Traffic Controller (ATC): Skyfly 102, roger, your expected approach time 35 due traffic.*
 2. *ATC: Are you able to lose 10 minutes on route?*
- Aircraft (ACFT): Negative, only 7 minutes.*

The important part of the radiotelephony communication is managing the pilot-controller relationship that comprises such communicative functions according to the research of J. Melll & C. Godmet: greet/take leave; thank; respond to greeting/leave-taking; respond to thanks; complain; express dissatisfaction; reprimand; apologize; express satisfaction; express concern/apprehension; reassure; encourage. (Mell & Godmet, 2002)

The last category of communicative functions 'managing the dialogue' comprises the following: self-correct; paraphrase; close an exchange; request response; check understanding; check certainty; correct a misunderstanding; read back; acknowledge; declare non-understanding; request repetition; request confirmation; request clarification; give confirmation; give disconfirmation; give clarification; relay an order; relay a request to act; relay a request for permission.

Contextual factors may result in certain functions being more or less "marked" for different attitudes such as *politeness, insistence* and so on. These markers, which may be lexical ("please") or grammatical ("Could you possibly give me...?"), need to be learned and practiced as well as the language structures for the basic functions. Many communicative functions are paired with one another. That is to say that a given function (e. g. *request permission*) is commonly adjacent to another given function (e. g. *give permission*) in the context of an exchange.

The importance of using English verbs in communication cannot be overestimated. In the context of Aviation they undergo some semantical transformations. It means, that they have specific meaning in professional situations. In

table 1 we describe the meaning of standardized verbs according to ICAO documents. (Robertson, 2008, p. 15; Vitriak & Omelianenko, 2007).

Table 1

Differences in the meanings of verbs in General and Aviation English

Verb	Specific meaning of the verb
acknowledge	Let me know that you received and understood this message.
affirm	Yes.
approved	Permission for proposed action granted.
break	I hereby indicate the separation between parts of the message.
break break	I hereby indicate the separation between messages transmitted to different aircraft in a very busy environment.
cancel	Annul the previous transmitted clearance.
check	Examine a system or procedure
cleared	Authorized to proceed under the conditions specified.
confirm	I request verification of an instruction. Information. etc.
contact	Establish radio contact with.
correct	True or accurate
correction	An error has been made in this transmission. The correct version is...
disregard	Consider that transmission as not sent.
how do you read ?	What is the readability of my transmission?
I say again	I repeat for clarity or emphasis.
monitor	Listen out on (frequency).
negative	No, or permission is not granted, or your last transmission was not correct.
readback	Repeat it all, or the specified part of this message back to me exactly as received.
releared	A change has been made to your last clearance and this new clearance supersedes your previous clearance or part thereof.
request	I should like to know, or I wish to obtain.
roger	I have received all of our last transmission.
say again	Repeat all, or the following part, of your last transmission.
speak slower	Reduce your rate of speech.
standby	Wait and I will call you.
wilco	I understand your message and will comply with it.
words twice	Communication is difficult. Please send every word or group of words twice or, since communication is difficult, every word or group of words in this message will be sent twice.
go ahead	Proceed with your message That is exactly right.

There is no doubt that the practical translation of aviation terminology plays a key role in aviation safety. According to the report of the Interstate Aviation committee, the appearance of airlines of CIS states on international airways has resulted in the considerable increase of aviation events and catastrophes due to lack of English language proficiency. One of the main reasons of aviation catastrophes is the insufficient understanding in the process of radio communication between pilots and controllers, improper translation of aviation terms and their transmission through radio communication channels.

Conclusions. The primary purpose of defining the communicative functions is to enable language course planners and teachers to formulate linguistically appropriate objectives for training and testing. While no claim is made for the checklist to be exhaustive, its coverage has been cross-checked against the published results of a number of linguistic or human factors studies of pilot-controller communications.

So, due to the increase in air traffic worldwide, it is imperative that safety standards be strictly adhered to. The research of the professional aviation English terminology is based on the study of the appropriate methods of term-formation, and the proper usage of verbs and their forms. Aviation terminology is still developing; that is why it is more effective to apply all ways of professional translation for full and adequate understanding in the process of pilot-controller's communication.

Based on professional experience and a number of Aviation English research, the authors present the following recommendations for pilots and controllers in their professional communication:

1. Ask for verification of any ATC instruction about which there is a doubt. Don't read back a "best guess" at a clearance, expecting ATC to catch any mistakes. Sometimes controller(s) can miss erroneous pilot readbacks.

2. Ask for clarification or the repeat of any unclear transmission. Don't hesitate to ask again. Try to give a precise readback.

3. Don't expect to "hear what you want to hear". The actual clearance may be different from what you expect because the air traffic situation may change.

4. Controller silence is not confirmation of a readback's correctness, especially during peak traffic periods. Require verbal confirmation from a controller. Clear understanding between a controller and a pilot is absolutely essential for a smooth and safe flight.

Thus, further researches can be conducted in the aspect of standardization of English and Ukrainian aviation terminology and the development of aviation term system.

Bibliography:

Austin, J. L. (1962). *How to do things with words*. Oxford: Oxford University Press.

Firth, J. R. (1957). *Papers in Linguistics 1934-1951*. London: Oxford University Press.

Halliday, M. A. (1970). Language structure and language function. In J. Lyons (Ed.), *New Horizons in Linguistics*. Harmondsworth: Penguin.

Manual on the Implementation of ICAO Language Proficiency Requirements: Doc 9835 AN / 453. (2004). Montreal: ICAO.

Mell, J., & Godmet, C. (2002). *Aeronautical Radiotelephony Communicative Functions*. Direction de la Navigation Aérienne: DNA8 (F).

Robertson, F. A. (2008). *Airpeak*. Centre of Applied Linguistics. France: UK LTD.

Sinclair, J., & Coulthard, M. (1975). *Towards an Analysis of Discourse*. Oxford: Oxford University Press.

Sirichenko, M. A. (2012). *Aviation English for pilots and Air Traffic Controllers*. Donetsk: Donbass Air.

Van Ek, J. A., & Alexander, L. G. (1980). *Threshold Level English (Council of Europe Modern Languages Project)*. Oxford: Pergamon Press.

Vitriak, A. M., & Omelianenko, N. V. (2007). *Radio phraseology for pilots*. Kirovograd: Flight Academy.

*ნიკოლოზ ოთინაშვილი
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი*

ტოპონიმის ენობრივი ფორმები და წარმოება შიდა ქართლის მონაცემების მიხედვით

საკვანძო სიტყვები: ტოპონიმები, პოზიციური, პოსტპოზიციური, ძეგლები.

შესავალი

შიდა ქართლის (ქსნის, ლეხურის, ორივე ლიახვის, მეჯუდის ხეობის) ტოპონიმის შესწავლა ყოველთვის მნიშვნელოვანია ლექსიკოლოგიის თვალსაზრისით.

როგორც ისტორიული წყაროებით დასტურდება, შიდა ქართლის დასახელებული მხარეები მჭიდროდ იყო დასახლებული განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში. ამას კი ჩვენამდე მოღწეული ასეულობით ძეგლი მოწმობს (მაგალითად ლარგვისი, ყანჩაეთი, ბიეთი, იკორთა, აჩაბეთი, ქემერტი, ბელოთი, ერედვი, ვანათი, გერი და სხვა). ისინი მთელი რიგი ელემენტებით კლასიკური ტიპის ძეგლებია და მათი სახელწოდებები ძირითადად წერილობით ძეგლებშია წარმოდგენილი (ვემყარებით მეთვრამეტე საუკუნის ცნობილი მეცნიერის ვახუშტი ბაგრატიონის „საქართველოს გეოგრაფიას“). ისინი ხასიათდება სხვადასხვა ენობრივი ნიშნებით: გეოგრაფიულ სახელთა კუმშვა, კვეცა, ჰიდრონიმთა გავრცობითი ფორმა, წარმოება.

წინამდებარე სტატიაში წარმოდგენილია ძველი თუ ჩვენ მიერ მოძიებული ასზე მეტი, დავიწყებას გადარჩენილი ტოპონიმი, რომლებიც როგორც ძველი ფორმები ცხადყოფს, დღესაც ინარჩუნებს იმავე

პოზიციას. ამიტომ ვფიქრობთ, მათი შესწავლა-ანალიზი საყურადღებოა ენათმეცნიერებაში, რისი მცდელობაცაა წარმოდგენილი წინამდებარე ნაშრომში.

აღნიშნულ საკითხებზე მუშაობდნენ და ზემოხსენებული ხეობების მთელი რიგი მასალები წარმოაჩინეს: მეთვრამეტე საუკუნის ცნობილმა სწავლულმა ვახუშტი ბაგრატიონმა ნაშრომში „საქართველოს გეოგრაფია“, მკვლევარმა მეცნიერმა ჯონდო გვასალიამ 1983 წელს გამოსცა მონოგრაფია სათაურით „აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები“, პროფესორმა კობა ხარაძემ ნაშრომში „საქართველოს ისტორიული გეოგრაფია, შიდა ქართლი 1992 წ.“, პროფესორმა როლანდ თოფჩიშვილმა მონოგრაფიაში „დვალეთი და დვალეები“, ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატთან „მეგლი ერისთავთა“ და სხვ.

აღნიშნული ნაშრომებიც არაა წერილობით ძეგლებში შენარჩუნებული და თანამედროვე ეტაპზე ჩვენამდე მოღწეული ტოპონიმების ენობრივი კვლევა და შედარებითი ანალიზი, რაც მოგვცემს სათანადო დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას.

ძირითადი ნაწილი

შიდა ქართლის დასახლებების სურათის ზუსტად წარმოსაჩენად, მათი ლოკალიზაციისათვის, სემანტიკისათვის არაერთი ნაშრომი გვაქვს მიძღვნილი. აქ იგულისხმება ყოფილი ოლქის ტერიტორია, კონკრეტულად კი ქსნის, მეჯუდის, ლეხურის, ორივე ლიახვის ხევ-ხეობები, რომელთა ტოპონიმია ყოველთვის საინტერესოა მეცნიერული, თუნდაც პოლიტიკური ასპექტებით.

აღნიშნული მხარე არის შუა ქართლის ცენტრალური ნაწილი, რომელიც მოიცავს ისტორიული სამაჩაბლოს, ქსნის საერისთავოს, საფალავანდიშვილოს, სავახტანგოსა და სხვებს, რომელთა შესწავლა ზემოხსენებული ავტორების ნაშრომებშიც არის მოცემული, მაგრამ ყოველივე ეს ეპიზოდურ ხასიათს ატარებდა და მთლიანობაში, განსაკუთრებით ენობრივი თვალსაზრისით არ ყოფილა შესწავლილი. ყოველივე ამას კი ხელს უშლიდა მხარეში უკანონოდ შექმნილი უცხოტომელთა ე.წ. ოლქი, რომელთა მესვეურები ათეული წლების განმავლობაში ანადგურებდნენ ქართული მატერიალური კულტურის ძეგლებს და ეს არის ძირითადი მიზეზი, რომ ბევრი ძეგლი აღიგავა პირისაგან მიწისა.

აღნიშნული ხეობები ისეთ კლიმატურ ზონაში მდებარეობენ, რომ ძველი დროიდანვე ეკონომიკურად დაწინაურებული იყო, რასაც არაერთი წყარო აღნიშნავს. ვახუშტი ბაგრატიონი გამოყოფს ამ რეგიონის მთისა და ბარის სიმბიოზს და აღნიშნავს ორივეს ეკონომიკურ შესაძლებლობებს.

ასეთ ძეგლებს თავისი წერილობითი წყაროები გააჩნდა და გააჩნია დღესაც, ეს წერილობითი წყაროები კი არის ტიპიკონები, ჟამნ-გულანები, სიგელ-გუჯრები, ანდერძები და სხვები, რომლებიც მოგვითხრობენ სახელდების ობიექტის შესახებ, რაც ფასეული წყაროა ტოპონიმის, საერთოდ ონომასტიკის მონაცემების შესახებ.

ხსენებული რეგიონის ტოპონიმია მრავალპლანიანია, მაგრამ უფრო მიზანშეწონილია საკუთრივ ტოპონიმურ წარმოებაზე ყურადღების განსაკუთრებული გამოვლენა. მხედველობაში გვაქვს გეოგრაფიული ძეგლების სახელები, რომლებიც ბრუნების მიხედვით უტოლდებიან საზოგადო სახელებს, ასევე ექვემდებარებიან კუმშვისა და კვეცის წესებს, დაერთვით ემფატიკური ა და სხვა ენობრივი კრიტერიუმები.

ჩვენ განვიხილავთ ზემოხსენებული ხეობების ციხე-სიმაგრეებს, ეკლესიონიმებს ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერის“ მიხედვით, რომელიც მან მეთვრამეტე საუკუნის ოც-ოცდაათიან წლებში განახორციელა. ამასთან ასეთი ტიპის ძეგლები ხეობებში ასეულობითაა და პარალელურად წარმოვადგენთ ჩვენ აღწერის მასალებს, ასევე ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატთან „მეგლი ერისთავთა“ მონაცემებს. ასევე ველზე გვაქვს ჩატარებული ჩვენეული აღწერები.

საერთოდ გეოგრაფიული ტოპონიმები, ანთროპონიმები, ციხე-სიმაგრეები, ეკლესიონიმები მასალის კულტურული განვითარების სოციალ-პოლიტიკურ და კულტურულ ვითარებას ასახავს სხვადასხვა საუკუნეებში.

ასეთ სახელებს ნათესაობითი ბრუნვა ისე აქვთ ნაწარმოები, როგორც საზოგადო სახელებს.

ვახუშტი ბაგრატიონის „საქართველოს გეოგრაფიიდან“ მოვიყვანთ მაგალითებს:

პრეპოზიციული წყობა, გეოგრაფიული სახელი განსაზღვრებაა, წინ უძღვის საზღვრულს:

არს ახალდაბის (დღევანდელი ბალაანი ქსნის ხეობაში) ციხე ამილახორისა

ზებეყურის მთის ძირს არს ხადის ციხე

ორბოძალის კალთასა ზედა არს კულბითის ციხე

ვანათის ციხე შემუსვრილი განაახლა შანშემ

პატარა ლიახვისკენ არს ერედვის ციხე

მალა გორასა ზედა არს ციხე

არს ერედვის ციხე და ეკლესია

ბეხუშის ციხე, ჩაბარუხის კოშკი, შამბირეთის ციხე, ინაურის ციხე, რეხის კოშკი, სიათის ციხე, აწერისხევის ციხე, ბელოთის ციხე, ლეკოანის ციხე, ჭრიის ციხე, ხადურთანის კოშკი, ქარაოხის ციხე, ალავერდის ციხე, უკანუბნის ციხე, ციხისოფლის ციხე, წინუბნის ციხე, ბერციხე, კარას ციხე, წინკიბის ციხე, გავაზის ციხე, წირქოლის ციხე, ლარგვისის ციხე, ქვენიფნევის ციხე, ხადის ციხე და სხვები.

უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი ტიპის გეოგრაფიული სახელები, თავდაცვისათვის იყო გამოყენებული და ბუნებრივია მოსახლეობა ამ სიმაგრეებთან ახლოს სახლდებოდა, სახელიც იმ სოფლის მიხედვით იყო დარქმეული.

შუა საუკუნეების პირველხორისხოვანი წერილობითი ძეგლია „ძეგლი ერისთავთა“, რომელიც ქსნის, ლიახვისა და სხვა ხეობების პოლიტიკურ ამბებს მოგვითხრობს. აქ დასახელებულია იმდროინდელი მეცამეტე-მეთოთხმეტე საუკუნეების რამდენიმე ციხე-სიმაგრის სახელი, რომლებიც ჩართული იყვნენ ზემო ქართლის პოლიტიკურ ამბებში.

პრეპოზიციული წყობა

მისცეს ციხისთავისა ნაქონებნი სოფელნი.

ციხისა და სახლებისა იწყეს შენებად.

ციხეთა ჰბრძოდეს ქოლოთს და ისროლს.

მოჰმართა ციხესა დარიალისათა.

მოადგეს ციხესა გველეთისასა.

აღაშენა უკანციხე თავსა ისროლის ხევისასა და დარბაზოვანი ქვენიფნევის.

პოსტპოზიციური წყობა

მოადგეს სამხრით ციხეთა ქსნისათა.

დარჩეს ერისთავს თავადი ციხე ქვენიფნევის და ციხე

ქოლოთისაჲ, ციხენი ისროლისანი, ციხე ბეხუშისაჲ. (მესხია, 1954, გვ. 360)

ციხენი უკანუბნისანი...

აილო მას დღესა რვაჲ ციხე.

დაწვეს ყარს ციხე და სოფელი ხუთი.

შეუხდა ლაშქარი მას სიმაგრესა და აიღეს. (მესხია, 1954, გვ. 361)

პოსტპოზიციური წყობის დროს გეოგრაფიული სახელი განსაზღვრებადაა გამოყენებული და მოსდევს საზღვრულს. ვახუშტის „აღწერა“:

საშუალო ჟამურსა არს ციხე, ბერციხედ წოდვილი.

ჟამურის მხარე არს კოშკნი წარიგებულნი მრავალნი.

არს წინკიბე ფრიად მაგარი.

რეხულას სამხრით არს ციხე მცირე.

მთის კალთასა ზედა არს ციხე მცირე.

გეოგრაფიული სახელები ასევე გვხვდება მიცემით ბრუნვაში:

არს ციხე დაბასა წირქვალს.

ჩრდილოთ არს მონასტერი ყანჩეთს.

ხევი გამოსდის ლომისას.

ორივე ლიახვის ხეობაში ასამდე დასახლებული პუნქტი, ასევე ბევრი ნასოფლარი დავაფიქსირეთ, რომლებიც არცთუ დიდი ხნის წინათ მოქმედი სოფლები იყო, მაგრამ მიგრაციის, პოლიტიკური მოვლენების შედეგად დაიცალა, მოსახლეობა დაიფანტა, ეთნიკურად შეიცვალა, მაგრამ წარმოება მაინც დარჩა.

აძვისთავის წმიდა გიორგის ეკლესია, მდებარეობს გვერდისძირზე, ჩრდილოეთ ტყეში, აქვე იყო სოფელი, ეხლა ნასოფლარია.

წმ. მარიამის ეკლესია მდ. პატარა ლიახვის ზემო მხარეს სოფელ აწერისხევის ჩრდილოეთით, იყო მცირე დასახლება.

ლომისის წმ. გიორგის ეკლესია პატარა ლიახვის ხეობის ნასოფლარ ახალსაში.

ლომისას ნიშები-ეკლესიები ასევე არის აწერისხევაში, ბელოთში, საცხენეთში, ნასოფლარ რეხაში.

ბერიჯვრის ეკლესია - ნასოფლარში.

გერის წმ. გიორგი, პატარა ლიახვის ხეობაში, სოფელ ქემერტში და ქურთაში.

დვალიანთკარის წმ. გიორგის ეკლესია, მეჯუდის ხეობაში, სოფლის ჩრდილოეთით.

გრიგოლწმინდის ეკლესია სოფელ თამარაშენში.

ხუციურის ეკლესია სოფელ მონასტერში.

ზალდის წმ. გიორგის ეკლესია სვერისხევის ხეობაში და სხვა.

ჩვეულებრივ იკუმშებიან ასეთი ტიპის სახელები:

ბერიჯვარი - ბერიჯვრის.

ძელიცხოველი - ძელიცხოვლის.

თამარაშენი - თამარაშნის.

ზონკარი - ზონკრის.

კვეცა: ელტურა - ელტურის ქვაჯვარი.

ზალდა - ზალდის ეკლესია - ლალისა.

ვილდა - ვილდის ეკლესია, კოშკი, მეჯუდის ხეობა, არის ნასოფლარი.

აბოწმინდა - აბოწმინდის ეკლესია, არის ნასოფლარი მონასტრის გზაზე.

იკორთა - იკორთის ტაძარი, გვერდისძირზე.

ხელჩუა - ხელჩუის ეკლესია.

შიოწმინდა - შიოწმინდის ეკლესია, სოფელ ქემერტში.

ზაქარწმინდა - ზაქარწმინდის ეკლესია სოფელ მონასტერში, დიდი ლიახვის ხეობაში და სხვა.

აღწერა ქსნისა (ბაგრატიონი, 1997, გვ. 70-72)

ციხე-ეკლესია

არს ციხე დაბასა წირქვალს.

არს ახალდაბის ციხე ამილახორისა.

ჩრდილოთ არს მონასტირი კაბენი ყანჩიეთს.

ზებეყურის მთის ძირს არს ხადისციხე.

აქა ჰყო შანშემ ციხე. (ბაგრატიონი, 1997, გვ. 17)

ამის ჩრდილოთ ერთვის კსანს ცხრაზმის ხევი გამოსდის ლომისას.

არს ციხე ქარჩოხისა.

საშუალ ჟამურსა არს ციხე ბერციხედ წოდვილ კლდესა ზედა მდგომარე.

ჟამურის მხარეს ამ მთასზედა არს კოშკნი წარიგებულნი მრავალნი მაღალნი და კეთილნაშენნი.

ამ მთის სამკრით არს ჭურთის კევი და სად ერთვის ამ წყალს ცხრაწყაროს წყალ ამ ორთა წყალ შუა

არს ციხე წინკიბე ფრიად მაგარი.

რეხელას სამხრით არს ციხე მცირე.

აღწერა ისროლისკვევისა

არს ისროლისკვევი ბიყრისკვეს ზეით, ეს მდინარე არს მეჯუდა. გამოსდის ჟამურის მთისკალთასა არს ამატურთკარი და ციხე.

დიდი და პატარა ლიახვის ხეობებში

მატერიალური ძეგლების ლოკალიზაცია და წარმოება

ნათესაობითი ბრუნვა

ნასოფლარი ახალისა, ლომისის წმ. გიორგი.

აწრისხევი, წმ. მარიამის ეკლესია.

ბელოთი, ქაშუეთის ეკლესია.

ბელოთი, ღვთისმშობლის ეკლესია.

ბელოთი, ლომისის ნიში.

ბელოთი, ბელოთის ციხე.

ნასოფლარი ლაჭურის წმ. გიორგი.

სოფ. ძვრიას წმ. გიორგი.

ნასოფლარი გუდისის წმ. გიორგი.

სოფ. კეხვის ციხე.

კეხვის წმ. გიორგი.

ს. სვერი, სვერის ციხე.

ს. ზალდა, ზალდის ღვთისმშობელი.

ს. ზალდის ლალისის ეკლესია.

დვალთანთკარის ეკლესია.

გუდისის წმ. გიორგი.

დისევის ძელიცხოველი.

კუმშვადი სახელები

ნასოფლარი ბერიჯვრის ეკლესია.

ბირყის წმ. გიორგი.

ბიყრის კოშკი.

ნასოფლარი ბეგიანთკარის ციხე (ბეგიაშვილი).

ვილდის ციხე.

ვილდის ღვთისმშობელი.

ელტურის ქვაჯვარი.

კვეცადი სახელები

აჩაბეთი, აბოწმიდის ნიში.

ნასოფლარი, იკორთის ციხე.

ხელოის კვირაცხოველი.

სვერი, ზაქარწმინდის ეკლესია (წმ. გიორგი).

გუფთის წმ. გიორგი.

ჯავის ღვთისმშობელი.

როკის წმ. გიორგი.

ხწვის ნიში.

კოდიბინის ეკლესია.

ბუზალის ღვთისმშობელი და სხვა.

მუგუთის ციხე.

ნასოფლარ კოშკის ციხე.

ნასოფლარ კოშკის ეკლესია.

წარმოების დროს გამოიყოფა გეოგრაფიული სახელი, რომელიც მსაზღვრელს წარმოადგენს და წინ უძღვის საზღვრულს, ამ დროს გვაქვს პრეპოზიციური წყობა:

არს სამხრით ჭურთის ჯევი.

არს ცხრაწყაროს წყალი.

აღწერა ისროლისჯხევისა.

არს ისროლისჯევი ბიყრისჯევს ზეით.

ბელოთს ზეით ერთვის ფიტრისის ჯევი.

პატარა ლიახვს აღმოსავლიდამ ერთვის მერისჯევი.

ჰიდრონიმი წარმოების დროს გვხვდება გავრცობილი ფორმით, წყობა კი პოსტპოზიციურია:

ლიახვს მიერთვის ჯევი კოშკისა.

დასავლიდამ ლიახვს ერთვის ჯევი მერისა.

ერთვის ლიახვს ჯევი ჩაბარუხეთისა.

ქურთათას ზეით მოერთვის დასავლიდამ ჯევი

ქურთულის წყლისა

არს ხეობა ვალაგირისა და ფაიქომისა და სხვა.

ჰიდრონიმები სხვადასხვა ბრუნვის ფორმით არის წარმოდგენილი:

1. სახელობითი: ცხრამმულა//ცხრაზმულა, დადიანურა, რევაზიანურა, არახეთის წყალი, აწერისხევი, შანზიანის წყალი, ცხრაწყაროს წყალი, შუშრაწყარო, ჭურთისხევი, მთისჯევი, ლაფაჩებისჯევი, კოდისწყალი, ბუათისჯევი, ხადილაანთჯევი, წყარონი, ჯევი, დამზღვრულწყალი...

2. მიცემითი: უწოდებენ ვემას, ერთვის პატარა ლიახვს, ბიყრის ჯევს, მეჯუდას, მერისჯევს, ორ ჯევსშუა, მოერთვის ამ ჯევს, ისროლისჯევს...

3. ნათესაობითი: ჯევი ქურთულის წყლისა ქსნისჯეობისა, ჟღელეს ჯეობის წყალი, ერთვის მერისჯევი, ერთვის მეჯუდას ბიყრისჯევი, ერთვის ფოტრისისჯევი, ფოტრისისჯევს ზეით არს აწერისჯევი...

მეთოდოლოგია

გამოყენებულია შედარებითი მეთოდი, ანალიზის მეთოდი

შედეგები და დასკვნები

წინამდებარე ნაშრომში ჩვენ მიერ წარმოდგენილი კვლევის შედეგად ცხადი გახდა, რომ თანამედროვე ეტაპზე (2008 წლამდე და შემდგომ) ჩაწერილი შიდა ქართლის (ქსნის, ლეხურის, მეუჯუდის, ორივე ლიახვის ხეობების) ტოპონიმები ენობრივი თვალსაზრისით გამძლე აღმოჩნდა ძველ ფორმებთან შედარებითი და დღესაც ინაჩუნებს იმავე პოზიციას, რის დასაბუთებაც სიახლედ ითვლება საერთოდ ენათმეცნიერებაში, ლექსიკოლოგიაში.

ბიბლიოგრაფია:

- ზაგრატიონი, ვ. (1997). *საქართველოს გეოგრაფია*. თბილისი: მეცნიერება.
- გვასალია, ჯ. (1983). *აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები (შიდა ქართლი)*. თბილისი: მეცნიერება.
- თოფჩიშვილი, რ. (2016). *დეალები და დეალები*. თბილისი: უნივერსალი.
- მესხია, შ. (1954). ძველი ერისთავთა (ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატთანე). *მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის* (ნაკ. 30). თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.
- ხარაძე, ვ. (1992). *საქართველოს ისტორიული გეოგრაფია, შიდა ქართლი*. თბილისი: განათლება.

Nikoloz Otinashvili
Gori State Teaching University
**LINGUISTIC FORMS AND FORMATION OF TOPONYMS
ACCORDING TO SHIDA KARTLI DATA
RESUME**

Study of Shida Kartli (Ksnis, Lekhuri, Both Liakhvis, Mejuda valley's) toponyms are always important in terms of the linguistic point of view.

As historical sources confirm, the Shida Kartli's harmed places were densely populated during the feudal periods. This is a testimony of many unique monuments that have come to us (for example: Largvisi, Ikorta, Achabeti, Kemerti, Beloti, etc.). Their names are mainly written in monuments (we rely on XVIII century Vakhushti Bagrationi's „Geography“). They are characterized by different language signs: Compression, disappearance of Geographical names, Distribution form of hydronyms etc.

The previous article presents the old or saved toponym (more than 100) which was searched by us, which as old forms reveal that they keep the same position. That's why, we think that their study – analysis is important in linguistics. Which attempt is presented in the previous work:

Keywords: Toponyms, Positional, Postpositional, Monuments.

ზურაბ ოქროპირიძე
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

**რეალური და სიმბოლურ-მოდერნისტული სურათები
ნიკო შიუკაშვილის დრამაში - „მთის ზღაპარი“**

საკვანძო სიტყვები: დრამა, თეატრი, სიმბოლიმი, მოდერნიზმი, დრამატურგი, კრიტიკოსი.

პიესაში „მთის ზღაპარი“ (1908) დრამატურგი სიყვარულისა და მოვალეობის საკითხს დასტრიალებს. იგი ღრმად ფსიქოლოგიური, რომანტიკული სტილის დრამაა, რომელშიც შესანიშნავად არის დახატული გმირთა ფსიქოლოგია და სულის მოძრაობანი. თხზულება ფორმითა და შინაარსით, იდეური ჩანაფიქრით მეტად საინტერესოა და მიმზიდველი. თავისი ტიპაჟით რეალისტურ ნაწარმოებში თავისებურად გამოვლინდა ევროპული მოდერნისტული ტენდენციები. იგი ერთგვარი სინთეზია მოდერნიზმისა და რეალიზმის ამ უკანასკნელის პრიმატით.

დრამის დასაწყისში ადამიანთა ჩვეულებრივი ცხოვრება და ურთიერთობებია გადმოცემული, პიესის მეორე ნახევარში კი რეალურთან ერთად იჭრება ზღაპრულ-სიმბოლური სურათები. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს დრამატურგის მიერ დახატული პეიზაჟი. ჩანს, მან განგებ

გადაიტანა მოქმედება მიუვალი მთის წვერზე, ბუნების უიშვიათეს წიაღში, რათა უფრო მკვეთრად გამოეხატა თავისი აზრი, მეტად ამაღლებული და რომანტიზებული სახე მიეცა მისთვის. მართლაც, აქაურობისთვის დამახასიათებელმა ტრადიციებმა და პირველქმნილმა სილამაზემ განუმეორებელი კოლორიტი და სურნელება მიანიჭა თხზულებას. ამავე დროს, მთის მკაცრი იდუმალებისა და პირქუში გარემოს ჩვენებით ავტორმა წინდაწინ შეუქმნა მაყურებელს რაღაც ავისმომასწავებლის მოლოდინი, მოკლედ შევჩერდეთ პიესის შინაარსზე:

მაღალი მთის წვერზე ცხოვრობს მრისხანე ბატონი ყაფლან ჯამბურძე. ახალგაზრდობაში მას სხვისი საცოლე მოუტაცია. გარკვეული ხნის შემდეგ კაცი გლახის ტანისამოსში გადაცმული მოდის დანიშნულის სანახავად. ყაფლანი მიხვდება მის ვინაობას. კაცს ხანჯლით აჩეხავს, ცოლს კი კლდიდან გადააგდებს. მაგრამ ჰოი, საოცრებაჲ! მიუვალი სალი კლდის წვერმა გვამი ძირს არ გაუშვა და საწამებლად შეუბრალებელ ყაფლანს თავისი მსხვერპლი თვალიწინ დაუყენა. ამ დღიდან ყოველ საღამოს უფსკრულიდან ისმის თავზარდამცემი კვნესა სულისა. აქ მცხოვრებნი გრძნობენ რაღაც უბედურების გარდუვალობას, მაგრამ მაგიური ძალით შეპყრობილნი, ვერ ტოვებენ აქაურობას, დრამის ფინალში კი სულის მაგიის მსხვერპლნი ხდებიან მელო და მისი შეყვარებული ლეო.

„მთის ზღაპარი“ 1912 წლის 10 დეკემბერს დაიდგა თბილისის ქართული თეატრის სცენაზე. გაზეთმა „თემმა“ (1912, N9) საკმაოდ დადებითად შეაფასა იგი, თუმცა, შენიშვნებიც აღნიშნა, რომელიც ძირითადად პიესის ტექნიკურ მხარეს შეეხებოდა. მეორე წელს ამავე გაზეთმა მკვეთრად უარყოფითად დაახასიათა პიესა: „მთის ზღაპარი“ იბსენის ძლიერ პიროვნებათა და მოდერნისტების ზეგავლენით არის დაწერილი... შიუკაშვილმა მოინდომა საქართველოს მთებში, მწვერვალებზე გამოეხატა ძლიერი ბუნების შვილი, მაგრამ არა განცდილი, არამედ წაბადვით ნააზრევ-გამოგონილი. ისინი მოგვევლინენ ლეოსა და მელოს სახით. ყოველგვარ ბუნებრიობასაა მოკლებული მათი სიყვარული, მოქმედება... შიუკაშვილი დამარცხდა...“ ავტორის თქმით, დრამატურგი ძლიერია რეალური ტიპების ხატვაში. (თემი, 1913).

იმავე წელს იგი ბათუმის თეატრში დადგა შალვა დადიანის „მოგზაურმა დასმა“. პიესას დიდი წარმატება ხვდა წილად. ბათუმის პრესა იუწყებოდა: „პიესა სასიამოვნო სანახავია სცენაზე, მთის ბუნება, თავადიშვილის ტრადიციული ოჯახი, თუმების ზნე-ჩვეულებანი, ყველა ეს ახალია და კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს“. (ბათუმის გაზეთი, 1913) პიესის დადგმას რუსული პრესაც გამოეხმაურა. გაზეთ „Кавказ“-ის სათეატრო მიმომხილველს მოსწონს პიესაც და მისი განმასახიერებელიც. „სასწაულებრივი მთის ლეგენდა დაედო საფუძვლად შიუკაშვილის ლამაზ სამ მოქმედებთან დრამას „მთის ზღაპარი“... იგი მოხიბლულია იუზა ზარდალიშვილისა (ლეო) და თამარ გოგოლაშვილის (მელო) აქტიორული ხელოვნებით. „ასეთი ლამაზი და სრული თამაში ქართულ სცენაზე მე ჯერ არ მინახავს“ - ასკვნის გაზეთი. (Кавказ, 1912)

„მთის ზღაპრის“ ქუთაისში განხორციელებული დადგმის შესახებ (1914, რეჟ. აკაკი ფაღვა) ვკითხულობთ: „ავტორს პიესაში კარგად გაუშუქებია მოვალეობის და სიყვარულის შეტაკება. ეს პიესა ფსიქოლოგიურ ქარგაზეა აგებული და ლამაზი ქართულით, შესაფერ ჩარჩოებში ჩამოუსხამს თავისი აზრი. წერილის ავტორი ყურადღებას ამახვილებს მსახიობთა ოსტატობაზე (ვალერიან გუნია - ყაფლანი, ნინო დავითაშვილი - მელო, გრიგოლ მურუსიძე - ლეო, გიორგი იშხნელი - ვეფხვა). (თეატრი და ცხოვრება, 1914, გვ. 14-15) ორი წლის შემდეგ იგი კვლავ წარმოადგინეს ქუთაისში. დადგმას დადებითი გამოხმაურება მოჰყვა. მთავარი შენიშვნები სცენის სიღარიბე იყო (ასეთი ტიპის პიესის წარმოდგენას მდიდრული დეკორაციები სჭირდებოდა, რომელიც თეატრს არ გააჩნდა). 1918 წელს ქართველ მსახიობთა კავშირმა სახელმწიფო თეატრში წარმოადგინა იგი. „უკვდავი ამბავია - სიყვარული მძლეთამძლეა და მოვალეობის დამძლეველი... ეს აზრი ავტორს პოეტურ სურათებში აქვს ჩამოქნილი“. (თეატრი და ცხოვრება, 1918, გვ. 15)

„მთის ზღაპარმა“ გრძნობათა სიძლიერის, უჩვეულო სიტუაციების და მთის ხალხის ცხოვრების ჩვენების გამო საპატიო ადგილი დაიკავა იმდროინდელ ქართულ დრამატურგიაში. განხილული პიესების მსგავსად, მის ირგვლივაც საპირისპირო შეხედულებები გაჩნდა. გაზეთ „თემის“ შენიშვნა, რომ ავტორმა უცხოური დრამატურგიის გავლენა განიცადა და რეალურ ქმედებებს მოდერნისტული ნაკადიც შეურია, ჩვენი აზრით, არ ნიშნავდა დამარცხებას. პიესის გმირები (თავადი ყაფლან ჯამბურძე, მისი შვილები მელო და ზალიკო, ექიმი ლეო, ვეფხვა, ფოცხვერა და სხვები) რეალური ადამიანები არიან და დრამაშიც ყოფითი ამბები ვითარდება. გარკვეული დროის შემდეგ პერსონაჟებს ნელ-ნელა ეუფლებათ გაურკვეველი შიშის განცდა, რომელიც კავშირშია წარსულში ყაფლანის მიერ თავისი ცოლისა და მისი ყოფილი საქმროს საზარელ მკვლელობასთან.

პიესის კოლიზია არაა ერთსახოვანი. მთავარი კონფლიქტის (სიყვარულისა და მოვალეობის მძაფრი ჭიდილი) პარალელურად დრამის ერთ-ერთ გმირს ყაფლანს საკუთარი სინდისი ებრძვის - რატომ მოსპო წლების წინ შეყვარებულთა გულის ფეთქვა. მას და მის ოჯახში მყოფთ არ ასვენებთ მიცვალებული მეუღლის სულის კვნესა, რომელიც ყოველდამ ახსენებს მათ თავს. რეალურ ადამიანებს მოქმედება

მოჩვენებებსა და შემადრწუნებელი ხმების პარალელურად უწევთ. ავტორმა აღნიშნული კოლიზიები შინაგანი გზით განავითარა და შექმნა დრამატულად დამაბული ნაწარმოები.

ვფიქრობთ, „მთის ზღაპარი“ მართლაც ამჟღავნებს მსგავსებას რუსი მწერლის, ლეონიდ ანდრეევის მოთხრობასთან - „წითელი სიცილი“¹ (1904). შეიძლება მის გავლენაზეც ვისაუბროთ, თუმცა, ფორმა მსგავსებისა სხვადასხვაა. შიუკაშვილის პიესაში სულის კვნესას ნამდვილად მომხდარი ფაქტი უდევს საფუძვლად. ანდრეევის შემოქმედების მნიშვნელოვანი ნაწილი („შავი ნიღბები“- 1908, „ანათემა“-1910, „უფსკრული“ - 1912 და სხვა) და კერძოდ, დასახელებული თხზულება, მთლიანად სიმბოლისტურ-დეკადენტურია. თითქმის მთელი მოთხრობის მანძილზე აქ ისმის მიცვალებულთა კვნესა-ყვირილი. იგი „მთის ზღაპრისაგან“ განსხვავებით, პერსონაჟთა რეალურ ქმედებებთან არ არის დაკავშირებული.

ნაწარმოების დასაწყისშივე რომანტიკულად მორთული თუშეთის ლაღი ბუნების ფონზე ვეცნობით პიესის პერსონაჟებს - სიკეთითა და სიყვარულით სავსე ახალგაზრდა მთიულებს: ლეო ბუქურაულს - მთავარ გმირს და მის მეგობრებს - ვეფხვასა და ფოცხვერას. ავტორი აშკარა სიმპათიას ავლენს მათ მიმართ. წარმოადგენს მათ შინაგან კონსტიტუციას, რომელიც პატიოსნებასა და ზნეობრივ სისპეტაკეზეა დამყარებული. აქ ადამიანებსაც გადასდებიან ველური ბუნების სიწმინდე. იდუმალი ერთობაა მათ შორის. ამ სილამაზით მოხიბლული ერთ-ერთ რეცენზენტი წერდა, რომ „მთის ზღაპრის“ ღირებულებას ეგ სილამაზე შექმნიდა მხოლოდ, რადგან სილამაზეა თავისთავად აზრი...“ (თეატრი და ცხოვრება, 1914, გვ. 15) იგი ესთეტიკურად ამადლებს მაყურებელს და უღვიძებს ინტერესს სპექტაკლისადმი. მთიელი სუფთაა იმისაგან, რაც ბარში ხდება (ამის მაგალითია მელოს ქმარი - გარყვნილი სანდრო). ზემოთ აღნიშნულთან ერთად, ბუქურაული განათლებული ინტელიგენტი, კარგი ექიმი, ლეო მხსნელად მოეველინა თავის ხალხს, მის კეთილშობილებას კარგად ახასიათებენ თუშები: „თითო-ოროლა მაგისთანა დალოცვილი ადამიანი არ უნდა მოგვაკლდეს, რომ ჩვენც სიკეთე ვნახოთ! ამ ზაფხულს ეგ რომ არ შეგვსწრებოდა, სუ გავიჟღიერებოდი! ძალიან ნასწავლია...“ (შიუკაშვილი, 1926, გვ. 39) ახალგაზრდა ექიმის სიცოცხლის არსი საკუთარი ხალხის სამსახურია. მას შეეძლო ქალაქში დარჩენა და უზრუნველად ცხოვრება, მაგრამ ბრუნდება მთაში, რადგან სულით ხორცამდე აქვს გამჯდარი მშობელი ხალხის სიყვარული. ბედისწერამ ყაფლანის კარზე მიიყვანა, რამაც მთლიანად შეცვალა მისი ცხოვრება. სტიქიონური სიძლიერით შეუყვარდა თავადის ქალი მელო. მისი გაცნობის შემდეგ თუშ ექიმს ნაკლებად ახსენდება თანამომემენი, იგი გამოუვალ მდგომარეობაში ჩაუყენებია ავტორს - თუშებს მუსრს ავლებს ეპიდემია და იგი ერთადერთი მხსნელია მათი, მასში დიდი შინაგანი ბრძოლა წარმოებს - სიყვარული თუ ვეფხვასთან ერთად უკან წასვლა და მოძმეთა გადარჩენა? მკითხველს და მაყურებელს ესმის ბუქურაულის, როგორ დასდგომია თავზე მოვალეობის გრძნობა და მოსვენებას უკარგავს, სულს უფორიაქებს. იგი მშობელი ხალხისაკენ ეწევა, რომელსაც ამუხრუჭებს სიყვარულის ყოვლისმომცველი ძალა. მის არსებას უკიდურესი გრძნობელობის ვნებათაღელვა ეუფლება. მელოს ტრფილით დამთვრალს არაფერი ახსოვს. მასზე ვერც მეგობრის - ფოცხვერას სიკვდილმა იმოქმედა. ექიმმა უკვე გადალახა მოვალეობის გრძნობა. იგი უკან აღარ იხევს, პირდაპირ განუცხადებს გოროზ ყაფლანს მელოსადმი სიყვარულს. ამ უკანასკნელსაც ვერ წარმოუდგენია სიცოცხლე ლეოს გარეშე, მთის ზღაპრულმა ბუნებამ და ახალგაზრდა თუშის თავისუფალმა ნებამ მასშიც გააღვიძა დიადი გრძნობა. მელომ თუშ მკურნალში აღმოაჩინა ის სპეტაკი განცდა, რომელიც აგრერიგად აკლდა მკაცრი მამისა და უზნეო მეუღლის მორჩილებაში მყოფს. ისინი ამადლეველად მსჯელობენ სიყვარულზე, მზად არიან თავგანწირვისთვის, მაგრამ ამ უსაზღვროდ ბედნიერ წყვილს განუჭვრეტელი უბედურება უახლოვდებათ, მას აჩქარებს მელოს მოულოდნელი უარი - დატოვოს ეს ცოდვიანი სახლი და გაჰყვეს შეყვარებულს. ამით გახელებულმა ლეომ სახიფათო კლდეებში ჩასვლა და საფლავის მოთხრა განიზრახა, რათა მიცვალებულის სულს მეტად შეეწუხებინა მელო და მისი ოჯახი. გასაგები იყო ვნებით გახელებული თუშის მწვავე რეაქცია. მან წარმოუდგენელი მსხვერპლი გაიღო მელოს სიყვარულისთვის. მისი გულისთვის სასიკვდილოდ გაწირა საკუთარი ხალხი, მიუხედავად ამისა, ხსენებული ეპიზოდი გარკვეულ წინააღმდეგობას შეიცავს: ამ სცენის მთავარი დატვირთვა ლეოს ძლიერ პიროვნებად დახატვა იყო, მაგრამ მასში საჩოთიროდ ჩანს თუნდაც განრისხებული ექიმისგან საყვარელი ადამიანისადმი შურისმგებლური დამოკიდებულება. იგი ბზარს უჩენს გმირის ბუნებრიობასა და მთლიან ხასიათს. უნდა ითქვას, რომ ავტორმა ორიგინალური მსვლელობა ვერ მისცა ლეოს მოზღვავებულ განცდებს. „მთის ზღაპრის“ ეს ნაწილი იხსენის ცნობილი პიესის („ხუროთმოძღვარი სოლნესი“) გმირს, სოლნესს გვაგონებს. საფიქრებელია, შიუკაშვილის სურვილი - ბუქურაულის სახით შეექმნა ძლიერი ხასიათი, აღნიშნული ქმნილების შთაგონებით იყოს ნაკარნახევი. დიდი ნორვეგიელის პერსონაჟი მძლავრი პიროვნებაა. ლეოც ამტკიცებს თავის ძლიერებას, მაგრამ იქვე შურისგებას ავლენს სატრფოსადმი. სოლნესი გაცილებით

¹ ლ. ანდრეევის შემოქმედება კარგად იყო ცნობილი 900-იანი წლების ქართველი მკითხველისათვის. „წითელი სიცილი“ 1904 წელს დაიბეჭდა ქართულ ენაზე „წიგნის გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის მიერ“.

მალა დგას ჩვენი პიესის გმირზე. იგი ჰილდას სიყვარულით გატაცებული ადის თავის მიერ აშენებული უზარმაზარი კოშკის თავზე. მელოსა და ლეოს გაუმართლებელი ქცევების ნაცვლად ჩვენ გვესმის იბსენის გმირთა დიადი სულისკვეთება და თავგანწირვა. (იბსენი, 1988, გვ. 206-210) ჰილდაც ძლიერ პიროვნებას ეტრფის, იმავე დროს, თვითნაც ძლიერია, რასაც ვერ ვიტყვით მელოზე.

ყაფლანის ქალიშვილი გაცნობისთანავე მკითხველსა და მაცურებელზე ძლიერი პიროვნების შთაბეჭდილებას ტოვებს, იგი თავის სიყვარულს აკუთვნებს მხოლოდ ღირსეულ ვაჟკაცებს. „...ეგეთი სიყვარული საშინელებაა... მერე რისთვის... ვისთვის?... ეგეთი გრძნობისათვის თვითონაც უნდა იყოს ძლიერი. მიჩვენეთ ძალა სულისა, სიცოცხლისა! მიჩვენეთ ვაჟკაცი, რომელსაც არაფრისა არ ემინიან...“. (შიუკაშვილი, მთის ზღაპარი, დოკ. №13936, გვ. 49) მელო ყოველთვის უკიჟინებს სატრფოს, რომ არ ახსოვდეს მოვალეობა, რადგან მისი აზრით, ამ დროს სიყვარულს ჩრდილი ადგება. მამის მკაცრად მხილების შემდეგ (მელომ არ იცოდა დედის დაღუპვის ნამდვილი მიზეზი) მკითხველი მისგან გადამჭრელ მოქმედებას ელის, მაგრამ კრიტიკულ მომენტში იგი უკან იხევს. მელოს მოსწონს ძლიერი პიროვნება, მაგრამ თვითონ სისუსტეს ავლენს. აღიარებს სიყვარულის ყოვლისშემძლეობას, იმავე დროს საკუთარი სურვილის წინააღმდეგ მოქმედებს და უზნეო ქმართან და დედის მკვლელ მამასთან რჩება. მელო თავის გადაწყვეტილებას (არ გაჰყვეს შეყვარებულს) მოვალეობის გრძნობითა და ტრადიციებით ხსნის. თუში ქალიშვილის ეს ნაბიჯი ისეთივე წინააღმდეგობრივია, როგორც ლეოსაგან საფლავის მოთხრის მცდელობა. მან მოვალეობის გრძნობა უკვე გადალახა, თავდავიწყებული სიყვარულითაა დაკავშირებული ახალგაზრდა მთიელთან. მამის ზეწოლით უსიყვარულოდ გათხოვილს უსაქმური და უზნეო ქმარი ჰყავს. მოვალეობა კი იქაა, სადაც სიყვარულია, ზნეობაა. მელოს ლტოლვა ლეოსადმი არ შეიძლება უხამსობად შეფასდეს. პირიქით, უზნეობა უზნეობასთან შერიგებაა. სიყვარულისა და მოვალეობის გრძნობათა ურთიერთდამოკიდებულება არასწორად ესმით „მეგობრობისა“ და „მთის ზღაპრის“ პერსონაჟებს. პირველში ყალბი სიყვარულის გამო არჩილი მოვალეობის მიღმა აყენებს მოსიყვარულე ოჯახს, მეორეში კი - მელოსთვის ჭკმარტივი სიყვარული ვერ იქცა მთავარ მოვალეობად და იგი გადაგვარებული ქმრის ფორმალურ მეუღლეობაზე გაცვალა. თავის მხრივ, გამძაფრებულმა სიყვარულმა მშობელი ხალხისადმი მოვალეობის გრძნობა დაავიწყა ლეო ბუქურაულს (ვფიქრობთ, პიესის გმირთა საეჭვო გადაწყვეტილებებზე სხვა გარემოებები მოქმედებენ, რომელსაც ქვემოთ შევხებით).

ავტორი ორიოდ კალმის მოსმით მშვენივრად გვიხატავს რეალურ სახეს ქარაფშუტა თავადისა - მელოს ქმრის, სანდრო ჯორბენაძისა. ჯამბურიძის სიძე მსუბუქი ყოფაქცევის კაცია, ლაზღანდარობა-დროსტარებაშია მუდამ. იგი ყოვლად შეუთავსებელია მელოს ქმრობისა. სანდრო იგივე ტიპია, რაც ლევან ორდელი ან მაქს შარაბიძე პიესებში - „მეგობრობა“ და „ციცინათელა“ (ორივე შემთხვევაში ეს პერსონაჟები ისევე გულგრილნი არიან მეუღლეთა გრძნობების მიმართ, როგორც მელოს ქმარი). სანდროს არაწესიერებას მისივე სიტყვები ავლენს: „მომაგონდება ახალგაზრდობა! მელუნჩიკაც გამოვისტუმრე და მოგეცა წყალობა, აუტყე“. (შიუკაშვილი, 1926, გვ. 62)

ისეთივე პირქუში ფერებით ხატავს ავტორი ყაფლან ჯამბურიძეს, როგორც ხასიათია. იგი გულღრმო და მედგარი ბუნებისაა. წლების მანძილზე უძალიანდებოდა უმძიმეს ცოდვებს, ახლა კი, სიბერის ჟამს, ვეღარ უძლებს. მისი არსება შიშს მოუცავს. იდუმალი ხმა მუდმივად აცოცხლებს წარსულს, რომელიც მიძიმე ლოდვიით ჰკიდია მხრებზე. თავადს შინაგანი ხმა სტანჯავს. მსგავსი სურათი მოგვცა ჩვენი დროის დიდმა შემოქმედმა გოდერძი ჩოხელმა რომანში „მღვდლის ცოდვა“. (ჩოხელი, 2011, გვ. 383-573) აქაც, წლების შემდეგ, საკუთარი ცოდვები ამხელს რომანის მთავარ პერსონაჟს, ყოფილ მღვდელს, შიოს. იგიც სხვადასხვა მოჩვენებებისა და შეძახილების ტყვე ხდება. ორივე გარეგნული პოზით ცდილობს სულიერი ძრწოლის გადაფარვას, კეთილი მამის როლს თამაშობენ. შიო მღვდელში თითქოს იგრძნობა მონანიების სურვილი, რასაც ვერ ვიტყვით პიესის გმირზე.

დრამაში განსაკუთრებული ოსტატობითაა აღწერილი უბრალო თუმების რეალური ყოფა-ცხოვრება. ბუქურაულის მეგობრები ეპიზოდურად მოქმედებენ პიესაში, მაგრამ ავტორი დიდ მისიას აკისრებს მათ. თუმების სახის გამოძერწვით დრამატურგმა გვიჩვენა პატიოსანი, მთის მშრომელი ხალხი. ისინი საინტერესო და მიმზიდველნი არიან თავისი გულუბრყვილო წარმოდგენებითა და გაუტეხავი ხასიათებით, მთაში ცნობილი ადათ-წესებით. ის წმინდა გრძნობები, რომელთა დაკარგვა-გადაგვარებასაც ასე მწვავედ განიცდის ავტორი, აქ, მიუვალ მთებში, მტკიცედ შენახულა. დრამატურგის შემოქმედებაში ისინი მკვეთრად ინდივიდუალიზებული ხასიათებია. მათში მთის ჩანჩქერით ჩქეფს სიცოცხლისა და ადამიანისადმი სიყვარული. წვრილმანი, დედაკაცური წუწუნი უცხოა მათთვის. რამდენადაც ისინი ამაყნი და თავმომწონენი არიან, როგორც საკუთარი მთები, იმდენად - უბრალონი და თავმდაბალნი. შიუკაშვილი თავის პერსონაჟებს ისეთ გარემოებაში აყენებს, რომ მკითხველმა ცხადად იგრძნოს მათი სიწმინდე, ერთგულება მოყვასისადმი. პიესის მიხედვით, ვეფხვა და ფოცხვერა სოფელმა გამოაგზავნა

თავად ჯამბურძემსთან მოსალაპარაკებლად (სამოვრების გადაცემის თაობაზე). ე.ი. ხალხის რჩეულნი არიან, რადგან ასეთ საქმეს ყოველთვის ღირსეულ ადამიანებს ანდობდნენ ხოლმე.

როგორც ვთქვით, დრამის გმირები ცხოვრების ყოველდღიურობიდან არიან აღებული და კოლიზიაც იქიდან იღებს სათავეს. იმავე დროს, ადამიანური ყოფიერებისათვის მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, დრამატურგმა „მთის ზღაპარში“ მსჯელობის საგნად აქცია მიღმიერი სინამდვილე, ჩვეულებრივი თვალისა და გონებისთვის მიუწვდომელი გარკვეული პროცესები. ავტორი ნაწარმოების რეალურ პერსონაჟებს ანომალური მოვლენებისგან კი არ წყვეტს, მათ შუაგულში ატრიალებს. ამ ყოველივემ - ნამდვილ, ცოცხალ ქმედებებს მოყოლილმა დაუჯერებელმა სურათებმა გააბუნდოვნეს და გააორაზროვნეს პიესის დედააზრი. ზემოთ რეალური მხრით განვსაჯეთ მელოსა და ლეოს შეცდომები, მათი გაორებული ბუნება და არათანმიმდევრული გადაწყვეტილებები. დრამატურგი ცალსახა პასუხს არ იძლევა, აღნიშნული ულოგიკო სვლები მათი ხასიათით იყო განპირობებული, თუ მათზე გავლენას ახდენდა ის იდუმალება და ცოდვიანი გარემო, რომელშიც უწევდათ ყოფნა. ავტორი თუმი ექიმის მოქმედებით სიყვარულის უძლეველობას ამტკიცებს, ამავდროულად რჩება შთაბეჭდილება, რომ ლეოს სიყვარულის გარდა რაღაც ძალა არ უშვებს თავის ხეობაში. რეალური ადამიანები ჩვეულებრივი და გასაგები ცხოვრების იქით ექცვიან. თითქოს ბედისწერის ნიშნით არიან აღბეჭდილნი და მათი არასწორი ნაბიჯები ამითაა გამოწვეული. შეყვარებულთა ტრაგიკული აღსასრული, მიუხედავად მათი რეალისტური ხასიათებისა, ვერ ჩაითვლება უბრალო შემთხვევითობად. გვგონია, რომ ამ მიდამოს ცოდვიანობას უფრო შორეული ფესვები აქვს. ყაფლანის მხეცურ ანგარიშსწორებასაც ყოფილ მიჯნურთა მიმართ იდუმალი ძალები წარმართავენ. მელოც და ლეოც, თავად უცოდველნი, ვერ თავისუფლდებიან წინანდელი თაობების ცოდვებისაგან. მიწიერი გმირები ერთგვარად იხლართებიან, იბნევიან უჩვეულო სიტუაციებში. ჩანს, რომ უფსკრულიდან მომდინარე მაგიური ხმები ყაფლანთან ერთად შეყვარებულებსაც არ სწყალობს, თავისკენ იხმობს მათ. მოვალეობისა და სიყვარულის, ამ უკანასკნელისა და ფატალური ძლიერების მქონე განგების უმძაფრესი ჭიდილი იმდაგვარად ვითარდება, რომ მელო და ლეო სიცოცხლეს სწორედ ბნელ უფსკრულში ამთავრებენ. მელომ სიცოცხლეში ვერ დაამტკიცა, რომ ჭეშმარიტი სიყვარული სძლევს ყალბ მოვალეობას, სამაგიეროდ, სიკვდილით აღბეჭდა სიყვარულისადმი ერთგულება, ლეოს ტრაგედიით თავზარდაცემული დაუფიქრებლად გადაეშვა მასთან ერთად უძირო ხრამში.

„მთის ზღაპრით“ დრამატურგი ღრმად ჩასწვდა ხელოვნების არსს. უმაღლეს რანგში აიყვანა პიესაში მგრძნობელობა და სილამაზე, რითაც უფრო დამაჯერებელი გახადა იდეა სიყვარულის უძლეველობისა. მწერალმა მკითხველ-მაყურებლის ყურადღება მიაპყრო პიროვნების ფსიქიკაში დაღეპილ დაფარულ მხარეებს. იგი, როგორც კარგი მცოდნე ადამიანის ფსიქოლოგიისა, ისეთ ღრმა და ნაზ სულიერ-ინტიმურ თვისებებს შეეხო, რომლის ახსნას მეცნიერული ლოგიკაც დიდი ხანია ცდილობს. „მთის ზღაპარში“ ავტორმა რთული გზა აირჩია. მიუხედავად იმისა, რომ დრამის გმირები აშკარად განიცდიან შეუცნობელი ძალების გავლენას, პიესას ბოლომდე ვერ მივიჩნევთ სიმბოლისტურ-დეკადენტურ ქმნილებად. ეს მიმართულება ვერ იქცა დრამატურგის მსოფლმხედველობრივ პრინციპად. საერთოდ კი, რამდენად შეიძლება ლიტერატურული ნაწარმოები, რომელშიც ხშირად შეუცნობელ, მაგრამ სინამდვილესთან კავშირში მყოფ მოვლენებთან გვაქვს საქმე, ჩაითვალოს არარეალისტურად?

რეცენზენტთა უმრავლესობის აზრით, თხზულება მხატვრულად მთლიანია. სიყვარულის განვითარება იდუმალ გარემოში ქმნის ნაწარმოების სიუჟეტურ ხერხემალს. კეთილისა და ბოროტის, სიყვარულისა და მოვალეობის მწვავე დაპირისპირება წარმოადგენს კოლიზიის საფუძველს. იგი ხან ალევორიულ-სიმბოლოურ, ხან კი რეალურ სახეებში იკითხება. ხელშესახებად ჩანს ბედისწერის მოტივი. მომავალ განსაცდელს თითქოს გრძნობს ადამიანი, მაგრამ ვერაფერს ცვლის.

„მთის ზღაპარში“ მთელი მოქმედება ადამიანის შიგნით ვითარდება. დრამაში ხშირია ე.წ. ფსიქოლოგიური პაუზები, რომელიც პერსონაჟთა სულიერ განცდებს, დიდ სიხარულს, მწუხარებას გამოხატავს. პიესის შინაგანი დრამატიზმისა და ექსპრესიის მაჩვენებელია მოქმედ პირთა მეტყველების დამაბული სტილი. მელოდრამატულ ხერხს აქვს მიმართავს ავტორი, მაგრამ არა დაბალი ხარისხის.

პიესაში სიმბოლისტური ნიშნები და მოვლენათა იმპრესიონისტული ხედვა ერთად თანაარსებობენ. ნიკო შიუკაშვილმა, როგორც ერთ-ერთი რეცენზენტი წერდა, „ნორჩი ქართული დრამატურგია ევროპულ ჰანგებზე მომართა“. (თემი, 1912ა) თხზულების ენაში ხალხურობის დიდი ელფერია მოცემული, შემოქმედის მიერ დახატული თუშური გარემო, ვეფხვასა და ფოცხვერას კოლორიტული სახეები, მთის ზნე-ჩვეულებანი და ლექსიკა აფერადებენ ნაწარმოების ლექსიკურ ქსოვილს. ლამაზი ენა, ორიგინალური მეტაფორა-ეპითეტები, ბუნების იშვიათი სიჯანსაღე, გამორჩეულ ხიზლს სძენს პიესას.

ბიბლიოგრაფია:

- ანდრეევი, ლ. (1904). *წითელი სიცილი*. ტფილისი.
ბათუმის გაზეთი. (1913). „თეატრი და ცხოვრება“ („მთის ზღაპრის“ ბათუმში წარმოდგენის შესახებ). (7).
თეატრი და ცხოვრება. (1914). (33), 14-15.
თეატრი და ცხოვრება. (1916). (39), 15.
თეატრი და ცხოვრება. (1918). (16), 15.
თემი. (1912ა). (102).
თემი. (1912ბ). (9).
თემი. (1913). (105).
იბსენი, ჰ. (1988). *ხუროთმოძღვარი სოლნესი*. თბილისი.
შიუკაშვილი, ნ. (1926). მთის ზღაპარი. *მნათობი* (5), 37-66.
შიუკაშვილი, ნ. მთის ზღაპარი. *საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმი* (ფ. III, დოკ. #13936).
ჩოხელი, გ. (2011). *ქართული პროზის შედეგები*. თბილისი.
Кавказ. (1912). (208).

Zurab Okropiridze
Gori State Teaching University
REAL AND SYMBOLIC-MODERNISTIC PICTURES
IN NIKO SHIUKASHVILI'S DRAMA - "MOUNTAIN TALE"
RESUME

In the “Mountain tale” there is described a fierce struggle of love and duties. In its realistic drama, the European modernist tendencies are characterized peculiarly. In the work, the fairy-symbolic pictures are penetrated in ordinary life of the people. Real people have to live and act with the staggering sounds. One of the main character’s of the drama - Kaflan’s family members are disturbed from groan of his wife, who was fallen in the rocks by him. Tushetian doctor’s— Leo’s strong feelings to Kaflan’s daughter - Melo forgets the obligations about the poor Tushetians. Besides the love, there is unknown power, which holds the doctor and doesn’t releases to his gorge. A couple in love are obsessed by the spirit of the soul and are taking extraordinary decisions that eventually cause them to die.

Keywords: Drama, Theater, Symbolism, Modernism, Playwright, Critic.

ლუარა სორდია
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გალაკტიონ ტაბიძის ენიგმატი.
„ისთვის ეძებს იისფერ სიტყვებს“

საკვანძო სიტყვები: ენიგმა, პოეზია, ქრისტიანობა, სიყვარული.

„მილიონებში ხელისმრეველი“, „მართლა მილიარდელი“ გალაკტიონ ტაბიძის „ოცნების მდიდარ ბაღში“ ყურადღებას იქცევს „დაუღეველი ვარდების“ სიმბრავე და სილამაზე (ვარდ-ყვავილთა სიმბოლიკა გალაკტიონის პოეზიაში). (სორდია, 1993, გვ. 138-187)

წინამორბედთა მიღწევების, მათი აზროვნების ლოკალური თუ გლობალური მასშტაბების უცდომელი განჭვრეტის უნარი პოეტს შესაძლებლობას აძლევდა, კიდევ უფრო შორს გაეწია ძიების საზღვრები, ბოლომდე ორიგინალური, განუმეორებელი, „სამუდამოდ ბორკილაცრილი“ და ჯაჭვანუკი „ყოფილიყო“ (ვარდები). (ტაბიძე, 1977, გვ. 537).

პოეტების მეფეს ხელეწიფებოდა ბუნების ყოველი მოვლენა თუ საგანი თავისი რენესანსული პოეზიის სამსახურში ჩაეყენებინა.

გალაკტიონის გენიამ ია თავისი შემოქმედების არსებით პრობლემებს დაუკავშირა და ეს სახე გაიზარა სოციალურ, ფილოსოფიურ, რელიგიურ ასპექტებში.

ორი მილიარდი კაცით სავსე მიწაზე „ზოგან ია-ვარდი, ზოგან ჭინჭარი“ იხილა (ორი მილიარდი). (ტაბიძე, 1993ბ, გვ. 49).

„იაფ ტაშისცემას“, „იაფ, დამჭკნარ,... წამხდარ ყვავილებს“ განრიდებულმა პოეტმა „დალუქული ფოლიანტების“ „ლუქახსნილ რელიქვიათა სურნელი განიცადა, როგორც „მამფრი საშინელება“ (დალუქულ ფოლიანტებთან) (ტაბიძე, 1989, გვ. 279) და თავისი „მრავალი ვარდების მფენი... უხვად ციური სულის“ განუმეორებელი სახეების მუსიკალურ სასწაულებს გვაზიარა (სტიროდა სული ცისფერ ღვინოებს). (ტაბიძე, 1993ა, გვ. 291).

„ამ ვარდობისთვის ვარდებით ვთვრები, კარგია თრობაო“, გვაუწყა მეტაფორული აზროვნების დიდოსტატმა და ეს სახეები თავის ღრმაზროვან მსოფლმხედველობას დაუკავშირა.

გალაკტიონმა ვერ იგუა ტრაფარეტები, უმიზნი, იდილია (ო, ჩემო ჩანგო) (ტაბიძე, 1993ა, გვ. 264), გენიალური ირონია შეაგება შაბლონურად მოაზროვნე, ვარდბულბულიან ვაიპოეტებს, „ხელოვნური ყვავილების“ ტრუბადურებს, გაემიჯნა თოვლიან იანვარში მაისის ვარდის მომღერალ ბოდოკიებს (პლაკატების კივილი, რა დროს რომანსეროა, 70 წლის პოეტი ქუჩაში მიდის).

„არტისტული ყვავილების“ ჯადოქარმა თვითონ დაიწყო „ყვავილით შემომენება“

და ამ ბაღნარს „დახავსებული კარები“ კი არა, „ახალი კარები“ დაჰკიდა (თბილისი) (ტაბიძე, 1989, გვ. 167-168), ომში იხილა „ცეცხლის ვარდები“, შეიგრძნო „მიწის სული“, „გემების სული“, „ყვავილთ სული“ ვარდთა სურნელი.

პოეტი ავლენდა მის მიერ მოძიებული ახალი სახეების მარადიულობის რწმენას: „იყვავილებენ ეს ყვავილები წარსულში, ახლა და მომავალში“ (ეჯახება ბორბალს ბორბალი).

ჩვენი ეროვნული პოეზიის „ეგზოტიკური ყვავილის“ უპირველეს დანიშნულებად ესახებოდა ქართული სულის სურნელის მარადისობაში გავრცელება: „ჩვენი პოეზია გვაგონებს იმ ეგზოტიკურ ყვავილს, რომელიც იფეთქებს მიწის გულიდან და გაშლისთანავე მარადისობაში ფანტავს თავის სურნელებას. ეს სულია ქართული და იგი... გვათრობს“ (პოეზიის დღე). (ტაბიძე, 1995, გვ. 56-58).

ვარდი ყოველი ეპოქის იდეალი იყო.

წარმართულ ქვეყნებში ვარდის სახე სიყვარულს, სილამაზეს უკავშირდებოდა. შუა საუკუნეებმა ყვავილი გადააქცია ასკეტური უმანკოების, ქრისტეს სისხლის, თვით ქრისტესა და ღვთისმშობლის სიმბოლოებად.

ვარდის ქრისტიანული ინტერპრეტაციის ნიმუშია „ღვთაებრივი კომედია“, რომელშიც სამოთხე წარმოდგენილია გიგანტური სიდიდის თეთრ, მისტიკურ ვარდად. მის ფურცლებზე ნეტარებენ წმინდანები, რომელთაც პოეტი „მარადიულ ვარდებს“ უწოდებს. (ნადირაძე, 1958, გვ. 347).

„ვეფხისტყაოსანში“ ავთანდილი ტარიელს ადარებს იას. იის სახეს იშველებს რუსთაველი ნესტანის მწუხარების დასახასიათებლად: „ვარდი შექმნილა ზაფრანად, აწ ია შეიკონების“.

„პოემამი იისფერი მწუხარების, სილურჯის ნიშანია, ავთანდილის გაპარვით შეწუხებულ როსტევანს სახე „იისფერი გაუხდა“.

სულიერი მდგომარეობის გამომხატველი ფრაზაა: „გულისა აგრე საიმედო ია მორგე, ვარდი ყარე“. (ნოზაძე, 1954, გვ. 34-35).

დავით გურამიშვილის „დავითიანში“ ია და ვარდი პოეზიის სიმბოლოებით: „ამად ამ წიგნსა სახელად უწოდე დავითიანი, დავით შევაწყვე, შევკონე, ვით ვარდნი და ვითიანი“. (გურამიშვილი, 1964, გვ. 327).

ბესარიონ გაბაშვილის „სევდის ბაღის“ იები და ვარდები ქალური მშვენიერებაა (სევდის ბაღს შველ). (ქართული კლასიკური პოეზიის ანთოლოგია, 1980, გვ. 100)

ვაჟა-ფშაველას პოეზიაში იის მთელი ციკლია შექმნილი.

პოეტის ფიქრები „ლაფიან სინამდვილესა ია-ვარდითა ჰფერავენ“ (გულზე წყალულები გამრავლდა) (ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი ხუთ ტომად, 2011ბ, გვ. 126), შთაგონებამ „სული მოჰფინა ია-ვარდითა“ (სახალწლო სიმღერა) (ვაჟა-ფშაველა, 2011ბ, გვ. 134).

სიყვარული გულში ია-ვარდის მრგვალია (სოფლისა წესი ასეა). (ვაჟა-ფშაველა, 2011ა, გვ. 18-19).

„ფშაველი ჯარისკაცის წერილში“ დედის მკერდის სამკაულია ია-ვარდი. (ვაჟა-ფშაველა, 2011ა, გვ. 200).

ლექსში „ერთხელც იქნება მოვკვდები“ (ვაჟა-ფშაველა, 2011ა, გვ. 224) ია პოეტის „წაწალია“, „გაზაფხულში“ ია და პოეტი და-მმად გვეცხადებიან (ვაჟა-ფშაველა, 2011ა, გვ. 42).

ია „მგოსანია გაზაფხულისა“ (ათასჯერ მოხვედ, იავო) (ვაჟა-ფშაველა, 2011ბ, გვ. 6).

„კოპალაში“ ია თითქოს „ცით ჩამოსული ღმერთია“, იის ტურფა გვირგვინი სიყვარულს ადგას.

„იის მოკლე სიცოცხლე თითქოს ადამიანის წუთისოფლის განმასახიერებელია“. (ჩხენკელი, 1983, გვ. 84).

ლექსებში „უნუგემო ყოფნა“ (ვაჟა-ფშაველა, 2011ბ, გვ. 14) და „იას უთხარით ტურფასა“ (ვაჟა-ფშაველა, 2011ბ, გვ. 88) ია სიცოცხლის სწრაფწარმავლობის სიმბოლოა.

ია-ვარდის მორწყვის სურვილს ავლენს წყარო ლექსში „ანკარა წყარო მთიდანა“ (ვაჟა-ფშაველა, 2011ბ, გვ. 108).

შურის თემას ეხება „ია და ლუსუმა“, რომელშიც იის შურით შეპყრობილი ლუსუმა „გადიადებას“ ვერ ახერხებს (ვაჟა-ფშაველა, 2011ბ, გვ. 117-118).

იას შხამიანი გველი ჩასაფრებია ლექსებში: „ველს რასმე შევხვდი ტურფასა“ და „კიდევაც ვნახავ გაზაფხულს“. (ვაჟა-ფშაველა, 2011ბ, გვ. 81, 122).

ცრემლის ზღვაში ია ამოდის (ღმერთო, ნუ მოჰკლავ პატარას). (ვაჟა-ფშაველა, 2011ბ, გვ. 237).

ზამთრის დასრულების, მგლების გადაშენების, არწივ-შევარდენტა მოვლინების, იის ამოსვლის ნუგემ-მოლოდინია ლექსში „გული“ (ვაჟა-ფშაველა, 2011ა, გვ. 293).

ვაჟა-ფშაველას „ბუჩქებით და ეკლებით დაჩრდილული“ ია „დაჩაგრულ სიმართლეს“ აგონებდა („სად არის პოეზია?“)

კონსტანტინე გამსახურდიას ნოველაში „ხოგაის მინდია“ (გამსახურდია, 2012, გვ. 301) ია დარდისგან დაზაფრულის წამალია, ხურვებისგან შეპყრობილის ოფლის მომდენი.

გალაკტიონ ტაბიძე იცნობდა „შუა საუკუნეების მისტიურ იებს“ (პარიზი), „იის ზეცას“ (ქროდნენ სიონი) (ტაბიძე, 1982, გვ. 317), მისი პოეზია „ვარდთა ვარდობის, იათ იობის“ ზღვა გრძნობის დამტევი იყო (წიგნები ხალხს). (ტაბიძე, 1982, გვ. 322)

„ათასის მხედველობით, „ასი ათასის სმენით“ მომადლებულმა პოეტმა შექმნა როგორც ხედვითი, ისე სიმბოლურ-მეტაფორული სახეები.

ცაში, ღრუბლებისა და მთვარის შეხვედრის ფონზე განჭვრიტა „იების ღვარი“ (სიკვდილი მთვარისაგან). (ტაბიძე, 1993ა, გვ. 81)

ეროვნულ შემოგარენში დაღანდა ზეციდან მომავალი „იებზე უულურჯესი“ ფერი (ვით არ მიყვარდეს). (ტაბიძე, 1977, გვ. 692)

„მთების სიიავემ“ საღვთო ნიავის – სულიწმინდის მოვლინება ამცნო (ის ერთი შეხება ნიავის). (ტაბიძე, 1977, გვ. 783)

როცა მამულში „ბუნება იით შეიმოსა, ვარდით დაიქუბა“, „მშვენიერ ოცნებიანი იებით“ ავესო სული, უბე და კალთა...

„იიან-ვარდებიანი გზებით“ იარა, მზესთან ერთად, „ორნამენტად“ ეფინა იები და ვარდები, იისფერი ემოსა, ულტრაიისფერ სხივებს ხედავდა (შეხვედრა მთაში, ულტრაიისფერ სხივებით მთებზე). (ტაბიძე, 1994, გვ. 278, 449)

იისფერი ხილვები აემგზავრა. მის ლექსებში თვალი იისფერია, დღე იისფერია, თოვლი იისფერია, ჰავა იისფერია, გზა იისფერია, ზეცა იისფერია, ტალღა იისფერია, მკვდარი თევზი მჭკნარი იისფერია.

(შდრ. არტურ რემბოს „მთვრალი ხომალდის“ „იისფერი სამანი, იისფერი ნისლი“. (ფრანგული პოეზია, 1984, გვ. 78)

„არტისტული ყვავილების“ ავტორის შემოქმედებაში გამორჩეულია რელიგიური შინაარსის იები.

ია მარიამ ღვთისმშობლის სახელია.

ვახტანგ VI პოემა „სატრფიალონის“ მიხედვით, მარიამ ღვთისმშობელს ეწოდება „უბიწოებით შემკული ია“. (ვახტანგ VI, 1984, გვ. 45)

გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში შემოქმედებითად გრძელდება ეს ტრადიცია.

„სიმბოლისტების აზრს იმის შესახებ, რომ სიტყვა არის რთული ესთეტიკური ფენომენი, რომელიც აერთიანებს მუსიკალურ ელემენტს და ფერს, გალაკტიონი ითავისებს და „იისთვის ეძებს იისფერ სიტყვებს“.

„ფერზე ყურადღების გამახვილება და ლექსის მთავარ კომპონენტად მისი გადაქცევა მეოცე საუკუნის ქართული პოეზიაში ქართველი სიმბოლისტი პოეტების დამსახურებად შეიძლება ჩავთვალოთ“ (ლია სტურუა, იისთვის ეძებს იისფერ სიტყვებს“, (ცისკარი, 1984ა, გვ. 111)

იისფერი სინანულისა და მონანიების ნიშანია. (ცისკარი, 1984ა, გვ. 111)

გალაკტიონ ტაბიძის მრავალი ლექსის ია რელიგიური ქვეტექსტების შემცველია.

ათეისტური ეპოქა აიძულებდა პოეტს, წარსულში ეძებნა რწმენის იდეალი: „წარსულმა ღამემ შენს ფანჯარაში დათოვა თოვლი ია-ზამზახის (ავდრის მოლოდინი). (ტაბიძე, 1982, გვ. 84)

ამავე ლექსში ფიგურირებს „ალვა... მზეთუნახავი და მკრთალი სახის“.

ამ სახის იდენტური, ანალოგიური შინაარსის მატარებელი სახეა „დედოფალი ალვა“ ლექსში „სადამო“.

ვფიქრობთ, „მზეთუნახავი ალვა“ და „დედოფალი ალვა“ ჩვენი ზეციური დედის მეტაფორული სახელებია (სორდია, 2009ა, გვ. 18-23) და შემთხვევითი არ არის ამ კონტექსტში იის ხსენება.

პოემა „მშვიდობის წიგნში“ დასმულია მრავალმნიშვნელოვანი და გზამკვლევი კითხვა: „გაიგეს განა ბედით ჩაგრული ყოფნით რაგვარად მტკიოდა გული? ის სილაჟვარდე, ის ია-ვარდი, თუნდაც ის დარდი და სიყვარული?“ (ტაბიძე, 1975ა, გვ. 904)

ყოფნა, ცხოვრება არის საღვთო სახელი: „მე ვარ გზა, ჭემმარიტება და სიცოცხლე“ (იოანე, 14,6) (ახალი აღთქმა და ფსალმუნები, 1992, გვ. 211)

„ცხოვრების“, „ყოფნის“ მარადიულობის რწმენაა ლექსში „ცისფერი“ „...დარჩება ხსოვნა ყოფნას, დიონისს“. (ტაბიძე, 1977, გვ. 305)

„ბედით ჩაგრული ყოფნა“ უნდა ნიშნავდეს ღმერთისუარმყოფელ ეპოქას, რაც პოეტის გულისტკივილს იწვევდა.

„სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში“ (ტაბიძე, 1989, გვ. 125) პოეტის მორწმუნეობას უსვამს ხაზს იისა და ცვრის სიმბოლური სახეებით: „...ჩემი თვალები, წინათ რომ ფეთქდნენ ცვრებით, იებით, ღამენათევი და ნამთვრალევი სავსეა ცრემლთა შურისძიებით“.

ჩვენი აზრით, ლექსის ია მარიამ ღვთისმშობლის, ცვარი კი ქრისტეს მეტაფორაა.

მივმართოთ ბიბლიას: „ვიქნები ცვარი ისრაელისთვის, აყვავდება როგორც შრომანი და ლიბანივით გაიდგამს ფესვებს“ (ოსია წინასწარმეტყველი 14,3). (ბიბლია: 2 წიგნად, 2002, გვ. 273).

„სილაჟვარდე“ „ცანი ცათანის“ (უმალღესი ცის, ღმერთის) იდენტურია, ვარდი, ყვავილი ქრისტეს სახელებია: „ყვავილები დაჩნდნენ მიწის პირზე, ჟამი გალობისა მოიწია და ხმა გვრიტისა ისმის ჩვენს მხარეში“ (ქებათა ქება სოლომონისა, 2,12) (ბიბლია: 2 წიგნად, 2002, გვ. 15)

„მშვიდობის წიგნში“, როგორც ვნახეთ, პოეტი წუხდა, რომ მისმა თანამედროვეებმა ვერ გაიგეს პოეტის ავტორის გულისტკივილის ობიექტები: „ყოფნა, სილაჟვარდე, ია-ვარდი, სიყვარული“.

ახალ აღთქმაში „ღმერთი სიყვარულია“ (I იოანე, 4,8) (ახალი აღთქმა და ფსალმუნები, 1992, გვ. 320)

ზემოთ დამოწმებული სტროფი ქვეტექსტებით მიგვანიშნებს მასში ნაგულისხმევ პრობლემაზე, ანუ რწმენის იგნორირებაზე და პოეტს ეეჭვება, ათეისტური ეპოქის მიერ მისი უმთავრესი სატკივრის გათავისება.

ამავე პოემაში საუბარია ველში ხილული ია – ვარდებსა და სილაჟვარდის ტვირთზე: „...ველნი...გაფანტავს დარდებს, იმ ია-ვარდებს და სილაჟვარდეს ტვირთად დაგადებს“. (ტაბიძე, 1975ა, გვ. 105)

ვფიქრობთ, „ველი“ საინფორმაციო ველია, ია-ვარდები და სილაჟვარდე მიმანიშნებელია დედა-ძესა და უმალღეს ცაზე.

პოეტს ეიმედებოდა ნუგეშისმომცემი ხილვა.

„მშვიდობის წიგნი“ ჩვენი ქვეყნის მიერ საბჭოთა იმპერიის ხუნდებქვეშ განცდილი კატაკლიზმების შეჯამებაა, ამასთან „ნათელმხილველი პოეტის წინასწარმეტყველება სამშობლოს გადარჩენისა და რწმენისკენ მიბრუნების შესახებ.

პოემის ია-ვარდებისა და „სილაჟვარდის“ „ტვირთი“ რწმენის ტვირთია.

„მშვიდობის წიგნში“ მოვლენები ზღაპრულ ელფერში განგებ გახვია პოეტმა, უწოდა მას ლეგენდა. სინამდვილეში ათეისტური ეპოქის ტრაგედიებზე, ეროვნულ-პოლიტიკურ და რელიგიურ პრობლემაზე გააკეთა აქცენტი.

თავისუფლებადაკარგულ, ოკუპირებულ საქართველოში იდევნებოდა რწმენა, ანუ პოეტის მიგნებული მეტაფორით, გადაშენებული იყო ია-ვარდები: „ვის რად ენება გადაშენება იათ და ვარდთა?“ (ტაბიძე, 1975ა, გვ. 242)

ჩვენი ქვეყნის უბედურება, ქრისტიანობის წინააღმდეგ ბრძოლა არა მხოლოდ მეოცე საუკუნეში და ჩრდილოელი მეზობლისგან ხორციელდებოდა, არამედ მთელი ისტორიის მანძილზე ია-ვარდს ეკლები ენაცვლებოდა: „ქართლის ცხოვრება მძიმეა, ეკლიანია სავალი, ცოტაა ია და ვარდი, დაბრკოლება კი მრავალი“.

„ეს ლექსი საქართველოზე დაწერილ ბევრ კარგ ლექსს გადასწონის“, აღნიშნავს პოეტი მიხეილ ქვრივიძე (ფიქრები, ფიქრები). (ცისკარი, 1984ბ, გვ. 99)

გალაკტიონის პოეზიაში საუბარია „სხვაგვარ იის და ვარდის“ კრეფაზე (ოცნება აჭარისწყალთან). (ტაბიძე, 1977, გვ. 77)

პოეტს აინტერესებდა „მუდმივი გაზაფხულის“, „ზამთარშიაც მოყვავილე, მთვარით ნასამაიები“ ვარდი და იები, „მშვენიეროცნებიანი იანი“ (აკაკი წერეთელი) (ტაბიძე, 1975ა, გვ. 120, 141), აწუხებდა იანვრის თოვლით დამჭკნარი სულის იები (სამრეკლო უდაბნოში).

„მუდმივი გაზაფხული“, ძველი ქართულით „ზაფხული“ საღმრთო სახელია: „გვირგვინი დაადგი შენი სიკეთის ზაფხულს და შენი ნაკვალევადან წვეთავს სიმსუქნე“. (ფს. 65,12) (ახალი აღთქმა და ფსალმუნები, 1992, გვ. 588)

გალაკტიონის იდეალი იყო „სამუდამო იები“. „მაისის თვალებით“ მთვრალი, მზით სავსე“ პოეტი მიესალმებოდა სიოს ძალისხმევით აფეთქებულ იებს, სიყვარულს, სიბოროს და პატიებას რომ შთააგონებდა: „ისევ მაისის მათრობს თვალები, ისევ სავსე მზით და ვნებებით, გაჩნდნენ ნათელი თებერვალები, ეხლა მცხოვრებნი მოგონებებით. მათში აფეთქდა სიოს სისინი და სამუდამოდ ატყდა იებად, ო, გაუმარჯოს, გრძნობენ ისინი სიყვარულს, სიბოროს და პატიებას“ (ისევ მაისის მათრობს თვალები). (ტაბიძე, 1982, გვ. 238)

მზე და თვალი საღმრთო სიმბოლოებია.

„მზე და ფარია უფალი ღმერთი“ (ფს. 84,12) (ახალი აღთქმა და ფსალმუნები, 1992, გვ. 614).

ღმერთი არის „ყოვლისმხილველი თვალი“, „ცხოვრების თვალი“ (იოანე დამასკელი) (დამასკელი, 2000, გვ. 342)

მარიამ ღვთისმშობელი მოიხსენება, როგორც „ცხოვრების თვალის მშობელი“. (მეტრეველი, 1971, გვ. 535)

„უფლის თვალი არის ათასჯერ ნათელი მზეზე. ის ყველა ადამიანის გზას ჭკრეტს და დაფარულ ადგილებშიც აღწევს“ (სიბრძნე ზირაქისა, 23,19) (ბიბლია: 2 წიგნად, 2002, გვ. 59)

აღმერთი არის „ღია თვალი“ (იერემია წინასწარმეტყველი, 32,19) (ბიბლია: 2 წიგნად, 2002, გვ. 554)

„ღმერთის თვალები განჭკრეტენ სწრაფად“ (ფს. 16) (ფრანგული პოეზია, 1984, გვ. 2; ბიბლია: 2 წიგნად, 2002, გვ. 554)

„ღვთაებრივ კომედიაში“ ფიქსირდება „ზეარსებათა მარადიული თვალები“. (დანტე, 1941, გვ. 28)

გალაკტიონის ზემოხსენებული ლექსის „მაისის თვალი“ იგივე გაზაფხულის, ანუ ღმერთის თვალია.

„სამუდამო ია“ მარიამ ღვთისმშობლის მეტაფორაა.

სიმბოლურ–მეტაფორული სახეებით ხდება ქრისტიანულ ზნეობაზე მინიშნება ლექსში „დღეთა კარებთან“: „დღეთა კარებთან ვდგავარ წუხილით, ელვამ აანთო ცეცხლის ბუგრები, ცა მემუქრება ჭექა–ქუხილით, მე დამუნჯებით ცას ვემუქრები. ელვამ აანთო ცეცხლის ბუგრები, ხანჯლებს დავფარავ ისევ იებით, მე მტერს იმავე ხმით ვემუქრები, რომ მოვა ჩემთან მონანიებით“. (ტაბიძე, 1989, გვ. 27)

ხანჯლები ძალმომრეობის, ია ქრისტიანული სათნოების სიმბოლოა, ლექსის მიხედვით, ცოდვილი სულის განწმენდა მხოლოდ მონანიებით მიიღწევა.

ლექსში „მზის ამოსვლა ზღვაზე“ (ტაბიძე, 1989, გვ. 387), „ოცნების ნავზე“ ია–ვარდის გამოცოცხლება და „სიხარულის“ ქროლვა შეინიშნება: „კვლავ გამოცოცხლდა ია–ვარდი ოცნების ნავზე, ოცნების ნავზე სიხარული დაჰქრის ვედრებით“.

ვფიქრობთ, აქაც ეს სახე მარიამ ღვთისმშობელს გულისხმობს.

ვარდი და სიხარული ქრისტიანული სახელებია.

მივმართოთ სახარებას: „აჰა, გახარებთ დიდ სიხარულს, რომელიც მთელი ხალხისა იქნება“ (ლუკა, 2,10). (ახალი აღთქმა და ფსალმუნები, 1992, გვ. 113)

ქრისტე სიყვარულის, სიკეთის, პატიების, მტრის შენდობის მქადაგებელი ღმერთია: „გიყვარდეთ თქვენი მტრები, დალოცეთ თქვენი მაწყევარი, სიკეთე უყავით თქვენს მოძულეებს და ილოცეთ მათთვის, ვინც თქვენ გავიწროებთ და გდევიით“ (მათე, 6,44). (ახალი აღთქმა და ფსალმუნები, 1992, გვ. 10)

სადეთო მორალი ასე ორიგინალურად იქადაგა გალაკტიონმა ლექსში: „ხომ გინახავს გაჭირვება?“ „... პირფერობამ ქვეყნის გული გადასუსხა, ბევრს არ ძალუმს, მტერს კი მუდამ იის წყალი უნდა უსხა“. (სორდია, 2011, გვ. 411)

„ვეფხისტყაოსანში“ ფარსადანმა ნესტანისთვის გააშენა ვარდის ბაღი ვარდის წყლისთვის.

ვაჟა–ფშაველას ბახტრიონში“ ლელა ბაჩლელი მოხსენებულია, როგორც „ვარდი, ვარდის წყლით ნაბანი“.

გალაკტიონის იის წყალი ქრისტიანული სიმბოლოა, რომელსაც წყარო არ ეძებნება.

ბიბლიაში ღმერთი არის „ცხოველმყოფელი წყაროსთვალი“ (იერემია წინასწარმეტყველი, 17,13) (ბიბლია: 2 წიგნად, 2002, გვ. 141), „სიცოცხლის წყალი“ (ზაქარია წინასწარმეტყველი, 14,8) (ბიბლია: 2 წიგნად, 2002, გვ. 304), „წყარო ცხოვრებისა“ (ფს. 35,10) (ახალი აღთქმა და ფსალმუნები, 1992, გვ. 558), „ცოცხალი წყალი“ (იოანე სახარება, 4,10). (ახალი აღთქმა და ფსალმუნები, 1992, გვ. 183)

მთელი ციკლი გალაკტიონის დამკჷნარი და გადამენებული იებისა უღმერთობაზე მიმანიშნებელია, როგორც კუბოში მოქცეული ია და ცა (პირიმზე). (ტაბიძე, 1989, გვ. 146)

ლექსში „ვუალისა და ვიოლეს შესახებ“ ია და მარიამ ღვთისმშობელი ერთდროულად იხსენება, ოღონდ, სიმბოლური ფერმით: „... გათავდა, განელდა, გაჩუმდა ზღაპარი! ოცნება! შენ წარსულს ვედრებით შესძახებ, რომ ისევ აინთოს უცნობი ლამპარი ვუალის, ვიოლეს და სხვების შესახებ“.

ვიოლე (ფრანგ.) არის ია, ვუალი–მანდილი, საფარველი, რაც მარიამ ღვთისმშობლის მეტაფორაა. ე.ი. ლექსის ერთ სიბრტეზე ია (მარიამი) და ვუალი (საფარველი), ანუ იისა და ვუალის (მანდილის, სახეში მოაზრებულია ჩვენი ზეციური დედა. (სორდია, 2011, გვ. 66-75)

ასევე, „პარალელში“ „დამჭკნარ იასთან“ შემთხვევით როდია ასოცირებული „ავემარია“. (ტაბიძე, 1989, გვ. 175)

გალაკტიონის პოეზიაში ყურადღებას იქცევს სულის იის სახე (სამრეკლო უდაბნოში). (ტაბიძე, 1977, გვ. 83)

ლექსში, იანვრის თოვლით დამჭკნარი იების პარალელურად, წუხილია ცოდვილ ხელებზე, დაფარულ ცოდვებსა და ღალატზე, წუხილია ბეჭდების თვლებზე, შიშველ ყვავილზე: „... იანვრის თოვლი, იანვრის თოვლი აჭკნობს ჩემს სულში ნაადრევ იებს. და ჩემი სული, როგორც სამრეკლო, წუხს: ცოდვილ ხელებს, დაფარულ ცოდვებს, დამალულ ღალატს, ნაზი ფრჩხილების თეთრ ზამბახებს, სწუხს სხვაგვარ ცრემლებს, თეთრ ბეჭდების თვლებს–შაშველს, თეთრ ყვავილს. სწუხს ჩემი სული, ვით სამრეკლო ცის უდაბნოში“.

სულის იების ჭკნობა, ანუ ჩვენი ზეციური დედის უარყოფა შედეგია „დაფარული, ცოდვების, დამალული ღალატის“.

ანალოგიური შინაარსია „შიშველი, თეთრი ყვავილის“ სახეში, რაც დამდაბლებულ, იგნორირებულ რწმენაზე მიგვანიშნებს. ყვავილი ხომ საღმრთო სახელია ბიბლიაში (სოლომონის ქებათა–ქება, 2,12) (ბიბლია: 2 წიგნად, 2002, გვ. 15)

ლექსის ავტორის წუხილის მიზეზია „ნაზი ფრჩხილების გრძელი ზამბახები“.

ზამბახი, ზამბახის კალათი, ზამბახის პრინცესა საღვთისმშობლო სახელად მიგვაჩნია (სორდია, 2011, გვ. 13-18)

ლირიკული გმირი ასევე წუხს „თეთრ ბეჭდების თვლებს“.

ბეჭედი, ზეცის ბეჭედი მარიამ ღვთისმშობლის მეტაფორაა. (მოსია, 1996, გვ. 43)

ბეჭდის თვალი, საერთოდ თვალი ქრისტეზე მიმანიშნებელია.

იკვეთება პოეტის წუხილის ადრესატები: უარყოფილი დედა–მე, ქრისტიანული რწმენა.

„დამალული ღალატის, დაფარული ცოდვების“ დიდოსტატია თოვლიან–ყინულიანი მონსტრი და მისი სატანური იდეოლოგია, რომელიც წამლავდა, ამცირებდა, აჭკნობდა ჩვენი სულის ია–ვარდს – რწმენას.

გალაკტიონის ერთ–ერთი გამორჩეული სახეა „იისფერი თოვლი“ ლექსიდან „თოვლი“, რომელშიც თოვლში დაცემული ზამბახები და „იისფერი თოვლის“ „მწუხარე სიყვარულია“ აქცენტირებული.

პოეტების მეფეს ტოტალური თოვლის, „შავი თოვლის“ „საუკუნეთა თოვლის“, „არაწმინდა თოვლის“, „მწუხარე თოვლის“, ყინვისა და ზამთრის აქცენტირებით მრავალგზის შეფარვით მიუნიშნებია ჩვენი ქვეყნის ეროვნულ–პოლიტიკურ, სახელმწიფოებრივ სატკივრებზე. (სორდია, 2009ბ, გვ. 259-274)

„თოვლის“ „იისფერი თოვლი“ ასოცირებულია „ქალწულთან“, „ხიდთან“, „მანდილთან“ ანუ საღვთისმშობლო სახელებთან.

„დაუჯდომლის“ მიხედვით, მარიამ ღვთისმშობელი არის „ქალწულებისა და შობის შემაულლებელი“, „ზღუდე... ქალწულთა“, „მეგლი ქალწულებისა“.

მარიამი არის ასევე „ხიდი წიაღმყვანებელი“. (სორდია, 2009ბ, გვ. 11-12) „მანდილი, საფარველი“ აღიარებული საღვთისმშობლო სახელია.

ვფიქრობთ, „იისფერი თოვლი“ არის მარიამ ღვთისმშობელზე მიმანიშნებელი მეტაფორა, როგორც „თოვლის მადონა“ ლექსიდან „ხომალდს მიჰყვება თოვლის მადონა“.

ჩვენთვის საინტერესო პრობლემას სხვაგვარი ხერხებით აშუქებს მრავალთემიანი ლექსი „გზაში“. (ტაბიძე, 1977, გვ. 425-426)

ცოდვებით, ცოფით, სინდისის უარყოფით დაღდასმული ჯოჯოხეთური ეპოქა მისგან გაქცევის, „ყრუ ადგილს“ დასახლების სურვილს ბადებდა.

საღვთო ცეცხლის ჩაქრობამ ანუ ღმერთის დავიწყებამ უმიზნო გახადა არსებობა: „არ დაბრუნდება ამ მხარეს ცეცხლი, წარსულთა დღეთა სხვანაირ მხარის, ეხლა უმიზნოდ მიდის სიცოცხლე და დაბრუნება მაინც მიხარის“.

გალაკტიონის „უჩინარი ცეცხლი, ფარული ცეცხლი, წმინდა ცეცხლი, მწარე ალი, ზეციური ცეცხლი“ ბიბლიური საღვთო ცეცხლის ვარიაციაა. (ორბელიანი, 1993, გვ. 24-32)

„ძველებური არყების“ შრიალი „სხვა ცხოვრებისთვის“ აღვიძებს სულს, ცხოვრება კი საღვთო სახელია: „მე ვარ გზა, ჭემმარიტება, სიცოცხლე“ (იოანე, 14,6). (ახალი აღთქმა და ფსალმუნები, 1992, გვ. 211)

„სულის სიბერის“ მკურნავად, „არამქვეყნიურ უზუნდარასთან“ ზიარების სტიმულად ცხადდება მერის აზრდილი: „და ერთადერთი ნაზი დარაჯი გადიფრენს თვალწინ აზრდილი მერის. არამქვეყნიურ უზუნდარაში გაიყოლიებს სულის სიბერეს“.

ქალწული მერის სახელი ცისფერს და მწუხარებას უკავშირდება: „აქ მრავალია ცისფერი ფერი! ეს ფერი მარად თვალს ეყვარება, როგორც ქალწულის სახელი – მერი არის ცისფერი და მწუხარება“.

ქალწული მარიამ, ღვთისმშობლის სახელია. (სორდია, 2009ბ, გვ. 12)

ლექსში მთები, სერები, ტბის ტალღები ცისფერი სამოსელით ელვარებს...

სული კი უხმობს იას, იისფერ სიტყვებს, „ცისფერ სიტყვას“. „უჩინარ ტყვეს – სასურველ სახეებს: „სული ეძადის იმ უჩინარ ტყვეს, ვისაც სიზმრებში უხსნიან ბაგეს, იისთვის ეძებს იისფერ სიტყვებს და ცისფერ სიტყვით ეძებს ციაგებს“.

ია საღვთისმშობლო სახელია. რას ეძებს პოეტი იისთვის? რას ნიშნავს „იისფერი სიტყვა?“ ან „ცისფერ სიტყვით“ „ციაგების“ ძიება?

სიტყვა საღვთო სიმბოლოა: „თავდაპირველად იყო სიტყვა და სიტყვა იყო ღმერთთან და სიტყვა იყო ღმერთი“ (იოანეს სახარება, 1,1). (ახალი აღთქმა და ფსალმუნები, 1992, გვ. 176)

„სიტყვას“ გალაკტიონმა „ცისფერი“ და „იისფერი“ მიუსადაგა ეპითეტებად, როგორც სულს (ღმერთს) „წმინდა, საბედნიერო“. „წმინდა სული“ (მშვიდობის წიგნი), „საბედნიერო სული“ (მზეო თიბათვისა), როგორც საღვთო შინაარსის ცეცხლს „უჩივარი“, „ფარული“, „წმინდა“.

ვფიქრობთ „იისფერი სიტყვა“ გალაკტიონის ორიგინალური ეპითეტით გაჟღერებული საღვთო სახელია და იისა და „იისფერი სიტყვების“ ძიება დედა-მის ძიებაა, როგორც მთელ მის პოეზიაში.

თუ „ცისფერი სიტყვა“ ღმერთის სახელია, ციაგი „მზის სხივი“ – ღმერთი, წმინდა სულების სავანე უნდა იყოს, ანუ ღმერთის რწმენით მარადიულ ცაში ამალღების სურვილი.

„ციაგი“ სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში განმარტებულია, როგორც „მზის სხივი“ (მზე და სხივიც საღვთო სახელებია).

„მზე და ფარია უფალი ღმერთი“ (ფს. 84,12). (ახალი აღთქმა და ფსალმუნები, 1992, გვ. 614)

„ხალხები მოავლენს შენს ნათელზე და შენი სხივის ელვარებაზე“ (ესაია. წინასწარმეტყველი, 60,13). (ბიბლია: 2 წიგნად, 2002, გვ. 118)

ე.ი. პოეტი ლექსში ძე ღმერთის საშუალებით მამაღმერთს, მის ცას ეძებს.

„გზაში“ გალაკტიონისთვის მახლობელი თემის ორიგინალური გააზრების ნიმუშია, რომელშიც მონაცვლეობენ მერი, ია, ქალწული, იისფერი სიტყვა და ცისფერი სიტყვა.

„პარალელში“ ასოცირებულია „ია“ და „ავე მარია“: „სულ სხვაა მძლავრი გუგუნი ზარის და მზის სხივებზე დამკნარი ია, დემონი იჭვით სავსე მხატვარის და სეგანტინის „ავე მარია“. (ტაბიძე, 1989, გვ. 155)

გალაკტიონისთვის დამახასიათებელი იყო ერთი და იგივე არსების მოხსენება სიმბოლოური თუ რეალური სახელებით, ხშირად ერთსა და იმავე ლექსში და ერთ სტროფშიც კი.

საგულისხმოა იის, მერის, ქალწულის ასოცირების ფაქტი ლექსის მიხედვით „გზაში“. აქვე ანალოგიური შინაარსის სახელებია „იისფერი სიტყვა“ და „ცისფერი სიტყვა“.

პროფესორი ინესა მერაბიშვილი ბრძანებს: „მსოფლიო პოეზიაში ასახული მრავალი მერისგან განსხვავებით, იქნება ეს ბაირონის, შელლის, პუშკინის, ლერმონტოვისა თუ ბლოკის მერი, გალაკტიონთან მერი ღვთისმშობლის კატეგორიაშია აყვანილი...“

„...შეიძლება ამგვარ ხედვას იმანაც შეუწყო ხელი, რომ ინგლისურ ენაში, რომელზედაც იშვა ხატება ბაირონისეული მერისა, Mary – მარიამია ღვთისმშობლის სახელი“ (ბაირონიდან გალაკტიონამდე, ანუ ვინ იყო გალაკტიონის მერი). (ლიტერატურული საქართველო, 1993, გვ. 4)

ინესა მერაბიშვილი ასკვნის: „მერის“ პოეტური სახე საკუთრივ ბაირონისა და ევროპული მერის გავლენით წარმოიქმნა, მაგრამ გალაკტიონის პოეტურ და სულიერ სამყაროში ის აუცილებლად უნიკალურ შინაარსს იძენს“. (მერაბიშვილი, 2003, გვ. 221)

გალაკტიონის პოეზიაში, ერთი მხრივ, არსებობს რეალური მერის ციკლი, რომლის ადრესატი ყოფილა მერი შერვაშიძე, პოეტი აცხადებდა, რომ ამ პიროვნებას ცხოვრებაში არ იცნობდა, მაგრამ მხატვრულ სახეს იდეალური ქალის სიმბოლოდ მიიჩნევდა (ჩიქოვაძე, 1966, გვ. 239-240) თუმცა არ უარყოფდა, რომ „ალბათ არსებობდა, იყო ასეთი ქალი“. (ტაბიძე, 1975ბ, გვ. 75)

ქართველი პოეტი ბლოკის „მერის“ „სიმბოლოურ“ ლექსად აცხადებდა, საკუთრივ თავისას „რომანტიკულად“, „დამოუკიდებელ“ ნაწარმოებად და კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა იმ

კრიტიკოსებს, რომელთაც სურდათ გაეხატა „არარსებული კავშირი“ ამ ორ პოეტს შორის. (ტაბიძე, 1975ბ, გვ. 351)

გალაკტიონის მერის სახელთან დაკავშირებულ ლეგენდებში აღსანიშნავია საქართველოს სახალხო მხატვრის – ლადო გუდიაშვილის მოგონება, თითქოს პოეტმა მას მერის ადრესატთან დაკავშირებული საიდუმლო გაანდო და ამ ულამაზესი ბანოვანის პორტრეტის დახატვა სთხოვა თვით გალაკტიონმა.

ამ საკითხზე ცნობისმოყვარეობით ატანილთ გალაკტიონი თავისი ერთი ლექსის სტრიქონებით პასუხობდა: „...დავუბრუნდეთ! უნდომარ სულს თითქოს კარი დარაზოდეს, მე არ გვითხავს მაინც წარსულს, ნურც შენ მკითხავ ნურასოდეს“ (აქეთ ნუში, იქეთ ნუში). (ტაბიძე, რჩეული, 1989, გვ. 242)

შემთხვევითი როდია პოეტის მიერ ზეცაზე აჭრილ ნათლის მფენ მნათობთა შორის მერის (მარიამის) კაშკაშა ვარსკვლავად მოხსენება (ცხედართა გროვა). (ტაბიძე, 1994, გვ. 162)

ათეიზმის ზეობის ჟამს ბრძენი პოეტი გზა-კვალს ურევდა სატანისტურ ხელისუფლებას, ბევრ კრიტიკოსებს და ღვთისმშობელს არა მარიამად, არამედ მერის და მადონას სახელებით მოიხსენებდა.

ურწმუნო ეპოქის ტრაგედიებით შეძრწუნებული პოეტი გმობდა ტირანას, მაგრამ არ წყვეტდა კავშირს უზენაეს ძალებთან, მთელი ძალისხმევით ეძებდა იას, მერის, ქალწულ მარიამს, როგორც ქრისტეს – „ისფერ სიტყვას“, „ცისფერ სიტყვას“ და რწმენით სურდა ცათა ცაში, მარადიული მზის სხივების სავანეში უკვდავთა მხარეში დამკვიდრება.

ლექსში „დაფნა“ (ტაბიძე, 1989, გვ. 42) გვხვდება ორიგინალური ფრაზა და ნეოლოგიზმი „მოაიავებს“: „და ოცნება მოგონებას იით მოაიავებს“.

აღნიშნულია, რომ „მოაიავე“ „გააკეთილმობილე“, „გაალამაზე“, „გამშვენეიერეს“ სინონიმია (ვიქტორ გაბესკირია „იები“). (გაბესკირია, 1989, გვ. 28)

პოეტის „ოცნების ნავზე“ „ია-ვარდი“ და „სიხარული“ მკვიდრობდა.

იის გამოყენებით შექმნილი ნეოლოგიზმებია: სიავე, მონაიავები, მოაიავებს, იობა.

ბიბლიოგრაფია:

ახალი აღთქმა და ფსალმუნები. (1992).

ბიბლია: 2 წიგნად (წ. II). (2002). თბილისი.

გაბესკირია, ვ. (1989). წერილები. თბილისი: მერანი.

გურამიშვილი, დ. (1964). დავითიანი. თბილისი: საბჭოთა საქართველო.

დამასკელი, ი. (2000). მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა. თბილისი.

დანტე. (1941). ღვთაებრივი კომედია. (ვ. გამსახურდია, მთარგმნ.) თბილისი.

ვაჟა-ფშაველა. (2011ა). თხზულებანი ხუთ ტომად (ტ. 2). თბილისი: პალიტრა L.

ვაჟა-ფშაველა. (2011ბ). თხზულებანი ხუთ ტომად (ტ. 3). თბილისი: პალიტრა L.

ვახტანგ VI. (1984). ლექსები და პოემები. თბილისი.

კონსტანტინე გამსახურდია: ექვსტომეული (ტ. 6). (2012). თბილისი: პალიტრა L.

ლიტერატურული საქართველო. (1993 წლის 7 იანვარი).

მერაბიშვილი, ი. (2003). გალაკტიონის ენიგმები. თბილისი.

მეტრეველი, ელ. (გამოც. და გამოკვ.). (1971). ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი. თბილისი: მეცნიერება.

მოსია, ტ. (1996). საღვთისმშობლო სახისმეტყველება. ზუგდიდი.

ნადირაძე, გ. (1958). რუსთაველის ესთეტიკა. თბილისი: საბჭოთა საქართველო.

ნოზაძე, ვ. (1954). „ვეფხისტყაოსნის“ ფერთამეტყველება. ბუენოს აიერსი.

ორბელიანი, ს. ს. (1993). ლექსიკონი ქართული (ტ. II). თბილისი.

საპატრიარქოს უწყებანი. (2009 წლის 3-9 აპრილი). (12).

სორდია, ლ. (1993). გალაკტიონ ტაბიძის სიმბოლიკა. თბილისი.

სორდია, ლ. (2009ა). გალაკტიონ ტაბიძის სახისმეტყველებისა და მსოფლმხედველობის საკითხები. თბილისი: უნივერსალი.

სორდია, ლ. (2009ბ). ქრისტიანული სახისმეტყველების საკითხები XX საუკუნის ქართულ პოეზიაში. თბილისი: უნივერსალი.

სორდია, ლ. (2011). მეფისტოფელის საუკუნე და გალაკტიონ ტაბიძის პოეზია. თბილისი: უნივერსალი.

ტაბიძე, გ. (1975ა). თხზულებანი თორმეტ ტომად (ტ. 11). თბილისი.

ტაბიძე, გ. (1975ბ). თხზულებანი თორმეტ ტომად (ტ. 12). თბილისი.

ტაბიძე, გ. (1977). რჩეული. თბილისი.

ტაბიძე, გ. (1982). რჩეული. თბილისი.

ტაბიძე, გ. (1989). რჩეული. თბილისი.

ტაბიძე, გ. (1993ა). თხზულებანი ხუთ ტომად (ტ. 1). თბილისი.

ტაბიძე, გ. (1993ბ). *თხზულებანი ხუთ ტომად* (ტ. 2). თბილისი.
ტაბიძე, გ. (1994). *თხზულებანი ხუთ ტომად* (ტ. 3). თბილისი.
ტაბიძე, გ. (1995). *თხზულებანი ხუთ ტომად* (ტ. 5). თბილისი.
ფრანგული პოეზია. (1984). (გ. გეგეჭკორი, მთარგმნ.) თბილისი.
ქართული კლასიკური პოეზიის ანთოლოგია. (1980). თბილისი: მერანი.
ჩიქოვაძე, გ. (1966). *გალაქტიონის ახლო*. თბილისი: საბჭოთა საქართველო.
ჩხენკელი, თ. (1983). *მშენიერი მძლევალი*. თბილისი.
ცისკარი. (1984ა).
ცისკარი. (1984ბ). (1).

Luara Sordia
Sokhumi State University
GALAKTION TABIDZE'S ENIGMAS.
“SEARCHING FOR VIOLET WORDS FOR THE VIOLET”
RESUME

There is the whole cycle of violet-roses in Galaktion Tabidze's works, among which of special interest is the enigma – “Searching for violet words for the violet and searching for splendor with blue word” (from the poem *On the Road*).

Analysis of the thoughts about the given images takes us to the conclusion that: according to theological thoughts violet is the symbol of the Mother of God and the word is the Gospel paradigm of the Son of God.

Galaktion means such content in those images. In addition, the determinant of “the violet” is the “violet-color, purple” and of the “word” is “blue”, which does not change the idea about Canonical Types. Considering the aforementioned, the phrase - “Searching for violet words for the violet and searching for splendor with blue word” – means the search for the mother-son, the highest sky, which points to the Christian belief of the author of the poem.

Keywords: Enigma, Poetry, Christianity, Love.

ეკატერინე ფანგანი
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

„რკინის თეატრის“ ძირითადი კონცეპტები

საკვანძო სიტყვები: კონცეპტი, ჭილაძე, რკინის თეატრი, თავისუფლება.

ოთარ ჭილაძის სხვა რომანებისგან განსხვავებით, „რკინის თეატრი“, მძაფრი ქარტეხილების, მღვრიე სოციალურ-პოლიტიკური ვითარებისა და მტკივნეულად განცდილი ეროვნულობის დამადასტურებელი რომანია, რომელშიც მე-19 საუკუნის დამლევისა და ცხრაასიანი წლების დასაწყისია ასახული. გლობალურ კრიზისს მოუცავს რუსეთის იმპერია და ბუნებრივია მისი შემადგენელი ნაწილებიც, მათ შორის საქართველო.

ეპოქალური ცვლილებები, დაჩქარებული პროცესები „გადაწყობისა“, გადატრიალებები, რუსეთის იმპერიას აღსასრულისკენ მიაქანებს, ამიტომ რომანში უჩვეულო სისწრაფით მიდის დროც, რისი მეშვეობითაც, მწერალი ქმნის დაძაბულ ატმოსფეროს, აღწერს ამქვეყნად ყველაზე რთულ და სასტიკ თეატრს – ცხოვრებას.

ნაწარმოებში ილანდება I მსოფლიო ომის სურათები, ხდება ერთგვარად გაიგივება მეფის რუსეთის და კომუნისტური რუსეთის იმპერიებისა, ხოლო ცალკეული პიროვნებების ფსიქოლოგიური ხასიათების

გახსნით, მწერალი ხატავს ზოგადად ადამიანის ცხოვრების ტრაგედიას იმპერიული მმართველობის პერიოდში. მისთვის ჩვეული მანერით, სიმბოლოებით, დეკოდირებით, მწერალი ახდენს როგორც გეოგრაფიული, ისე საზოგადოებრივი სივრცის ასახვას. ეროვნული სული, მართალია, ცხოვრებაში არ ჩანს, მაგრამ, ჯერ კიდევ ცოცხალია. („ნატო გაბუნიას პირიდან ია-ვარდი სცვიოდა“... „ყაზბეგი ხანჯლებით ცეკვავდა“...) ცხოვრება ჩვეულებრივად მიედინება თავისი დადებითი თუ უარყოფითი მახასიათებლებით, („მარინეს პროსპექტზე ეტლი შეჩერდებოდა და ბეჭდიანი თითი ფოსტის წინ ატუზულ მემავს მოიხმობდა“... „დილით ყელგამოჭრილ კაცს პოულობდა პოლიცია ქუჩაში.“) ხელოვნება და კულტურა მარწუხებშია მოქცეული, („ცენზორებს კალამი მომარჯვებული ჰქონდათ, სიტყვა „საქართველო“ რომ არ გაჰპარვოდათ“) იმპერიულმა მმართველობამ ადამიანებსაც უცვალა ზნე („პოლკოვნიკი ვეზირიშვილი აცეკვებულ ცხენზე იჯდა, ცხენივით აქნევდა თავს და ხვიხვინებდა: მაქვს პატივი, მაქვს პატივიო...“) გაურკვეველობას დაუსადგურებია ირგვლივ, ადამიანებმა არ იციან სად დაიწყონ და სად დაასრულონ ფიქრი, რას ჩაეჭიდონ, რაში დააჯერონ თავი („ჯერ კიდევ გასარკვევი ჰქონდათ, მათი ორასწლიანი მონობა დამთავრებულიყო, თუ მათი მონობის ორასი წელი“) ო. ჭილაძე ეპოქასა და ადამიანებს მათს ქმნადობასა და ცვალებადობაში ხატავს, შემთხვევით არ გასდევს რომანს შემდეგი სიტყვები რეფერენციით: „ცხოვრება კი დულდა და გადმოდულდა, როგორც შამპანური ტანწერწეტა ჭიქებში.“

ამ რომანის სცენა საქართველოა, კერძოდ, მისი ზღვისპირა ქალაქი ბათუმი. ქალაქი, რომელიც იმპერიის ზრახვების უშუალო მსხვერპლი გაუხდია ბედს. რომანის სიუჟეტი აგებულია ავტორის გამონაგონისა და ისტორიული, ჭეშმარიტი სიტუაციების სინთეზირების გზით.

მწერლის მიერ აღწერილი ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების უშუალო მონაწილე და თვითმხილველი დავით კლდიაშვილი, მოგონებების წიგნში „ჩემი ცხოვრების გზაზე“, დაწვრილებით აღწერს როგორც იყო ბათუმი ცხრაასიან წლებში, რა პოლიტიკას ატარებდა რუსეთის იმპერია საქართველოში და როგორ აისახებოდა ყოველივე ეს უბრალო ადამიანების ყოფაზე. „რკინის თეატრის“ მნიშვნელოვანი პასაჟები, თითქმის იდენტურია დ. კლდიაშვილის მოგონებების ზოგიერთი ამბისა, ვგულისხმობთ ჟურნალების ოჯახის აღწერას. ო. ჭილაძის მიერ აღწერილი ქეთევან ჟურნალი ქველმოქმედი, ნატიფი აზროვნების ქალია, ქალაქის ყველაზე ხმაურიანი და სასიამოვნო ოჯახის დიასახლისი. პოლიცემისტერის ცოლი, რომელიც განსაკუთრებული სიყვარულით მსახიობებს ეპყრობოდა. დ. კლდიაშვილი კი მოგონებებში ასე ხატავს ქეთევანის სახეს: „იგი იყო ბათუმის ქართული საზოგადოების თავმომყრელი და სულისჩამდგმელი, მისი ოჯახი იყო, სადაც თავს იყრიდნენ ქართველები, მას დიდი პატივისცემა ჰქონდა დამსახურებული ქართველობაშიც და გარემოთა მხრივაც. ბათუმში ჩამოსული ყველა ინტელიგენტი ქართველი მოვალედ რაცხდა თავს, ამ ოჯახში მისულიყო. ქართველ არტისტებს აქ დიდი ყურადღება ექცეოდათ და დიდად ხელი ეწყობოდათ.“ (კლდიაშვილი, 1984, გვ. 22)

პოლკოვნიკი ვეზირიშვილი დ. კლდიაშვილის მოგონებებში ასე ცოცხლდება: „ცოლად ჰყავდა პოეტ ნიკოლოზ ბარათაშვილის და; უკანასკნელს არაფერში ეტყობოდა დიდებული მძის ნათესაობა, თვით ვეზირიშვილი კი ახირებული ადამიანი იყო, თავის ნაწილს ისე უყურებდა, თითქოს ეს მისი ყმები იყვნენ, სამსახურის არა იცოდა რა“. (კლდიაშვილი, 1984, გვ. 23)

ო. ჭილაძესთან ვეზირიშვილი გაიმეორა და უცნაური კაცია, (ჩაკეტილი აზროვნებით, იგი ყველაზე თავისუფალ პერსონაჟთან ქმნის კონტრასტს) იმპერიის მონა ნატოსთან საუბრისას განმარტავს, რომ იმპერია ერთიანი ორგანიზმია, უამრავი ნატოსა და პოლიცემისტერისაგან შემდგარი.

დ. კლდიაშვილის მოგონებების მიხედვით, ბათუმი მოკლე ხანში იქცა „ნავთის“ ქალაქად, სადაც სოფლებიდან ჩამოსახლებულებს მტრულად ხვდებოდნენ, იმპერია კი სულ იმის ცდაში იყო, რაც შეიძლება ნაკლები ქართველი მოხვედრილიყო ქალაქის თვითმმართველობაში. მწერალი ქართველებისადმი კეთილგანწყობილ ადამიანებსაც გვიხატავს და მათ შორის განსაკუთრებული ადგილი ვოლსკის უკავია.

ო. ჭილაძე ოსტატურად იყენებს არა მხოლოდ დ. კლდიაშვილის მიერ გახსენებულ ფაქტებს, არამედ თავად კლდიაშვილიც შემოჰყავს ნაწარმოებში საერთო ფონის, ავანსცენის შექმნისას. სცენაზე და სცენის მიღმა კი თვალისმომჭრელი არაფერი ჩანს, დამთხვეული გერმანელი მეზალე ქვობაზე ცდილობს ბალის გაშენებას, ეკლესია-მონასტრებში ჯარი დგას და ჯარისკაცები მთვრალი მონაზვნის ცეკვის ცქერით ერთობიან. მშობლები საკუთარი წიაღიდან იშორებენ შვილებს, „კაი ცხოვრებისთვის“ წირავენ. კარგი ცხოვრებისათვის გამეტებულმა შვილებმა კი საბოლოოდ გადაივიწყეს მშობლიური ენა. მათმა სამეტყველო აპარატმა, არა როგორც ადამიანის ცოცხალმა ორგანომ, არამედ, როგორც უსულო საგანმა, კომპიუტერმა, ისე აითვისა სხვისი ენა, აითვისა და გაითავისა, ხოლო მათი ეროვნული მგრძობელობა და ღირსებები „განსწავლის“ ჟამს ისე გაისრისა, როგორც მოზარდის გადაგვარებულ ხმის იოგებში ქართული ანბანი, ქართული ბგერა და ინტონაცია. გადაგვარების პროცესი კი იმდენად იყო ამაზრზენი

და ტრაგიკული, რამდენადაც უკვე „განსწავლული“, გაწვრთნილი შვილი, უკანვე ბრუნდებოდა ყოველივე ქართულის აღმოსაფხვრელად და დასათრგუნად“. (ჯოხაძე, 2009, გვ. 265)

ამ მასაში ბედნიერი გამონაკლისებიც არსებობდნენ, საბა ლაფაჩისა და დავით კლდიაშვილის სახით, რომლებიც მართალია ეროვნული ღირსების გრძნობას ინარჩუნებდნენ, მაგრამ სრულ თავისუფლებას სახელმწიფო მოხელის მუნდირი ართმევდათ. „ეს მუნდირი დავით კლდიაშვილისა და საბა ლაფაჩისთვის იგივეა, რაც სრულიად საქართველოსთვის რუსეთის იმპერია, ციხე, გისოსი, რკინის თეატრი, რომელშიც მათ უწევთ თამაში, ორმაგი, ორმხრივი თამაში.“ (ჯოხაძე, 2009, გვ. 265)

მკვლევარი ზ. გოგია თვლის, რომ „რკინის თეატრში“ მოქმედება მე-19 -მე-20 საუკუნეთა მიჯნას ეხება, სულიერებისგან დაცლისა და განხიზღვის ეპოქას, როცა, ღმერთს არაფერი აკავშირებს მისი იმედის ამარა დარჩენილ ადამიანებთან.

რომანის აგებულება (მისი დაყოფა 6 თავად) განაპირობებს სიუჟეტის შემადგენელი მრავალფეროვანი მასალის მწყობრ განლაგებას. პირველ თავში ბათუმის (შესაბამისად ქვეყნის) სოციალურ-პოლიტიკური ვითარების ასახვასთან ერთად, მწერალს ოსტატურად შემოჰყავს მკითხველის ცნობიერებაში დიმიტრი ჟურული, რომელიც მკვეთრად განსხვავებულია მშობლებისგან, მყუდრო ცხოვრებისკენ მიდრეკილი, საკუთარ თავში ჩაკეტილი ვექილი. მისი მშობლები ხმაურიანი ცხოვრებით აცოცხლებდნენ ქალაქს, სიკვდილიც კი სიცოცხლის ნაირსახეობად მიაჩნდათ, სიცოცხლის გაგრძელებად თვლიდნენ მას. დიმიტრი კი შერცხვენილი ოფიცრის ანაბეჭდს კი ვერ იშორებს მეხსიერებიდან, რადგან სამშობლოსთან ჰყავს ქვეცნობიერად გაიგივებული, რომელიც ოფიცერივით სუსტი და აწურულია, რეალობისგან დამალვაზე ორიენტირებული.

სიმწვანეში ჩადგმული სახლი, სამოთხისმაგვარ წარმოდგენას უქმნის მკითხველს, მაგრამ ეს სილამაზე და მყუდროება მოჩვენებითია, ის უნდა დაირღვეს, ხმაურად იქცეს, რადგან თავად ცხოვრება ხმაური და მოძრაობა.

დიმიტრის მეუღლეც შესაფერისი უპოვია, დარია იმისთვისაა გაჩენილი, რომ ქმარს ემსახუროს, ქმარს ანაცვალოს ერთფეროვანი სიცოცხლე. დარიას წარმოდგენებს ბავშვობის ბედნიერი დღეების მოგონება კვებავს, იმდენად შორეული და მოჩვენებითი, რომ თავადაც ვერ გაურკვევია, სინამდვილეში მომხდარს იგონებს, თუ ზმანებაში ნანახს.

მწერალი ჟურულების გამოფხიზლებას თბილისელი მსახიობის შემოყვანით ახერხებს, სინამდვილეში თბილისელი მსახიობი არა მხოლოდ ჟურულს, არამედ მთელ ქალაქს აფხიზლებს ძილ-ბურანისგან. „ეროვნულ გმირად“ გარემოებამ აქცია თბილისელი მსახიობი, იგი თავისუფლების მოსაპოვებლად სიმამრის ოჯახიდან გამოქცეული მეოცნებე იდეალისტია, ტრაგიკული პიროვნება, რომელიც რაც უფრო ცდილობს არსებული რეალობიდან გაქცევას, მით უფრო მყარად ითავისებს საკუთარი არარაობის შეგრძნებას. რკინის თეატრი მისი ასპარეზია, სადაც საკუთარი ძალმოსილება უნდა სინჯოს და ამაშივე დაარწმუნოს მაყურებელიც. ქალაქის გამოფხიზლება საფრთხის შემცველია, ამიტომაც აუყრიან მას თეატრის იატაკს, თუმცა რაც უფრო ხისტია პოლიცემისტერის ქმედება, მით უფრო ტრაგიკულის და ძვირფასის, ხელშეუხებლისა და თავისუფალის ნიღბებს არგებს გარემოება მსახიობს. მაყურებელს კი თანაბრად ნუსხავს რკინის თეატრში, თუნდაც იატაკაყრილ თეატრში, შავ ორმოში გათამაშებული ყველა როლი, რასაც მოიფიქრებენ, რასაც შესთავაზებენ და რითიც მოწყვეტენ რეალობას.

მსახიობმა შეძლო მის მხარეზე ეყოლიებინა საზოგადოება, მუდმივი თვალთვალი მისი ქმედებებისა პოლიცემისტერის მხრიდან, დაძაბულ გარემოს ქმნის, უარყოფითად მუხტავს დიმიტრი ჟურულსაც, რადგან იცის, რომ ღამეული სტუმრობები უკვალოდ არ ჩაივლის, დიმიტრის ოდესღაც ამის გამო პასუხს მოსთხოვენ, მაგრამ მანამდე მსახიობი აქტიური მუხტის, მისი გენის გაგრძელებისკენ ბიძგის მიმცემია. (ცხრა თვის თავზე ნატო გაჩნდება ჟურულების ოჯახში)

„ეროვნული გმირი“ ცოლის მსხვერპლია, მოჩვენებითია მათი სიყვარულიც, რადგან პირველივე დაბრკოლებას ვერ უძლებს, ეს არაა ერთმანეთისთვის თავგანწირვა, ეს ერთმანეთის ცხოვრებით გართობაა, მაგრამ ნიღბებიც ღლით მსახიობებს, ერთი ქალაქიდან გაქცევას არჩევს, მეორე ამალიასთან იკმაყოფილებს ცხოველურ ინსტინქტამდე დასულ ადამიანურ სისუსტეებს. საბოლოოდ, როგორ არაბუნებრივადაც არ უნდა ჟღერდეს, შვილის შეძენა თბილისელი მსახიობისთვის დამლუპველი აღმოჩნდა. ელენეს განაჩენი გამოაქვს ქმრისთვის, არც მეტი და არც ნაკლები – შვილით.

ზოგადად სახლ-კარის უქონლობის, ან საკუთარი სახლის ფაქიზი აღქმის მომენტები, ხშირად ფიქსირდება ო. ჭილაძის შემოქმედებაში. „რკინის თეატრში“ თბილისელი მსახიობი და საბა ლაფაჩი განიცდიან ყველაზე დიდი მგრძობელობით ამ პრობლემას. ერთს საკუთარი სახლი არ აქვს და ყველაზე კარგად დიმიტრის მყუდრო სახლში გრძნობს თავს, მეორეს კი დედის დამსახურებით მოუწია მშობლიური სახლიდან მოწყვეტა და იმად ყოფნა, ვინც სინამდვილეში არ იყო. მწერლის ჩანაფიქრი მარტივი ამოსაცნობია – სახლი იდენტობის ნიშანია, სახლ-კარს მოწყვეტილი კი ღირებულს ვერაფერს

შექმნის, ისევე როგორც სახლის უქონელი ადამიანი. ორივე პერსონაჟი საკუთარი თავის მიეხიბვა დალილი, ზოგადად რაღაც დაკარგულის თუ დასაკარგის მიეხიბვა, ძალიან აქტუალურია რომანში.

სულიერი სიმშვიდის მიეხიბვა ჩამოიყვანა ქალბატონი ელენეც ბათუმში, ქმრის გარდაცვალების შემდეგ, თავშესაფრის მიეხიბვა. ქალბატონი ელენე ორი ნიღბით თამაშობს ცხოვრებისგან გამოქცევილ რკინის თეატრში, ქმრის გვერდით თავნება, ლამაზი ქალი – უქმროდ შაოსანი, პირქუში და სასტიკი დედაკაცი.

ქმრის სიკვდილმა ელენეში ჩაკლა ქალი, მაგრამ დარჩა დედა, რომელიც „თავისად მაცქერალ“ თვალს ვერ იბრმავეს დედა-შვილობაში, ელენე დედაა და ერთადერთი, რისთვისაც მას პასუხი არ მოეთხოვება, ეს შვილის სიყვარულია, თუნდაც ისეთი ეგოისტური და თავკერძა, როგორი გრძნობითაც მას გელა უყვარს.

თბილისელი მსახიობის ცხოვრების გამგრძელებლად გელა გვევლინება, მოჩვენებითი აქტიურობის, ნამდვილად აქტიური და ქარიზმატული პირმშო. იგი ბავშვობიდანვე გამორჩეულია, ადვილად იქცევა ყურადღებას და საკუთარი გავლენის ქვეშ ისევე მარტივად იკრებს ადამიანებს – როგორც მამამისი. თუმცა გელა ნამდვილი თავისუფლებაა, არა მოჩვენებითი და ძალდატანებითი, გელა ნამდვილი მეტროპოლია, სულიერად გაუტეხელი, უშიშარი, არჩადენილი დანაშაულისთვის დასჯილი. გელას საკუთარი პიროვნების იდენტიფიცირება უჭირს, ბარიერად ამ პროცესში მამის თვითმკვლელობა ექცა, საბაზანოში, წითელ, ბლანტ სითხეში ჩაწოლილი მამის უსულო სხეული.

ფროიდის „ფსიქოანალიზის“ მიხედვით, პიროვნების ფსიქიკის ჩამოყალიბებაში, სხვა მრავალ ფაქტორთან ერთად დიდ როლს თამაშობს ბავშვობაში გადატანილი ტრამები. „ჭილაძის თითქმის ყველა რომანში პიროვნების ფსიქოსოციალური იდენტურობის კრიზისი უკავშირდება გენეტიკური ჯაჭვის გაწყვეტას, კერძოდ კი მამასთან დაშორებას: ქაიხოსროს, გიორგას და გელასაც, სიკვდილი ამორებით მამასთან, ფარნაოზსა და ნიკოს ავადმყოფობა, მამების მიერ უარყოფილნი არიან ფრიქსე, კუსა და საბა ლაფაჩი.“ [ა. ნემსაძე] მამებსა და შვილებს შორის გაუცხოება ხდება არასრულფასოვნების განცდის გაჩენის მიზეზი შვილებში, საყრდენის, გნებავთ, გამოცდილი გზის მასწავლებლის არარსებობა, მრუდე გზებით ატარებს ახალ თაობას.

ამ საკითხზე მსჯელობისას გვახსენდება ფოლკერ ელის პილგრიმის გახმაურებული წიგნი – „დედიკოს შვილიკოები“. ავტორი თავის წიგნში ამ თვალსაზრისს ატარებს, რომ „მამაკაცები, რომელთაც იმთავითვე მჭიდრო კავშირი აქვთ დედასთან, ხოლო მამისგან გაუცხოებულნი არიან, ამჟღავნებენ მიდრეკილებას სხვა ადამიანების, გარემომცველი საზოგადოების მიმართ ძალადობისა და ძალმომრეობისაკენ. ამ თვალსაზრისით ახასიათებს ავტორი არა მხოლოდ ნერონს, ჰიტლერს, სტალინს ან სხვა ტირანებს, არამედ ფრიდრიხ დიდს, ბისმარკსაც, არა მხოლოდ იულიუს კეისარს, ალექსანდრე მაკედონელს და ნაპოლეონს, არამედ რაინერ ვერნერ ფასბინდერს, რეიგანს და რომის პაპ იოჰან პავლე მეორესაც. როგორც დასავლურ კრიტიკაში აღნიშნავენ, პილგრიმის მიერ მამაკაცების ძალმომრეობის, ძალადობის ანალიზი, ახალ შუქს ჰფენს დედებსა და ვაჟიშვილებს, მამაკაცებსა და ქალებს შორის ურთიერთობის ახსნა-გაგებას.“ (კაკაბაძე, 2009, გვ. 162)

მოცემულ ნაზრევზე დაყრდნობით შესაძლებლობა გვეძლევა, სწორედ ამ ნიშნით დავახასიათოთ ი. ჭილაძის „უმამოდ გაზრდილი შვილები“, რაც მათი ხასიათის მახასიათებელი შტრიხების გახსნაში დაგვეხმარება, თუმცა გელას შემთხვევა განსაკუთრებულია, გელა არ არის მოძალადე, უფრო თავდაცვაზე ორიენტირებული ინდივიდი. გელა არ ძალადობს მამინაც კი, როცა თითქმის არასრულწლოვანს, „უგზოობის ქოხში“ თავშეფარებულს, სათვალისანი რევოლვერს ჩუქნის, იმ იმედით, რომ გელას ხელით მოკვდება, ხოლო იარაღი მწერლის აზრით, იმისთვის არსებობს, რომ „თუ გაქვს, უნდა გამოიყენო კიდეც“, მით უმეტეს, თუ მოტივიც გაქვს იმისთვის, რომ ღვთის მცნებათაგან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დაარღვიო, „კაც კლა“ – რადგან შენი ადამიანური ვალია, შენსავით უპატრონო, ხუთი წლის გოგოს გამო (რომელსაც ჯერ არც კი ეტყობა გოგობა) იმიო შური, უფლებამოსილი ხარ, რადგან „უგზოობის ქოხში“ ყველაზე უცოდველი ხარ, აირწინაღიანს, სათვალისანსა და ბრტყელსახიანს შორის.

გელა არ ძალადობს, არც განიკითხავს და მამის ლანდთან მართალი რჩება, მწერალიც ამართლებს საკუთარ პერსონაჟს: „მაგრამ გელა განა იმათი მსაჯულია? მე რა შუაში ვარ? რა ჩემი საქმეა? – ფიქრობს მშვიდად, აუღელვებლად. შემოდია მაგრამ არ მინდა, განა რაც შეუძლია ყველაფერი უნდა გააკეთოს კაცმა?“

„უგზოობის ქოხი“ პოლიცემისტერის ემპაკური ჩანაფიქრია, ამ ნაგებობაში მოხვედრილი ადამიანები იქ შემთხვევით არ შეყრილან, პოლიცემისტერთან მისული ნატო გელას საქალაქოში აირწინაღიანის, ბრტყელსახიანის და სათვალისანის ფოტოებსაც მოკრავს თვალს.

გელასთვის ერთადერთი იმედი ნატოა, ნატოს სიყვარული საჩუქარია, ყველაზე ძვირფასი და საიმედო, ისეთი გრძნობაა ყველაფრის ატანას და გაძლებას რომ აიძულებს. ნატოს სახლის სხვენზე ბუდობს ღმერთიც, სიყვარულის და სიმშვიდის პირველსაწყისი: „გელამ უკვე ისიც იცის, მისი ღმერთი

მხოლოდ ნატოს სახლში რომ ბუდობს, ნატოს სახლის სხვენში, რადგან ღმერთი ალბათ ისაა, რაც გიზიდავს, გიყვარს, სიკეთის ჩადენის სურვილს გიჩენს, სამართლიანობის გრძნობას გიღვიძებს, რაც აუცილებელია და არა სასურველი.“ გელა უნდა გადარჩეს, რადგან ქვეცნობიერად გრძნობს, რომ მისი გენი გრძელდება, მან იცის რომ სხვა ვალდებულებაც აქვს, ახლა არა მხოლოდ შვილია ვილაცის, არამედ მამაც. „რა მდიდარი იყო, რამდენი რამის დამკარგავი, და რა მძიმე, რა საპატიო ტვირთი ეკიდა ჯერ კიდევ ბავშვურად სუსტ მხრებზე. მარტო შვილი კი არ იყო ვილაცისა, არამედ ვილაცის მამაც. ძე წარსულისა და მამა მომავლისა!“ ახლა ორნი კი არ არიან, თვითონ და მამის აჩრდილი, არამედ სამნი... მეოთხეს დახმარებით.

მეოთხე ნატოა, უსაზღვროდ უყვარს ზღვა, ზღვა და ნატო მესაიდუმლები არიან, ზღვა უკიდევანოა ნატოს სიყვარულისა და გელას დეკარგვის შიშის მსგავსად. ზოგადად, ზღვა ო. ჭილაძისთვის უმნიშვნელოვანესი მხატვრული სახეა, როგორც იდუმალი, დროზე აღმატებული, ადამიანური ამოების ბაზართან და ყოფიერების ვნებებთან დაპირისპირებული ფენომენი.

პატარა ქალაქი სიყვარულს არ პატიობს ნატოს, ყველაზე მეტად ის ადამიანები სცხებენ ჩირქს, რომლებიც ნაკლებად უფლებამოსილნი არიან მის გაკიცხვაში. ნატომ „სიყვარულის გზით“ უნდა იაროს, რადგან „ვერაგობის გზაც“ ახლოა და „პროფესიონალი მეძავის“ იარლიყიც. ნატომაც უნდა იბრძოლოს, რადგან ამ ქალაქში ყველა იბრძვის.

ელენეს სახლიდან შინ მიმავალი ნატო კი ასკვნის, რომ... „ბრძოლა შეიქმნა სულის ძალსა, სულის ძალა სიყვარულსა, სიყვარული - სიმართლესა, სამართალი - სიხარულსაო“ იმეორებდა მაგრამ, სიტყვებს აზრიც დაჰკარგოდათ და ელვარებაც, მკვდარი ჩიტებივით ცვიოდნენ წუხანდელი მრისხანების ნაცარში, საიდანაც თითო-ოროლა ნაპერწკალი თულა გამოსხლტებოდა ხოლმე მოულოდნელად, რაც საბრძოლველად კი არ აღაგზნებდა ნატოს, კიდევ უფრო არწმუნებდა ბრძოლის უაზრობაში“. ცხოვრება კი დულდა... ნთქავდა და ანადგურებდა ყველაფერს, რასაც ერეოდა და იმორჩილებდა. „მსოფლიო საომრად ემზადებოდა, ჩახმახივით წვიპზე შემდგარი. „ჩვენთან არს უფალიო“ - გალობდნენ ტამრები, „მირს მეფე და მალა მუშაო“ - გაჰყვიროდნენ ქუჩები, იმპერია ზანზარებდა.“ (ჭილაძე, 2007, გვ. 338)

ნატო მხოლოდ ორ დროში ცხოვრობს, წარსულში (წითელ კრამიტზე ვეხდაცურებული გელა სიყვარულის, თავისუფლების დროშასავით მიაფრიალებს პერანგს) და მომავალში, (სჯეროდა, მაინც რომ შესძრავდა გაქვავებულ გულებს თავისი თამამი, თავგანწირული, უანგარო სიყვარულით. ყველა კარი რომ გაიხსნებოდა მის წინ გელასკენ მიმავალი, და ყველა კანონი სასწრაფოდ გადასახედი გახდებოდა, სიყვარულის გაუთვალისწინებლად დაწერილი და დადგენილი), მაგრამ აწმყოა უღმობელი, აწმყო ერთადერთს შვილს უტოვებს ნატოს, უზარმაზარი სიყვარულისა და პასუხისმგებლობის სიმბოლოს.

აწმყოს, როგორც სუბიექტურ დროს, რომანის სხვა პერსონაჟებიც გაურბიან, დიმიტრი ჟურული ცხოვრების მეორე ნახევრიდან განუწყვეტლივ თბილისელ მსახიობს ეკამათება. დარისაც ყველაზე დიდი მარტოობის ჟამს მამისა და პაპის აჩრდილი გამოეცხადება ხოლმე. ქალბატონი ელენეც გამუდმებით ესაუბრება მეამბოხე ქმარს, ვეზირიშვილი რომ ვეზირიშვილია, ისიც კი გულწრფელი სევდით იგონებს ძველი დროის პოლიცემისტერს.

მიუხედავად რეალობისგან გაქცევისა, აწმყო მაინც იდგა და აწმყოში სიყვარული უნდა გადაერჩინა ნატოს, შვილის მომავალიც... ხსნა ერთადერთი იყო – საბა ლაფაჩი, ბაბუისტოლა კაცის მეშვეობით უნდა ჩამოერეცხა შვილის უკანონოდ გაჩენის ლაქაც და თვითონაც განწმენდილიყო ტანჯვის განსაწმენდელში. რადგან ტანჯვაა და სხვა არაფერი, საყვარელი ადამიანი მკვდრად გამოაცხადო და „ქელეხზე“ უღმერთოდ დათვრე. ტანჯვაა – ელოდო პატარა სახლის დაბურულ მინებში როდის გამოკრთება შუქი.. იდგე და ელოდო საკუთარი თავის მოტყუებაში გამობრძმედილი.

„რკინის თეატრში“, სადაც თამაშობს ყველა, დაწყებული თბილისელი მსახიობითა და დამთავრებული აირწინალიანი რეციდივისტით, თუ სათვალისანი ინტელექტუალით – თამაშობს საბა ლაფაჩიც. ო. ჭილაძეს უყვარს მკითხველის დაბნევა, მწერალი ოსტატურად ააცლის ხოლმე მთავარ გმირებს დომინანტის ფუნქციას და უკანა პლანზე მყოფთ გადაუნაწილებს, ამ შემთხვევაშიც ასეა, ერთი შეხედვით უმნიშვნელო, არცთუ ისე თვალშისაცემი პერსონაჟი (საბა ლაფაჩი), სინამდვილეში დიდ როლს ასრულებს რომანის იდეური არსის გააზრებაში.

საბა ლაფაჩი ერთ-ერთია რომანში, რომელსაც სიყვარულის უნარი გააჩნია, სიყვარულია მისი ნეტარებაც, დანაშაულიც და სასჯელიც. სხვა ყველაფერი, რაც მის ცხოვრებაში ხდება, ტრაგედიაა, ფარსია. მის მიერ გათამაშებულ ერთადერთ როლს, მორჩილი შვილის როლი შეადგენს, უმაცურებლოდ დარჩენილ თეატრში კი ერთადერთი სკამია შევსებული, დედის სკამი, რომელიც შვილის „გაბედნიერებაში“ აღებული გასამჯელოთი ცხოვრობს, ლიქიორის, პუდრისა და პაპიროსის უღვევი მარაგით.

„რკინის თეატრი“ ეპოქის ამსახველი რომანია, ნებისმიერ სცენას რომანში, იქნება ეს სიკვდილთან, დაბადებასთან, სიმახინჯესთან თუ მშვენიერებასთან შეხვედრა, პირველ რიგში ქართული ხასიათი, ქართული ყოფა, საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობა განაპირობებს.

სავსებით ვეთანხმებით მკვლევარ ზ. გოგიას, რომელიც წერს: „სტრუქტურული აგებულების თვალსაზრისით, რომანი სავსებით ამართლებს თავის სახელწოდებას: თეატრი – ცხოვრება, სცენა – სამოქმედო სივრცე, რეჟისორი – სივრცის მაკონტროლებელი, ისტორიული დრო, მთავარი პერსონაჟები და სტატისტები – ამ დროში მოქმედი და გაუქმებული ფასეულობები, მაყურებელი – საზოგადოება.“

ეპოქალურმა კრიზისმა აქცია „რკინის თეატრის“ პერსონაჟები იმად, რაც არიან და სწორედ ეპოქის გავლენის გააზრება აქცევს ბევრ დეტალს გასაგებს, მიუღებელს, მაგრამ პროცესისთვის შესაფერისს, გასაკვირი ხშირ შემთხვევაში ის რჩება, თუ როგორ ინარჩუნებენ ადამიანები სიყვარულის უნარს ტოტალურ სიძულვილსა და გაუტანლობაში.

ყურადღების მიღმა არ უნდა დაგვრჩეს ერთი პასაჟი. ეპოქალური სურათების უკეთ წარმოსაჩენად, ტექსტში საკმაო მოცულობით ჩართულია ილიას მკვლევლობის ამბავი, ერთი შეხედვით მშრალი ისტორიული ფაქტიც მხატვრულადაა გადმოცემული, რაზეც ილიასეული შინაგანი მონოლოგი მეტყველებს: ოციოდე წელს რომ მომაკვლბდეს ვინმე, იქნება შემახედა ჩემი ქვეყნის თავისუფლებისთვისო. მწერალი იყენებს ისეთ ფრაზა-სიმბოლოებს, რასაც მკითხველი ასოციაციურად მიჰყავს ხან ილიასთან, ხან ვაჟასთან. მაგ. „კი ბატონო, ქვეყნის ხსნა კეთილშობილური საქმეა, მაგრამ გზა ხსნისა მრავალგვარია“ („განდეგილი“) „იდგნენ და ელოდნენ-რას, საერთოდ არ იცოდნენ რისი მოლოდინი უნდა ჰქონოდათ და მაინც ელოდნენ, უიმედოდ, ურწმენოდ, უმოქმედოდ..“ („მთები“)

მწერალი „რკინის თეატრის“ მთავარი პერსონაჟების ცხოვრებაზე დაყრდნობით, კიდევ ერთხელ შეგვახსენებს იმ სიბრძნეს, რომ ეპოქა განსაზღვრავს ადამიანების ბედს.

ბიბლიოგრაფია:

კაკაბაძე, ნ. (2009). *გიორგი რობაქიძის „ჩაკლული სული“*. თბილისი: გამოცდების ეროვნული ცენტრი.

კლდიაშვილი, დ. (1984). *ჩემი ცხოვრების გზაზე*. ბათუმი: საბჭოთა აჭარა.

ჭილაძე, ო. (2007). *რკინის თეატრი*. თბილისი: არეტე.

ჯოხაძე, მ. (2009). *ამღვრეული თოვლი. ქართული ენა და ლიტერატურა*. (ტ. 5). თბილისი: გამოცდების ეროვნული ცენტრი.

Ekaterine Pangani *Sokhumi State University* **THE BASIC CONCEPTS OF “THE IRON THEATRE”** **RESUME**

The Novel “The Iron Theatre” by Otar Chiladze is a rich source for scientific research as its important issues and topical content arouse great interest. By means of deep analysis, synthesis, parallels finding or/and reviewing the existing scientific materials about the novel we tried to highlight its concepts and draw the reader’s attention to the issues given by the writer through the undertones.

The issues highlighted in “The Iron Theatre” and conclusions made on them are as follows: The novel draws the clear picture (often in a secretive but recognizable plot lining) of a country under the rule of a stronger and oppressor country and its people, underlines the impact of the epoch on the people’s everyday lives, the human features and the abilities. It forms the reader’s awareness about free and brave people (Gela), the time-serving people in the ruling circles (the police chief), the people without homeland, paternal and maternal problems (Dimitri and Nato, Gela and Tbilisian Actor, Elene and Gela), as well as about love, envy, selfishness and pride.

“The Iron Theatre” is a hymn to freedom – to that valuable freedom which is finally obtained by the main hero – Gela by overcoming obstacles, with vigilance and charisma and still – through demonstration of the saved human values. This is the novel which teaches us the main things in our lives: never to lose our roots, forgiveness or/ and the ability to love.

Keywords: Concept, Chiladze, Iron theater, Freedom.

ზმნურ ფორმათა წარმოების ზოგიერთი თავისებურება ამიერტაოს მეტყველებაში

საკვანძო სიტყვები: ამიერტაო, მორფოლოგია, ზმნა, მწკრივი.

როგორც ცნობილია, ქართული ენის ისტორიული გავრცელების საზღვრები თანდათან შემცირდა. ისტორიული ბედუკუდმართობის გამო საქართველომ დაკარგა მნიშვნელოვანი კუთხეები. ერთ-ერთი ასეთი მხარეა ამიერტაოც. მართალია, ის მოწყვეტილია თავის მასაზრდოებელ წყაროს - ქართულ სალიტერატურო ენას, მაგრამ მაინც შეინარჩუნა ქართულმა ენამ იქ თავისთავადობა. იქაურთა მეტყველება წარმოადგენს ერთგვარ დაკონსერვებულ ქართულს. მასში შემორჩენილია არქაული გრამატიკული თუ ლექსიკური ფორმები, ჩანს სხვა ენათა ნასესხობები, გამორჩეულია საკუთრივ დიალექტიზმებით, თავისებურია სიტყვაწარმოება. შესაბამისად, მრავალმხრივ საინტერესო და სახასიათოა ამიერტაოს ქართული. ჯერ კიდევ 1874 წელს, გიორგი ყაზბეგი ტაოს კილოს შესახებ მოგზაურობის დღიურში წერდა: „არმენხევისა და კობაკის მცხოვრებნი მეტყველებენ ძალიან დამახინჯებული ქართულით. განსაკუთრებული ინტონაცია და მეტყველების ჩქარი ტემპი ამ ხევის მცხოვრებთა მეტყველებას აძლევს ისეთ ხასიათს, რომლითაც იგი განსხვავდება ქართული ენის დანარჩენი კილოებისაგან“. (ყაზბეგი, 1995, გვ. 31)

აღნიშნული კუთხის დაკარგვის შემდეგ სამეცნიერო საზოგადოებისათვის უცნობი იყო იქაურთა ყოფა, მეტყველება. მრავალწლიანი გაუცხოების შემდეგ, პირველად ტაო-კლარჯული მეტყველების ტექსტები ჩაიწერა პროფ. შუშანა ფუტკარაძემ. ეს ტექსტებია წარმოდგენილი წიგნში „ჩვენებურების ქართული“, I, 1993. ხოლო იქაური მეტყველების ენობრივი ანალიზია მოცემული მისსავე წიგნში - „ჩვენებურების ქართული“, II, 2016. დღესაც აქტიურად გრძელდება იქაურთა მეტყველების შესწავლა.

ამიერტაოს მეტყველება სხვადასხვა ენობრივი კუთხით საინტერესოა. მათ მეტყველებაში ჩანს არაერთი ფონეტიკური, მორფოლოგიური, სინტაქსური თუ ლექსიკური თავისებურება. ნაშრომში ზმნურ ფორმათა წარმოების ზოგიერთ საკითხზე იქნება საუბარი. კერძოდ, განვიხილავთ თემის ნიშანთა მონაცვლეობისა და მწკრივის ფორმათა წარმოებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ თავისებურებას. ფორმათა ანალიზისას ვეყრდნობით ამიერტაოს სოფლებში - ქობაიში, პარხალში, ელიასხევსა და იეთში საექსპედიციო მუშაობის დროს ჩვენ მიერ ჩაწერილ ტექსტებს.

თემის ნიშანთა მონაცვლეობის მრავალფეროვან სურათს წარმოგვიდგენს ძველი ქართული სამწერლობო ენა. მეტნაკლებად გვხვდება საშუალო ქართულში და გავრცელებული მოქმედი ენობრივი პროცესია დიალექტებში. თემის ნიშანთა მონაცვლეობის შემთხვევები ამიერტაოს მეტყველებაშიც ჩანს.

განსაკუთრებით -ავ თემის ნიშნიან ზმნებს სავრცობიან მწკრივებში ხმოვანი ეცვლება. -ავ თემის ნიშნის ნაცვლად გავრცელებულია -ევ: ჰალვას **დუუწვევდით**; გუულესევდით წყალში; ძალ **დამალევდენ**; ყად **კონკევდენ**; თივას თილფნით, მანგლით **ვთიბევთ**; ძირაი **დადეჭევდა** და გადაადუშებდა, შაადუშებდა; მალალ ადგილ აარჩევდა და იქ გევდოდა და **დაკლევდა**.

მეტ-ნაკლებად გავრცელებულია -ი||-ავ თემის ნიშანთა მონაცვლეობის შემთხვევებიც. -ი თემის ნიშნიანი ზმნები -ავ გაფორმებითაა წარმოდგენილი: ფურები არიან, **ვწველავთ**; წამალე **ყიდავს**; სინორ, ლავამ **გავხსნავთ**; უწინ **მღერავდეს**; კალოზე ტიკით იფერხულეს, ჰემ **მღერავან**; ჭანურა **მღერავან**.

დასტურდება საპირისპირო შემთხვევაც. მოსალოდნელი -ავ თემის ნიშანი შეცვლილია -ი-თი: ყურბან **დაკლიდენ**; ცხვარ **დაკლიდენ**; ტიკებ **უკრიდეს**.

გვხვდება ერთეული შემთხვევები თემის ნიშანთა სხვა შენაცვლებისაც. კერძოდ, -ებ||-ობ: ახლა ადარ **იჯობა**; აქ **იცხოვრობა**.

-ებ||-ევ: **ვიტირევდით**, რა ბრალი იყავ, ჩვენ გაგვყარე.

სპორადულად ამიერტაოელთა მეტყველებაში ერთთემიან და ხმოვანმონაცვლე ზმნებთან წარმოდგენილია თემატური ნიშანი: კოჭახარი მაგრობითვინ არი, სახლებ მაგრა **იჭირავს**; რას **წერავს**? **იწერავს** ცქვიტაი; ცომ **მოზილავ** და **დაწყვიტავ-დაწყვიტავ**; მეივას **ვკრიფავთ**, ბევრია; რაებ **გლიჯავს**?

ასევე, ზოგჯერ ზმნის ფორმაში მოსალოდნელი თემის ნიშანი შენაცვლებული კი არაა, საერთოდ უთემისნიშნო ფორმით ისმის. გვაქვს **ვაწოვდით**, **გეიწვიპოდეს**, **გეიბარცოდა**, **გუუკეთია** ნაცვლად

ვაწოვებდით, გეიწკიპებოდეს, გეიბარცებოდა, გუჟუკეთებია ფორმებისა: ორ წელიწად **ვაწოვდით**; ყადი **გეიბარცოდა**; ქვომო რუ არი, იმას **გუჟუკეთია**; **მეიკრიფოდენ** კაცები; კარ **გეიწკიპოდეს**, რამნა მიგეცა.

ანალოგიურად გვხვდება -ავ თემისნიშნისან ზმნებთანაც: კალოზე ხარ გამუშავებდით, **გავცხრილდით**; ახლაც ტიკებ სულ ბევრ **უკრენ**; **მოკლენ** ნადირსა; **წალეკს** წვიმა.

ცნობილია, რომ თემის ნიშნებს მკვეთრად განსაზღვრული გამოყენების არე აქვთ. იხმარებიან „მხოლოდ გარკვეული ტიპის ზმნებთან გარდამავლობის, სტატიკურობისა და ფუძის აგებულების მიხედვით“. (ნათამე, 1959, გვ. 129)

სპეციალურ ლიტერატურაში მინიშნებულია, რომ ქართულ ენაში თემის ნიშანი საზოგადოდ მკვიდრია: ამა თუ იმ ზმნის ფუძეზე დაერთვის ესა თუ ის თემის ნიშანი, მაგრამ ზოგჯერ არის ხოლმე მერყეობა მათს ხმარებაში. ეს მერყეობა უმთავრესად ცოცხალი კილოების გავლენით არის გამოწვეული. (შანიძე, 1973, გვ. 408)

თემის ნიშანთა მონაცვლეობის შემთხვევები გავრცელებულია ქართული სალიტერატურო ენის დიალექტებში. ამიერტაოს მეტყველებამიც თემის ნიშანთა სისტემა საკმაოდ ცვალებადია, მაგრამ რაიმე კანონზომიერების დადგენა ჭირს.

ამიერტაოს მეტყველება სახასიათოა მწკრივის ფორმათა წარმოების მხრივაც. იკვეთება რამდენიმე შემთხვევა. კერძოდ, ვნებითი გვარის მესამე პირის ფორმები ძველი ქართულის ვითარებას ინარჩუნებენ: დეიკარგვის, იხრაკვის: ჩვენ მოვკდეთ, პატარები არ იციან, გურჯიჯა **დეიკარგვის**; **დეიკარქვის**, გათავდება; წუმუღდეთ წყალი, ცხელათ არი, **იხრაკვის**, ვრწყავთ; კაი თაფლი **იკეცვის**; **იყიდვის** ისიც; **იხარშვის** ლობიაი.

აღნიშნული ტიპის არქაული ფორმები ჯერ კიდევ ცოცხლობს არა მხოლოდ ამიერტაოს, არამედ ტაო-კლარჯელთა მეტყველებაში.

ამიერტაოს მეტყველებაში გავრცელებულია ვიდ, მიდ წარმოების ტიპის ფორმები. ვიდ წარმოების ფორმები უწყვეტელში: კალობა **ვლეწვიდით**, ქერებ **ვლეწვიდით**; იმა **გამოფექვიდით**; ტყეში ხე მოვსჭრიდით და იმა **დავხურვიდით**; **დუშმაღვიდი** პირსა; ბარდახ **გავტეხვიდით**; სოლანს **დადექვიდა**; ყურან **ვუკითხვიდით**; კონდახით **შეეკოჭვიდით**; ჯაუშ **გავლესვიდით**; ჩემი ბაბოი **იკითხვიდა**, მე ვერ ვიკითხვი; იაზი იწვიმოსო, **იკითხვიდენ**; იმა ძით **გავლესვიდით**; დათესვითაც იმით **ვთესვიდით**, იმით **მოვთერძვიდით**.

ვიდ წარმოების ფორმები აწმყოს კავშირებითში: პირს **აბურვიდეს**; პირზე ვალ **აბურვიდენ**.

მიდ წარმოების ფორმები უწყვეტელში: კოვში **ჩავასხმიდით**; ხორც ხალხ **მიართმიდით**; ორი თანხ ხარ **დააბმიდით**; **ჩავასხმიდით**, ვსვამდით; წინდა მოვქსოვდი, **ჩეცემიდი**.

ძველი ქართულის -ავ და -ამ სუფიქსიანი ზმნების უწყვეტლის თავისებურების შესახებ საენათმეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა. ერთი შეხედულებით, პირველი-მეორე პირისა და მესამე პირის განსხვავებული ვითარება ერთი და იმავე წარმოების სხვადასხვა სახედ არის მიჩნეული და ფონეტიკური ფაქტორის მოქმედებითაა ახსნილი. (კიკნაძე, 1947, გვ. 320) არნ. ჩიქობავას აზრით კი, ერთმანეთისაგან მორფოლოგიურად განსხვავებული ორი წარმოება უნდა იყოს. (ჩიქობავა, 1964, გვ. 132-133) ა. შანიძე წერდა: უწყვეტელში ავ-იან და ამ-იან ზმნებში ძველად ა-ს ე ცვლიდა პირველსა და მეორე სუბიექტურ პირში, მესამეში კი დონის წინ ი ჩნდებოდა, რომელიც წინამავალ ხმოვანს ამოიღებდა. ახალ ქართულმა ავ და ამ სუფიქსთა ხმარება განაზოგადა, აწმყოდან უწყვეტელშიც გადაიტანა და საყოველთაოდ გაატარა. (შანიძე, 1973, გვ. 425)

როგორც ვნახეთ, ამიერტაოს მეტყველება ამ კუთხით საინტერესო ვითარებას წარმოგვიდგენს. უწყვეტელსა და მისგან ნაწარმოებ მწკრივებში, ევდ, ემდ წარმოებასთან ერთად გვაქვს ვიდ, მიდ წარმოება.

აღნიშნული წარმოება არნ. ჩიქობავას შეხედულების სასარგებლოდ მეტყველებს. როგორც აღნიშნავდა, აქ ორი განსხვავებული წარმოება უნდა გვექონდეს. ერთი ევ სუფიქსიანი, მეორე ავ სუფიქსიანი. ორივე ეს სუფიქსი აწმყოსია, ოღონდ პირველს არაფერი დაერთვის, მეორეს კი ი დაერთვოდა. ნამყო უსრულის საწარმოებელი სუფიქსია დ. ამ სუფიქსის დართვით მივიღებთ ორგვარ ნამყო უსრულს: 1. ვკვითხევდ, 2. ვკვითხვიდ. (ჩიქობავა, 1948, 99)

საანალიზო ფორმებზე ვრცლად საუბრობს პროფ. შ. ფუტკარაძე ზემო მაჭახლურის, იმერხეულისა და ტაოს ქართულის ენობრივ თავისებურებათა განხილვისას. მიაჩნია, რომ ერთმანეთისაგან მორფოლოგიურად განსხვავებული ორი წარმოება უნდა გვექონდეს ამ შემთხვევაში. ცხადია, იგი დამახასიათებელი იყო ძველი ქართულისათვის. ტაოს მეტყველება, იმერხეული და მაჭახლური ამ სფეროში მეტად საინტერესო ფორმებს გამოავლენენ. საჭიროა მათი საფუძვლიანი შესწავლა. (ფუტკარაძე, 2016, 245) მიგვაჩნია, რომ ჩვენ მიერ წარმოდგენილი ფორმები აღნიშნულ შეხედულებას ამყარებს.

ამიერტაოს მეტყველებაში წყვეტილში, უწყვეტელსა და მისგან ნაწარმოებ მწკრივებში ჯერ კიდევ შემორჩენილია გარდაუვალ ზმნებში სუბიექტის მრავლობითი რიცხვის გამოსახატავად არქაული -ეს

ბოლოსართი: **დასხდეს** არხატაშებმა; **წევდეს** მოსაფირები; ბარდახ ვტეხვიდით, თავლ **მოგართმიდეს**, პურ **მოგცემდეს**; ორი ხარი **მოზრუნდებოდეს** კალოზე; დიკას წისქვილში მივტანდით, გალენილ **გააფაქებდეს**; მარჯვენა თერეფში ყურან **ამოგიდებდეს**; ჯაზები კარ გახსნიდენ, **აზრაგუნებდეს**; ქოი-ქოი **იარებოდეს**.

როგორც შესაბამისი ლიტერატურულიდანაა ცნობილი, -ეს სუფიქსი ძველ ქართულში გვხვდებოდა წყვეტილსა და უწყვეტელში როგორც გარდამავალ, ისე გარდაუვალ ზმნებში. თანამედროვე ქართულში „ეს“ დაბოლოება გარდამავალ ზმნებს აქვთ წყვეტილში. მისი ადგილი -ნენ დაბოლოებამ დაიჭირა წყვეტილში გარდაუვალ ზმნებში, უწყვეტელში კი საზოგადოდ ყოველგვარ ზმნაში. (შანიძე, 1973, გვ. 178)

ეს და ნენ სუფიქსების ჭიდილი მთავრდება მეთვრამეტე საუკუნეში ნენ-ის დამკვიდრებით. ეს სუფიქსიანი ფორმები გარდაუვალ ზმნებში აქა-იქ მეცხრამეტე საუკუნის თხზულებებში შეიძლება შეგვხვდეს, მაგრამ როგორც ძველი ქართული სალიტერატურო ნორმის ანარეკლი ან სტილიზაციის საშუალება. ცოცხალ სასაუბრო მეტყველებაში ასეთი ფორმების არსებობა მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს უკვე აღარ არის სავარაუდებელი. (ნიკოლაიშვილი, 1978, გვ. 107) ამდენად, ამიერტაოს მეტყველება ამ მიმართებით არქაულ იერს ინარჩუნებს.

ამიერტაოს მეტყველებაში აწმყოსა და მყოფადის მწკრივის ფორმებში ხშირად -ავ და -ამ თემისნიშნისეული ა შეკუმშულია სუბიექტის მესამე პირის მრავლობით რიცხვში: ზოგი ალთუნ **დაჰკიდვენ**; რაცხას **დეინახვენ**; კარტოფილი, მიწიხაპაი **მოხარშვენ** და ჭამენ; სოფელში მოკრეფილ ფართ ხარ იყიდვენ და **დაკლვენ**; მეზერზე წყალ **დაასხმენ**; თეთრწვერიან **დეინახვენ**; აირან **დაასხმენ**; **ხარშვენ** და არიან ლობიოს; ბექმეზ **ასხმენ**; მოსათიბვებ **თიბვენ**; მოსაფირ **შეხედვენ**; **დაარტყმენ** გარგან.

პირველ თურმეობითში -ავ და -ამ თემისნიშნის ზმნებთან ჭარბობს ია ბოლოსართიანი წარმოება: ჭალები **მუუთიბია**; თავზე დედების ქუდი **დუუხურია**; მროხებითვინ **მუუთიბია**; იქა **დუუხარჯია**; ყანები **მუუხნია** და **დუუთესია**.

სპორადულად შეიძლება შეგვხვდეს შემთხვევა, როცა პირველ თურმეობითში -ავ და -ამ თემისნიშნისიანი ზმნები ინარჩუნებენ თემატურ ნიშანს: მის ღენჰ ფეხი **ჩუუდგამს**; წვიმას **მუურწყავს** ყანები; აქ უკვე **დუუთიბავთ** ჭალები.

ამგვარად, ამიერტაოს მეტყველებამ შემოგვინახა არაერთი საინტერესო გრამატიკული ფორმა. თავისებურებებით განსაკუთრებით ზმნური ფორმები გამოირჩევა. მათ მეტყველებაში დაცული ფორმები მნიშვნელოვანია ფონეტიკურ-მორფოლოგიური თუ ლექსიკური კუთხით. ამიერტაოს მეტყველების შესწავლა აქტუალური და აუცილებელია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დიალექტური პროფილის განსაზღვრისათვის.

ბიბლიოგრაფია:

კიკნაძე, ლ. (1947). პირველი სერიის მწკრივთა წარმოებასთან დაკავშირებული საკითხები. *თსუ შრომები* (30-31).

ნათაძე, ნ. (1959). თემის ნიშნები ქართველურ ენებში. *იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება*, XI.

ნიკოლაიშვილი, ე. (1978). მესამე სუბიექტური პირის ეს სუფიქსის ნენ-ით შეცვლის ისტორიისათვის.

მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია (3).

ფუტყარაძე, ე. *ამიერტაოს ექსპედიციის მასალები, 2013-2014 წწ., პირადი არქივი*.

ფუტყარაძე, შ. (2016). *ჩვენებულების ქართული*, (წიგნი II). ბათუმი: აჭარა.

ყაზბეგი, გ. (1995). *სამი თვე თურქეთის საქართველოში*. ბათუმი: აჭარა.

შანიძე, ა. (1973). *ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები*. თბილისი: მეცნიერება.

ჩიქობავა, ა. (1948). *ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში* (ტ. I). თბილისი: არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის გამომცემლობა.

ჩიქობავა, ა. (1964). აწმყოს ფუძის წარმოქმნის ისტორიისათვის: 1. „ავ“, „ამ“ და „ევ“, „ემ“ სუფიქსთა ისტორიული ურთიერთობა. *იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება*, 14.

Elza Putkaradze

Batumi Shota Rustaveli State University, Niko Berdzenishvili Institute

SOME OF THE CHARACTERISTICS OF THE VERB FORMS IN THE SPEECH OF AMIERTAO RESUME

As it is known, historical boundaries of Georgian language usage have gradually decreased. A number of important parts of the country have been lost because of historical misfortune. Amiertao is one of the lost parts. Although it is deprived of its nourishing source – the Georgian literary language, it managed to keep the singularity of Georgian. The speech of natives is a kind of the preserved Georgian language. It contains archaic grammatical or lexical forms; the borrowed vocabulary is also noticed, distinguished by its own dialectics, word-building system is peculiar as well. Accordingly, the Georgian in Amiertao is interestingly versatile and significant.

The speech of Amiertao attracts a particular attention from the linguistic point of view. A number of phonetic, morphological, syntactic or lexical features are seen in the speech. The work considers some of the issues of verb forms. In particular, we will discuss about the alternating signs of theme in verbs and some other features of verb forms. While analyzing the forms, we basically rely on the texts we have recorded during the expedition.

Keywords: Amiertao, Morphology, Verb, Series.

მარინე ცერცვაძე

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ისევ პაოლო იაშვილის დარიანული ციკლს შესახებ

საკვანძო სიტყვები: დარიანული ციკლი, პოეზია, ლექსი, პოლემიკა.

თუ გავიხსენებთ გრიგოლ რობაქიძის ერთ ფრაზას - „ჰსევდონიმის პრობლემა ძიებაა ნამდვილი სახელისა“, რომელიც „მეოცნებე ნიამორების“ 1922 წლის დეკემბრის თვის ნომერში დაიბეჭდა, მივხვდებით, რომ ელენე დარიანის ლექსების კვლევა, დღემდე რომ გრძელდება და აზრთა სხვადასხვაობას იწვევს, გვებმარება ლექსების ნამდვილი ავტორის სახელის დაზუსტება-დადგენაში.

პოლემიკა ამ საკითხის გარშემო გამოიწვია რიგმა მოვლენებმა, საბოლოოდ, კი ელენე ბაქრაძე-ბერიშვილი-ქართველიშვილის მემუარების გამოქვეყნებამ, რომელსაც მოჰყვა გამოხმაურებები ლიტერატურულ წრეებში; პროფესორი გიორგი ჯავახიშვილი უფრო შორს წავიდა და ამ მემუარებზე დაყრდნობით ციკლის ავტორობა, ერთმნიშვნელოვნად, ამ ქალბატონს მიაკუთვნა.

ამ „უსაბუთო ფანტაზიას“ გამოეხმაურა სამი კრიტიკოსი: ლალი ავალიანი („ელენე დარიანის მითი“- „ლიტ. საქართველო“, 1997 წ.), ავთ. ნიკოლეიშვილი („კიდევ ერთხელ ელენე დარიანზე“, „ახალი ქუთაისი“, 1997 წ.), დავით თევზაძე („გზასაცდენილი დისკუსია“ - „ლიტერატურული საქართველო“, 1998 წ. #12), რომლებშიც ერთმნიშვნელოვნად იყო მითითებული პაოლო იაშვილის ავტორობა, მაგრამ ამას მოჰყვა „მეცნიერული არაკეთილსინდისიერებით“ გაჯერებული პუბლიკაციები გაზეთ „კალმასობაში“ და გიორგი ჯავახიშვილის არაერთი ახალი წერილი ამ საკითხზე.

პოლემიკა დაწვრილებით არის გაშუქებული წიგნში „ელენე დარიანი - ლექსები“, რომელიც შეადგინა და გამოკვლევები დაურთო ზეინაზ ლომჯარიამ. რედაქტორის წინათქმაში თამაზ კვაჭანტირაძე წერს: „პოეტები, ეს მცირე დემიურგები, არა მარტო ქმნიან ახალ, მხატვრულ სინამდვილეს, ზოგჯერ ამ სინამდვილის ავტორსაც გამოიგონებენ ხოლმე“ და რომ ყოველი მისტიფიკაცია აუცილებლად ფსევდონიმს ეფარება. თამაზ კვაჭანტირაძეს მიაჩნია, რომ თუ „ასტამურ შერვაშიძე“ მხოლოდ ფსევდონიმია პაოლო იაშვილისა, „ელენე დარიანი“ - პაოლოს მისტიფიკაციაა.

მავანთა აზრის შესახებ, რომ „ელენე დარიანის ლირიკაში ისეთი ქალური „ინტიმია“, მას მხოლოდ ქალი ან ქალურობისკენ გადახრილი მამაკაცი თუ შექმნიდა“, ანუ თუ მამაკაცი „გადახრილი“ არ არის, ქალის ქვეცნობიერში ვერ შევა და მის „მთვლემარე იმპულსებს“ ვერც დაიჭერს და ვერც

წარმოაჩენსო, თამაზ კვაჭანტირაძის პასუხი ასეთია: „ამგვარი ეჭვი კი - შორს პაოლოსაგან, მამაკაცობის ეტალონისგან“... რადგან ელენე დარიანის „ძლიერი ვნებით დამუხტული პოეზია ნაყოფია ასეთივე ძალუმი პოეტური წარმოსახვა-გარდასახვისა“. (დარიანი, 2000, გვ. 4) თამაზ კვაჭანტირაძეს სწამს, რომ პოეტის შთაგონების წყარო ბევრი რამ შეიძლება გახდეს - ბუნება, ქალი, ნივთი, სტრიქონი, ხოჭო, მაგრამ ეს იქნება მხოლოდ იმპულსი, „მაღალი პოეზიის იმპულსი“. (დარიანი, 2000, გვ. 4)

თამაზ კვაჭანტირაძე უფრო შორსაც მიდის და ასეთ მხატვრულ შედარებას აკეთებს: როგორც საბოთმა, დიდმა დემიურგმა, ადამის ნეკნისგან შექმნა ევა, ანუ მან იმავე თიხის ნატეხისგან, რისგანაც ადამი იყო მოზეილილი, შექმნა ევა, „ასევე პაოლომაც პოეტმა და.. მცირე დემიურგმა, მას წაჰბაძა, ოღონდ საკუთარი პოეტური სხეულიდან ამოირიდა ნეკნი და მისგან თავისი პოეტური ევა შექმნა - ელენე დარიანი“. (დარიანი, 2000, გვ. 4)

წიგნში დაწვრილებით არის განხილული, თუ ვინ, როდის და რომელ პუბლიკაციაში ამტკიცებს პაოლო იაშვილის ავტორობას იმ ლექსებისა, რომელთაც ის ელენე დარიანის ფსევდონიმით აქვეყნებდა. ჩვენ აღარ გავიმეორებთ იმას, რასაც ასე სრულყოფილად გვამღევეს ზეინაზ ლომჯარია, თან ყოველივე ამას პაოლოსეული რიტორიკული შეკითხვით ამთავრებს: „ნუთუ ამ „ობროდობას“ კომენტარი სჭირდება? ალბათ, არა, რადგან წლების განმავლობაში გამოიცა პაოლო იაშვილის რამდენიმე კრებული, სადაც დარიანული ციკლიც არის შესული და არავის პრეტენზია არ გამოუთქვამს ამ ხნის განმავლობაში. ელენე ბერიშვილ-ბაქრაძე-ქართველიშვილსაც მხოლოდ 90-იან წლებში გაუჩნდა მემუარების გამოქვეყნების და „სამართლიანობას აღდგენის“ სურვილი. მისი მემუარები და წერილები კი ბევრად სცილდება ლიტერატურის ისტორიკოსის კვლევის სფეროს „და უფრო შორს, ფსიქოანალიზის სფეროში გადადის“. (დარიანი, 2000, გვ. 24)

როდის დაასრულა პაოლო იაშვილმა ელენე დარიანის ხელმოწერით ლექსების გამოქვეყნება? თუ მაშინდელ პრესას გადავხედავთ ამ ციკლის უკანასკნელი ლექსი - „პარიზისაკენ“, გამოქვეყნდა 1924 წელს. ზეინაზ ლომჯარია თვლის, რომ ეს სრულიად ბუნებრივია, რადგან „ბოლშევიკებმა სხვა ესთეტიკა“ მოიტანეს, ამავე 1924 წელს, პაოლოს დაუხვრიტეს ოცი წლის ძმა, ვასილი. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ „ზერელე დაკვირვებითაც თვალსაჩინოა, რომ მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის ლიტერატურა განუწყვეტლივ ცვლილებებისა და დაპირისპირების ნიშნითაა აღბეჭდილი. ლიტერატურული პროცესი ვითარდება მძიმე სოციალურ-პოლიტიკური და კულტურულ-ინტელექტუალური ქარტეხილების პირობებში... ორი მსოფლიო ომის, დამოუკიდებლობის დაკარგვის, 1924 და 1937 წლების სასტიკი რეპრესიების ფონზე“, გასაგებია ის „სულიერი და შემოქმედებითი ტრამები“, რომლებიც ამ ეპოქაში მოღვაწე მწერლებს გადაუტანიათ.

შემდგომ განწყობას და პოეტის დამოკიდებულებას ლექსების ამ ციკლის მიმართ კარგად გამოხატავს კონსტანტინე გამსახურდია, რომელიც მიიჩნევს, რომ პაოლო იაშვილმა თავისი დუმილით „ელენე დარიანის „ეროტიკული“ პოეზია იხსნა დროის ფუჭ ზრახვებს აყოლილი კრიტიკოსებისა და ეგზალტირებული ბრბოსაგან. ამ ბრბოში ძირითადად სოციალ-დემოკრატები მოისაზრებიან, რომლებიც ობსტრუქციას უწყობდნენ მოწინააღმდეგეებს და საბაზად პაოლოს ლექსებს იყენებდნენ, არც ერთ სხვა შემთხვევასაც არ უშვებდნენ ხელიდან პოეტის დასამცირებლად“. (დარიანი, 2000, გვ. 47)

ყოველივე ზემოთ თქმულის მიუხედავად გიორგი ჯავახიშვილის აზრი წლების განმავლობაში ტრიალებდა სალიტერატურო წრეებში და თავის კვალს ამჩნევდა ავტორობის საკითხის საბოლოო დადგენის საქმეს.

2009 წელს, ქუთაისში, გამოიცა კრებული „ცამეტნი“ (ცისფერყანწელები ქართულ კრიტიკულ პროზაში). წიგნში ვხვდებით ლალი ავალიანის წერილს „ჟურნალი „ცისფერი ყანწები“, რომელშიც ავტორი ერთმნიშვნელოვნად მიიჩნევს, რომ მართალია ჟურნალში ერთად-ერთი ქალი მონაწილეობდა, მაგრამ ეს იყო „არარსებული პირი“, რომელიც შექმნა პაოლო იაშვილმა. მთავარი კი ის იყო, რომ მის არსებობაში ეჭვი არავის შეჰპარვია და ქუთაისელები აღაშფოთა ქალის „ურცხვმა“ ლექსებმაო. ლალი ავალიანი წერს: სამწუხაროა, რომ „მხატვრულად განცდილი“ ეროტიკა მათ გარყვნილების ქადაგებად მიიჩნიესო.

დარიანულ ლექსებთან დაკავშირებულ ფაქტს გადმოგვცემს ავთანდილ ნიკოლეიშვილი წერილში „ჟურნალი „ცისფერი ყანწები“ და ლიტერატურული საზოგადოება“ - რომ ცისფერყანწელთა მიმართ განსაკუთრებით კრიტიკულ დამოკიდებულებას იჩენდა გაზეთი „სამშობლო“, (რედაქტორ-გამომცემელი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ია ევალაძე-ცინცაძე). ვინმე „სტუდენტი“ გაზეთში დაბეჭდილ წერილში საუბრობს ალმანახში დაბეჭდილი პუბლიკაციებიდან ერთადერთ ქალ-ავტორზე - ელენე დარიანზე, რომელმაც „თავისი უზნეობით ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა“... და დაასკვნის: „ჩვენ ეჭვი გვეპარება, რომ ქართველი ქალი ამრიგად დაცემულიყოს“.

მაია ჯალიაშვილი წერილში „ქართული პოეზიის დენდები-ცისფერყანწელები“, მიიჩნევს, რომ ცისფერყანწელთა აზრით სრულიად არ იყო საჭირო პოეზია ამოწურულიყო მხოლოდ რეალურად

არსებულ პოეტთა სახელებით. პოეტს შეეძლო შეექმნა ახალი მითი... რომლის შექმნა თუმცა ძნელი იყო, მაგრამ მათი აზრით უფრო მეტი ღირებულება გააჩნდა. კრიტიკოსი ასეთ ფორმულირებას აკეთებს: „პაოლო იაშვილმა შექმნა ელენე დარიანის მითი და ქართულ პოეზიაში ახალი პოეზიის მხევალი „მოავლინა“.

ივანე ამირხანაშვილი წერილში „სახენათელი რაინდი“, რომელიც პაოლო იაშვილს ეძღვნება, წერს, რომ პოეტმა გარდასახვის უცნაური ნიჭი გამოამჟღავნა „ელენე დარიანის“ ფსევდონიმით გამოქვეყნებულ ლექსებში, რომლებშიც ჩანს ქალის შინაგანი სამყაროს ღრმა ცოდნა, მდედრული ბუნების ღრმა გააზრება.

ამ წერილებთან ერთად კრებულში იბეჭდება გიორგი ჯავახიშვილის განსხვავებული აზრი, რომ ელენე ბაქრაძემ, ელენე დარიანის ფსევდონიმით დაწერილი სამი ლექსი („მახილი“, „გათავდა ნადიმი“, და „ზამთარი“) გადასცა პაოლო იაშვილს „საჭაშნიკოდ“ და მოხდა „მოულოდნელი ფაქტი“; „ავტორის“ დაუკითხავად პაოლომ გამოაქვეყნა ქუთაისში გამომავალ გაზეთ „მეგობარში“... თვით „ავტორმა“ კი ისე მტკივნეულად განიცადა მომხდარი, რომ პაოლოს დაემდურა კიდეც. და არა მარტო ეს...

ამრიგად, არსებობს ორი განსხვავებული აზრი ელენე დარიანის ლექსების ავტორობის შესახებ: ერთ მხარეს უმრავლესობაა, რომ ლექსები პაოლოსია, მეორე მხარეს უმცირესობა, რომლებიც თვლიან, რომ ეს „უსამართლოდ დაჩაგრული“ ელენე ბაქრაძე-ბერიძე-ქართველიშვილია.

კურსის „ქართული ლიტერატურა-4“ სწავლებისას ჩვენ გვერდს ვერ ავუვლით ამ ორჭოფულ საკითხს, სტუდენტებს უნდა განვუმარტოთ ის პოზიცია, რომელიც დღეს არის დამკვიდრებული სამეცნიერო წრეებში.

2018 წელს გამოდის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ თამარ პაიჭაძის მონოგრაფიული გამოკვლევა - „მოდერნიზმი და ქართული ლიტერატურა“, რომლის შესავალში ავტორი სამართლიანად აღნიშნავს, რომ ბოლო დრომდე ჩვენი ლიტერატურათმცოდნეობა ცალსახად განიცდიდა ჩამოყალიბებული ფუნდამენტური ან ქრესტომათიული კვლევების სიმწირეს ქართული ლიტერატურის ისტორიაში მოდერნიზტული ეტაპის არსებობის შესახებ. მაგრამ ეს არ წარმოადგენს ჩვენი კვლევის საგანს. ამ წიგნის ღირსებებზე ბევრი დაიწერება და ის დაიკავებს კუთვნილ ადგილს იმ შრომათა შორის, რომელთა საშუალებით უნდა გაანალიზდეს მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის განვითარების გზაც და საფუძველიც.

წიგნი იმითაა ჩვენთვის საინტერესო, რომ, როგორც ავტორს მიაჩნია, ის ავსებს დანაკლისს, გამოწვეულს სწორედ მონოგრაფიული ფორმატის ნაშრომის არარსებობით; რადგან დიდი ხანია იკვეთებოდა საჭიროება ლიტერატურული კვლევებისა - განსაკუთრებით სასწავლო პროგრამაში, ავტორის სურვილია წიგნი დაეხმაროს სტუდენტებს ქართული ლიტერატურის ისტორიის სრულყოფილად შესწავლაში. სტატიის შინაარსიდან გამომდინარე, გვინტერესებს ერთი კონკრეტული საკითხი - როგორ აღიქმება ელენე დარიანის ლექსების ციკლის ავტორობის საკითხი ისეთ ფუნდამენტურ შრომაში, როგორც თამარ პაიჭაძის მონოგრაფიაა.

ელენე დარიანის ლექსების შესახებ თამარ პაიჭაძე მსჯელობს ქვეთავში - „ქალი და სატრფიალო ლირიკა ქართულ სიმბოლისტურ პოეზიაში“. თუ გალაკტიონის და ტიციანის სატრფიალო პოეზიას მხოლოდ სამი გვერდი ეთმობა, პაოლო იაშვილის „ლირიკულ ინტონაციებს სატრფიალო თემებზე“ 11 გვერდი აქვს დათმობილი; დასაწყისშივე მითითებულია, რომ „პაოლო იაშვილის პოეზიის ემბლემად და ქართული სატრფიალო ლექსის სამშვენიისად ...ელენე დარიანის ლექსები იქცა“. (პაიჭაძე, 2018, გვ. 117) თამარ პაიჭაძე აღნიშნავს იმასაც, რომ „არაერთაზროვანი დამოკიდებულება“ ამ ლექსების **ადრესატის** მიმართ, რადგან ეს შეიძლება იყოს ელენე ბაქრაძეც, ელენე ნაზაროვაც და სხვაც, მაგრამ საინტერესოა, რომ ელენე ბაქრაძე განიხილება, როგორც ადრესატი და არამც და არამც, როგორც ავტორი.

თამარ პაიჭაძე განმარტავს, რომ სწორედ დარიანულმა ციკლმა დაანახა ყველას, რომ ეს ლექსები არ თავსდებოდა „დაკანონებული პოეტური ნორმის ფარგლებში“ და რომ ეს იყო ამბოხი, გალაშქრება და მძაფრი „უკურეაქცია ბესიკისა და ბარათაშვილის სატრფიალო ლირიკაში დავანებული პანთეიზმის და განსაკუთრებით რევოლუციურ-პოლიტიკური ვნებათღელვის შედეგად შექმნილი ლიტერატურის წინაშე.“ (პაიჭაძე, 2018, გვ. 117)

ამას მოჰყვა უკურეაქცია საზოგადოების მხრიდან, მით უმეტეს, რომ კრიტიკას ანათემა ჰქონდა გამოცხადებული განსაკუთრებით ელენე დარიანის მიმართ - ცდილობდნენ მისთვის ნიღაბი ჩამოეხსნათ, რადგან მაშინვე იყო ეჭვი, რომ ამ სახელის უკან სხვა პიროვნება იმალებოდა. მიუხედავად მცდელობისა, ამ მისტიფიკაციამ 12 წელს გაუძლო და ეს იყო არა მხოლოდ „მისტიფიკაციის წარმატებული ფაქტი, არამედ შემოქმედებითი გარდასახვის, მხატვრული თვითგამოხატვის განუმეორებელი მაგალითი“, (პაიჭაძე, 2018, გვ. 120)

თამარ პაიჭაძე, გაიხსენებს ტიცთან ტაბიძის სიტყვებს, რომ „ქართველ ხალხს უყვარს თეატრალიზაცია ცხოვრების, ქართველ ხალხს უყვარს ნიღბები“. (პაიჭაძე, 2018, გვ. 121) ამას ემატება ისიც, რომ პაოლო იაშვილი იყო უდიდესი პიროვნული ხიბლის ადამიანი, ამ ლექსების შექმნის მიზეზი მის პიროვნებაში უნდა ვეძიოთ.

წიგნის ავტორი, უღრმავდება რა „ელენე დარიანის დღიურების“ იდეურ ფილოსოფიურ და მხატვრულ საფუძვლებს, ცდილობს საკუთარი წვლილი შეიტანოს ამ საკითხის კვლევაში. მან, როგორც მეცნიერმა და მკვლევარმა კარგად იცის, რომ „ყოფილა შემთხვევები ლიტერატურის ისტორიაში, როცა სწორედ სტილით, ფორმით და მხატვრული ნიშნით დაუდგენიათ ზოგიერთი ლექსის ავტორი, მაგალითად - გალაკტიონი“. (პაიჭაძე, 2018, გვ. 130)

მიაგებს რა საკადრის პატივს იმ წვლილს, რაც ელენე ბაქრაძე-ბერიშვილ-ქართველიშვილს შეეძლო შეეტანა ამ ციკლის ლექსების შექმნაში, ეს იქნებოდა პაოლოსთვის საკუთარი გულის ნადების, თუ ტკივილების გაზიარება, რომელიც ზოგჯერ პოეტისთვის და პოეზიისთვის „ახალი სახის შექმნის, ან რამდენიმე სტრიქონზე მთელი ლექსის აგების ტოლფასია“, არის სხვა რამდენიმე მიზეზიც: მეგობარი ქალი, რომელიც პაოლოს მეგობრების გავლენით თვითონაც ქმნიდა ამ სტილში ლექსებს, მისი ეს ლექსები, წერილები და, რაც მთავარია, ის დიდი სიყვარული, „რამაც რეალურ ცხოვრებაში ბიძგი მისცა და სათავე დაუდო ელენე დარიანის პოეზიაში დაბადებას და რაზეც მეოცე საუკუნის მიწურულს კვლავ ალაპარაკა სალიტერატურო კრიტიკა“. (პაიჭაძე, 2018, გვ. 121) თამარ პაიჭაძე ცდილობს ამომწურავად განიხილოს დარიანული ციკლის ლექსები. პაოლო იაშვილის სასიყვარულო ბარათების ფონზე იკვეთება „ხატება საყვარელი ქალისა. ეს იყო პოეტური სულის ადამიანი“ (პაიჭაძე, 2018, გვ. 125) და რომ მისი ჩანახატები, ესკიზები, თუ მინიატურები, შეიძლება ჩაითვალოს შემოქმედებით ბიძგად მისი შემოქმედების ამ ნაწილისა, მაგრამ, მკვლევარი მიიჩნევს, რომ „უდავოა, რომ მხატვრული სახით, სალექსო ფორმით, სიმბოლური სახეებით, დარიანული ლექსები წარმოადგენს, საზოგადოდ, სიმბოლური მსოფლადქმის, კონკრეტულად კი - პაოლო იაშვილის მთელი პოეზიის ერთ ლოგიკურ განშტოებას“. (პაიჭაძე, 2018, გვ. 130)

როგორც სტატიის დასაწყისშიც აღვნიშნეთ, თამარ პაიჭაძეც მიიჩნევს, რომ ელენე დარიანის ლექსებთან გამომშვიდობების შემდეგ, პაოლო იაშვილი გამოემშვიდობა სატრფიალო მუზეებს, სატრფიალო ლირიკულ სტრიქონებს, მიუხედავად ამისა „ცისფერი ორდენის სულიერი პრინციპის - ელენე დარიანის მშვენიერი სული და სახელი კვლავაც დედოფლობს ქართულ პოეზიაში“ (პაიჭაძე, 2018, გვ. 139) და, რასაც, შემდგომ წლებში, ამ ლექსებში დანთებულ ცეცხლს, ვნებას და ემოციას „დაფიქრებული კაცის გრძნობაზე საუბარი და ანალიზი ჩაენაცვლა“ (პაიჭაძე, 2018, გვ. 140), თუ გავითვალისწინებთ, რომ მწერლობა ინდივიდუალური საქმიანობა კია, „მაგრამ პერსონალიები არ არსებობენ იზოლირებულად, ისინი ჩართულნი არიან... კონკრეტულ სოციოკულტურულ პროცესებში... მეოცე საუკუნის 20-იანი-30-იანი წლების პოლიტიკური და სოციოკულტურული სიტუაციისთვის დამახასიათებელ ტიპოლოგიურ ნიშნებად უნდა განვიხილოთ მწერალთან და მწერლობასთან... დაკავშირებული ისეთი კონცეპტები, როგორცაა „მწერლის ბედი“, „მსხვერპლი“, „მწერლობა ომია“, „თვითმკვლელობა“, „სისხლით წერა“ და სხვა“ (XX საუკუნის ქართული ლიტერატურა, 2016, გვ. 15), რომელთაგან ერთიც არ დაკლებია პაოლო იაშვილს.

ასეთია ორი განსხვავებული აზრი ელენე დარიანის ლექსების ავტორის შესახებ. ერთი მხარე, ზერელედ, მეცნიერული დასაბუთების, გაანალიზების გარეშე ამტკიცებს, რომ დარიანული ლექსები იმ ქალისაა, ვისაც ერთხანს ეტრფოდა პაოლო იაშვილი, მეორე მხარე კი, არ გამოირიცხავს, ვინმეს, თუნდაც ამ ქალის როლს ლექსების ციკლის შექმნაში, მაგრამ აღნიშნავენ მხოლოდ იმ იმპულსს, რომელიც შეიძლება იქნებოდა ქვეულიყო იმ რანგის პოეზიად, რომლის „სიღრმის, რაფინირებული ესთეტიზმის, შემოქმედებითი თავისუფლების, სულიერი სიმაღლის ექსპრესიისა და დრამატიზმის, უმშვენიერესი პოეტური აზროვნების თუ ხელოვნების აღმოჩენას მრავალი წელი დასჭირდა ქართველი მკითხველისათვის“ (პაიჭაძე, 2018, გვ. 139), განსხვავებული აზრის გავრცელებას თვით პაოლო იაშვილმა შეუწყო ხელი, რის მიზეზიც იყო ის, რომ „ბოლშევიკებმა სხვა ესთეტიკა მოიტანეს“ და (თუ კონსტანტინე გამსახურდიას დავუჯერებთ), ავტორმა ლექსები დაიცვა „დროის ფუჭ ზრახვებს აყოლილი კრიტიკოსებისა და ეგზალტირებული ბრბოსაგან“, რამაც საშუალება მისცა მავანთ და მავანთ ლექსების ავტორად მათი სავარაუდო ადრესატი მიეჩნიათ. პაოლო იაშვილი მსხვერპლია ამ დროისა. „პოლიტიკური კონტექსტი ამ მსხვერპლობისა ზუსტად შეფასდა მოგვიანებით, ოთარ ჭილაძის ფრაზით: „მწერლობა მაშინ ომს ნიშნავდა და ყველა როდი ბრუნდებოდა ამ ომიდან ცოცხალი“. (XX საუკუნის ქართული ლიტერატურა, 2016, გვ. 15)

ბიბლიოგრაფია:

XX საუკუნის ქართული ლიტერატურა (ნაწ. 1). (2016). თბილისი: შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის საგამომცემლო პროგრამა „ქართული მწელობა. პერიოდები და მიმართულებანი“.

დარიანი, ე. (2000). ლექსები. (ზ. ლომჯარია, შემდგენელი) თბილისი.

პაიჭაძე, თ. (2018). *მოდერნიზმი და ქართული ლიტერატურა*. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

რატიანი, ი. (რედ.). (2016). *ქართული ლიტერატურა, ისტორია საერთაშორისო ლიტერატურული პროცესების პრიზმაში (შუასაუკუნეებიდან პოსტსაბჭოთა ეპოქამდე)* (ნაწ. მეორე). თბილისი: საარი.

ჩხეიძე, რ. (რედ.). (2009). ცამეტნი: ცისფერყანწელები ქართულ კრიტიკულ პროზაში. (ე. თავბერიძე, შემდგენელი) ქუთაისი: საგამომცემლო ცენტრი.

Marine Tsertsvadze
Gori State Teaching University
AGAIN ABOUT PAOLO IASHVILI'S DARIAN CYCLE
RESUME

The article discusses two dissenting opinions about the author of the poems of Helen Darian, and the final conclusion is based on the scientifically grounded argument in Tamar Paichadze's monograph that the Darian cycle is by Paolo Iashvili.

Keywords: Darian cycle, Poetry, Verse, Polemic.

ჯულიეტა ძაძუა
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ტოპონიმ ფიქორის ისტორია-ეტიმოლოგიისათვის

საკვანძო სიტყვები: ტოპონიმი, ფიქორი, ეტიმოლოგია, სამურზაყანოს სახელდებანი, ლინგვისტური კვლევა.

ქვეყნის გეოგრაფიულ სახელწოდებათა სრული გამოვლინება საისტორიო, სალიტერატურო, საეპიგრაფო წყაროებში, დამოწმებული და ხალხის ხსოვნაში შემონახული ტოპონიმიკური ტერმინების კვლევა ყოველთვის ფართო მეცნიერულ ინტერესს იწვევს. ტოპოერთეულების კვლევის დროს ჩვენ ვეცნობით, ამა თუ იმ ტომთა გეოგრაფიულ განლაგებას, თავდაპირველ მათ ეკონომიკურსა და პოლიტიკურ ურთიერთობას, ადგილის უძველეს-თავდაპირველ ნომინაციებს (ლლონტი, 1988, გვ. 205).

ტოპონიმებში ასახულია ხალხის გონებამახვილობა. თავდაპირველად ადგილს ერთი სახელი ჰქონდა, შემდეგ კი მოხდა მისი სხვადასხვა ნიშნით დიფერენცირება. ონიმის ჩამოყალიბებაში შემთხვევითობა უმნიშვნელო როლს თამაშობს, დაცულია როგორც ენობრივი სისტემის, ასევე გარკვეული ტერიტორიული კანონზომიერებანი (ცხადაია, 2015, გვ. 335). ძალიან ხშირად ტოპონიმების ლინგვისტური კვლევა იძლევა საშუალებას ნომინაციათა კონოტაციურ მნიშვნელობაში აღმოვაჩინოთ ის ძირითადი არსი, რომელიც საფუძვლად დაედო მსგავსი დენოტატის მიღებას... ადგილის სახელწოდება გეოგრაფიულ მდებარეობას, გარემოს, ნიშნებს, კავშირს კერძო დენოტატთან ასახავს (ცხადაია, 2000, გვ. 96). თემა იმდენად აქტუალურია, რამდენადაც ის დროებით დაკარგულ ტერიტორიას ეხება. აფხაზეთის

ტოპონიმის ბოლოდროინდელი პუბლიკაციების ფონზე შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ამ ნაწილის გეოგრაფიულ სახელწოდებათა კვლევამ ფასდაუდებელი აქტუალურობა შეიძინა. ლინგვისტური ანალიზის თანამედროვე მეთოდების გამოყენებამ და მონათესავე დარგების კუთხით ცნობილ ონომატოლოგთა მიღწევებმა საკმარისი საფუძველი შექმნა ტოპონიმის კომპლექსური კვლევისა და ტოპონიმებში შემონახული მეტად ღირებული და ფასდაუდებელი ნიშნების ამოსაცნობად თუ გასაანალიზებლად.

თემის დამუშავებისას არაერთ მეთოდს მივმართეთ. ეს იქნებოდა „აღწერითი, ისტორიულ-შედარებითი, ტიპოლოგიური, არეალური და სტრუქტურული კვლევის მეთოდები, ხოლო შესასწავლ მასალად ავიღეთ სამურზაყანოს ტოპონიმის შესახებ წერილობით წყაროებსა და სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე არსებული მონაცემები, ასევე, ინფორმატორთაგან ჩვენ მიერ მოსმენილი და აღნუსხული მასალები. საბოლოო კვლევის შედეგად დავასკვნით, „ონიმასა და ტერიტორიას შორის მიმართება მოტივირებულია, მოცემული ტოპონიმის სემანტიკური მნიშვნელობა, ეთნოსის მატერიალურ და სულიერ შემადგენლობებს ასახავს“ (ცხადაია, 2015, გვ. 335).

ტოპონიმ ფიქორის ეტიმოლოგია ჯერ კიდევ ბოლომდე შეუსწავლელია. ცნობილ ონომატოლოგ მკვლევარ პაატა ცხადაიას მოსაზრებით: ყოველგვარი საკუთარი სახელი ადამიანის გონივრული მოღვაწეობის შედეგია და სწორედ ამიტომ იგი შეგნებული, ცნობიერი აქტი. ნომინაციის ბუნებრიობა გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ სახელდება ხდებოდა და ხდება ათასწლეულების მანძილზე ჩამოყალიბებული ენობრივ-ნომინაციური ტრადიციებისა და სახელმძღვანელო კოლექტივის ლოგიკურ-ფსიქოლოგიური თვალთახედვის შესაბამისად. ამასთანავე ობიექტის სახელდება სტიქიურია, რადგანაც არავინ მართავს და მიმდინარეობს თვითდინებით, ბუნებრივად, ხელოვნური ჩარევის გარეშე. (ცხადაია, 2015, გვ. 334) აქედან გამომდინარე, რთულია ისეთი ტოპონიმების ეტიმოლოგიის გაშიფრვა, რომელთა შესახებ ისტორიული წყაროები დუმიან და არც უძველეს რუკებზეა მათი მდებარეობა დადასტურებული.

ფიქორი სოფელია აფხაზეთში (გალის მუნიციპალიტეტი, სამურზაყანოს დაბლობი), თემის ცენტრი (სოფლები: ნაკარღალი, ნაჭკადუ). მდებარეობს ზღვის დონიდან სამ მეტრზე. გალიდან დაშორებულია 28 კმ-ით (ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, 1986, გვ. 388). 2008 წლის აგვისტოდან ოკუპირებულია რუსეთის ფედერაციის მიერ.

მოსახლეობის ისტორიულმა მიგრაციამ გამოიწვია ფიქორის საზღვრების გაფართოება და ახალი საცხოვრებელი უბნების წარმოქმნა. ნაჭკადუს ტერიტორიაზე მე-19 საუკუნის ბოლოს დასახლებულან მეფორიები, ლომაიები, ნაყოფიები, კონჯარიები, ლაჭავები, აკობიები, არქანიები და სხვ. სამურზაყანოს ძირძველი მოსახლეობა. უფრო მოგვიანებით, სოფელ ფიქორის უკაცრიელი ეკალბარდიანი ტყის გაღმა, ნაკლებად ჭაობიან სახნავ-სათეს ადგილებზე გადასახლებულან პატარაიების, ლაგვილაგვიბის, ჯღამაიების, ცირდავების „გამნარყები“, რომელთაც სახელდახელოდ აშენებულ ისლით გადახურულ ხის სადგომებში კერია დაუნთიათ და ცხოვრება გაუჩაღებიათ. ახალგაშენებულ უბანს (საცხოვრისს) ნაკარღალი ეწოდა. ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ორივე დასახლება – სოფელი ეკუთვნის ფიქორის თემს. ჩვენ არ შევხებით ნაკარღალისა და ნაჭკადუს ეტიმოლოგიას, რადგან შესწავლილია ცნობილ ონომატოლოგ პაატა ცხადაიას მიერ (მაძუა, 2013, გვ. 271).

ხალხურმა თქმულებამ შემოგვინახა ტოპონიმ ფიქორის (გეოგრაფიული სახელის) წარმოშობის ორი ვერსია: პირველი გადმოცემის მიხედვით, ფიქორის ადრინდელი სახელწოდება ყოფილა თუდოშორი, რაც მეგრული კომპოზიტია და ქართულად ნიშნავს „ქვემოთ შორს“ (დღესაც ადგილობრივი მოსახლეობის უხუცესი წარმომადგენლები ფიქორს თუდოშორად მოიხსენიებენ). ცნობილია, რომ შავი ზღვის სანაპიროზე კოლხები უხსოვარი დროიდან მოსახლეობდნენ. მართალია ისინი ჭაობიან მიწებს ჯეროვნად ვერ იყენებდნენ სახნავ-სათესად და ამ მიზეზით თუდოშორში მოსახლეობა 40–60 კომლს არ აღემატებოდა XX საუკუნემდე. მოსახლეობის სიმცირეზე მეტყველებს ისიც, რასაც თქმულება გვეუბნება: დღევანდელი ფიქორის ტერიტორია უკაცრიელი ჭაობი ყოფილა. ღამე ცეცხლის ალი ანათებდა მხოლოდ იმ ახლომახლო სამოსახლოებს, სადაც დღეს ცქვიტარიები, კონჯარიები და ცირდავები ცხოვრობენ. თქმულების მიხედვით, ჩვენ მიერ ხსენებული გვარების „გამნარყმა“ (მეგრული „გამნარყი“ აღნიშნავს შთამომავლობას, გვარის შთამომავლობას). (ქობალია, 2010, გვ. 122) შეარქვა თუდოშორი ამ დასახლებას, რაც დაკავშირებული ყოფილა ზღვასთან. ცქვიტარიების ერთოთახიანი ფოხვიდან (ქართული ფეხვ–(–*ფახვ–) : მეგრ. ფოხვ–. რამდენიმე მნიშვნელობით გვხვდება ქართველურ ენებსა და მის დიალექტებში; თ. სახოკიას გურიაში მოგზაურობის დღიურიდან: ფოხვი, ფორხვი. . . „დაფეხვილი, ისლით გადახურული და განზე წაწოლილი ფიცრის სახლი; უნდა ვივარაუდოთ, რომ ქართულ-ზანური ერთიანობის ხანაში *ფახვ- წარმოდგენდა სახელს, რომელმაც უმლაუტის გზით ქართულში მოგვცა ფეხვ- (რაც მხოლოდ ზმნურ ფუძედ შემორჩა), ხოლო მეგრულში ტრანსფორმირდა ფოხვ- ფორმით“) (ცხადაია, 2015, გვ. 345) სამნახევარი კილომეტრი იყო ზღვამდე. ძალიან დიდხანს ოჯახის მამა სამ კმ-ს ფეხით გადიოდა ყოველ დილით (წინ და უკან) და ზღვიდან მარილიან წყალს ეზიდებოდა ერთ-ერთი დასნეულებული

შვილისათვის გაურკვეველი გამონაყარის სამკურნალოდ. განიკურნა ავადმყოფი. სწული უკვე ქვილისაგან ხორცს არ იგლეჯდა და გაიხარა ოჯახმა. ცოლი შეეკითხა ქმარს, საიდან მოჰქონდა „უკვდავების წყალი“. კაცმა ხელი გაიშვირა ქვევით და მეუღლეს უპასუხა, თუდომორიდანო. თქმულების მიხედვით, ასე ეწოდა ამ პატარა ზღვისპირა დასახლებას თუდომორი. ჩვენთვის უფრო საინტერესო ცნობებზე მთქმელი არაფერს ამბობს. ის დუმს აგრეთვე თუდომორელთა ყოფა-ცხოვრებასა და საქმიანობაზე.

დროთა განმავლობაში, სავარაუდოა, მარცვლი დო ამოვარდა კომპოზიტის (თუ-დო-შორ-ი) პირველი ფუძიდან (ადგილობრივმა მოსახლეობამ შეცვალა ფონეტიკური ცვლილების საფუძველზე); აქედან გამომდინარე, ლოგიკურად თუ ვიმსჯელებთ, ფონეტიკური მოვლენების შედეგად, გეოგრაფიული დასახლების აღსანიშნავად, შესაძლებელია, ასე მიგველო ტოპონიმი ფიჩორი:

თუდომორი → თუდოჩორი → ფიდოჩორი → ფიჩორი.

(გვაქვს დიაქრონული ოიკონიმები (ვთქვათ, Orleans, ფოთი, ქუთაისი), რომლებმაც საუკუნეების ცვლასთან ერთად ფონეტიკური და შინაარსობრივი ცვლილება განიცადეს და სახეცვლილი ონიმით დაფუძნდნენ სამყაროში. აგრეთვე სურამი და მალთაყვა ლეგენდებზე დაფუძნებულ ოიკონიმებად არის ცნობილი და ა. შ.).

თქმულების მეორე ვერსია უფრო ბუნდოვანია და უკავშირდება ახალშენებს, რომელსაც, ჩვენი ვარაუდით, მივყავართ იმ პერიოდამდე (VI საუკუნე), როცა სპარსელ-ბიზანტიელთა ომიანობისა და, იქნებ, სხვა მიზეზების წყალობით, ადგილობრივი მეგრულ-ლაზური მოსახლეობა ამოწყვეტილა და VI საუკუნეში ეს მხარე ცარიელი ყოფილა... როცა აღმოსავლეთი საქართველო არაბთა მძლავრ და მკაცრ ბატონობის ქვეშ იყო და ხალხი აუტანელ მოხარკეობას გაუბოდა. ახალშენებს რიცხვმრავლობით მცირერიცხოვანნი გაუქართვებიათ, მაგრამ თვითონაც შეუთვისებიათ მათგან ბევრი რამ ...“ (ჯორბენაძე, 1986, გვ. 218).

ამავე მოსაზრებას იმეორებს ივ. ჯავახიშვილიც: ისტორიულად „სომხეთის სამხრეთსა და აღმოსავლეთ ნაწილში მხოლოდ მეგრულ-ლაზების ტომები ცხოვრობდნენ. შემდეგ, ეტყობა, ერთ-ერთი ქართველი ტომთაგანი ან აღმოსავლეთით, ან არა და სამხრეთ-აღმოსავლეთით შიგ შუაგულში შეჭრილია და მეგრულ-ლაზები ერთი ერთმანეთს დაუშორებია, ხოლო დაპყრობილი ადგილების მცხოვრებლებს ქართული შეუთვისებიათ ...“ (ჯავახიშვილი, 1968, გვ. 236).

სავარაუდოა, რომ სოფლის გეოგრაფიული სახელწოდება ფიჩორი სუბსტრატი იყოს. სუბსტრატმა შეიძლება თავი იჩინოს სემანტიკური გადააზრინების შემთხვევაშიც. თქმულება დუმს იმაზე, რომელი იყო მეორე ენა, რომელიც უშუალო კონტაქტში მოხვდა მეგრულ-ჭანურთან. მივყვით „საქართველოს ისტორიის ნარკვევებს“:

„ეგრისში ქრისტიანობის მიღების პირველ საუკუნეებში საეკლესიო ენა ბერძნული იყო, მაგრამ VI-VII საუკუნეებიდან აღმოსავლეთსა და დასავლეთ საქართველოს შორის ურთიერთობის გაღრმავებასთან ერთად თანდათან გზას იკაფავს ქართული ენა... ქართული ენისა და მწიგნობრობის გავრცელებას ხელს უწყობდა აგრეთვე არაბთა ბატონობით შევიწროებული აღმოსავლურ-ქართული მოსახლეობის მიგრაცია „სარკინოზთაგან კრძალულ“ დასავლეთ საქართველოში... VIII საუკუნის მიწურულიდან, განსაკუთრებით კი IX-X საუკუნეებში. ქართულ ენას ეგრის-აფხაზეთის მეფეები ავრცელებენ და ქრისტიანობასთან ერთად ამკვიდრებენ როგორც ეკლესიის ენას...“ (ცხადაია, 2015, გვ. 346).

ამონარიდებიდან გამომდინარე, ექვს არ იწვევს, რომ მეგრულ-ჭანურთან უშუალო კონტაქტში მოხვდა ქართული ენა და არა ბერძნული, რომელიც თქმულებით ივარაუდება. ჩორი კასპიის კარი, ანუ დარუბანდი, ციხე-ქალაქი კასპიის ზღვის სანაპიროზე, სადაც V საუკუნეში ირანის ლაშქარი იდგა. შდრ.: ჩორდ წარემართა – ჩორში წავიდა, ჩორს გაემართა (იაკობ ცურტაველის „შუმანიკის წამება“); მსჯელობით მივდივართ იქამდე, რომ ფიჩორის ეტიმოლოგია სუბსტრატ-სუპერსტრატით შეიძლება აიხსნას: ფი (ე) ჩორი; ფი (ე) მეგრულია და ქართულად ნიშნავს ცუდს; ჩორი –კასპიის ზღვის კარი. შდრ. აქ შავი ზღვის კარი „ფიჩორის ზღვისპირეთი“, რომელიც სრულიად უვარგისია საცხოვრებლად (ჭაობიანია, ცნობილია მალარიის გადამტანი კოლოებით).

სამურზაყანოში მსგავსი წარმოქმნილი კომპოზიტი ნომენი – ტოპონიმი მრავლად გვხვდება. „წარმოქმნილ სახელთა მნიშვნელოვანი ნაწილი სპეციალური ლექსიკური ერთეულია, ე. ი. მეცნიერების ამა თუ იმ დარგის ნომენია. ამასთანავე წარმოქმნილ ნომენთა ერთი ნაწილი, ჩვეულებრივ, სახელური წარმომავლობისაა, მეორე ნაწილი კი ზმნური წარმომავლობისა...“ (ცხადაია, 2015, გვ. 347). აქედან გამომდინარე, სამურზაყანოში და, საერთოდ, სამეგრელოში, წარმოქმნილი ნომენები სახელურფუძიანები ან ზმნურფუძიანებია. მკვლევარ პაატა ცხადაიას მოსაზრებით, მათი წარმოქმნის გზა ძირითადად სემანტიკურ-მორფოლოგიური და სემანტიკურ – სინტაქსური ტოპონიმიზაციაა. მეგრულში ამ სახით მიღებულ ტოპონიმებზე ამახვილებს ყურადღებას მკვლევარი და აღნიშნავს, რომ სემანტიკურ-სინტაქსური ტოპონიმიზაცია გულისხმობს შესიტყვებათა გადაქცევას შესაბამისი ობიექტის საკუთარ

სახელად. შესიტყვების ორივე წევრი სახელია (ზედსართავი ან რიცხვითი) ან ერთ-ერთი, მეორე კი შეიძლება იყოს სხვა მეტყველების ნაწილი, ვთქვათ, ზმნა და ა. შ. მეგრულ-ჭანურში ასეთი ტოპონიმები ბლომდააო. მოჰყავს მაგალითები: ჩიყვამწყარი „ჩიყვანი წყალი“ (შესიტყვება) – (წყალი სოფელ ფახულანში); ჟიბჟა (შესიტყვება) მზიანი ადგილი სოფელ ოტობაიაში), ჩხორო ცხაცხუ (ტოპონიმი: ერთი ძირიდან ამოსული ცხრა ცაცხვი სოფელ ლარაში), ოთხბორზალა „ოთხბორძალი“ (ტოპონიმი: ოთხი გზის შესაყარი ქ. აბაშაში), სუმწყუ „სამწყარო“ (შესიტყვება) – სუმწყუ (ტოპონიმი: სახნავი სოფელ ფოცხოში), ქუადინოხუ, „ქვა ჩამხოზილი“ – ქუადინოხუ (ჰიდრონიმი: მორევი მდინარე ციფზე, სადაც ქოხისოდენა ლოდია ჩამხოზილი) ქუაგემქუ „ქვა ასვია“; ქვა ჩასობილი – ქუაგემქუ (ტოპონიმი ბორცვი მოდინახეში) კუტაეწერი „მოკლე ეწერი“ (შესიტყვება) – კუტაეწერი (ტოპონიმი: ერქვა სოფელს აბაშის რაიონში)(ცხადაია, 2013, გვ. 316) და სხვა, რასაც საკვლევი ტოპონიმ ფიქორის ეტიმოლოგია ადასტურებს.

გეოგრაფიული სახელდება ფიქორი ადასტურებს, რომ ოიკონიმში თავისებურადაა ასახული ცხოვრება. საერთოდ, ონომასტიკაში ყოფის კულტურა ყველა მიმართულებით აისახება, ამ სიტყვის ფართო და ვიწრო გაგებით, მაგრამ ასახვა განსხვავებულად ხდება. ერთი მხრივ, საკუთარი სახელები ენაში იქმნება და ამ თვალსაზრისით მათთვის მთავარი სულიერი კულტურაა. მეორე მხრივ, საკუთარი სახელები სიტყვების მსგავსად სწრაფად რეაგირებენ არა მხოლოდ სულიერი, არამედ მატერიალური კულტურის ფაქტებზე. ნებისმიერი კულტურა წარმოქმნის საკუთარი სახელების გარკვეულ ტიპს, თითოეულ სიტუაციაში აისახება მოცემული კულტურის მარცვალი (სიხარულიძე, 1958, გვ. 39). საზოგადოება და მისი კულტურა ყოველმხრივ ზემოქმედებს ენაზე, მაგრამ ენაც როდია პასიური საზოგადოებისა და კულტურის მიმართ (ცხადაია, 2000, გვ. 99) ენა, რომელიც ეროვნული კულტურის ყველაზე სახასიათო შემადგენელი კომპონენტია, დამოუკიდებელ საზოგადოებრივ მოვლენას წარმოადგენს. ის ასახავს და გამოხატავს მოცემული ხალხის ზოგადსაკაცობრიო და ეროვნულ-სპეციფიკურ ნიშან-თვისებებს(ცხადაია, 2000, გვ. 97). ტოპონიმი ეროვნული თვითმყოფადობის მატარებელია, მასში ხალხთა ცხოვრების ისტორიული, გეოგრაფიული, ტერიტორიული და ბუნებრივ-გეოგრაფიული თავისებურებების პირობების გარდა, ერის ისეთი თავისებურებები აისახება, როგორებიცაა ფსიქიკა, რომელიც ტრადიციებში, წეს-ჩვეულებებსა და ფოლკლორშია აღბეჭდილი ... (ცხადაია, 2000, გვ. 97).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ონიმასა და ტერიტორიას შორის მიმართება ხშირ შემთხვევაში მოტივირებულია, „თითოეული ოიკონიმის სემანტიკური მნიშვნელობა, ეთნოსის მატერიალურ და სულიერ სემანტიკებს ასახავს“ (ცხადაია, 2000, გვ. 98), რაც დასტურდება საკვლევ სახელდებაში. სამურზაყანოს სახელდებათა სისტემა ძირითადად ეთნოსის მახასიათებელ ნიშნებზეა აგებული. სახელდებათა საერთო არქისემემა ტერიტორიის ნომინირებაა, მაგრამ მათი სხვადასხვა სემანტიკური მნიშვნელობები, საერთო იმპლიციტური ნიშნით გარკვეულ ქვესისტემებში ერთიანდება. საბოლოოდ კვლევის შედეგად შეგვიძლია ვთქვათ, რომ სემანტიკური ნიშანი და მნიშვნელობა მოცემულ ხალხურ ოიკონიმში ეროვნულ ეთნოსში რეალიზდება.

ბიბლიოგრაფია:

- სიხარულიძე, ი. (1958). *სამხრეთ დასავლეთ საქართველოს ტოპონიმოლოგია* (წიგნი I). ბათუმი: სახელგამი.
- ქართული საბჭოთა ენციკლოპედია* (ტ. 10). (1986). თბილისი.
- ქობალია, ა. (2010). *მეგრული ლექსიკონი*. თბილისი: არტანუჯი.
- ღლონტი, ა. (1988). *ქართული ლექსიკოლოგიის საფუძვლები*. თბილისი: განათლება.
- ცხადაია, პ. (2000). *გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში*. თბილისი.
- ცხადაია, პ. (2011). მეგრული ტოპონიმის ლექსიკა, *ქართველური ონომასტიკა* (ტ. 5). თბილისი: უნივერსალი.
- ცხადაია, პ. (2013). მეგრული ტოპონიმის წარმოქმნის გზები, *ქართველური ონომასტიკა* (ტ. 6). თბილისი: უნივერსალი.
- ცხადაია, პ. (2015). კოლხეთის ტოპონიმიაში გამოვლენილი ქართულ-მეგრული ფუძეთშესატყვისობანი. *ქართველური ონომასტიკა* (ტ.7).
- ჯავახიშვილი, ი. (1968). *საქართველოს ისტორიის ნარკვევები* (ტ. 2). თბილისი.
- ჯორბენაძე, ბ. (1986). *დიალექტოლოგიის ზოგადი პრობლემები* (ტ. 1).
- ძაძუა, ჯ. (2013). სოფელ ოტობაიის ზოგიერთი ტოპონიმის ისტორია-ეტიმოლოგიისათვის, *ქართველური ონომასტიკა* (ტ. 6). თბილისი: უნივერსალი.

Juleta Dzadzua
Sokhumi State University
FOR HISTORY-ETYMOLOGY OF PICHORI
RESUME

From the root of toponym “Pichori” over the years, it is probable, that the syllable –do- had dropped out from the first root of composite (Tu-do-shor-i); Due to this, as we think logically, as a result of phonetical events, it is possible to receive such toponyme for geographical settlement as Pichori: Tudoshori-Tudochori-Phidochori-Pichori. It could be happened so, that geographical name of the village Pichori was a substrat. Substrat may be appeared in case of semantical changes. Then which was the second language to be in contact with Megrul-Tchanuri languages? There arises the problem of substrat-superstat.

Keywords: Toponym, Pichori, Etymology, Samurzakano names, Linguistic research.

ნელი ჯამბურიძე
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

საბავშვო ლიტერატურის წყარო - ისტორიული ტექსტების ადაპტირებული ვარიანტები

საკვანძო სიტყვები: ადაპტაცია, საბავშვო მოთხრობები, ისტორიული მოთხრობები, მეტაფორასტიკა, „ქართლის ცხოვრება“, ლინგვისტიკისტური აღწერა.

თანამედროვე განათლებული ადამიანისთვის საკუთარი ქვეყნისა და მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის შესწავლა მნიშვნელოვან საფუძველს წარმოადგენს იმ გრანდიოზული კვებებისათვის, რომელიც შემდგომი უდიდესი არმოჩენებისა და ახალი ხედვების საწინდარი გამხდარა. თუმცა დროთა განმავლობაში ისტორიული მოვლენების მიმართ დამოკიდებულება იცვლება და ისტორიული მოვლენებიც სხვა მასშტაბებს იძენენ, უცვლელი რჩება ისტორიული ნაწარმოებების, როგორც წარსულის რეკონსტრუქციისა და მომავლის კონსტრუქციის შესწავლის მნიშვნელობა.

ამიტომ, ისტორიული ტექსტების, ქრონიკების, როგორც ქართული სულიერების უდიდესი საგანძურის შესწავლა-გააზრება და მათი მხატვრული ადაპტირებული ვარიანტებით საბავშვო ლიტერატურის გამდიდრება უდიდეს მნიშვნელობას იძენს. ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის საბაზო საფეხურის ქართული ენა და ლიტერატურა სტანდარტში მოცემულია ძველი ქართული მწერლობის ადაპტირებული ტექსტები, რომელიც პასუხობს როგორც ეპოქის ინტერესებს, ისე ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებსა და პრინციპებს. (მაგ. ლეონტი მროველი - „ცხოვრება და მოქალაქობა ღირსისა და მოციქულთა სწორისა ნეტარის ნინოსი“: მირიანის ნადირობა და მზის დაბნელება (ადაპტირებული სახით); სულხან-საბა ორბელიანი - „წიგნი სიბრძნე-სიცრუისა“: ცალკეული იგავები, შერჩეული სამი ძირითადი თემატური ბლოკის გათვალისწინებით (ადაპტირებული სახით). (ეროვნული სასწავლო გეგმების პორტალი)

ამ ნაშრომში ჩვენ გვინდოდა განსასჯელად გამოგვეტანა დიდი ქართველი განამანათლებლის, ქართული საბავშვო ლიტერატურის იაკობ გოგებაშვილის ისტორიული თემატიკის მოთხრობების შემნის თეორიული საფუძვლები.

წარმოდგენილ კვლევაში ძირითადი შეხედულებები ემყარება სამეცნიერო კვლევებს, სტატიებს, რომელშიც განხილულია იაკობ გოგებაშვილის შემოქმედების განსაკუთრებული როლი ერის გამოღვიძებისა და მომავალი თაობის აღზრდის უმნიშვნელოვანეს საქმეში. იაკობ გოგებაშვილმა თავის პუბლიცისტურ ნაშრომებსა და სახელმძღვანელოებში ჩამოაყალიბა საბავშვო ლიტერატურის თეორიული

დებულებები. მწერალი საბავშვო ლიტერატურის სპეციფიკურ ნიშნებს შეიძლება შემდეგნაირად ახასიათებს: საბავშვო ნაწარმოებები დაწერილი უნდა იყოს ლაკონიური, მისაწვდომი, გამართული და ხალისიანი ენით - ბავშვმა საბავშვო ლიტერატურის კითხვა მსუბუქი, ადვილად გასაგები და, მამასადაძმე, მარტივი სიტყვებითა და ფორმებით უნდა დაიწყოს. მნიშვნელოვანია საბავშვო ლიტერატურის მორალურ-დიდაქტიკური ემოციურ-შინაარსობრივი მხარე, მარტივი სიუჟეტი და მკაფიო კომპოზიცია, დინამიურობა, მოქმედების სწრაფი მონაცვლეობა და მიზნიდველობა.

ნაშრომი დაფუძნებულია ტექსტის ადაპტაციისა და საბავშვო ლიტერატურის თეორიულ დებულებებზე, ისტორიული წყაროებისა და მხატვრული ტექსტების შედარებით ანალიზზე.

ქართული საბავშვო ლიტერატურის ფუძემდებელმა იაკობ გოგებაშვილმა თავისი ისტორიული თხზულებების შესაქმნელად მიმართა „ქართლის ცხოვრების“ მხატვრული ადაპტაციის ხერხს, რაც გამოიხატა ნედლი ისტორიული მასალის საბავშვო თხზულებებად ტრანსფორმაციაში. ნაშრომში გამოყენებულია აღწერილობითი, შედარებითი და ანალიტიკური მეთოდი. მეთოდოლოგიურად თვისებრივი კვლევის კატეგორიაში მოიაზრება და საბაზისო მეთოდოლოგიურ მიდგომად ტექსტის იდეურ-მხატვრული ანალიზის მეთოდს ვიყენებთ.

კვლევის პროცესში გამოვიყენეთ შემდეგი მეთოდი: ლინგვისტიკური აღწერის მეთოდი (საბავშვო ნაწარმოების ლინგვისტიკური და სტილისტიკური თავისებურებების დახასიათება).

დღეს აქტიურად მიმართავენ საკოლო სახელმძღვანელოებში სხვადასხვა მწერლის მხატვრული ნაწარმოებების შემოკლებული, ქრესტომათიული ვარიანტების გამოყენებას.

ყოველი ტექსტი იწერება კონკრეტულ ეპოქაში, კონკრეტული მიზნით, კონკრეტული მკითხველისათვის. იცვლება ეპოქა, იცვლება კულტურული სიტუაცია, იცვლება გემოვნებაც და აღქმის თავისებურებანიც. ჟანრი ცოცხლობს მანამ, სანამ მასში ჩანს დროის შეგრძნება, როგორც კი ეს შეგრძნება იკარგება, ჟანრიც კვდება. ამის საუკეთესო მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს ძველ ქართულ მწერლობაში მეტაფრასტიკა. მეტაფრასტიკამ მიზნად დაისახა აგიოგრაფიაში მხატვრულ-გამომსახველობითი დონის ამალგება. (სირაძე, 1978, გვ. 140). ლიტერატურას ახასიათებს სწრაფვა სამყაროს ხელახლა აღმოჩენისაკენ, დადგენილის, ნაცნობის, ფამილარულის შეცვლისაკენ, გაუცხოებისაკენ ანუ დეფამილარიზაციისკენ. (რატიანი, 2009, გვ. 34). ამის საუკეთესო მაგალითია შუა საუკუნეებში ტექსტის მეტაფრასტიკა. ჟანრის ისტორიაში დგება მომენტი, როდესაც მარტივი, „ლიტონი“ თხრობა ვეღარ აკმაყოფილებს შუა საუკუნეების ბიზანტიის და სტილისტთა „პრეტენზიულ მოთხოვნებს“. (კეკელიძე, 1957, გვ. 140-141) ჟანრი თავის თავში ატარებს ევოლუციის კოდს, ისწრაფვის ცვლილებებისაკენ, განახლებისაკენ, განვითარებისაკენ. იწყება ტექსტების გადაკეთება-გადალამაზება. ყურადღება ექცევა ფორმას, ენას, სტილს. შინაარსშიც შეაქვთ გარკვეული ცვლილებები. შლიან სხვადასხვა დროის ჩანამატებს, შეაქვთ ახალი კონცეპტები ანუ თანამედროვე თვალსაზრისი გადააქვთ წარსულში. სრულდება სოციალური დაკვეთა. საზოგადოება ითოვს „გადაკაზმულ“ ამბავს.

მეტაფრასტიკა მარტო სტილი არ არის, ის სულიერი მდგომარეობაა, რომელიც საზოგადოებრივ განწყობილებებს გამოხატავს. აქედან გამომდინარე, მეტაფრასტიკა ახალ კულტურულ მდგომარეობას აფიქსირებს.... მეტაფრასტიკა ეწოდა აგიოგრაფიული საკითხების ძველი, კანონიკური რედაქციების გადამუშავებას. ბერძნულად მეტაფრასისი, ქართულად –“გადაკაზმული“, როგორც ეგრემ მცირე იტყოდა. კარლ კრუმბახერი სვიმონ მეტაფრასტის სტილზე საუბრისას გამოჰყოფს ტექსტის სამ კატეგორიას. პირველი, ეს არის მეტაფრასტები, რომლებშიც ძველი ტექსტი უცვლელი სახით არის დატოვებული; მეორე კატეგორია წარმოადგენს ლეგენდებს, რომლებმაც სრული სტილისტიკური გადამუშავება განიცადა; მესამე, ისეთი რედაქციები, რომლებიც ფაქტობრივად ახალ თხზულებებს წარმოადგენს. (Krumbacher, 1897, p. 201)

ადაპტაცია, L. Adoptatio, “შეგუება”, შეწყობა. ტექსტის ადაპტაცია - რაიმე ტექსტის გამარტივება, შემოკლება-გადაკეთება უცხო ენის შემსწავლელთათვის. (ჭაბაშვილი, 1989, გვ. 17) ამ ტერმინის ლათინურ ამოსავალსა და დარგობრივი ენების მის ქართულ ვარიანტებში ადაპტაცია შეგუებისა და დამკვიდრების შინაარსს ატარებს. დიდი ოქსფორდული ლექსიკონის მიხედვით, ადაპტაციას მრავალი ძირითადი და დამატებითი მნიშვნელობა აქვს, რომელთა უმრავლესობის თანახმად, ადაპტაცია ესაა ცვლილება მიზნის, ფუნქციისა თუ გარემოს გათვალისწინებით; ცვლილება ერთისა მეორის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად; მედიაკონტექსტში - სამიზნე პირობებისათვის ცვლილება ან გაუმჯობესება მორგება. დღეს ხშირად მიუთითებენ, რომ ტექსტს არ შეუძლია იცოცხლოს ახალ გარემოში (მსგავსად ბოლოგიური ორგანიზმებისა) საგანგებო შეგუების, ცვლილებების გარეშე. მაგალითად უცხოენოვანი მასალის ქართულ რეალობაში შემოტანა ისეთი ენებისათვის, რომლებმაც დროს ვერ გაუძლეს და თანამედროვეთათვის გაუგებარ მასალად შემოინახეს ერის ლიტერატურული მემკვიდრეობა, ტექსტის გათანამედროვეება ან სულაც ძველიდან ახალ ენაზე თარგმნა. ძველი ტექსტები საკუთარ წარსულთან ზიარების ერთადერთი გზაა. მაგრამ ქართული მწერლობის უძველესი ნიმუშები

თანამედროვე ადამიანისათვის გასაგები და მისაწვდომია, უფრო მეტიც, ეს ტექსტები ენის სიმდიდრის, ეპოქათა სულისკვეთების უნიკალური სიზუსტით გათვალისწინებაა და გონების წვრთნის საუკეთესო გზაა. ამიტომ ქართული მწერლობის თანამედროვე ენაზე გადმოწყოფა ამ უნიკალურ უპირატესობას დაგვიკარგავს და თაობებს დააზარალებს. (თურქია, 2017) რ. ბარტის მოსაზრება, რომ ტექსტი არის ინტერტექსტი და ძველი ციტატებისგან შექმნილი ახალი მხატვრული ქსოვილი, შეიძლება მივიჩნიოთ ერთგვარ ბაზისურ პოსტულატად, რომლის საფუძველზე შევეცდებით ქართულ ლიტერატურაში მოძიებული, გარკვეულწილად, მყარი ქსოვილის სახით ჩამოყალიბებული მხატვრული სახეების ინტერპრეტირებას. ვეფუძნებით ტექსტს, როგორც ეპოქისაგან მოწყვეტილი თვითნებით სტრუქტურას და პროვოცირებას ვახდენთ სწორედ ამ კუთხით. პრაქტიკაში ეს ცნებები ხშირად გაიგივებულია, ხანაც დაწყვილებული: თარგმანი-ადაპტაცია, ადაპტირებული თარგმანი. ადაპტაცია და თარგმანი მართლაც ბევრი საერთო ნიშნით ხასიათდება: ორივე შემთხვევაში ადგილი აქვს პირველადი ტექსტის ტრანსფორმაციას და ინტერპრეტაციას. უმბერტო ეკო ადაპტაციაში ხედავს „ტექსტით მანიპულირებას“. (Эко, 1998, стр. 389)

„ქართლის ცხოვრება“ მდიდარ ისტორიოგრაფიულ ტრადიციებზე დამყარებული ძეგლია და, ამდენად, შეიცავს სხვადასხვა ჟანრის ზემოქმედებას. ეს ვლინდება მხატვრულ ფორმათა მრავალფეროვნებაში. „ქართლის ცხოვრების“ წაკითხვისას ჩვენს ყურადღებას ყოველთვის იქცევდა მისი ენა, მხატვრული შედარებები... ტექსტებში იგრძნობა ჰაგიოგრაფიის, ჰიმნოგრაფიის და სახოტბო პოეზიის ერთგვარი გავლენა“. (ქადაგიძე, 2004) იაკობ გოგებაშვილის ისტორიული მოთხრობების წყაროს წარმოადგენს ქართული საისტორიო მწერლობა: „მეფეთა ცხოვრება“, „ჟამთა აღმწერელის ისტორია“ და „ქართლის ცხოვრება“, რომელთა ნათელმა ფურცლებმა შემოინახა ცოტნე დადიანისა და თევდორე მღვდლის, იოთამ ზედგინიძისა და სამასი თავდადებული ქართველის გმირობა, სული საქართველოს გმირული წარსულისა. იაკობ გოგებაშვილის მოთხრობები გამოირჩევა სიუჟეტის ისტორიული ქარგით, მხატვრული ალღოთი და ნაზი ჟღერადი ქართული ენით, მწერალი ცდილობს არ შეცვალოს ისტორიული ფაქტები. ამ ფაქტების მხატვრულად გადმოცემა კი მწერლობის შემოქმედებითი პრინციპების საფუძველად მიაჩნია. ისტორიული მოთხრობების დიდი აღმზრდელობითი დანიშნულების გამო მწერალი უღრმავდება „ქართლის ცხოვრებას“ და საქართველოს ისტორიის არაერთ ეპიზოდს მხატვრულად წარმოგვიდგენს.

„ბუნების კარის“ 1912 წლის №21 ჟურნალის ერთ-ერთი გამოცემის წინასიტყვაობაში ი. გოგებაშვილი მიმოიხილავს ისტორიული განყოფილების დანიშნულებას, სადაც მოთავსებულია მოთხრობები საქართველოს წარსულიდან, საისტორიო ლექსები თვალსაჩინოების ჩართვით, ისტორიულ პირთა პორტრეტები, წერილის ავტორის აზრით, ამ განყოფილების დანიშნულებაა გააცნოს მკითხველს ისტორიული წარსული სამშობლო ქვეყნისა, მისი ბედი და უბედობა - ამით მოსწავლეებს ეძლევათ ძლიერი ნაციონალური გაკვეთილები, რათა იგი სათანადოდ ერკვეოდეს, „...თუ რას უნდა ეტრფოდეს, საითკენ უნდა მიისწრაფოდეს, აწმდგომი თავისი არსებობა მან გააძლიეროს და მომავალშიც სანატრელი გახადოს“. საბავშვო მოთხრობებში ისტორიული თემატიკის გამოქვეყნების მთავარ პრინციპებზე თეორიული მსჯელობა შეადგენს ი. გოგებაშვილის კრიტიკული წერილების ერთ-ერთ ნაწილს. 1897 წელს გაზეთ ივერიაში №61 და №62 გამოქვეყნდა წერილი „უძლური ბოროტება“. ეს წერილი პასუხია გაზეთ „კვალში“ დაბეჭდილი რეცენზიისა, რომელიც მიემღვანა ი. გოგებაშვილის მოთხრობას „მეფე ერეკლე და ინგილო ქალი“ („კვალი“, 1897 წ. №28, გვ. 535-437). აღნიშნულ მოთხრობაში გამოყენებული ისტორიული ფაქტების ანალიზის საფუძველზე ჩამოყალიბებულია თხზულებებში ისტორიზმის გამოყენების სპეციფიკა და მათი აღმზრდელობითი ფუნქცია. ავტორი აღნიშნავს, რომ მან თავის მიზანს მიაღწია, რამდენადაც შეძლო ამ პატარა მოთხრობით, რადგანაც აღნიშნული მოთხრობის სიუჟეტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ისტორიული ცხოვრების ფაქტებს, ზნე-ჩვეულებებს, ხალხის ფსიქოლოგიასა და ისტორიულ პირთა მოქმედებებს. სწორედ სინამდვილის ამ სახით წარმოდგენით, მწერალმა თავის ისტორიულ მოთხრობებში აღმზრდელობით-პედაგოგიური მიმართულება განავითარა. „...მოვახერხე მოთხრობისათვის მიმეცა აღმზრდელობითი მიმართულება, რომელიც ისე ძლიერ უჭირს ხალხს აწინდელ მდგომარეობაში“.

საბავშვო ჟურნალ „ნობათის“ პირველი ნომრის მიმოხილვისას, 1884 წელს, ი. გოგებაშვილი წერდა: „ისტორიულ მოთხრობებს დიდი მნიშვნელობა აქვთ ბავშვის აღზრდაში. საუკეთესო მამულიშვილების მხურვალე სიყვარული თავისი ქვეყნისა, თავისი სარგებლობის დავიწყება მის სიკეთისთვის და თავდადება მამულის ბედნიერებისათვის უპირველეს ღონისძიებად ირიცხებიან ჩასანერგად და აღსაზრდელად მოზარდ თაობას შორის მაღალი ზნის პრინციპებისა“. მწერალი განიხილავდა რა ისტორიული მოთხრობების დიდ როლს საბავშვო მწერლობაში, თავის შემოქმედებას ავსებდა პატრიოტული სულისკვეთებით აღსავსე თხზულებებით. იაკობ გოგებაშვილის ისტორიული მოთხრობები, რომლებიც არცთუ ისე მცირეა, გამოირჩევა დინამიკური თხრობითა და საინტერესო

ისტორიული სიუჟეტებით. ი. გოგებაშვილი ისტორიული მოთხრობების შესახებ წერდა: „...უფრო თვალნათელი ფაქტები, დალაგებით უამბეთ ბავშვებს, გადაუჭარბებლად, ურიტორიკოდ, საზოგადო ფაქტების მორიდებით და თქვენ მისცემთ მათ გონებასა და გულს საუკეთესო საზრდოს“. აღსანიშნავია, რომ ამ პრინციპს დიდი პედაგოგი ერთგულად იცავდა, ქართველი ხალხის ეროვნული ძალის გამოღვიძება-განვითარებისათვის მწერალს აუცილებლად მიაჩნია მშობლიური ქვეყნისა და ხალხის წარსულის კარგად ცოდნა. მას კარგად ესმოდა, რომ წარსულის ცოდნის გარეშე ადამიანი ვერც აწმყოთი გაერკვევა და ვერც მომავლის განვითარების პერსპექტივებს წარმოადგენს. მაგრამ იაკობი წარსულს არასოდეს მისტიროდა, არ იბრძოდა მის აღსადგენად. წარსულში ქართველთა გმირული ბრძოლების შესწავლა-განვითარებას იგი ახალი საქართველოსათვის ბრძოლის უკეთ წარსამართავად იყენებდა, მისი იდეა იყო ახალი საქართველო, „რომელიც მიქცეული უნდა იქნეს არა უკან, აზიისაკენ, არამედ წინ ევროპისაკენ“.

„იაკობს ისტორიულ მოთხრობათა ზოგიერთი მასალა, ამოღებული „ქართლის ცხოვრებიდან“ და სხვა პირველწყაროებიდან ნედლი სახით აქვს გამოყენებული“. „ავტორი კარს გვიღებს და გვახედებს თავის შემოქმედების ლაბორატორიაში, თუ თავად რა საშუალებებს იყენებს და რა პედაგოგიური და ფსიქოლოგიური მოტივებით მოქმედებს, როდესაც ასეთ მოთხრობებს ქმნის, „მისი დევიზია ისტორიული მოვლენების არა მშრალად აღწერა, ფაქტების რეგისტრაცია, არამედ ძლიერი ემოციების გამომწვევი ისეთი შემთხვევების შერჩევა, რომლებიც ამომრავებენ ბავშვების სულსა და გულს, ისეთები, რომლებიც განაწყობენ მათ არა მხოლოდ მოწოდებული ფაქტის აღსაქმელად, არამედ ჩაუნერგავენ მშობლიური ქვეყნისათვის თავგანწირული გმირებისადმი ღრმა სიყვარულს, აღუძრავენ ანალოგიური გმირული ეპიზოდებისა და საშობლო ისტორიის დამოუკიდებლად შესწავლის ინტერესს,“ [გ. თავზიშვილი.] მამულისადმი ჭემმარიტი სიყვარული შთააგონებს მწერალს, გააცნოს პატარა მკითხველს „ქართლის ცხოვრება“ თავისი ეპიზოდური ისტორიული თხზულებებით. ქართველი მამულიშვილი, ვისაც ნამდვილად „ედაგვის გული მამულის ტანჯვით“, უფლებას იტოვებს მოგვითხროს ამა თუ იმ ეპოქალური მოვლენების შესახებ. თვით იაკობ გოგებაშვილს თავის საბავშვო მოთხრობებში არასოდეს უღალატნია ამ ძირითადი პრინციპებისათვის. როგორც უკვე ვთქვით, საბავშვო მოთხრობებში განხორციელებული მისი ძირითადი პრინციპები არ მოიცავენ ისეთ სიუჟეტებს, „...რომელიც ეწინააღმდეგებოდეს ისტორიულ ფაქტებს, ქართულ ზნე-ჩვეულებას, ბელეტრისტულ შესაძლებლობას და ფსიქოლოგიას ხალხისას და მოქმედის პირებისას.“ [იაკობ გოგებაშვილი] მწერალი პრინციპულად აყენებს საკითხს, რომ განსაკუთრებული სიზუსტით, მიზანდასახულად, თვალნათლივ იქნეს გადმოცემული ისტორიული ამბები და ლეგენდები. აღსანიშნავია, რომ ეს საკითხი იაკობ გოგებაშვილმა თვალნათლივ წარმოაჩინა წერილში, რომელიც მიემდგვნა საბავშვო ჟურნალ „ნობათის“ პირველი ნომრის მიმოხილვას. „ისტორიული გმირების მოქმედება, თითოეული ნაბიჯი მათი ცხოვრებისა მაღალი მორალური საქციელია, სწორედ მათი გაცნობით უნდა მიეცეს დასაწყისი პატრიოტიზმის აღზრდას“, - მართებულად აღნიშნავს იაკობ გოგებაშვილი. აღნიშნულ წერილში ი. გოგებაშვილი სასტიკად აკრიტიკებდა ერთ-ერთი ლეგენდის ავტორს და ასეთ შეფასებას აძლევდა მას: „წარმოიდგინეთ ისტორიული (?) ჭორების ნაფლეთები, უნიჭოდ მოგონილნი, კიდევ უფრო უნიჭოდ გამეორებულნი, უხეიროდ ერთმანეთზეც მიბმულნი, მოკლებულნი მარილს, კავშირს, აზროვნებას, სიმართლეს და ყოველს ღირსებას გონებითის ნაწარმოებისას და თქვენ შეადგენთ უტყუარს აზრს ამ ლეგენდაზედ. არც ერთ სტრიქონს, არც ერთს წინადადებას არ აზის ბეჭედი ცოტაოდნათ მაინც გახსნილის, განვითარებულის გონებისა. ისტორიული გმირები აქ ისე მოქმედებენ, თითქო უბრალო მოხეტიალენი იყვნენ, გზასა და კვალს დაბნეულნი“. მკაცრი კრიტიკის ფონზე, იქვე გამოსავალსაც გვიჩვენებს, თუ როგორ უნდა იწერებოდეს ისტორიული ნაწარმოებები: „ამოირჩიეთ უფრო თვალნათელი ფაქტები, დალაგებით უამბეთ ბავშვებს, გადაუჭარბებლად, უკრიტიკოდ, საზოგადო ფრაზების მორიდებით და თქვენ მისცემთ მათ გონებასა და გულს საუკეთესო საზრდოსა.“ იაკობ გოგებაშვილის ისტორიულ მოთხრობებში ჩანს მხატვრობისა და პედაგოგიური პრინციპების ჰარმონიული მთლიანობით შერწყმა. მწერალი გარკვეული პედაგოგიური თვალსაზრისით ცდილობს არ შეცვალოს ისტორიული ფაქტები და ზოგჯერ მნიშვნელოვან მოვლენებს არამხატვრული დამუშავებით, გადაჭარბებული სიფრთხილით გვაწვდის. მკითხველს ეძლევა საშუალება, საკუთარი ფანტაზიით განავითარონ მოვლენები. ბავშვებს იზიდავთ მოთხრობაში მოცემული შეკუმშული სურათი. იაკობ გოგებაშვილმა „ქართლის ცხოვრების“ საგმირო ეპიზოდები, ერთგვარად „სულის ქურაში“ გატარებით გადაამუშავა და წარმოგვიდგინა საბავშვო ნაწარმოებების სახით, რომლებიც წარმოადგენს ადაპტირებულ ვარიანტს სრულ პირვანდელ ტექსტთან შინაარსობრივი თავხედრის გამო. თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემაში პედაგოგიური და შემეცნებითი თვალსაზრისით, ახალგაზრდებში წიგნიერების დონის ზრდისა და დემოკრატიული ფასეულობების დასაწერად კლასიკური და ისტორიული ტექსტების ადაპტაციას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება.

ბიბლიოგრაფია:

- აი ია. (თ. გ.). *აქტუალური თემები*. მოძიებულია ვებგვერდიდან: <http://www.ai-ia.info/aqtualuri.htm>
- გოგებაშვილი, ი. (1990). *თხზულებანი*. (ტ. 5). თბილისი: განათლება.
- ეროვნული სასწავლო გეგმების პორტალი. (თ. გ.). *ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა (საბაზო საფეხური) 2018-2024*. მოძიებულია ვებგვერდიდან: <http://ncp.ge/curriculum/satesto-seqtsia/akhali-sastsavlo-gegmebi-2018-2024/sabazo-safekhuri-vi-ix-klasebi-proeqti-sadjaro-gankhilvistvis>
- თურქია, თ. (2017). მხატვრული ნაწარმოების თარგმანი თუ ადაპტაცია? *ქართველური მემკვიდრეობა*, XXI, 150-155.
- კეკელიძე, ვ. (1957). *ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან* (ტ. V). თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.
- რატიანი, ი. (2009). *ქანრის თეორია*. თბილისი.
- სირაძე, რ. (1978). *ქართული ესთეტიკური აზრის ისტორიიდან*. თბილისი: ხელოვნება.
- სჯანი*. (2016). (17)
- ტალიაშვილი, თ. (2010). ტექსტის გაგების სტრატეგიები. *სემიოტიკა* (VII), 119-128.
- ფირჩხაძე, მ. (2015 წლის 24 სექტემბერი). *მხატვრული ლიტერატურის გამოყენების ზოგიერთი ასპექტი ისტორიის გაკვეთილზე*. მოძიებულია ვებგვერდიდან: <http://mastsavlebeli.ge/?p=4301>
- ქადაგიძე, მ. (2004). ქართლის ცხოვრებაში შემავალ თხზულებათა ენა და მათი მხატვრული ანალიზი. *ქართველური მემკვიდრეობა* (VIII), 261-267.
- ჭაბაშვილი, მ. (1989). *უცხო სიტყვათა ლექსიკონი*. თბილისი: განათლება.
- ჭამჭურიძე, ნ. (2006). *იაკობ გოგებაშვილის ქარისტიანულ-ზნეობრივი მრწამსი*. თბილისი: მერიდიანი.
- Krumbacher, K. (1897). *Geschichte der byzantinischen Litteratur von Justinian bis zum Ende des oströmischen Reiches (527-1453)*. München: C. H. Beck (O. Beck).
- Эко, У. (1998). *Отсутствующая структура: Введение в семиологию*. Санкт-Петербург.

Neli Champuridze

Gori State Training University

CHILDREN'S LITERATURE SOURCE - ADAPTED VERSIONS OF HISTORICAL TEXTS RESUME

19th-century Georgian teacher, the founder of children's literature Iakob Gogebashvili, used the artistic adaptation of "Kartlis Tskhovreba" to create his own historical works, which were transformed into children's narratives of raw historical material. Studying and understanding historical texts, chronicles as the greatest treasure and enriching children's literature with their artistic adaptations is still a great importance. The main finding in this study is based on the scientific research, articles on the theoretical foundations of writing a historical essay by the great Georgian educator Iakob Gogebashvili, which discusses the importance of studying historical insecurity in the crucial task of educating the next generation.

Keywords: Adaptation, Children's stories, Historical themes, Pedagogical and cognitive point of view, First-time text transformation.

როსტომ ჩხეიძის „ცდა“, როგორც ერთგვარი ჟანრობრივი ფორმა
(„დეტექტიური ცდების“ მაგალითზე)

საკვანძო სიტყვები: როსტომ ჩხეიძე, ჟანრი, დეტექტიური ცდა, მხატვრული კვლევა.

ლიტერატურული პროცესების მკვლევარნი ყოველთვის ფრთხილობენ თანამედროვე ავტორებზე მსჯელობისას, განსაკუთრებით მაშინ, როცა ავტორი გამორჩეულად, ხოლო მისი მოღვაწეობა ეპოქალურად უნდა შეფასდეს; ერთი მცირეოდენი შეცდომა, ერთი კითხვის ნიშანიც კი უნდა გამოირიცხოს. ეს კი საფრთხილო თემაც გახლავთ და, შესაბამისად, მკვლევრისათვის საკმაოდ საპასუხისმგებლოც.

ამიტომ შემოქმედის მოღვაწეობას კრიტიკოსის თვალის ხანგრძლივად მიდევნება სჭირდება, ბადაგივით დადუღებასა და დაღვინებას ველით შემოქმედებითი პროცესისას, რამდენადაც შეცდომის დაშვების შიში კეთილსინდისიერი კრიტიკოსისთვის არცერთ სხვა შიშზე ნაკლები არ არის. არადა, ზოგჯერ ზედმეტიც კი მოგვდის და „სიფრთხილეს თავი არ სტკივა“ პოზიცია გვაიძულებს, გარკვეულ ჩარჩოში მოვექცეთ და თვალსაწიერზე ყოვლად უეჭველად გადაშლილ რეალობას თვალი განგებ ავარიდოთ. ზოგჯერ ასეა და ზოგჯერ - ისე, მაგრამ პასუხისმგებლობის შიშით მხოლოდ ავს ავი ვუწოდოთ და კარგს სახელად არა დავარქვათ რა, ესეც რომ უპასუხისმგებლობას წაგავს, აშკარაა.

და მაინც, ვინ შეიძლება უპრობლემოდ, დამატებითი განსჯის გარეშეც წარმოვიდგინოთ და გამოვკვეთოთ, როცა განსწავლულ მოაზროვნეს, მწერალს, პუბლიცისტს, ლიტერატურათმცოდნეს დავეძებთ თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში? ლიტერატურათმცოდნეს, რომელსაც ზედმიწევნით, ეპოქებისდა მიუხედავად, ლიტერატურული პერიოდების განურჩევლად შეუძლია ჩაულრმავდეს ქართული ლიტერატურის რთულ და დაფარულ საკითხებს; მკვლევარი, რომელსაც ჯიუტი პოზიცია კი არ უკავია, არამედ არგუმენტებს, ობიექტურ მოსაზრებებსა და დოკუმენტურ წყაროებზე ხანგრძლივი მუშაობით აყალიბებს. შესაბამისად, საპირისპირო არგუმენტებსაც მარტოდენ არგუმენტებით უპირისპირდება (ვისთვის - მისაღებით და ვისთვის - მიუღებლით, ეს მეორე საკითხია), თუმცა ვერცერთი ოპონენტი ვერ უარყოფს, რომ მისთვის მეცნიერულად სრულყოფილი, არგუმენტებით აღჭურვილი მსჯელობაა ბრძოლისა და შრომის იარაღი.

საინტერესოა ისიც, რომ ჩვენ მიერ ნაგულისხმევი მოღვაწე ლიტერატორის თვალსაწიერიდან დეტალურად უღრმავდება სამშობლოს ისტორიასაც და დისკუსიაში სკრუპულოზური სიზუსტით არათუ მიჰყვება, ხშირად ტოლს არ უდებს სამეცნიერო წრეებში აღიარებულ ისტორიკოსებს. მეცნიერის გზა მარტივი არ არის, მაგრამ მეცნიერისა და მწერლისა ერთად - უფრო რთულია; რთულია, ასევე ისტორიკოსისა და ფილოლოგის სამუშაოს გაწევა ერთმანეთისაგან გაუმიჯნავად; ამ ყოველივეს კი გამოჩენილ ქართველ მოღვაწეთა ბიოგრაფიების მისხალ-მისხალ შემგროვებლის ხვედრიც უნდა დავუმატოთ და იდუმალებით მოცული საკითხების ამოხსნისთვის გაწეული ღვაწლიც, რის შედეგადაც ჩვენი მსჯელობის კვალდაკვალ ამოიტვიფრება ერთი კონკრეტული და, უკვე თამამად შეიძლება ითქვას, ეპოქალური სახელი.

ჩვენ როსტომ ჩხეიძის შემოქმედების სიღრმეები და მრავალფეროვნება აღვწერეთ ორიოდ სიტყვით და იმდენად, რამდენადაც მისი შემოქმედებითი ნიმუშების მხოლოდ ჩამონათვალი უკვე რამდენიმე გვერდს დაიკავებდა, ხოლო თითოეულზე ამდაგვარივე, ორიოდწინადადებიანი კომენტარი ათეულობით გვერდს - რაც ერთი სტატიის ფორმატს აშკარად სცილდება.

წინამდებარე ნაშრომში მწერლისა და მეცნიერის შემოქმედების ერთი მნიშვნელოვანი ნაწილის ზოგად ანალიზს შევთავაზებთ მკითხველს და ჩვენეულ დასკვნებსაც გავაცნობთ.

„დეტექტიური ცდა“ – ასე უწოდებს ავტორი საკუთარი შემოქმედების ერთ ძალიან საინტერესო მიმართულებას, რომელსაც მის შემოქმედებაში აშკარად უკავია გამორჩეული, საპატიო ნიშა. ბუნებრივია, შეგვეძლო კვლევა ერთ წიგნის, ან ნაწარმოების ირგვლივ წარგვემართა, მისი ანალიზის საფუძველზე მიმოგვეხილა ზოგიერთი საკითხი და გამოგვეტანა კონკრეტული დასკვნები; თუმცა ამჯერად ზოგადი, მიმოხილვითი ანალიზი ვარჩიეთ, იმდენად, რამდენადაც მსგავსი ხასიათის კვლევა, შესაძლოა, განვიხილოთ, როგორც ერთგვარი, უფროოდენ სასტარტო ნაწილი მასშტაბური და ნიუანსობრივი

კვლევებისა. შესაბამისად, ვფიქრობთ დაგეგმილ, მორიგ კვლევებში კვლავ შევხვით როსტომ ჩხეიძის შემოქმედების რამდენიმე საინტერესო საკითხს, რაც, ამავდროულად, ერთგვარი გაგრძელება იქნება წინამდებარე მიმოხილვითი ანალიზისა და ჩვენივე წინა კვლევისა როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიული რომან „მისიონერის“ შესახებ „წინ, სოლომონ დოდაშვილისაკენ“ („ქართული სიტყვა“, #42 (408), 2017, 25-31 ოქტომბერი).

ამჯერად კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მიმოვიხილავთ მისი „დეტექტიური ცდების“ ძირითად თვისებურებებს და, შემოქმედების სტილისტური ნიუანსების კვალდაკვალ შევეცდებით ავხსნათ როსტომ ჩხეიძის მიერ დამკვიდრებული ლიტერატურული ტერმინის - „ცდა“ მთავარი შინაარსობრივი დატვირთვაც.

წინა კვლევაში, მიმოვიხილავდით რა სოლომონ დოდაშვილის შესახებ შექმნილ ბიოგრაფიულ რომანს, აღვნიშნავდით, რომ, მთავარი გმირის ბიოგრაფიის პარალელურად, საკმაოდ შთამბეჭდავად შემოდის სხვა არაერთი გამორჩეული მოღვაწის სახეც. თუმცა აქვე დავძენთ, რომ როსტომ ჩხეიძე არათუ კონკრეტულ რომანში შემოყვანილ სხვა მოღვაწეთა ცხოვრების საინტერესო ეპიზოდებსაც წარუდგენს მკითხველს, არამედ შემდგომში თანდათანობით ავსებს გაქვრებულ ეპიზოდებს და ცალკე რომანებსაც უძღვნის მათ. ზოგჯერ კი ერთ მოღვაწეს, ერთ ლიტერატურულ მიმართულებას, ერთ ბიოგრაფიულ რომანს არც აკმარებს და სხვა რაკურსიდან იწყებს მოღვაწის შინაგანი სამყაროს გახსნას სულ სხვა ჟანრის ნაწარმოებში. მაგალითად, იაკობ გოგებაშვილისადმი მიძღვნილი ბიოგრაფიული რომანის „ბურჯი ეროვნებისა“ ერთგვარი გამოძახილი - პიესა „ის სურნელი თოვლში“ - 2016 წელს, წარმატებით დაიდგა გორის გიორგი ერისთავის სახელობის დრამატულ თეატრში და უაღრესად საინტერესო სცენური სახე შეიქმნა „დედაენის“ ავტორისა. წიგნების კითხვისასაც და, რა თქმა უნდა, შესაბამისად, სცენაზეც, რჩება შთაბეჭდილება, რომ იაკობ გოგებაშვილის ბიოგრაფიის პარალელურად თანდათანობით ვითარდება და სახიერად შემოდის არაერთი მოღვაწის (ილია ჭავჭავაძე, ნიკო ხიზანიშვილი, ნიკო ცხვედაძე, ანტონ ფურცელაძე, ნიკო ლომოური და ა. შ.), მათ შორის, განსაკუთრებით, ვასილ ბარნოვის ბიოგრაფია. ვინაიდან ვასილ ბარნოვის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე არსებობს ოთარ ჩხეიძის შესანიშნავი წიგნი „რომანი და ისტორია“, როსტომ ჩხეიძე, ბუნებრივია, აღარ დააყენებდა ვასილ ბარნოვის შესახებ ბიოგრაფიული რომანის შექმნის საკითხს, ამიტომ დასახელებულ ნაწარმოებში მისი შემოყვანით თითქოს მისგან „ურომანოდ დატოვებულ“ მოღვაწეს ებოდიშება და პატივს მის ხელთ არსებული სხვა ფორმით მიაგებს.

ასევე მიუხედავად იმისა, რომ ილია ჭავჭავაძის სახეზე, მისი მრწამსის გაიდევალების სრულიად მართებული აღქმა როსტომ ჩხეიძეს ნაჩვენები აქვს ლამის ყოველ ნაწარმოებში, ილიას სიცოცხლის უკანასკნელი პერიოდის გახსნას განსხვავებული ფორმით გვთავაზობს მწერალი „დეტექტიურ ცდაში“ - „ეკლიანი და პატარა გზა“. ეს გახლავთ ნაწარმოები, რომელიც უთუოდ არის ერთ-ერთი საუკეთესო არა მხოლოდ როსტომ ჩხეიძის შემოქმედებაში, არამედ თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში. მსგავსი სხვა მაგალითის მოტანა მრავლად არის შესაძლებელი, თუმცა შორს რომ არ წავიყვანოს ამდაგვარმა მსჯელობამ, ამ კონტექსტში ხაზს მხოლოდ საზოგადო მოღვაწეთა ცხოვრების სრულიად უცნობი ფაქტების მიებისადმი მწერლის დაუოკებელ ინტერესს გავუსვამთ: როგორ იგეგმებოდა ილიას მკვლელობა? სად გაქრა ივანე მაჩაბელი? მკვლელობა თუ თვითმკვლელობა - ზვიად გამსახურდიასი? და ა. შ. მსგავსი საკითხების დაფარულ მხარეებს, რომელთა თაობაზეც ხშირად პირდაპირი დოკუმენტური წყაროს მოძიებაც კი შეუძლებელია, როსტომ ჩხეიძემ თავი მოუყარა რამდენიმე შემოქმედებით მიმართულებაში, რომელთაგან უმნიშვნელოვანესად მიგვაჩნია სწორედ მისი „დეტექტიური ცდანი“, რამდენადაც მწერლის ეს ტერმინი-შეფასება, ერთგვარად აერთიანებს არა მხოლოდ იმ ნაწარმოებებს, რომელთაც ავტორი პირდაპირ განსაზღვრავს ამ ტერმინით, არამედ, ჩვენ ზოგიერთი პიესის, რომანისა თუ ისტორიულ ცდათა მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ „დეტექტიური ცდის“ იდეის მიღმა ნაგულისხმევ თარგზეა მორგებული.

ისტორიულ წარსულს, მით უფრო, მის იდუმალეობით მოცულ საკითხებს, კვლევა და დოკუმენტური დასაბუთება სჭირდება მხოლოდ დოკუმენტებზე დაყრდნობით. სამწუხაროდ, შეუძლებელია ისტორიის ამა თუ იმ ეპიზოდის სრული სურათის აღდგენა; ერთია ზოგადი ისტორიული სურათი, ხოლო მეორე - ზოგადი სურათის გარკვეული კონტექსტები თუ პერიპეტეხები, ამიტომ ისტორიკოსნი ხშირად უძღუნენ არიან, აღადგინონ სრული სურათი კონკრეტული მოვლენისა. მწერალს შედარებით გახსნილი აქვს ასპარეზი, მთავარია, როგორ სარგებლობს იგი ამ თავისუფალი ასპარეზით.

როსტომ ჩხეიძე სწორედ იმით არის გამორჩეული, რომ თვითშეზღუდვის გარეშე, მარტოოდენ ფანტაზიის ამარა არასოდეს გადის ლიტერატურულ ასპარეზზე. მწერალი კვლევის შედეგად მიღწეულ, ლოგიკურ, თუმცა თვალსაჩინო მტკიცებულებათა გარეშე დარჩენილ დასკვნებს შესანიშნავად არგებს მხატვრულ ფორმას და, შესაბამისად, კიდევ უფრო სრულყოფილად წარდგება საზოგადოების წინაშე, როგორც მწერალი-მკვლევარი.

შესაბამისად, როსტომ ჩხეიძის მხატვრული შემოქმედება მიგვაჩნია უნიკალურ მოვლენად, სადაც კვლევა შევსებულია მწერლობით და მწერლობა - კვლევით, ოღონდ ერთმანეთთან სრული ჰარმონიის შენარჩუნებით, მხატვრული ელემენტების მხოლოდ იმდენად გამოყენებით, რამდენის უფლებასაც კვლევის შედეგები იძლევა.

დეტექტიურ ცდას „ორშაბათიგ შაბათია“ ერთვის გიორგი ლობჯანიძის საინტერესო წინასიტყვაობა, სადაც იგი შენიშნავს: „მან [როსტომ ჩხეიძემ] კვლავ შექმნა მოვლენათა და დროის მიუდგომელი და შთამბეჭდავი სურათი, რომელიც თავისებურ ენციკლოპედიადაც წარმოსდგება თანამედროვე სილუეტების სიუხვით“. (ჩხეიძე, 2009, გვ. 2) ერთი კონკრეტული ნაწარმოების ლობჯანიძისეული შეფასება განზოგადებულადაც მიესადაგება როსტომ ჩხეიძის მთელს შემოქმედებას, რამდენადაც მის მხატვრულ ნაწარმოებს არა მარტო დოკუმენტური პროზის ნიშანიც ადევს, არამედ, რაც შემთხვევებში, მართლაც რომ „თავისებურ ენციკლოპედიადაც წარმოსდგება“.

აქვე დავძენთ - ჩვენთვის გასაგებია, რომ მწერლის ნებისმიერი პოზიცია ყველასთვის მისაღები არ შეიძლება იყოს და, შესაძლოა იყოს საკითხები, რომლებსაც თავადაც რამდენადმე განსხვავებულად აღვიქვამდეთ, თუმცა აქ საუბარია არა ყველასთვის მისაღებ ჭეშმარიტებაზე (რომელიც ძნელად რომ არსებობდეს), არამედ - არგუმენტირებულ პოზიციასა და იმ შინაგან რწმენაზე, რომლის გარეშეც როსტომ ჩხეიძე - მწერალი და როსტომ ჩხეიძე - მკვლევარი ვერ წარმოგვიდგენია!

აკი „ეკლიანი და პატარა გზი“-ს მთავარი დანიშნულება ასეა განმარტებული წინასიტყვაობაში: „ღრმად გავერკვეთ წარსულის საბედისწერო მოვლენებში, რათა წამიერადაც ვერ შეგვაკრთოს მომავალმა“. (ჩხეიძე, 2011ა, გვ. 2)

დეტექტიურ ცდაში მწერალი ილია ჭავჭავაძის სიცოცხლის უკანასკნელ პერიოდს იკვლევს და უაღრესად საინტერესოდ, განსხვავებული რაკურსებით უჩვენებს მკითხველს, რათა მან თავად შეძლოს ობიექტურ ჭეშმარიტებამდე გაიკვლიოს გზა. იქვე რედაქტორის, ივანე ამირხანაშვილის წერილში „მისტიკური დეტექტივი“, რომელიც წიგნის ბოლოშია დართული, ვკითხულობთ: „მთხრობელთა უმრავლესობა კარგად ცნობილი პიროვნებები არიან, მაგრამ მათ შორის ვხედავთ ისეთებსაც, რომლებსაც ფართო საზოგადოება არ იცნობს. მაგალითად, არა მგონია, ყველამ იცოდეს, თუ ვინ არის ნომრევან ჯაფარიძე, სოსო მაჭავარიანი, დავით მესხი, კოლა ორბელიანი, მიშო მაჩაბელი ან ვასილ კირვალიძე. კარგი იქნებოდა, თითოეული მთხრობელის ვინაობაზე თქმულიყო ორიოდ სიტყვა იქვე, სქოლიოში, ან წიგნის ბოლოში“. (ჩხეიძე, 2011ა, გვ. 240)

სრულიად ვეთანხმებით კრიტიკოსს, რომ იგივე მოთხოვნილება, შინაგანად, უთუოდ ჩნდება ჩვენშიც. თუმცა, რომ ჩავუკვირდებით ჩვენსავე დაუკმაყოფილებლობის განცდას, იძულებული ვხდებით ვადიაროთ, რომ ეს ის მოთხოვნა არ არის, რომელსაც ლიტერატურულ ნაწარმოებს უნდა წავუყენებდეთ, სამეცნიერო ლიტერატურას - კი ბატონო. ანუ ამ ჩვენს ერთგვარი დაუკმაყოფილებლობის განცდაში ჩანს ჩვენივე შინაგანი განწყობა იმისა, რომ როსტომ ჩხეიძის შემოქმედება არ არის ჩვეულებრივი ლიტერატურათაგანი და მას მეტი დანიშნულება გააჩნია, ვიდრე სხვათა მიერ შექმნილ ლიტერატურულ ნამუშევრებს.

ტერმინით „დეტექტიური ცდა“ დღეისათვის ავტორს განსაზღვრული აქვს სულ სამი ნაწარმოები: „ორი გზა ან ბედი ქართული ბიზნესისა“, „ორშაბათიგ შაბათია“ და „ეკლიანი და პატარა გზა“.

პირველ „ცდაში“ მწერალი ორი კომპანიის დაპირისპირებაზე მოუთხრობს მკითხველს, ორივე კომპანიას თავისი დამცველი და მძრახველი ჰყავს, მწერალი კი არგუმენტებისა და ფაქტების მოძიებითა და სკრუპულოზური ანალიზით ხელისგულზე ამოიტანს კონტრასტს და იმ სხვაობას, რაც ამ კომპანიათა გზასა თუ მიზნებს გააჩნიათ. საინტერესოა, რომ წიგნის დასაწყისში როსტომ ჩხეიძე წერს: „საიდან სადაო: თანამედროვე საქართველოს ეკონომიკური ცხოვრება, ბიზნესის განვითარების გზები და... მე... მას თავისი აღმწერი გამოუჩნდებოდა. ...უფრო გათვითცნობიერებული თვალხილულსა თუ ფარულ ნიუანსებში. ...მაგრამ ეს იქნებოდა მეტად სპეციფიკური ანალიზი, საინტერესო ამ ხელობისა და მისწრაფებების ადამიანებისათვის და არა ჩვენი ურთულესი ჟამის, საბედისწერო მოვლენების ამრეკლავი ისეთი მკაფიობითა და სისავსით, ცხოვრების ბევრ სხვა მხარესაც რომ გამოაჩენდა“ (ჩხეიძე, 1999, გვ. 3)

შეგნებულად ვიმოწმებთ ამ სტრიქონებს, რამდენადაც იგი საუკეთესოდ ადასტურებს ჩვენს შეფასებას, რომ ხშირად სპეციალისტის (ზემოთ ისტორიკოსების მაგალითზე ვმსჯელობდით, აქ ეკონომისტები იგულისხმება) მუშაობის პროფესიული საზღვრები ვერ იტევს სრულ და ფართო საზოგადოებაზე გათვლილ ინფორმატიულობის ხარისხს. უფრო მეტიც, ზოგჯერ ის, რაც სრული სურათია კონკრეტულ მოცემულობაში, ბუნებრივად ითვისებს გაგრძელებისა თუ დასრულების აუცილებლობას ჟამთა ცვალებადობასთან ერთად.

ამიტომაც, რომ „ორი გზა ანუ ბედი ქართული ბიზნესისა“ თითქოსდა გადაიზრდება მორიგ დეტექტიურ ცდაში - „ორშაბათიგ შაბათია“, სადაც ამჯერად ბარიკადის ერთ მხარეს კერძო კომპანია - მეორე მხარეს კი სახელმწიფო მანქანა აღმოჩნდება ერთმანეთის პირისპირ. როსტომ ჩხეიძე კი,

უპირველესად, თხრობას დაიწყებს პარალელურად ფრანც კაფკასთან, რომელიც „ასეთი ტრაგიკული სინამდვილეში ჩაცვენილ ადამიანთა ჭირისუფლად“ ეგულება. თანაც სიტუაციის ალოგიურობის აღქმასაც ხომ სჭირდება კაფკასეული სამყარო, მიუხედავად იმისა, რომ ეს ალოგიზმი ირეალური სამყაროდან სულაც არ გახლავთ, პირიქით, იმდენად რეალურად მომხდარ მოვლენებს შეეხება, რომ ნებისმიერი დეტალის დოკუმენტებით დადასტურება ხელეწიფება მწერალს. ხელეწიფება და არც დაიზარებს, რადგან, როგორც აღნიშნავს, „ერთი წამითაც არ დამვიწყნია, ყოველგვარი ისტორია მიკერძოებისა და მრისხანების გარეშე რომ უნდა იწერებოდეს, სხვაგვარად არავითარი მნიშვნელობა არ შეიძლება გააჩნდეს“-ო; (ჩხეიძე, 2009, გვ. 122) ამიტომ, ავტორი არ ერიდება ძირითადი ამბიდან გადახვევებს; წიგნში არის დეტალებიც, რომელთა გამოკლებით ძირითად ამბავს არაფერი მოაკლდებოდა, მაგალითად, ედუარდ შევარდნაძის გადადგომასთან დაკავშირებული ფაქტების ანალიზი, მიზანშედეგობრივი კავშირების ირგვლივ არსებული სჯანი, მაგრამ მწერლისთვის ნაწარმოები ერთი ამბავი არ არის, მას ეპოქის სურათის დახატვა სურს, განვითარებულ მოვლენებში – დეტალების გარდა – ისტორიული პერიპეტეიბიც აინტერესებს.

ისევე, როგორც როსტომ ჩხეიძის მთელი შემოქმედების ფარგლებში ზოგადად, ამ შემთხვევაშიც გვერდს ვერ ავუვლით, დროდადრო აღვნიშნოთ მისი სამწერლო არსენალი და მაღალი ოსტატობის გამოვლინებანი, რამდენადაც მცირე პასაჟების დამოწმებაც კი გვაძლევს საშუალებას, კიდევ ერთხელ გავუსვათ ხაზი და მივანიშნოთ მწერლისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ღირსებათა სიჭარბეზე, როდესაც საქმე როსტომ ჩხეიძეს შეეხება.

„დემოკრატიული ლულისა ცხადია“ (ჩხეიძე, 2009, გვ. 33) - წერს ავტორი და სამიოდე სიტყვაში ჩაატეხს, ირონიასაც, ცინიზმსაც და „ტრაგიკული სინამდვილეში ჩაცვენილ ადამიანთა“ ჭირისუფლობასაც.

თუმცაღა ოდნავ ქვემოთ, ასეთი უცნაური და საინტერესო სიტყვათშეთანხმებებიც დაემატება „დემოკრატიული ტყვიები“ და „დემოკრატიული მუქარა“, მაგრამ ეს უკვე ოსტატურად შესრულებული ნახატის კონტურების გამუქებაა, რაც, რომც აღარ ყოფილიყო, ფრაზის სარკასტულობის ძალას მიმხვედრი ისედაც მიხვდებოდა, მაგრამ მწერალი ოსტატია და მან უკეთ უწყის, როგორ გაზარდოს ფრაზის მუხტი და ექსპრესიულობა. ამ უაღრესად დახვეწილ პასაჟშიც კი, ნიშანდობლივია, რომ, სიმულვილის ნაცვლად, ირონიას იშველიებს მწერალი და, მართალია, მწარე, მაგრამ მაინც ხუმრობის ქარგაში გადააქვს საკუთარი წუხილი. მხოლოდ გამორჩეულ ხელოვანს ძალუძს ამხილოს და თან, ამავედროულად, თანაუგრძნოს; 2017 წელს ტელეკომპანია „იბერიას“ გადაცემაში - „ინტერვიუ ვანიჩკასთან“ როსტომ ჩხეიძე იტყვის: „ისე უნდა ამხილო, როგორც საკუთარ თავს ამხელდი, თანაგრძნობითა და თანალმობით“.

ასეთია ხელოვანის ჭეშმარიტი გზა, რომელსაც ერთგულად მიუყვება და არამც და არამც, რომ გადაუხვიოს. მისი მთავარი სადარდებელი, უპირველესად, საზოგადოა და მიუხედავად იმისა, რომ ავტორს უშუალოდ ეხებოდა რომანში ასახული პრობლემა, ისევ ჩაატეხს სამიოდ სიტყვაში, სიტყვის ოსტატი მთავარ საწუხარს: „ამიერიდან მაინც ნუღარ...“ (ჩხეიძე, 2009, გვ. 447)

მიმოვიხილავდით რა როსტომ ჩხეიძის სტილის ერთ თავისებურებას, ჩვენს წინა კვლევაში ხაზი გავუსვით მის დამოკიდებულებას ბედისწერის რწმენისადმი; იგივე თავისებურებაზე აქცენტები ამჯერად განხილულ ნაწარმოებებშიც შეგვიძლია გავაკეთოთ, თუმცა არ გავიმეორებთ და ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ წიგნის „ორშაბათიგ შაბათია“ ბოლოში დართულ ავტორთან ინტერვიუში, მისი პასუხი - „ნეტა ბედისწერას მართლა ჩვენ ვირჩევდეთ“ (ჩხეიძე, 2009, გვ. 459) - იმდენად არის თანხვედრაში ჩვენს წინა კვლევაში გამოთქმულ მოსაზრებასთან, რომ ცდუნებამ კინაღამ გვძლია, ამ ნაწარმოებიდანაც მოგვეხმო შესაბამისი დასკვნისთვის საჭირო ფრაზები.

რატომ შევარჩიეთ მიმდინარე ნაშრომისთვის „დეტექტიური ცდანის“ და მათ კვალდაკვალ როსტომ ჩხეიძისეულ „ცდა“-თა მნიშვნელობის კვლევა? ალბათ, იმიტომ, რომ ის, რაც იგულისხმება, ერთი მხრივ, დეტექტივის განმარტებაში „(ინგლ. detective „მაძებარი“ < to detect „გახსნა“ < ლათ. detectio „გახსნა““ (Scaggs, 2005, p. 9-11) არის, პრაქტიკულად, როსტომ ჩხეიძის ყველა ნაწარმოების შტრიხი და დომინანტი ნიუანსი. ამასვე აღნიშნავს პიესის - „ჩემი გზა ჩემი აკლდამა“ წინასიტყვაობაში რედაქტორი მაკა ჯოხაძე: „დეტექტივი, როგორც ჟანრული ფორმა, მახლობელია როსტომ ჩხეიძისათვის - მისი ლიტერატურული დეტექტივები, მისი დეტექტიური ცდანის. ორივე რკალი მკაფიოდ და შთამბეჭდავად იკვეთება მის შემოქმედებაში. ამჯერად კი პიესის სიუჟეტში სულაც დეტექტივი გამოჩნდება“. (ჩხეიძე, 2011ბ, გვ. 2)

საინტერესოა, რომ ცოტა მოგვიანებით, თუმცა იმავე 2011 წელს გამოცემული პიესის: „26 ივნისის საიდუმლო“ წინასიტყვაობაში, ზემოთ მოყვანილ შეფასებას მაკა ჯოხაძე უკვე ყველა პიესას მთარგმნის: „ის, რასაც აქამდე დილოგია ერქვა როსტომ ჩხეიძის დრამატურგიულ ცდებში, ამ ახალი პიესის „26 ივნისის საიდუმლო“ შემდგომ უკვე ტრილოგად წარმოადგება“. (ჩხეიძე, 2011გ, გვ. 2)

ძიება და დაფარული შტრიხების გახსნისაკენ სწრაფვა როსტომ ჩხეიძის შემოქმედების არცერთი მიმართულებისთვის უცხო რომ არ არის, ამას ზემოთ მოტანილი, ჩვენი თუ სხვათა, შეფასებები არცთუ ურიგოდ ადასტურებს, თუმცა ორიოდ სიტყვით როსტომ ჩხეიძის სხვა რამდენიმე, ჟანრობრივად განსხვავებულ ნაწარმოებსაც გავახსენებთ მკითხველს.

პირველ ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ მისი ბიოგრაფიული რომანების მთელი ციკლი უხვად შეიცავს დეტექტივისათვის ესოდენ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან „გახსნისა“ და „ძიების“ ელემენტებს მოღვაწეთა ცხოვრების სხვადასხვა ეპიზოდებისა, მეტიც, ზოგ შემთხვევაში მთლიანად ამ კომპონენტს ეყრდნობა ავტორი. არც მაგალითების ჩამოთვლა გავვიჭირდება და არც მათი დასაბუთება, თუმცა, ვფიქრობთ, მხოლოდ „ეკლის გვირგვინის“ დასახელება სრულად საკმარისია.

აქვე შეუძლებელია არ ვახსენოთ მისტიკური რომანი დეტექტიური ჩანართებით - „თვითმკვლელობა ქართულად“ და მონოგრაფია - „ქართული დუელიანა“, რომლებიც ასევე დეტექტიურ სამწერლო ქურაშია გატარებული.

ამავე დეტექტიურ ქარგას შორს არ სცილდება „ისტორიული ცდანის“ უმრავლესობაც, ეს იქნება თანამედროვე მოვლენებისა (მაგ. „ოტარიდი; მიზნები ამოცანები კრახი“) თუ ისტორიული წარსულის ამსახველი (მაგ. „სიმართლე გიორგი სააკაძეზე“).

რამდენადაც ამდაგვარმა ზოგადმა ანალიზმა მოგვცა შესაძლებლობა შევხედოთ პრაქტიკულად მწერლის შემოქმედებითი მემკვიდრეობის ყველა წახნაგსა და ყველა იმ ჟანრს, რომელშიც როსტომ ჩხეიძე მუშაობს, შესაბამისად, ამდაგვარი თვალის გადავლევაც კი მკვეთრად ჰფენს ნათელს თუ რამდენად არის მახლობელი დეტექტიური „ძიება-გახსნის“ კომპონენტი როსტომ ჩხეიძის მთელი შემოქმედებისთვის.

მეორე მხრივ კი, „ცდა“ - ტერმინი, რომელიც თავისუფლად შეიძლება შეფასდეს, როგორც ერთგვარი ლიტოტესი.

რას ვგულისხმობთ ამ ტერმინის ამდაგვარად შეფასებისას? „ცდა“ ზოგადად არის ექსპერიმენტული ხასიათის აქტი, იმის გაკეთება, რისგანაც არ იცი, რა გამოვა, როსტომ ჩხეიძისთვის კი აღარცერთი ჟანრი და მიმართულება კარგა ხანია ექსპერიმენტს აღარ წარმოადგენს. მაშ რატომ ცდა? ამაზე ჩვენი პასუხი ასეთია: მარტოდენ იმიტომ, რომ მშრალად, ერთი ტერმინი: „რომანი“, „დეტექტივი“, „ისტორიული ნარკვევი“, „პიესა“ ან „მონოგრაფია“ – ზოგჯერ ვერ იტვირთავს ხოლმე სრულად უპასუხო კითხვას - რა არის ნაწარმოებს მიღმა.

ამიტომ თავს უფლებას მივცემთ, უფრო ზოგადი ტერმინი მივაშველოთ როსტომ ჩხეიძის შემოქმედებას, რაც ყველა მიმართულებას ერთ მთლიან ქუდქვეშ მოაქცევს. მხატვრული კვლევა - ეს იქნებოდა საუკეთესო ჟანრული განსაზღვრება და ვხვდებით რა, რომ ამდაგვარი განსაზღვრების შეთავაზებით უთქმელადაც სრულიად ახალ მიმდინარეობად ვსახავთ როსტომ ჩხეიძის მიერ შექმნილ მხატვრულ ლიტერატურას, აქვე დავადასტურებთ, რომ დიახაც, ამ ნიშნით უდავოდ უნდა იქნას გამიჯნული მეცნიერებასთან ნაზიარები და რთულად განმეორებადი ახალი პროზა.

რა თქმა უნდა, მსოფლიო ლიტერატურაში შესაძლოა დაიძებნოს ცალკეული, ოღონდ, მიახლოებითი პარალელები. დავძენთ იმასაც, რომ, ჩვენი აზრით, სწორედ „მხატვრული კვლევის“ კონტურები შეგვიძლია გავარჩიოთ პავლე ინგოროყვას მონოგრაფიებშიც, რამდენადაც მეცნიერულ ნაკადში მხატვრული ნაკადის ელემენტები მასთანაც საკმაოდ იკვეთება, თუმცა როსტომ ჩხეიძე, როგორც პავლე ინგოროყვას თაყვანისმცემელი და გზის გამგრძელებელი (იგულისხმება არა მხოლოდ, კომბინირებული კვლევის სტილი, არამედ გამოჩენილ მოღვაწეთა ცხოვრების შესწავლისა და პოპულარიზაციის მხრივ გაწეული შრომები), განავრცობს და განავითარებს ამ კონტურებს იმდაგვარად, რომ ლიტერატურული მიმდინარეობის სახეს სძენს, რამდენადაც აღნიშნული სტილი, როგორც მიმდინარეობა, როსტომ ჩხეიძის გარეშე ვერ გამონაპირდებოდა.

ამრიგად, ჩვენ ერთიან კონტექსტში მიმოვიხილეთ გამორჩეული ქართველი მოღვაწის, მწერლისა და მეცნიერის - როსტომ ჩხეიძის შემოქმედების ერთი გამოკვეთილი მიმართულება, მისი დეტექტიური ცდების მაგალითზე წარმართეთ მსჯელობა ტერმინის „ცდა“ მნიშვნელობასა და დანიშნულებაზე, გავაანალიზებთ მწერლის შემოქმედების ზოგადი თავისებურებებიც, რაც ახალი სიტყვად მიგვაჩნია ქართულ ლიტერატურასა და მეცნიერებაში, და არგუმენტირებულად დავაყენეთ საკითხი როსტომ ჩხეიძის მხატვრული პროზის განსაზღვრებისა, როგორც ახალი კომბინირებული ლიტერატურულ-სამეცნიერო მიმართულებისა – მხატვრული კვლევა.

ბიბლიოგრაფია:

ჩხეიძე, რ. (1999). *ორი გზა ან ბედი ქართული ბიზნესისა: დეტექტიური ცდა*. თბილისი: ლომისი.

ჩხეიძე, რ. (2009). *ორშაბათივ შაბათია*. თბილისი.

ჩხეიძე, რ. (2011ა). *ეკლიანი და პატარა გზა: დეტექტიური ცდა*. თბილისი.

ჩხეიძე, რ. (2011ბ). *ჩემი გზა ჩემი აკლდამა: მონტაჟი ორ მოქმედებად და ათ სურათად დაკარგული პიესის ტრაგედიაზე*. თბილისი: სტ. "ომეგა თეგი".

ჩხეიძე, რ. (2011გ). *26 ივნისის საიდუმლო: მონტაჟი ორ მოქმედებად და ათ სურათად დაკარგული შექსპირელის ტრაგედიაზე*. თბილისი: ჩვენი მწერლობა.

Scaggs, J. (2005). *Crime Fiction (The New Critical Idiom)*. Routledge.

Giorgi Khorbaladze

Gori State Teaching University

ROSTOM CHKHEIDZE'S 'EXPERIMENT' AS A TYPE OF GENRE FORM ON THE EXAMPLE OF 'DETECTIVE EXPERIMENTS'

RESUME

In this paper we present to readers a general analysis of one significant part of the writer and scientist and introduce our version of conclusions (which we consider to be interesting).

We will review main characteristics of "Detective attempts" and, tracking the stylistic peculiarities of work, try to define the main contextual meaning of the literal term "experiment" established by him in our own manner.

The historical past, and especially its mysterious issues, require research and documentary justification; unfortunately, it is impossible to restore the complete picture of one or another episode from the past only by reliance on the documents; one thing is a general, historical picture and the second one is certain contexts and peripety, that is why the historians are often unable to restore the complete picture of a certain event. Writers have relatively better options in this regard, the point is how these options may be used by him/her. Rostom Chkheidze is distinguished due to his ability that he never goes to the literary arena without self limitation, and only with the reliance on his own fantasy. The writer tailors conclusions, made as a result of research and remaining without logical but very visible evidences, to artistic form and consequently, he will appear more perfectly before public as a writer and a researcher. Correspondingly, we consider Rostom Chkheidze's artwork as a unique phenomena, where the research is complemented by writing and vice versa, while maintaining complete harmony with each other, and using artistic elements to such extent, that may be enabled by the research results.

Why have we selected research of meaning the terms detective experiments and experiment used by Rostom Chkheidze? May be because that what is meant in definition of the term 'detective' from one hand: „(Eng.. detective „someone, who search“ < detect „resolve“ < Lat.. detectio „resolve““ [6; 1]. Is actually the feature and dominant peculiarity of all Rostom Chkheidze's works. On the other hand, 'experiment' - a term, which, in our opinion may be evaluated as a type of litot s. What do we mean when we evaluate this term in such a manner? 'Experiment', in general, is an act of experimental nature, doing something whose outcomes is not known, and neither genre and nor area have been experiment for Rostom Chkheidze for a long time. So, why the experiment? Our answer to this question is: Only because the reason that, listlessly, only one term, novel, detective, historical essay, play or monograph sometimes cannot fully answer to the question - what is beyond the piece of work. That is why we will let ourselves to use a general term to describe Rostom Chkheidze's work, which will place all areas into one full shot. "Artistic research" - this would be the best genre definition and as we guess, by offering this type of definition, we form default fiction created by Rostom Chkheidze as a completely new trend, and hereby affirm that, in our opinion, science involved and fairly repetitive, new combined literary and scientific trend such as artistic research, should be distinguished in this sense.

Keywords: Rostom Chkheidze, Genre, Detective experiment, Artistic research.

„ვეფხისტყაოსანი“ და აფხაზ სწავლულთა რუსთველოლოგიური შეხედულებანი

საკვანძო სიტყვები: პოემა, კულტურულ-მატერიალური ძეგლი, თარგმანები, წერილები.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის (რუსთველის კაბინეტის) მეცნიერი-თანამშრომელთა ინიციატივით დაიწყო სამეცნიერო კრებულის, სახელწოდებით „რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში“, დამუშავება, შედგენა და გამოცემა. პირველი ტომი დაისტამბა 1976 წელს (სარედაქციო კოლეგია: ალ. ბარამიძე, ო. ბაქანიძე, ვ. გამყრელიძე, ლ. მენაბდე (მთავარი რედაქტორი), ა. ურუშაძე, ვ. შადური). 1980 წელს ჩვენი უნივერსიტეტის ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრას (კათედრის გამგე, პროფ. ო. ჭურღულია) დაევალა მოემზადებინა და მიეწოდებინა სარედაქციო კოლეგიისათვის ბიბლიოგრაფიული მასალები, წიგნები, ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული მასალები რუსთველისა და მისი პოემის შესახებ, და ა.შ. ჩატარდა დიდი მოცულობის სამუშაო. ფურცელ-ფურცელ შემოწმდა და აღინუსხა პერიოდული პრესის მონაცემები (აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მასშტაბით), ქართულ, აფხაზურ და რუსულ ენებზე შესრულებული სამეცნიერო სტატიები, ნარკვევები, ლექსები და ა.შ. ამ ფაქტს საგანგებოდ აღნიშნავს სარედაქციო კოლეგია გამოცემის მე-3 ტომის წინასიტყვაობაში: „განსაკუთრებული მადლობით უნდა მოვიხსენიოთ ა.მ. გორკის სახელობის აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომელიც მხურვალედ გამოეხმაურა ჩვენს თხოვნას ერთობლივი მუშაობის შესახებ. სოხუმელმა კოლეგებმა (ზ. ანჩაბაძემ, შ. გვარამიამ, ტ. მოსიამ, ო. ჭურღულიამ, მ. ჯაიანმა) ერთობ დიდი წვლილი შეიტანეს კრებულის მომზადებაში“. (რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში (სტატიების კრებული), 1988, გვ. 12). გამოცემის რედაქტორი მიუთითებს, რომ, ბიბლიოგრაფიის ზედმეტად გაზრდის თავიდან აცილების მიზნით, არ არის შეტანილი შემოწმებული და დაზუსტებული ცნობათა უმრავლესობა. ტომში წარმოდგენილი მასალების ნაწილი ადრევე იყო თარგმნილი და გამოქვეყნებული (დ. გულია, მ. დელბა, ბ. შინქუბა, მ. ლასურია და სხვა), ხოლო ზოგიერთი კი საგანგებოდ ითარგმნა. ქართულენოვანი რუსთველოლოგიური ლიტერატურის დაბეჭდვაც ბუნებრივი იქნებოდა, მაგრამ კოლეგიამ თავი შეიკავა შემდეგ გარემოებათა გამო: ეს ლიტერატურა ისე უსაზღვროა, რომ რამდენიმე ტომიც კი არ ეყოფა. სხვა მასალებთან ერთად ხელმისაწვდომია, რადგან ზოგიერთი წერილი თუ წიგნი რამდენჯერმეც კი დაიბეჭდა.

ჩვენ მიერ შეკრებილ-აღნუსხული ბიბლიოგრაფიული მასალების რიცხვი 200 ათეულზე მეტი იყო და ინახებოდა აფხაზეთის უნივერსიტეტის ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრაზე. ცნობილი მოვლენების გამო, მისთვის ხელი არ მიგვიწვდება. თსუ რუსთველის კაბინეტისთვის გამოგზავნილი მასალის კვალიც არ ჩანს, დაიკარგა.

ჩვენს ნაშრომში წარმოვაჩინეთ აფხაზ მეცნიერ-მკვლევართა დაკვირვებებს, შეხედულებებს, ნააზრევს შოთა რუსთველისა და მისი პოემის შესახებ, სამეცნიერო კრებულის „რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში“ (III ტ.) გამოქვეყნებული რუსთველოლოგიური მასალის მიხედვით.

აფხაზთა შორის „ვეფხისტყაოსანი“ ძველთაგან პოპულარული იყო. საუკუნეთა მანძილზე ქართველები და აფხაზები ერთად ცხოვრობდნენ, მხარდამხარ იბრძოდნენ მოძალადე მტრების წინააღმდეგ, იღვწოდნენ კულტურულ-ლიტერატურულ სარბიელზე. ბუნებრივია, აფხაზებს ადრევე შეეძლოთ გაეცნოთ რუსთველის პოემა. მათი უმრავლესობა კარგად ფლობდა ქართულ ენას და თავისუფლად შეეძლოთ „ვეფხისტყაოსნის“ დედანში წაკითხვა. ეს იმას ნიშნავს, რომ პოემის თარგმნამდე საუკუნეებით ადრე იყო აფხაზთათვის რუსთველის პოემა ცნობილი და შესაბამისად გაცნობიერებული, გააზრებული.

XIX ს-ის მეორე ნახევრიდან და განსაკუთრებით XX ს-ის დამდეგიდან აფხაზ ინტელიგენციაში შეინიშნება „ვეფხისტყაოსნისადმი“ ინტერესის გამძლიერება.

XIX საუკუნის აფხაზეთის განათლებულმა წარმომადგენლებმა პოემა ზეპირად იცოდნენ, გიორგი შარვაშიძემ და დავით ჩქოტუამ, რადგან აღზრდილნი იყვნენ ძველი ქართული კულტურის ნიადაგზე. აფხაზი პოეტი და საზოგადო მოღვაწე გ. შარვაშიძე, ქართველ თანამოკალმეებთან ერთად, აქტიურად მონაწილეობდა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენისა და ილუსტრირების საქმეში. უნგრელი მხატვრის მ. ზიჩის „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციების გამოფენა-წარმოდგენა ქუთაისში შედგა, იუწყება „დროება“

(5.VI.1882, №115), „გ. შარვაშიძე ტარიელის სურათად იმისთანა იყო, რომ მგონია თვით საფლავიდან ამდგარი შოთაც არ დაიწუნებდა იერს და სახისმეტყველებასო“. (რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში (სტატიების კრებული), 1988, გვ. 572). საყურადღებოა, რომ ბიბლიური იობივით წამებული დავით ჩქოტუა, რომელიც ბავშვობიდანვე ეზიარა რუსთველის სიბრძნეს, სიბერემდე არ შელევია მას: „ბავშვობიდანვე დაკავშირებული ვარ ამ დიდ ნაწარმოებთან: ჯერ იყო და მის კითხვას ვისმენდი მშობლიურ ოჯახში. უფრო გვიან დავიწყე მისი კითხვა, გადაკითხვა, ზეპირად დასწავლა, კვლავ გადაიკითხვა ა. შ. ასე გრძელდება დღემდე, თითქმის სამოცი წლის მანძილზე“. (რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში (სტატიების კრებული), 1988, გვ. 572). შემდგომში იგი ჩინებული რუსთველოლოგი დადგა და ვრცელი გამოკვლევაც დაწერა – „რუსთველის პოემის გმირები და მათი მსოფლმხედველობა“. ამ ნაშრომმა, სამწუხაროდ, თავისი ავტორის, უდანაშაულო დამნაშავის ტრაგიკული ბედი გაიზიარა.

ამავე პერიოდში რუსთველის პოემის აფხაზურად თარგმნის პირველი მცდელობა ეკუთვნის დიმიტრი თლაფსის ძე მაანს (მარლანას). – „ამბობენ, რომ დ. მაანს განსაკუთრებით უყვარდა „ვეფხისტყაოსანი“. პოემის ნახევარზე მეტი ზეპირად სცოდნია, საუბრისას მუდამ იმოწმებდა რუსთველის აფორიზმებს, სურდა რუსთველის მშვენიერი პოეზია გაეზიარებინა მშობელი ხალხისთვის აფხაზურ ენაზე. სწორედ ამიტომ მოჰკიდა ხელი პოემის თარგმნას. შესაძლოა, დ. მაანის თარგმანი რუსთველის გენიის შესაფერისი იყო, მაგრამ, მისი სიკვდილის შემდეგ, ხელნაწერები უგზო-უკვლოდ დაიკარგა“. (რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში (სტატიების კრებული), 1988, გვ. 586).

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ XIX საუკუნეში ქართულ კულტურასთან ახლოს მყოფი აფხაზები პოემის ხმამაღლა კითხვის ტრადიციას ამკვიდრებენ. „ვეფხისტყაოსნის“ ზეპირად შესწავლა კი საპატიო საქმედ ითვლებოდა.

„ვეფხისტყაოსნისა“ და რუსთველისადმი ინტერესი აფხაზეთში ყოველთვის იგრძნობოდა, მაგრამ ამ ინტერესმა განსაკუთრებით შესამჩნევი სახე მიიღო მე-20 საუკუნის 30-იან წლებში – პოემის 750 წლისთავის საიუბილეო ზეიმის წინ და დღესასწაულის დღეებში. მთელ აფხაზეთში გაჩაღდა სამზადისი. ჟურნალ-გაზეთებში აფხაზურ, ქართულ და რუსულ ენებზე დაიბეჭდა დიდძალი მასალა რუსთველსა და მის პოემაზე. კერძოდ, წერილები, ინფორმაციები, ქრონიკა, თხზულების მოკლე შინაარსი და ა.შ. მრავალთაგან რამდენიმეს დავასახელებთ: მ. ჰაშბას – „შოთა რუსთველის პოემა „ვეფხისტყაოსანი“ აფხაზურ ფოლკლორში“. პოემის ნაწყვეტები თარგმნეს დ. გულიამ, ა. არძინბამ, მ. გოჩუამ, ლ. კვიციანიამ, ბ. შინქუბამ, ს. ჭანბამ. შეიქმნა რუსთველისადმი მიძღვნილი ლექსები: დ. გულია, ს. ადლეიბა, ლ. კვიციანია, ბ. შინქუბა, რ. ჭამაგუა და სხვა. დაისტამბა „ვეფხისტყაოსნის“ პოეტური თარგმანებისა და წერილების ორი კრებული. სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის პლენუმზე (28.XII. 1937 წელი) სიტყვა წარმოთქვა ხ. ბლაჟბამ, რომელმაც ისაუბრა პოემის პოპულარობაზე აფხაზეთში, ქართული თხზულების აფხაზურად ამეტყველების ცდებზე.

XX საუკუნის ორმოც-ორმოცდაათიანი წლების მთავარ მოვლენად იქცა დ. გულიას მიერ „ვეფხისტყაოსნის“ აფხაზურ ენაზე შესრულებული ტექსტის გამოქვეყნება. პოემის პირველი აფხაზური თარგმანი („აბუასცია ზშიუ“), ზემოთ დასახელებული მიძღვნილი კულტურულ-ყოფითი წანამძღვრების ლოგიკურ შედეგს წარმოადგენდა. დ. გულიამ „ჩინებულად დაავგირგვინა აფხაზურ-ქართული ლიტერატურულ-კულტურული ურთიერთობის ერთი ეტაპი და ამ სფეროში სამაგალითო პერსპექტივა გადაშალა იმ გაგებით, რომ, როგორც მაშინდელი პრესა იუწყებოდა, მისი მნიშვნელობა გასცდა „ლიტერატურის ვიწრო“ ფარგლებს და ორი ხალხის მეგობრობის განმტკიცებას დაედო საფუძვლად“ (გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1941, №19). ამიტომაც აფხაზმა ხალხმა მშობლიურ ენაზე რუსთველის პოემის ამეტყველება ეროვნული დღესასწაულის დონეზე აიყვანა. 1941 წლის 26 აპრილს სოხუმის სახელმწიფო თეატრში თარგმანის გამოცემისადმი მიძღვნილი ლიტერატურული საღამო გაიმართა. შემდგომში დ. გულიას თარგმანი განმეორებით სამჯერ დაიბეჭდა – 1953, 1959, 1984 წლებში.

1978 წელს გამოქვეყნდა „ვეფხისტყაოსნის ახალი, სრული პოეტური თარგმანი, შესრულებული მ. ლასურის მიერ. აფხაზურ ენაზე ახალი თარგმანის გამოსვლა პოეზიის ნამდვილი დღესასწაული იყო. მ. ლასურის შ. რუსთველის სახელობის პრემია მიენიჭა. სამეცნიერო კრებულის – „რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში“ (III ტ), სარედაქციო კოლეგია, მ. ლასურისეული თარგმანის რაობისა და მნიშვნელობის გათვალისწინებით, ბეჭდავს რამდენიმე მკვლევრის შეფასება-გამოხმაურებას. (რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში (სტატიების კრებული), 1988, გვ. 578-592).

აღსანიშნავია, რომ აფხაზეთში ფართოდ გაიშალა მუშაობა 60-იანი წლებიდან, როდესაც დაიწყო მზადება რუსთველის 800 წლისთავის აღსანიშნავად. პერიოდულ პრესაში გამოქვეყნდა ქართველი, აფხაზი და რუსი ავტორების წერილები, ლექსები, პოემები „ვეფხისტყაოსანზე“ და მის შემოქმედზე. ჩატარდა ლექცია-მოხსენებები, მოეწყო გამოფენები, ლიტერატურული საღამოები. ცალკე წიგნად გამოვიდა შ. ინალ-იფას მონოგრაფია „შოთა რუსთაველი“ (1966 წ.) ფაქტია, რომ ეს იყო აფხაზურ ენაზე გამოქვეყნებული პირველი სამეცნიერო ხასიათის გამოკვლევა რუსთაველზე. აქ შეჯამებულია ავტორის

მრავალწლიანი რუსთველოლოგიური კვლევა-ძიება. პოეტმა ბ. შინქუბამ გამოაქვეყნა რუსთველის აფორიზმები აფხაზურ ენაზე. მან, 1966 წლის 26 სექტემბერს, სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირისა და საქართველოს მწერალთა კავშირების გამგეობათა რუსთველისადმი მიძღვნილ პლენუმებზე. ბ. შინქუბამ ვრცლად ისაუბრა ქართველ-აფხაზთა ისტორიულ-კულტურულ ურთიერთობასა და „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნა-შესწავლის ისტორიაზე აფხაზეთში.

სამართლიანადაა მიჩნეული 1966 წელი აფხაზური რუსთაველიანას შეჯამების თარიღად. ამ წელს დაიბეჭდა წერილები, რომლებშიც განხილული იყო აფხაზეთში რუსთველის პოპულარობის, პოემის თარგმნის ისტორიისა და აფხაზ სწავლულთა ძირითადი რუსთველოლოგიური სამეცნიერო ხასიათის ნაშრომები. მაგალითად, მ. დედბასა და მ. მირნელის „ვეფხისტყაოსანი“ აფხაზურ ფოლკლორსა და ლიტერატურათმცოდნეობაში, შ. სალაყაიას „რუსთველის პოემა აფხაზურ პოეზიაში“, ნ. შონიასა და გ. ზუხბას „ვეფხისტყაოსანი და აფხაზეთი“.

აფხაზთა შორის „ვეფხისტყაოსნის“ პოპულარობაზე მიუთითებს ხალხურ სიტყვიერებაში შემონახული მასალები პოემასა და მის ავტორზე. აფხაზ მეცნიერ-მკვლევართა დაკვირვებით, უძველეს აფხაზურ ფოლკლორსა და ეთნოგრაფიულ ყოფაში „ვეფხისტყაოსნის“ კეთილმყოფელი გავლენა ნათლად საცნაურდება. ერი რუსთველის დიდებულებას თავის ფოლკლორში, ხალხურ პოეზიაში გამოხატავდა. ძველი დროის აფხაზი ხშირად რუსთველის პოეტური სახეებით აზროვნებდა. მისთვის პოემის პერსონაჟთა ძლევაძლიერი სახეები გახდა სილამაზის, ადამიანის ფიზიკური და სულიერი მშვენიერების, გამირობის, სიმამაცის, სიკეთისა და ჰუმანურობის იდეალური სიმბოლო.

პოემის მთავარი გმირის ტარიელის სახე აფხაზთათვის იქცა სილამაზის, ფიზიკური და სულიერი სიჯანსაღის, გამირობის, მამაცობის სიმბოლოდ. როცა აფხაზებს სურთ აღნიშნონ, რომ მამაკაცი შესახედავად მშვენიერი და ტანადია, ამბობენ: „ტარიალ დეფეფშუპ“ (ტარიელის მსგავსი). „უნან სიკუხშანდას ატარიალ დშპიფშუტ“ (ო, როგორ ვეთაყვანები ტარიელს), „ატარიალ ეშ დშვრმა“ (ტარიელივით ტანკენარი) და ა.შ. (რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში (სტატიების კრებული), 1988, გვ. 567).

აფხაზური ონომასტიკა შეივსო და გამდიდრდა „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟთა სახელებით: შოთა, ტარიელი, თანდელ (ავთანდილი), რუსტან, არუსტან, ასტან, დარჯანა, დარჯა (კაცის სახელადაც ყოფილა ცნობილი), თინათ... საგულისხმოა, რომ აფხაზი პატარძლები თავიანთ მაზლებსა და ნათესავ მამაკაცებს მეტსახელად საყვარულ და საპატიო სახელს – ტარიელს უწოდებდნენ. ამ ჩვევას, რომელიც ხალხურ ტრადიციად იყო ქცეული, „ახიმშარა“ – სახელის შერქმევა ეწოდებოდა. რუსთველის პოემის გმირთა სახელებმა აფხაზ ხალხში განიცადა ერთგვარი ფონეტიკური ცვლილება და მათი ტრანსკრიფციაც ზოგჯერ ოდნავ განსხვავდება ქართულისაგან, რაც საქმის ვითარებას არ ცვლის.

საინტერესო ფაქტია, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთი პერსონაჟის სახელს – დულარდუხტს წინ უსწრებს აფხაზი დედოფლის სახელი – გურანდუხტი (ბაგრატ მესამის დედა) და დედოფალთ დედოფალი საგდუხტი (დმურშიშის წარწერებიდან), რომელთა ეტიმოლოგიური მსგავსება უდავოდ მიაჩნიათ (რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში (სტატიების კრებული), 1988, გვ. 570).

აფხაზი მკვლევრების აზრით, პოემის გმირთა უკვდავი სახეები, რომლებიც გვანცვიფრებენ თავიანთი მონუმენტურობით, ღრმად ჩასწვდნენ ერის სულსა და გონებას.

აკი რუსთველის პერსონაჟები ასე ძლიერ მოგვაგონებენ აფხაზური ნართების ეპოსის გმირებს, რომელთათვისაც ნიშანდობლივია მაღალი ზნეობრივი თვისებები: სამართლიანობა, პატიოსნება, საკუთარი ღირსების შეგნება, თავისუფლების სიყვარული, ლტოლვა საგმირო საქმეებისაკენ, სიკვდილთან შეურიგებლობა“. (რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში (სტატიების კრებული), 1988, გვ. 567).

ისტორიკოსები ნ. შონია და გ. ზუხბა საგანგებოდ ამახვილებენ ყურადღებას „ქაჯეთის“ ეტიმოლოგიაზე. (რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში (სტატიების კრებული), 1988, გვ. 569) სოფელ რეჩხოცხირში, რუსთველის ეპოქის საინტერესო მატერიალური ძეგლების გვერდით, მდებარეობს გამოქვაბული „ოქაჯე“ (ქაჯეთი), რომელიც ძალიან გრძელია და მრავალთახიანი. „ოქაჯეზე“ ლეგენდა არსებობს სოფელში, რომელიც მთლიანად შეესატყვისება მ. დედბას განმარტებას: „ქაჯები, რომლებიც რუსთველს უარყოფითად ჰყავს დახატული, აფხაზების მხრითაც უარყოფით დამოკიდებულებას იწვევენ. ამ სახელს უწოდებენ გესლიან და მავნე ადამიანებს მაგალითად, აფხაზები ამბობენ, – „ურტ აქაჯკუა“, „აქაჯაა ურწოუპ“, „აქაჯაა ჯრხუხაიტ“, რაც ნიშნავს, – ეს ქაჯები, ქაჯებმა შეგჭამონ, ქაჯებმა დაგწვან“ და სხვა. (რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში (სტატიების კრებული), 1988, გვ. 568). როგორც ირკვევა, რუსთველის პოემაში დახატულ მითოლოგიურ სახეთა იდენტურის დაძებნა აფხაზურ ფოლკლორში ძნელი არ არის.

ნიშანდობლივია, რომ რუსთველი და მისი პოემა მრავალგზის გამხდარა აფხაზ პოეტთა შთაგონების წყარო. შოთა რუსთველისადმი მიძღვნილი მაღალმხატვრული ლექსები შექმნეს ა. ლასურამ, ლ. კვიციანი, ლ. ლაბაზუამ, ბ. შინქუბამ, ბ. გურგულიამ და სხვებმა.

1937 წელს, როცა მთელი ქვეყანა ზეიმობდა „ვეფხისტყაოსნის“ შექმნიდან 750-ე წლისთავს, სოხუმის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ქუჩას რუსთველის სანაპირო – პროსპექტი ეწოდა. აქვე გაშენდა რუსთველის სახელობის ულამაზესი ბაღი, სადაც დაიდგა პოეტის შთაგონებული ძეგლი (ავტორი – მოქანდაკე კ. მერაბიშვილი). აფხაზეთის სახალხო პოეტმა დ. გულიამ ამ ძეგლის გახსნას ლექსი მიუძღვნა (რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში (სტატიების კრებული), 1988, გვ. 575). მასში პოეტის, მოაზროვნისა და დიდი ჰუმანისტის ცხოვრება, ადამიანური თვისებები მოხდენილადაა ერთმანეთს შერწყმული:

„ზღვის პირას ძეგლი დამდგარა მზის სხივებისგან ნათალი,
თავს ადგას შარავანდედად დიდების შუქი მართალი,
ძეგლი კი არა – ლექსია, შოთას სიმღერა ქებული,
ამაყი მთების გრეხილით არშია შემოვლებული!“

(თ. ჯანგულაშვილის თარგმანი) (რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში (სტატიების კრებული), 1988, გვ. 654).

აფხაზი პოეტი ლ. კვიციანია დიდი პოეტის შემოქმედების კარგი მცოდნე და დამფასებელიც იყო. მას შესწავლილი ჰქონდა რუსთველის შესახებ არსებული თქმულებები, სადაც გადმოცემულია პოეტის ბიოგრაფიული მონაცემები: შოთას წარმომავლობა, ცხოვრების გზა, თამართან ურთიერთობა, უიღბლო სიყვარულის ისტორია და ა.შ. ლექსი „რუსთველის წყარო“ მესხეთის მიმზიდველი ბუნების აღწერით იწყება. მესხეთ-ჯავახეთის სიმშვენიერის ხილვით შთაგონებულ პოეტს თვალწინ წარმოუდგება რუსთველისდროინდელი საქართველოს ისტორიის დადებული სურათები. შოთა ამ თვალწარმტაცი ბუნების შვილი იყო:

„ო, შორიახლო ის აქ ცხოვრობდა, ეს მხარე მას ეკუთვნოდა,
მის შეუმჩნევლად, ფარულად ნადირიც ვერ გაივლიდა.
სანთელივით იდგა სოფელ რუსთავში სახელოვანი,
მუდამ აზობოქრებულ დიდ ზღვასავით უშიშარი“.

(პწკარედი ეკუთვნის შ. გვარამიას) (რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში (სტატიების კრებული), 1988, გვ. 575).

ცნობილი აფხაზი მკვლევარი შ. სალაყაია ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ აფხაზური პოეზიის ფორმასა და ტექნიკაზე დიდი გავლენა მოახდინა რუსთველის ლექსთწყობამ, რიტმიკამ, მუსიკალობამ. იგი აღნიშნავს, რომ ეს მოვლენა განსაკუთრებით რუსთველისადმი მიძღვნილ ლექსებში შეიმჩნევა და მაგალითად მოჰყავს ბ. შინქუბას ლექსი „შოთა რუსთველი“.

„სარკმელში შუქი შემოდის, მზის ღიმით ნახავერდები,
გადმოჰყურებენ ფრესკები, ხმალაბჯრიანი მხედრები,
მგონია, აი, საცაა უნდა დატოვონ კედლები,
შეცვქერი ჩაფირებული, შოთაზე ვკითხავ ვედრებით“.

(რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში (სტატიების კრებული), 1988, გვ. 577).

რუსთველის პოეზიის სიყვარულითაა გამთბარი ს. ადღეიბას, რ. ჭამაგუას, ბ. გურგულიასა და სხვათა ლექსები.

ჩვენი აზრით, ნაშრომში წარმოდგენილი, განხილულ-შეფასებული ვრცელი სამეცნიერო მასალა („რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში“, III ტომში გამოქვეყნებული), მისი მრავალფეროვნების, მნიშვნელობისა და რაობის გათვალისწინებით, ყოველთვის იქნება ხელისშემშლელი ფაქტორი ქართულ-აფხაზური ურთიერთობების რღვევის მოსურნეთათვის.

ბიბლიოგრაფია:

გუბლია, გ. (1974). *დიმიტრი გულია*. თბილისი: მერანი.

დელბა, მ. (1941). შოთა რუსთველი და მისი „ვეფხისტყაოსანი“ (შენიშვნები პოემის აფხაზური გამოცემისათვის). *მნათობი* (4).

დელბა, მ. (1949). *დიმიტრი გულია*. თბილისი.

რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში (სტატიების კრებული) (ტ. 3). (1988). თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ჯანაშია, ს. (1937). დ. ჩქოტუა და მისი ნარკვევები „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ. *თსუ შრომები*, I.

Marine Jaiani

Sokhumi State University

**„THE MAN IN THE PANTER’S SKIN“ AND RUSTVELOLOGICAL VIEWS OF ABKHAZIAN SCHOLARS
RESUME**

Georgian and Abkhazian peoples lived together for ages, created united history, historical psychology.

“The Knight in the Panter’s skin” (“Vepkhistaosani”) was reflected in life of Abkhazian people. The masterpiece created new epoch in Georgian- Abkhazian cultural relationship. It means that Abkhazian people read the poem of Rustaveli a long time before its translating as well as the text was studied.

On the opinion of Abkhazian scholars, the influence of “the Knight in the panter’s Skin” was reflected in Abkhazian folklore as well as in the lifestyle of people. The ancient Abkhazian used poetic(al) enigmas and icons of Rustaveli as ideal symbols of human beauty, kindness, heroism, humanism.

Abkhazian onomastic was enriched by the icons of the characters of “The Knight in the Panter’s Skin”. Abkhazian bridegroom called the males of the family “Tariel” and that reflected the greatest respect to them.

Well – educated persons of the 19th century knew the poem by the memories of G. Shervashidze, D. Chqotua in the families of aristocracy tradition of reading-by-heart existed.

In 30s-60s of the 20th century (750-800 anniversary of the poem) a lot of materials were printed in papers in Georgian, Russian, Abkhazian languages.

Abkhazian people translated the poem twice – in 1941 – D. Culia’s, in 1978 M. Lasuria’s translation (State prize of Rustaveli).

It’s remarkable, that the poem was inspiration for Abkhazian poets (Cp. Gulia, A. Lasuria, B. Shinquba, L. Labakhua, B. Gurgulia, S. Adleiba, R. Chamagua...).

In the article we have studied scientific materials. “Rustaveli in the World Literature”, vol. III). “The Knight in the Panter’s skin” will always be a valid basis for Georgian. Abkhazian relationships.

Keywords: Poem, Cultural and material monument, Translations, Letters.

Tamar Jojua

Sokhumi State University

STRUCTURAL ANALYSIS OF THE ELLIPTICAL SENTENCE

Abstract. A sentence is defined as a syntactic structure, which is used in communication to form and render complete thought about situation of reality. It is a grammatical unit consisting of one or more words that are grammatically linked and is characterized by its specific features: integrity, syntactic independence, grammatical completeness, semantic completeness, communicative functioning, predicativity, modality, intonational completeness.

Including words, grouped meaningfully a sentence can express a statement, a question, an exclamation, a request, a command or a suggestion. According to its communicative purposes a sentence can be of the following types: declarative, interrogative, imperative and exclamatory; And by structure it can be classified as: simple and composite--compound and complex, complete and incomplete---elliptical, two-member or one-member.

Sentences can be shortened to avoid redundancy. Constituents of sentences, when they have already been mentioned, are in most cases dropped for reasons of the speaker/writer’s desire for comprehensibility and economy---it is the principle of reduction. Two kinds of reduction are widely acknowledged: the use of pro-forms and ellipsis. While studying ellipsis the following types are usually singled out: linguistic, grammatical and semantic. Any elliptical sentence should be considered as a transform of the complete sentence, formed by means of transformation of ellipsis or "deleting" (deletion), the core of this lies in replacing the explicit version of any word or words with pro-form of the same word. Every word, either notional or functional can undergo this operation of ellipsis. The purpose of ellipsis is not only to shorten sentences and avoid repetition, but also to create cohesion (the grammatical links between sentences) within a text to demonstrate that sentences are interconnected. Elliptical sentences are very common for conversational English. While it is quite ordinary for the written texts to include long sentences involving multiple layers of Subordination, in unplanned speech, in everyday informal conversation it is quite natural to operate with short and clear sentences where all forms of reduction are possible and they do not affect the effective communication.

Keywords: Ellipsis, a structure, a sentence, specific, features, reduction.

A sentence is defined as a syntactic structure, which is used in communication to form and render complete thought about situation of reality. It is a grammatical unit consisting of one or more words that are grammatically linked and is characterized by its specific features:

- Integrity
- Syntactic independence
- Grammatical completeness
- Semantic completeness
- Communicative functioning
- Predicativity
- Modality
- Intonational completeness

Including words, grouped meaningfully a sentence can express a statement, a question, an exclamation, a request, a command or a suggestion:

- The season developed and matured. (statement) (Hardy, 1994, p. 3)
- “What are you crying for?” he coldly asked . (question) (Hardy, 1994, p. 5)
- “How can you dare to use such words! (exclamation) (Hardy, 1994, p. 7)
- Could I stay here for a while? (request) (Hardy, 1994, p. 8)
- “Stand still!” he continued. (command) (Hardy, 1994, p. 10)
- You could ask him about the news. (suggestion) (Hardy, 1994, p. 15)

Accordingly, from the viewpoint of their communicative purposes sentences are divided into the following types: declarative, interrogative, imperative and exclamatory sentences.

By structure sentences can be classified as: simple and composite--compound and complex, complete and incomplete----elliptical, two-member or one-member (Kobrina, Korneyeva, Ossovskaya, & Guzeyeva, 1986, pp. 5-8):

- Jon slipped his hand tremulously under her arm. (simple--includes one subject-predicate line) (Galsworthy, 1952, p. 25)
- The dinner flowers were pale, Fleur was struck with pale look of everything. (Galsworthy, 1952, p. 28)
- (compound- clauses are arranged as units of syntactically equal rank)
- If these two noticed Angel’s growing social ineptness, he noticed their growing mental limitations. (complex--units of unequal rank) (Galsworthy, 1952, p. 29)
- “Have you come home to be married?” “No, I have not come for that, mother.” (complete--both the principal positions are filled with word-forms) (Galsworthy, 1952, p. 31)
- “As advertisement?” said Soams dryly. (incomplete--the main positions are not filled) (Galsworthy, 1952, p. 33)
- “I’ll mark for you”.(two member sentence--contains two principal parts) (Galsworthy, 1952, p. 34)
- “To get married”.(one-member sentence) (Galsworthy, 1952, p. 35)

Sentences can be shortened to avoid redundancy. Constituents of sentences, when they have already been mentioned, are in most cases dropped for reasons of the speaker/writer’s desire for comprehensibility and economy----it is the principle of reduction. Two kinds of reduction are widely acknowledged: the use of pro-forms and ellipsis. (Quirk, Greenbaum, Leech, & Svartvik, 1985, pp. 858-861)

Pro-forms are described as such words which are used to replace or refer to a large construction in a sentence. Pro-form are of two different types: co-reference and substitution. Co-reference takes place when two or more expressions in a text refer to the same person or thing; they have the same referent, e.g. Mary promised she would come very soon.

Pro-forms used in co-reference include:

- definite pronouns and determiners e.g. she, they, myself, his, theirs, those, that; they often refer to some or all of a noun phrase
- definite adverbs of time or space e.g. then, there, here; adverbial pro-forms relate to adverbials, e.g. Nick went to the stadium and I went there too.

Substitution is the replacement a word or phrase with another word (such as *one*, *so*, or *do*) to avoid repetition. Pro-forms used in substitution are:

- indefinite pronouns e.g. one(s), some, none, either e.g. I have apples. Do you want some?
- adverbs e.g. so, thus; so can replace an object, a complement, an adverbial or a whole clause
- the verb do in constructions as do so e.g. The professor asked the students to take an active part in the discussion and they did (so).

Ellipsis can be described as “grammatical omission” of a principal or subordinate element or in some cases both, but their meaning can be understood or implied and should be recoverable: (Quirk, Greenbaum, Leech, & Svartvik, 1985, pp. 883-885)

- “You are a prince, Ackley kid.” I said “You know that”? (Do you) (Salinger, 1990, p. 45)

Ellipted items can be recovered from the linguistic context or the situational context. Recoverability refers to a textual recoverability when the full form can be recovered from neighbouring part of the text. Two kinds of textual recoverability are distinguished: cataphoric and anaphoric references.

Cataphoric--refers to another unit that was introduced later in the sentence; For example:

• After a couple of hours they parted, Frank and Beatrice to have a round of golf, and Arrow to take a walk with a young Prince Poccamare whose acquaintance she had lately made. (Maugham, 1995, p. 11)

Anaphoric-refers to another unit that was introduced earlier in the sentence; For example:

• But Tess did not answer, she throbbingly resumed her walk... (Hardy, 1994, p. 102)

b) situational recoverability: the omitted form is recoverable from the extralinguistic situation and c) structural recoverability: the full form is recoverable through knowledge of grammatical structure.

While studying ellipsis the following types are usually singled out: linguistic, grammatical and semantic. Any elliptical sentence should be considered as a transform of the complete sentence, formed by means of transformation of ellipsis or "deleting" (deletion), the core of this lies in replacing the explicit version of any word or words with pro-form of the same word. Every word, either notional or functional can undergo this operation of ellipsis.

Ellipted elements can be seen (Swan, 1995, pp. 172-178):

1. In replies—to avoid repeating one and the same information: "What are you going to drink then?"

"Water". (Maugham, 1975, p. 23)

(More natural than "I am going to drink water.")

2. In structures with and, but, or---in co-ordinate structures repeated words are omitted: Nothing spoiled their good humour, but the scales,... (= ...but the scales spoiled their good humour.) (Maugham, 1995, p. 5)

What book of rules says that the theatre exists only within some ugly buildings crowded into one square mile of New York City? Or London, Paris or Vienna. (=...into one square mile of London, into one square mile of Paris or into one square mile of Vienna.)

3. At the beginning of a sentence---In spoken English, when the meaning is clear such words as articles, possessive and personal pronouns, auxiliary verbs at the beginning of the sentence are often ellipted: "Coffee?" I said. (=Would you like coffee?) "Yes, Just an ice-cream and coffee" she answered. (Maugham, 1975, p. 25)

4. Sometimes it is possible to omit nouns after adjectives, noun modifiers and determiners: "Madame wants to know if you have any of those giant asparagus" I asked the waiter. A happy smile spread over his broad, priest-like face, and he assured me that they had some so large, so splendid, so tender(=...so large, so splendid asparagus) that it was a marvel. (Maugham, 1975, p. 24)

5. At the end of a verb phrase-if the meaning is clear to avoid repetition a complete verb can be dropped: She dresses like a man as she could. (= as she could dress.) (Maugham, 1995, p. 4)

6. The whole infinitive can be ellipted and only particle "to" is used instead of it: She liked bread and butter, cream, potatoes and puddings and for eleven months of the year ate pretty well everything she had a mind to, and for one month went Carlsband to slim. (=... she had a mind to eat.) (Maugham, 1995, p. 4)

7. In comparative structures with as and than if the meaning is clear: What she liked about Beatrice Richman and Frances Hickson was that they were both so much fatter than she, it made her look quite slim; (=...than she was.) (Maugham, 1995, p. 3)

8. Clauses can be ellipted after question words:"Mother said we'd have company so come right home but she didn't say **who**," said Ann in a friendly voice. (=..who would come to stay as company for Ann and her mother). (Urushadze, 1974, p. 5)

9. In an informal conversation conjunction "that" and object relative pronouns can be dropped: She was beginning to suspect (**that**) he wasn't so clever as she had thought. (Maugham, 1995, p. 4)

10. In short answers: "Oh, do you go to Pency?," she said. "Yes, I **do**," I said. (Salinger, 1990, p. 48)

The purpose of ellipsis is not only to shorten sentences and avoid repetition, but also to create cohesion (the grammatical links between sentences) within a text to demonstrate that sentences are interconnected. (Berry, 2012, p. 132)Elliptical sentences are very common for conversational English. While it is quite ordinary for the written texts to include long sentences involving multiple layers of

Subordination, in unplanned speech, in everyday informal conversation it is quite natural to operate with short and clear sentences where all forms of reduction are possible and they do not affect the effective communication.

Bibliography:

Berry, R. (2012). *English Grammar: A Course book for students*. Routledge.

Galsworthy, J. (1952). *To Let*. Moscow: Foreign Languages Publishing House.

Hardy, T. (1994). *Tess of the D'urbervilles*. Penguin popular Classics.

Kobrina, N. A., Korneyeva, E. A., Ossovskaya, M. I., & Guzeyeva, K. A. (1986). *An English Grammar. Syntax*. Moscow: Prosvechenye.

Maugham, W. S. (1975). The Luncheon. In W. S. Maugham, *Collected Short Stories: 4th vol*. London: Pan Books.

Maugham, W. S. (1995). *Stories. The Three women of Antibes*. Tbilisi: Arili.

Quirk, R., Greenbaum, S., Leech, G., & Svartvik, J. (1985). *A Comprehensive Grammar of the English Language*. Longman Group Limited.

Salinger, J. D. (1990). *The Catcher in the Rye*. Penguin Books.

Swan, M. (1995). *Practical English Usage*. Oxford University press.

Urushadze, V. (1974). *English (For Senior Students of English)*. Tbilisi: Ganatleba.